ილია ჭავჭავაძე

ქართული
საჯარიმო
ლიტერატურის
ისტორია

4

ილია ჭავჭავაძე

ლექსები
პოემები
ქართხრობები
წერილები

83.3Гр
899.962.1 — 82
ჭ 152

შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები
და ლექსიკონი დაურთო

ლადო მინაშვილმა

7080—156
Ч——————61—85
М — 603(08) — 85

ილია ჭავჭავაძე ის დიდი მოღვაწე იყო, რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ალბათ ილია ჭავჭავაძე რომ არა, იგი სრულიად სხვაგვარად წარიმართებოდა.

დიდი ილია სწორედ იმ დროს მოევლინა საქართველოს, როდესაც ჩვენს ქვეყანას ათასი ჯურის მტრებთან ბრძოლაში უაღრესად სჭირდებოდა თავგანწირული წინამძღოლი. ილია ჭავჭავაძე ბელადის ნიშან-თვისებებით აღჭურვილი პიროვნება იყო; მან რაინდულად ზიდა ერის თავკაცის მძიმე ტვირთი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ვიდრე არ დაეცა ქვეყნის საკურთხეველზე, ვიდრე მსხვერპლად არ შეეწირა იმ იდეას, რომელსაც შეგნებულად შეალია ფიზიკური და სულიერი ძალღონე.

ილია ჭავჭავაძე ქართველი კაცის მხნე, გაუტეხელ სულსაც გამოხატავს და მის ზნეობრივ სახესაც.

დიდი მამულიშვილისათვის ყველაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, რასაც ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები განსაზღვრავდა; იგი ყველაფერს ქვეყნის მომავლის თვალსაზრისით ჰვრეტდა და აფასებდა, ამიტომაც არის წარუვალი შინაარსით ავსებული მთელი მისი ნააზრევი.

მრავალ სფეროში იღვაწა დიდმა ილიამ; თავისი მძლავრი გონების შუქით აღბეჭდა ყველაფერი, რასაც კი შეეხო. მისმა დიდმა ნიჭმა და მძლავრმა ინტელექტმა ერთმანეთთან შეაუღლა ერის მომავლისათვის აუცილებელი სულიერი მოღვაწეობისა და პრაქტიკული საქმიანობის მხარეები. ყველა სფეროში ილია არსებითს სწვდებოდა და გადამჭრელ პასუხებსაც იძლეოდა.

ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძე დარჩა როგორც მედროშე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, როგორც უდიდესი ფიგურა, რომელიც დგას ნიშან-სვეტად ქართველი ერის ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები კარგად არის ცნობილი. დაიბადა იგი 1837 წელს კახეთის ერთერთ

უმშვენიერეს სოფელ ყვარელში. ეს სოფელი ილია ჭავჭავაძის მიერ პოეზიაში უკვდავყოფილი ყვარლის მთებითაა გარშემოზიდული და ალაზნის მომხიბლავ ნაპირებს გადასცქერის.

ყვარელი დაღესტნის გზაზე მდებარე ერთერთი სასაზღვრო სოფელი იყო. მას არა თუ ადრე, არამედ მე-19 საუკუნეშიც არაერთგზის განუცდია ლეკთა შემოსევები, რომლებიც ხშირად მარტო სოფლელებს მოუგერიებიათ მხნედ და ვაჟკაცურად. თვით ილიას მამას რამდენიმე გზის უწინამძღვრია ყვარლელებისათვის. ილიას უფროსი ძმა კონსტანტინეც ლეკებთან შეტაკების დროს დაღუპულა.

ამგვარ გარემოში ყალიბდებოდა ჭაბუკის სული. რამდენჯერ უნატრია მთრთოლვარე ყრმას ზვიადი ყვარლის მთების „ამაყ თავს“ შეხებოდა, „თავისუფალი არწივის ძლიერი ფრთებით“ ლაჟვარდი ცის სიღრმეში გაჭრილიყო.

ილია ჭავჭავაძის მამა გრიგოლი ადრე ოფიცრად იყო ნამსახური. რუსული ენის კარგი მცოდნე, საკმაოდ განათლებული გრიგოლი თავისი დროისათვის ერთობ მოწინავე შეხედულებების კაცი ყოფილა. განსაკუთრებით აღსანიშნავი ისაა, რომ მან სანიმუშო მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინა დედით ობლად დარჩენილი შვილებისადმი. ყველა სწავლის გზაზე დააყენა. თანაც არ გაჰყვა სხვა თავადიშვილებივით ყალბი მოდის ინერციას და შვილები სამოქალაქო სასწავლებლებში მიაბარა და არა სამხედროში. ხელმოკლეობის მიუხედავად არა მარტო ვაჟები, არამედ უფროსი ქალიშვილი ნინოც თბილისში ჩამოიყვანა სასწავლებლად, რაც იმ დროისათვის იშვიათი შემთხვევა იყო. გრიგოლ ჭავჭავაძე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ორმოცდაერთი წლის, მაშინ როცა ილიას თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ გრიგოლის გონებამახვილობას და სიდარბაისლეს.

დედა მარიამ (ქალიშვილობაში მაგდანე) ბებურიშვილი თბილისელი ქალი იყო, დიდად გონიერი, თავისი დროის კვალობაზე ნაკითხი, კარგი მცოდნე ქართული ლიტერატურისა, შესანიშნავი აღმზრდელი. ილია გვაამბობს: „დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხამდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს. წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღეს საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით“. მარიამი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა მაშინ, როცა ილია ათი წლისა გახდა.

მშობელთა სახეები, მათი ხსოვნა ღრმად ჩაებეჭდა გულში ყმაწვილს და მთელი ცხოვრების გზაზე სათუთად ატარებდა; შემდგომში წარსულის ეს ნაღველნარევი სიტკბოთი სავსე მოგონებანი ფაქიზად გააცოცხლა ხაშობაო მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

ილიას სწავლა-აღზრდის საქმეს თავდაპირველად დედა ხელმძღვანელობდა. რვა წლისა იგი სასწავლებლად მიაბარეს სოფლის მდავარდიაკვანს, რომელთანაც ილიასთან ერთად რამდენიმე გლეხის ბიჭიც დადიოდა. აქ ისწავლა ილიამ ქართული წერა-კითხვა. როგორც თვითონ გადმოგვცემს თავის ავტობიოგრაფიაში, მთავართან სიარულს დიდი კვალი დაუმჩნევია ყრმის სულზე, ბავშვის მეხსიერებაში აღბეჭდილა მთავრის მონათხრობი ამბები ბიბლიიდან და ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, ყრმის გული შეუძრავს გმირ წინაპართა თავდადების ამბებს. სწორედ ეს პერიოდი დაედო საფუძვლად მის მწერლობას. როგორც ილია გვამცნობს, იმდენად მძლავრი ყოფილა ზემოქმედება, რომ ზოგი რამ მთავრის მონათხრობიდან შემდეგ გამოუყენებია კიდეც თავის შემოქმედებაში: „გლახის ნაამბობში“ კი, როგორც ფიქრობენ, მღვდლის, იგივე მასწავლებლის, სახე შთავონებული უნდა იყოს ილიას ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებებით.

დედის ნაადრევი სიკვდილი ყრმის სულს მწვავე იარად დააჩნდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აქაც მამიდამ — დაქვრივებულმა მაკრინემ — იკისრა ობლების მოვლა-პატრონობა და არც მოუკლია ბოლომდე სიყვარული და მზრუნველობა ძმიშვილებისათვის.

თერთმეტი წლის ილია მამამ თბილისში ჩამოიყვანა და ჯერ ყველაზე ცნობილ რაევსკი — ჰაკეს პანსიონში შეიყვანა, ხოლო შემდეგ ილიას სწავლა დაიწყო თბილისის გიმნაზიაში. რვა კლასის დამთავრებისთანავე პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ დროისათვის ილია ჭავჭავაძის მისწრაფებები, იდეალები უკვე გარკვეულია. იგი პეტერბურგს წასული სამშობლო ქვეყნის ვალის გრძნობით სულდგმულობს და ყოველივეს ირგვლივ ამ პოზიციიდან აფასებს და აზრებსაც თავისი თვალსაზრისის შესაბამისად ირჩევს. მალე ილია პეტერბურგში მყოფი ქართველი ახალგაზრდებისთვის ავტორიტეტი და ძალა შეიქმნა და უნებლიედ მის გარშემო შემოიკრიბნენ. ილიას მყარი ხასიათი, სიდინჯე და ერუდიცია იყო იმის პირობა, რომ ახალგაზრდებს შორის მოთავის ადგილი დაეჭირა.

მართალია, ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროიდან ჩვენთვის ბევრი რამე ცნობილი არ არის, მაგრამ ერთი ცხადია — ილია აქ ბევრს მუშაობდა. როგორც ადრე გიმნაზიაში, აქაც თვითგანვითარებას მისცემია. კითხულობდა ძალიან ბევრს. მისი პირველივე ლიტერატურული წერილები დიდ ნიჭთან ერთად მის გასაოცარ ცოდნას მოწმობენ. სწორედ ამ დროს გაიშალა ილიას ლიტერატურული საქმიანობაც — წერს იგი ლექსებს, პოემა „აჩრდილს“, მოთხრობას, რომელიც თავდაპირველად ორი ნაწარმოების „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-ადამიანის“ სიუჟეტს აერთიანებდა. ამავე დროს იწყებს ილია მთარგმნელობით საქმიანობას. როგორც ვხედავთ, პეტერბურგში ყოფნის დრო გამოირჩევა ილია ჭავჭავაძისათვის დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერებით. ჩანს, იქ, უცხოეთში,

ვაცილებით მეტი იყო დრო ფიქრისა, ჩაღრმავებისა და საკუთარ განცდებზე დაკვირვებისათვის.

სტუდენტთა არეულობასთან დაკავშირებით ილიას უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. 1861 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა. ამავე წელს მან ჟურნალ „ცისკარში“, სადაც ადრე მისი რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა, დაბეჭდა პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად ილია ჭავჭავაძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილის“ თარგმნაზედა“. ეს წერილი გახდა ცნობილი კამათის მიზეზი 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, „თაობათა ბრძოლის“ სახელწოდებით რომ არის ცნობილი. მალე ი. ჭავჭავაძემ ჟურნალი „ცისკარი“ შეუფერებლად მიიჩნია თავისი ინტერესების გამოსახატავად და შეუდგა ზრუნვას საკუთარი ჟურნალის დასაარსებლად. 1863 წლის იანვრიდან დაიწყო გამოსვლა ი. ჭავჭავაძის ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“. ამ ჟურნალის დაარსების საქმეში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს დახმარება აღმოუჩინა გრიგოლ ორბელიანმა. „საქართველოს მოამბემ“ ერთი წელი იარსება და დიდი როლიც შეასრულა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში. ერთი წლის შემდეგ ილიამ უარი განაცხადა ჟურნალზე, რამდენადაც ის ფართო პროგრამა, რომელსაც ახალგაზრდა რედაქტორი თავის „მოამბეს“ საფუძვლად უდებდა, სინამდვილეში, სრულიად გარკვეული მიზეზების გამო, ვერ სრულდებოდა.

ამავე 1863 წელს ილიამ ცოლად შეირთო ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი, შემდგომში მისი განუყრელი მეგობარი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

1864 წლიდან ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა სამსახური დაეწყო. კარგა ხანს იმუშავა მან დუშეთის მაზრაში ჯერ მომრიგებელ შუამავლად, ხოლო შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ. ილია ამ დროს ახლოს გაეცნო ჩვენი ქვეყნის ერთ დიდ მხარეს — აღმოსავლეთის მთას, დაინტერესდა ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედებით.

70-იანი წლებისათვის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ილიას მეგობრებს, მიუმართავთ მისთვის, რომ მისი სამოქმედო ასპარეზი პერიფერია კი არა, თბილისი იყო და დაბრუნებულიყო. ილიაც შესაფერის ვითარებას ელოდა და მალე სათანადო მომენტიც დადგა. 70-იანი წლებისათვის გადაწყდა სათავადაზნაურო ბანკის დაარსება თბილისში. ამ ბანკის პროექტი ი. ჭავჭავაძემ შეადგინა, ხოლო შემდეგ რუსეთში გაემგზავრა მის დასამტკიცებლად. ილიამ ძალიან დიდი დრო და ენერგია შეალია ჯერ ბანკის დაარსებას, ხოლო შემდეგ მისი ხელმძღვანელობის საქმეს. ილია ჭავჭავაძე ბანკს უყურებდა პირველ ყოვლისა არა როგორც საფინანსო, არამედ როგორც ეროვნულ დაწესებულებას. სწორედ ამით აიხსნება ერთის შეხედვით გაუგებრად მიჩნეული თავგამოდება დიდი მწერლისა ლიტერატურულ საქმიანობასთან სრულიად დაცილებულ სფეროში. ილია ჭავჭავაძის როგორც დიდი მამულიშვილის ბევრი ნაფიქრი და ნა-

ოცნებარი ოცნებადვე დარჩებოდა, თუ მაძულიშვილურ სურვილებს სათანადო ნივთიერი შესაძლებლობებიც არ ამოუდგებოდა მხარში. ამ მხრივ კი ბანკი ფაქტიურად ფინანსურად უნდა დახმარებოდა ძალიან ბევრ ეროვნულ წამოწყებას, რაც ხორციელდებოდა კიდეც ილიას ბანკში მოღვაწეობის მანძილზე.

1877 წელს ი. ჭავჭავაძემ ერთიან ქვეყნის ავ-კარგზე საუბრის მიზნით გაზეთი „ივერია“ დააარსა, რომელიც შემდეგ ჟურნალად გადაკეთდა, ხოლო საბოლოოდ 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად. გარკვეული დროის მანძილზე „ივერია“ ერთადერთ ორგანოსაც კი წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანაში. ილიამ სწორედ აქედან გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ილიას მეთაურობით „ივერიამ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თავისთავადობისა და ღირსების დაცვის საქმეში. ილია გაბედულად იმაღლებდა ხმას, უკომპრომისო იყო მათ მიმართ, ვინც ჩვენი ერის ღირსების ხელყოფას მოინდომებდა. მართლაც არ დარჩენილა ამ დროისათვის რაიმე ეროვნული მნიშვნელობის საკითხი, რომელსაც ილია არ გამოხმაურებოდეს და არსებითი ხასიათის აზრი არ გამოეთქვას მის შესახებ. დიდი იყო ძალა და ავტორიტეტი ილია ჭავჭავაძისა.

80-იან წლებში ილია გახდა აკაკი წერეთელთან ერთად ინიციატორი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენისა, ინიციატორი დრამატული საზოგადოების დაარსებისა. ილია ჭავჭავაძის აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ქართველი ახალგაზრდობის მშობლიურ ენაზე განათლების, არამედ საერთოდ ქართული კულტურის დაცვისა და განვითარების თვალსაზრისით. ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ეს დაწესებულება „ქართველი ხალხის ეროვნულ თავშესაფარად“ გადაიქცა.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ილია წინ უძღოდა ქართველ ხალხს, როგორც მისი სულიერი მოძღვარი.

1907 წელს ი. ჭავჭავაძეს სიცოცხლე მოუსწრაფეს იმათ, ვინც „საქართველოსაც მოჰკლავდნენ“, რომ შესძლებოდათ.

ქართველმა ერმა უდიდესი გულისტკივილით დაიტირა დიდი ილია და თავისი შეშფოთება და რისხვა აკაკის, ვაჟას და სხვა მამულიშვილთა პირით გამოხატა.

აკაკი წერეთელი ილიას ცხედრის წინ ამბობდა: „როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა... და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე“.

ვაჟა-ფშაველა ილიას გლოვის დღეებში ასე აფასებდა დიდი მამულიშვილის ღვაწლს: „მთელი 50 წელი... საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, ან არ მომიშივდესო.

მოსეულს ძტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა".

„ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, — ამბობდა ვაჟა, — რომ ილიაბის ხოცვით მოკვლენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ".

აშკარად მოტყუილდნენ ბნელეთის მოციქულნი. ილიას სიკვდილით მათ მართლაც ვერ მოკლეს აზრი; პირიქით, უფრო შარავანდით შეიმოსა ის იდეა, რომლისთვისაც იბრძოდა მთელი ცხოვრების მანძილზე ილია ჭავჭავაძე და რომლისთვისაც დაიღვარა მისი სისხლი. ასე დაიდგა თავს „დიდ წამების მან გვირგვინი მშვენიერი". ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ერის თვითგამორკვევას, რომ ნამდვილი მტერ-მოყვარე ეცნო.

დიდი ილიას ნეშტი ქართველებმა ყველაზე წმინდად საგულვებელ სავანეს, მთაწმინდას მიაბარეს. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მის საფლავზე წამოიმართა მგლოვიარე, მაგრამ სულით გაუტეხელი ქართვლის დედის ქანდაკება (იაკობ ნიკოლაძისა), რომელიც დასტირის თავის საუკეთესოთა შორის საუკეთესო შვილს.

ასეთია ძალიან მოკლედ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის **ფაქტები**. ეს ცნობები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძალიან ცოტას გვეუბნება შემოქმედზე, რომლის სახელი ასე ძვირფასია ჩვენთვის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მთელი მისი ნაღვაწი მისი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი თ ო ბ ა აღბეჭდილი და ამ შემოქმედების უფრო უკეთ გასაგებად არსებითი მნიშვნელობა სწორედ ილიას პიროვნების დახასიათებას უნდა მიენიჭოს, პიროვნებისა, რომელიც სინამდვილეში მისი შემოქმედების სიღრმისა და ნაირფერობის პირობად გამოდის.

მიუთითებენ, რომ პიროვნება ამოუწურავი შინაარსის შემცველი ხიტყვაა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ პიროვნებაში მოიაზრება არა ფიზიკური არსებობა ადამიანისა, არამედ მისი სულიერ-ზნეობრივ ძალთა ერთობა. პიროვნება ის ადამიანია, ვისაც დიდი ცნობიერი მოღვაწეობის შედეგად გონება აუმაღლებია და სული გაუფაქიზებია, თავისი თავი სრულიად შეგნებულად გამოუყვია გარემოსაგან, რათა შეგნებულადვე დაუკავშირდეს მას, ისე კი არ მოიქცეს, როგორც მოთხოვენ, არამედ ისე, როგორც მას მართებულად მიაჩნია; პიროვნების ცნება გულისხმობს სრულიად გარკვეულ, მყარ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომელიც უცვლელი რჩება ბოლომდე, ან ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროის მანძილზე.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძისათვის, პირველ ყოვლისა, დამახასიათებელი იყო პიროვნული სიძლიერის განცდა, განცდა იმისა, რომ გამორჩეული, ძლიერი პიროვნებაა, მოვლენილი დიდი მისიის აღსასრულებლად და თუ მას ვერ აღასრულებს, მის არსებობას სხვაგვარად ფასი დაეკარგება. ილიას ამ განცდას სრულიად გარკვეული საყრდენები ჰქონდა და ყველაზე უმალ ეფუძნებოდა მძლავრ ინტელექტს. ეს გრძნობა იმთავითვე გამოიკვეთა და მთელი სიცოცხლის მანძილზე თან ახლდა მას. ყველგან

ჩანს იგი — ილიას ლირიკულ ლექსებშიც, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებშიც და პრაქტიკულ-საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

ილია ჭავჭავაძე დინჯია და დაფიქრებული, მისი ბუნებისათვის სრულიად მიუღებელია აჩქარება. წინასწარ მოაზრებული და განჭვრეტილია ყოველი მისი მოქმედება. ყველაფერს, რასაც კი იგი ეხება, აზის კვალი ღრმა ფიქრისა; ყოველივე მისი ხელიდან გამოსული საგანგებო განსჯისა და შემოწმების საგანი გამხდარა და მხოლოდ ამის შემდეგ უხილავს დღის სინათლე. ილია ვაგლახად არაფერს არ იტყვის; ამიტომაა, რომ უკან მას არაფრის წაღება არ დასჭირვებია.

აღნიშნულის საფუძველზე, ილიასათვის როგორც ხელოვნისათვის, ისევე როგორც მოღვაწისათვის მისი შემოქმედების არც ერთ მონაკვეთში არაა ნიშანდობლივი შიშის განცდა. ილია შეუდრეკელია, არჩეული მიზნისაკენ პირდაპირ მიდის; მისთვის უცხოა უკან დახევა და კომპრომისი. ილია ღრმადაა დარწმუნებული თავისი მოქმედების სისწორეში და მოსალოდნელი შედეგიც ამიტომ არ აშინებს მას.

დარწმუნებული საკუთარ ძალაში არ საჭიროებს სხვათა მხარდაჭერასა და წაქეზებას, სხვისგან არ მოითხოვს გამხნევების სიტყვასა და ტაშს. „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“.. სხვას კი არ მიჰყვება და იმის მიხედვით კი არ მოქმედებს, თუ სხვა რას უკარნახებს, არამედ საკუთარ თავს ეყრდნობა; სხვის მიერ შექმნილ ძალა კი არ არის, არამედ თვითონ წარმოადგენს ძალას. არ ეძებს მფარველს, თვითონაა თავისი თავის მფარველიცა და მსაჯულიც.

საკუთარ ძალებში დარწმუნებული ი. ჭავჭავაძის ყოველი მოქმედება ავსებულია საკუთარი პიროვნული ღირსების სრული შეგნებით. მან კარგად იცის თავისი თავის ფასი, რაც სხვასაც აიძულებს, რომ მისადმი რიდისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალოს. ილია ფხიზელი დამცველი საკუთარი ღირსებისა, სხვათა მიმართაც სამართლიანია, საზოგადოდ აღიარებს ადამიანის პიროვნულ ღირსებას და სხვათაგანაც მოითხოვს პიროვნების შეუვალობას. იგი კამათის დროს საკითხზე კამათობს, საკითხის ავ-კარგზე, ისე, რომ თვით მოწინააღმდეგის პიროვნებას რაიმე ჩრდილი არ მიადგეს.

ილია, როგორც პოლემისტი, მოვლენის, ფაქტის ძირების გაშიშვლებისაკენ მიისწრაფვის. ამაშია მისი დიდი დამარწმუნებელი ძალა. ამიტომაა იგი ნათელი და ყველასათვის, დაახლოებით, ერთნაირად გასაგები. მისი, როგორც პოლემისტის, სიძლიერეც ძირითადად აქაა; ამიტომაა, რომ მასთან ჭოკამათე წონასწორობას კარგავს, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალესო.

შორიდან ილია ცივი და მკაცრი, პირქუში განმსჯელის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა კი შინაგანი სითბოთი და სინაზითაა სავსე. მისი მგრძნობიარე გული მოყვასის სიყვარულითაა ანთებული, მაგრამ მისი გულის სადავეები უფრო მძლავრ გონებას მტკიცედ უპყრია ხელთ და ვაგლახად პიროვნულ სინაზეს იგი არასოდეს არ გამოჰფენს და დღის სინათლეზე

არავის უჩვენებს. გარეგნულად სრულიად მშვიდისათვის შინაგანი მღელვარებაა ნიშანდობლივი. იგი ღელავს, მაგრამ ამას არ იმჩნევს. მას ძალი შესწევს თავისი გრძნობების ფლობისა და სასურველი დინებით წარმართვისა. ილიას დიდი სიყვარული, ერთგული სიყვარული შეუძლია და თანაც ეს სიყვარული გრძნობით თავმოწონებაში კი არ გამოიხატება, არამედ სიყვარულის ობიექტის აღიარებასა და პატივისცემაში.

ილიასათვის მშრალ ფაქტიურ ვითარებას ფასი არა აქვს. სასურველ მდგომარეობად იგი იუმორით გამსჭვალულ გარემოს მიიჩნევს. გარემოს იუმორისტული ხილვისა და შეფასების უნარითაა დაჯილდოებული, მაგრამ ამ მხრივ არასოდეს არ აჭარბებს. ილია სერიოზულობას ინარჩუნებდა მაშინაც, როცა სხვები მხიარულობდნენ.

ილია ჭავჭავაძეს მძლავრი ანალიტიკური გონება ჰქონდა და ყველაფერს, ირგვლივ ნახულს, განცდილს და წაკითხულს აზროვნების მასალად აქცევდა.

ილია ჭავჭავაძე საკუთარი თავისადმი და სხვათადმიც დიდ მომთხოვნელობას იჩენს და ამ მხრივ იგი უშეღავათოა.

კრიტერიუმი ილიას მსჯავრისა, განსჯისა და, საზოგადოდ, შეფასებისა ყოველთვის საზოგადოებრივი ხასიათის, ეროვნული ხასიათისაა. როგორც მიუთითებენ, ი. ჭავჭავაძესთან პიროვნულისა და საზოგადოებრივის სრულ თანადამთხვევასთან გვაქვს საქმე...

ილია ჭავჭავაძე უაღრესად სოციალური პიროვნებაა. მისი ადგილი ყოველთვის საზოგადოებრივ მოვლენათა შუაგულშია. განზე დადგომა ან შეუმჩნევლად დარჩენა მისი პიროვნებისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია.

ილია ჭავჭავაძე იყო უდიდესი მოქალაქე მე-19 საუკუნის საქართველოსი. საზოგადოებრივი ინტერესები, ერის სასიცოცხლო ინტერესები იყო ის უმთავრესი, და ერთადერთი, რასაც ემსახურებოდა მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით. ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძე ერთობ მყარ, მთლიან ნატურად დარჩა, თავიდან ბოლომდე ერთგულად იმ იდეალებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში „ყვარლის მთების“ შექმნის ჟამიდან მიზნად დაისახა. ამიტომ არავითარი საფუძველი არა აქვს საუბარს ილია ჭავჭავაძის პოზიციის შეცვლაზე მისი მოღვაწეობის მოგვიანო ხანაში.

ილია ჭავჭავაძეს სრულიად ცხადლივ ჰქონდა წარმოდგენილი თავისი იდეალები. მისი მოღვაწეობის ერთი უდიდესი ამოცანა იყო ამ იდეალების სხვათათვის გასიგრძეგანება, სხვათა გაყოლიება. ამაში მდგომარეობდა მისი შემოქმედებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთი დიდი აზრი და ეგეც განსაზღვრავს მისი შემოქმედების ძირითად ტენდენციებს. ამიტომაცაა მისი შემოქმედება უაღრესად ნათელი, განთავისუფლებული ყოველგვარი ბუნდოვანებისაგან; ამიტომაცაა, რომ მისი ნაწარმოებები, დაახლოებით, ერთნაირად გაიგებოდა და განიცდებოდა სხვადასხვა მკითხველის მიერ

და ამიტომაც გამართლება არა აქვს ილიას ნაწარმოებთა ანალიზის დროს ხელოვნურად საკითხების გაბუნდოვანებას.

ილია ჭავჭავაძის დიდი პიროვნული სიძლიერე გადამდები ხასიათისა იყო. იგი სამოქმედოდ იწვევდა სხვებსაც, თუმცა სხვისთვის მოქმედების გეზი და პროგრამა ილიას მიერ არის წინასწარ მოხაზული.

ილია ჭავჭავაძე უდიდესი გაქანებისა და გამბედაობის, დიდი პრაქტიკული ენერგიის მქონე ადამიანი იყო. იგი მარტო ჭვრეტით არ კმაყოფილდებოდა. როგორც აღნიშნავენ, ილია პრაქტიკოსი ხელოვანის ტიპია. გარდაქმნას მოითხოვს და ამ გარდაქმნის პროგრამასაც ადგენს. სრულ კმაყოფილებას, როგორც ხელოვანი, მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა მხოლოდ იმას კი არ ხატავს, რაც არის, არამედ იმასაც აშკარად მიუთითებს, რაც უნდა იყოს. აქედან ცხადი ხდება მისი შემოქმედების სატირული და მორალისტური ტენდენციები...

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც პიროვნებისათვის დამახასიათებელი იყო მოვლენებისა და ფაქტებისადმი, საზოგადოდ, გარემოსადმი სრულიად ნათელი მიმართების დამყარების უწყვეტი მოთხოვნილება.

ილია ჭავჭავაძე არ იყო შთაბეჭდილებებით მცხოვრები, ემოციებზე აყოლა მისთვის სრულიად უცხო იყო. მისი მოთხოვნილებაა აზრი, იგი, პირველ ყოვლისა, როგორც ამბობენ, აზრია, გონება და მხოლოდ მერე გრძნობა.

მოწყალება და ლმობიერება ილიას მძლავრი პიროვნებისათვის არაა დამახასიათებელი. თუ დაინახა ადამიანის ამჩატება, საზოგადოდ, შეუსაბამობა სიტყვასა და საქმეს შორის, ზურგს აქცევს და გასწირავს მას.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ხელოვანის, როგორც მოღვაწის ყურადღებას მხოლოდ ისეთი საკითხები იპყრობენ, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან საზოგადოებისა და ერის ინტერესებს. ამ მხრივ არ არსებობს დიდი და პატარა საქმე. ამ აზრითაც არის ილია ჭავჭავაძე გამომხატველი მთელი ერის სულიერი მისწრაფებებისა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა გარკვეულ საფუძვლებს ემყარებოდა და სრულიად გააზრებული იყო მწერლის მიერ. ილია არა მარტო მხატვრული განსახიერებით კმაყოფილდებოდა, არამედ ლიტერატურის, საზოგადოდ, ხელოვნების შესახებ თავისი შეხედულებების გადმოშლაც შეადგენდა მისი პიროვნების მოთხოვნილებას. ილიამ ქართულ სინამდვილეში ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის მწყობრ სისტემაში მოყვანა ითავა. ამ მხრივაც განუზომელია მისი ნააზრევის მნიშვნელობა.

გარდა ამისა ი. ჭავჭავაძემ ქართული მწერლობის პრაქტიკასთან თავისი ლიტერატურული მიმართებაც გამოხატა და პირველმა გაგვაცნობიერა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

ი. ჭავჭავაძემ ახალი ქართული ლიტერატურის უმთავრესი წარმომა-

გენლებიც დააჯასიათა და ამ თვალსაზრისითაც სახელმძღვანელო მოსაზრებები გამოთქვა.

მხოლოდ ოცდასამი წლისა იყო ილია ჭავჭავაძე, როცა თავისი გახმაურებული „ორიოდე სიტყვა“... დაბეჭდა. კოზლოვის „შეშლილის“ ქართულად თარგმნის ფაქტი მხოლოდ საბაბი იყო ილიასათვის თავისი მოსაზრების გამოსახატავად. ილიამ თავის პირველ სტატიაში და შემდეგაც საპროგრამო სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ პრინციპულად წამოაყენა რეალისტური ლიტერატურის საჭიროების საკითხი. ილია ჭავჭავაძემ დაგმო ჩვენს სინამდვილეში სენტიმენტალური განწყობილებებით გაჟღენთილი ნაწარმოებების გადმოთარგმნის ფაქტი. სენტიმენტალური ლიტერატურა, ი. ჭავჭავაძის აზრით, არ იყო დატვირთული სოციალური პრობლემატიკით, ხოლო ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც ქართველი ერი იყო, სოციალური ღირებულების პრობლემებით მხატვრული ლიტერატურის გამსჭვალვას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ილია ჭავჭავაძე თავისი ლიტერატურული შეხედულებების მოწოდებისას, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, ხელმძღვანელობდა ეროვნული თვალსაზრისით. მას მიაჩნდა, რომ ლიტერატურა მხოლოდ მაშინ იქნება მოწინავე, ღირსი საზოგადოებრივი ყურადღებისა, როცა იგი საზოგადოებრივ სატკივარს, საერთო ეროვნულ სატკივარს გვაგრძნობინებს, როცა თავის მასალას ცხოვრების სინამდვილიდან აიღებს და საზოგადოებრივი ყოფით განისაზღვრება. ილიას აზრით, ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, ცხოვრების საჭიროებისაგან წარმოიქმნება და ცხოვრებითვეა განსაზღვრული. ლიტერატურა საზოგადოებრივ გარდაქმნის ზემოქმედებითი ძალით უნდა იყოს აღბეჭდილი. ილიას მიაჩნია, რომ დიდი ზემოქმედებითი ძალით მხოლოდ ის ლიტერატურაა დაჯილდოვებული, რომელიც გულის შინაგანი წვითაა შექმნილი — „დაძალებულ ცრემლში არაა პოეზია“, „ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად“. ილია ჭავჭავაძე თავის პირველსავე სტატიებში საგანგებოდ შეჩერდა ლიტერატურის ამოცანაზე და განაცხადა, რომ ლიტერატურის უმთავრესი დანიშნულებაა არა „მეტისმეტად დამჟავებული სიყვარულის გამო“ ქება და დიდება და ყურის დატკბობა, არამედ დაუნდობლად გამოფენა „ცხოვრების ჭუჭყისა“. მცდარია აზრი, ილიას თქმით, რომლის თანახმად, ნაკლის დაფარვაა პატრიოტობა, „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხარი წადილი გასწორებისა“.

ილია ჭავჭავაძე თავის პირველსავე წერილში შეეხო ნაწარმოების ეროვნულობის საკითხს. მისი აზრით, ღირებული მხოლოდ მაშინაა მხატვრული ნაწარმოები, როცა იგი გვაცნობს იმ ერის წარმომადგენელს, რომელსაც მწერალი მიეკუთვნება. სხვაგვარად რა აზრი აქვს ამა თუ იმ ენაზე ნაწარმოების შექმნის ფაქტს.

ამავე საკითხს კიდევ უფრო მწვავედ მიუბრუნდა ილია ჭავჭავაძე დი-

დი მოქალაქეობრივი პათოსით ავსებულ სტატიაში „ზოგიერთი რამ". ილია ჭავჭავაძემ მიიჩნია, რომ მწერლობა ერის სულიერ რაობას უნდა წვდეს. საერთო ეროვნული სატკივარი უნდა ასახოს და ამას მით უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომლის ცალკეული კუთხეების წარმომადგენლებს ქვეყნის ძნელბედობის მრავალ ისტორიულ ჭარტეხილთა გამო საერთო საქვეყნო სატკივარზე საფიქრალი დაშრეტიათ, გათვითოებულან და ერთი ერთმანეთისათვის ზურგი უბრუნებიათ. საერთო ეროვნულის ძიება და მისი ასახვა მიიჩნია ილია ჭავჭავაძემ ქართული მწერლობის გადაუდებელ ამოცანად.

ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ თავის „ორიოდე სიტყვაში..." შეეხო მხატვრული სიმართლის საკითხს. მწერალი, ილიას დაკვირვებით, თვითონ კი არ უნდა გვამცნობდეს თავისი პერსონაჟის რაგვარობას, არამედ თვით ამ პერსონაჟის მოქმედებაში, სიტყვებში უნდა ჩანდეს ეს. რუსი პოეტი კოზლოვი თუმცა „გვეფიცება, რომ მისი პოემის გმირი შეშლილია, სინამდვილეში კი იგი ძალიან კარგ გუნებაზე გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგად სჯის". შექსპირი არსად არაფერს გვეუბნება ოფელიას სულიერ მდგომარეობაზე, რადგან „იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, საქმიდამა ჩანს ყველაფერი. სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა". ამავე საკითხს ილია სხვა დროსაც მიუბრუნდა და სათანადო თვალსაჩინოებით გააშუქა თავის სტატიაში „ახალი დრამების გამო".

ილია ჭავჭავაძე ეროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე მთელ თარგმანის საკითხს და, საზოგადოდ, მთარგმნელობით საქმიანობას. „ორიოდე სიტყვაში..." ილიამ სრულიად გარკვევით აღნიშნა, რომ სათარგმნი მასალის შერჩევისას მწერალი უნდა ხელმძღვანელობდეს არა პირადი მოწონების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება თავის ერს, არის თუ არა გამართლებული კოზლოვის თარგმნა იმ დროს, როცა არა ნათარგმნი პუშკინი, გოგოლი, ლერმონტოვი.

ილია ჭავჭავაძე თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ძალიან დიდ ადგილს უთმობდა სალიტერატურო ენის საკითხებს. ამ მხრივ, როგორც ცნობილია თავის პირველსავე სტატიაში და ოპონენტებისადმი გაცემულ პასუხში ილიამ დაბეჯითებით მოითხოვა ლიტერატურიდან გაძევება ყველა „უნიჭო მბღაჯველისა". მწერლის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია მან ენის ცოდნა, ამ მხრივ მუდმივი მოღვაწეობა. ილია, ბუნებრივია, გულისხმობდა არა საზოგადოდ ენის ცოდნას, არამედ ენის გრძნობას, მის აქტიურ ფლობას, იმ უნარის ქონას, რომლის ძალითაც მწერალს არა მარტო შეეძლება ავისა და კარგი ნაწერის გარჩევა (გარკვეულ შემთხვევაში ესეც დიდი ღირსებაა), არამედ შექმნა კარგისა. სამწერლო ენის საკითხს ილია შემდეგაც არა ერთხელ მიბრუნებია. სტატიაში „ზოგიერთი რამ" ილიამ აქამდე ჩვენი ლიტერატურისათვის უჩვეულო სიმძაფრით წამოაყენა ერთიანი სალიტერატურო ენის აუცილებლობის მოთხოვნა, ხოლო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად

ილია ჭავჭავაძე იქცა იმის გამო, რომ შესწევდა ნიჭი და ძალა თავისი მოთხოვნილების პრაქტიკულად განხორციელებისა.

უაღრესად პრაქტიკულ-მოქალაქეობრივი ამოცანა განსაზღვრავს ილიას წერილს „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“.

მაცდური სურვილი ლექსის წერისა და ამ გზით სახელის განთქმისა ადრეც არსებულა და არც მაშინ და არც ახლა არ სცოდნია ასაკი... და აი, ი. ჭავჭავაძეს საჭიროდ მიუჩნევია, რომ ლექსების წერით თავგამოჩენის სურვილით შეპყრობილ მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის მიემართა ძალიან სერიოზულად, პირდაპირ, ყოველგვარი დატკბილული „ენის მოჩლექის“ გარეშე. ილია მკაცრი პირდაპირობით უცნობიერებს ახალგაზრდობას, რომ სიტყვათა შეწყობა, მით უმეტეს, ჩვენს ენაზე, მეტად ადვილი საქმეა, „ხოლო ლექსი იმით არ ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ“. შერითმული სიტყვები პოეზიას არ ქმნის. „პოეზია ნიჭია, ხოლო პოეტი ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი“. თუ ეს ნიჭი ვინმეს თან დაჰყვა, იგი არ დაიკარგება, ადრე თუ გვიან თავს იჩენს. ხოლო ცარიელი ნიჭი, გაუწვრთნელი, უსწავლელი ვერაფერს ვერ შექმნის ფასეულს. მოსწავლე ახალგაზრდობის ვალი და უპირველესი ამოცანაა გრძნობა-გონების ვარჯიში და ამის სწავლა-ცოდნის შეძენით მიღება. ლექსის წერის „ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმდენად ფრთაშესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, მისწვდეს. ვიდრე ამის ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელი ხალისით გახდეს რასმე“.

ილიას ამ წერილს, ისე როგორც, საერთოდ, მისი გონების ნაღვაწს, მნიშვნელობა არც სადღეისოდ არ დაუკარგავს.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევიდან ძალიან დიდი მნიშვნელობისაა „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც 90-იან წლებში შეიქმნა. მართალია, „წერილები...“ დასრულებული არ ჩანს, მაგრამ ის მიზანი, რაც ილიამ მისი შექმნისას დაისახა, სავსებით თვალსაჩინოდაა განხორციელებული იმ ნაწილშიც, რომელიც ჩვენთვისაა ცნობილი. ილიას უმთავრესი მიზანი კი ასეთი იყო — მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა მისი განვითარების რომელიმე მონაკვეთზე ჩიხში არ მომწყვდეულა და რომ იგი განვითარების უწყვეტ ჯაჭვს გვიდგენს, რომ ყოველი მომდევნო მონაკვეთი ამ მწერლობისა ეყრდნობა წინას, მემკვიდრეა მისი. ამ ამოცანის ძალიან თვალსაჩინო ფორმით გადაწყვეტის საჭიროება კი ილიას წინაშე იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გავრცელდა აზრი, რომელიც ქართველ მწერლებს ე. წ. „ძველ“ და „ახალ“ თაობებად აჯგუფებდა და მათ შორის უკომპრომისო ბრძოლას აღიარებდა არა მარტო ლიტერატურული, არამედ სოციალურ-პოლიტიკური საკითხების სფეროში და ერთმანეთისაგან თიშავდა სამოციანელთა და ადრეულ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას. აღნიშნულ აზრს თაობათა ბრძოლის შესახებ ამჟამადაც მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა იმეორებს... და აი, დიდი ილია, რო-

მელიც ამ თვალსაზრისის მიხედვით ახალი თაობის ბელადადაა აღიარებული, საზოგადოდ გაუმართლებლად მიიჩნევს ძველ და ახალ ლიტერატურულ თაობებზე საუბარს. ილია თვალსაჩინოდ ცხადყოფს, რომ მწერალთა ძველ და ახალ თაობებად დაყოფის საფუძველი მათი აზრების განსხვავებულობაში და დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ, ხოლო ასეთი დაპირისპირება მე-19 საუკუნის ლიტერატურაში არსად არ შეინიშნება. „მთელი ეს მეცხრამეტე საუკუნე ისე დაგველია, რომ ამ საკმაოდ დიდ მანძილზე არც ერთი ხანა ჩვენის ცხოვრებისა თითქმის არ ყოფილა იმისთანა, რომ ორი სახსენებლად ღირსი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე, ერთმანეთის მოპირისპირე ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად, თუ სხვა რასთვისმე. ვერ ვიტყოდით, რომ ამ გრძელ დროს განმავლობაში არ ყოფილიყოს ხანა და ხანა, რომელნიც განირჩევიან თვისთა აზრთა წყობით, მიმართულებით თუ საქმიანობით, ხოლო ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ ვერ ვიპოვით ერთსა და იმავე ხანაში იმისთანა სხვადასხვაობას აზრთა წყობისას და მიმართულებისას, რომ ცალ-ცალკე განაკეთად გასვლა-გამოსვლას საზოგადო მოღვაწეებისას რაიმე საჭიროება წინ გასძღოლოდა".

ილია ჭავჭავაძე შემდეგ მთელი წერილის მანძილზე თვალსაჩინოდ ცხადყოფს იმას, რომ ქართველი სამოციანელები მემკვიდრეები არიან აღ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გ. ერისთავის სახელებთან დაკავშირებული ლიტერატურისა; ხოლო ძველი თაობის ბელადად მიჩნეული გრ. ორბელიანი ის მოღვაწე და მწერალია, რომელიც დაუცხრომელი ენთუზიაზმით ამოუდგა გვერდით ახალგაზრდობას და მათთან ერთად იღვაწა საერთო ეროვნული საქმისათვის თავისი დიდებული პოეზიით თუ პრაქტიკული საქმიანობით.

უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ქართველ მწერალთა ის შეფასება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ამ სტატიაში თუ სხვა წერილებში და სიტყვებში იძლევა, დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნელობისაა.

ილია ჭავჭავაძე თავის ლიტერატურულ შეხედულებებს საზოგადოებრივ ყოფასთან, ტრადიციულ გემოვნებასთან, მოშვებულობასთან და ინდიფერენტიზმთან ჭიდილში აყალიბებდა, ამიტომ პოლემიკური ხასიათისაა მისი წერილები; ილია ჭავჭავაძე ნიმუში იყო მებრძოლი კრიტიკოსისა და პუბლიცისტისა. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი უაღრესად განცდილია და ამდენად ორიგინალური. არაფერი არ გაუხდია მწერალს განსჯის საგნად ისეთი, რაც უშუალოდ ქართული ვითარებიდან არ ყოფილიყო ნაკარნახევი. მართალია, ილია იცნობს და ხშირ შემთხვევაში მიჰყვება კიდეც, მაგრამ არა ბრმად, მოწინავე ევროპელ და რუს ავტორებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, იგი ყოველთვის „ქართველ მოაზროვნედ რჩება" (გრ. კიკნაძე).

ილია ჭავჭავაძე კრიტიკოსი და მოაზროვნე ამჟამადაც გვასწავლის და გვმოძღვრავს, ამჟამადაც გვირჩევს, რომ არ ავყვეთ ცდუნებას და ვენდოდ ბრმად აზრებს, რაც არ უნდა დიდ ავტორიტეტებს ეკუთვნოდეს.

303066

ბიბლიოთეკა

ისინი. ილია განსჯელი კრიტიკის, დაფიქრებული, კონკრეტული მასა-ლის კვლევაზე დაფუძნებული კრიტიკის მომხრეა და ამიტომაც აქვს მის ნაწერებს დიდი დამარწმუნებელი ძალა.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება მხოლოდ ერთი ნაწილია მისი უზარმაზარი მემკვიდრეობისა, ამიტომაც რაოდენობრივად ეს მხატვრული პროდუქცია არ არის დიდი, მაგრამ უაღრესად გამძლეა და ღრმა. რაოდენობრივი სიმცირე ილიას მხატვრული შემოქმედებისა იმითაც უნდა აიხსნას, რომ მწერალი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს გონების მკაცრი კონტროლით ხელმძღვანელობს. ყველაფერი, რაც მისი ხელიდან გამოსულა, ავტორის უშეღავათო შემოწმების საგანი გამხდარა. ილია ჭავჭავაძე არაფერს არ მისცემს არსებობის უფლებას ისეთს, რაც არ შეესაბამება მის თვალსაზრისს, რომელიც ერთიანია და უცვლელი მთელი მოღვაწეობის მანძილზე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების თემატიკა უაღრესად მყარია. მწერალს აქვს თავის გარკვეული საკითხები, რომლებსაც კი არ ცვლის, არამედ მთელი შემოქმედების მანძილზე აფართოებს და აღრმავებს, აკვირდება და სწავლობს სხვადასხვა ასპექტით, გამოვლენის სხვადასხვა ფორმაში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას თუ თემატიკის თვალსაზრისით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მას ძირითადად ერთი დიდი საკითხი მსჭვალავს, ესაა ეროვნული საკითხი; ეს საკითხი დგას აწმყოს თვალსაზრისითაც — რანი ვართ, რას წარმოვადგენთ, რაშია ჩვენი სასიცოცხლო ძალები, ამის გარკვევას მწერალი წარსულის გათვალისწინების ნიადაგზე აწარმოებს — რანი ვიყავით, როგორ გამოვიარეთ საუკუნეები, რომ არ გადავეგეთ და გავძელით, რაში მდგომარეობს ჩვენი ხალხის უკვდავება; ხოლო ყველაფერი კი მიმართულია მომავლის განსაჭვრეტად, თუ რა მოგველის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ეს უზოგადესი საკითხი თავისთავად შეიცავს საკითხთა წყებას — კერძოდ, საკითხს ადამიანის დანიშნულების, საზოგადოდ, მისი ადგილის შესახებ, ხელოვნების ფუნქციისა და ხელოვანის მოვალეობის შესახებ, თავისუფლების შესახებ, სოციალურ წოდებათა ურთიერთობის, მათი თანაბარღირებულების შესახებ, საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის უფლება-მოვალეობის, დანაშაულისა და სასჯელის, შრომის არსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ და ა. შ.

როგორც აღნიშნავენ, ილია ჭავჭავაძე არაა იმ ტიპის ხელოვანი, რომელიც მხოლოდ არსებულის განსახიერებით კმაყოფილდება, იმის ჩვენებით, რაც არის. ილია, როგორც ხელოვანი სრულ კმაყოფილებას მაშინ აღწევს, როცა გარემოსთან, ასახულთან სრულიად ნათელ მიმართებას ამყარებს. მწერალი ისე კი არ ასახავს ვითარებას, რომ იგი, როგორც ავტორი, არ ჩანდეს, თავს მოვლენებს მიღმა უჩინარს ხდიდეს, არამედ ყოველთვის ამ მოვლენასთან და ფაქტთან თავის მიმართებას გამოხატავს. ილია ჭავჭავაძე არა მარტო ადამიანთა ურთიერთობის, მათი სამყაროს დახატვით კმა-

ყოფილდება, არამედ მათი მოქმედების, ქცევის მსჯელად გამოდის. ილია ბრალმდებელი ხელოვანია. აღნიშნულის საფუძველზე უნდა აიხსნას ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების სატირული ხასიათი. მეორეს მხრივ, როგორც მიუთითებენ, ილია ჭავჭავაძე არა მარტო არსებულის ასახვითა და მისი დაგმობით კმაყოფილდება, არამედ იგი იძლევა დადებითის იდეალსაც. უარყოფის გვერდით იგი მაშინვე უჩვენებს სანიმუშოს, აქედან კი გასაგები ხდება მისი შემოქმედების მორალისტური ხასიათი. ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, გვმოძღვრავს, გვისახავს გზებს.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ლირიკით დაიწყო, ხოლო შემდეგ საკუთარი გრძნობების დახასიათებას თანდათან შეენაცვლა იმ ვითარების, იმ მოტივთა ფართოდ წარმოდგენა და გაშლა, რაც მის გრძნობებს პირობებდა. სულ 72 ლექსი დაწერა პოეტმა. ფაქტიურად ყველა მათგანი აღბეჭდილია მისი მძლავრი პიროვნებით.

ილია ჭავჭავაძეს იმთავითვე გაცნობიერებული აქვს, რომ ქვეყნად არაჩვეულებრივი მისიითაა მოვლენილი. 23 წლისაა ილია ჭავჭავაძე, როცა წერს:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

პოეტს იმთავითვე თან დაჰყვა ქვეყნის წინაშე ვალის გრძნობა და მთელი თავისი შინაგანი ძალები ამ ვალის აღსრულებისაკენ წარმართა. ილიას ლექსებში ხაზგასმულია, რომ ხელოვანი, პოეტი უბრალო მომაკვდავი არაა. თუ გინდა პოეტი იყო, ერისკაცობა უნდა იკისრო. პოეტობა პატივი და დიდება კი არაა, არამედ „ტვირთია, რომელსაც დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა“ და თუ შეებმები მის უღელში, უნდა ატარო კიდეც ბოლომდე ნამუსიანად. სხვასაც უთქვამს, რომ პოეტი ხალხს უნდა ემსახუროს, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ყველასაგან იმით გამოირჩა, რომ თავად იყო ერის წინამძღოლი, რომ მისი სიტყვა მის პიროვნებას გამოხატავდა და რომ მისი პოეზია ამ აზრით, ჭეშმარიტი პათოსით აღბეჭდილი პოეზიაა. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ერთმანეთისაგან მოუცილებელია პატრიოტული სიტყვა და საქმე, იდეალი და გრძნობა. ი. ჭავჭავაძის ლირიკის პათოსი იდეისა და განცდის, აზრისა და გრძნობის მთლიანობაში, ერთიანობაში მდგომარეობს. თუ პათოსი იმ საყოველთაო იდეალებს აღნიშნავს, რომელიც ადამიანის გონებაში კი არ არსებობენ, როგორც ცივი აბსტრაქცია, არამედ ჩასახლდებიან მის გულში, გრძნობებში, თუ პათოსი ადამიანის სულის ამოძრავებას ნიშნავს და მისი მოღვაწეობის წარმართვას ამის შესაბამისად, მაშინ ილიას მთელი პოეზიაც ამგვარად გაგებული პათოსის გამომხატველად უნდა ჩაითვალოს.

ილიას მჭევრმეტყველური ლექსები პატრიოტული იდეის განსახოვნებას წარმოადგენენ. პოეტი ვიწრო თვალთახედვით შემოზღუდული არ დაჰხარის თავის მამულს. მისი პოეზია შორსაა ნაციონალიზმის ყოველგვარი

გამოვლინებისაგან. ილია თავისი მძლავრი პოეზიით ქართველი ერის ღირსების, მისი მეობის დაცვისათვის იბრძვის. ეგი იმისათვის იღვწის, რომ თავისი ქვეყანა, ქართული პოეზია მსოფლიო კულტურის პროცესში ჩაროს, „კაცობრიობის წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფოს“.

ყველაფერს კი აცისკროვნებს ღვთიური ძალა სიყვარულისა და თანაგრძნობისა:

კაცო, გიყვარდეს,
ცით ჩამომძახეს,
როს მათ დამბადეს,
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სცემდა წმინდ ნათელს,
მისთვისც გეტყვი ძმას,
შენცა გიყვარდეს!

ლირიკული გრძნობა ი. ჭავჭავაძის პოეზიაში მძლავრ ინტელექტზეა დაყრდნობილი. გონებით გაშუქებული გრძნობების სამყაროში შევდივართ მისი ლექსებით. ამიტომაც არის ეს პოეზია სიდინჯით აღბეჭდილი, დარბაისლური, თავშეკავებული, შინაგანი ღელვით სავსე.

ილიას ლექსებში ვერ შეხვდებით ვერც უკიდურეს სევდას და ვერც თავაღერილ, უსაფუძვლო ოპტიმიზმს. მისი ლექსები თავისუფალნი არიან წარმავალისა და მომენტურისაგან. ილიას ყოველ ლექსში გამოხატული გრძნობა შეესაბამება მის თვალსაზრისს. ამიტომაც არის, რომ კონკრეტულ ობიექტებთან დაკავშირებული ლექსებიც არ არიან მხოლოდ კონკრეტულნი. მარტო ამ ობიექტზე მიჯაჭვულნი. ესეც აპირობებს ილიას ლექსების მჭევრმეტყველურ ხასიათს. ლექსი, რომელიც გუთნის დედის პირით გლეხკაცის მძიმე ხვედრს გვაცნობს, მხოლოდ გუთნის დედის განცდებით კი არ ამოწურულა, არამედ, საზოგადოდ, ადამიანის შინაგანი თავისუფლების, მისი პიროვნული ღირსების აღიარების მოთხოვნას წარმოადგენს. ეს უკვდავი იდეები ამ ლექსსაც გამძლეობას ანიჭებენ, თუმცა, როგორც ჩანს, ობიექტი ლექსისა — თვით გუთნის დედა — უკვე წარსულის კუთვნილებაა.

ი. ჭავჭავაძემ ისეთი ლექსებიც შექმნა, რომლებშიაც პატრიოტული გრძნობა, მოქალაქეობრივი შემართება ჩვენი ხალხის ნაკლოვანებათა მხილებით, თვითგაკიცხვის ფორმით გამოხატა. მისი სატირული ლექსები „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ ჩვენი ისტორია XIX საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“ იმის ნათელი მაგალითებია, თუ როგორია პოზიცია ერის მესაჭისა, თუ რას ნიშნავს ნამდვილი მამულიშვილობა.

ილია ჭავჭავაძემ ხუთი პოემა დაწერა. „აჩრდილი“ პირველი ვრცელი

პოეტური ქმნილებაა. იგი თავისი შედგენილობითა და ჟანრობრივი ხასიათით სცილდება პოემის ტრადიციულ გაგებას და უახლოვდება თანამედროვე უსიუჟეტო პოემებს. მხოლოდ 21 წლისა გახდა ილია ჭავჭავაძე, როცა ეს პოემა, უფრო სწორად მისი პირველი ვარიანტი დაასრულა. მართალია, შემდეგ პოემაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა პოეტის პოზიცია, პოემის იდეურ-აზრობრივი მხარე, მხოლოდ გაღრმავდა და გაფართოვდა უკვე პირველ ვარიანტში თავჩენილი. აღნიშნულიც უტყუარი დასტურია, ილიას, როგორც ხელოვანის, მთლიანობისა. ეს პოემა ჩვენი ქვეყნისათვის ერთობ მღელვარე საკითხებზე პასუხების ძიებას შეიცავს. ამ პოემაში ავტორი ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებზე საუბრობს; აქ ის გადაგვარების საშიშროებაცაა მძაფრად დანახული, რაც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური უკუღმართობის პირობებში. პოემაში მომავლის პერსპექტივაცაა დანახული. მომავლის საფუძველს პოეტი თავისუფლების პირობებში თავისუფალ შეგნებულ შრომაში ხედავს, შრომაში, რომელიც ძალდატანებას კი არ დაემყარება, არამედ პასუხი იქნება ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებისა, მისი არსებობის გამართლებისა და შემოქმედებით ხასიათს შეიძენს. „მძლავრი კავკასის“ ხალხთა თანაარსებობა და მათი კავშირი მიაჩნია პოეტს ჩვენი ხალხის საიმედო მომავლის საწინდრად.

ეროვნულ და სოციალურ საკითხთა გაშუქებისას ი. ჭავჭავაძეს უაღრესად კონკრეტული, მწვავე მორალისტური ტენდენციით დატვირთული პოემებიც აქვს შექმნილი, როგორიცაა „ქართველის დედა“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

„ქართველის დედა“ დრამატულ პოემას წარმოადგენს. 80-იანი წლებიდან, ქართული თეატრის განახლების დროიდან იგი სცენაზე იდგმებოდა; ყოველთვის, როცა ჩვენს თეატრს უჭირდა, ქართული თეატრის მესვეურები ილიას ამ პოემას მიმართავდნენ. ილიას მომწოდებლური სიტყვის ძალა დიდი იყო, იგი მუდამაც აფხიზლებდა ჩვენს ხალხს. ამ პოემაში პატრიოტული გრძნობა რთულ, დრამატულ ვითარებაში ვლინდება. აქ ნაჩვენებია თუ რა დიდი ჰიდილის ფასად დაძლევს სამშობლოს წინაშე ვალის, მისი სიყვარულის გრძნობა დედის გულში დედაშვილური სიყვარულის ტკივილს, ფასად იმ სულიერ ძალთა დაძაბვისა, რომელსაც დაუძლურებული დედის გული ემსხვერპლება კიდეც. იმის გამო, რომ ადვილად ვერ დაიძლია მშობლიური გრძნობა, კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელობა თავგანწირვისა. პატრიოტული ვალდებულების, სიყვარულის ძალაც იმით დასტურდება, რომ იგი კატასტროფის ფასად, მაგრამ მაინც მაღლდება მშობლიური სიყვარულზე.

პოემა „რამდენიმე სურათი...“ „გლახის ნაამბობთან“ და „კაცია-ადამიანთან“ ერთად ერთ თემატიკურ რკალს ჰქმნის. კერძოდ, აღნიშნულ პოე-

ბაში ცხადად ნათლად დაგვანახვა, საფუძველში გააშიშვლა ის სოციალური პირობები, რომლებიც გლეხკაცს აიძულებდნენ ხელში იარაღი აეღო, თავის ეზო-კუთხეს მოწყვეტოდა და შურისძიების გზაზე დამდგარი ტყეში ყაჩაღად გაჭრილიყო. აქ, ბუნების წიაღში „მარტოკა მხეცივით“ ყოფნაში თავისუფლება ეპოვა და გამხეცებულ ბატონებსაც აქედან დაპირისპირებოდა. ი. ჭავჭავაძემ დაგვანახვა, რომ ადამიანი წონასწორობიდან პიროვნულ მოტივებს გამოჰყავს; არა, საზოგადოდ, უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, არამედ პირადი შეურაცხყოფა და უსამართლობის უშუალო განცდა აიძულებს მას წინააღმდეგობა გასწიოს, ხოლო აქედან კი მოკლე მანძილია საზოგადოდ, ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეამდე.

ი. ჭავჭავაძის ამ პოემაში ჩვენს ლიტერატურაში პირველად დაიხატა გლეხკაცობის ღირსეული წარმომადგენლები. ზაქრო და კაკო ხალხის ოცნების მატარებელი გმირებია“ (ს. ჩიქოვანი). მათ ასეთებად ადამიანური უფლების დაცვისთვის, ადამიანური ღირსების შენარჩუნებისთვის ბრძოლა აქცევთ. ამ აზრითაც ღრმა ეროვნულ შინაარს ატარებს ეს პოემა. ფაქტიურად ამ პოემაში წარმოჩნდა პირველად ჩვენს ლიტერატურაში უაღრესად კონკრეტული ქართული სოფლის ყოფა, ქართული გარემო, ქართული სოფლის კოლორიტითაა დატვირთული ეს პოემა — იქნება ეს მწუხრის ჟამს ღამის სიმყუდროვეში მეურმის ნაღვლიანი სიმღერა, თუ მწყემსი ბიჭების მწარე, მაგრამ მაინც სიამოვნებით მოსაგონარი ცხოვრება, გახსენება ხალხისათვის მარად თავმოსაწონარი არსენას სახელისა. ქართული ბუნების კონკრეტული სურათებია ამ პოემაში მოთხრობილი მძიმე ამბების გარემო. ალაზნის წყნარი დუდუნი და კუდიგორის მთის იდუმალება აკრავთ გარს ხალხისათვის საოცნებო გმირებს. ყოველივე ეს დიდად აფართოებს პოემაში განსახიერებული საკითხის, სურათთა მნიშვნელობას და მათი ზემოქმედების ძალასაც აპირობებს.

ერის მოჭირნახულეს, მის ბელადს თავისი თავი სამშობლო ქვეყნის სამსხვერპლოზე მისატან ზვარაკად ესახებოდა. ეს კარგად ჩანს მთელ მის შემოქმედებაში და განსაკუთრებით კი მის ლირიკაში. ამ იდეის ეპიკურ ფორმაში განსახიერებისათვის ერთობ მნიშვნელოვან მასალად მიუჩნევია პოეტს მაგალითი ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან მეფე დიმიტრის თავგანწირვის სახით. ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ იდეური ამოსავალი მსხვერპლშეწირვის დიდი ძალაა. მეფის საქციელი პოეტის მიერ შეფასებულია, როგორც რაინდული საქციელი, როგორც რწმენისათვის თავგანწირვა, ზნეობრივი გმირობა.

ილია ჭავჭავაძემ სამშობლო ქვეყნის საჭიროებისათვის პირადი მსხვერპლის გაღებასა, მისთვის თავგანწირვისათვის მზაობაში დაინახა ჭეშმარიტი მამულიშვილის სიცოცხლის აზრი.

ილია ჭავჭავაძის ეპიკური პოეზიის გვირგვინს პოემა „განდეგილი“ წარმოადგენს. ამ პოემაში ადამიანის არსებობის აზრის მარადიული პრობ-

ლემაა გაშუქებული და თანაც ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც ხელოვანი-სათვის, მაინც ახლებური — ფილოსოფიური — ასპექტით... ილია ჭავჭავაძი-სათვის ადამიანის ადგილის, საზოგადოდ, მისი არსებობის მთავარი შინა-არსის საკითხი აქამდეც დამდგარა და იგი, მწერალი, მთელი თავისი შე-მოქმედებით იმ აზრს ავითარებდა, რომ ადამიანი სოციალურად აქტიური უნდა იყოს, ცხოვრების შუაგულში ტრიალებდეს და წვლილი შეჰქონდეს მის წინსვლაში. ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული პერსონაჟების მორალური შეფასების ასპექტი ასეთია — რამდენად წარმოადგენენ ისინი საზოგადო-ების აქტიურ წევრებს. ილიას მკაცრი გაკიცხვის ობიექტია ადამიანი, რო-მელიც ეგების ცუდს, ბოროტებას არ სჩადის, მაგრამ არც არაფერს კარგს არ აკეთებს, თავის არსებობით საზოგადოებას არაფერს არ მატებს, მცო-ნარეობაში ატარებს წუთისოფელს და უკვალოდ მიდის ამ ქვეყნიდან.

პოემა „განდეგილში“ ილიამ სხვა ასპექტით გააანალიზა აღნიშნული საკითხი; თუ აქამდე ილია პრაქტიკულ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით მსჯავრმდებელი ხელოვანი იყო, მომწოდებელი, აქ, აღნიშნულ პოემაში ფილოსოფიურ პოზიციაზე მდგომი პოეტი ადამიანის შინა სამყაროს ღრმა ფენებში გვახედებს და გვიჩვენებს, რომ ადამიანი თავისი რაობით სოცი-ალური არსებაა, როგორც სულიერი წყობით, ასევე ბიოლოგიური აღნა-გობით, ადამიანის ადამიანობა მის სოციალურობაში ვლინდება. „ადამიანს არც შეუძლია განკერძოება, რადგან ეს იქნებოდა თვით ადამიანობაზე უარის თქმა“ (გრ. კიკნაძე). ყოველგვარი ცდა საზოგადოებიდან განდგო-მისა, ილუზიაა, იგი მხოლოდ სხვაგვარი საზოგადოების ნდომის გამოხატუ-ლებაა. ადამიანის განდგომას არა თუ არ ამართლებს რელიგიურ-მორალუ-რი (ჩვენს შემთხვევაში ქრისტიანული) საფუძველი, არამედ შეცდომაა თავისთავად რელიგიაში ძიება ამგვარი საფუძვლისა. ილია ჭავჭავაძე „გან-დგომას... ისევ ქრისტიანულად უწუნებს მწირს“ (ვ. გოგუაძე), რამდენა-დაც ქრისტიანობა საზოგადოებიდან განდგომას კი არ ქადაგებს და გუ-ლისხმობს, არამედ სულიერ სიმტკიცეს, სტოიციზმს, ერთგულებას სუ-ლიერი საწყისისადმი.

ადამიანის საზრისის ზოგადსაყოველთაო პრობლემის ასკეტიზმის მასა-ლაზე განხილვა ი. ჭავჭავაძის „განდეგილს“ მსოფლიო ლიტერატურის იდეურ-თემატიკურ რკალში აქცევს. ილია ჭავჭავაძე თემათა შერჩევითაც აფართოებდა ქართული მწერლობის შესაძლებლობათა საზღვრებს, მსჭვა-ლავდა რა მას მოწინავე საკაცობრიო ინტერესებით. ამ გარემოებას კი ჩვე-ნი ლიტერატურისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ტრადიციულად ი. ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან უბნად მის პროზას მიიჩნევენ.

ილია ჭავჭავაძის ყველა პროზაულ ქმნილებას ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკის უაღრესად კონკრეტული განსახიერების შემთხვევაშიაც თან ახლავს განხილვის ზოგადი პლანი, მაგრამ ყველა სხვა ნაწარმოებ-თაგან განსხვავებით მჭევრმეტყველური პროზის შესანიშნავი ნიმუში

„მგზავრის წერილები“ ყურადღებას იქცევს სწორედ თავისი ზოგადი შინაარსით.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში შექმნილი ეს თხზულება ი. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედებისა და მოღვაწეობის პროგრამის უშუალო ასახვას წარმოადგენს. როგორც მიუთითებენ, სწორედ ამ ნაწარმოებშია თავჩენილი პირველად ის იდეები, რომელთა კონკრეტულ გაშლას, გაღრმავებასა და გაფართოვებას შემდგომ თხზულებებში ვხვდებით. „მგზავრის წერილებში“ აქამდე ჩვენს ლიტერატურაში არნახული მხატვრული ძალითაა წამოყენებული მოთხოვნა რეალისტური მწერლობისა, ისეთი ხელოვნებისა, რომელიც სასურველს კი არა, არამედ ობიექტურად არსებულს დახატავს პირუთვნელად და შეულამაზებლად. ამ ნაწარმოებში აქამდე არნახული თვალსაჩინოებითაა მოწოდებული მეფის რუსეთის ტექნიკური უბადრუკობის სურათი, ნაჩვენებია მმართველობის სრული უგუნურება და სიჩლუნგე; აქ, ამ ნაწარმოებში, ჩვენს სინამდვილეში პირველად დიდი დამარწმუნებელი ძალით არის აღიარებული ადამიანის სიცოცხლის ნიშნად მოძრაობა და მოქმედება, მოქმედება მიზანდაქვემდებარებული, ხოლო დასასრულ ამ ნაწარმოებში უჩვეულო ენობრივი ფორმითა და მჭევრმეტყველური ძალით არის ნაჩვენები ფასი თავისუფლებისა და სრული უაზრობა ისეთი მშვიდობისა, რომლის პირობებში ერს თავისუფლება დაკარგული აქვს.

ილია ჭავჭავაძე თავის პირმშოდ პროზაში სოციალურად მძაფრ „გლახის ნაამბობს“ მიიჩნევდა. ამ მოთხრობაში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის დაგმობის საფუძველზე მწერალი მხატვრული თვალსაჩინოებით ცხადყოფდა, რომ „უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია“, რომ „ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“.

„გლახის ნაამბობის“ ბევრი პასაჟი ილიას ყრმობისა და სიჭაბუკის დროინდელ მოგონებებთან არის დაკავშირებული და ღრმა პოეტურობით გამოირჩევა, იქნება ეს მოთხრობის ექსპოზიციური ნაწილი თუ გაბრიელის განსწავლის ისტორია. მწერალმა ამ მოთხრობაში მასწავლებლის იდეალური, გამძლე ტიპიც დახატა და თვალნათლივ ცხადყო, თუ რა დიდი ზემოქმედების ძალა აქვს მასწავლებლის ცოცხალ სიტყვას და პირად მაგალითს.

ილია ჭავჭავაძის პროზის მშვენებაა სატირის უკვდავი ნიმუში „კაცია-ადამიანი?!“. ამ ნაწარმოებში მწერალმა დაუფარავი პირდაპირობით გვიამბო ადამიანთა გადაგვარების, მოშვებულობისა და მცონარეობის, სულიერი სიცარიელის ისტორია. მოთხრობაში მძლავრად იჩინა თავი უმთავრესად ირონიის გზით გამოვლენილმა ილიას სატირულმა ტალანტმა.

„კაცია-ადამიანში“ ილია ჭავჭავაძემ ჩვენი მწერლობისათვის აქამდე სრულიად უჩვეულო მხატვრული ძალით მიმართა ფართო დეტალიზაციის გზას. ისეთი ყოფითი წვრილმანების მომარჯვებით აშენდა ეს ნაწარმოები, რომელთა ფასი და მნიშვნელობა აქამდე სრულიად უცხო იყო ქართული

ლიტერატურისათვის. სწორედ ყოფითი წვრილმანების საფუძველზე სრულიად ჩვეულებრივში, ერთფეროვანსა და ყოველდღიურში აღმოაჩინა ილია ჭავჭავაძემ უაღრესად მნიშვნელოვანი ეროვნული სატკივარი.

მართალია, დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ისტორიას ჩაბარდა ის სოციალური ინსტიტუტი, რომლის ღვიძლი შვილებიც იყვნენ „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟები და რომლის გაშიშვლება და უარყოფაც იყო მწერლის ერთი ამოცანა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამის გამო მოთხრობას სრულიადაც არ დაუკარგავს, თუ არ მოემატა ჰეშმარიტი მხატვრული ღირსება და მნიშვნელობა მკითხველის თვალში, და ეს იმიტომაც, რომ ილია ჭავჭავაძე ამ მოთხრობაში ადამიანის ბუნებაში უაღრესად გამჯდარ და გამძლე თვისებებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას; თვისებებზე, ურთიერთობებზე, რომლებიც რაღაცნაირი ფორმით ყოველთვის არსებობენ და რომელთა წინ წამოწევა, გაბატონება ე. წ. „თათქარიძეობის“ გამოცოცხლების საშიშროებას ყოველთვის ახლავს.

ილია ჭავჭავაძე მუდამ გვაფრთხილებს და სოციალური სიფხიზლისა და აქტივობისაკენ მოგვიწოდებს. ეს მომენტიც დიდად ამაირობებს ნაწარმოების თემატიკურ აქტუალობას და მაღალმხატვრულობას.

მოგვიანებით ი. ჭავჭავაძემ დაწერა შესანიშნავი მოთხრობა „სარჩობელაზედ“, სადაც საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის ურთიერთობაზე, მოვალეობაზე, დანაშაულისა და სასჯელის მარადმტკივნეულ საკითხებზეა გამახვილებული მწერლის ყურადღება.

ილია ჭავჭავაძემ თვალნათლივ აჩვენა, რომ საზოგადოება სრულ გულგრილობას იჩენს თავისი ცლკეული წევრისადმი და ამით ფაქტიურად ადამიანს დანაშაულისაკენ უბიძგებს. საზოგადოება დამნაშავის გაზრდას უწყობს ხელს, რათა შემდეგ გულგრილად დასაჯოს იგი. ფაქტიურად საზოგადოებამ უარი თქვა თავის უმთავრეს ფუნქციაზე, იყოს დაინტერესებული თავისი ცალკეული წევრის ბედით, რადგან იგი, საზოგადოება, წევრებისაგან შედგება, ხოლო უარის თქმა უმთავრესზე ნიშნავს, საერთოდ, საზოგადოების მოშლას და გადაგვარებას. აღნიშნული ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ილია მხოლოდ საზოგადოებას დებს ბრალს, ხოლო ცალკეულ ადამიანს ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობისაგან. ილიასათვის რომ მორალური პასუხისმგებლობის საკითხი ერთი უმთავრესია, ეს მისი „კაცია-ადამიანის“ მიხედვითაც კარგად ჩანს და „გლახის ნაამბობის“ მიხედვითაც. ი. ჭავჭავაძის აზრით, ადამიანი, რა თქმა უნდა, აგებს პასუხს თავის საქციელზე და მოქმედებაზე, ოღონდაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას არჩევანის შესაძლებლობა აქვს, ლუარსაბ თათქარიძე ან დათიკო აგებენ პასუხს თავიანთ საქციელზე, რადგანაც მათ შეეძლოთ სხვაგვარად ეცხოვრათ, სხვაგვარად მოქცეულიყვნენ, მაგრამ ეს მათ არ ინდომეს. ხოლო თუ ადამიანს თავისუფალი არჩევანის შესაძლებ-

ლობას მოვუსმობთ, თუ მის წინ მხოლოდ ერთი გზა და გამოსავალი იქნება, ბუნებრივია, იგი ვერც აგებს პასუხს თავის საქციელზე.

ერთგვარად განცალკევებულად დგას ი. ჭავჭავაძის პატარა საშობაო მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. ეს მოთხრობა ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებების პოეტურ გაცოცხლებას წარმოადგენს და იგი ერთგვარი რაინდული სულითაა გამსჭვალული. ი. ჭავჭავაძე ქართულ მწერლობაში მომძლავრებული იმ ტენდენციის საპირისპიროდ, რომლის თანახმადაც ჩვენი ქვეყნის „მტერნი კაცის-მჭამელნი არიან, ქართველების სისხლის მსმელნი, ყოველს ადამიანობაზე ხელ-აღებულნი და ქართველები კი ყოვლის ადამიანობით სრულნი“, ისეთ ვითარებას ხატავს, როცა ქართველ ვაჟკაცს მტერიც ღირსეული ვაჟკაცი ჰყავს. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი თავისი შეგნებით, მტრის ვაჟკაცობის დაფასებითა და აღიარებით რაინდული გაგების მწვერვალზე ადის.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ბოლო ნიშან-სვეტია დიდებული „ოთარაანთ ქვრივი“, სადაც ილიამ მისთვის ჩვეული სიდინჯით განიხილა ხიდჩატეხილობის პრობლემა.

ეს პრობლემა გარკვეული სახით ილიას ადრეულ მოთხრობებშიაც იჩენდა თავს; ასე მაგალითად, იგი იდგა „გლახის ნაამბობშიც“, მაგრამ „გლახის ნაამბობისაგან“ განსხვავებით „ოთარაანთ ქვრივში“ საკითხი გაღრმავებულია და განხილვის ასპექტებიც გაფართოებული, გაზრდილი. „გლახის ნაამბობის“ მსგავსად, „ოთარაანთ ქვრივში“ ადამიანთა შორის გაუგებრობის პრობლემა დგას ერთ უმნიშვნელოვანეს — სოციალური ფენების ურთიერთობის — ასპექტში. მწერალმა მთელი სიმძაფრით გააშიშვლა სინამდვილე და უჩვენა, რომ თუ ადრე ბატონყმობის პირობებში ხიდის გადება სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელთა შორის პრინციპულად შეუძლებელი იყო, ახალი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის დროს წოდებათა თანასწორობის იურიდიული აღიარება ჯერ კიდევ სრულიადაც არ ნიშნავს პრაქტიკულად თანაბარღირებულების განხორციელებას. სოციალურ წოდებებს შორის თავჩენილი ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური თუ კიდევ სხვა სახის ჯებირები, გაუგებრობა ასეთი თანასწორობის აღიარების სიყალბეს მოწმობს. ასეთი ვითარება კი საწინდარია საზოგადოებრივი წინსვლის შეფერხებისა და, საზოგადოდ, ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძე ფრთხილად აანალიზებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის თავალსაზრისით ერთობ მტკივნეულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის პერსპექტივასაც ძალიან ფრთხილად — პოეტური სურათების სახით წარმოგვიდგენს. ამ მხრივ არის განსაკუთრებით საინტერესო მოთხრობაში დაძმის — არჩილისა და კესოს საუბარი.

ჯერ კიდევ კიტა აბაშიძის დროიდან ისიც ცნობილია, რომ ხიდჩატეხილობის პრობლემას „ოთარაანთ ქვრივში“ აქვს სხვა ასპექტიც — ასპექტი საზოგადოდ ადამიანთა მიერ ურთიერთგაუგებრობისა და საზოგადოდ მარტოობისა, რაც სოსია მეწისქვილის ტრაგედიის სახით იჩენს პირველყოვლისა თავს და ოთარაანთ ქვრივის, ვითარცა დედის, ტრაგედიის სახითაც. მწერლის აზრით, „ეს... საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი“ საკითხიც დგას „ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“.

ილია ჭავჭავაძის ყველა თხზულება მძლავრად აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში, მთლიანად შეძრავს მას, ეს ვითარება კი იმითაცაა დაპირობებული, რომ მისი სახით ღრმად მოაზროვნე ხელოვანთანა გვაქვს საქმე, რომლის უმთავრესი მოთხოვნაა შინაარსი. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს ერთი გადამდები თვისება აქვთ — ისინი მკითხველს ითრევენ, იმ საკითხებზე საფიქრელად განაწყობენ, რომლებიც მათშია წამოჭრილი... ხოლო ჰიუგოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეგეძლოს აიძულო, იფიქროს, ეს იშვიათი უნარია, ეს რჩეულთა ნიჭია“.

ი. ჭავჭავაძის მიერ დახატული პერსონაჟები მკითხველს აედევნებიან და მისგან მოუცილებელნი ხდებიან. ეს ითქმის გაბრიელზედაც, და მღვდელზეც, ოთარაანთ ქვრივზეც და გიორგიზეც, ლუარსაბზეც და ღამაზისეულზეც, მოურავ დათოზეც და სოსია მეწისქვილეზეც, იამშჩიკზეც და რუს ოფიცერზეც. ძნელია დახატვა ისეთი კონკრეტული სახისა, რომელიც ტიპის მყარი ნიშანთვისებებით იქნება აღჭურვილი. ბევრ მწერალს ვიცნობთ, რომელთაც ან საერთოდ არ დაუხატავთ ტიპი, ან თუ დახატეს მხოლოდ ერთი ან ორი. ილია ჭავჭავაძის პერსონაჟები, როგორც მიუთითებენ, უკლებლივ ყველა ტიპებს წარმოადგენენ და არა მარტო მხატვრულად ღირებულს, არამედ სოციალურად გამძლე ტიპებს. ილია არ გაიხდის თავისი ასახვის ობიექტად ისეთ არსებას ან მოვლენას, რომელსაც სოციალური მნიშვნელობა არა აქვს. შემთხვევითი არ არის ილიას დაკვირვების საგანი.

როცა ილია ჭავჭავაძის ქმნილებებს ვკითხულობთ, ჩვენ მუდამ ვგრძნობთ სიტყვის უჩვეულო ძალას. ძარღვიანია და გამძლე ილიას სიტყვა. ფრაზის სიახლისა და სინედლის განცდა არ გვტოვებს ილიას კითხვისას. სრულიად ჩეულებრივი, გაცვეთილი სიტყვებიც კი მასთან უჩვეულო კონტექსტში ექცევიან და ახლებურ შინაარსს იძენენ, ახალ სიცოცხლეს. ეს გარემოება კი მის დიდ ნიჭზეც მიუთითებს, ფრაზის გრძნობაზეც და მის პიროვნულ ძალაზეც.

ვერ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძის რომელიმე ნაწარმოები საკუთრივ ყმაწვილთათვის, საერთოდ, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის იყოს დაწერილი. ილია ჭავჭავაძე მთელი ერისათვის წერდა. მისი ყოველი ნაწარმოები

ერის წინამძღოლის პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც ერის ერთი საუკეთესო ნაწილი — მოზარდი თაობა — ყოველთვის უნდა დიდი გულისყურით ეკიდებოდეს მის მხატვრულ, ლიტერატურულ-კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ ნააზრევს, სწავლობდეს და ღრმად იაზრებდეს მას.

ჯერ კიდევ დიდმა ვაჟამ ილიას სახელი მთელი ერის სახელს გაუტოლა, როცა მის შესახებ თქვა „სოფელი ვინ და ერთი კაციო. ვაჟა-ფშაველამ ამით კიდევ ერთხელ შეახსენა და გაუსიგრძეგანა ჩვენს ხალხს, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე ქართველებისა და საქართველოსათვის.

ეროვნული გრძნობის შესუსტების პერიოდში ჭეშმარიტი ქართველის მაძიებელმა ილიამ საქვეყნოდ განაცხადა: „სად არის ქართველობა ან საქართველო?!“ და იმავე ილიამ — მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე დიდმა ქართველმა — ქართველთა იმ ძნელბედობის ჟამს ერს ზვარაკად საკუთარი თავი შესთავაზა, როცა თქვა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..“

ყვარლის მთებს

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა.
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ურჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი.
მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს,
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული, —
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ეეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.

როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი.
ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
ვითა ფოთოლი — ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს.
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს,

თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი.
როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ-წინ ვღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს,
თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს.
როვორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...
და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმათა!..

რაღაც მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მაობლებს...
აგერ თქვენც ჰქრებით თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა
ღრუბელ ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდღა ესჰვრეტ ციაგსა ცასა.
ამაოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს
და მოუსვენრად ვატანტალებ მწუხარს თვალსა ჩემს!..
თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას
აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას...
მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

1857 წ.

გუთნის-დედა

„გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარი."

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი.
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი;
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლია.
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ ბირუტყვი ხარ და მე მეტყველი?! —
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.

მაშ რა გაღონებს?.. გასწი ჰაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!

4 ივნისი, 1858 წ. პეტერბურგი.
(ბოლო რედაქცია 1863 წ.)

გიყვარდეს

კაცო, გიყვარდეს!
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს.
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სცემდა წმინდ ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!..

23 ივნისი, 1858 წ.
ტიარლევო.

* * *

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მარამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გაცოცხლია, როგორც უნდოდა.
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილოში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაუროობდა.

19 ნოემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ქართვლის დედას

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მწობელი მომავალისა.

ლ ე ი ბ ნ ი ც ი

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწრინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროება!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, — სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური.
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —

შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას. —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს,
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

15 დეკემბერი. 1858 წ.
პეტერბურგი.

რისთვის მიყვარხარ?

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ კრემლსა
ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული:
მისთვის, რომ მტანჯველს ჩემს ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული.

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უდნობს ცრემლსა;
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა.

31 დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ნ ა ნ ა

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
რისთვის მომაპყარ თვალნი?

ჯერეთ ხომ შენი ბედი.
გრძნობა წინამორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს!..
მაშ, რაღამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!

ჯერ, მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

გაიგებ მამულისას,
ბედ-ქვეშ დაჩაგრულისას,
კვნესის ხმასა მწუხარეს,
შველის ძახილს მმუდარეს;
დალოცვილსა ჩემგანა
გული აგიღელდება,
შვილო, დედისა ნანა
ხმლის ჟღერად შეგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

ჰნახავ ჩვენ ბედშაობას,
ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...

ვინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება?
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!

ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!

იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,

ნუგეშ-იცეს დედამ,
რომ კაცი კაცად ჰკვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო. ნანინა!

სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს მისგან მოცემულს,
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით —
რომ მამულს არ უმტყუნე,
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო ნანინა!

თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე.
რაც მე სიტყვით გითხარი —
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

13 აპრილი, 1859 წ.
პეტერბურგი.

ე ლ ე გ ი ა

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არარას მეტყოდა.
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!.

4 ივნისი, 1859 წ.
პეტერბურგი.

შუშა

«В труде проходит жизнь его
И не приносит ничего».

I

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ
კედელთან მწოლი; მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა,
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგვე და რაც ვისწავე,
ძალს მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე?..

II

ახ ტვირთ-ქვეშა მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გეღვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..
ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოჰქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა, — და, როგორც კოკა.
შენ — კერძო ღვთისა — არ დაგინდო დასამსხვრეველად...
შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავ დუმილით მიხვედ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი, — გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს — და არავინ არა გშველიან!..

III

აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა.
განივრად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია, —
იცდი, საწყალო! — შენი ლუკმა იმის ხელშია!..
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც იმას შენთვის ჰშურს,
ხშირად ფასს გიკლებს შიშველს, მშიერს, მწყურვალს. უბედურს...
„ნუ მიტეხ ლუკმას, — ეუბნები, — ღმერთსაც შეხედე!
ნე ეგე ლუკმა პირუტყვსავით ზიდვით ვიყიდე“.
შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება,
ვისაც არ უჭირს, მას გააძლობს, — და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.
ეგრეთ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა

და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ-რიგად განაგრძელებ უღმრთო შრომასა.

IV

შენს სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში.
კაცი კაცურად **ვერ იცხოვრებ** ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ **იცის**, რომელ ჭოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოჰკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედავენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, — და ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ“ ყოფნასა.

12 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

Его стихов пленительная сладость
Пройдет веков завистливую даль.

Пушкин

მისი ლექსი შვებით, ღხენით
ხან მეჯლისში მოჰფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება;

ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჰაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;

ხან ბუჩქებში მიმალული
ჰზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი;

ხან ჰრბის ველად, მარტოდ ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;

ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

1860 წ.

თ. ნიკოლოზ გარათაშვილზედ

ცუდად ხომ ძაიხც აო ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება.
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაიხც დარჩება.
ნ. ბარათაშვილი

ვაი, დაგკოგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუხჯენი დავმარხეთ ჩვენა...
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?

ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?

არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.

1860 წ.

ᲐᲞᲔᲢᲘ

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერო, მხოლოდ მაშინ
მოვსწყმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი

* * *

ჩესმის, ჩესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

29 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი

ი ა ნ ი ჩ ა რ ი

აგერ, რაზმიდამ ისკუპა უარაბალულმა მერანმა,
შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ქლერამა...
მიჰქრის, მიფრინავს, მიჰქუხავს, უკან მისდევს მტვრისა ბუქი,
ჭასზედ ჰზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი.
აგერ, უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა,
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,
მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა,
ხან ცხენიდამა ხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.

შენ ნოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა ვით ალვა რგული,
ნ გაიმ მე მის მჭვრეტელს ნაღვლით ამერ... სული, გული...
ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვინ იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშურნებ შენს დამლუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიფაქიზეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..

5 ნოემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

* * *

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!

შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!“

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიქმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!...

გახსოვს, ტურფავ, იმავ ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ჰგუშაგობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა;

დაგყურებდი, ვეღარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;

შენ შეჰკრთი და ლამაზ თითით
ღიმილით დამემუქარე.

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გმობით შემეცვლოდა.

5 ნოემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ, მერცხალიც ჰყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

28 იანვარი, 1861 წ.
პეტერბურგი

მას აქვს ჩაი.

მას აქვს, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჭოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ვამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

ლაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

6 აგვისტო, 1861 წ.
ყვარელი.

* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ.
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად. — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
გვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და, დაე, გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ან სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ოქტომბერი, 1861 წ.
ყვარელი.

1871 წელი, 23 მაისი

(კომუნის დაცემის დღე)

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისთვისა თითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

29 მაისი, 1871 წ.

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით

ანუ

საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა

ერთხელ მე და პაპა-ჩემი
ერთს ადგილს შევიყარებით:
ჯერ, როგორც მოგეხსენებათ,
მრავალჯერ დავამთქნარევით.

მერე ვუთხარ: — პაპა-ჩემო!
უწინდელი რამ გვაუწყეთ:
რით ვიდიდეთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭეთ?

მაგალითებრ, მაშინ, როცა
მიიწურა ქართლის ბედი,
როცა მოგვიკვდა ერეკლე,
ის ჩვენის ქვეყნის იმედი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შენი მტერი!.. პირღიადა
დავრჩით და ცას შევყუროდით.

მერე, როს მეფე გიორგი
დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,
შინ თვისტომნი აუჯანყდნენ,
წამოასხდნენ მტრადა თავზედ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ
ვწეწდით და ვიწეწებოდით.

მერე, როცა ემაგ წეწვით
მეფეს საქმე გავუჭირეთ
და ქვეყანას ერთგულობა
ჩვენი ურცხვად დავუძვირეთ, —

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რუსეთისკენ სახვეწნელად
გავრბოდით და გამოვრბოდით.

მერე, როცა საწყალ მეფემ
დაგვიყენა ლეკნი მცველად,
თვის ქონება სრულად დასდვა
ჩვენის ქვეყნის დასახსნელად, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მადლიერნი მუთაქაზედ
ვიწექით და ვნებივრობდით.

მერე, როცა მოკვდა მეფე,
აირჩალნენ მეფეთ ძენი
და ერთმანეთის შურითა
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო-თვითოდ ვღალატობდით.

მერე, როცა დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართველის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ყაბახზედ ვაჟკაცურად
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!

მერე, როცა გაგვიჭირდა
ყოფნა უცხოს ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთს ტაფაში ვიწვებოდით.

მერე, როცა ამ წვა-დაგვაჰ
დღენი ჩვენნი მოგვაწბილა,
ტანჯვა ვეღარ ავიტანეთ
სინიდისმაც გაგვამხილა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შერცხვენილნი და დამწვარნი
აქა-იქა ვჩურჩულობდით.

მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს, თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

მერე როცა მაგ ბეზღობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი
ჩვენ თავიდამ ავიცდინეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშრებოდით?
— მოვყევით და სიხარულით
ყოველ-დღე ებედოვლათობდით.

მერე, როს ბედოვლათობით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რომ გვქონდა, სულ გავფლანგეთ,
არა რა შემოგვდიოდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშრებოდით?
— ერთმანეთს უსინიდისოდ
მამულებს ვეცილებოდით.

მერე, როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დავღუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, —

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ
ვისხედით და ხელს ვითბობდით.

მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გაღარიბდა, გაღატაკდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— თვით შევსხედით მაღლა თრიოს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.

მერე, როცა ეს ყმებიცა
დროთა ბრუნვით ჩამოგვერთვნენ
და ცხოვრების ჩვენის წყარო
მაგ გზობითაც თითქო შესწყდნენ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მავას, შვილო, ნუღარ მკითხავ...
ვტიროდით, ვიხოცებოდით!..

მერე, როცა მაგ ტირილით
ყმები აღარ დაგვიბრუნდა
და ყმებისა მოშორების
გულს ტკივილი დაგვიყუჩდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რაღაც ბანკი მოვიგონეთ
და მასზედ ვლაზღანდარობდით.

მერე, როს საშვილიშვილოს
ბანკს უმუხთლა ჩვენში ერთმა:
ჩემთვის ბანკი რა ჭკვაო,
არ მომცაო შვილი ღმერთმა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— „Наплечо“-ბა გვასწავლეო,
მთავრობას ვეხვეწებოდით.

შერე, როცა... — კიდევ როცა!.. —
აქ გამიწყრა პაპა-ჩვენი:
— შემაწუხე ამდენ კითხვით,
„პოჟოლუსტა“, დამეხსენი.
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით.

24 აგვისტო, 1871 წ.

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი.
ვით ჯორ-კხენი.
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;

ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჰკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

ჩვენისთახა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!

29 აგვისტო, 1871 წ.

გამოცანები

1

ულვაშ-სრული, მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,
დიდგულა და ბოხ-ხმიანი.

თუმცა ტანად პატარაა.
სხვაფრივ კი კარგა დიდია.
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

2

კოხტაა და ღობემძვრალა,
პატარა და ჩამომხმარა,
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,
უჟამური, განს გამდგარი.
ჰკვით და გულით მოცვეთილა,
ქვეყანაზედ უქმად გდია,
თვით მაღლა ზის, — ქვეყნის საქმე
მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

3

ბუღა არის კისერმოკლე,
პირ-რგვალი და ტანად სრული,
ლაჟღანდარა და მასხარა,
ქვეყნისაგან ლაფდასხმული.
გაქნილობა რომ გაუდის,
ჰკვის ხმა აქვს დავარდნილია,
მაგრამ ჰკვიანი არ არის,
იგი მარტო გაქნილია.
ტაციობით დღეს აღამებს,
გულმურტალი და ფლიდია,
ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

4

ცხვირდიდა და თვალდიდრონა,
მსუქანი და ტრაბახია,
ერთი უშნოდ აწროწვილა.
ერთი რაღაც ახმახია,

სეხნია ჰყავს სახელ-დიდი,
თითონ კი მარტო გრძელია,
ძველის მცოდნეა, მაგრამა
ყბედი და ჭკვაზედ თხელია;
ენაპრტყელია, გულმრუდე,
ადვილად მოსასყიდია,
ამ ყლაპიასაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

5

თეთრ-წითელი ვაშლსავითა,
ხაშხაშ ლოყა. მსუქანია,
რაც ნახირში გაერია
არ არის დიდი ხანია;
ქვეშ-ქვეშაა, მელაძუა,
მორიელი, ფრთხილი, წყნარი.
თქვენ იმას კარგად არ იცნობთ,
დიდი კუდიანი არი.
ქალაჩუნა და ლუჩუნა
ფარისეველი მშვიდია, —
ამ ძრომსაც თავის ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

6

პირტიტველა და ჭროღთვალა,
თავმდაბლად გამომხედია.
არც კარგი, არცა რამ ავი
მის ხელთ არ უმოქმედია.
ყველას უყვარს, ყველა უყვარს,
ყველასთვის მეტად ტკბილია,
ზემოთქმულ ღობემძვრალისა
უკან მიმყოლი ჩრდილია.

მე ვიცი, რომ ქვეყნისადმი
მის გულში ტრფობა დიდია,
მაგრამ საქმით კი ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

7

ერთი ვინმე შავგვრემანი
სუსტია და პირად ხმელი,
დიდებში ბრძნად ქებულია,
ჰკვამოკლე და ენაგრძელი.
დიდთა ქებით გაბერილა,
ვით ავის სენით ტრიკია,
ახლის აღთქმის კაცი იყო,
ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა
ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

8

მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჰკვამაღალი,
ძველთაგანა ეგღა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთაეი ხიდია.
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.

მეცხრე გამოცანად ითქმის:
ეს ვის დაუწერიაო?
ნუ გაწყრებით და ნურც იტყვით:
— იგი ჩვენი მტერიაო.
თუ გაწყრებით, რა მენაღვლის?!
მე არ მაქვს თქვენი რიდია,
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზედ მკიდია.

7 დეკემბერი, 1871 წ

პასუხის პასუხი

I

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ.
იქიდამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ.

ჩვენ ცვლეა რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია:
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;

თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.

ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია:
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

სარწმუნოება
და სათნოება
ფარისევლობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი;
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შევეჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი.

II

მითამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვე ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა;

მაშ, რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ

ერთმანეთობის შიღიოხობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო.
აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ეზოთას.

ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III

იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;

ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.

ხილი გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი.
ღმერთი ტანჯულთა.
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;

ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-დევნული,

ორგულობისა,
ორპირობისა,
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი.

მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.

IV

მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის —
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ, ჩვენა თუ თქვენა?..

ეხლა რომ ბლავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,

როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც — გარეთ თუ შინა

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთათ?!
შიშით — არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვეხად.

ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა.

V

ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

თქვენგან გმობილი,
თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ:
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,

რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

უგზოდ მვლელნოო,
უსწავლელნოო, —
ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწველდესა, —
ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, —
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა, —
რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.

28 იანვარი, 1872 წ.

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცენი,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სიანთლევ, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა.
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?

15 სექტემბერი,
1872 წ.

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,

მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი ალარ ამბობენ, —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისაცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც ამ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

14 ივლისი,
1883 წ.

კითხვა-პასუხი

კითხვა

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანაო,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადაც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური კვრ ჰძღება;
მაგრამ რამდენადაც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი?
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?
მაგრამ რამდენადაც მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება;
მაგრამ რამდენადაც მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

მარქვი, რად არის იქ გულთა კდომა,
სად სიცოცხლეა ვაზარებული,
და რამდენადაც შენ ცხოველ-მყოფელ ხარ —
იმდენად უფრო რად კვდება გული?

პასუხი

- მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!..
ვაი, ძე ჩემი ბედკრულ, უძლური!..
იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.

საყვარელი ვარ... ჩემს ფიქრებ ჩრდილში
სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას,
და, ვაი, იმის სანაცვლოდ თქვენ კი
ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას!..

მადლით სავსე ვარ და, ვაი, ჩემს შვილს
ეგ მადლი ჩემი ვერ უშვნევია:
და ან იქ რა ჰქმნას თვით წმინდათ-წმინდამ,
სად ცოდვას მადლი დაუძლევია?

მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ:
მი ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით
და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
უდაბნო-ღაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული.

(1894 წ.)

ა ჩ რ დ ი ლ ი

(ვუძღვნი ივ. პოლტარაცკის და ილია წინამძღვრიშვილს)

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროს,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

რუსთაველი.

I

აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი.
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ ზვიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით.
თითქო ელისო განკითხვის დღესა
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,

ხმელეთს დაეცეს, მერმეთ ქვესკნელსა,
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.

II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დადუმებული,
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა,
და ცაც უღრუბლო და მხიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
ხოლო კი ჩემი უნდო გონება
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...
„ნუ გჯერსო. — მითხრა, — ეს მყუდროება,
სტყუისო ზეცაც და ქვეყანაცა!
ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს
ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,
მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
მადლი ცისა არ მიჰკარებია.
სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,
ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ
თვით მაგ დუმილში რა წყეველაც არი!..“

III

ბოლოს კი დილის სიტკბოებამ
მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი
და ყოვლად მხსნელმა სასოებამა
მომცა ნუგეში მაცხოვნებელი.
ვსთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მშვიდობს,
ღამე ესეთის დილით თენდება,
სადც მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს,

იქ ძალუძს კაცსაც ბედნიერება.
ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმევსო ნელის სიხარულითა,
ეჭვთაგან წინათ გვემული გული
განცხოვლდა წმინდის სიყვარულითა:
გარდმომევლინა ყოვლად შემძლები
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
აღმიფრთოვანა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.
თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე
სხვადვად უცნაურთ სახიერებისა,
ზოეხსნა ყურთა თითქოს სიძნელე
სმენად ბუნების მეტყველებისა.
მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი,
სმენი ლხენით, ნეტარებითა, —
რომელთაც წარაქვთ კაცთ გულისთქმანი
საიდუმლობის მაცდურებითა.

IV

და მომევლინა მე კაცი დიდი,
მგინვარზედ მდგომი მოხუცებული;
ვითა ქვეყანა — ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა,
მის ვარჯ შემო შვენოდნენ მთანი
და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.
თერგი მრისხანე, თერგი მბდღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა.
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე,
ჰრბოდა, ჰბღაოდა, მიღრიალებდა,
სჩექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი
თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ

და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ,
იქით შორს სჩანდნენ მინდორნი, ტყენი,
და იმათ შორის — არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენს წმინდა თვალ-წინ აყვავებულა;
შეყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ — შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია.
იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
შეურევ მღვრიეს და მდოვრსა მტკვარსა.
იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე ჰდუღდა.
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და ! აკ..კუნ..ი. — იგი ქართველნი!..
გულ-ხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს, —
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს.

VI

მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა

არ მიიზიდა მოხუცის თვალი.
მთიდამ ამაყად გადმომზირალი, —
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა:
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა
სიყვარულითა იგი დამზერდა.
საიდამა ხარ, რამ მოგავლინა,
ჰოი, საკვირველო კაცო, მითხარი?
რათ დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მიაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და, რა ესთქვი ესე, მსწრაფლვე მომესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

VII

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერ,
შენი გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება,
ეხლა აღგვილა ყველა ესე. ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა.
განწირულების შთაბეჭდილია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული.
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
ცაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა.
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,
ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

VIII

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა.
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს:
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, —
ინატრებს გმირის მის დიდებასა:
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება, —
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.



„ნაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი.
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?
ღვ აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული,
რაღა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღიკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა.
ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი, — უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებულა.

X

„ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთებისს,
ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების;
მაგრამ ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა.
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა უმალ გაცუდებულა.

ჩვენ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

XI

„აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა»
და რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პირას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა — ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწკიმა.
მაგრამ ქვა აჩის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება:
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ელედრება მის თვალი შველას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი.
დღე-და-ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
ღარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და ოქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.

ვაიმე, ბედკოულს რაღა დაბრჭება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!.

XII

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, ---
ჰონავ, ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება,
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად,
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი.

XIII

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად.
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება.
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მის ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ჭროლას.
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

XIV

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
ცანასწორადა ნიჭთა მფენელი:
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ეროგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.

მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება..
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება,
ალღო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ეის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ევე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალის შებრის,
შორის ხმა მწყემსის დაობლებული. —
ძხიერულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობიერი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,
შენვან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.

XV

„აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.
მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?

ის რად იხლომებს ქვეყნისა ბედსა,
რის მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?
ავერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა.
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.
აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი —
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?

სად არის იგი მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?

XVI

„აგერ ტფილისიც!.. ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მგრამ, კი ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მის აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი
ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
ჰლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს,

შავრაშ მათ კრემლსა, ღიმილს, თუ კრწნიბას,
ჰმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,
ერთაირად და უფერულადა,
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ —
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთს ფლურადა.
გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას,
და დაყანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მშობლის თავისუფლებას.

XVII

„აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართვლის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი:
სად ის ხე ნაძვის მის სუნნელისა
ჰყვაოდა ქართვლის წყლულთა კურნებად.
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა:
სად იმა წყაროს წყლით გაბანილი
ქართვლის ტკივილი დაყუჩდებოდა.

არ აღარა სჩანს წყაროც ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მის ნი დიდნი პალატნი,
და დი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების ჩრდინდა ალაჯი
პირუტყვთ ბელვითა შეგინებულა.

XVIII

„ქართველის სამეფიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოეველოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზიდა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივე დაიცვა, მაგრამ ყელა მათ ანაცვალა.

XIX

„თვალ-წინა მიდგა ის კირთების ბედშავნი დღენი,
როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა,
და შეგირყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი
შენმა მოძულემ და მოლალემ უცხო მთავარმა.

სოულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისაც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჰქელვიდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსვრელი
თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატივ-ნება,
რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დავნულების და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებრივის თვალთმიმქცევის კრძალულებითა
ზღვევისა წადილს გულდაკეტით დღე-და-ღამ ჰზრდიდა.

XX

„მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართვლის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
რომ ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იდვა თავსა სახელოვანი
ის დიდი საქმე შურის-გებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჰაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება,

და შენ, ჰე ქართლო, მტრისგან რღვეულო
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით.

XXI

„მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი.
მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,
მაგრამ ვაჟკაცნი შვილები შენნი
გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ.
იყო დრო, როს შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჭაბუკთ რაზმში შენს მოწვევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
იყო დრო, როცა შენის გულისთვის
თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
ეხლა რაღაა!.. გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.

XXII—XXIII

. . . . . .

XXIV

„წამხდარა ყველა ის ღონე და ის ძლიერება
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება,

აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა...
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ. ბევრჯერ აზრით აღელვებულა...
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა.
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთხრიდა კიდეთა,
რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი შობილა.
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
სხვა-და-სხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,
დაუნთქავთ შრომა წინაპართა სისხლითა რწყულხა.
როდისღა ენახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა,
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა?"

XXV

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
და გაანათა მდინარე ხევში.
ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი.
ქარმა დაჰლმუვლა ხევ-ხუვსა. მთებს,
ბუქი სვეტსავით აატრიალა,

რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრუსა,
ზვავმაც მაღლიდამ დაიგრიალა, —
და მყის ბუნების მშვიდი დუმილი
ბნელ ჯოჯოხეთად გადიქცეოდა.
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
ერთმანეთშია აირეოდა.
მაშინ შევხედე მყინვარსა მძლავრსა...
დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა,
ბაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს
ვერ გაატანა თვალმა უძლურმა...
„ნუთუ გათავდა ამით ხილვა ეს!“ —
შემომტირა მე მწუხარე გულმა.
მცირეს ხანს შემდეგ გადიწმინდა ცა,
გამოიღიმა ნათლად მთამაცა,
და მზისა სხივით გაბრწყინებული
კვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრა თრთოლითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ჰლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

XXVI

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა:
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სალოო. ნუ არიდებ მწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,

თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტახჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
პოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..*

XXVII

მხრწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შეიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

26 იანვარი, 1859 წ. [ჰეკერბურგი]
(ბოლო რედაქცია 1872 წ.)

ქართვლის დედა

(სცენა მომავალ ცხოვრებიდან)

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო.

ხალხური სიმღერა

ვუძღვნი პეტრე ნაკაშიძეს

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ.
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინვებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო. მე და შენ.

მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე. — მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგანა შობილ დარდისა, —
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.

(სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ. ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული ღედა).

დედა

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი.
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,

და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული. საქართველო. დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს. საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი.
იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული.
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისლა მშთენია. —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე. დღეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)

ის დღეა დღეს. რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული თუ მამულის. — რომელი დათმოს?
ეჰა. ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო. შვილი.
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი ..
დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები.
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლოს არ გეყოლება.
მის ცხარე ცრემლი სისხლიანს მკერდს არ გეპკურება,
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა
და ეგრეთ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!..
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის, რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვლის დედაც:
ვით დედა შენი, იმ სიკვდილით შენით ვივაებ.
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ. შენ ხარ კაცთა ნათსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,

შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული. შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვანებითა.
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრეთ ნაშოვნი რათ წაგვერთვი მესავთა შენთა?
რაღად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რათ შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომკენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რათ არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?

შ ვ ი ლ ი

(შემოდის გახარებული)

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვის აღმომჭინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!
მაგრამ შენ სწუხხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაგიე.

დ ე დ ა

მე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,

მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ სეტაოს დღესა
მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
ვაი, რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი!..
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიჰგავს.
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხვარ... მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ, მკვდარი დედა ძეს ახსნელოს.

შ ვ ი ლ ი

როგორ? მეც მგზავნი საომრადა, დედის-ერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დ ე დ ა

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო. იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შ ვ ი ლ ი

არას დროს არა მყვარებიხარ ისე, როგორც დღეს,
შენ, დედა-ჩემო!.. რასაც მნუკავ, აღგისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება?!

(ისმის გარედგან ჯარების ხმაურობა, შვილი ფანჯარას მივარდება)

დ ე დ ა

(თავის-თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს შე ეს სიტყვები,
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან, ისე მოვკვდები...

იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუკრებ,
ვიდრე საომრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ.
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს. —
და მერე კი ვგრძნობ: ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.

(ისმის ჯარების სიმღერა ორ-პირად)

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

მამულის დაცვნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა.
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

მამულის დამხსნელს — ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია.

თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია.
შინ ულიით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!

მაშ მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა“.

(ქუჩიდან ისმის დედაკაცების და სოფლის პატარა ბიჭების ხმა: „ჯარს ვაემარჯოს, ჯარს გაუმარჯოს“. ისმის კიჟინა და ხმაურობა)

დ ე დ ა

(აღელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნისა მხსნელნი,
რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

(ჩამოიყვანს ლოგინიდგან, დედას შეუჯდება მხრებში და მიიყვანს ფანჯარასთან)

შ ვ ი ლ ი

შეხე, დედილო, ამ განწირულ ყმაწვილკაცობას,
ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას.

(დედა, რა დაინახავს ჯარს, ცრემლს ვერ იმავრებს და სტირის)

შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს.
დიდი, პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?

დ ე დ ა

ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიძღვაროთ!
ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ.
რომ ჩვენ შეგვასწროს მამულისთვის თავდადებულნი
კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მიმიყვა, შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.

(შვილს დედა უკანვე მიჰყავს)

ვაიმე შვილო, რამდენს დედა აუტირდება.
რომ ველარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!..

შ ვ ი ლ ი

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!

(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და გარედამ იძახის)

ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი

კაცო, წამო!.. რაღას იცდი, გვიგვიანდება.
დრო საშურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შ ვ ი ლ ი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული!
ჩემგან — მეომარს, შენგან — შვილსა ითხოვს მამული.

(დედა გადეხვევა შვილს და კისერზედ მიიკრავს)

შვიდობით, დედი!.. შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი! გზადა ვდგევარ, დაძლოცე შვილი.

დ ე დ ა

ვაი შენს დედას!.. მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლურია გული დედისა.
მაგრამ ნუ სწუხხარ... გადამივლის... შვილო, შშორდები?!
კაი თუ მოვკვდე და ვისგანღა დავიტირებ?

(სტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე უეცრად ხელს ანებებს და ზარდაცემულსავით თვალში თვალს უყრის და მცირეს ხანს ამ ყოფით არის)

დ ე დ ა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შ ვ ი ლ ი

(გაოცებით)

მერე, რომ მიყვარს?

დ ე დ ა

(ძლივს ბედავს თქმასა)

მასთან დარჩი!

შ ვ ი ლ ი

მერე მამული?

დ ე დ ა

(თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა, მამული!.. იგი უფრო საყვარელია,
მაზ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია.
ბაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოდა მარტო მოვკვდებარ,
ვიღა დამმარხავს?.. წადი... წადი... ნუ გვიანდები...

შ ვ ი ლ ი

ეჰე, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს **აძლევ უძლურსა...**
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში;
რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.

მშვიდობით, დედი! მეძნელება შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დ ე დ ა

(ღონემიხდილი გადიქცევა ლოგინზედ და სულთმობრძავი ამბობს)

ვაიმე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოდა ძნელია ყოფნა...
დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მაწულის ვალი.
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!..

(კვდება)

14 ივლისი, 1860 წ. პავლოვსკი.
(ბოლო რედაქცია 18 მარტი, 1871 წ.)

რამდენიმე სურათი
ანუ
ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ

(პოემა)

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.
შოთა რუსთაველი

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, —
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი,
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იძის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა.
მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა,
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მთქმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.

ყველაფერი ეძინა, დღით ფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაც ა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზე მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მავრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ ჰყრის კიდეც, ვით ღრუბელს ქარი.
მიდის ურემი და უეცრადა
ვილაცამ ტყიდამ ასკუპა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მედგრადა,
მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი.
— ვერ მიმასწავლებ კუდიგორის გზას? —
ჰკითხა თამამად მან მეურმესა.
— რატომ ვერ, ძმაო! აგერ აი მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხვდება:
იმ გზას დაადეგ, წადი, — და როცა
ცხვირწამოწვდილ მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება კუდი-გორაცა.
იქ რა გინდა შენ? — ჰკითხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება, —
იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,
ბიჭიაშვილი იქ იმყოფება.
ძე, როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრ შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც, თუ გებრალვის თავი,
ბიჭიაშვილს ნუ დაენახვები.
ურც დაანახვებ შენს ჭურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალია, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი:

თუ სისხლი ჰმართებს. ისა სჯობია,
შეარჩინო და აიღო ხელი.
— შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ.
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული:
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდგან თავზედ ხელაღებული! —
და რა თქვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა;
გაფრინდა ცხენიც, ვით შავარდენი.
და მის ფეხის ხმას ხმა მისცა მთამა.
თითქოს შენატრდა იმას მეურე.
„ახ ნეტავი შენ!“ — წაიდუდუნა
და, გაიქნივა რა თავი მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა.
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუღუნა.
ქუდი-გორასთან ერთი ტყე არი, —
ულწინ ყარაღის იყო საფარი.
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრობდა ბოკაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.
მთვარე ჩასული იყო დიდ ხნისა.
როცა იმ ტყეში, ერთ ხის ძირასა.
ფრთხილად ეძინა ბოკაშვილსა.
ბედისგან მწარედ განაწირალსა.
მის შორიახლო ღამაზი ცხენი
კაზმ-მოუხდელი ძოვდა ბალახსა.
და მას ცოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფრთხობდნენ მოსვენებასა.
უეცრად ზეკრთა, აცქვიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა:
მერე ტრიალით იწყო ფრუტუნი
და ერთ ალაგსა ზედ დააცქერდა.
დიდ ხანს უცქერდა და, რა მოეჩმა

თავისას მოიმის — ცხენის ფეხის ხმა.
ვერ მოითმინა, დაიხვიხვინა
და პატრონს ძილი დააფრთხობინა.
წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა,
და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჰკივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენ? —
რისთვის მოსულხარ, — მოყვრად თუ მტრადა?“

მხედარი

— მოყვრად, გულფიცხო, იყავ შეშვიდადა.

კაკო

— თუ მოყვარე ხარ, მაშ, გამარჯობა!
კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

მხედარი

— ამინ!.. შენ არ ხარ ბლაჭიაშვილი?

კაკო

— დიახ! გახლავარ!.. რა გნებავს შენა?

მხედარი

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა!

კაკო

— მომწონს ეგ სიტყვა... შენც მომეწონე
და ამისთვისაც გენდობი შენა.

— გულს გული იცნობს დ ღონეს — ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა!

?(ო

— ხოშ-გელდი, ძამო!.. მე ვარ მდიდარი
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;
გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.
ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია,
სად მიღამდება, იქ მითენდება...
თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება...
უსახლ-კარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში.
კურდღელსავითა ფხიზელი ძილი
და იარალი დღე-და-ღამ ხელში, —
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!..
მე თანა მყვანან რკინისა ძმები:
ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი...
არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი.
ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზრდილა,
მოუდრეკია როგორც რომ ჟინი;
ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა,
გამოუვლია ჭირი და ლხინი.
ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!
არ აიყრიან გულსა ჩემზედა,
და კაკოც ისე არ გაძუნწდება,
რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა.

ჩემი სიძდიდრე აი ეს არის!..
ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა.
ჩამოხედე, ბინას გაჩვენებ, წამო!
ღარიბულადა მე დაგიხვდები,
და ნუ დამძრახავ უაჩალსა, ძამო,
თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები.
მხედარი მყისვე გაღმოხტა მარდად
და წამოჰყარა ალვირი ცხენსა;
ჩამოუჭიმა ყურები მაგრად
და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა.
მოჰხსნა ნაბადი, ჩაკრული უკან,
ხურჯინიც საცხე გადმოიღო მან,
მერე გადაჰკრა ხელი გაფაზედ
და ბყრას გაიგდო ცხენი ბალახზედ.
შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი.
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს
და მოეწონნენ ორნივ ერთმანეთს,
მივიდნენ წყნარად და ბის ძირას დასხდნენ,
მდუმარედ იყვნენ ორნივ დიდ ხანად.
ერთმანეთს თითქოს კიდევ სინჯავდნენ.
ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად:
— ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები,
და არ დამძრახავ მეტ კითხვისთვინა:
მითხარ, საიდან გემცნაურები?
ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?

მხედარი

— შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაჭედ რალა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „კაკო“!

შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს:
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქცევიხარ უსამართლობას.
აბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი, —
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა
შვილსავით კალთით უტარებია,
ამა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურებია!
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
მისებრი შვილი ბევრიც ინატროს,
ერთანდელ დედამ ველარ გაზარდოს...
ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა;
შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი,
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა:
ბოლოს კი, ძამო, გამწყრა ღმერთი,
დამიტრიალდა უკუღმა ბედი!..
ყური ჩომიგდე, გეტყვი ყველაფერს,
რაც გადამკიდა მწუხარებამა.
და როგორც, ერთ დროს ბედის მაღლიერს,
გზა დამიხლართა ბედისწერამა!
მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა.
წამსვე ძროხაშ მე მიკრეს თავი,

ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა.
ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ლხინობდნენ და მე კი ლული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ.
დავიწყებოდათ თავის დარდები.
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!..
მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა, —
ჩემს ამხანაგებს გავექცევოდი.
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდ ხანს ვტიროდი;
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნაღველი;
პატარა გულმა გამოიდარა
და შეუბრუნა ნაღველსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი:
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე,
აღარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.
ძამო, რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!
არარა მჭონდა იქ საფიქრელად,
ჩემი მოძმენი არ მაძალებდნენ.
ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა,
გავიზიარეთ ყველამა საქმე,
და რიგ-რიგითა, ყველა ძმურადა
ვყარაულობდით ძროხასა ღამე.
რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა
და გაეკეროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.
და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთს დიდ ცეცხლს გავაჩაღებდი

და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალ[illegible]ა,
ცეცხლსა გარშემო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი
ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.
    რაკი ტრედისფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყებდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა.
ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა,
და თავის ძროხას ყველა ზლაზვნითა
ასაშვებლადა მიესეოდა.
ზოგი აქ მიდის თექა-მოსხმული
და მიიფშვნეტავს ზარმაცად თვალსა.
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული
და ერეკება თავის ძროხასა;
და ერთს წუთს უკან ძროხა ბღავილით
გაიშლებოდა ფართო მინდორზედ,
და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვგროვდებოდით მთის ცივ წყაროზედ:
პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხობდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით,
ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდარობდით
და ზეზეულად დავნაყრდებოდით,
მერე ვმართავდით თამაშობასა,
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა,
და შუადღისა გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა;
ალაზანშია ვყრიდით ძროხასა,
თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა...
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემ ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ეხლა ის ლხენა?!
საღამოს ჟამზედ ისევ იმ-რიგად

ცეცხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით.

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
და აჭამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.
ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა.
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა.
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.
ეგრეთ მინდორზედ, ძმაო, ვყვაოდი
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!
მე ჯერეთ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადლიერი ჩემ კეთილ დღისა.
და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
მადლიერია თავის ბედისა.

მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მ[illegible]ჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა
იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა,
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უვსებდა სახლსა.

ეგრე იქნება მუდამ, მეგონა.
მადლიერად და უნაღვლოდ მამა,
მაგრამ კი ბოლოს ის დააღონა,
მწარედ უმტყუვნა ბედისწერამა...
შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,
ყმის ბედი რარიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...
დრო გადიოდა და თან მოჰქონდა
მამიჩემისა უბედურობა,
მამა თან-და-თან მიბერდებოდა.
ბოლოს წაერთო საწყალს მხნეობა!..
თუმცა კი შერჩა წადილი ძველი,
შრომის სურვილი იმ უბედურსა.
მაგრამ არც ღონე და აღარც წელი
აღარ მოსდევდა დროგარდასულსა.
საბრალო მამა ჰხედავდა ცხადად,
რომ რამდენადაც ღონე აკლდება,
ოჯახი უკან მიდის იმდენად
და სახლ-კარიცა სულ ეღუპება.
იმ სიბერესთან იმ უბედურსა
ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება
და შეეყარა საწყალს, უძლურსა
გამუდმებული ციებ-ცხელება.
ეგრეა, ძამო, გლეხკაცის ბედი,
ის უკუღმართი, უღმრთო, წამწყმედი,
თუ ერთხელ ღერძი გაუბრუნდება,
სულ უკუღმართად დატრიალდება!
მაშინ შევიქენ მეც ოცის წლისა..
კვეხნით არ ვიტყვი, ბევრს ჩემ ტოლს ვჯობდი;
კარგად შემეძლო მოვლა სახლისა,

თუ გულსმოდგინედ მიეშველოდი.
მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა.
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვღუპავდი,
შინ კი ოჯახი მელუპებოდა.
ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული.
ილაჯნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იარლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა.
მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი.
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა-ჩემი გულმოწყვეტილი
იახლა ამ-გვარს უხამსსა ბატონს.
— „შენი ჭირიმე, — უთხრა, — ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტოხელი...
დამითმე შვილი... არ დამაღონო,
არ დამიღუპო ოჯახი ძველი!

ბატონი

— რაო, რას ბოდავ?!

მამა

— შენს სადღეგრძელოდ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ
და მერე თუნდაც ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-ბურს, გადასახადსა
ერთი-ორადა მოგართმევთ შენა:
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბატონი

— ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბძანებასა?
ჭოფაკო!.. ნუთუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?!

მამა

— არა მქონია მაგის ფიქრი მე,
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ჰხედავს, მე დავსნეულდი,
დონე, ილაჯი გამიწყდა სრულებ...
მარტო ვერას ვიქმ, მთლად დავუძლურდი,
ოორემ ჩემს შვილზედ არ შეგაწუხებ.
მინამ შემეძლო — სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღე-და-ღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა.
აწ არაქათი გამიწყდა სრულად.
უდროდ დავბერდი, ჯანი წამერთო,
ვეღარა ვუვლი ოჯახს ერთგულად,
თუმცა კი მინდა, ხომ ჰხედავ, ღმერთო!
ოჯახი ეხლა მეღუპება მე,
კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!
ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კვნესამე
შინამ პატრონი ცოცხალი არი.
სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამიღლია ძარღვი და მკლავი,
გამომიზრდია ჩემის ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა,
მძიმე უღელი მე მიწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,

ანდენი ჯაფა გაჰიწევია.
ნუთუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროო-დროდ, ადრე და მალე
მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი?
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე.
ნუ მიზამ მაგას. დამითმე შვილი!

ბატონი

— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვნი კარგ მეძროხესა?
ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაკს, ჩერჩეტას!
მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა „ერთი ჩაქვს — სჯობს ათასს მქონდეს“...

მამა

— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა მტლად დავედები!

ბატონი

— გამეცა, ვირო, ნუ მელრიჯები!

მამა

— რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა!
მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა. რა მეშველება,
მიბძანე, შენი კვნესამე, შენი!

ბატონი

— თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენაღვლება,
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი!

მამა

— შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში. —
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბატონი

— სუ! შე ქოფაკო!.. გაიკმინდე ხმა!..
ხმა... კრინტი-მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს.

მამა

— როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუპავ.
ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება.
შვილსა შიმშილით მამა უკვდება.
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა. —
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა.
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
ფუ. შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!.."
ეს იყო, ძამო! ამ სიტყვებში ჰქნეს
შვილის და მამის ურმრთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექნა, აბა, სთქვი შენა?

ეხვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულწაწყმედილს. საწყალი მამა!..
მაგრამ, როგორც ცივ რკინას და ქვასა,
ვერ დაულბო, ვერ, გული ხვეწნამა.
ის კაცი იყო... ვერ მოუთმინა
იმედგაწყვეტილ, მოკლულმა გულმა.
და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა
უსამართლობამ, წრიდამ გასულმა.
ჩიბუხის ტარით მამა-ჩემს მტრულად
ეცა ურჯულო ბატონი ჩვენი...
უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
არ გალახულა ოავისი დღენი.
საწყალი იყო თავის-მომწონე,
სირცხვილმა გული გადმოუბრუნა...
თუმც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე,
მაინც კი ხელი შემოუბრუნა.
როგორ თუ ხელი მომიბრუნაო,
„ბიჭო, როზგები! ბიჭო, როზგები!“
და მამაჩემსა მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმები...
როზგით მიცემეს მამა სნეული,
მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
იმისი კვნესა და მწუხარება
გულს მიკლავს ხოლმე, რო მაგონდება...
არც უღონობამ, არც სიგამხდრემა,
არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა,
არ მიპატივეს ბებერი მამა!..
მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი... —
გულამომჯდარმა წაიდუდუნა,
მერე მდუმარემ მწუხარე თავი
ამოიკვნესა და ძირს ჩაღუნა.
წამოხტა კაკო განრისხებული,
მას აერია სული და გული,
და შეუტია მწყრალად ზაქროს:

— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!
მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარვიყავ, ჩაგაძალლებდი
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა...
რას უყურებდი? ნუთუ სეირსა, —
როგორ სწუწვნიდნენ მამა-შენს სახსლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამა-შვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას!..
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აჰკუწე
სულწაწყმედილი შენი ბატონი!
ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი...
შენ, ძმავ, ყაჩაღად არ ვარგებულხარ!
შენ დედაკაცად დაბადებულხარ!
ფუ, მაგ კაცობას!

მხედარი

— კაკო, ნუ სწყრები!
კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლ ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა.
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური,
მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...
მინამ ბატონი ხელითა სცემდა —
როგორცა ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ“, რაღაცა ხმა მაძალებდა,

მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, — ვიცი, მამას მოჰკლაცდნენ,
მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჭამდნენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი, —
და არ მომეკლა. ულმრთოდ სტანჯავდნენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.
მაშინ კი, როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს, —
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდან გადვიგდე მაშინვე თექა
და როს ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი —
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა.

კაკო

— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...
შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა,
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,
აი, დალოცოს ის ქრისტე ღმერთმა —
ვისაც შენებრი დაჰბადებია!
ძამო, გამჩენის შენის ჭირიმე,
რაც წელან გითხარ, ყველა დამითმე,
ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ წინ თავი დაიღოს.

მხედარი

— განა საქებარი არის, რომ შვილმა
თავისი მამის სიცხლი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი,
თუნდა მხდალი და თუნდაც ვაჟკაცი.

ვით მეტი იყო წელან ძაგება,
ის მეტია ახლა ეგ ქება.
მაგრამ, ეჰ, კაკო!.. მე მაგ სიკვდილმა,
გულის ჭრილობა არ გამიმრთელა:
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა
მამას ვერაფრით ვეღარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ მეშინოდა...
მივვარდი მამას... უსულოდ ეგდო!
მუხლი მომეჭრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დალურჯებული
ეგდო უძრავად, გაშეშებული!
ვაიმე, მამა მე მომკდომიყო
როზგ-ქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად!..
მაგრამ, ეჰ, ძამო, რაც იყო, — იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.

და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული;
დიდ ხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა.

11 დეკემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

მეფე დიმიტრი თავდადებული

(ვუძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს)

უქმე დღე იყო, ტვირთმძიმეი და დამაშვრალი
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა;
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკედ და მდუმარებდა.

„ეჰ, რას ჰყაყანებთ, — დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა, —
შინაც ძლივს ვუძლებთ დღე-მუდამის ჭირს, ვაგლახობას!
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა...
ბრმა მეფანტურევ, გვითხარ რამე, მამა-შვილობას!

გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშოროს კარგის ამბითა...
კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრული,
გული გაზრდილი ვაებითა, წვით და დაგვითა“.

ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვილი გაუნათლდა რაღაც მადლითა;
მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა:

I

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა, —
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა.

იმ დროს, როცა ქართვლის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის-შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.

შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.

შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
ჩვენთ ერთი ემატებოდა.

ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.

უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის-თავს
შეაკლავდა როგორც ლომი.

მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად — ხმალი ხელში.

ეგრეთ, შვილნო, აქ სცხოვრებდა
უწინდელი ქართვლის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.

მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლი' ა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...

II

„ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ.
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაჭკიეთ...

რაც ვყოფილვარ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით..
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ჩრდად გაკედებით.

წინა-კაცი უკანასკ
ნიდიაო, ნათქომია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.

ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.

ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართვლის ერი.

III

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:

ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.

დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-ბრტყელი, ტანმაღალი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.

კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარეთ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.

მოივლიდა ქვრივს და ობერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა —
წავა — იმას შეხჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.

ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

IV

„მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,

მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.

ერთხელ ყეინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
იჩქარავრა და გადიყენა
ნაბევარი სათათრეთი.

მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაჟი-კაცის წესი არის —
კაცს შეჰრჩება ძმასავითა.

შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეინი და გადგომილი;
ძმას ძმის ძალი ატეხინეს.
მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.

დამარცხდა ბოლოს ყეინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.

ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
ცხენსა კუდით ათრევინა,
საცა კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

V

„ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც...
— «რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ,
თუ პირში სული მიდგაო».

გაუგზავნა მოკიჟული:
— «გამოცხადდი ჩემ-წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ავადენო».

დაგვიღონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს.
ისიც იცის, — იმ ღვთის-რისხვას
ჯართ სიმრავლე შესწევს ქადილს.

რა ჰქმნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა...
— «წავალ — მომკლავს და არ წავალ —
ამიოხრებს ქვეყანასა».

ბოლოს ბრძანა: — «თავს მოვუყრი
მღვდელმთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო —
წესია მეფეთ ქებულთა.

ვნახოთ ერთი, რას მეტყვიან, —
წასვლას, თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ, -
მეფის, თუ ქვეყნის დამხობას?»

VI

„ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელმთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები.
ბჭე-მდივნები, სპასალარნი.

წადგა მეფე კრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ, დიდმა და პატარამ
თაყვანი სცეს ბატონს ყმურად.

ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჭვრეტით, ყურებითა.

უბძანა თუ: — «დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს, — ან მე ვიყო,
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.

შეიტყობდით, მომივიდა
ყეინისა მოციქული.
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.

თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა.
საცა კი ფეხს დავადგამო.
ავადენ ნაცარ-ტუტასა.

თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება».

VII

„დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი,

მივიდნენ და თაყვანი-სცეს,
ემღვრიათ მწარედ გულნი.

— «მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!

თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი, ქონება...
ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არვინ დაგვებადება.

მოვიდეს, რომ იმუქრება
ის ურჯულო სისხლის-მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.

მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წიხ
ქაროლს უკან დაუწევია!

ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანებთ,
ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.

სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა წენსა შემნატვრელსა.

ნუ. ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილის-შვილამდიე...

აქ მოვიდეს, მის დახვედრა
აწ ჩვენს ქედზედ დააჭდიე».

VIII

„ეხლა წადგა სპასალარი...
— «მეფევ, რაც სთქვეს, მართალია
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, —
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!

თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის,
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, —
სახელიო, ან სიკვდილი.

ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ, — მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი».

ბატრწმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებული,
დიდ ხანს იყო დაღონებით
ეგრე თავჩაკიდებული...

IX

„ბოლოს ბძანა: — «ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს.
მითხარით, **რა** მადლი არი!

ათი ერთზე **რომ** მოვიდეს,
მუჭარას მტერს შევანანებ;

რა ვქნა, — ასი ერთზედ მოვა,
ამას ვწუხვარ და ვვალალებ,

ჩვენი კაცი ერთი — ასსაც,
ვიცი, არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს,
ხალხი ურგოდ გამიწყდება.

მერე უკაცურს ქვეყანას
დასწვავს, დაჰბუგავს, დაანგრევს,
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს, მიანგრ-მოანგრევს.

ხატებს, მამათ სალოცავსა
წამურტლავს და შეგვიგინებს,
ამოიღებს მკვდრებს საფლავით,
ძაღლსა და ღორს ათრევინებს.

ქალწულთ-ქალზე ძალით მივა,
წაჰბილწავს, ნამუსს დაუმხობს;
ორსულ დედაკაცებს კიდევ
მუცლებსა ხანჯლით დაუპობს.

დედას თავის ძუძუთა-შვილს
კბილითა დააგლეჯინებს,
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს ალეწვინებს.

X

«ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.

ქვეყნის ამოდენი ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება!

ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.

მე მეფე ვარ და მეფობის
რაგიც ვიცი რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...

სირცხვილს ამბობთ! — რა სირცხვილი?
მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სიხლსა
თითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს — მთელის ერისათვის!..

არა! წავალ, არ დავდგები,
დე ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა.

XI

«შენ რას ბძანებ, მღვდელმთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად:
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასაწირად?»

აჩქარდა და მოახსენა:
— «ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს.
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.

მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის.
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.

მეფევ, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...

ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია,
მოყვასთათვის თავდადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.

ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის-სოფლის გულისათვის!..»

XII

„მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელმთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული:

— «დიდებულნო, ხომ იცნით,
რაც სთქვა წმინდა მღვდელმთავარმა!..

მოყვასთათვის თავდადება
გვიბძანაო მაცხოვარმა.

ნუ გადმიყვანთ ღვთისა სიტყვას,
ერს მეჯე ვერ ვუღალატებ!..
წავალ და თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავსდებ.

მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გყბარებოდეს,
ღარიბს ისე მოუაროთ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს.

გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.

თუ დავბრუნდი, თქვენს სამსახურს
გადაგიხდით ორად ერთსა,
თუ არა და — სული ჩემი
შეავედრეთ მაღალ ღმერთსა».

ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი:
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია.

XIII

„ბრძანა და მსწრაფლ დაიშალა
დიდებულთა იგი კრება...

უხმო მხლებელთ და უბრძანა
წასასვლელად მომზადება.

სთქვა და ურდოს კიდეც წავა
მეფე იგი უშიშარი,
თქმულა: გმირის კაცისათვის
თქმა და ქმნაო ერთი არი.

გაათავეს სამზადისი
და მოვიდა დღეც წასვლისა:
ვით ჯინჭველა ჰფუსფუსებდნენ
შინა-ყმანი სასახლისა.

ხმა გავარდა ქალაქშიაც:
მეფე ჩვენთვის სდებს თავსაო,
უშლიდნენ, არ დაიშალა, —
ვერ ვუღალატებ ხალხსაო.

შეიძრა მთელი ქალაქი,
ხალხი ეკა ერთმანეთსა,
მოზღვავდა და იგრიალა
და მიაწყდა სასახლესა.

მივიდნენ, ნახეს მზად არი
რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით
მოედანი სასახლისა.

წინათ ბარგით გაეგზავნათ
ჯორი, ცხენი დატვირთული,
აქ ვინც იყო, სალთად იყო.
ტურფად კაზმულ-დარაბტული.

XIV

„თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,

ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა. —
ყველა ასე კარგნი იყვნენ.

წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის ჟღერა,
საამოა გაწყობილის
ვაჟკაცების რაზმის მზერა!

კაცი თვალს ვერ აშორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დასდებდა
მათს სიკეთეს, სიტურფესა.

მარქაფად ცხენს ბევრს სხვასაცა
რაზმ-გარეთა ატარებდნენ,
მათი მხედნი დიდებულნი
მეფეს სასახლეში ახლდნენ.

იმ ცხენების მორთულობა
კაცს უშურველს შურს მოჰგვრიდა,
მძიმე რახტით დატვირთულნი
თითო — თითო სოფლად ჰღირდა

მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული.
უკეთესს ვერ ინატრებდა
კაცის უძღომელი გული.

მეფისა იყო ის ცხენი,
თამამი — თითქო ვეფხვია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერვის შეედგა ფეხია.

ამაყი იყო ლომსავით
და ნაზი, როგორც შველია,

სხვა მას ვერ იმორჩილებდა —
თუ არა ბატონის ხელია.

ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, სჩექდა, მრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა სცემდა.

XV

„გამობრძანდა ბოლოს მეფეც,
თან გამოჰყვნენ დიდებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი,
სამგზავროდ გამზადებულნი.

მეფეს ახლდა მხარმარჯვნივა
გულმწუხარე მღვდელმთავარი
და მხარმარცხნივ — შუბლშეკრული
ჯავრით სავსე სპასალარი.

მღვდელმთავარი სწუხს და ჰვაებს
მეფის თავგადადებასა,
სპასალარი კი ჰთაკილობს
უომრად დამარცხებასა.

ხალხიც დაჰხვდა თავის მეფეს
ვიშითა და წუხილითა,
მეფეს გული ამოუჯდა
მათთვის გულის-ტკივილითა.

უბძანა თუ: — «რასა სწუხხართ?
იქმნას, რაც კი საქმნელია!..
ერისათვის თავდადება
მეფისათვის სახელია.

რაც მომივა, მომივიდეს,
მე იმისთვის არ ვინაღვლო...
თქვენ ჭირს დაგხსნით... დეე, ვიქნე
მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო».

ხმა ჩაუწყდა, ველარ-რა სთქვა,
მოეგუბა თვალში ცრემლი...
თქმულა: ქვასაცა მაგარსა
გასტეხს ტყვიის რბილი გრდემლი.

მოუმატა ხალხმაც სულთქმა.
ხმა გაისმა ქვითინისა,
გულსა ჰკლავდა გლოვა, ვიში
ობლისა და ქვრივ-ოხრისა.

XVI

„უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,
ხალხი გაირღვა შუაზედ,
ორს მარჯვე ბიჭს ბერი-კაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.

მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი,
მკერდზედ სცემდა თოვლივითა
მოხუცებულს თეთრი წვერი.

მოვიდნენ და გააჩერეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხდნენ,
თუმც ყავარჯენს დაებჯინა.

ის ამ ქვეყნის ალარ იყო,
ფეხი ედგა სამარეში,

მაგრამ მაინც კი უცემდა
ადრინდელი გული მკერდში.

XVII

„მოახსენა: — «ჰე მეფეო,
ნუ შემრისხავ ერთგულ ყმასა!
მე ხომ მხედავ, გარდასრულვარ,
სამარიდამ გაძლევ ხმასა.

მეფევ, კისრად აგიღია
ტვირთი ჩვენის შავის ბედის.
ბედისწერას მისცემიხარ
უბედურის ჩვენის ქვეყნის.

ვიცით, რომ არ შეშინდება
გული მეფის დიმიტრისა,
როცა ნდომობს თავგაწირვას
დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.

მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ?
მამობასა ვილა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?

ერს ოფლის მღვრელს და ტვირთმძიმეს
ჰირსა ლხინად ვილა გვიქცევს?
წუთისოფლის მძიმე უღელს
შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?

ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ჩვენს ბედსა და მშვიდობასა
ვეღარ მოუმართავ ხელსა.

ჩემებრ უძლურს, გაჭირებულს
შენ ვერარ მიეშველები,
ლარიბს, ობოლს, ქვრივს და ობერს
პატრონად არ ეყოლები!

XVIII

«ნუ სწუხხართო!.. განა, მეფევ,
ჩვენ ხელთ არის ეხლა გული?
რკინაც იყოს — მაინც დასდნეს
ამებრ ცეცხლში ჩაგდებული.

გულს რად გვიკლავ? რად მიდიხარ?
ნუთუ, მეფევ, ხსნა არ არი!..
ჭუდზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.

ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯერ უნახავს ქართვლის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლევია.

აჰა, მეფევ, ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია;

მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გაჩვენებენ,
რა ლომებს ჰზრდის ქართვლის ბუდე.

შეჰკრიბე დიდი, პატარა,
გაუძეღ წინამძღოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუ-დგეს,
დედა შეერთოს ცოლადა!

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადაჰხედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.

ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!..»

XIX

„უბრძანა თუ: «ბერო-კაცო,
მესმის შენი ერთგულება...
შაბაშ ქართველს!.. გული თურმე
სამარემდე გულად ჰრჩება.

მაგრამ გეტყვი: ჯარს არ შევკრებ,
არ ვინდომებ სისხლის ღვრასა,
მარტო ჩემის გულისათვის
არ შევაკლავ მტერს ათასსა.

ჩვენის ქვეყნის შავი ბედი
როგორც ტაროსი იცვლება,
დრო მოვა და თქვენი თავი
უფრო მეტად დასჭირდება.

მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის ჩენა;
თუ თქვენ მე არ გემეტებით,
მე რად გაგიმეტოთ თქვენა?..

განა თითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ ედვა,
არ ინება და ქვეყნისთის
ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა.

XX

«მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდე'ს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

არ დავიშლი, ვსთქვი და კიდეც
თავი უნდა გავიწირო,
ისე მოვკვდე, რომ ჩემ გამო
დედა შვილზედ არ ვატირო.

წავალ-მეთქი!.. თუ ღმერთს უნდა,
მოხდეს იგი, რაც მიმელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება
საყვარელის ჩემის ქვეყნის.

ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!..
აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა.

თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ
ხოცვა, ჟლეტვა, სრვა და რბევა...
მე კი... მეყოს, თუ გამყვება
თქვენი ლოცვა და კურთხევა».

XXI

„თითქო ზეცით ზარი იყო,
თითქო ღმერთი მოევლინა, —

ხალხი პირქვე მყის დაემხო
საკვირველის მეფის წინა...

თურმე დიდებას მადლისას
კაცი მსწრაფლ დაუმონია,
ვით დიდს ბოროტს, ისეც დიდს მადლს
თავისი ზარი ჰქონია.

XXII

„მეფეს ერი შეეცოდა,
სთქვა: — «მეც ვსწუხარ, რომ გშორდებით;
ღმერთს ვსთხოვ იყვნეთ ჩემს შემდეგა
მშვიდობით და გამარჯვებით.

ნურას გიკვირთ, რომ ქვეყნისთვის
მეფე თქვენი თავს არ ჰზოგავს!
ამაზა იქმს ყველა, ვინც კი
ჰკუით სჭრის და გულით ჰზომავს.

მე მივდივარ!.. მეფე თქვენი
დიდს და მცირეს გეთხოვებით,
რაც დაგაკლეთ, ნუ შემრისხავთ,
რაც შეგცოდეთ, შემინდევით».

ბძანა და ცხენიც მოართვეს,
ზედ მოახტა ვეფხვსავითა;
ცხენზედ იგი დალოცვილი
გამობრწყინდა მზესავითა.

მტერსაც კი რომ დაენახა
თვალი გაუშტერდებოდა;
მისებრი ცხენზედ მოხდენა
ბევრს ვაჟკაცს ენატრებოდა.

გამოეთხოვა ყველაკას,
ვინც კი შინ, სახლში ჰრჩებოდა,
სხვა კი ამხედრდა დიდკაცი
ყველა, ვინც უნდა ჰხლებოდა.

ამხედრდა თვით მღვდელმთავარიც,
შინ დარჩენა არ ინება,
შეევედრა თან წაყვანას
და მეფემაც დართო ნება.

წაბძანდა და თან იახლა
ის ამალა და მხედრობა,
უკან მისტირს ერი, ბერი,
გლეხობა თუ დიდკაცობა.

XXIII

„მინამ მეფე მიმავალი
ურდომდინა მივიდოდა,
იმისი მისვლის იმედი
ყეინსა გადასწყვეტოდა.

ებძანა თავის სარდლისთვის:
— «შეჰკრიბე ჯარი, ლაშქარი,
წადი, დიმიტრი მომგვარე
ან ცოცხალი, ანუ მკვდარი;

თუ არა, იმის ქვეყანას
შეესიე და მოსრეო,
სულ ძირს დაეც, რაც წინ შეგხვდე'ს,
ქალაქი თუ სიმაგრეო.»

წინ შეხვდა მეფეს ეს ჯარი,
მრავალი და უთვალავი,

მაშინვე მიხვდა: აქაო,
ამბავია რაღაც ავი.

უხმო მხლებელთ და უბძანა:
— «ფიცსა გთხოვთ და უნდა მომცეთ:
თუ უკადრისი მაკადრონ,
თქვენ არავინ ხმა არ გასცეთ.

თავს დაიხოცთ, ვერას უზამთ,
ჯარია მოზღვავებული;
თქვენს სიკვდილსაც არ იკმარებს,
თქვენ-გან გაბოროტებული, —

წავა და ხალხს ამოგვიჟლეტს,
აგვიოხრებს ქვეყანასა...
ნუთუ მთელს ხალხს ანაცვალებთ
ვაჟკაცთა თაკილობასა?!

ღმერთს აცადეთ... დეე, იქმნას,
რაც ჩემს თავზე განგებულა!
საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო,
ბრძენთაგანა ასე თქმულა.

კვლავ ფიცსა გთხოვთ: სისხლს ნუ დაღვრით,
ნუღარ დამიმძიმებთ სულსა!..
განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
ყმის სისხლს უქმად დანთხეულსა».

XXIV

„რას იქმოდნენ? მისცეს ფიცი
გამწყრალთა, გაბრაზებულთა,
სირცხვილის ჭამა ირჩიეს
ქვეყნისთვის დავალებულთა.

ბეერმა იკრა გულში ხელი,
სთქვა გულმწარედ: «ვაი დედას!
დრო მოგვივა და ამ თათრებს
არ შევარჩენთ ჩვენს შერცხვენას!»

ბატონმა ბძანა: — «ვინა ხართ?
წადით, ჰკითხეთ — რა სწადიან?
თუ მე უნდივართ, აქა ვარ,
ჰქმნან ის, რასაც მიქადიან...»

მალე დაბრუნდა უკანვე
მეფის კაცი მოციქული,
მოახსენა: — «სარდალს ვუთხარ,
მეფევ, შენი ბძანებული;

მითხრა: — «მეფე შენი გვინდა,
თუ მოგვცეა თავის ნებით,
არას ვერჩით თქვენს ქვეყანას,
აქედამვე დავბრუნდებით...»

იამა, ბძანა: — «მადლი ღმერთს,
რომ ქვეყანა გადმირჩება
და ცოდვილი ჩემი სისხლი
ამაოდ არ დაიღვრება.»

თვით წაბძანდა სარდლისაკენ,
მის წინ შეაყენა ცხენი,
უბძანა თუ: — «მე ვარ მეფე,
რაც გენებოს, იგი ჰქმენი.»

მისცვივდნენ უკადრისადა,
ვით ძეს ღვთისას ურიანი,
შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
მეფე, ხელმწიფე სვიანი.

XXV

„მიჰგვარეს ყეინს ურჯულოს,
სისხლმსმელს ადამიანისას...
საღერღელი აეშალა,
ვით კრავის წინ მხეცსა ტყისას.

გაწყრა: — «როგორ გაბედეო,
არ გადუდეგ ჩემს მოსისხლეს?
სთქვი პასუხი და იცოდე,
შენი განკითხვის დღეა დღეს.

იცოდე, რომ წინვე მითქვამს:
თავი უნდა მოგეკვეთოს!
ამის შეცვლა თვითონ ღმერთმაც
ჩემმაც მე ვერ შემომბედოს.

მინამ მოგკლავ, მსურს აქ ჩემ-წინ
შეინანო ბრალი შენი,
აქ ჩემ ფეხთ-წინ აღიარო
შენვე შენი სიმუხთლენი...»

მეფემ უთხრა: — «შენისთანა
ჩემი რა გამკითხველია!
ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხვნელია.

შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.

ჰქმენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ, —
რათ გწადს მომკვეთო თავიო...

სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ,
სვავო, რათა ხარ სვავიო?..»

გაწყრა ყეინი ამაყი,
ეს როგორ გამიბედაო!
უბძანა: — «ჰგვემეთ და სცემეთ,
ბნელეთს ჩააგდეთ ეგაო.»

წაიყვანეს მეფე ჩვენი
და საბნელეთში ჩააგდეს;
შემოარტყეს გარს მცველები,
კარს კლიტეები დაადეს.

XXVI

„სასჯელი დაუგვიანა
იმ ღვთის-მგმობელმა თათარმა,
მინამ მოაკვლევინებდა,
სცემა, ჰგვემა და აწამა;

აწამა, ვით სვაკმა ტრედი,
მეფე იგი საკვირველი
და ვერ გაძლა მის წვალებით
ის უღვთო და სისხლის-მსმელი.

ერთხელ მეფე, ნაწამები
ძლიერად და ულმობელად,
ბნელში ეგდო ძალმიხდილი,
უპატრონოდ, უზრუნველად.

როცა ღონეზედ მოვიდა,
ადგა, მუხლი მოიყარა,
პირქვე დაემხო ლოცვითა
და ცრემლები გადმოჰყარა.

მოსთქვამდა თუ: — «ღმერთო, ღმერთო!
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.

მე არა გთხოვ, — მანდ წამება
აქ წამებით შემიმციროო,
მე გთხოვ, — სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი სხვისთვის შეიწიროო.

ღმერთო, ღმერთო!.. თვალ-წინ მიდგა
დიდ ტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი.»

XXVII

„უეცრად კარი გაიღო,
რკინით, კლიტით დაჭედილი;
ორი ვილაც შემოვიდა
ფეხაკრეფით, როგორც ჩრდილი.

მოვიდნენ და თაყვანი სცეს
მეფესა გაოცებულსა...
მერე იცნა, მისნი იყვნენ
და ჩაიკრა ორივ გულსა.

მოახსენეს: — «შევისყიდეთ
და გავტეხეთ ჭრთამით კარი...
ყველა მზაა!.. თავს უშველე,
აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი.

ნუღარ იცდი... თუ არ ეხლავ,
მერე გვიანლა იქნება:

ხვალ თავს გჭრიან, — ასეა
ყეინისა თურმე ნება.»

უბძანა თუ: — «ადრეც მითქვამს,
არ გადვირჩენ სხვისით თავსა,
ჩემ-მაგიერ არ დავღუპავ
ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.

ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვა
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
არა, არ ვიქ!.. ტყუილია
თათბირი და ყველა რჩევა!»

ბევრს ევედრნენ და არ გაჰყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათ ხვეწნას და მუდარათა!

XXVIII

„გათენდა დღე ზართ-ამხდელი,
ვაი იმა დღის დამსწრესა!
ტყვე მეფე გამოიყვანეს
მოედანსა თავთ-საკვეთსა.

ხალხი, თამაშად მოსული,
ვით ჯინჭველა ირეოდა,
თვით ვეზირიც ყეინისა
იქ იყო და რიგს აწყობდა.

ვეზირს გვერდთ ედგა ჯალათი
ერთი რაღაც საზარელი,
იღლიამდინ დაემკლავა
ძარღვიანი ტლანქი ხელი.

ამ ორ შუა ჩააყენეს
ფერმიხდილი წვალებითა...
დადგა მეფე... ღმერთს შეხედა
ნაღვლით საცხე თვალებითა.

მერე თვალი იმავ ნაღვლით
მოედანს შემოატარა...
ის ყოფა და ის ჯალათი
სანახავად შეეზარა...

შეჰკრთა როგორც ხორციელი,
უმისოდაც ქანც-წყვეტილი,
დასუსტდა და წაბარბაცდა,
როგორც ერთი დაბნედილი.

მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სული...
ამ დროს ტირილიც მოესმა,
ქვითინი გამწარებული...

გაოცდა და მიიხედა
ჰნახა თვისნი დიდებულნი!..
სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ,
ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი.

მღვდელმთავარიც მათთან იყო,
თავთ იკემდნენ, პირს იხოკდნენ,
მათის ცოდვით და ვაებით
ქვებიც კი ატირდებოდნენ.

თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი ტომი,
ქვეყანა და თავის ერი...

ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია!..
ამას კი ველარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!..

მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: — «დამიხსენი!..
რაც გადამხდა, ისიც კმარა!..»

სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...
— «ჰა, ჯალათო!» — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.

მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა“.

[1878 წ.]

განდეგილი

ლეგენდა

(ვუძღვნი ოლგა ჭავჭავაძისას)

I

სადაც დიდებულს მთაზა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ერიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჰქონა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა.
აქ ჰლიოსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით ამ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
და ეს ადგილი, ის არე-მარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება.
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჰქონა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს, იმ გაუქმებულს,
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,

ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ხიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი —
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.
დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა.
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა.
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მალალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღალადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სუნაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,

იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრობდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

VII

ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული,
უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი.
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი,
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

VIII

დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჰექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჰექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჰექა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარეულით ღრუბლების სრბოლა,
ქართა აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა,
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა.
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა.
ყური ათხოვა — და თითქო ვიღაც
ჰკივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,
და ვით ყრმა ვინმე, ღაღადების ხმით,
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?

მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის,
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა, — „ვინა ხარ? კაცი თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
— „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამიწასა?
რა დროს კითხვაა?.. შემიბრალე მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა“.

X

— „მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს“.
და იმ ბნელაში იგი წვალებით
ავიდა მაღლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სიწყვდიადითა.
— „გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა“.
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარეთ, ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღვივლფად ქცეული
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლ-ქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედა-ღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში თქვა მწირმა: ძეა კაცისა
და არა მავნე, ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქექა, ჩაჯდა ცეცხლა-პირს
და გაიწოდა სათბუნად ხელი.
— „უჰ, უჰ, რა ცივა!.. — სთქვა მან სტუმარმან: —
ლამის გავშეშდე სიცივისაგან!..“
მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ, ამისა ფიქრმა
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულდამშვიდებით.

XII

— „შეშა არა გაქვს? — ჰკითხა სტუმარმა: —
მოიტა, ცეცხლი ავანთო ერთი,
ხვალ თუნდა მთელს ზურგს მე ამოგიტან,
ოღონდ დღეს გავთბე, შენ შენი ღმერთი“.
მეუდაბნოემ იქავ კუთხიდამ
მოზიდა შეშა, ცეცხლი აანთო.
რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკი სინათლით მოართო.
ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,

გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალ-წინ წარმოედგინა:
ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა.
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა.
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

XIII

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის ამშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს მშვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

XIV

ბოლოს ჰკითხა მან: — „ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
— „მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ
ცხვარს ვაძოვებდი მამი-ჩემისას.
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყევ ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა-რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
ვევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი: —
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ, მზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ,
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,
მთიდამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,
გვიანღა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,

ცხვარი გამიფრთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!.. რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზე, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

„დავლუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის-ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავლუპე, — ეგ ერთად-ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამოდა,
ჰჭექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ
თითონ მთის ძირიც ძრაოდა, ძრწოდა.
რა მექნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ვსთქვი, — აქაც დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?

XVII

„დავრჩენილიყავ, მერე ვინ იცის,
გავაღწევდი-ღა ამ ღამეს ბედშავს?
წავსულიყავ და ამ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა.
ვსთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,
რომ მონასტერში ვიღაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდხანს,
შენც კი კარგახანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, — ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე“.

XVIII

— „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენე შემწყნარებელი“.
— „შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე“.
— „ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდეგილს მწირს!“
— „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“

— „მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“.
— „მას აქეთ ბევრი წელიწადია?“
— „არ ვიცი“. — „როგორ?“ — „არ ვთვლი წელთა-სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა-ცვლას!“
— „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“
— „ეგეთი არის, სჩანს ნება ღვთისა“...
— „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“

XIX

„ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომვონებია მამის ნათქვამი, —
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო.
გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..

XX

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?!“ — „რა გითხრა, შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
— „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“
— „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

XXI

„უბედურსაო?!“ და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო?!“ ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,

განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა?

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი მშვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისაჯა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია.

XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული,
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკბობს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდ-ხანს დასცქერდა.. ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

XXIV

ფეხი წინ წადგა... არ კი იცის რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,

უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ!
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!..
მის საზოგება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს.
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

XXV

მაგრამ ეს რაა?.. „წაწყმდი თუ არა!..“ —
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!..“ — ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!..
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა.
მით რა ეშველა?.. იგივ ქენჯნაა.
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუთუ ღვთის-მშობლის საფარველ-ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,
თვალთ წინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?
პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

XXVII

რიჟრაჟი იყო და თენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი,
და დაწყნარებულს წუთის-სოფელსა
დილის ნიავი დაჰქროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვინც სიკვდილი გაფითრებული.
აჰა, მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალებით უქცერს მთის წვერსა.
თითქო იქიდამ გამოელისო

თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედნა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა..
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არარა იყო,
და ეხლა წუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.

XXVIII

გულზედ მოეშო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი,
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმეროსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, —
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჰექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

6 თებერვალი, 1883 წ.

მგზავრის წერილები

ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა-ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირ-დაუბანელმა და თავ-დაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის „პოვოსკა“ მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყუული სანახაობა, მისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავოდ, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, — პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ.

როცა ავიბარგე, ესე იგი, ჩემი ერთად-ერთი ბოხჩისოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე „პოვოსკაში“, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

— ეგ ეტლი ვისი მოგონილია? — მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოჩტის „პოვოსკაზედ“, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

— რუსისა, — ვუპასუხე მე.

— მგონი. არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გააღღვებინოთ გულ-მუცელი.

— არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

— მაგით დადის?! იმიტომაც არის შორს წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი ხელს, როგორც მარტო ევროპელმა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექ.

პოვოსკა ჩემს ჩაჯდომაზე შეტოკდა. „იამშჩიკმა“ თვალები აახილა და მე ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო“, დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილს ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ. Ну, чо-о-рт, трогай, што-ли! — დაიყვირა „იამშჩიკმა“, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

— მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! — ხითხითებდა იგი. — ვიღა დაეწევა!

თუმცა მე საქმიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყარალად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქროდა: შენც ეგრეო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგანს თითო შოლტი გადუჭირა. ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპი ტლინკი აყარეს. როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი „პოვოსკა“ და ძუნძულით გასწიეს. დანჟღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარა-ჟღური, „პოვოსკამ“ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა.

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგ-დალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა-და თერგ-დალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ რომ, მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინც-და-მაინც, ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხუ-
რავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდერესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ

მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩვენო დაუმოსავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!..

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?"

შუა-დღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შეუკვეთე. ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზე და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწდი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა, ოთხი წელიწადი!.. რაც მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

III

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვა-რიგად დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა

სტანციის ოთახის ტახტზედ მამა-პაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალ-წინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე — ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! - რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოსდაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ. V

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა ყოველმა თითოეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნებ მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულს და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეც, რადგან ჩემში მაინც-და-მაინც ჩემი ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედ-

ნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არ ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ, იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულისშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

— მართლა-და რა უნდა ვქნა? — ვკითხე ჩემს თავს ხმა-მაღლივ.

— ჩაი უნდა მიირთოვო, — მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა.

— ჩაიო!..

— სამოვარი იმისთვის არ მიბრძანეთ? — მიპასუხა სულელმა გუშაგმა და გავიდა გარეთ. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო და ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება აბეჭდავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა. თვალად ერთი ოც-და-ათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

— ნება მომეცით, — მითხრა მან რუსულად, — გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პოდპორუჩიკი N. აქ ლარსში ვდგევარ, როტა მაბარია.

— ძალიან მოხარული ვარ, — ვუპასუხე მე, წამოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

— საიდამ მობრძანდებით?

— პეტერბურგიდამ.

— ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნება-ღა მაქვს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულს ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბა-

ასოდ, გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ჭკვის საზდოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — მკითხა მან.

— მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლიდარი.

— დახლიდარიო!.. — თქვა და ტუჩები აიპრუწა.

— დიაღ, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

— საიდამ მოდიხ-ა-ართ?! — მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

— პეტერბურგიდამ.

— ჰმ, — ჩაიცინა აფიცერმა, — პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა, პეტერბურგი!.. ძალიან კარგი ქალაქია. — თქვა ესა და არხეინად ჩამოჯდა სკამზედ: — პეტერბურგი!.. ო, ო, დიდი ქალაქია. პეტერბურგი!.. ვრცელი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზლერის ბაღი ხომ გინახავთ?

დავუგდე კი ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი, მაგრამ გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შევატყე-რა.

— არა, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? — მკითხა კიდევ იმან.

— პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? — ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასკნელს კითხვაზედ.

— არა, ჯერ ეს მითხარით: იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, ესე იგი, ქართველები თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგნიდამ მეორე-

ზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიწოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით, მგონი, თქვენ არც კი იცით, — რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოღია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია, თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდამ თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურგიც არ გინახავთ.

— მინახავს.

— გინახავთ? მაშ თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ. ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მოხარული ვარ, იზლერის ბაღი? როგორი ბაღია, ჰა? ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები, ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქნება არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ, იმასა ჰნიშნავს, რომ ის ბაღი სავსეა ულუნუთვალებიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზლერის ბაღი განათლების გვირგვინია, ასეთი ბაღია, რომ „მწუ“.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

— მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

— თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

— მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავაზებთ ჩაისა.

— არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

— რომიც, რასაკვირველია, გვექნება.

— მაგაზედ კი უკაცრავოდ.

— ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

— ქართველი.

— ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ бежали робкие грузины, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოეტსა. პაპიროსები კი, რასაკვირველია, გექნებათ.

— გახლავთ.

— იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ.

— დიდის სიამოვნებით. ინებეთ.

— აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგა-და-შიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად გითარგმნით და ამრიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებას გაგიადვილებთ.

მე ჩაი დავასხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა.

— თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვათ, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია, ხომ გესმით?

— ძალიან კარგად.

— აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებასა. ახლა დავიწყოთ იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა გახათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

— არა, სტავროპოლში ვიყიდე.

— სულ ერთია. ახლა დავიწყოთ, როგორც წეღანა ვთქვით, იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმას ნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია, ხომ გესმით?

— დიაღ, კარგად.

— ახლა რაკი იქიდამ დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

— წარმოვიდგინე.

— არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

— დავკეტე, — ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა.

— ძალიან კარგი, რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

— ჩამოვაფარე.

— რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ველარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი,

განათლებაც ეგ არის. სწორედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროსია ურიგო, პეტერბურგიდამ იქნება?

— არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

— სულ ერთია, ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

— ძალიან. კარგად.

— ახლა, რადგანაც აგიხსენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

— მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

— ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ მიდის: რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

— იქნება, ერთი ოციოდე მოგროვდეს.

— რაო, ოციოდეო! ო, ო, ეგ დიდი საქმეა, — წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, — ოციოდეო!.. ამ კრთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვა, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტაცკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

— არა, თქვენმა მზემ, — დავუფიცე მეც. — არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

— ოციოდე მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

— იქნება სამოც-და-ათი.

— შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება. დიდი საქმეა. მე ეგ არ ვიცოდი, ან საიდამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში

ვარ. სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

— რა იმოქმედეთ?

— რა ვიმოქმედე! ადვილი სათქმელია. აი ბატონო, რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს, მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარას დარჩა. შეწუხდა ქვეყანა. მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას. — ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი. მადლობა ღმერთს, ვუშველე კიდეც. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ—რისთვისაო? იმისათვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ეხლა ყოველ დილას ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინად ვარ: ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისათვის არ გამომჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ — თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ ერთი ეს არის, რომ არაყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშვე-

ლუ-რა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩობიან — губа не дура. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანსიელებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდ-არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რაები არიან? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოვდიოდი, თუმცა კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი; მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ეხლა სხვა ჩემისთანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზლერის ბაღი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში. იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ. გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ; აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

— ძალიან კარგად.

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

//ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ჭუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუღერვებლად. ერთის მუჭის ოდენა ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შეერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგას გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი, დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული. შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მოიბღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა. ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის. ღმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმია — როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს

და სითეთრე აბერებს! მაღალია! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...

V

ჩამოღამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყვე — მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა. თვალ-წინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაჟინებით ყურაღქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზეხელაღებულის დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა, გული მიტოკს და მკლავი მითრთის, რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს

ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვენისათვის, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, — და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადუჩვევია; აი, მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა და უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..

VI

სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავლისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცხენდა-ცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჭკვაში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გადავივლი მთებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. [სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.]

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები.

გავედი სტანციის გარეთ და ერთს მოხევეს შევხვდი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თითონაც ცხენით გამომყოლოდა, ბოლოს არამცთუ ვინანე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო: ჩემი მოხევე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭაღარა-მორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ-მადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა. რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიც იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფანწმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი რაგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრული მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუხძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმღვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

— რა გქვიან, ძმობილო? — ვკითხე მე.

— ლელთ ღუნრას მიხმრბენ, — მომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადაველ? გაიბოტნრდამ, აქაივ მთაჩრა, თერგ-კიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

— ოჯახი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახვევე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი *: ჩვენს ბეჩარბას შეჰფერობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

— ჰმ! — ჩაიცინა მოხევემ.

— რას იცინი?

— საცრნალს ვიცინი. ცარიელ სტვამაქი მაგნრთ ვერ გაძღების.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს!

— რაიდ არ ეცოდინებოს? ადგრლ არაა გონჯაი. პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნებოს. ვიწრრდ ვარნ.

— ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

— რაი ბედენაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევერ გასატან-გასასყიდ აქვნ.

— მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

— რაიდ არ დავდივართ? დავდივართ.

— მაშ ქირით ფულს იშოვნით.

— ვშაფლაბთ, ჯიბეჩი არ რჩებოს: მთის კაცი მახვევე სვამეხის კერძაა. ჭამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშრვერ დუქანჩი მიდის.

— მაშ ისევ ბარი სჯობნებაია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

— ვინ უწყის? იქაითაც სჭირ-ბოროტობა დარჩენა. ადგრლ ხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯან-მრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით მაძღრობა, აქაით სიმრთელე.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

— ორივენ ერთადა. უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

— ორჩიდა? არჩევანზედ? [ამ ღორღიან კლდეთ ვიჯრბდი, ჯან-მრთელია] ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღებოს, სატკივარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

---

* გონჯაი — ცუდი

— საჭირ-ბოროტრია შეკაზმულ ცხენ, — წამოიძახა ღიმით მოხევემ, — დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდრდი და გადაჯდრდი.

მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

VII

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, — ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია, — აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია?

— თერგ-გალმით?

— დიაღ.

— გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმინდა სამების სახტარი არნ. უწრნდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

— ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.

— საბჭო რაღა არის?

— საბჭრი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭრდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

— ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

— რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი, შეგასმენ: როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩრვინ, ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით * სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკჩი საბჭრბად, რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი ჰსთქმიან, გადაჰსჩრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

— შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

— რაიდ შევესწრდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახავნ.

— ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

— აწრნა?..

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

— შენ რაი მილეთის ხარნ?

---

* პეიტრობით — მეტის გონებით სახელგანთქმულნი.

— ქართველი ვარ, განა ვერ შემატყე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალავარ * არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

— განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

— თვალთათვის ტყრბად სამასელ არნა.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, რვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

— ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავრის იერი ** სრულად სხვაა. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების.

— ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

— თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

— იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

— წეღანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მოვეცი, — დავიწყე კვლავ მე: — მე გკითხე, ახლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

— აწრნა?.. ერრბა, სადა არნ? რუსრბაჩი ვარნ. აწრნა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძრრჩი სოფელ გერგეთ არნ. იქავეღ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგრერ მეფეთა თარხნრბა მიანრჭის სრულ სრფელს. გუჯარიც მაჰსცის საშვილი-შვილოდ. ყვაველ ღამ აწრნაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწრნაც სახტრის დარაჯრბას თავდებულრბენ, მაგრამად რუსრბაჩი თარხნრბა გაუცუდდის. მეფეთ გუჯარს რუსრბამ ყური არ ათხრვის. გერგეთი აწრნა სხვავრთა ბეგრობს. გაუქმდის ადრრნდალ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მადლრთი ბჭობაიც სამებაჩი გადავრდის.

---

* ტალავარი — ტანისამოსი.

** იერი — შეხედულობა.

— მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრრდა ვვად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენვდვე გვეყუდნეს, მით რყვის უკედ. ადრრდა ერი ერრბდის, გული გულრბდის, ვაჟვი ვაჟვბდის, ქალვი ქალვბდის. ადრრდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრრდა?! ქვრივ-რბოლთ ვიფარვდით, შინ მიწრიელს *, გარედ მავნეს დავულვგმნდით, ხთრსა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდრმილს ვიხოიშნრდნით და ესრედ რყვის ბრალება კაცსა, ერთ-ურთრბა. აწრნა ერრბა დაიშვლის, მეძავ-მრუშრბაი ჩამოვარდნის, ხარბრბაი, ანგვრი გვერრვნის, ერთ-სულრბაი დავარდნის, მტრობა-ბძარვვი გახშრრდნის, აწრნა ქვრივ-ობოლ ვინ განრკითხის, ატირდრმილ ვინ გააცრნის, დაცემულ ვინ აღადგრნის? აწრნა არა ვრნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდრმილ-კრთრმილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრრდა ჩვენრბა რყვის. წარხდა, მორსრნა ქვეყანაი, რარა აწრნა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყრდვალ, ტყეი სასყრდვალ, გზაი სასყრდვალ, ლრცვა-კურთხევაი სასყრდვალ, სამართალ სასყრდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახვე?..

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? ჯხმარ სატევარს ჟანგი დაეკვის, უსრბრლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის, უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი რცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხვალ კაცთთვის? რაი არნ მტერრბა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყრფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

— აწრნა მავალე სვამეხი უფრრს გვაწირკებს, უფრრს სახლს გვრკლებს. ადრრდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათა-

* მიწრიელ — ეშმაკი.

მაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშორბდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ რყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდრყვის: ადგილ-მამულ ებრძვის, თარხნობაი მიეწყვებრდის. აგერნა თერგ-კიდურზედ ხელთ-უქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

— როგორ ხელთ-უქმნი?

— ხთით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეუძლებ.

— მერე რა უნდა გეთქვა?

— იქაიდ ადრიდა კახთ-ლაშქარ მისევრდის. ელაშქრნათ, იგ ცრხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატრნთან შველაი ეზრახნა. მან შველა ვერ მასცის. შაწუხდის უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მახრცნეს, მავრდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფრლა პერტარ-ბერ-კაცი, მახევე, ქალაი ჰყოლრა უთხრვარ. მზედ-უნახველ. მან, მახევემ, გაისაურნა * კახთ-ლაშქრის დათრრბად. მაზრდნა ღვინრი. შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედ-უნახველს მალვინრბა შეუთქვნა, უანდერძნა. კახთა, ღვინრის მწყურვალთა, ლამაზ-ქალაის მზირალთა, თავი იღრნეს, სრულ რთვრნენ ღვინრით. ქალაიმ განახვნის ცრხის კარნი, მახევეთ ამცნის მოღრნა კახთ-ლაშქრის. მრვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი. დაჰსცის კიჟრნა, კახნი სრულ მთვრალნი მახრცნის. ხელთ რგდის მახევეთ კვლავდა ცრხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს. მან მაჰსცა წყალრბად იმ ქალაის მამას იგ ცრხე, გუჯარიც მაჰსცა...

— ეგ რა ვაჟკაცობა ყოფილა?

— რაიდ არა? ჭკუანი ვაჟ-კაცობაი ეგე არნ; სად ღონეი ვერ ღრნობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის.

— მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვა?

— აწრნა ყაველნი ქართველნ ძმანებრ ვარნ. არ მტრრბით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თავ-ვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ-რყვის. სახელით, ვაჟკაცრბით სარჩო-საბადებელთ მაშრვერ ვიყვენით. კაცი უბრალოდ არ წარხდის. აწრნა ტყურბით, მეძავ-მრუშრბით, ფიცთა გატეხვით, ერთ-ურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშრვერ გაგვრხდნის.

---

* გაისაურნა — გაისაზრა, მოიფიქრა.

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო, თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულის-ტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

1861 წ.
(ბოლო რედაქცია 1871 წ.).

გლახის ნაამბობი

.რა ჭნას კარგმა მონარდემა,
დროზედ შაში თუ არ მოვა.

I

მე, სწორედ, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ. საკვირველად მიყვარს დაბურულს, ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულის-ცემით ლოდინი ნათვალევის ნადირისა. არის რაღაცა მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართვაშია. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალმიუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო. კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდამვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმახვილ მონადირესა; ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენლობისა გამო. აი, მოვიდა თოფის მანძილზედა, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დაღონებული, ნაღვლიანი თავი. ძაღლი დაუახლოვდა. იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიჭცევს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით საცხე თავი-

სუფლებასა, მაგრამ არა, — დაუშტვენ. მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა-რიგ საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს. რაკი იყნოსა, კაცის სუნი აიღო, ირემმა დაიპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რარიგად უდრტვინველად და მშვიდადა კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღანებდნენ გულს, მინამდინ დედამიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა, და როცა შეიშრობდა, მეც კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა, — რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველ კაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია, მაშინვე დამიდინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“.

II

ჩვენ სოფელს ქვემოდამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გა გევლოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ!.. ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც — გლეხისა არ იყოს — „ქრისტე-

ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტია“, ყველგან კი ადგილებია. რაც გინდა არის: დაიწყეთ მოხდენილ ირმიდან და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თვლა არ უნდა. მაგრამ, ჩვენ სოფელს ქვეშოდამ, რომ ვსთქვი, ის ალაგები მეტად მიყვარდა. კარგად ვიცოდი იმათი ვითარება და შენიშნული, ნათვალევიც მყვანდა იქ ნადირი. ორის-სამის დღით წავიდოდი ხოლმე; როცა დამიღამდებოდა, ავბრუნდებოდი ერთ პატარა სოფელში, სადაც მყვანდა ერთი პატიოსანი გლეხკაცი ნათელ-მირონად. ღამეს იქ გავატარებდი და მეორე დილას, ტრედის-ფრად რომ ინათებდა, დავეშვებოდი თავ-თავქვე სანადიროდ. ორი თვე აღარ ვყოფილვარ იქითკენ, ბოლოს მომინდა წასვლა. ერთ მშვენიერს ზაფხულის დილას ვახსენე ღმერთი, ავიღე ორლულიახო თოფი, დავუძახე ჩემ მეძებარს და წავედი.

იმ ჩემ ნათლიმამის სოფლის სათავეში, ორღობეები რომ იწყებოდა, ზედ საურმე გზის პირას, იდგა ერთი ძველი საბძელი, გომურზედ მოდგმული. გომურის ჩასავალში ჩარდახსავით იყო წინ წამოწეული. ამ საბძლის გარეშემო ადამიანის კვალი არა სჩანდა. ის იყო, მგონია, აყრილის კაცისა, ან ამოწყვეტილისა, თავმიხებებული და პატრონსავით დავიწყებული. რასაკვირველია, ხშირად შემხვედრია ამ საბძლისაკენ ავლა და ჩამოვლა, რადგანაც ზედ გზის პირას იდგა, მაგრამ, აი, რამდენჯერ ამივლია და ჩამომივლია. არც ერთხელ არც ერთი სულიერი მე იქ არ დამინახავს. თუ იქნებოდა, ისიც ხანდისხან ზურგწამხდარი, დაჭლევებული გლეხკაცის ცხენი, რომელიც უილაჯობით შორს ვერ წასულიყო და საბძლის გარეშემო სჯიგნიდა გოლვისაგან გადამხმარ ბალახსა. ეხლა კი რომ ამოვიარე, ჩემდა გასაკვირველად, დავინახე ერთი კაცი, გომურის კარებთან მიწოლილი. ეგ არაფერი. დილაზედ ჩამოვიარე, შევიხედე, ის კაცი ისევ-ისე მწოლარე დავინახე. საღამოზედ, ჯერ ბინდი არ მოჰრეოდა სინათლესა, ამოვიარე — ის კაცი ისევ-ისე ვნახე.. გამიკვირდა უფრო იმიტომ, რომ იმის მეტი იქ არავინ მოჩანდა. დავაპირე, ამაღამ უთუოდ გამოვკითხავ ჩემ ნათლიმამას ამის ვინაობას-მეთქი. ჩემ კითხვაზედ ნათლიმამამ მომიგო:

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! მაგის ვინაობა აქ არავინ იცის. ეგ ვიღაც გლახა არის, დავრდომილი და უპატრონო; სნეულია. მოსულა და მანდ შეჰკედლებია, აი, ეს თუნდ თვენახევარი იქნება.

— სულ მარტოდ-მარტო არის?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე! მანდ კი გულშემატკივარი არავინა ჰყავს და.

— მაშ ვინ აცხოვრებს?

— ქვეყანა. იმ გზაზედ ხალხის ფეხი არ მისწყდება. ამვლელ-ჩამვლელი არ დაილევა: ერთი ღვთის კაცი იქნება ვინმე და მიუგდებს ორიოდე ლუკმა პურსა. ისიც მეტს არაფერსა ჰთხოულობს, ცარიელ პურითაც იოლად მიდის.

— აქაური ხომ არ არის?

— რასა ბძანებთ!.. აქაური რომ იყოს, ისე როგორ გაუწყრებოდა ღმერთი, რომ თავისიანი არ მიეცა. არა, აქაური არ გახლავთ.

— შენ გილაპარაკნია იმ კაცთან?

— რატომ? მილაპარაკნია.

— თავის აფალი არა უთქვამს-რა?

— არა. მაგრამ კაი სიტყვის კაცი კი ყოფილა ის უბედური.

— იქნება შენ თითონ არ გამოგიკითხავს?

— როგორ არ გამომიკითხავს. „მეო, — ერთხელ მითხრა, — ერთი დავიწყებული კაცი ვარ, რად გინდა ჩემი ვინაობა? შემომხედე, ჩემო ძმობილო, და მიცანიო“. სხვა არაფერი უთქვამს თავის თავზედ. მეც აღარა გამომიკითხავს-რა მასუკან. მგონი, თავს იმალავს.

მე გამაოცა ამანა. მე ბუნებითაც ცნობისმოყვარე ვიყავ და ეხლა იფიქრეთ, ამ ნათლიმამის ნაწყვეტმა სიტყვებმა როგორ აღმიძრეს გული იმ კაცის ამბავის შესატყობრად. რა უნდა ჰქონოდა თავის დასამალავი? — ვფიქრობდი გულში. გავიზრახე, რომ თითონ გლახას, რაც უნდა დამემართოს, გამოვათქმევინო თავისი ვინაობა.

ერთხელ ტყუილ-უბრალოდ ნათრევ-ნახეტი, დაღლილი და ხელცარიელი მოვდიოდი ჩემ ნათლიმამისაკენ. ჯერ მზე ისევ მაღლა იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა. ის უბედური კაცი, ისევ-ისე მწოლარე, იმავე ადგილას დავინახე. ვეღარ მომითმინა გულმა, ვსთქვი, რაც უნდა იყოს, მივალ, იქნება ვათქმევინო რამე: მაინც ცოტად დაღლილი ვარ, ნათლიმამის სახლამდინაც კაი მანძილი იყო კიდევ. სხვა არა იყოს-რა, ქარს მაინც ამოვაღებინებდი დაღლილ მუხლებსა. მივედი, „გამარჯვება“ ვუთხარი.

— ღმერთმა გადღეგრძელოთ, — მიპასუხა იმან სნეულის ხმითა და წამოიწია პატივსაცემლად, რადგანაც თავადის-შვილი ვეგონე.

მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა, თითქო ტკივილები აეშალნენო, ისე მტკივნეულად შეიკრიბა წარბები და დაელმიჭა გაყვითლებული სახე. ის იყო სრულიად დათენთილი სნეულებისაგან. ყვითელი სახე, შიგა-და-შიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალმანკის მქონესა, თმა და მოზრდილი ჰაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქო იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოჰხვედრიაო და არც სავარცხილი. რუსის ფარაჯის ნაგლეჯებში იყო გახვეული ის უბედური, ქვეშ ეშალა ლეკურ ნაბდის ნაგლეჯი. გვერდთ ედგა ერთი პირმოტეხილი ლიტრა, იქავ ეგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზრდილი კომბალი — ეგ ერთგული და უმუხანათო თანამგზავრი ყოველის უბედურისა. ძალიან გაქელილი სჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იმასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც აშტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია მისის სულის სიცხოვლე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ-უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა; ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც ავდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლოთ. საზიზღარი სანახაობა ჰქონდა, მინდა ვსთქვა, საცოდავიცა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ვაკადრებ მაგას. დიდრონი, შიშველი ფეხები საცოდავად ასიებოდნენ, დახეთქილ წყლულიდან ჩირქი სდიოდა. ღმერთო, შეგცოდე, ეს რომ დავინახე, თვალი მოვარიდე, ისე მეზიზღა.

— გეზიზღები განა, შე კაი კაცო! — მკითხა დაგვემილის ხმით, მაგრამ მე ის ხმა გამკიცხავ ხმად მეჩვენა. მე შევხედე და ერთი მწუხარე, თუ მძულვარე ჩემი შემარცხვენელი ღიმილი დამხვდა იმის სახეზედა. მე შემრცხვა და მაშინვე თავი დავიხარე, ვერ გავუძელი იმის თვალების მკაცრს მეტყველებას. ვგრძნობდი, რომ ჩემის სულმოკლეობის სირცხვილმა სახეზედ ცეცხლი მომიკიდა ამ კაცის თამამ კითხვაზედ. მე პასუხი არ მივე, და ან რა უნდა მეთქვა?

— მართალი ბძანდები, — განაგრძელა იმ უბედურმა, თითქო მე შევეცოდეო, ჩემს დასამშვიდებლად, — მართალი ბძანდები! ცოცხალს კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რა საქვირველია!

ამან ვერ დაბიშოშმანა სულმოკლე გული, თუმცა თითქო უგუნური ქცევა ჩემი თითონვე გამიმართლაო. მაგრამ ვაი იმ გამართლებასა!.. გული უფრო ამემღვრა, მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა, რას ბძანებთ?.. ჩემ წინ ნახევარ-მკვდარი კაცი იდო, ეგრე უნუგეშოდ დარჩომილი. იმას ისე ეჭირებოდა გულმტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა, მე კი მხეცურად თვალი მოვარიდე და შევიზიზღე, მოდი აქა და თავი გაიმართლე! უნდა წამოვმდგარიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა, მაშინ გავმართლდებოდი, მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმისათვის უძლური იყო. სუსტი რომ იქნება კაცი, იქნება!..

— მე ეს ოთხი თვეა, რომ ასე ვარ, — დაიწყო კიდევ, — დამიგდო ავადმყოფობამ და ამ დღემდინ მომიყვანა. ესე უპატრონოდ ამ დაქცეულ ჩარდახის ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედამიწის ზურგზედ დამტირებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, როგორც კაცსა: ველი და არ მოდის. ისიც კაცსავით კეთილი ყოფილა: როცა გიჭირს, მაშინ გემალება. ნუ მოვა... მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდინ მივიტან. ეს კია რომ, სადაური სადა ვკვდები!..

„ვა სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
ყოველიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთსა არ გასწირავს
კაცსა შენგან ვანაწირსა!“

— მართალი უთქვამს ამის მთქმელსა, შენი ჭირიმე! თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემიკედლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა!..

ეს რომ სთქვა, ღმერთს შეჰხედა. მე აბა, წარმოიდგინეთ, რარიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს „ვეფხვის-ტყაოსნის“ სიტყვები!.. ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდაო რუსთაველო!

რა ვქნა? — ვთქვი ჩემს გულში, — ეს კაცი ის არ უნდა ყოფი-

ლიყო, რაც ეხლა არის. ცნობისმოყვარეობა ჩემი წრეს გასცილდა, ბერე იმანაც სიტყვა თითონვე ისე გამიგრძელა, რომ იმედი მომეცა გამომეთქმევინებინა რამე. მინდოდა მეკითხნა, მაგრამ ვერ გავბედე: შევატყე, რომ დიდის ხნის ცნობილმა ქარმა უეცრად მოჰბერა გამოვლილი სევდა. ჯერ ვამჯობინე, სევდის ღრუბელი გადეყარა, მერე მეკითხნა ვინაობა. ბოლოს ისევ ჩემსკენ მობრუნდა და დიდხანს დამაცქერა შავი თვალები. მე ისე მეჩვენა, ვითომც სახის მეტყველება შესცვლოდა. ეხლა კი დრო იყო, მგონი, დამეწყო საუბარი. მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ მოვაყოლო, და ვერა მოვაგვარე-რა. ხომ ესეა ეს ოხერი, როცა გიჭირს, ხერხიც ძაშინ გეკარგება და ღონეცა. ბოლოს ვთქვი: დავიწყებ, ჯანი გამვარდეს, თუ უხერხოდ მომივა.

— შენ, ძმობილო, — ვუთხარი მონაწილეობით, — აქაური არ უნდა იყო, თორემ თავისიანი როგორ დაგელეოდა?

— მართალი ბძანებაა, — მიპასუხა იმან. — მე აქაური არა ვარ, ჩემი ქვეყანა აქედამ შორს არის, მაგრამ იქაც რომ ვყოფილიყავი, ესე ოხრად ამომივიდოდა სული, იმიტომ, რომ იქაც ისე აღარავინა მყავს, როგორც აქა.

— დიდი ხანია, რაც ამ მხარესა ხარ?

— კარგა ხანია, ბატონო! აი, ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მინამდინ დამცალდა. დიაღ!.. ხუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი. თუნდა რომ მე ვაპატიო, ღმერთი მაინც მოჰკითხავს, ვინც ეგ სიკეთე მიყო.

— როგორ თუ დაგაკარგვინეს!.. განა ძალადა ხარ გამოგდებული?

— ეგ რომ გითხრათ, მითამ ჩემი ამბავი მიამბნია.

— თუნდ რომ მიამბო, რა დასაძრახისია?

— არა, განა მაგას მოგახსენებთ, მაგრამ მე არ მინდოდა ჩემი ამბავი ვისთვისმე მეთქო.

ეს ისეთნაირად სთქვა, რომ მე იმედი მომეცა დაწვრილებით თქმევისა, თუ რომ ცოტად მაინც ძალას კიდევ დავატანდი.

— რატომ არ გინდა? რისა გეშინიან?

— ჰმ, — ჩაიცინა გლახამა, — რისა უნდა მეშინოდეს?

— მაშ რა გაბრკოლებს? სთქვი, თუ ღმერთი გწამს, — დავე-

ღრიჯე მე რომ ვერა გავხდი-რა, — რა წამსაც დაგინახე, ღმერთი მოწამე, გული შენკენ მომიბრუნდა, თუმცა...

— თუმცა რა?

— არაფერი... მე მინდოდა მეთქვა, რომ შეგატყე, წუთის-სოფლისაგან დაჩაგრული ხარ, — გავუსხვაფერე მე სიტყვა, — მიამბე, ვინა ხარ, გულნაკლულად ნუ გამიშვებ...

— ვინა ვარ?.. — მომიგო მან და შედგა, თითქო თქმა არ უნდაო.

III

— მე, სწორედ მოგახსენოთ, — დაიწყო ხელახლად გლახამა, — ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულიყოს. ვიცი — ჩემი დღე დათვლილია. თუმცა ძალიან კი მეძნელება თქმა, მაგრამ რა გაეწყობა? გულში გაიღვიძა კიდევაც ძველებურმა საქმემა და ეხლა რაღა დროს დამალვაა? გინდ ეგ არ იყოს, ეხლა აღარაფრისა მეშინიან, თუნდა გამცე კიდეც. მე როდესღაც ვფიქრობდი, ჩემის ვინაობის დამალვასა, როცა სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვისაც, როცა იმედი მქონდა, რომ ქვეყანაზედ მეც, როგორც იქნებოდა, შრომით თუ ოფლით, ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის-სოფლის დღესა. ეხლა კი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა და ის ერთად-ერთი, ჩემსავით ობოლი იმედი წამართო ჟამთა-ვითარებამა, ეხლა მე ფიქრი აღარაფრისა არა მაქვს. გეტყვი ყოველ ჩემ გარდასავალს და დაე ღმერთმა ეს აღსარებად მიმითვალოს, თუ რამ შევცოდე და მონანება ვერ მოვასწარ, — შემინდოს. მე ვარ ნაყაჩაღევი. ჩემი თავი ერთ დროს წმინდი-გიორგის ჯვარად იყო დაფასებული, მაგრამ, ხომ მხედავთ, შესყიდულმა ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა. მე, მართალია, ვიყავ ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ ღვთის წინაშე ვაღიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. იქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე უმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვა-რიგად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატივა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად.

— მე კახელი არ გახლავარ — მოჰყვა კვლავ მცირე ჩაფიქრების შემდეგ — ჩემი მიწა-წყალი, როგორც მოგახსენეთ, აქედან შორს არის, და ვაი რომ ჩემ სიცოცხლეში იმ მიწას ველარ ვინახულებ და იმ წყალს ველარ დავეწაფები!.. შვიდის წლიდგან მოკიდებული ოც წლამდინ ჩემის განთიადის დღენი ბატონის სახლში დამელამებია. ის ღმერთმა იცის — ცაში და დედამიწაზედ — მე, რაც მე იქ გულმტკივნეულად მიწევნია უღელი; მაგრამ დამნახავი ვინ იყო, მაღალის ღმერთის მეტი? თავდაპირველადვე ამადევნეს ჩემოდენა ბატონის შვილსა, დათიკოს. კაი მოგეცათ, კაი ბავშვი ის იყო პატარაობისას. ჩემი წყენა ბატონის სახლში არავის შეეძლო: დათიკოს რომ ვუყვარდი, ყველას იმისი რიდი ჰქონდა. დათიკო, როგორც მოგეხსენებათ მამის-ერთა ბავშვის ამბავი, მეტი გაზვიადებული რამ იყო, განებივრებული, ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვინ ეწყენინებინათ რამე. მე, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან შევიჩვიე ჩვენი პატარა ბატონი, იმანაც შემიჩვია. ასე რომ ბოლოს ეს შეჩვევა მე სიყვარულად გადამექცა. ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი ალარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწროს ნამდვილ გაზაფხულამდე და დააჭკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომვე ბოლო მომიღო. თუნდ ეგ არ იყოს, შინისაკენ მე გული არ მიმიწევდა. იქ ასეთი სულთამხუთავი დედინაცვალი მეჯდა. რომ, როცა კი მოვიგონებდი. ერუოლას მომგვრიდა მარიამობისთვის ცივებასავით, ბატონთან კი განებიერებული ვიყავ ბატონის შვილსავით. დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რო მცოდნოდა ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ხატველას ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ვიცოდი?..

თოთხმეტის წლისა შევიქენით ბატონი და ყმა, როცა ქალაქში სასწავლებლად დათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა. მეც, რასაკვირველია, თან უნდა გავყოლოდი. მამაჩემმა რომ შეიტყო ესა, იახლა ბატონს და ჩემი თავი სთხოვა. ხომ მოგეხსენებათ: გლეხკაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი პა-

ტარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა. თუნდ ეგ არ იყოს, მამა-ჩემს პირველ ცოლიდამ მარტო მე დავრჩი, და, მგონია ვეძნელებოდი, არ ვემეტებოდი შორს გასაგზავნად.

დიდი ბატონი—ღმერთმა აცხონოს—მეტი გულთბილი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამაჩემიც ეცოდებოდა. ის დაელოცვილი მე მომიბრუნდა და მიბძანა: **გაბრუშკი! თუ** არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა-შენთან, მე ძალას არ დაგატან. ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ: **შვილი** მამისა არის. ამის თანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო...

მე ალმური ამივიდა სახეზედა, ბატონი თითქმის მამა-ჩემს მოურბილდა და, გაი თუ აქ დამაგდოს-მეთქი, ის კი არ იცოდნენ: ძე დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა ჩემ დედინაცვალთან ასის წლის ცხოვრებასა. გული მეტკინა, მახსოვს თვალებში ცრემლიც მომერია. ვსთქვი ჩემ გულში: გამიწყრა ღმერთი, ისევ ჩამაგდეს იმ ქაჯის ხელშია! მაგრამ, ღმერთმა უშველოს, დათიკომ დამიხსნა ცეცხლისაგან. ის თავდაპირველადვე ერთი ამაყი, თვით-რჯული **ბავშვი** იყო, რასაც იტყოდა, მოკვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივლიდა. მე რომ დავჩუმდი, დიდ ბატონს ის მიუბრუნდა და თამამად უთხრა: თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ. გაჯიუტდა ეს ყმაწვილი, ზედ გადააკვდნენ **და ვერ** გადაათქმევინეს ნათქვამი. რა ექნა დიდ ბატონსა? მამი-ჩემისაც **ეხათრებოდა** და თავის შვილის ამბავიც იცოდა. ბოლოს, **რომ ვერა გააწყო-რა,** ბატონმა ისევ მამი-ჩემის წყენა ირჩია **და** უთხრა **თავისებურად,** გულმტკივნეულად: ხომ ხედავ, ჩემო დათო, დათიკო ისე **შეჰჩვევია** შენს შვილს, **რომ მოშორება ეძნელება. დაე წავიდნენ! კარგია რომ** პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს **შეეჩვივნენ: ყმისათვის** ბატონთან შეზრდილობა დიდი **ზურგია. ნუ დაუშლი, თუ** ღმერთი გწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი.

მამა-ჩემსა ვერაფრად ეჭაშნიკა ეს **ნაუბარი** ბატონისა; უგემურად გაიქნია თავი და ისე გაჯავრებული **და** გულაყრილი **წავიდა, რომ,** როცა ქალაქს მივდიოდი, არც-კი მინახულა. ეგ, გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ შევიმჩნიე **მაშინ. ბოლოს კი ბევრი** ვინანე. ის-ის იყო, მამა-ჩემი თვალით ვეღარ ვნახე: **იმავ** წელიწადს

ამოიჭამა წუთის-სოფელმა, და მე ისე, მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტო დავრჩი ამ ტრიალ ქვეყანაზედა. ამ თვალმიუწდომელ დედამიწის ზურგზედ ერთი დათიკოლა დამრჩა. მე იმაზედ დავლიე ობოლის გულის სიყვარული!..

ჩავედით ქალაქში. ჩვენ დაგვაყენეს დიდ ბატონის ნათლიდედასთან. ის იყო ერთი ღარიბი, ქვრივ-ოხერი, ხნიერი დედაკაცი. ერთი ვაჟიშვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეჰშურებოდა იმისთვის ბედსა და წაერთმივა საწყლისათვის. ორ-ოთახიანი სახლი ჰქონდა მტკვრის პირას. მე რომ მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა, ვთქვი ჩემს გულში: აქ, მგონი. ჩვენ კუჭს ვერ გავიძღობთ-მეთქი. მერე დათიკოსაც ვუთხარი ეგა, იმან გამიცინა და მითხრა: თორმეტი თუმანი უნდა ვაძლიოთ წელიწადში და წლის სამყოფი პური და ღვინო, როგორ შეუძლიან მშივრები დაგვყაროსო? მართალი უნდა სთქვას კაცმა, ის დალოცვილი ისე გვინახავდა, როგორც საკუთარ შვილებსა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმის სულს!..

დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა. სადილად შინ მოვიდოდა, სადილს-უკან წავიდოდა, ზარების დარეკვის დროს ისევ შინ დაბრუნდებოდა. საწყალს რაღაცა რუსული ტანისამოსი ჩააცვეს. ძალიან ითაკილა პირველში, ასე რომ ერთხელ შემომტირა კიდენაც, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ კაცის ამბავი, — ყველაფერს მალე შეეჩვევა; ისიც შეეჩვია. მე ბევრი საქმე არა მქონდა. რაკი დათიკოს სკოლაში გავისტუმრებდი და სახლს დავგვიდი, მთელი დღე ისე გულხელ-დაკრებილი ვიჯექი. ხანდისხან იქნება ბაზარში გავეგზავნე დედაბერსა მწვანილის სასყიდლად, სხვას ყველაფერს თითონა ჰყიდულობდა. მეც, რაკი ჩემს საქმეს ბოლოს მოვუღებდი, ავიღებდი თავს და ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯდებოდი, თვალებს ავაყოლებდი ამვლელს და ჩამოვლელს, როგორც მოგეხსენებათ უსაქმო კაცის ამბავი. ჩვენის ქუჩიდამ ერთი ვიწრო ქუჩა აუბრუნდებოდა, და იქავ ერთი პატარა საყდარი იდგა: იმის დასწვრივ, ჩვენკენ, ამ ორ ქუჩის კუთხეში ერთი უშველებელი, დიდი ალაყაფის-კარებიანი სომხის სახლი იყო. იქ ხშირად მინახავს ერთი მოზრდილი იმერლის ბიჭი; უფრო საღამოს ხნობით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების დირეზედ და სულ რაღაც ხელნაწერსა კითხულობდა. მე ძალიან გამიკვირდა, ვინ ბიჭი-მეთქი. და ვინ წიგნის კითხვა!.. მე მაშინ, ბრიყვსა, წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა. თურ-

მე, ნუ იტყვით, ჩემისთანა საწყალ კაცის შეფერებაც სცოდხია. ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა!

ერთხელ კვირა-დღე იყო. დათიკო სადღაც წავიდა და საღამომდინ შინ არ შემოუხედნია. იმან როგორღაც ორიოდ თვეს შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდისხან მამლის ყივილამდინაც არ შემოვიდოდა შინ. მგონი, მაშინ იმას სწავლაზედ გული აცრუებულიცა ჰქონდა. კვირა-დღე იყო, როგორც მოგახსენეთ, მე შინ საქმე არა მქონდა-რა, გამოვედი ქუჩაში. ჯერ ჩვენ საყდარში წირვა არ გაეთავებულიყო. გავედი თუ არა, ის იმერლის ბიჭი წიგნით ხელში იქავ დამხვდა, საცა უწინ ვხედავდი ხოლმე; მეც აქეთ ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯექ და დავუწყე ცქერა, ის ბიჭი თვალაუღებლივ კითხულობდა; ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დასცქეროდა მუხლებზედ გადაშლილ ნაწერსა. მე გულმა ვეღარ მომითმინა, მივედი იმასთან და გამარჯვება ვუთხარი. იმანაც, რა საკვირველია, სალამი მამცა.

— შენი სახელი, ძმობილო? — მკითხა იმან.

— გაბრიელ. შენი? — ეხლა მე ვკითხე.

— გლახუკა.

— სადაური ხარ?

— რაჭველი. შენა?

მეც ვუთხარი, სადაურიცა ვარ.

— რაჭველი? მაშ მოჯამაგირედ იდგები? — დავუმატე მე.

— დიაღ, სომეხთან ვდგევარ. შენა?

— მე ბატონის შვილს ვახლავარ.

— აი, ყმაწვილი რომ დაიარება, იმას?

— იმას.

— დიდი ხანია ქალაქში ხარ?

— კარგა ხანია. შენა?

— მე, თუნდა ორი წელიწადია, აქა ვარ.

— მეც, ერთი წელიწადი იქნება, აქა ვარ და რატომ ადრევ არ მინახვიხარ?

— აქ არ ვიყავი, ჩემი ალა კარგა ხანი იყო კახეთში და თან ვახლდი. ეხლახან ჩამოვედით, ორი თვე არ იქნება ჯერ კიდენ.

— კიდეც იმიტომ. ეგ რა არის? — ვკითხე და დავანახვე წიგნი.

— ზღაპრების წიგნია, ჩემო ძმაო! საქმე არა მაქვს და გულს ამაში ვართობ.

— აბა, თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე, მეც გავიგონო. — ვუთხარი მე ხვეწნითა.

დამიჯერა იმ კაი კაცმა და დაიწყო ისეთნაირად კითხვა, რომ, ღმერთო შეგცოდე, შური მომერივა. ეგ კიდევ არაფერი: ყური ვუგდე და ის, რასაც კითხულობდა, თითქო მეცნო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოს. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადამიტრიალდა. „დალახვრა ღმერთმა,— წამოვიძახე უცებ, — ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?“.. დიაღ, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ. იმერლის ბიჭმა ჩაიცინა ჩემ სიტყვაზედა.

— ეგრეა. ჩემო გაბრიელ! — მითხრა გლახუკამ, — წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენის სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას — სოფელში წაიღებს: საიდგან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს.

— მართალი ყოფილა, როგორცა ვხედავ, — ვუთხარი მე. — მაგრამ... ჩვენი ზღაპარი!.. აი, დალახვრა ღმერთმა, წიგნში ჩაწერილა! აბა ერთი კიდევ წაიკითხე.

კიდევაც წამიკითხა იმ დალოცვილის შვილმა. რა გავაგრძელო, იმ წიგნმა თავი შემაყვარა, ისე ჩემ სიცოცხლეში არა მინატრია-რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე: მშურდა, გეტყვით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ ის ისე თამამად კითხულობდა, მე კი ისე უხეიროდ დავეხეტებოდი. ბოლოს, გულის წადილს რომ ვეღარ გავუძელ, მივვარდი ზედ გლახუკას და დავეღრიჯე:

— თუ ღმერთი გწამს, მოდი ერთი მადლიანი საქმე ჰქენ და წიგნი მასწავლე. მე ერთი ობოლი ბიჭი ვარ, თუ მე ვერ გადავიხდი სამაგიეროს, ღმერთი ხომ დიდია!..

რას ბძანებთ?.. მაინც ისე უსაქმოდ ვალამებდი ჩემს დღეს. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყეფდა.

— მართლა გულითა ხარ მოწადინებული? — მკითხა გლახუკამ.

— რას ამბობ? მოწადინებულიო!.. ზედ დავაკვდები, შენ ოღონდ ეგ სამადლო საქმე მიყავ! — ვუპასუხე გიჟსავით.

— მაშ თუ აგრეა — ადვილია.

— ვაცხონე მამა-შენი!.. — შეეყვირე გახარებულმა. — მადლიანი ბიჭი ყოფილხარ.

— ნუ გგონია, რომ მე გასწავლი. მე არ დაგზარდებოდი, მაგრამ ხომ იცი, ძმაო, მოცლა არა მაქვს, მე კაი ოსტატს გიშოვნი.

ფერი მეცვალა, ეს რომ მითხრა. როგორც თავმოწონებული ფარშავანგი ჰხარობს მინამ თავის შავ ფეხებს დაინახავს, როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფრთებს დალონებული ჩამოჰყრის, — ისე ამ სიტყვებზედ ჩემმა ჯერ წახალისებულმა გულმა ჩამოჰყარა ფრთები.

— ეჰ, ძმობილო! — ვუთხარი გულნატკენად. — შენშიაც მოვსტყუვდი. ოსტატს კაი გაძღოლაც უნდა, მე ცალი ფულიც არა მაქვს თვალზედ მივიჯრა. ვხედავ, რომ ტყუილ-უბრალოდ წახალისდა ჩემი წადილი.

იმან გამიცინა და მითხრა:

— აჩქარებული კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავით ჰფეთქავ. განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რომ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექნება? მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს.

— გულს მირბილებ განა? — ვკითხე უჯერობით.

— დამიჯერე, მართალს გეუბნები.

— მართალს?!

— ჰო, ისეთი კაცი გიშოვნო, ძმასავით მოგეხმაროს.

— ბიჭოს!.. მაშ ღვთის კაცი ყოფილა!..

— შენ არა სტყუი. სწორედ ღვთის მსახური კაცია. მეც იმან მასწავლა, ღმერთმა გადაუხადოს სამაგიერო.

— არა, — დამაცა: როგორ თუ ღვთის მსახურია, სამღვდელოა?

— სწორედ. შენ ხომ ამბობ — ფულიო, ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს. ვისაც არ უნდა, იმდენს ეჩიჩინება, იმდენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომინებს. მეც ისე მნახა ერთხელ აქ ჭუჩაში. დაილოცა ის დღე, ჩემთვის კაი დღე იყო... დამიწყო დალოცვილმა ლაპარაკი: სადაური ხარო, აქ რას აკეთებო? მეც ყოველისფერი მოვახსენე. რა გავაგრძელო, ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილის სიტყვით, ისე შემიჩვია, რომ, ბოლოს, წიგნის სწავლებაც დამიწყო. რა მე?.. ათიოდ პატარა

ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები, იმასთან დადიან და სწავლობენ. როგორც შენ, ისე იმან იმათგან გროში არ იცის. მე ერთხელ, ჯამაგირი რომ ავიღე, მინდოდა მიმერთმია ორი მანეთი იმ დალოცვილისათვის, მაგრამ, თუმცა არ გამიწყრა, მიწყინა კი.

— მამა გყავს? — მკითხა მე.

— არა. შენი ჭირიმე!

— დედა?

— გახლავთ.

— ვინ ინახავს?

— მე, შენი ჭირიმე! ჩემს მეტი არავინა ჰყავს.

— მაშ ეგ ფული დედა-შენს შეუნახე, — მიბძანა თავისებურად გულთბილად, — შენ რა გაქვს, მე რა უნდა მამცე?

— დედა-ჩემს თავისი წილი გავუგზავნე და ეს გადავანარჩუნე, რომ თქვენ ლოცვაში მომიხსენიოთ.

— ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება.

— საყდრის და ღვთის სადიდებლად მაინც მიიღეთ, შენი ჭირიმე!

— ღმერთი, ჩემო ძმაო, მარტო კარგის საქმით იდიდება და არა ფულითა.

— მიწყრებით, შენი ჭირიმე!

— არა. მე მართალს გეუბნები.

მაშ რა ვქნა, მიბძანე?

— შენთვის შეინახე: თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც ბე და შენზედ უფრო ღარიბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ, ამ თქვენის ჭუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველ-დღე მაძღრები ვართ...

ეს ისეთნაირად მითხრა, რომ არ დაიჯერებ, მაშინვე გამოვტრიალდი, ვიპოვე ის სახლობა და იმისთვის გადადებული ორი მანეთი იმათ მივართვი. აი, რა მადლიანი კაცია!.. ნეტა თითონ ჰქონდეს რამე მაინცა! ღვთის განაჩენი არა აბადია-რა, დღე-დღეურად ძლივა სცხოვრობს. მაგრამ სულ ტყუილი ყოფილა, კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზედ წავა. მაგ კაცის ამბავი რომ გიამბო, არ დაიჯერებ. იმისთანა რამ არის. საცა კი სიკეთეა ამ უბანში, იმისი მადლიანი

ხელიც იქ ურევია. დაიწყო ღვთის სამართალი, რომ მე და შენისთანა თავმინებებულ კაცს მაგისთანა პატრონს გაუჩენს ხოლმე!.. მე თუ კაცი ვარ, ეგ იმისი უნარია, ღმერთმა გადაუხადოს! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ჩვენისთანა კაცის ვალისა ღმერთია მზღველიო. აგერ თითონაც გამობძანდა, — დაატანა გლახუკამ და მიმახედა საყდრისაკენ.

წირვა გამოსულიყო, თეთრ-ჩადრიანი დედა-კაცები თეთრად მოედვნენ ქუჩასა; კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადათი, ჯგუფად შეგროვდნენ, საყდრის დერეფნის წინ და დაიწყეს თავისებურად ყაყანი. იმათში შეერია ერთი მაღალტანიანი, ახალგაზრდა მღვდელი.

— ის არის? — ვკითხე გლახუკას, თვალი კი იმ მღვდლისაკენ დამრჩა.

— აბა, ის არის, ძმაო, წამო, კურთხევა ვსთხოვოთ.

IV

პასუხის თქმა აღარ დამაცალა, წამოდგა და წავიდა საყდრისაკენ. მეც თან ავედევნე. მივედით. ის მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო. ზოგს ის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაუხუმრებდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა. ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაციც ის არის, შენი ჭირიმე, და ქუდიც იმასა ჰხურავს. ალბად კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა!.. დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა.

სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება. გადავიხარე თავი, რომ დამენახა და გამეგო რამე. წინ ედგა ერთი პატარა ბიჭი თავჩაღუნული.

— ყველა, ყველა და, შენ რატომ ჩემთან აღარ დადიხარ? — უბძანა მღვდელმა, — მოგწყინდა განა, შე ცუღლუტო წიგნის კითხვა?

— მე რა ვიცი? — უთხრა **ბიჭმა,** — მამა-ჩემი არ მიშვებს — მღვდელი თითქო შეკრთაო, ისე ეწყინა ეს პასუხი.

— რატომ არ გიშვებს?

— გეყოფა, რაც ისწავლეო, — მეუბნება.

— აქ ხომ არ არის მამა-შენი?

— აი, იქითა ზის.

— აბა, აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა და გაიქცა **მამის დასაძახებლად.**

— ვერ უყურებთ პეტრეს!.. — სთქვა თავის-თავად მღვდელმა და ჩაფიქრდა...

— ეგ არის და!.. — დაიძახა ვიღაცამ. — ავი ძაღლი არც თითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, მღვდელსაც ღიმილი მოერია, მაგრამ მარდად შეიკავა სიცილი.

— მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რად ასწავლის? — სთქვა მეორემ. — შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისთანა თავხედს კაცსა შეუჩვევარ ლხინსა.

— გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო, — მაგისთანა კაცზედ არის ნათქვამი, — წამოიძახა მესამემ.

იქნება კიდევ ბევრი ელაზღანდარათ, რომ თითონ პეტრე არ **მოსწრებოდათ.**

— კაცო! — უბძანა მღვდელმა. — მართალია, **შენ** შვილს შენ **უშლი** სწავლასა?

— მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე!—უპასუხა თამამად პეტრემ.

— როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

— ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღე-და-ღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“. ეს ღვთის ბძანება მარტო ჩვენ **დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდეც. წიგნი** რა ჩვენი საქმეა? **ის ჩვენ** დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკერება. მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი

კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ავაოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა — მივალთ — და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე-და-ღამ. ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია. ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ. ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძლოთ, კუჭი!.. ხვეხი თავდაპირველი გულისტკივილი ეს არის!..

— მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა, — გაიხმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინად ისე თავხედად დასცინოდა პეტრესა.

— რას ბძანებთ?.. — წამოიძახა ხალხის ხმით გულგაკეთებულმა პეტრემ, — წელში ვერ გავსწორებულვარ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!..

— მე მესმის, ჭკვიანო პეტრევ, შენი გულის ვითარება, — უბძანა დაღონებით მღვდელმა, — მე მოზიარე ვარ შენის გულის-ტკივილისა!.. შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ შენ გუთანი დღეს პურს გაჭმევს.

— მართალი ბძანებაა, შენი ჭირიმე! — მიუგო პეტრემ.

— ეხლა შენ ერთი ეს მითხარი: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიდან გააკეთებდი ბარ-საკეთს, ცულსა, ეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა,—ღრმად ჩაშვება ბარსაკეთისა, თუ თხლად — რა გეშველებოდა?

— შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი.

— საიდამ იცი ეს ყველაფერი?

— როგორ თუ საიდამ?.. მამა-პაპით. შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მჭონია — მინახავს, ყური მჭონია — მსმენია, გულისყური მჭონია — მიგხვედრილვარ, ხსოვნა მჭონია — გონებაში ჩამრჩენია.

— რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია, — ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის რა სთქვას, მერე კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ვეძახი.

— მაინც?

— ჩემ გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემ ცოდნასა, შენი ჭირიმე!

— კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

— მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე? თვითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

— ეხლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენი შეწზედ უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

— რა ვიცი, შე დალოცვილო! მგონი, თავზედ იმოდენი ბალანიც არა მქონდეს: მჯობს მჯობი არ დაელევა.

— იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს, — კარგი არ იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

— ღვთის წყალობა გქონდეთ, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური. საიდამ სადაო, წმინდაო საბაო: ამოდენა დედამიწის ზურგზედ სადვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

— მე რომ გაჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელის ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთი სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა, შორიდამვე გაგალაპარაკო, — რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

— აბა მაგისთანა მისანია წიგნი.

მე რომ ეს გავიგონე, სწორედ მოგახსენოთ, თავიდამ ფეხებამდინ ჟრუანტელმა გამიარა, არ ვიცი კი რად. ეს კი ვიცი, რომ ჩემგარდა სხვასაც ეგ დაემართა: ხალხს, თითქო მზემ დაჰკრაო, სახე გაუნათლდა. პეტრე კი ისე სახტად თვალებდაჭყეტილი დარჩა, თითქო თავბრუ დაესხაო. ისე ატაცებულსავით დიდხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ.

— ეხლა რას იტყვი, წიგნი გიშველის რასმეს, თუ არა?

— ნება მომეცი, — უთხრა გულამომჯდარმა პეტრემ, — ეგ მუხლები გადაგიკოცნო. ჩემი ტუჩები ბევრჯერ მიჰკარებია სხვის მუხლსა და შენისთანას კი არც ერთხელ.

მღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ. მაშინ პეტრემ პირნათლად შეჰხედა და გონება-გახარებულმა წამოიძახა:

— დაილოცა შენის ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, შე ღვთისგან კურთხეულო ადამიანო, რომ ძე სულის წაწყმენდისაგან დამიხსენ. წეღან გელაპარაკებოდი ბრმა, შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ეხლა, შენის მადლიანის ენით თვალახილული, გეუბნები: ის მამა შვილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვნელად და არ გააწურთვნინებს. ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!.. მომეცი ხელი, შენი კვნესამე!.. ერთი გემთხვიო!..

გულმოლბობილი პეტრე მივარდა ხელზედ საკოცნელად, მღვდელმა აკურთხა და არ ამთხვევინა კი.

— მაშ დამილოცე მაინც მამის-ერთა შვილი! — უთხრა პეტრემ და შვილი წინ წამოუყენა. მღვდელმა აკურთხა ის ბავშვი და თავზედ აკოცა გალიმებულმა.

— შვილო! ეს დღე დაიხსომე, — უთხრა შვილსა პეტრემ, — ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

მღვდელი აირია, ვნახე, რომ მოენამა თვალებიცა. უეცრად მოაშორა თვალი გულამომჯდარ პეტრეს და იმის თავჩაღუნულ შვილსა, თითქო თავის გულის მადლიანობა უნდა დაუმალოს მამასაც და შვილსაცო. მღვდელი რომ მიტრიალდა, ერთ ვიღაცა დროულ კაცს თვალი შეასწრო და უთხრა:

— ზაქარიავ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან!.. ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც აღარა გაქვს შავი და მაგისთანა საქმეებს კი სჩადი.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე? — უპასუხა იმან ცოტად შერცხვენილმა, — განა რომ მრცხვენიან, მაგრამ ერთი აჯამი რამ არის, მოუსვენარი. ღმერთია მოწამე, მე უბრალო ვარ.

— ნუ ჰცრუობ მაგ-დროული კაცი, ცოდვაა!.. დღეს არ გეუბ-

ნებოდით საყდარში, რომ ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბძანა, და შენ კი, მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძულებია. სირცხვილია!.. უშვილო კაცი ხარ, დროული... თუ კაცისა არა გრცხვენიან, ღმერთი ხომ ყველასა ჰხედავს, რა პირით შეხვდები?

— აბეზარსა ვარ მოსული, ამ საყდრის მადლმა და შენი რისხვა არა მაქვს! ძმარს მაწურებს ცხვირში! სხვა არა იყოს-რა, უფროსი ძმა ვარ...

— მე არ ვიცი! თქვენ ორივ მტყუანები ხართ ღმერთთანაც და კაცთანაც, იმიტომ, რომ ძმები ხართ და ჰჩხუბობთ კი. ამ ხალხთან გეუბნებით შენცა და შენს ძმასაცა: თუ ერთი-ერთმანეთის პატივი არ გექნებათ, საყდარში აღარ შემოგიშვებთ.

ეს რომ სთქვა, აკურთხა ყველანი და გამოემართა შინისაკენ. გაჭობრუნებაში წინ შეეხალა გლახუკა.

— ოჰ, გლახუკას გაუმარჯოს, ჩემს გლახუკას! — შემოსძინა მღვდელმა, — რასა იქ და როგორა ხარ?

— გახლავარ, შენი ჭირიმე, შენის ლოცვით და კურთხევით,— მიუგო გლახუკამ და ქუდმოშვლეპილმა კურთხევა ჩამოართვა.

აკურთხა თუ არა, გადასდო მხარზედ ხელი და ისე ხელგადაჭდობილი წამოვიდა. მე ბევრი რამ გამიკვირდა იმ დღეს და ისე კი არაფერი გამკვირვებია-რა. აბა, გლახუკა ვინ იყო? ერთი უბრალო მოსამსახურე — და მაინც კი მღვდელმა არ ითაკილა და ხელი გადასდო. მაშინ მე რა ვიყავ, მაგრამ ამისთანა თავდაბლობამ ჩემი გული მოინადირა. მეც იმათ უკან ავედევნე.

— სადა ხარ, რომ აღარა ჰჩანდი? — ჰკითხავდა მღვდელი.

— ეს თვე-ნახევარია, რაც გიახელი, — უპასუხა გლახუკამ, — თორემ აქამდინ აღას ვახლდი კახეთშია.

— ერთხელ მაინც როგორ არ მინახულე, ბიჭო! ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ-ქვეშ დაგვიხვევლებია, სხვა არა იყოს-რა.

— თქვენმა მადლმა, — მოცლა არა მაქვს. ამოდენა სახლი და სახლის ავეჯეულობა ეხლა მარტო მელა მაბარია, ჩემ მეტი აღარავინ ჰყავთ, სულ ყველანი დაითხოვეს, თორემ როგორ არ გეახლებოდით: თქვენზედ უკეთესს ვისა ვნახავ?

— ეგა სჯობია ჩემ ნახვასა, ჩემო გლახავ! შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც. ლუკმა

მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. ჩემი ნახვა, ძმავ, ისე საჭირო არ არის: არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ქუჩას ჩამოსცილდნენ. არ ვიცი, ჩემის ფეხის ხმაურობა გაიგო, თუ არა, შემომხედა და, რომ დამინახა უკან მივდევ, მკითხა:

— რაო, ძმობილო, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვს?

— არა, შენი ჭირიმე! გლახუკას მოვდევ.

— მე მეგონა, ჩემთან გინდა რამე. — მითხრა ესა და წავიდა ისევ-ისე ხელგადაჭდობილი.

მე დავშორდი. გლახუკამ რაღაც ლაპარაკი დაუწყო. მე არაფერი აღარ მესმოდა, ისე შორს ვიყავ. მინამ გლახუკა გაათავებდა სიტყვას, მღვდელი შედგა და ორიოდჯერ თავის მადლიანის თვალით შემომხედა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემზედ ლაპარაკობდნენ და, სწორედ გითხრათ, გული ამიტოკდა, თითქო იმ ლაპარაკით ჩემი ბედის წერა სწყდებოდა. იმ დალოცვილმა ხელი დამიქნივა. მე ვიშვლიპე ქუდი და, როგორც სალდათი უფროსს, ისე ქუდმოხდილი გამოვეჭიმე. იმან თავის ხელით ქუდი თავზედ დამხურა. მაშინ კი თვალი გავუსწორე. რა გითხრათ, რა კაცი დავინახე ჩემ წინ!.. ხატებს რომ ჰხატვენ, ის იყო! მადლით, მადლით იყვნენ სავსენი იმის ჩაფიქრებული თვალები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში, რომ ისე გამოსცეს, გამოატანოს თვალებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა და გამოეტანა. არ ვიცი, ჩაგონებულე რომ ვიყავ, იმისთვის მეჩვენა ის კაცი ხატად, თუ რა, ეს კი ვიცი, რომ აქამდინაც გულში ისე ჩამრჩა ჩასახული, როგორც პირველადა ვნახე. წამოსადეგი კაცი იყო, გამხდარი სახე ცოტა ფერმკრთალი ჰქონდა. ნაღველს ცოტაოდნად ხელი გაეკრა, როგორც ემჩნევა ხოლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის შემატკივარსა.

შავი წვერი ჯერ არ ჩამოზრდოდა, ისე ახალგაზრდად მეჩვენა. თავიდან ფეხებამდინ ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ. როგორც მზე მზეუჭვრიტასა. კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისაკენ მიიბრუნებდა.

— შენ წიგნის სწავლა გინდა, ძმობილო? — მიბძანა დალოცვილმა. — თუ ეგ გულში გედო, წეღან რომ გკითხე, რატომ არ მითხარ? რად დამიმალე გულის წადილი? გულდახურული ჰყოფილ-

ხარ. ხომ იცოდი გლახუკასაგან, რომ მე წიგნს ვასწავლი ხოლმე შენისთანა კაი კაცსა.

ეს რომ მითხრა, გამიღიმა, მომავლო თავზედ ხელი და მოცინარემ გამიქნივა თავი. მე ჩავღუნე მორცხობით თავი და ვერა ვუთხარი-რა.

— თავი რას ჩაღუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს. თითქო ჩემი შეგრცხვაო... აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ.

მომავლო ნიკაპზედ ხელი, თავი მაღლა ამიწია და ზედ დაატანა:

— ხუმრობა გაშვებით, თუ მოწადინებული ხარ წიგნისთვის, მე ოსტატი და შენ შეგირდი. ჰა, შენ რას იტყვი ამაზედ?

— რა მეთქმის, შენი ჭირიმე, მადლობის მეტი? — ძლივ-ძლივ გავუბედე თქმა.

— მადლობა მერე იყოს. შენი სახელი?

— გაბრიელ.

— მაშ იცი, რას გეტყვი, გაბრიელ? როცა შინაურ საქმეს ბოლო მოუღო, გლახუკას უთხარ და ეგ მოგიყვანს ჩემთან. ასე კი მოახერხე, არც შინ მოსცდე საქმეს და არც გარეთ, რომ შენმა წიგნის სწავლებამა შინაურ საქმეს არ დაუშალოს.

— შინაურ საქმეს!.. თუნდ რომ მოვცდე, რა ცუდ საქმისთვის მოვცდები?

— მაგას ვინ ამბობს, ჩემო ძმაო? მაგრამ ის კი სჯობს, რომ არც შეცდი დასწო და არც შამფური; ერთი საქმე გააკეთო და მეორე კი გააფუჭო, ეგ ცუდია. შენ ხომ ბატონის კაცი ხარ?

— ყმა გახლავარ.

მღვდელმა უგემურად გაიქნია თავი, თითქო შეწუხდაო.

— რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის შვილები,— მითხრა პატარა ხანს უკან, — იარე ჩემთან, აი აქვე ვდგევარ. შენ ოღონდ იბეჯითე, ნურც წიგნზედ ინაღვლი, ნურც არაფერზედ, ყველაფერი გექნება. შენ ასეთი ბიჭი სჩანხარ, რომ ორ-სამ თვეზედ გლახუკასაც გამოეჯიბრები წიგნშია.

მე გამეცინა.

— რას იცინი? არა გჯერა თუ? კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?

— კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

— იმ ფერისა იქნება შენც გაცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!

— ღმერთმა ქნას, მეც ეგ მინდა, ნეტავი მეცხოს!

— აი, ეს ბურთი და ეს მოედანი, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო.

— მე უარზედ არა ვდგევარ, ვცდი, თუნდა კლდემ ქვეშ მომიტანოს.

ეს რომ ვუთხარი, თვალი თვალში გამიყარა, თითქო ჩემი სიტყვა გულს მოჰხვდაო, მერე სახე გაუნათლდა და მითხრა:

— ე! თუ ეგრეა, მაგისთანა გულმაგარსა ვერაფერი ვერ მოგიტანს ქვეშ, თუ მოგიტანს, აუდგები ფეხზედ. აკი გითხარ, კაი ბიჭი ხარ-მეთქი. შენისთანა შეგირდი ოსტატის სიხარულია. მაშ მე და შენ დავძმობილდებით, ჩემო გაბრიელ!

რომ გითხრათ, რომ ამ სიტყვებმა მუხლები მომიდრიკეს, მომანდომეს იმის მუხლებზედ მოხვევნა, — არ დაიჯერებთ. ეს ასე კი იყო, მაგრამ იმ ღვთის კაცმა მარდად დამცა ხელი მხარშია და ისე ღონივრად ამზიდა ერთ ფეხზედ წამოჩოქილი, რომ როგორც ლურსმანი, ისე დამაყენა ფეხზედ. არ იყო, რომ ცოტა ნათაკილევსავით არ მითხრა:

— ეგ მეორედ აღარა ქნა, ცოდვაა!.. მაგისთანა თაყვანი მარტო ღმერთს შეჰფერის!..

— ჩემი ღმერთი შენა ხარ! — დავუძახე მე აღტაცებულმა.

— აგე, შენი ღმერთი სად არის, — მაჩვენა ცაზედ, — მე იმისი ცოდვილი მსახური ვარ, შე გულფიცხო.

მე სულელმა რა ვიცოდი მაშინ იმისთანა კაცის ყადრი. ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწისკვრით წამაბარბაცებდნენ, ამან კი ობოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმასთანა, რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაკს ძაღლზედაც გასცვლის. მოდი და ნუ მოიდრეკი იმის წინ მუხლსა. მე მახსოვს დიდი ბატონი, ხომ კაი კაცი იყო, მაგრამ მაინც გული მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკოცებდი ხოლმე. მე მეგონა ამასაც ამით ვაამებ, ის კი არა თუ მიწყინა და ჩემს რეგვნობას აპატივა... მაშინ მიკვირდა ეგრეთი ქცევა მღვდლისა, ეხლა კი მესმის!.. თურმე კაი კაცს თავისი გულივე მადლს უხდის; მაშინ ეგ რა ვი-

ცოდ? რა კაცი იყო!.. არა, მე ეხლა რომ მაგონდება იმისი საქმეები. მგონია, რომ ციდამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა, ვაი, რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისგან წახალისებული თავმომწონე ბიჭი და აი, ველარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაი კაცობა...

გული თოფის წამალსავით მიფეთქდა, გონება მიხურდა, რაღაც ღონე მომეცა და ატაცებულსავით შევძახე:

— შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნები. ჩემი მადლობა ეგ იქნება, სხვა-რიგად მე გადახდა არ შემიძლიან.

— აგე, მადლობის მთქმელი სად არის, — მანიშნა ცისკენ, — ის ეხლა იქიდან ორივეს დაგვყურებს...

— და შენს სიკეთეს თავის გულის-ფიცარზედა სწერს, — ვუთხარი მე და გავაწყვეტინე სიტყვა. ეს ჩემი სიტყვა თითქო გაუკვირდა. გაოცებით შეჰხედა გლახუკასა, გლახუკას კიდევ პირი დაეღო და გაშტერებით გვიყურებდა.

— ცეცხლი ყოფილა შენი გული, — მითხრა პატარა ხანს უკან მლვდელმა, — ყური მომიგდე. დღეს შენ დაგჭირდი, ხვალ თუ ზეგ შენ მე დამჭირდები, „სოფელი ასე მქნელია“, დრო მოგვივა. გაგსწორდებით, ხომ გაგიგონია: მთა მთას არ მოხვდება, კაცი კი კაცსაო. არა გლახუკავ?

— მართალი ბძანებაა, — უთხრა გლახუკამ.

— ჰმ, — ჩავიცინე მე, — გულს მირბილებ, ბატონო, მე მიგიხვდი. შენისთანა კაცს იმისთანა რა გაგიჭირდება, რომ ჩემისთანას შველა შეეძლოს?

— მითომ რატომაო?.. ტაბიკი ხომ რა არის, უბრალო ჩხირია. იმ ვეება ურემში არც კი სჩანს, უმისოდ კი ურემს ვერ შეაბამ. ეგრეა ყველაფერი. ჩემო ძმაო, დიდი თუ პატარა ერთი-ერთმანეთისთვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა, ხვალე მაინცა. არა შემიძლიანრაო?.. კაი კაცობა არ შეგიძლიან?.. მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ?.. ღვთის სული რად გიდგა?.. მე შენ დამიჯერე. წაიღო იყოს, თორემ შეძლება ყოველთვის იქნება. აი, ვთქვათ, შენ რომ წიგნს ისწავლი, — დაჯერებული ვარ, რომ მალეც ისწავლი, — შენც მონახე შენისთანა კაი ბიჭი და იმასაც ასწავლე, ვალს მაგით მოიშორებ, ვითომ იმისთვისაც მე მისწავლებია და მე მიქნია სიკეთე. მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოცვით მოვახსენებიო შენისთანა კაი

კაცსა. ბევრჯერ იქნება, ჩემო გაბრიელ, შეგირდი შენ რომ დაგლოცავს, მეც მომიგონებს: „ღმერთმა აცხონოს შენი მასწავლებელიო“. ის ლოცვა საიქიოს წინ გამიძღვება, ღმერთამდინ აქედამვე გზას გამინათებს. მე ეგ მეყოფა, შენც შენს ვალს მოიშორებ. მერე რა-რიგად? ისე, ნეტავი, ყველამ მოიშოროს! არა შემიძლიან-რაო? ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება—გზას გაგინათლებს, გული—გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, — ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, — ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია: ის ცეცხლი არ უხდა გაგიჭროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა. ის ცეცხლი მეც, შენცა და სხვასაცა ხანდისხან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...

დიდი ხანი მელაპარაკა და ბევრი რაღაცები მითხრა, მაგრამ ხსოვნამ მიღალატა და ეხლა არ მაგონდება. ეს კი ვიცი, რომ იმის სიტყვებმა ძლიერ ჩამაფიქრეს და მას შემდეგ, თუნდა ჩემი სულთამხუთავი ყოფილიყო, თამამად თვალს გავუსწორებდი. აქამდინა კი კაცისაც მრცხვენოდა.

— რამდენი ხანი ვყოფილვარ მე მაგასთან, — მითხრა გლახუკამ, მღვდელი რომ წავიდა, — და მაგისთანაები ჩემ დღეში ჩემთან არ უთქვამს.

—ყველაფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაო, — ვუთხარი მეცა.

— არა, ძმაო, ეგ ბედის საქმე არ არი.

— მაშ ვისი საქმეა?

— ღმერთისა, რომ შენ ეგრეთი გაუჩენიხარ.

არ ვიცი ეს რისთვის მითხრა. თქმა ამისა და იმისი გაბრუნება ერთი იყო. მეც ავიღე თავი და ჩაფიქრებული წაველ შინისაკენ.

V

თქმა აღარ უნდა, რომ მეორე დილით. რაკი ჩემი საქმე გავათავე, გულმა მღვდლისაკენ გამიწია. მე გლახუკას გამოვკითხე მღვდლის სახლი და მარტოკა წავედი. შევალე დაბალი ქუჩის კარი.

დერეფანში ერთი უბრალო ტახტი დამხვდა, ზედ ისხდნენ შვიდი-ოდე პატარა ბიჭები. შუაში თავმოხდილი იჯდა ჩვენი მღვდელი. ზოგს აწერინებდა, ზოგს აკითხებდა. იქით, პატარა პოშორებით, ვილაც დედაბერი კედლის პატარა ბუხრის წინ ქვაბებს დასტრიალებდა. თვალი შემასწრო თუ არა, მღვდელმა გამიღიმა: ოჰ, გაბრიელს გაუმარჯოს, — დამიძახა მაშინვე.

მე თავი დავუკარი და კურთხევა ჩამოვართვი.

— მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება, — მიბძანა ხელახლად.

— შენის წყალობით და ჩაგონებით, შენი ჭირიმე! — მეც ვუპასუხე.

— ვითოჰ?

— რა ვიცი? მე ის კი ალარა ვარ, რაც შეხამდინ ვიყავი და.

— მეფერები თუ?

— მე არ მოგიკვდე, გაბრიელმა მაგითი შენ გული არ აგაყრევინოს!

— თუ ღმერთი გწამს, მითხარ: რამდენი წლისა ხარ?.. — მკითხა და არ ვიცი რისთვის გადამიგდო ბანზედ სიტყვა!

— მგონია, თოთხმეტ-თხუთმეტისა ვიქნები...

— თოთხმეტ-თხუთმეტისა... — გააგრძელა სიტყვა, თითქო არა სჯერაო, და დაფიქრებით თვალი თვალში გამიყარა.

— რაზედ მკითხე, შენი ჭირიმე?

— ისე გკითხე. მე... სწორედ გითხრა... მეტისა მეგონე... — ეს ისეთ ჭოჭმანობით და შესვენებით ვითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო და შუაზედ გაწყვიტაო. — აი, დედავ, — მიუბრუნდა უცბად მღვდელი დედაბერსა, — წუხელ რომ გითხარ გაბრიელი — ეს არის, თოთხმეტის, თუ თხუთმეტის წლისა ყოფილა...

ბებერმა შემომხედა და სთქვა:

— ღმერთმა გაუზარდოს თავის დედ-მამას სასახელოდ.

მე არ გავაგრძელებ ჩემ წიგნის სწავლასა, ისეცა გრძელდება ჩემი ამბავი და ვფიქრობ — თავი არ მოგაწყინო. მარტო ამას კი ვიტყვი, მამა შვილს ისე როგორ მოექცევა, როგორც ის ჩვენ გვექცეოდა. დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი! ცალი არ ჰყვანდა ქვეყანაზედა. მე მალე მიმახვედრა წიგნსა. სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვებიც გავიზეპირე, დღევანდ-

ლამდინ მახსოვან. მარტოობაში ღმერთს დღესაც იმ ლოცვების სიტყვებით ველაპარაკები. ისინი მიკვალავენ ცისაკენ გზასა და დღე-და-დღე იმათთან ვაყოლებ სულსა. ღმერთო! შენ გაუნათლე იმასაც გზა სააქაოსაც და საიქიოსაც! თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ, ის იმათში პირველია.

არ გასულა სამი-ოთხი თვე, რომ სხვა შეგირდებს დამაშორა. მიბძანა: „შენ, ჩემო გაბრიელ, შავარდენი ჰყოფილხარ, მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ: სხვა შეგირდები ტაატით მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით ივლიან, და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მოვუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ“.

მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა. მიქებდა ხოლმე გულისყურს და მიხვედრასა: „ვიცი, — ზედ დაატანდა ხოლმე, — შენ მაგითი თავს არ გაიზვიადებ, ჭკვიანი ბიჭი ხარ, იმიტომ პირში გეუბნები“

გავიდა რამდენიმე დრო, წიგნი კარგად დავიხელთავე, წერაც გავიკვეთე. ერთხელ, როცა წიგნის კითხვა გავათავე და ნაწერიც მომიწონა, მომისვა გვერდით და დამიწყო თავისებურად ლაპარაკი. ეგ იმან ხშირად იცოდა ხოლმე, როცა კი დავაჯერებდი, რომ მაგითი შინ საქმეს არ მოვცდებოდი. მეც, როგორც მოგეხსენებათ გათამამებულ კაცის ამბავი, გკითხავდი, ვებაასებოდი, და, — არ ვიცი, ჩემი სიტყვა-პასუხი მოეწონა, თუ რა, — მიბძანა: „შენ, ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი მინდა გაჩუქო“.

ადგა, გამოაღო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი დაბეჭდილი წიგნი.

— აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა, თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

— როგორ არა, ღვთისნიერი რამა ყოფილა.

— ღვთისნიერიო!.. რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა — ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა: მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია — იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე — ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მოხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყოფილა, ჩემო ძმაო,

ჭარხთველობით თავი მოგვიწონებია. ტყუილად კი არ არის ამ წიგნში ნათქვამი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია". დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა...

— ეგ წიგნიც იმან დაწერა?

— არა, იმ ღვთისაგან დალოცვილსა ერთი კარისკაცი ჰყოლია, შოთა რუსთაველი, იმას დაუწერია.

— ეს სულა?

— სულ, თავიდან ბოლომდინ გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთი-ერთმანეთს ვუშველით და გავიგებთ. ბევრგან იცის სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ. გულს და გონებას გაგიწრთვნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

— საღმრთო რამ არის?

— ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო. რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშავარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ აჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა. მაგრამ რას გეუბნები? აქ ერთგანა სწერია:

„უნდა კაცი კაცისათვის
სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად".

მგონია, ეგრე სწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა. საღმრთო არ არის, მაშ რა არის? ქრისტე-ღმერთმაც ეგ არ გვიბძანა?..

გაოცებული ვუყურებდი მღვდელს. სახე გამოეცვალა, თვალიც გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო, ვატყობდი, რაღაც უნდა ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარა მითხრა–რა და სიარულში გააჭარწყლა გულის წადილი.

— ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, — სთქვა პატარა ხანს უკან მღვდელმა თავის-თავად, — იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი.

ისევ ჩაფიქრდა. ეს რომ სთქვა, აქეთ-იქით დაიწყო სიარული, თითქო მე დავავიწყდიო. მაგრამ ბოლოს ისევ მოვაგონდი, მომიბრუნდა და მითხრა:

— აბა წავიკითხოთ.

მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო, ეწერა: „ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა“. მე ვუთხარი:

— რატომ თავიდამ არ მაწყებინებ?

— ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც, თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრებით მაგის გადაკითხვასა.

მეც დავუჯერე. იმ დღიდამ დავიწყეთ მე და იმან „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. მაშინ ვიქნებოდი ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. ის დღეები ჩემთვის უღრუბლონი იყვნენ!.. წავიდნენ და არ მობრუნდებიან უკან... რა ვუყოთ? გულს ხომ ისევ ეტყობა მათი სითბო, ესეც ნუგეშია.

ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხავდა: „გესმისო“? თუ ვეტყოდი „მესმის“, ხომ რა კარგი, თუ არა და მომიყვებოდა და თითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდა. იმ ალაგთან რომ მოვედი, საცა სწერია: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია“ — მახსოვს, — დიდხანს შემაყენა. ამისთანა სიტყვებზედ უყვარდა იმას შედგომა და ბაასი. მაშინდელი სიტყვები, რა მაშინდელი! რაც რამ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა.

— გესმის ეგა? — მკითხა, — სახარებაში ქრისტე-ღმერთი ერთს იგავსა ბძანებს, თუ არ მოგწყინდება, გეტყვი. თურმე ყოფილა ერთი ბატონი, რასაკვირველია, მოსამსახურეებიც ჰყოლია. თითონ სხვაგან დაუპირებია წასვლა, დაუბარებია მოსამსახურეები და ფული დაურიგებია; ერთისათვის ბევრი მიუცია, მეორისა და მესამისათვის ერთი-ერთმანეთზედ ნაკლები და უთქვამს: ასარგებლეთ და როცა მოვალ, სარგებლით დამახვედრეთო. თითონ წასულა. იმ ორ მოსამსახურეს ჭკვა უხმარიათ, ბატონის ბძანება აუსრულებიათ და, რაცა ჰქონიათ მიბარებული, ერთი იმოდენა კიდევ მოუგიათ. მესამე კი ერთი უჯიშო რამა ყოფილა, უმადლო, მცონარე; უფიქრია — მო-

გებას ვინა ჩივის, ესეც არ დავკარგოვო. აუღია და მიწაში ჩაუფლავს. ბატონი რომ მობრუნდა, მოიწონა ორივე მსახურის მადლიანი საქციელი, მესამეს კი გაუწყრა, წაართო ის ფული და იმათ მისცა, ვისაც მოგებით ეარნათ. მესამე კი ხელცარიელი დარჩა. მიწაში ჩაფლა საწყალმა — არ დამეკარგოსო, მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ დაჰკარგა. რომ გაეცა კი, იმისი იქნებოდა. ბატონი ღმერთია, იმისი მსახურები — ჩვენა ვართ. ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა. ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას — ცოტა. იმისთვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, — იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია“. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

ამას რომ მიბძანებდა, ამ დროს, ჩვენ რომ ვისხედით, იმ პატარა ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა მიკონკებულ ჩადრში შეხვეული ერთი ღარიბი დედაკაცი. მღვდელი მუთაქაზედ წამოყუდებული იყო, მაშინვე გასწორდა.

— მარიამს გაუმარჯოს, მარიამს!.. — დაუძახა მღვდელმა — შენი ქმარი როგორ არის?

— რალა როგორ არის, შენი ჭირიმე, — უპასუხა გულანატირად დედაკაცმა, — ავად შენი მტერი იყოს, ავად ის არის. იმ დღეს, დედა-თქვენმა რომ წამალი ჟბოძა, იმან ცოტად არგო; მაგრამ დღეს კი დილაზედ ტკივილები ისევ აეშალნენ. არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა. ლამის ღმერთმა ჩემზედ ხელი აიღოს. ის ამ ქვეყნისა აღარ არის, შენი ჭირიმე... რა მეშველება, რომ ღმერთი გამიწყრეს...

დედაკაცს ტირილი მოერივა და სიტყვა ვეღარ გაათავა. მე მღვდელს შევხედე. ერთმა მწუხარების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, დალონდა, წარბი შეეკრა, თითქო გულში ისარი გაეყარაო. საკვირველია, ღმერთმან იცის! როგორ ეტეოდა ამოდენა ხალხის გულის ტკივილი იმ ერთ გულში... დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია.

მღვდელი ადგა, დაიწყო წინ და უკან სიარული. არა უთხრა-რა, თითქო აცლის, ჯერ გული მოიბრუნოსო. ბოლოს კი, ჰნახა რომ დედაკაცი ტირილს არ ეშვება, მოუბრუნდა და იმ მადლიან და სანდო ხმითა, რომელიც იმისაგან მერეც ხშირად გამიგონია და მინამ პირში სული მიდგას არ დამავიწყდება, უბძანა დედაკაცსა:

— ნუ სტირი, დედი... სულმოკლეობა ღვთის საწყენია. ღმერთია მოწყალე, იმის ნუგეში დიდი არის, ღმერთი არის ყველას მფარველი, მოჭირნახულე ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგიშვებს. ნუ სტირი, ნუ! ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. ნუ სტირი!

— რა ვქნა, შენი ჭირიმე? ცრემლი, — წაიქვითინა ბებერმა, — მწუხარების შვილია... თავის-თავად მოდის, როცა გული იწურება.

— მართალია, დედი, მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა. თუნდა ეგ არ იყოს, შენ ქმარს საცრემლო რა სჭირს? დედიჩემის წამალმა ხომ არგო, კიდევ წაიღე, შე დალოცვილო!

— დიაღ, შენს მადლს ვენაცვალე, მაგისთვის გიახელ, — უთხრა ისევ გულამომჯდარად დედაკაცმა და მერე ხმა-წყვეტით ზედ დაატანა, — ერთი საქმე კიდევ მაქვს თქვენთან...

— მიბძანე, — მიუგო მარდად მღვდელმა.

— ხომ იცით, თქვენს მეტი პატრონი არა ჰყავს ჩემისთანა უნუგეშოს. მრცხვენიან, რომ გლახასავით თქვენ შემოგყურებთ და გაწუხებთ, მაგრამ...

— კარგი, დედი, მესმის, — არ გაათავებინა მღვდელმა. — დედი! — გასძახა მეორე ოთახში თავის დედასა, — მარიამს შენთან საქმე აქვს. წადი, — უთხრა დედაკაცს, — დედა-ჩემმა იცის...

— აი, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს ქვრივსა და ობრის ნუგეშად, აგრემც ღმერთი გადაგიხდის ღარიბის გაკითხვის საშაგიეროს, აგრემც...

— კარგი, კარგი... — კიდევ არ დააცალა სიწითლემორეულმა მღვდელმა, თითქო შერცხვა და მადლობას თაკილობსო, — ღმერთმა გილხინოს. წადი, დედი, შენს ქმარს მალე მიეშველე. ნუ იტირებ კი. ცრემლი ისე არ არგებს, როგორც შეაწუხებს. უთხარი შენს

ქმარს: მეც დილაზედ ვინახულებ, ღმერთია მოწყალე-თქო, ყველა-ხი მშვიდობით ვიქნებით-თქო.

დედაკაცი რომ გავიდა, მღვდელს მაინც გული არ დაუმდა, კი-დევ იმის ფიქრში იყო.

— მართლა რომ შესაბრალისია ეგ საწყალი, — სთქვა მერე, — ქვეყანაზედ მაგ ქმრის მეტი შემნახავი არავინა ჰყავს. შვილი მაგას არ შერჩა და ძმა, დარჩება ისე უპატრონოდ, უბედურად. კაი კაცი იყო მაგის ქმარი. მართალია, გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია; მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა, ეხლა რა ეშველება? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!..

— მართლა რომ დაილოცა ღვთის სამართალი! — მივატანე მეც იმის ქცევისაგან გულგახარებულმა, — დაილოცა ღვთის სამართალი, შენისთანა კაცს არ დალევს ქვეყანაზედ ქვრივ-ობრის და უპატრონოს ნუგეშად. შენმა სიტყვამ ეხლა იმას ცრემლი მოსწმინდა. დაილოცა ღვთის სამართალი! მადლიან კაცს თან ააღევნებს უბედურსა მხარის მისაცემად.

ხმა არ გამცა, ყური მომარიდა. საკვირველია კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის-თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება. რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ. მაგრამ რა? ღმერთი ხომ ჰხედავს და ხელის გულზედ სწერს... დედამიწის სარკე ზეცა არის, ის გადიცემს ხოლმე წუთი-სოფლის საქმესა...

VI

თუ გული გაქვთ, თქვენვე იგულეთ ეხლა: რა იქნებოდა იმ დედაკაცისათვის ის მადლიანი ნუგეში იმ მადლიან კაცისა! მართალია, მღვდლის ლიტონი სიტყვა უკვდავების წყარო ხომ არ იყო, რომ მკვდარი გაეცოცხლებინა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი საქმეა ისეთი ღვთისნიერი გულშემატკივრობა. „ღვთის ნუგეში დიდიაო“, — სთქვა მღვდელმა. მე რომ ვნახე, არც კაცისა ყოფილა ნაკლები. თქვენ რომ როდისმე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით — მწუხარისათვის. იმედ-გადაწყვეტილისათვის ცარიელი სიტყვა, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლეც ურევია, მაშინ შეიტყობდით, — ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არის!..

ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდი აგეცლება გულიდამ. სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად ულირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ — მოძმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზოგმა თუნდ გამოიმეტოს კიდეც, გაჭირებულ გულს არ მოხვდება, ვერ მიალწევს გულამდინა. ამისთანა კაცები გულს ვერ მოჰფხანენ გაჭირვებულსა და ვერც ნუგეშსა სცემენ. მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს.

მღვდელი, ის დალოცვილი მაღლით საკვირველი მღვდელი, ამისთანა არ იყო. დედაკაცი რომ ატირდა, მაშინ რომ შეგეხედნა, გული იმას თვალებში გამოიხატა და ზედ ეწერა: „რა ვქნა, დედი? ჩემი სიხარული რომ მოარჩენდეს შენს ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებო!“ ამისთანა კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გაარღვევს და აბრეშუმის ხელსახოცსავით ლბილად მოსწმენდს თვალიდამ ცრემლსა.

როგორც შემეძლო, ხომ გითხარი, მღვდელმა რა უთხრა დედაკაცსა. დიდი არაფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამმა იმ დედაკაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დააგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!.. ოო!.. სითბო?.. დიდი რამ არის!.. დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა! მაგრამ რა სიტყვა!.. ცარიელ სიტყვას ის მღვდელი არა სჯერდებოდა. მერე შევხედე, წელიწად-ნახევარი თურმე ინახავდა — თითონ დარიბი—დავდებულ ქმარსა და ცოლსა.

შენ ღვთის გამგებლობას უყურე! ის-ის იყო, კაცის გულის სიკეთეზედ მელაპარაკებოდა, ღმერთმა ისე მოიწადინა, თვალით დამანახვა ის, რაც სიტყვით მღვდელმა ჩამაგონა. სწორედ სასწაული იყო ღვთისა, რაღა იმ დროს შემოეტიდა ის დედაკაცი, რომ, რაკი სთქვა, ის ჩემ თვალწინვე აესრულებინა. გინდა დაიჯერე, გინდა არა, მე კი ვიტყვი მართალსა: ერთი მაშინ მოხდა ეს სასწაული, მეორედ კიდევ მაშინ, როცა იმ ადგილას მივედით, საცა სწერია:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს,
სუსტი და ძალგულოვანი,

ბოლოს შეჰყარხეს მიწაძან
ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოკანი“.

სწორედ იმ დროს ქუჩიდამ ერთი აყალმაყალის და ალიაქოთის ხმა შემოვიდა. ხომ მოგახსენეთ, მტკვრის პირას ვიდექით-მეთქი და მღვდელიც ხომ იქვე იდგა. მღვდელი გაფითრდა და ისე, როგორც იყო, უცბად ეცა ქუჩის კარებსა. მეც გამოვედი გარეთ. საღამო ხანი იყო. ხალხი — დიდი თუ პატარა, — ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მირბოდა.

— რა ამბავია, ძმებო, რა ამბავია? — დაუყვირა ხალხს მღვდელმა.

— რაღა რა ამბავია, შენი ჭირიმე! კაცი ირჩობა, — დაუძახა ვიღაცამ.

ამის თქმა და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. ისე თავშიშველი გაფრინდა გაფოთებული. მეც უკან გამოვუდექი. ჩავედით. ხალხი და დედაკაცობა შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზედ. იმათი ჟღავი-ჟღუვი, ალიაქოთი კაცს დააყრუებდა. დედაკაცების საცოდაობას კი ნუღარ მკითხავთ, სულ „ვიშ! ვიშ!“ გაჰქონდათ. რომ დაინახეს მღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: „მღვდელი მოვიდა, მღვდელი, მადლობა ღმერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაირჩობაო!“ სჩანს, შენი ჭირიმე, იმ მღვდლისაგან კვლავაც ბევრი მაგისთანები ენახათ, რომ ეგრეთი იმედი ყველას მოეცა.

მღვდელმა ხმა არავის გასცა, ზედაც არავის შეჰხედა, იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ეღუპებაო. თვალის დახამხამების უმალ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ. ერთ წამს კი, მინამ იხდიდა, მტკვრისათვის თვალი არ მოუშორებია. მე შევხედე: გაფითრებული იყო და დაღონებული. ერთი ეს კი სთქვა: ირჩობა ჩვენისთანა ადამიანი და არავინა შველის? შემდეგ სწრაფად გადაისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო მღვდლის საქციელმა წაახალისაო.

ცოტა ხანს თვალიდამ დავკარგე მღვდელი. მე იმისი დარჩობის შიში მომეცა. „რა ვქნა, ხომ არ დაირჩო?“ — წამოვიძახე ჩემ თა-

ვად. „ჰმ, — ჩაიცინა ჩემ გვერდით ერთმა კაცმა, — მაშ შენ ეგ ვერ გიცვნია, — მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალს ააყოლა, — მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგე, თუ არა გჯერა, სად ამოჰყო თავი!“ — გამიშვირა თითი და დამანახვა გახარებულმა მღვდელი.

მივიხედე, თითო ხელის მოქნევაზედ ის დალოცვილის-შვილი ერთ დიდ ალაგს გადაინაცვლებდა, როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს. მღვდლის შორიახლო ის უბედური მუშა, — წყლის მუშა ყოფილიყო, საწყალი, — ქანცგაწყვეტილი ფორთხალებდა. ხან ჩაიძირებოდა, ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე.

— ნუ გეშინიან! — ეძახოდა ხალხი, — არ შეუშინდე წყალსა, ცოტა კიდევ თავი შეიმაგრე, შენი დამხსნელი მოდის.

აი, მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი, ხალხი აქედამ წასახალისებლად ხმას აძლევს: „აი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! დაილოცა შენი მკლავების ძარღვები!.. ჰე... ტაი, ტაი, ტა!.. რა-რიგად მიდის, ნავია! აბა, შვილო, დედის ძუძუ მაგას შეჰრგებია, აი...“—იძახოდა ერთი.

— დედის ძუძუ ვის არ შეჰრგებია, მაგრამ მადლიანი ძუძუ უნდა, რომ მაგისთანა შვილი გაჰზარდოს, — ამბობდა მეორე.

მაგრამ მღვდელს არ ეჭირვებოდა არც ერთის თქმა, არც მეორისა, არც ხალხის წახალისება და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრე და წამახალისებელიც ის ცეცხლი იყო, რომელიც, თითონ რომ სთქვა, ყოველს კაცს გულში უნთიაო. რას ბძანებ? სიკეთე კაცს გულში ვერ ეტევოდა, სხვის წახალისება აქ რა საჭიროა! სიკეთის ქმნა სწორედ. რომ იტყვიან, სწყუროდა: დრო მოეცა და ზედ დაადომით დაეწაფა.

ისე შენ მორჩი შენს ნაღველსა, როგორც იმ მღვდელმა ის მუშა მოარჩინა. როცა ნაპირზედ გამოიტანეს, როგორც ძმასა ზედ დასტრიალებდა გონებამიხდილ მუშასა. როგორც იყო, გამოაბრუნეს ის საწყალი. თითონ მღვდელი მუშაზედ ნაკლებ შესაბრალისი არ იყო. შემოდგომა გახლდა, სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა სცემდა და ჰკანკალებდა.

— გლახავ! — მიუბრუნდა ვიღაცაც მღვდელი, — თუ ღმერთი გწამს, ამაღამ შენ სახლში ბინა მიეცი ამ საცოდავსა, მადლია!

— ბატონი ბძანდები, — უპასუხა იმანაცა, — მაგას რაღა თქმა

უნდა, შენი ჭირიმე! შენ კინაღამ მაგის გულისათვის თავი არ დაირჩე და მე ბინას როგორ არ მივცემ. აბა, ბიჭებო, მიშველეთ!

დაუძახა ხალხსა. ხალხი მოსცვივდა, ასწიეს მუშა და ციმციმით წაიღეს, მღვდელიც უკან აედევნა.

— შენ კი შინ წამობძანდი, შენი ჭირიმე! — ვუთხარი მე, — დაღლილი ხარ, ჰკანკალებ.

— მუშას შველა უნდა კიდევ, — მითხრა პასუხად.

— შე დალოცვილო!.. შენ თავსაც უნდა შველა, — მივატანე მე.

— აგერ ჩემი მშველელი სად არის!.. — მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახვა და გამეცალა.

მინამ კარგად არ მოახვენა, მინამ გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდება, — ის დალოცვილი არ მოჰშორებია.

ის მუშა კი მოარჩინა სიკვდილსა და თვითონ კი კინაღამ სული არ მიაბარა უფალსა. ისე ავად გახდა, რომ კინაღამ თან არ გადაიტანა. ღმერთმანი, შეინანებდა და იტყოდა: „სხვისთვის თავი რად წავიხდინეო. მარტო ვყოფილიყავ, კიდევ ჰო: დედა-ჩემს ვის ანაბარას გავუშვებდი, მე რომ იქ ამტეხოდა რამეო“.

იმისი საცოდავი დედა კი ეუბნებოდა: შვილო! თავს რაზედ იკლავდი? რა ვუყოთ, რომ ირჩობოდა? შენც რომ იქ აგტეხოდა რამე, დედა-შენს რაღას ეტყოდი, საიქიოს რომ შეჰხვდებოდი?

— პირნათლად შევხედავდი, რომ იმის ძუძუმ კაი საქმე შემაძლებინა, — უთხრა მღვდელმა.

— ზოგი მე მკითხე ეხლა. შენ დაგხარი დღე-მუდამ ზედა, შენს მეტი აღარავინ გამაჩნია დედამიწის ზურგზედ და ისე გამომიმეტე, რომ კინაღამ თავი არ მოიკალი სხვისთვისა, კინაღამ...

— აკი ღმერთმა დამიფარა და არა ამიტყდა-რა.

— როგორ არა აგიტყდა-რა? სამი დღე, ვუი შენს დედასა, უსუსლო მკვდარსავით წინ მედე და დაგტიროდი. რომ ღმერთს არ მოეხედნა, რა მეშველებოდა?

— ჭვეყანა დიდია, დედიჯან! ყველა კაი კაცი შენი შვილი იქნებოდა.

— უი, უი! — გადაიწერა პირჯვარი მღვდლის დედამა,—ღმერთმა ნუ შემასწროს მაგ დღეს!.. შენის ხელით მინდა, შვილო, მიწა მივიყარო.

ერთხელ, ჯერ კიდევ მორჩენილი არ იყო, რომ მივედი. მეც კი,

ღმერთო შეგცოდე, ვუთხარი: მეტის-მეტი თავგამომეტებული ჰყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალებოდა, დედა-შენს მაინც შეიბრალებდი. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტრიალ ქვეყანაზედ?

— ცოდვა ეგ კი არ არის, ცოდვა ის არის, ჩემო ძმაო, როცა შვილი დედის ჭირნახულს ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა, — მითხრა დასუსტებულმა. — აქ ახლო მოჯექ. იმ დღეს დედა-ჩემს ვერა ვუთხარი-რა, მოხუცებულია, უსიყვარულობაში ჩამომართმევდა. დედის გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ მიეშატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეცეო. — დედა მაგას იქს; შვილმა კი დედისათვის რომ ეგა ქნას, დედა იწყენს. მე რომ ჩემი თავის და ღვთის იმედი არა მქონოდა, სულელი ხომ არ ვიყავ აღელვებულ წყალს მივცემოდი. ღმერთმა შეიძლება მომცა და ინება ჩემის ცოდვილის ხელით იმ კაცის შორჩენა. თუნდ ეგ არ იყოს და მეც იქ თავი გამეფუჭებინა, რა ცუდს საქმეზედ გავიფუჭებდი თავსა! ხომ უნდა მოვკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და... გეტყვი ეხლა კი, კაცის სამსახურში (აქ მღვდელი გაწითლდა) ამომივიდეს სული!.. აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, ჩემო კარგო! სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა სთქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აჭრობს, როგორც შვილისათვის, ისე დედისათვის! დედა-ჩემს ეგ არ ესმოდა და იმიტომ თქმა ამისი ვეღარ გავუბედე.

— ეგ აგრეა, მართალსა ბძანებ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ...

— მესმის რის თქმაც გინდა, — გამაწყვეტინა სიტყვა, — იქნება გეგონოს — ვინც კაი საქმესა ჰშვრება, სახელისათვის ჰშვრებაო? არა, სახელი თავის-თავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედა ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნდ გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს,

დაე, საქმე საქებური იყოს, — და გულის-წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ. აი, ეხლა ვინც თავდაპირველად გუთანი მოიგონა, ვინ იცის, სხვისთვის ისე არა ჰფიქრობდა, როგორც თავისთვისა. ისე სიკეთისათვის არა, როგორც სახელისათვის, ჩვენ რა? ღმერთმა ცხონება მისცეს იმას, რომ იქნება თითონ მშიერი მოკვდა და ამოდენა მილეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტარი ლუკმის სახსარი მისცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ, საქმე კი, რომელიც ყველა სახელზედ უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ, საქმე — რომელიც მარტოკა დასძლევს მთელ ქვეყნიერების ცოდვებსა! ხომ ეხლა არავინა ჰკითხულობს: — რა წადილი ჰქონდა, როცა საწყალი თვალსა და გონებას იწყალებდა ამ სახელოვან საქმისათვის. ის წავიდა თავის კარგის, თუ ცუდის გულის-წადილითა და იმის გულისწადილის ნაჭირნახულევი კი ხელთ დაგვრჩა...

— მე მაგაზედ ფიქრადაც არ მომსვლია მეთქვა რამე, მე მინდოდა მეთქო...

— რა უშავს? — გამაწყვეტინა ისევ სიტყვა, — მეტი ხომ არ იქნება, რომ მე ეგა ვთქვი?

— მეტს ვინ მოგახსენებს? — ჩამოვართვი მეც სიტყვა, — მე მანამდინ გონება სად მიმიწვდებოდა, რომ ეგ მომფიქრებოდა. მე მინდოდა მეთქო, რომ სხვის მოსარჩენად დედა-ჩემს არ დავღუპავდი. ვერ დავთმობდი, იმის იმოდენ საცოდაობას კისრად ვერ ავიღებდი. შენი სიცოცხლე იმისთვის სხვა რამ არის, სხვა ნუგეშია!..

— სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის. ვარსკვლავები მაშინ არა სჩანან... ის როგორა სწერს ავთანდილი როსტევანსა?

„მე იგი ვარო . . . . .
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიჩანს მღერად“.

კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიაჩნია ადამიანსა ისიც კარგია, ხომ გახსოვს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

— მახსოვს და მესმის კიდეცა, რაზედაც მითხარი ეგა. მაგრამ მაგისთანა ნაძრახი სიცოცხლე ნეტავი მე მჭონდეს, როგორიც შენა გაქვს.

მღვდელი ბავშვსავით წამოწითლდა. ის დალოცვილი ვერ იფერებდა ქებასა.

— შენ მე ნუ გადმომწვდები ხოლმე, — მითხრა ღიმილითაც და მორცხვობითაც, — ხომ არ იცი, მე რა კაცი ვარ?

— შე დალოცვილო, — დავატანე ზედ, — თუ მიგნება არა მაქვს, მადლობა ღმერთს, ბრმა ხომ არა ვარ, რომ არ დავინახო. ნაძრახი სიცოცხლეო!..

— მაშინ ნაძრახი იქნებოდა, თუ ჯერ არ არის, ჩემო ძმაო! კაცი ირჩობა, ღვთის კერძო, შენსავით შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ კი გულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებ, როცა იმის მორჩენა შეგიძლიან. სასახელოა? მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ, ან შენ და ან დედა-შენი, ღმერთს რას ეტყვით? არ გეტყვით: რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის? რად დამალეთ და დაიშურეთ ღონე და შეძლება, რომელიც გაჭირებულის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალი ვიყავ, არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო: შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ-გაკითხული, — მე ვიყავიო. ესეა, ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა!..

გზა გამიკაფა, მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და არ დამაცალა ზედ გამევლო!.. მომიტანა კლდემ ქვეშა და, ხომ ჰხედავ, ისე ვქრები, როგორც ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შველის!..

ტყუილად კი არ მითხრა, როცა ავთანდილის და შერმადინის ამბავი წავიკითხე და ატაცებულმა უნებლიეთ წამოვიძახე:

— ვენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს — ამისთანა.

— მოგწონს? — მკითხა მღვდელმა.

— აბა რა?

— მართალი ხარ! — მიბძანა იმან ნაღვლიანად, — უარესს ეგა სჯობია.

ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება და გული; მე თვალი მომარიდა და ჭერს გაუშტერა. კარგა ხანი დაჩუმებული იყო, მერე კი თითქო უნებლიეთ, თავის-თავად უფრო დაღონებულად სთქვა:

— იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ჭალამნადა.

მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს. უეცრად ჩემკენ მოატრიალა თვალი. როცა კარგა ხანი კიდევ მოიფიქრა, მითხრა:

— ერთი ეს მითხარ: ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია.

— რასაკვირველია ის, რომელსაც ხელი არ მოჰხვედრია.

— რადა? ის ხომ უფრო გაპატივებულია?

— ვაი იმ პატივს!.. ხან ფრთას აუკვრენ — არ გაფრინდესო, ხან ბოლოს — არ გაიქნივოსო, თვალებს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე — არა დაინახოს-რაო.

— ყველას ეგრე უზმენ ხოლმე?

— მაშა? ამბობენ, თუ არ ეგრე, მიმინო არ გაიგეშება თურმე. კლანჭებზედაც ეჟვნებიან თოკს გამოაბმენ, თუ ვინიცობაა ნავარდზედ გაიწიოს, — არ გაუშვან.

— თოკი თოკია, ეჟვნები რაღადა აქვს?

— ხალისისათვის თუ უკეთებენ: ატოკდება, თუ გაფრინდება — ეჟვნები ხმას აძლევენ.

— იქნება. მაგრამ, მგონია, ფრთების ფრიალი, როცა კი გაშლის ხოლმე და გაინავარდებს, იმ ეჟვნების ხმას ერჩივნოს და წასახალისებლადაც ის ეყოს.

— აბა მაგას რაღა თქმა უნდა? რასაკვირველია, ურჩევნია.

— მეც ეგრე მგონია, ჩემო გაბრიელ... ეხლა, რას აქხევენ მიმინოსა?

— შე დალოცვილო! ისე მკითხავ, თითქო არ იცოდეო. მწყერს აჭერინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ.

— მერე?

— მერე რა! მწყრებს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ.

— მიმინოს?

— მიმინოს იმას გამოაწიწკნინებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა.

— საწყალი!.. თხის პატრონს არც თხის კუდიო... მერე მიმინო მადლობელია?

— არა მგონია. კიდევ რა! ბევრი მონადირეა, თავის დღეში მუცელსაც არ გაუძღობს, — კარგად ვერ მოეტევებაო; ზოგმა კიდევ ეგ ხანდაზმობით იცის.

— მინამ სული არ ამოუვა, სულ ამ ყოფაშია მიმინო?

— არა. თუ მიმინომ შემოდგომამდინ გაუძლო მონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზედ გაუშვებენ ხოლმე.

— დახე, ყველას დრო სდომებია!..

— მაშ უდროოდ რა იქნება? მინამ მწყერია, ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე.

— მაშ მინამ მწყრები ბუდობენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო?

— დიაღ, — გამეცინა მე, — მინამ მწყრები ბუდობენ.

— მგონი, მწყრები მაშინ მოილევიან, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში; სიმინდი რომ მოიჭრება, ყანები, ფეტვები რომ დაიმკებიან; ერთის სიტყვით, როცა ყოველ კაი კაცის ნამუშევარი შემოვა.

— დიაღ, შემოდგომაზედ მწყერი ილევა, მაშინ მიმინოსაც თავის ნებაზედ გააფრენს ხოლმე მონადირე.

— დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!.. ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია, — სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან, ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!.. კაი დრო არის! პური, ღვინო, ლხინი, ყველაფერია ბლომად. ყველა, დიდი თუ პატარა, მაძღარია მაშინ და მხიარული!.. კაი დრო არის!.. ორი-სამი თვეც, — და გაზაფხულიც ზედ მოებმის, ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბილი გაზაფხული!.. ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა!..

VII

მე იმ მღვდელზე სიტყვა ძალიან გაგიგრძელე, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ. ორიოდე ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, გონებისა და ადამიანობის თვალი, — ავად თუ კარგად, — იმასთან ამიხილებია. ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა, — და ამ უპირო ქვეყანამ სხვა ნურა დამაყვედროს-რა. ამიტომ მიყვარს მე იმ მღვდელზედ ლაპარაკი, როცა კი ვლაპარაკობ ხოლმე. სული ისევ სულობს, როცა იმას ვახსენებ. დამიჯერეთ, რომ მე იმის ხსენებაზედ ამქვეყნად კიდევ მადლი ღვთისა მწამს, კიდევ მგონია, რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან ძაფი არ გამწყდომია. დალოცა ღმერთმა ის კაცად-კაცი!..

ბევრი რამ მოგახსენე იმ ღვთის კაცზედ, მაგრამ ნაასალიც ვერ გითხარი: იმისი გული და ამბავი ზღვა არის და მე უბედურმა კოვზით ზღვის ამოწურვა მოვინდომე. ყბედობაში ნუ ჩამომართმევ, შენი ჭირიმე. თუ მოგაწყინე თავი, ნუ გამკიცხავ და მაპატივე.

ხუთი წელიწადი აგვითავდა ჩვენ, რაც ქალაქში ვიყავით. მეექვსე წელიწადი რომ დაიწყო, დიდი ბატონის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა. მაშინ დათიკო იქნებოდა ცხრამეტისა, თუ ოცის წლისა. მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინაღვლა და, მგონი, იტირა კიდეც. ჩემსავით დაობლდა და ჩემსავით ნაღველი მალე გადაიყარა დიდხანს აღარ უფიქრია: ფიცხლავ შინიდამ ცხენები დაიბარა და სამუდამოდ შინ წამოსვლა დააპირა. მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა ახალს ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა.

არ გასულა ხუთი-ექვსი დღე დაბარების შემდეგ, რომ ცხენები ჩამოგვივიდნენ. მეორე დღეს უნდა ქალაქიდამ გავსულიყავით. მე მღვდლის სანახავად წავედი.

— გაბრიელს გაუმარჯოს! — შემომძახა მღვდელმა, როცა შევაღე კარები და შევედი იმის პატარა ოთახში,—ამბავი-ხაბარი, ჩემო გაბრიელ!

— დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო, — მოვახსენე მე, —

დათიკომ შინიდამ ცხენები ღაიბარა და ხვალ შინ წასვლას ვაპირებთ.

— მერე დათიკო სწავლას თავს ანებებს?

— თავს ანებებს.

მღვდელს ეს ამბავი ძლიერ ეწყინა. წამოდგა ტახტიდამ და თავის ოთახში წინა და უკან სიარული დაიწყო. პატარა ხანს უკან მითხრა:

— „სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი“, ჩემო გაბრიელ! საკვირველია, რომ მე ის ყმაწვილი ვერ მოვიკარე!.. ეხლა შინ იქნება?

— შინ გახლავს.

გადიცვა მაშინვე ანაფორა და წამოვიდა დათიკოსაკენ. მეც უკან გამოვყევ. დათიკოსთან მღვდელმა არ შემიყოლია.

დათიკოსთან მღვდელმა კარგა ხანი დაჰყო. როცა გამოვიდა, მე წინ დავხვდი.

— ვერა გავაწყე-რა, — მიბძანა მე მღვდელმა ნაღვლიანად, — თავის სიტყვის კაცი ყოფილა. ღმერთმა სიკეთის შეძლება მისცეს.

დილაზედ ჩავალაგეთ ბარგი, დავამზადეთ ცხენები და, მინამ წავიდოდით, მღვდელთან გავიქეცი კურთხევის ჩამოსართმევად.

— მიდიხარ, მიდიხარ, გაბრიელ?! — მითხრა მღვდელმა დაღონებითა.

— გიახლებით. მაშ რა ვქნა? — ვკითხე მე იმ-რიგად, რომ, თუ ეთქო ნუ წახვალო, — იქნება, არც კი წავსულიყავ.

— უნდა წახვიდე. სხვას ვერასა იქ: შენი ნება შენს ხელთ არ არის.

მე აღარა ვუთხარი-რა. მივედი, ლოცვა-კურთხევა ვთხოვე. იმან პირჯვარი გადამწერა და მიბძანა:

— მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე, გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია. მშვიდობით.

მომეხვია მე, როგორც მამა შვილსა; დავკოცნეთ ერთმანეთი და გავიყარენით. ეჰ, ბატონო, ქვეყანა ძნელი შესაფერი ყოფილა!

ორ დღეს უკან ჩვენი სოფლის ბოლოებში მივედით. მზე ჯერ ჩასული არ იყო და მთის წვერზედ ცეცხლივით ენთო. მე ჩვენს სოფელში მისვლა ძალიანაც არ მიმიხაროდა. მე იქ აღარავინა მყვან-

და. მაგრამ ჩემის მიწა-წყლის სიომ რომ დამკრა, გული ამიტოკდა: ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი რომ დავინახე, ავივსე ლხენითა და სიამითა. ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნაღველსა, გულში რაღაც „მზიანი ჩრდილი“ იყო, თითქო ნაღველი სიხარულში გაიშალაო და სიხარული — ნაღველში. გული ოდნავ და მეტად ტკბილად მიცემდა. სმენად გარდამექცა გულისყური. ყველაფერი ჩემს გარსა თითქო რაღაცას კარგსა და დიდი-ხნის დავიწყებულს ამბავს მიამბობდა. იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა.

მე ხომ იმ ქვეყნისათვის ტიალ-ოხერი ვიყავ და იმ ქვეყნისა კეთილი არა მახსოვდა-რა, მაგრამ მაინც კიდევ თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, — ეგ იმას ვერ უცვნია. ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია და, დღეს თუ ხვალე, სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის მოწყალებად ჩავთვლიდი, რომ მე ჩემის მიწა-წყლის კალთაში სული დამელია. ვაი, სადაური სადა ვკვდები!..

შინ რომ მივედით, დათიკომ მეორეს დღესვე დამიბარა და მითხრა:

— ჩემო გაბრიელ, მე შენს ანაბარასა ვარ. აი ეს სახლი, ეს კარი, საქონელი, მამულ-დედული შენთვის ჩამიბარებია. ღვთის მოწყალება გვაქვს, მეც მაცხოვრე და შენც იცხოვრე.

ეს რომ მითხრა, ერთი კარგი ხელი ტანისამოსი მაჩუქა. მე რომ ის ჩავიცვი, თავადის-შვილში ვერ გამომარჩევდით.

ჩავიბარე ყოველიფერი, ყოველიფერი ხელში დავიჭირე და ღვთის შეწევნით საქმე ისე მოვიყვანე, რომ სახლიდამ ბეწვის ოდენაც არა იკარგებოდა-რა. მართალია, ჩემის ერთგულების გამო ბევრს შევძულდი. ბევრი მოვიმდურე, ყმა თუ მოჯამაგირე, მაგრამ ღმერთია მოწამე, უსამართლობა არავისათვის გამიწევია. ორ წელიწადში საქმე ისე მოეწყო, რომ დათიკო კაი ოჯახის-შვილად ჩაითვლებოდა იმ ახლო-მახლო თავადის-შვილებში. ღვთის წინაშე უნდა სთქვას კაცმა, რომ დათიკოც პირშავად არ იყო ჩემთან, ტოლ-ამხანაგად მინახავდა და ძალიან მადლობელი იყო ჩემი.

ყველაფერში კაი ყმაწვილი კაცი იყო: მშვენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულმარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი. თოფისა და იარაღის ხმარებაში იმ ძირობაზედ იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბა-

ღულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელმოღერებული, ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფერით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, — და იმ სენმა ისე იმას არ ავნო, როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ხიდად გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაივლიდა. მე მგონია, ის უბედური თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანაებში — ასეთი თავდაუჭერელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზედ ლაფი დაასხა. სხვაფრივ კი, ღმერთმა კაი მოგცეთ, კარგი ის იყო.

მე რომ ის არა მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ მხარბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა!.. მაშინ ჩემი ბედიც იქნება სხვა-რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ რა მექნა? ის, სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა. არ ვიმეტებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი. ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა-და მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა. შენ რაღას აკეთებდიო, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეთებდი? ეგა მკითხე და გამკიცხე კიდეც. გული მეც მემღვრეოდა, მაგრამ ჩემი გაუბედავობა, თუ იმისი სიყვარული, ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადავეხარიხენით. ის მე არ ჩამომეცალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპუე.

ჩვენის სოფლის ბოლოს ერთი კაი ოჯახის-შვილი იდგა, ჩვენის ბატონის ყმა. პეპია ერქვა სახელად. კეთილი სადმე კაცი იყო, ხანშესული, დროული, გლეხკაცობაში სახელიანი და პატივცემული.

იმას, შენი ჭირიმე, იქნება მარტო ჩემს საუბედუროდ, ერთი ახირებულად მადლიანი, ჯეირანივით ლამაზი გოგო ჰყავდა. ის იყო პეპიას სული და გული და იმის მეტიც აღარავინ შერჩენოდა ახლად დაქვრივებულს პეპიას. ბევრმა კარგად აშენებულმა გლეხმა სთხოვა ქალი, მაგრამ არავის მიათხოვა, თითქო სხვისათვის არ ემეტებოდა ის ობოლი მარგალიტი. გოგო იყო, შენი ჭირიმე, რომ თვალი

ზედ დაგრჩებოდა: თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტანწვრილი და მაღალი. ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა!.. მარილიანი რამ იყო, ჩემ საუბედუროდ.

აკი გამიწყრა ჩემი გამჩენი და პეპიას ქალს თვალი სადღაც მოვკარი. თვალის მოკვრა და გულში სიყვარულის ცეცხლის ჩავარდნა — ჩემთვის ერთი იყო. როგორც თოფის-წამალი ნაპერწკლისაგან, ისე ავფეთქდი სიყვარულისა და ნატვრისაგან.

რაღა გაგიგრძელოთ, თურმე ნუ იტყვით, — იმ გოგოსაც ჩემი ფიქრი მისცემოდა. ეხლა რაღა ვარ, შენი ჭირიმე! მაშინ ოცის, თუ ოც-და-ერთის წლის გათამამებულ ბიჭსა ადამიანობა მეტყობოდა. კვეხნით არ ვიტყვი — ჩემს ტოლ ბიჭებში ნაბოლოვარი არ ვიყავ და თვალ-ტანადაც არაფერი მიჭირდა.

ერთხელ კალოზედ კევრზედ იდგა და, მე რომ ამოვუარე, ჩუმ-ჩუმად შემომცინა. როგორც კოკორი მზისგან, გული ისე გადამეშალა და ამიყვავდა; ამომივიდა მზე, გამინათლდა ქვეყანა. ამიცქანცქალდა ობოლი გული, ამიცქანცქალდა ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და ისე აღარ ამცქანცქალებია. ეჰ, პირქუშო წუთისოფელო, ისიც ხომ მომიშალე!..

შუადღე იყო, ვენახიდამ მოვდიოდი და, ორღობეში რომ შემოვედი, ჩემს მზეს ორღობის თავში თვალი შევაჯწარ: თურმე მამისათვის კალოზედ ჯერი მიჰქონდა. გულმა ცემა ერთს წუთს შეწყვიტა, დამეცა ბურანი, თვალთ დამიბნელდა, — და ეს ამოდენა ვაჟი-კაცი წავბარბაცდი და წავაწყდი ღობეს. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მოვიკრიბე ღონე და გონზედ მოვედი. ეს რაც დამემართა, ერთის წუთის საქმე იყო. იმანაც მე თვალი მომკრა; შეკრთა, როგორც შველი მონადირესაგან, და უცებ უკან გატრიალდა. მე ბევრი აღარ მიფიქრია: ვისხლიტე ფეხი და გამოვუდეგ. ისე ფეხაკრეფით ჩქარა მიდიოდა, თითქო უკან მტერი ეგულებაო. დავწიე კაკლებ-ქვეშ გამინდვრებულზედ და მივაძახე:

— ქალო! რა მიგარბევინებს? მგელი ხომ არა ვარ, ბიჭი ვარ, ადამიანი. — იმან ხმა არ გამცა და არც შემომხედა. თავმომწონე ბიჭი ვიყავ და გული ყელში მამებჯინა. ვიშვირე ფეხი და ორ გადახტომაზედ წინ მოვექეც.

— ნუ გარბი, შენი კვნესამე! — ვუთხარი მე და გამოვუწოდე ყელი, — შენ ხელთ მომიცია ჩემი საბელი ყელისა.

იმან წარბი შეიკრა და ისე მრისხანედ და მწყრალად შემომხედა, რომ თვალს თვალი ვერ გავუსწორე. მე შევკრთი, მე ვაჟი-კაცი შევუშინდი იმ პატარა, უღონო გოგოსა!.. ძლიერი ყოფილა უძალოდაც ადამიანის შვილი!..

— გზა!.. — მითხრა ამაყად და ბძანებითა, — მამა მყავს და ნამუსი მაქვს.

— ღმერთმან ნურც ერთსა და ნურც მეორეს ნუ მოგაშოროს, — ვუპასუხე მე გულმართლად, მაგრამ იმედგადაწყვეტილად, — მე სამტროდ არ ვარ მოსული, ღმერთო, ხომ შენ იცი! ჩემი გული და წადილი ისეთი წმინდაა, კელაპტრად ხატს აენთება. მე მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენთა ფეხთ-ქვეშ გზად გამეშალა. არ ინდომე?! ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ლამაზო ქალო, და მე თუნდა შენი ჭირის სანაცვლოდ ვიყო. გზაო, მიბძანე შენ, — დამითმია გზა!.. გზა მშვიდობისა!.. ლხინი შენ და ჭირი მე.

ვთქვი ეს თუ არა, ჩამოვეცალე. იმან ფეხი წინ არ წადგა და ერთხელ კიდევ თვალი გადმომავლო. წყრომა აღარ სჩანდა იმის ტბა-თვალში. სიხარულის სიომ გადამირბინა გულზედ. ბედმან ჩემკენ მოიხედა. კიდევ გული მომეცა და გახალისებულმა ვუთხარი:

— ქალო! რად მიკარგავ გზა და კვალსა? რისა გეშინიან, რომ ვერხვივითა თრთი? ცა რისხვით თავზედ დამექცეს, ფეხქვეშ დედამიწა გამერღვეს, თუ გაბრიელმა შენზედ ავი ფიქრი გულს გაიტაროს!..

— დამეხსენ!.. — მითხრა იმან იმგვარად, რომ, ვისაც მართლა და დახსნა უნდა, ისე, იმ-რიგად არ იტყოდა.

— არ დაგეხსნები, მინამ ჩემის გულის წადილს არ შეიტყობ. ნუ ფრთხი უგუნურ ტრედივითა. შენი სიყვარული გულს ჩამივარდა: მე ქმარი და შენ ცოლი, ჩემო მარგალიტო! ოღონდ ჩემი გულის პასუხი კი მითხარ და ჩემი ობოლი თავი მოკვდეს, თუ რომ გაბრიელმა შენ რამ გაწყენინოს.

იმან პასუხი არ მამცა. მეც აღარ მოვეშვი.

— თავი მამიკვდეს, თამრო, — დავიწყე მე ხელახლად, — თავი მამიკვდეს, თუ შენის მეტი ცოლი მე მოვინდომო. ხმა ამოიღე, შენი კვნესამე, შენი!.. ერთი ობოლი ბიჭი ვარ, რასაც მხედავ — ესა ვარ.

ნუ დამაწყევლინებ ჩემის გაჩენის დღესა. ნუ დამღუპავ. შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. მე ქმარი და შენ ცოლი... მითხარი რამე, შენი ჭირიმე, თორემ ლამის ლოდინში სული შენთა ფეხთა-ქვეშ გაძიფრთხეს.

ხმა არ გამცა.

— თამრო! შემომხედე, ამ ერთმა ლოდინის წუთმა რარიგად დამადნო. გამაგონე შენი სირინოზის ხმა, სულგანაბული, გულკვდომითა გიგდებ ყურს და ველი პასუხს. მითხარ!.. მითხარ, გინდივარ თუ არა და შენს გამჩენს დაავალე! თუ არ გინდივარ, თქმა ნუ გიჭირს!.. ნუ გებრალები!.. ერთი ობოლი ბიჭი ვარ, მაგრამ შენის პირისაგან თქმულს ღვთის რისხვასაც ავიტან, არამც თუ უბედო ბედის წყრომასა. ნუ დამადნე ლოდინითა, ხმა გამე, ხმა!..

ეს რომ ვუთხარ, ხელი მკლავში ჩავავლე. ხელი რომ იმის ტანს მოხვდა, ერთმა რაღაც ელვამ ტვინიდამ გულამდე უცბად გამირბინა. ჟრჟოლამ ძარღვებში დამიარა. ის შეტოკდა, მაგრამ არ ინდომა თავის მკლავისა ჩემი ხელიდამ გამოცლა. არამც თუ მიწყინა, გამიღიმილა კიდეც. იმისი მარგალიტი კბილები, ლარივით გამწკრივებული ორ ლალ ტუჩებ-შუა, ცის-სარტყელად მეჩვენა. გული სიხარულით ამევსო. ვაი, რა დღე იყო და რა-რიგად დამიღამა წუთისსოფელმა!..

— გამიშვი, ადამიანო! — მითხრა ღიმილითა, — ცუდად ნუ გადამკიდებიხარ, ქვეყანა დადის, სირცხვილია.

— სირცხვილი იმას, ვინც საძრახისი ინდომოს. არ გაგიშვებ. რომ გაგიშო, ჩემი სულიც თან უნდა გაგაყოლო. რასაც მე გემუდარები, იმის პასუხი მითხარ და ინაცვალე ჩემი თავი კიდეც!..

— რა გითხრა, ადამიანო?

— ან ჰო და ან არა და მომკალ კიდეც!..

— შენს სიკვდილს კიდევ ჰოს თქმა მირჩევნია, შე უბრალოდ იმედ-გადაწყვეტილო!

წამოიძახა იმან უეცრად და მკვდარი გამაცოცხლა. სთქვა იმან ეს თუ არა, გამისხლტა ხელიდამ და როგორც ნიავი თვალიდამ წამივიდა. გამიფრინდა ჩემი ნოეს მტრედი. მწვანე შტო კი ხელთ დამიგდო. გამიფრინდა და თვალი ჩემი მიეკერა იმ ორღობეს, რომელსაც ის ბოლოს შეუბრუნდა და მიეფარა.

ღმერთმა უშველოს!.. ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთ-

თის-სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის-სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია უბედურობის მეტი. ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ვეღარსად დავსტყუე. წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ღამისა, წავიდა და იმის ნაცვლად, რასაცა მხედავთ, ის მოძეცა... იმ სიხარულის ხატი ეხლა შიგ გულში უქმადღა მიკიდია. დამაწაფა სოფელმა უკვდავების წყაროსა და ბოლოს მხამად ამომადინა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„მიმდომნი საწუთროსანი
მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ
ბოლოს არ მოურჩებიან“.

ეჰ, მოგაწყინე თავი ამდენის ჩივილითა, შენი ჭირიმე, მაგრამ რა ვქნა? ჭირთა თქმა — ლხინიაო.

VIII

ერთხელ, კვირა-დღე იყო, დათიკო წირვაზედ წავიდა და იქიდამ ვიღასაც სადილად მიეწვია. მეც ავიღე თავი, პეპიას ბაღჩას ავუარე. გადავიხედე, კაკლის ჩრდილ-ქვეშ თამრო დავინახე, მწვანე ბალახზედ წამოწოლილი. ვიშვირე ფეხი და გადავხტი ღობეზედ. ის ცოტად შეკრთა და, რომ დამინახა მე ვარ, დაშოშმანდა. მე და ის დიდი ხანია ეგრე ჩუმად ვინახულებდით ხოლმე ერთმანეთსა, მაგრამ, ღმერთია მოწამე, კოცნასაც ვერ ვუბედავდი.

— შენა ხარ? — მკითხა იმან, როცა მიველ და წამოვუწექ წინა.

— მე ვარ, შენი კვნესამე! რადა ხარ ეგრე მოწყენილი. ჩემო სიკეთევ? — ვკითხე მე, რადგანაც ნაღვლიანობა შევატყე.

— დღეს ავი დღე გამითენდა.

— რადა? ავი იმას, ვინც ავი შენთვის მოინდომოს. რადა ნაღვლობ?

— არის მიზეზი.

— მაინც?

— დღეს მამა-ჩემი ავ-გუნებაზედ მოვიდა საყდრიდგან და იმიტომ.

— შენ დღეს საყდარში იყავ?..

წამოვვარდი ფეხზედ და ისე აჩქარებით ვკითხე, რომ თამრო გაოცდა.

— ვიყავ, — მითხრა იმან, — რაზედ აჰფეთქდი?

— ბატონი იქ იყო?

— იქ იყო. დერეფანში იდგა, როცა მე წინ გამოვუარე.

— შენ წინ გამოუარე?.. —

გავაგრძელე სიტყვა და დავაკრაჭუნე კბილები. როგორც ტყვიანაკრავი, ისე გაფითრებული მკვდარსავით იმის წინ გავშეშდი. დიდხანს, დიდხანს ხმაამოუღებლივ ჩავყურებდი იმის ორმოსავით ჩაღრმავებულ შავ თვალებსა. ისიც გაკვირვებული შემომცქეროდა. ხმა აღარ გამიცია. გამწყრალსავით გულნატკენი ისევ იმ ღობეზედ გადმოვხტი და წამოვედი შინ, რომ შემეტყო რამე...

მაშინვე მივუხვდი პეპიას ნაღველსა. იმ კვირა-დღეს დათიკოს დაენახა საყდარში თამრო და პეპიასათვის ეკითხნა: —

— ეს გოგო ვისია?

პეპიას ფერი შესცვლია თურმე და თრთოლვით უპასუხნია: ჩემი გახლავთო.

— კაი საპროშტავი ყოფილა!.. — ეთქო იმ დაუნდობელს ადამიანის-შვილსა.

მომკვდარიყო საწყალი პეპია, რომ გაიგო, რომ იმისი ქალი ბატონს მოეწონა. კარგად იცოდა, რაც იყო ბატონის მოწონება და რასაც მოასწავებდა. მე რომ ეს შევიტყე, შევფიცე ღმერთსა, რომ მე მოვკვდები და იმას კი არავის წავაქელვინებ-მეთქი.

იქნება არ დამიჯეროთ, მაგრამ ჯოჯოხეთს მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირა-ღამეს ჩემი მღვდელი სიზმარში არ მომჩვენებოდა. ის დაღონებული იდგა ჩემ-წინა და რასაც დავეკითხებოდი, პასუხად სულ ამას მეტყოდა ხოლმე:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცე გულისათვის,
სიყვარული — გზად და ხიდად“.

ბოლოს, მე მითამ მუხლებზედ მოვეხვიე, ცრემლით და ტირილით შევჩივლე ჩემი ამბავი და ვუთხარ: მიბძანე, საით რას გავხ-

დე? იმან არა მითხრა-რა და წავიდა. რომ გადიოდა გარეთ, შემომხედა მე და მაშინ კი მითხრა: — რასაცა გასცემ შენია, რაც არა— დაკარგულია.

დამიჯერებთ ამას, თუ არა — თქვენ იცით. მინდა კი, რომ დამიჯეროთ, იმიტომ რომ მართალია. აღსარებასავით ამ ამბავს გიამბობთ და ტყუილს არ ვიტყვი.

მეორე დღე რომ ჩემთვის არ გათენებულიყო, ისა სჯობდა. ისეთი გულმოწყვეტილი და აღრინებული ვიყავ, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. მე არავის არ შევატყობინე, რაც ვიცოდი. მე ჩემს ბედს გავუჩუმდი, მაგრამ ორივე თვალი კი გავაფაციცე. თვალ-ყური ვადევნო, — ვთქვი ჩემს გულში ბოლოს, — იქნება ისე არა სწვიმდეს, როგორცა ჰქუხს-მეთქი. ხანდისხან ერთი საშინელი ტკივილი გულის-ფიცრის ტეხას დამიწყებდა ხოლმე. ვაი თუ თამრომ... მაგრამ არა, მალე გადავიგდებდი ხოლმე გულიდამ ამ ფიქრსა.

ამ ყოფაში ვიყავ და ჯერ არსაიდამ ავი არა ისმოდა-რა. ერთხელ მე ბიჭებში ვიყავ და ბატონის ხმა მოგვესმა, გიტოს ეძახოდა. ღამე იყო, ძილის-პირი მოახლოვებული იყო. გიტო გახლდათ დათიკოს უნამუსობის ავან-ჩავანი. გიტო რომ წავიდა, მეც იმის გაუგებრათ თან ავედევნე, ჩუმ-ჩუმად შევიპარე ერთ ბნელს ოთახში, რომლის კარიც დათიკოს ოთახში გადიოდა. დათიკოს ოთახში სანთელი ეწთო. მე კარებთან სულგანაბული ავიტუზე და ყური, როგორც ლურსმითა, კარებზედ მივაკარ. გიტოს ზურგი ჩემკენა ჰქონდა შემოქცეული და ისე იდგა, დათიკო კი წინა და უკან დადიოდა ოთახში. ბოლოს დათიკო გაუსწორდა გიტოს, შედგა და ჰკითხა:

— პეპიას სახლი იცი?

— თუ მიბძანებ, გიახლები, — უპასუხა გიტომ.

— გინახავს იმის გოგო?

— როგორ არა, შენი ჭირიმე! აბა გოგო ის არი, აი! იმის პადალი დუნიაზედ არ იქნება.

— მაშ თუ აგრეა. შენ იცი და შენმა ბიჭობამ.

— ჩემი კისერი გახლდეთ. მერე გასათხოვარიც არის!..

— თუ კაი ჩოხა გინდა, თუ არა და კატასავით სარზედ ჩაბოგარჩობ.

ბატონი ბძანდები, ადვილია. მარტო ეს არის ძნელი, რომ იმ კოგოს საყვარელი ჰყავს და ცოლ-ქმრობაც ხათქვამი აქვს. მაგ-

რამ. რაც უნდა იყოს, დედაკაცია: ერთი ჩაჭსულა კაბა და იმისი ჯანი.

— ნამუსწართმეული ხომ არ არის ჯერ?

— უცოდველია, როგორც გვრიტი.

— ვინ არის იმის საყვარელი?

— ჩვენი გაბრო.

— გაბრო?!.. — გააგრძელა დათიკომ სიტყვა და ჩაჩუმდა.

მე სმენად გადავიქეც, ვთქვი, რომ ან აი, ეხლა, ან ცოტა ხნის შემდეგ დათიკო იტყვის, თავი დამინებებიაო, გიტო ნუღარ გაირჯებიო. მაგრამ მიმტყუვნა იმედმა და დათიკოს კაი კაცობამ იმოდენა სიკეთე ვერ შესძლო. მოუბრუნდა გიტოს და გულ-დადინჯებულად, თითქო კაი საქმეს შვრებაო, უთხრა:

— მეწყინა, ეგ რომ მითხარი, მაგრამ არა უშავს-რა. შენ, რაც გითხარ, ისა ჰქენი, მე და გაბრო მოვრიგდებით.

რა წამსაც ეს გავიგონე, გაბოროტებული გამოვტრიალდი და მოვშორდი იმ ცოდვის-შვილებსა. რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ მე და დათიკოს შუა ხიდი მაშინ ჩატყდა და მეც გულში ერთი ძარღვი ჩამწყდა. მოვრიგდებითო!.. ვაი შენ გაბრიელსა, რა ცუდად უცვნიხარ!..

საქმის დაგვიანება აღარ ევარგებოდა, უნდა მეხერხნა რამე, რომ საწყალი გოგო მახეში არ გაბმულიყო, მაშინვე გავიზრახე, რომ პეპიასთან წავიდე და ყველაფერი შევატყობინო. გლეხის ვახშმობა დიაღ გადასულიყო, როცა მე პეპიას სახლთან მივედი. კაშკაში მთვარე იდგა და ასეთი მთვარის შუქი იყო მოფენილი ამ ცოდვილს ქვეყანაზედ, რომ თითქო ეს ქვეყანა სიწმინდით არი განათებულიო. მე პეპიას შევასწარ თვალი სახლის დერეფანში. ის საწყალი დაჩოქილიყო და ჰლოცულობდა. მე ფეხაკრეფით მივეპარე და აქეთ ბოძს ავეტუზე. კარგა ხანს ბუტბუტებდა და გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა, ბოლოს თითქო თავი დაივიწყაო, გულამომჯდარმა მაღლა ხმით შეჰბღავლა უფალსა: — შენთვის მომიბარებია ჩემი უცოდველი თამრო!.. ნუ გაუმრუდებ გზას!.. ღმერთო, მფარველო მართლისაო, ნუ დამანახვებ ჩემის შვილის მიწასთან გასწორებას!..

ადგა ის საცოდავი ადამიანის-შვილი, ხელი თვალებზედ მოისო,

თითქო ცრემლს იწმენდსო, ერთი კიდევ ჩაიკრა გულში ხელი და გაემართა სახლში შესასვლელად. მაშინ მივაძახე:

— პეპიას გაუმარჯოს!

— ვინა ხარ? თუ ავი სული არა ხარ, ამ დროს აქ რა ხელი გაქვს? — გამიწყრა პეპია.

— ავსულობას ნუ მწამობ. მე შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს, — ვუთხარი მე პირდაპირ.

— ვინა ხარ? ვინ?

— შენი კეთილის-მყოფი, გაბრიელი ვარ.

პეპიას ელდა ეცა: ალბად ბატონისაგან მოგზავნილი ვეგონე გოგოს თაობაზედა; ამიტომაც მწყრალად და გაჯავრებით მითხრა:

— მე შენთან საქმე არა მაქვს-რა. თუ შენ კაი კაცი იყო, მზეს არ დაემალებოდი. ამ დროს ძაღლსაც კი სძინავს!.. —

მითხრა ეს და გაიწია შინ შესასვლელად. მე ხელი მოვკიდე და შევაყენე.

— არ გეყურება, შე უბედურის დღისავ, რომ მძიმე საქმე მაქვს-მეთქი!.. — ვუთხარი მე.

— შენის ბატონის პატრონს რა საქმე უნდა გქონდეს, თუ არ სულის წასაწყმედი. რა გინდათ, შვილო, ჩემგან? როგორ არ გებრალებით ბებერი, უღონო, უპატრონო კაცი? თქვენში ღმერთი არ არის?..

— ღმერთიც არის და ღვთისაგან ჩაგონებული სიკეთეცა.

— კარგი, კარგი! — გამაწყვეტინა სიტყვა. — კარგი! ვიცი, რა მადლიც ტრიალებს თქვენ გულში, ვიცი!..

— ეს გული დამიწდეს, თუ შენი ღალატი შიგ იდოს, — მოვუჭერ სიტყვა თამამად და გაბედვით.

— თუ ღმერთი გწამს, მე მამშორდი, ბევრი გველი მინახავს — ჯერ გულში ჩასძვრენოდეს და მერე კი დაეშხამოს. შენის გამჩენის გულისათვის, მამშორდი, ნუ შემამთხვევ ცოდვას. აი, ხომ ჰხედავ, უილაჯო ვარ. ჩემი პირდაპირ მორევნა დიად ადვილია, მაგრამ მოტყუება კი ძნელია. დაანებე თავი მაგ გატკბობილის ენით ჩემს ცდუნებასა, ჩემს საცოდაობაში მევე ნუ შემარევინებ ხელს. მე რაღა ცდუნება მინდა? თქვენ რაღა ოსტატობა გინდათ? მე რა შემიძლიან თქვენთან, ქვეყანა თქვენკენ არის. პირდაპირ მოდით და მოწამლული ისარი მკარით გულში. რაღა ეშმაკობა გინდათ? რაც

გინდა ისა ჰქენით. მე ღმერთს მივანდე ჩემი გულის წყურვილი. იმას გაეცით პასუხი!..

საბრალოს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. მეც მეტკინა გული: იმის საცოდაობამ დამწვა.

— იმედ-დაკარგულო, უბედურო კაცო! — ვუთხარი მე გულთბილად და გულნატკენად, — ღმერთი ხომ ჰხედავს, მე მოვსულვარ იმისათვის, რომ შენთვის ჩემი თავი დავდო, რად მწამობ ავკაცობასა? რად არ მენდობი? მე ხომ შენთვის ცუდი არა მიქნია-რა! ვაი შენ, ჩემო თავო! ცილს ნუ მწამებ უმიზეზოდ. მაშ შენ გაბრიელი ვერ გიცვნია? ადრე და მალე აიგავოს მტვერსავით ეს ობოლი თავი, თუ ადამიანის ღალატი როდისმე გულში გამტარებოდეს. ვაი შენ, ჩემო თავო! რად მირცხვენ ყმაწვილ-ბიჭობას? სამაგისო რა მიქნია, რა? სულს ნუ წაიწყმედ ცილისწამებითა, ნუ!.. იმ ღვთის გულისათვის, რომელსაც შენ წეღან ევედრებოდი, მომენდე მე და მაშინ ჰნახავ, რაც კაცი ვარ. იმ ღვთის წინ გაძლევ ფიცს, რომ მე შენი სიკეთისათვის ვარ აქ მოსული. დამიჯერებ, კარგია, არა და, — ბე მაინც ჩემს თავს შენთვის არ დავზოგავ!

ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუნეს. მერე რარიგად? წამავლო ხელი, მომეხვია და ჩემს მკერდზედ ზედდაკვდომით ქვითინი დაიწყო.

— შენს ღმერთს აპატივე, შენს ღმერთს!.. — ჰბღავოდა საცოდავად პეპია, — ღმერთი ხომ მოწამეა, შენგან ავი არა გამიგია რა, მაგრამ რა ვქნა? რა ვქნა მე უბედურის დღისამ? შვილი მეღუპება, შვილი!.. ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი!.. ერთად-ერთი შვილი ცოცხალი მემარხება!.. გესმის ეს, ჩემო გაბრიელ! შვილს ვკარგავ, შვილს, მოდი და უნდო ნუ ვიქნები! შემინდევ! შენს ღმერთს აპატივე, თუ გაწყინა რამე ბებერმა, ჭკვადაკარგულმა, უბედურმა მამამ. რა ვქნა? ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლია, ჩემო გაბრიელ! ვის მივენდო, ვის, ამ ცოდვით სავსე ადამიანის-შვილებში? ძმას არ ვენდობი, ძმას, მაგ საქმეში, ღმერთო, ხომ შენ იცი. მაგრამ მაცდუნებ, თუ არ მაცდუნებ, შენ კი უნდა მოგენდო. აჰა, ჩემი საბელი ყელისა!.. შენ იცი!.. გინდა გველივით გამსრისე, გინდა დამიხსენ წაწყმედისაგან! შენ იცი და შენმა ყმაწვილკაცობის მადლიანობამა. მე არა შემიძლიან-რა, ხომ ჰხედავ! შემიბრალე და ნუ დამანახვებ ჩემის თამროს უნამუსობას!.. შენის ხელით დაეც დანა და დაგვიხ-

სენ მამა-შვილნი ცოდვისაგან. მე ცოცხალი დამმარხე, მიწა მომაყარე და მაგას კი ნუ მიზამ, რომ ჩემი თამრო... ვაიმე შვილო!..

აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან საწყალს ხმა ჩაუწყდა, სიტყვა შაეკრა და ენა დაება. ღმერთო! რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილ დედამიწის ზურგზედ, მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა. დიდება შენს მოთმინებასა!

მეც ამიყოლია იმისმა სევდამ და გულის ტკივილმა. რომ არ შემრცხვენოდა, მეც ვიტირებდი. ისე წელმოწყვეტილი, ისე გამშრალი ვიდეგ იმის წინ, რომ ვერც ნუგეში ვეცი, ვერც იმედი მოვუმატე. ენა მე აღარ მიჯერებდა და გონება. ვიდეგ ისე სულელსავით იმის წინ. მაგრამ ბოლოს კი, რომ ვნახე, რომ გული ველარ დაიმორჩილა და სევდამ დაიბრიყვა, — ვუთხარი:

— გული დაიმშვიდე, კაცი ხარ, რომ სხვა არა იყოს-რა. ნუ გეშინიან, ისე არ სწვიმს, როგორცა ჰქუხს. ღმერთი მოწყალეა, ყველანი კარგად ვიქნებით.

— ჰო, შენი ჭირიმე, გაბრიელ! — მიპასუხა იმან, — ეგრე, გეთაყვანე! შენს ხელში ვარ, შვილო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი. მართლა და ღმერთი მოწყალეა. ადრე და მალე რად ვითხელებ ჭკვასა და გონებას! იმისთანა რა მიქნია, რომ ღმერთმა ჩვენზედ ხელი აიღოს. აი, გეთაყვა, ცრემლს მოვიწმენდ და დავდინჯდები, ოღონდ მიშველე რამე, შენი კვნესამე, შენი!

მე კიდევ ველარა მოვახერხე-რა სათქმელად და გავუჩუმდი. ბოლოს მაინც კიდევ იმან დაიწყო:

— იცი რა, ჩემო გაბრიელ! მე წავალ, ბატონს ფეხქვეშ ჩავუვარდები, ენით ავულოკავ ფეხის ნატერფალს. გადვუკოცნი მუხლებს, — იქნება ღმერთი შემეწიოს და როგორმე თავი შევაბრალო. ისიც კაცია, ჩემის სიბრალულით და საცოდაობით მოლბება.

— შენ ბატონს კარგად ვერ იცნობ.

— მა რა ვქნა? — შემომბღავლა საცოდავად, თითქო ყველაფერზედ იმედი გადუწყდაო.

— ეგ საქმე მე დამაცალე. შენი დახმარება მარტო იმისთვის მინდა, რომ თვალ-ყური გეჭიროს, ნამეტნავად გიტოს გაუფრთხილდე. ის ძალი-კაცია. როგორც მორიელი, ისე შემოგეპარება და დაგსუნთქავს, დანარჩენი მე ვიცი.

— ეგრე, შენი ჭირიმე, ეგრე! ღმერთი იყოს შენი გადამხდელი.

კიდევ ერთმანეთს გავუჩუმდით. პეპიამ ჩაღუნა თავი და რაღაც ფიქრებს გადაეკიდა. მეც ჩემი დარდი მედო გულში და იმ დარდმა გამიყოლია. კარგა ხანი ვიყავით ჩაჩუმებულნი, მაგრამ ხან ის შემომხედავდა მე, ხან მე იმას შევხედავდი და არაფერს კი ერთმანეთს არ ვეუბნებოდით. ვატყობდი, რომ რიღაცის თქმა უნდოდა და თითქო ვერ ახერხებსო. მეც მინდოდა ერთის რასმის თქმა, მაგრამ ვერა ვბედავდი, ცუდად არ ჩამომართოს-მეთქი. ჩემი და თამროს ცოლ-ქმრობის პირობისა პეპიამ ჯერ არა იცოდა-რა.

— გაბრიელ! — მითხრა ბოლოს პეპიამ, — მე ერთი ქალიღა შემარჩინა ბედმა და იმის მეტი მე არავინ არ მივის ამ ტრიალ ქვეყანაზედ. მოდი, ის ცოლი და შენ ქმარი და მეც მამა თქვენი. ჰა, რას იტყვი შენ?

მე ჩემს ყურებს არ დავუჯერე ეს უეცარი ჩემის ნატვრის ასრულება და ჩემის დარდის მოკვეთა. იმნაირმა სიხარულმა ისე დამიჭირა გული და გონება, რომ გაშტერებით ყურება დავუწყე და მე სულელმა ვერა ვუთხარი-რა პასუხად.

— რას გამიჩუმდი? — დამასწრო ხელახლად პეპიამ, — თუ არ გინდა, სთქვი: მე მაგით გულს არ მატკენ. ცოლ-ქმრობა ნებითია.

— არ მინდაო?! რას ამბობ, ადამიანო? ჩემი ნატვრა ეგ იყო! ვენაცვალე ჩემს იღბალს! ნატვრა თუ ასრულდეს, მაგეთი! ეჰ, დალახვრა ღმერთმა, ვერ მომიხერხებია!.. პირდაპირ გეტყვი: ცოლ-ქმრობა ერთმანეთისათვის ნათქვამიცა გვაქვს. ეხლა, რაკი შენა ნებაც არის, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. გიშველოს ღმერთმა შენც და ამ ქვეყანასაც, რომ ნატვრა ცარიელ ნატვრად არა რჩება ცის ქვეშა.

ჩვენი ცოლ-ქმრობის ნათქვამობა რომ შეიტყო. რაღაც ნაღველმა გადურბინა გაფითრებულ სახეზედა. ხმა არ გამცა. მე შევატყე, რომ კიდევ ავ ფიქრს გადაეკიდა ის უნდო ადამიანი და ამიტომაც ზედ დავატანე:

— ცოლ-ქმრობა კი გვითქვამს, მაგრამ არც შენთან და არც ღმერთთან პირშავად არა ვართ, ღმერთო, ხომ შენა ხარ მოწამე. ჩვენი სიყვარული წმინდა არის, როგორც ანკარა მთის წყარო. თუ მზის შუქი წყაროს აამღვრევს, მაშინ ჩვენს სიყვარულსაც ჩვენი გული აუმღვრევია. ცამ რისხვით მკითხოს და დედამიწამ არ მიმიღოს. თუ ცოდვა რამე ჩვენს გულში ჩასახულიყოს. ნუ ჰშიშობ!

ღმერთთანაც და შენთანაც ორნივე პირნათლადა ვართ. ღმერთია ამის თავდები, ღმერთი!

დაიჯერა ჩემი ალალი სიტყვა. ის ალალი ადამიანი, როგორც მალე ავს დაიჯერებდა, ისე მალე კარგსაც მიენდობოდა.

— მამკალ, აქავ ჩამაქვავე, ჩემო გაბრიელ! — მითხრა იმან ნანვითა. — აქავ მიწასთან გამასწორე! ცუდი გული მაქვს — ეს ოხერი. უნდო ვარ, უნდო! მერე საწყალი ჩემი გოგოც ძალიან მიყვარს!.. მამკალ, გამაქერ! ცუდის გულის პატრონი ვარ მე ცოდვილი, ცუდის! შენ შვილი და მე მამა, მე სულელს სხვა რაღა მინდა!

ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც გახარებული მე იმ ღამეს შინ წამოველ. რაღა მინდოდა? ერთი ნატვრა მქონდა, ისიც ასე უცბად ამისრულდა. შინ რომ მოვდიოდი, მე მეგონა ის კაშკაში მთვარე, ის მბრწყინავი ვარსკვლავები ჩემს ბედს შეჰნატრიან-მეთქი. როგორც ცაზედ, ისე ჩემს გულში ერთი ღრუბელი აღარ იყო. კეთილი ღამე იყო ის დალოცვილი ღამე! რა უნდოდა ავკაცობას ჩემგან? რაზედ ჩამითრია და დამღუპა სასიკეთოდ გამზადებული? ვინ იცის? იქნება ეხლა მე ვყოფილიყავ რიგიანი მუშა კაცი, ცოლ-შვილი გარს შემორტყმული მყოლოდა! რომ მოვმკვდარიყავ კიდეც, დამტირებელი მეყოლებოდა, მიწას მაინც თავისიანი მოძაყრიდა, ცრემლს მაინც ჩემნი დამადენდნენ და ეგრე ძაღლისა და ნადირის შესაჭმელი არ გავხდებოდი!.. შერჩეს ავკაცს ჩემი დაღუპვა... მე ხომ ამ ქვეყნისა აღარა ვარ, ერთი ფეხი საფლავში მიდგას, დღესა თუ ხვალე ჩემი სულთამხუთავი მოვა და სულს გამაფრთხობინებს, მაგრამ გულზედ სისხლი გადამესხმის ხოლმე, როცა ამას ვიგონებ.

ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე. რომ მტერსაც პატივება უნდაო. მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს. ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა. სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია...

IX

იმ ბედნიერს ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია, ლხინსაც ჭირსავით ძილის გაფრთხობა სცოდნია.

ირიჟრაჟა თუ არა, მეც ფეხზედ ვიდეგ, წუხანდელი ღამის

მადლი ისევ გულში ტრიალებდა. შევხაროდი იმ რიყრაჟ დილას, იმ ლურჯ ცასა, იმ ნამით პირდაბანილს დედამიწასა და მე მეგონა, რომ ცაც და ქვეყანაც მე შემომხარიან. ქვეყანაზედ მე, თამრო და პეპია რომ მაშინ მარტო ვყოფილიყავით, სამოთხე სანატრელი აღარ იქნებოდა. მაგრამ ჩვენ-გარდა კიდევ ბევრნი იყვნენ და იმ ბევრში ჩვენი ბატონი დათიკოცა, რომელმაც გიტოს უთხრა: მე და გაბრიელ მოვრიგდებითო. მომაგონდა ეს სიტყვები და სამოთხე ჩემი თვალის დახამხამების უმალ ჯოჯოხეთად გადამექცა: ჟრუანტელმა დამირბინა ტანში და ყოველს სახსარში ტკივილით გამიარა, კბილებმა კრაჭუნი დამიწყეს, მუშტები თავისთავად დამეკუმშნენ, თითქო ჩემი გზის ამრევი ხელში უნდა გამეწურაო. იმ წამს დათიკო რომ დამენახა, მგონია, ძმა რომ ყოფილიყო, ძმა, — იმის დანახვა და იმის სულის გაფრთხობა ერთი იქნებოდა ჩემთვის. ავკაცობაში ნუ ჩამომართმევ: უცბად გამწარებული გული დაუნდობარია.

ბრაზმორეული გამოვედ ეზოს გარეთ და მეც თითონ არ ვიცი. რა გზით და როგორ მივადეგ უეცრად პეპიას ბაღჩის ღობეს. რომ დავინახე ჩემი თამროს ბუდის ღობე, თითქო გამოვფხიზლდი, გამომეღვიძა. გადავიხედე ღობის იქით, — ჩემი თამრო მოსჯდომოდა გეჯას და ბაღჩის წყლის პირას სარეცხსა ჰრეცხდა. ვაი, რა ლამაზი იყო იმ მშვენიერს დილას ის მშვენიერი ქალი! არ ვიცი, დილა იმას ამშვენებდა, თუ ის დილასა.

იმის შორი-ახლო თოხის ტარზედ დაბჯენილი იდგა პეპია და თამროს ელაპარაკებოდა. მე სმენად გადავიქეც.

— ეი, შენ, ეი! პატარა ეშმაკო! — ეუბნებოდა პეპია თამროს და თითს უქნევდა, — ეგ რეები ჩაგიდენია, ჰა? მე ვიცი შენი!

— რას ამბობ, ადამიანო, ნეტავი ვიცოდე? — უპასუხა თამრომ და შეაჭყიტა თავისი მაყვალი თვალები, — რა ჩამიდენია?

— ჰმ, რა ჩაგიდენია!.. მითამ არ ვიცი, მითამ არც შენ იცი, თავი მოიკატუნე. მე ჩიტმა ამბავი მომიტანა.

— რას ამბობ, ადამიანო, რას?

— ეი, შე მასხარავ, შენა! შეგრჩეს, რომ მამასაც უმალავდი, შეგრჩეს!

— მამას მზემ და თავი არ მამიკვდეს, მე შენი ლაპარაკი არ მესმოდეს.

— დამაცალე, შე ცუღლუტო, დამაცალე! — ეუბნებოდა პეპია და სახე კი უცინოდა, — ასეთს კაცს მიგათხოვო, რომ სულ ძეთი დღენი გაწყევლინო, დამაცა!

— ცხადად ამბობ, ადამიანო, თუ სიზმრიე? რაებს ამბობ?

— სიზმარს გეუბნები. როცა ერთ რეგვენს ქმარს მიგათხოვებ, მაშინ ეს სიზმარი აგიცხადდება. დამაცა!..

— ახა, ღმერთო ჩემო, რას გადამკიდებია.

ეს რომ სთქვა თამრომ, გაჯავრდა და ისე ღონივრად დაუწყო სარეცხს სრესა, თითქო ჯავრი ამაზედ უნდა ამოიყაროსო.

— მაშინ სხვა-რიგად დაუშტვენ, — უთხრა პეპიამ.

— დავუშტვენ რა, ბულბული ვარ? — ტუჩებ-აბრეცით ბუტბუტებდა ლამაზი გოგო.

— აი, ალილო და ხვალაო, — მაინც არ იშლიდა თავისას პეპია, — მე კი მიყივლია და...

— რა გიყივლია? — სთქვა და დააცქერდა შვილი მამასა.

— რომ რეგვენ ქმარს მიგცემ.

— კიდევ!.. უწინამც დღე გამქრობია.

— რაო? არ მოგდის გუნებაში?

— მამი, ღვთის გულისათვის დამეხსენ. რა ცუდ გუნებაზედ ამდგარხარ!

— არ დაგეხსნები, შე ცუღლუტო, შენა!

— გუნებას ნუ მირევ, დამეხსენ-მეთქი.

— მე შენთვის ქმარი მიშოვნია.

— თუ გავთხოვდე, მაშინ.

— მაშ არა სთხოვდები?

— არა.

— რატომ?

— მიტომ.

— მაინც?!

- იმიტომ.

— არავის შეირთავ, არავის?!

— ორ ხელმწიფის შვილიც რომ იყოს, არ შევირთავ. ეხლა? არ დამეხსნები?

— მაშ შენ, როგორც გატყობ, არც გაბრიელს შეირთავ. — უთხრა ცდითა პეპიამ და ღიმილით დააცქერდა შვილსა. მე თამ-

როს შევხედე. იმას შერცხვა, ალმური აუვიდა ლოყებზედ, თავი ჩაღუნა, ვერაფერი ვერა უთხრა-რა მამას პასუხად. მიუბრუნდა ისევ სარეცხს და უგულოდ სრესა დაუწყო, თითქო გარეცხა კი არ უნდა, სირცხვილის გაქარწყლება უნდაო.

— არ შეირთავ? — დაიწყო ისევ პეპიამ. — ბატონი ხარ, მე ძალას არ დაგატან.

თამროს ერთი შემოჰხედა ქვეშ-ქვეშად მამასა და მერე ღიმით ისევ ჩაღუნა ლამაზი თავი.

— მოლოზნობა ხომ არ გინდა, დედო? — გაუხუმრა კიდევ პეპიამ. — ეგეც შენი ნება იყოს, მაგაზედაც ყაბული ვარ. ხმა ამოიღე. რატომ ჩაგივარდა ეგ შენი ტიკტიკა ენა? არ გეყურება, გელაპარაკები?

მისწვდა პეპია და თამრო წამოაყენა. ის არ გაუძალიანდა და წამოდგა.

— პირობა თუ მიგიცია ვისთვისმე!.. იქნება მახეში მოიმწყვდიე ვინმე!.. — უცინოდა პეპია.

— იი, დამეხსენ!.. რას გადამეკიდე, ადამიანო?

— სთქვი, აბა სთქვი, — ვინ გააბი მახეში.

— იჰ, ბეჩავ, რა გინდა ჩემგან? — ფხუკიანობდა თამრო.

— აბა, თუ ქალი ხარ და მეტყვი.

— ახა, ღმერთო ჩემო! არ დამეხსნები? ქა! იჰ...

გამოეცალა ხელიდამ თამრო და გაექცა მამასა.

— აქ მო, შვილო! გვეყოფა ხუმრობა, — უთხრა ეხლა კი ხუმრობა-გაშვებით პეპიამ, — თუ შენ თქმასა ჰთაკილობ, აქ მო, ჩემო იმედო, მე გეტყვი. მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამასთან პირშავია. შენ იმისთანა არა ხარ, ჩემო სალხენო! აქ მო, შვილო, აქ!

თამრო შედგა. პეპიამ იმისკენ გასწია. მამა მივიდა შვილთან, მკლავი კისერზედ გადაჰხვია და მეტად გულთბილად უთხრა:

— მე გაბრიელმა ყველაფერი მითხრა, ჩემო კარგო! მე ყველაფერი ვიცი. ღმერთმა ერთმანეთს შაქრის-ყინულსავით ტკბილად შეგაბეროთ. შენს მეტი ვიღა მაბადია, შვილო, შენი კვნესამე, შენი!.. თუ შენ ბედში მეყოლები, მე რაღა მომკლავს. გაბრიელი კაი ალალი პიჭია, კაი ხელოსნიერი, ჯანიანი ბიჭია. გლეხკაცს მეტიც რა უნდა-რა. ისე გაგიფრთხილდება, როგორც თავის ორ თვალსა, ჩე-

მო იმედო ქვეყნისავ! კაი პატრონი ძოგცა ღმერთმა, მადლი უფალსა! მე ახლა თუნდა შენს კალთაში სულიც დავლიო, ძაგდონს არას ვინაღვლი. რის დარდიღა უნდა მქონდეს? თუ ღმერთი შენს შვილიერებასაც შემასწრებს, ხომ ძაღლიც არ დაჰყეფს ჩემს ბედსა,—თუ არა და, ეგეც ნება ღვთისა იყოს, ვენაცვალე იმის მადლს! გაბრიელი, მართალია, ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება. ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაჭნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს. თუნდ ეგეც არ იყოს, ღვთის წყალობა ბევრი მაქვს. მე რა ოხრად მინდა? პური, ღვინო, მამული — სულ თქვენია. ღმერთმა, ობლების პატრონმა, ყველაფერი მშვიდობაში მოგახმაროთ, შვილო! მეც, მინამ ცოცხალი ვარ, ვიცოდვილებ თქვენს სადღეგრძელოდ და როცა მოვკვდები, თქვენ იცით, შვილო, და თქვენმა კაი ადამიანობამ, მკვდარს როგორც მოგივლით...

მე ამის გამგონმა იქ ვეღარ ვიდგომილე. იმისთანა ტკბილის მამა-შვილობის მაყურებელსა გული ლხენით ამიტირდა, ცრემლი თვალში მომერია. ვაი, რა კარგია ხოლმე ხანდისხან ეს უხეირო წუთის-სოფელი! ავ-კარგიანი ყოფილა, შენი ჭირიმე, ეს ქვეყანაცა. იმ მამისა და შვილის ლაპარაკმა გულის სიმწარე ჩემი გამინიავა. სიკეთის იმედი კიდევ ჩამესახა გულში და კაი გუნებად შევიქენ. მტრობამ გულში ვეღარ იდგომილა.

ვთქვი ჩემს გულში: — მე იმათ დავუშლი, რომ გამოვუჩნდე-მეთქი, ავდეგ და შინ წამოვედი. რით გათავდა იმათი ლაპარაკი, — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ იმ წამს ისინი ბედნიერნი იყვნენ.

გადიოდნენ დღენი და ღამენი. მე თვალგაფაციცებით გულისყურს ვადევნებდი დათიკოსა და გიტოს. მე ვატყობდი, რომ რამოდენიც მეტი ხანი გავიდა, იმოდენად დათიკომ ჩემზედ გული შეიცვალა. ორ მტერსავით ერთმანეთს ველოდით, — აბა წინ ვინ დაიწყებს ომსაო. მაგრამ მინამ საქმე ომამდინ მიდგებოდა, მე მინდოდა დათიკოსთან მომელაპარაკნა პეპიას ქალის თაობაზედ და ვცდილიყავ როგორმე დამეყოლიებინა ისე, რომ ხელი აეღო თამროზედ და ჩვენში ისევ სიყვარული ჩამოვარდნილიყო. იმის ავკარგიანობის იმედი მქონდა, მაგრამ იმედმა მიმტყუნა.

რაღა გაგიგრძელო სიტყვა: გიტო ვერაფერს გახდა, სალაპარაკოდაც არ შევახვედრეთ მე და პეპიამ თამრო. ამან უფრო გაა-

აფთრა დათიკოს ჟინიანი და მურტალი წადილი. აშკარაა, ამის მიზეზი მე ვეგონებოდი, ამიტომაც მე დათიკომ ხაფანგი დამიგო და ქვეშ მომიმწყვდია. როგორ მეგონებოდა, რომ იმისთანა ვაჟკაცი ეგრე მხდლად მომექცევოდა.

ერთხელ, დილით, დათიკოს დაეძახნე და მე შინ არ ვიყავ. როცა მოვედი, კიდევ დამიძახა და შემიყვანა თავის ოთახში.

— სად ბძანდებოდი, ჩემო შერმადინ? — მითხრა დაცინვით დათიკომ.

— არსად, ისე დავეხეტებოდი.

— ასე ადრე?

— რაც შენთვის ადრეა, ის ჩვენთვის ადრე არ არის.

— ეგ გადაკვრით ლაპარაკი რად იცი შენ?

— ეგრე გავუჩენივარ ღმერთს...

— ყური დამიგდე: შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმალავ.

— იქნება.

— არა, თუ ღმერთი გწამს.

— მართალს მოგახსენებ.

— მოდი, მითხარ, — რა ნაღველი გაქვს.

— თქმა ადვილია, ბატონი ხარ, გეტყოდი, მაგრამ შენთვის რა ხელსაყრელია?

— ეგ მე ვიცი.

— მე რატომ აღარ უნდა ვიცოდე?

— შენც შეიტყობ.

მე ძალიან გამეხარდა, რომ ჩემი საქმე ასე მოეწყო და ამიტომაც პასუხად პირდაპირ ვუთხარი:

— თუ ეგრეა, მოგახსენებ: მე პეპიას გოგო მიყვარს და ჯვარი უნდა დავიწერო.

— მერე რა გიშლის?

— პეპია ცოლზედ მგლოვიარედ არის, სულ ექვსი თვე არ არის, რაც ცოლი დამარხა და ჯერ-ხანობით ეს მიშლის.

— სულელი ჰყოფილხარ.

— რადა?

— რომ ჯვარს იწერ.

— მაშ?

— მაშ ისა, რომ ქალი ჟინის საკლავად არის კარგი და არა

ზურგზედ ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი. მზითევი და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოს.

— შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები? — ვკითხე თამამად.

შევატყე, რომ ჩვენი საქმის კვანძი აქ იხსნებოდა.

— ქალი ჩემია, — მითხრა იმან უსირცხვილოდ — და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება.

— ეგ რა სთქვი? — წავძახე მე კანკალით.

— ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე, — მითხრა იმან დინჯად.

— დათიკო! მე გლეხკაცი ვარ და შენ ბატონი, — ვუთხარი მე გულმხურვალედ და ვედრებითა, — გევედრები, გზიდამ ჩამომეცალე. გულიდამ ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას და ინაცვალე ჩემი ობოლი თავი. დათიკო! თუ ღმერთი გიყვარს და შენი გამჩენი გწამს, თავიდამ მოიშორე იმ გოგოზედ ფიქრი. ნუ ამაყრევინებ შენზედ გულსა, შენთანა ვარ შეზრდილი. შენი ჭირიმე, დათიკო, ცოდვას დამხსენ!.. მაგისთანა ვაჟკაცი ხარ და შენი გული როგორ ვერ დაგიმორჩილებია! მადლი ჰქენ და ჟინი მოიკალ: ყველას დაგითმობ და იმ გოგოს ნამუსს კი არა. ის გოგო ჩემია...

— ჯერ ჩემია-მეთქი, — გამაწყვეტინა სიტყვა, — მერე თუნდა შენი იყოს, თუნდა სხვისა.

— დათიკო, შენი ჭირიმე, ხიფათს ნუ შემამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ! დამითმე ის გოგო და შენს ღმერთს დაამადლე.

— როცა მე ჩემსას ავასრულებ, მერე შენთვის დამილოცნია.

— მართალს ამბობ და აღარ ჰხუმრობ? — ვკითხე და გული ყელში მამებჯინა.

— შენი ცალი ვიქნები, რომ შენ გეხუმრო.

— მაშ გაბრიელს თავზედ ქუდი არ ეხუროს, თუ შენ შენი წადილი შეისრულო.

— თუ ღმერთი გწამს, წინ არ გადამიდგე!.. — მითხრა იმან უკადრისად და დაცინვით.

— წინაც გადაგიდგები და მეტსაც გიზამ.

— მემუქრები თუ?

— ძალი შემწევდეს ქადილსა, ფრიდონისა არ იყოს.

— შენი შერცხვენილი იყოს, ვინც შენისთანას შეუშინდეს.

გულმა ბაგა-ბუგით ცემა დამიწყო, მკერდში გული აღარ მიტევოდა. დათიკოს მოკვლის სურვილმა ელვასავით გამირბინა ფიქრში, მაგრამ თავი დავიჭირე, დავძლიე ეშმაკის ცდუნება.

— დათიკო! სად მიგყევარ? ნუ გამწირავ, შემიბრალე შენი გაბრიელ!..

— წყალსაც წაუღიხარ.

— გოგოს მარტო მე უნდივარ, დათიკო! ღმერთთან ცოლ-ქმრობის პირობა მიგვიციაა...

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თქვენი პირობაცა.

— დათიკო! შენ შენს ბედისწერას აუტანიხარ.

— დამეკარგე აქედამ!

— დათიკო!.. არ გეცოდება იმისი დროული მამა? იმის მეტი შვილი არა ჰყავს. ნუ დაასხამ თავზედ ლაფს, ნუ დაეწყევლინები...

— აქედამ გამეცალე-მეთქი, — შემომჭყივლა.

— დათიკო! არ გებრალება ის ღვთის სული, უცოდველი გოგო? ნუ წაართმევ ნამუსს! მე მაჩუქე იმისი თავი.

— მერე შენ გაჩუქებ.

— მერე და არა ეხლა?.. ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობასა!..

შევძახე ესა იმედ-მოშორებულმა და გაბრაზებულმა, გავიძერ ხანჯალი, და გადავდგი ბიჯი თუ არა დათიკოსაკენ, მეორე ოთახიდამ გამოცვივდნენ სამი დამალული ბიჭი, მომცვივდნენ უკანიდამ და გამაკავეს. ხანჯალი ხელიდამ გამვარდა. თურმე ეს წინათვე გაეზრახა დათიკოს, წინათვე ყველაფერი გაემზადებინა, რომ მე სამართალში მივცემოდი და ამით მე თავიდამ მოვეშორებინე. მე რა ვიცოდი? ერთი კი ძალ-გულიანად შევბღერტე ჩემი დამჭერები, ცქნება ხელიდამ წავუვიდე-მეთქი, მაგრამ იმ დალოცვილის-შვილებს რკინის ჯახრაკისებ მაგრა ვეჭირე.

— ფუ, მაგისთანა ვაჟკაცობასა!.. ფუ, მაგისთანა თავადიშვილობასა!.. — შევკივლე უილაჯობა დათიკოს, — მაინც კიდევ გზას გიპოვი და შენს უნამუსობას ქათამსავით ზედ წაგაკლავ!..

დათიკომ პასუხი არ მომცა. ბიჭებს უბძანა და მე დიანბეგთან წამიყვანეს.

დიანბეგმა ყველაფერი გამომკითხა, მეც ყველაფერი ისე ვუამ-

ბე, როგორც იყო, არა დაშიშალავს-რა. რომ გავათავე ჩემი ამბავი, მკითხა:

— მაშ შენ და პეპიამ შეჰკარით პირობა ერთად, რომ შენი ბატონი დღეს დილით მოგეკლათ?

მე გამაოცა ამ კითხვამ, ვიფიქრე, იმ საწყალ ადამიანის გარეგვაც უნდათ-მეთქი ამ საქმეში და ეგრეთ იმის ბოლოს მოღებაცა-მეთქი. ფერი მეცვალა, მაგრამ რას ვუშველიდი?

— ცოდვას ნუ აიღებ, დიამბეგო კისერზედ, — ვუთხარი მე,— პეპია ამ საქმეში ღმერთსავით ალალია და უცოდველი.

— ნუ მიჰქარავ! — გამიწყრა დიანბეგი. — მაშ იმ ღამეს რომ პეპიასთან იყავ, რას აკეთებდი?

— აბა რა ღამეს?

— აი, დერეფანში რომ ჰლაპარაკობდით.

— ღმერთი, რჯული, არც მაშინ და არც მერე, ბატონის მოკვლის ფიქრი ჩვენ გულში არ გაგვიტარებია!

— აბა, ძალიან დაგიჯერებ, აი! მაშ რისთვის იყავ, თუ არა მაგისთვის?

მე ვუამბე გულმართლად, რაც მაშინ მე და პეპიამ ვილაპარაკეთ.

— მამიშენის ცხონებას, არ მამატყუო!.. — დამცინა იმ უსამართლო მოსამართლემ.

ჩემი ნათქვამი სულ ერთიანად დაწერა და მითხრა — ხელი მოაწერეო. მე წავიკითხე, ქართულად ნაწერი იყო. რაც ლაპარაკი გვქონდა მე და დიანბეგს, სულ სიტყვა-სიტყვით ეწერა. მეც უშიშრად ხელი მოვაწერე. დიანბეგმა უბძანა: გამიყარეს ბორკილი და სატუსაღოში შემაგდეს.

ვეგდე მარტოდ-მარტო იმ საძაგელ სამყოფელოში. რა გითხრათ, რა ჭირი გამოვიარე იმ ერთს დღეს და იმ ერთს ღამეში!.. გულმა ღრღნა დამიწყო, სისხლი ძარღვებში გამიყინდა, ტვინი კი მეწოდა. ძნელია, შენი ჭირიმე! ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა!.. მაშინ... უჰ, მაშინ... ღმერთმა დაიფაროს ყოველი ქრისტიანი და ყველა ადამიანის შვილი... როგორც ცოფიანი ძაღლი, თავს შეიჭამს უბრალოდ სატანჯველს მიცემული კაცი. ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის — რა მწვავეა. ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს.

ჩემი თავის ჯავრი ხომ მკლავდა და მკლავდა, პეპიას და იმისი გოგოს ნაღველი უფრო ცეცხლს მიკიდებდა. სწორედ გითხრათ, მე ჩემი თავი ძალიანაც არ მენანებოდა: მე ერთი უთვისტომო ბიჭი ვიყავ. რაკი საქმე ასე მოხდა, თუნდა თოფიაც დავეხვრიტეთ, ბევრი არა მენაღვლებოდა-რა. რა დედ-მამა ამიტირდებოდა, რა და-ძმანი ამიგლოვდებოდნენ? ერთი კაცი ვიყავ, წავიდოდი და მტვერი მტვერად ვიქცეოდი. ჭარი დამჭროლავდა და იმ მტვერსაც აჰგვიდა დედამიწის ზურგიდამა. ისინი მებრალებოდნენ, ისინი! მე ვიყავ იმათი გულშემატკივარი ამ ტრიალს ქვეყანაზედ, მარტო მე!.. ვაი რომ უხეიროდ თავი წავიხდინე!.. ეგრე უხეიროდ რომ არ გავფუჭებულიყავ, მე ვიცოდი, რა კაცობასაც მე იმათ გავუწევდი, მაგრამ აღარ დამცალდა. იღბალმა აქაც წამიცდუნა და მიღალატა. ვაი, რომ ჩემს მტერს, ჩემის უხეირობით, გზა დავუცალე!..

სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და მე დიდ სატუსაღოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩალნიკი და სასამართლო იმყოფებოდა.

ორი წელიწადიც იმ სატუსაღოში ვეგდე. ამ ორ წელიწადში სულ მარტო ვიყავ ერთს უწმინდურს პატარა და ბნელს ოთახში. რამდენი ათასი ფიქრი მამივიდა და წამივიდა, ვინ მოსთვლის? მე კარგად ვიცოდი, რომ დანაშაული არა მქონდა-რა, მაგრამ ესეც ვიცოდი, რომ, თუ ღმერთზედ და სამართალზედ ხელს აიღებდნენ, ციმბირს იქით გადამაცილებდნენ.

პირველ ხანებში რომ მამგონებია ჩემი უბრალოება და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დავცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯნია, თითებიდამ ჩეძი სისხლი მიწოვნია. ასეთი დღე დამდგომია. დრო ყოფილა, რომ შხამს გამოვაჟენთებდი, შხამს, ჩემის დაშხამულის გულიდამ და წვეთ-წვეთად ჩავაწურებდი ჩემს დამღუპველსა, რომ იქ შემხვედროდა. მაგრამ ის სად იყო? ღმერთო, მაღალო, ნურა ქრისტიანს კაცს, ნურა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხანდისხან ამ სატუსაღოში დამდგომია!.. შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა.

ორის წლის შემდეგ მე განაჩენი წამიკითხეს. მე ხაროს სათხრელად დავენიშნეთ და საწყალი პეპია საციმბიროდ გაეხადნათ. ღმერთო! რაღას იცდი და არ წარღვნი ამ ცოდვით სავსე ქვეყანასა!..

შვიდმა თუ რვა თვემ კიდევ გაიარა და ბოლოს მითხრეს, რომ შენი გაგზავნის დრო მოვიდაო. აქამდინ მე სულელი კიდევ რაღაცაც ველოდი: მეგონა ღვთის სამართალი კიდევ გაიღვიძებს-მეთქი და მართალს გამამართლებენ. ამაშიაც მოვსტყუვდი.

შემხსნეს ძველი ბორკილი, გამიკეთეს ახალი, უფრო მაგარი და სატუსაღოს გალავანში გამომიყვანეს. გაზაფხულის პირი იყო.

გალავანში თხუთმეტიოდ სამგზავროდ გამზადებული სალდათი მწკრივად იდგა. გამოიყვანეს სხვა ოთახებიდამ სხვა ტუსაღებიცა. მე გარინდებული ვიყავ და ისე უგულოდ ვუყურებდი თითო-თითოდ გამომავალს ტუსაღებსა. ბოლოს ორი თათარი გამოიყვანეს და იმათ უკან მოსდევდა ბორკილის ჩხარაჩხურით ერთი ტანში მოკაკული, დროული გრძელ-თეთრ-წვერა ტუსაღი: თავი ჩაეღუნა და მზეს არ უყურებდა, თითქო მზეცა და ქვეყანაცა იმისთვის აღარ იყო. დავაკვირვე თვალი და, ვაი იმის მნახავს! — პეპია ვიცანი. მე აქამდის იმის იქ ყოფნა არ ვიცოდი. პეპია იყო, მაგრამ რა პეპია!.. ველარ იცნობდი, ისე მომკვდარიყო და გამოცვლილიყო!..

— პეპიავ, კაცო, შენა ხარ? — გაოცებით შევყვირე საცოდავსა: იმან თავი მაღლა აიღო და შემომხედა.

— შვილო, გაბრიელ! — დაიბღავლა საცოდავის ხმით, — შენც აქა ხარ? მოგიკვდეს თავი, საცოდავო პეპიავ! ჩემი თამრო აბა ეხლა კი ცოცხალი დამარხული იქნება!.. ვაიმე, შვილო! ყველა იმედი შენის დახსნისა ეხლა დამეღუპა, აი!..

შემოიკრა ორივე ხელი თავში, მუხლი ჩაეკეცა და ხმამაღლა ქვითინი დაიწყო. მე იმის საცოდაობამ დამწვა.

— შენ რაღად, ჩემო გაბრიელ? შენ რაღად, რაღად? — ქვითინებდა ის ტანჯული კაცი: ვთქვათ, მე იმისათვის, რომ უბედურის-შვილის უბედური მამა ვარ, შენ რაღად, შე უბედურის დღისავ!

— მეც იმიტომ, ჩემო პეპიავ, — ვუპასუხე მე გულამომჯდარმა, — რომ შენი სიკეთე მოვინდომე. მაგრამ ეხლა აღარა გვიშველის-რა. ჩვენ სამნი უილაჯონი ვართ და იმისაკენ კი მთელი ქვეყანა ყოფილა. ნუ სტირი. ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია,— ტყუილად ნუ ჰღვრი. ღმერთი გვიპატივებს, თუ კაცმა ვერ გვიპატივა.

— ეჰ, ჩემო გაბრიელ, არც ღმერთი ყოფილა ჩვენკენ! ვაიმე, შვილო თამრო!.. შენს ნამუსს ღმერთიც ველარ დამიბრუნებს. გათავდა ყველაფერი ჩემთვის! ამ ქვეყანაზედ მე აღარა დამრჩენია-რა...

იქნება საწყალს პეპიას კიდევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ სალდათმა წამოუარა, თოფის კონდახი წამოჰკრა და წამოაყენა. მეც ჩამაჩუმეს.

უფროსმა უბძანა, სალდათები გარს შემოგვერტყნენ და ბორკილის ჩხარა-ჩხურით ექვსი ტუსაღი გამოგვამგზავრეს. საწყალი პეპია და ერთი სნეული ტუსაღი ძლივ მობობღავდნენ. გალავანს გარეთ რომ გამოვედით, პეპია და ის სნეული ტუსაღი ურემზედ დასვეს. სიავეს შეჩვეულსა, ეს რუსების სიკეთე გამიკვირდა.

შვიდს დღეზედ მყინვარის მთას დავუახლოვდით. საღამო ხანი იყო და ის სოფელი, საცა იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო. ჩამობინდდა. მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდაო. ყველანი შეგვაყენეს. სალდათები გარს შემოგვისხდნენ, ზოგმა ჩიბუხის კეთება დაიწყო, ზოგმა პურის ჭამა, ზოგი წამოწვა. ჩვენც ჩავსხედით. ტუსაღები ამბობდნენ, რომ ხვალ საქართველოს მიჯნას გავცილდებითო.

გული მომიკვდა, ეს რომ გავიგონე, და დავღონდი. ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა. ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის. თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა? სადაური სად მივყევართ, — ვკითხავდი ჩემს თავს ტკივილითა და წუხილითა, — ეს ქვეყანა აღარ უნდა ვინახულო, აქაურმა მზემ აღარ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს!.. სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უნდა მყვანდეს!.. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას!.. აქაური სალოცავი აღარ უნდა ვილოცო!.. თანაროც აქ უნდა დამრჩეს უპატრონოდ!

ვწუხდი და ამ ფიქრებში ვიყავ. უეცრად ცხენების თქაფათქუფი შემომესმა. წამი არ დასცალებია. რომ ხუთი თუ ექვსი ცხენო-

სანი ზედ წამოგვაწყდა. დასჭყივლეს რუსებს, ჩვენ კი გვითხრეს, ვისაც შეგეძლოთ, თავს უშველეთო. მალე მტერი თქვენ მოგიკვდეთ, მალე ის სალდათები გაფრთხნენ, მაგრამ მერე კიდევ შემოგროვდნენ და სროლა ასტეხეს. ამ ალიაქოთში მე და პეპიამ დრო ვიხელთეთ და გზის ვადაღმა თავ-თავქვე დავეშვით. ის ბერიკაცი ასეთი გამორბოდა, რომ ოცის წლის ბიჭი გეგონებოდა. გამიკვირდა, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე, რომ გაჭირებას ბევრი რამ შესძლებია. ჩვენ უკან აგვედევნა ერთი ცხენოსანი და, რომ დაგვეწია, მე ქლიბი მომაჩეჩა ხელში, გზა მშვიდობისაო, შემოგვძახა.

— თუ ღმერთი გწამს, ვინა ხარ? ბნელში ვერ გარჩევ, გვითხარი შენი სახელი და დაგვალოცინე შენი თავი, — შევეხვეწე მე.

— სახელი რად გინდათ? ვინცა ვარ, ის ვიქნები, — მიპასუხა იმან, — თუ გინდათ დამლოცეთ: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს.

გვითხრა ეს, ჰკრა ცხენს მათრახი და ბნელაში მიგვემალა.

ცოტა თუ ბევრი უგზო-უკვლოდ ვიარეთ. პეპიამ სიარული ვეღარ შესძლო. წამოვიკიდე საცოდავი ზურგზედ და, თუმცა ის ამას ჰთაკილობდა, ისე წავიყვანე. დიდხანს არ მომინდა სიარული, იქავ ერთს უდაბურს ხევში ჩავედით და იმ ღამეს იქ ვისადგურეთ. მე მაშინვე დავიწყე ბორკილების გაქლიბვა და რიჟრაჟზედ ძლივ გავათავე იმათი გატეხა. დავწექ და დავიძინე. მზე კარგად ამოსული იყო, რომ გამომეღვიძა. მაშინ მომაგონდა, რომ ჩვენ ერთი ნამცეცი პური არ გვქონდა. შენი მტერი გახდეს, როგორც მე მაშინ გავხდი. არ ვიცოდი რა მექნა, ვისთან წავსულიყავი იმ ტუსაღის ფარაჯითა? მაშინვე დამიჭერდნენ. პეპია, მართალია, არას ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საწყალს შიმშილი მოერია. როგორც იყო იმ დღეს და იმ ღამესაც შიმშილი მოვითმინეთ, მაგრამ შველა კი არსით იყო.

გათენდა მეორე დილაც და იმედმა არსაიდამ მოგვიტანა ნუგეში. პეპია საცოდავად გახდა, თვალები ჩაუძვრა, ლოყები უბებშუა ჩაეკეცა და სულ მოიშალა. მეც ძალიან ვიტანჯებოდი ცალკე იმის ყურებით, ცალკე უიმედობით, რომ შველა არსაიდამ მეგულებოდა. პეპიამ ეს შემატყო და მითხრა:

— შვილო გაბრიელ! ნუ მიწყენ კი და მე სიარული აღარ შემიძლიან. მე შენთვის მეტი ბარგი ვარ: თავი დამანებე. მე ამ ქვეყ-

ნისა არარა ვარ და არც ამ ქვეყნისათვის გამოვდგები. შენ წადი, შვილო, ტყუილად ჩემის გულისთვის ხელახლად თავს ნუ გაიფუჭებ. ისიც გეყო, რაც ჩემის გულისთვის შენ მოგვივიდა.

მე ეს სიტყვა ძალიან მეწყინა.

— რას ამბობ, შე უბედურო? — ვუთხარი მე თითქმის მწყრალად, — რომ წავიდე, ვის ხელთ დაგაგდო? ღმერთს რაღა პასუხი გავცე?

— ღმერთს ჩემზედ დიდი ხანია, შვილო, ხელი აუღია. მე ძაინც-და-მაინც მგლისა და ყორნის ლუკმადა ვარ გაჩენილი. მე იძათ ანაბარას დავრჩები. შენ კი ღმერთმა გზა დაგილოცოს, წადი და იცხოვრე ქვეყნად...

— მე წავიდე და ქვეყნის სირცხვილი ვჭამო!.. ვაი შენს გაბრიელს! ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ გაბრიელმა ეგ იკადროს. შენ აქედან ფეხს ნუ მოიცვლი, მეც მალე მოვალ.

ეს ვუთხარი, დიდხანს არ ვიფიქრე და გააფთრებული წამოვედი. ერთს მთის წვერს გადავადეგ და აქეთ-იქით მზერა დავიწყე. მთის ძირში წყალი აქაფებული მოჰხუოდა, წყლის აქეთ პირას გზატკეცილი მიიკლაკნებოდა. მე იმ გზაზედ დავინახე ერთი ცხენოსანი.

დავეშვი მთიდან ქვემოდ და უშიშრად მივუხტი იმ ცხენოსანსა. რომ შევატყე სომეხია, ჩემის თავის იმედი უფრო მომეცა.

— ჩამოხე ცხენიდამ! — შევჭყივლე სომეხს. იმას ხუმრობა ეგონა.

— ვა, ჩამოვხტე, რა შენი ყურმოჭრილი ყმა ვარ! — ძითხრა იმან, — ვერ მყურობ? კაცი თოფ-იარაღში ვზივარ.

დიდხანს აღარ დავაცალე. წავწვდი, თოფი გოთურგით ჩაძოვაწყვიტე და თამამად შევუტიე:

— ჩამოხე-მეთქი, თორემ მტვერსავით გაგანიავებ!

მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე იმას ფერი ვაცვლევინე. როძ ჰნახა, რომ აღარა ვხუმრობ, იკადრა ცხენიდამ ჩამოხტომა და ძეშინებულმა მითხრა:

— ვა, ცხენისათვის როგორ გაწყენინებ! ჰა, მიირთვი თავის უნაგირით; მარტო უნაგირი ოც-და-ხუთი მანეთია, ჰა! ცხენია რომა, თავის შეკაზმულობით გეყოფა შენ საცხოვრებლად. მშვიდობაძი, მე კი წავალ, ხმასაც არ გაგცემ.

— მაგით ვერ მომატყუებ, ეგ ხმალიც შემოიხსენ.

— ბატონი ხარ, — აჰა, ეს ხმალიც.

— ქამარ-ხანჯალიცა.

— არც მაგაზედ გაწყენინებ, ჯეელი ბიჭი ხარ, მოგიხდება.

— ეგ დამბაჩაც გაიძრე წელიდამ.

— ესეც შენი ფეშქაში.

— ეგ ტანისამოსიც!..

— ვა! მე რაღა ჩავიცვა?

— ბევრს ნუ ჰლაპარაკობ, — დავუყვირე შეტევით.

— მაშ დაიცა, ჯიბეში ანგარიშების წიგნები მაქვს, სულ არაფერია, უბრალო ბარათებია, შენ არ გამოგადგება. ერთი ის ბარათები ამოვიღო.

— ამაიღე, მაგრამ ერთი-ორიოდ თუმანი უნდა მამცე.

— ბატონი ხარ, თამასუქიც არ მინდა.

— მაგ ხურჯინში პური და ღვინო ხომ არა გაქვს?

— ბევრი.

— ეგეც უნდა დამითმო.

— ეგეც შენი ფეშქაში. მეტი რა ვქნა? იცი რას გეტყვი: ეხლა მე ჩემთვის წავალ და შენ შენთვის წადი.

— ბატონი ხარ.

ერთი სიტყვით ესენი ყველაფერი მამცა. ჯიბიდამ ბევრი ფული ამოიღო, მითომ მე ვერ დავინახე და უხაროდა, რომ ის სულ არ წავართვი. მოვახტი ცხენსა და გამოვქუსლე პეპიასაკენ. ის იყო ჩემი პირველი ავკაცობა, მაგრამ ეგეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა? „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ. ღმერთი როდი წაგახდენსო“, — იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი.

იმ დღეს იმ ხევში დავრჩით. კარგა ლაზათიანად დავნაყრდით და თითქმის ორი დღის უჭმელები ამით მოვსულიერდით. როცა დაბინდდა, პეპია შევსვი ცხენზედ, მე წინ გამოვუძეღ და წამოვედით. მესამე დღეს მაღლანდორეთს მოვადეგით. საწყალი პეპია გზაზედ ძალიან ავად გამიხდა: აღარცა სჭამდა, აღარც სვამდა და აღარც ხმას იღებდა. შევატყე, რომ ეს კაცი ამ ქვეყნისა აღარ არის. ბოლოს იმისი აღსასრულიც მოვიდა.

ერთ მთის წვერზედ ავედით თუ არა, პეპიამ ძლივძლივობით მითხრა:

— შვილო, აქ დამაყენე. მე ცხენზედ ჯდომა აღარ შემიძლიან და არც სიარული, სულთამხუთავი თავს მადგა.

დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენიდამ პეპია, გავუშალე ქვეშ ფარაჯა, დავუდე თავით უნაგირის ბალიში და დავაწვინე. საღაც ხანი იყო, მზეც გადაიხარა. ძლივლა ჰფეთქავდა საწყალი!.. მე თავით დავუჯექ. ვიყავით ის ორნი იმ უშველებელს მთის წვერზედ მარტოდ-მარტონი. მზე წითლად-ყვითლად ელვარე ჰღუოდა, მთის წვერისკენ გადახრილი. ქვეყანა გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული და გაღვიძებული, როგორც აკვნიდამ ბავშვი, ისე გამოიყურებოდა ტკბილად. ყველა იყო ბედნიერი ჩვენ გარეშემო ჩვენგარდა. მე და პეპია ვიყავით მარტო უბედურნი. ისა კვდებოდა და მე გაბოროტებული, გულმოწყვეტილი დავყურებდი მომაკვდავსა.

— გაბრიელ! — მითხრა ბოლოს პეპიამ. — ფეხ-მუხლი მიცივდება, შვილო, მე ვკვდები! ვაი, რომ უზიარებელი ვკვდები! შვილო, ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატიე, მეც მიპატივებია. მაგრამ... თუ თამრო ნამუსწართმეული ჰნახო, შემომფიცე, რომ იმის დამღუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები! შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, მე ამიღია კისერზედ.

მე შევფიცე.

— ფიცი მტკიცე უნდა იყოს!.. — დაიწყო კიდევ საცოდავმა. — პირისპირ იქ, საიქიოს, შევხვდებით... ვაიმე, შვილო თამრო... გაბრიელ! თუ თამროსათვის ნამუსი შეურჩენიათ, ჩვეხი ამ დღეში ჩაგდება შენს გამჩენს აპატიებ. მეც მიპატივებია. ფიცი მომე!

მე იმის სიტყვისაგან გულგაკეთებულმა მაგის ფიციც ვქენ.

— ვაი, ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამახახვა. — მოჰყვა ისევ პეპია, — ნეტავი ერთი კიდევ თვალით მიჩვენა, რომ სული ტკბილად დამელია! ჩემო კარგო შვილო, ჩემო მამისერთავ, თამრო! სადა ხარ ეხლა? რატომ შენს საცოდავს მამას თვალებს არ დაუხუჭავ? რატომ ხელებს გულზედ არ დაუკრებ? რატომ არ დაიტირებ, შვილო! შენი დაუტირებელი უნდა მოვკვდე? რა შევცოდე საბაგისო ღმერთს! მაგრამ, ღმერთო, კიდევ შენ გეხვეწები, უცოდველად ამყოფე ჩემი ობოლი გოგო!.. ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო კარგო თამრო! ღმერთმა თავის კალთა გადაგაფაროს, ჩემო ბოლონდელო სულის სადგურო, ჩემო ბოლონდელო თვალის სინათლევ! შენც შე-

გეწიოს ღმერთი, ჩემო გაბრიელ! ქვეყანაც დამილოცხია, თუ იძის ზურგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის... თუ არა და წაწყმდეს ეს ადრე და მალე წასაწყმენდი ძურტალის ადამიანის ძურტალი სამყოფელი! მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! აღსასრული ჩემი მოვიდა, მე სულსა ვლევ!.. შვილისაგან დაუტირებელი ვკვდები!.. უზიარებელი და მოუნანიებელი მივდივარ სააქაოდამ!.. მაგრამ მაინც კიდევ თუ შენს ბატონს ჩემი გოგოს ნამუსი შეუნახავს, უთხარი, რომ, როცა პეპია კვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო. ღმერთო! ჩაიბარე ჩემი ცოდვილი სული!.. შვილი ჩემი ჩამიბარებია შენთვის, მაღალო ღმერთო! უჰ!.. შვილო!.. თამრო!..

ამ თამროს ხსენებაზედ დალია იმ ალალმა ადამიანმა თავისი ალალი სიცოცხლე. ბოლონდელი ამოკვნესა იმისი მაინც თამროს სახელი იყო და მაგ ამოკვნესას ამააყოლა საწყალმა თავისი ტახჯული, ნაქენჯნი, მაგრამ მართალი სული და ისე გაშორდა ამ გულშეუტკივარს, ცოდვით სავსეს წუთის-სოფელსა. თამროს სახელი, მკვდარ ტუჩებზედ გამოსახული, ტუჩებზედვე შერჩა ზედშეკვდომილი. ეჰ, ნეტავი მეც იმას თან გავყოლოდი!..

ღმერთო, მიეცი იმის სულსა ლხენა და მანდ მაინც ნუ დაუძვირებ შენს მადლსა იმ უსამართლოდ გატანჯულს ადამიანის-შვილსა!

ხმლითა და ხანჯლით, როგორც იყო, საწყალს სამარე ჩავუჩიჩქნე და დილაზედ, როცა მზემ ხელახლად გაიღვიძა, დავმარხე კიდეც და მივაბარე მიწას. მზე იყო იმისი წმინდა სანთელი და კელაპტარი და დილის ნამის ორთქლი საკმეველად შეექმნა.

XI

გაბოროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული მოვაჯექ ცხენსა და დავეშვი იმ მთიდამ უგზო-უკვლოდ. გზა-და-გზა სულ საწყალი პეპიას უბოროტო სიკვდილი მელანდებოდა და მისი მადლიანი თქმულობა მაგონდებოდა. ნაღველი უფრო გამიმწარდა, მაგრამ სიარულმა თავისი ქნა, ნაღველი თან-და-თან გამიქარწყლა, გული ამღვრეული დამიწმინდა, გონება დამიდინჯა და მე სრულიად დავწყნარდი და დავმშვიდდი. იქნება ევრე დაწყნარებულს და ჯავრგადაყრილს კიდევ ბევრი გზა გამევლო, თუ რომ პეპიასათა-

ვის მიცემული ფიცი ხელახლად არ მომგონებოდა. კაცის-კვლა ფიცი იყო! ტანში შემაჟრჟოლა და ფერი მეცვალა. ბედმა იქამდეიც მიმიყვანა-მეთქი, — ვამბობდი გულში, — რომ კაციც უნდა მომაკვლევინოს. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!.. მე, გაბრიელს, კაცის-კვლის ცოდვა უნდა დამდებოდა?! მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხელი?!

მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავ, რომ გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკვდომოდა, მაგრამ თუ წინ მოსაფიქრებლად ორს წუთს მაინც ჩემი ჰკვა და გული შემრჩებოდა, ადამიანს სასიკვდილოდ ძნელად თუ გამოვიმეტებდი. ეხლა სწორედ ამისთანა დღე დამადგა: წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო მქონდა, ამიტომაც რამდენადაც ჩემს ფიცზედ ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი. ორში ერთი უნდა მექნა: ან ფიცისათვის მეღალატნა და ან კაცი მომეკლა. მე აქამდინაც არ ვიცი, ამათში რომელი უფრო მძიმე ცოდვაა.

ღმერთო, — ვამბობდი ჩემ თავად — თამრო უცოდველად დამახვედრე, რომ მეც ქვეყანას ვაპატივო პეპიასავით ჩემი მიწასთან გასწორება და თავი ცოდვისაგან დავიხსნა! ღმერთო, მომხედე! ნუ მიმიყვან იქამდინა!

კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვავდა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან შვილსაც ნამუსი წაართვა, — განა აქისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს-მეთქი! — ვფიქრობდი გულზედმოსული და ბრაზმორეული. მაშ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს-მეთქი! მაშ რას მეუბნებოდა მღვდელი, სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო, თუ არ ამასა?!

გადავწყვიტე, რომ ჩემგან ფიცის ღალატი და უკან დახევა შეუძლებელია და სამარცხვინო. რა უნდა მომივიდეს? — ვკითხავდი გონება-ანთებული ჩემ თავს, — სამუდამო ტანჯვა და ჯოჯოხეთი?! მაშ სამოთხე რომ მომელოდეს, რაღა თავის გამოდება იქნება?! დეე, რაც მომივა, მომივიდეს, დეე, ეგეც ჩემს აქაურს ჭირსა ზედ დაერთოს სხვის ჭირის სანაცვლოდ. ღმერთი ხომ ჰხედავს-მეთქი, რომ

ჩემს სისხლს არ ვიღებ; ღმერთმა ხომ იცის, რომ მე ჩემს სამაგიეროს ჩემს მტერს არ ვუხდი: მე ჩემს მტერს ჩემი ყველა დავუთმე, ყველა ვაპატიე, ყველა დავივიწყე. ჩემი გაბოროტება პეპიას სიკვდილმა და იმის მადლიანმა სიტყვამ თან გაიყოლია. მე ამაზედ ფიციც მივეცი. ღმერთი დაინახავს ამას — ის გულთამხილავია — დაინახავს, შემიბრალებს და შემიწყალებს, თუ არა და, ის იქნას, რაც ჩემ ბედისწერას ჩემთვის გაუწესებია.

ხომ ამაზედ დავდეგ, მაგრამ მაინც კიდევ, თითქოს უხებლივ, გაღვეშალე ღმერთს ხელები და გულმართლად და ნატვრით შევძახე: ღმერთო, დამიხსენ კაცის-კვლისაგან! თამრო უცოდველი მაჩვენე! ძნელი ყოფილა, შენი ჭირიმე, კაცის-კვლის ფიქრის წიხათვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა!.. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა. კაცს, თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცის-კვლის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად.

ბარში რომ ჩამოველ და გავივაკე, გულმა მღვდლისაკენ გამიწია, მინდოდა რომ იმისგან ლოცვა-კურთხევა მიმეღო და მერე, რაც მოსასვლელი იყო, მოსულიყო. გულს დავუჯერე და ქალაქისაკენ გამოვწიე.

მეორე დღეს, საღამოზედ, დიღმის ვიწროებში მივედი და იქ ერთს დუქანში ჩამოვხტი, რადგანაც ქალაქში ჩამოხტომა ვერ გავბედე. წავედი, ცხენი დუქნის გომურში დავაბი, მოვუარე და საჭმელი მივეე. მერე ამოვედი დუქანში პურის საჭმელად. მედუქნემ დაზგაზედ ვახშამი გამიმართა. მეც დაზგაზედ დავჯექ და პურის ჭამა დავიწყე.

პურის ჭამას რომ ვათავებდი, ერთი დროშკა მოადგა ჩვენს დუქნის კარებსა. შიგ ერთი ქალი და ერთიც ქალაქის ბიჭი იჯდა.

— მედუქნევ, — დაუძახა გარედამ ბიჭმა, — ცალკე ოთახი არა გაქვს?

— რამდენიც გინდა, — უპასუხა მედუქნემ.

ქალი და ბიჭი გადმოვიდნენ დროშკიდამ და დუქანში შემოვიდნენ. ქალს თვალი მოვკარ თუ არა, ფიცხლავ ელდა მეცა: რალაც რამ უცები მომეჩვენა, ჩემს თავს არ დავუჯერე. ქალი რომ დაზგას მოახლოვდა და კარგად გავსინჯე, სისხლი ტვინში ამივარდა. გიჟსავით ვისკუპე დაზგიდამ და ქალს წინ გადავუდეგ.

— თამრო!.. — შევკივლე მე კანკალით და თრთოლით.

— გაბრაზდა!.. — მომაძახა მე, იძან და ზედ ძველდზე ფერმძიმდილი დამეცა.

— მამა რა მექნა, მამა? — შემომბღავლა საცოდავად.

— მოშორდა ამ წუთის-სოფელს. ერთი მითხარ რამ მოგიყვანა აქა?

— მაგას ნუღარ მკითხავ! ნუ, ნუ მკითხავ!.. — სტიროდა საწყალი. — შენი თამრო დიდი ხანია დამიწებულია. შენი თამრო ძოძვდა.

— მაშ შენ ვინა ხარ? — დავიძახე თავზარდაცემულმა.

— ის თამრო აღარა ვარ. მე ახლა ავლაბრის უხამოსო ვარ, შემიბრალე და დამიტირე მე ბედშავი!..

— უნამუსოო!..

ვკარ ხელი შეუბრალებლად იმ უბედურსა და მკერდიდამ, როგორც გველი, ისე მოვიშორე. გარეტიანებული გიჟსავით გამოვვარდი. გარეთ, მოვახტი ცხენსა, დავწყევლე იქაურობა და ჩვენი სოფლისაკენ გამოვწიე. ფიცის ასრულების დღე მოვიდა. ჩემი ტოკვა და ყოყმანობა კაცის-კვლის თაობაზედ იმ დღეს სრულიად გათავდა. იმ გაბოროტებულს გულზედ ცა და ქვეყანა რომ ხელში მჭეროდა, ყველსავით გავწურავდი და კბილით გავგლეჯდი.

სამი-ოთხი თვე ვუტრიალე დათიკოს და ვერსად ვერ ჩავიგდე ისეთი ჟამი, რომ ერთმანეთს პირდაპირ შევხვედროდით. ქურდულად ბევრჯერ შემეძლო იმისი მოკვლა, მაგრამ რა კაცობა იქნებოდა? ისიც ძალიან ვაჟკაცი იყო და მინდოდა ერთმანეთს პირდაპირ შევყროდით, რომ ან მოვეკალ და ან მე მომეკლა.

ამ სამ-ოთხ თვეში ნადირსავით ტყეში ვიმალებოდი და მაიხც კი ორი სომეხი გავძარცვე და ხუთი თავადიშვილი. ძაგრამ, ღმერთო, ხომ შენ იცი, არც ერთისათვის იმაზედ მეტი არ წამირთმევია, რაც მეც თითონ მიჭირდა. ყველას ვეუბნებოდი, ვინცა ვარ, რომ ჩემი სახელი დათიკომდინ მისულიყო, გაფრთხილებულიყო და ყოველთვის მზად ყოფილიყო.

გამივარდა ყაჩაღობის ხმა და დაიწყეს ჩემი დევნა. დაიწყეს ჩემი სახელით ძარცვა და ავაზაკობა იმ არე-მარეში. კაცის-კვლაც საშჯერ მოჰხდა, მაგრამ მე ამა ყველაფერში უბრალო ვარ, თუმცა ყველაფერს მე მაბრალებდნენ და მართლა ავაზაკნი კი ამით თავს იძალავდნენ. ჩემი გზა და კვალიც ამით ერეოდათ ხოლმე; დღეს იტ-

ყოდნენ: გაბრომ აქ გაძარცვა კაციო და გზებს შემოკრავდნენ; იმავე საღამოს მოუვიდოდათ ამბავი, რომ გაბრომ სამი დღის სავალს იქით კიდევ გაძარცვა კაციო — და დაებნეოდათ გონება. ვერ მიჰხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და აქაც და იქაც სულ სხვა-და-სხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა. ბოლოს, რომ არა ეშველათ-რა, წმიხდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მომიტანდა.

დათიკოს ნადირობა მეტად უყვარდა და იმის იღბალი ჰხახეთ — ამ სამ-ოთხ თვეში არც ერთხელ არ უნადირნია. მე უფრო იმ ადგილებში ვისაფრებოდი, საცა უწინ დათიკო სანადიროდ დაიარებოდა ხოლმე. ბოლოს, იმის ბედისწერის დღეც მოვიდა და ერთმანეთს შევხვდით.

მზე ჩაწურვაზედ იყო, რომ მე დათიკო დავინახე ცხენით ძიხდორ-მინდორ მომავალი. უკან ერთი მეძებარი მოსდევდა. მე ტყეში ხეზედ ვიჯექ. ჩამოვედი ხიდამ, მოვახტი ცხენსა და გულის-ცემით ტყეში ლოდინი დავუწყე. გზა იმ ტყის პირას იდო. დათიკო იმ გზაზედ გამოვიდა და ჩემკენ წამოვიდა. რომ მომიახლოვდა, იმისი ღიღინი მომესმა. შევხედე და სრულად იყო იარაღით მოკაზმული. სჩანს, ჩემი ფიქრი ჰქონია-მეთქი, — ვიფიქრე გულში, — რომ ეგრე გამართულია.

დამიპირდაპირდა თუ არა, ვასკუპე ცხენი და ზედ მივაგდე.

— თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი! — შევჭყივლე მე. ჯერ ვერ მიცნო.

— ვინა ხარ? მაგრამ, ვინც უნდა იყო, შენ მე ფერს ვერ მაცვლევინებ, — მიპასუხა იმან თამამად და გულმაგრად.

წამი აღარ გაუტარებია: მარდად გადმოიგდო მხარზედ გადაკიდებული ორ-ლულიანი თოფი და თვალის დახამხამების უმალ ორივ ერთად დამახალა. მე თოფს ხელი ავუკარ და იმის ნასროლმა საფანტმა ზუზუნით თავზედ გადამიარა.

— მე ვარ გაბრო, შენი სულთა-მხდელი!.. — შევძახე მე და, მანამ სხვა იარაღს მაიხმარებდა, შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი.

საწყალი შეტოკდა ცხენზედ, გადიწია გადასავარდნელად, მაგრამ თავი შეიმაგრა, კიდევ მოასწრო ხმლის ამოღება და მოქნევა. ხმალიც ამცდა, მოხვდა ჩემს ცხენს თავში და იქავ სული გააჩრობინა.

ცხენი და მე ერთად დავეცით დედამიწაზედ. მინამ მე წამოვდგებოდი, დათიკო ცხენიდამ ძირს დაცემულიყო. მე თავზედ წავადეგ და დავინახე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივღა ჰფეთქავდა თავის ყმის ფეხთა წინაშე!.. მაგრამ, გეტყვით ჩემის გულის ძუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდა.

— წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას!.. — წავაყვედრე მე.

— ჰმ, — ჩაიცინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშსაგებში მშვიდობითა წევსო, — ამით გათავდა შენი შერმადინობა?

— როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადიხობა გაგიწიე.

— წადი, შვილო! სახელად ჩემი სიკვდილიც გეყოფა. დღეს ჩემი დღე არ იყო: რასაც ვესროლე, ავაცდინე. ვაი, რა ცუდად მოვკვდი?! ფუ ჩემს კაცობას! ნიშანიც ვერ დაგასვი.

— რა დროს ეგ არის? ღმერთი მაინც ახსენე და ისე დალიე სული, შე ცოდვით სავსევ!

— დარიგებას თავი დაანებე. ალალი იყოს შენზედ ჩემი სიხლი, კაი ვაჟკაცი ჰყოფილხარ. ეცე ბევრი რამ ცუდი მიქნია, არა უშავს-რა, — ჩემი ასე ცუდად წახდენა იმაში გამებაროს. აი დედასა!.. რა ცუდად შეგხვდი!.. მაინც შენის ხელით მოვკვდი! გახსოვს, მაშინ რომ გითხარი: სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსმეთქი. აკი არც დაჰკარგა.

— შენ იყავ, მყინვართან რომ დაგვიხსენი? — ვკითხე გაოცებულმა.

— მე ვიყავ თუ არა — შენ რა?

— რისთვის დაგვიხსენი?

— ვერა ჰხედავ? — აი, ამ დღისათვისა. პეპია რასა იქს?

— მოკვდა.

— ესე უზიარებლად და მოუნანიებლად, როგორც მე?

— ეგრე.

— ეგეც ბარი ბარში... მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევიხე. გამარჯვებით...

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა: ერთი გაიზმორა, ერთი კიდევ წამოიწივა, დაეცა და სულიც დალია. მოკვდა

ის უბედურის-შვილი. ტუჩებზედ ისეთი ღიმი შერჩა, თითქო დაიცინებაო. ჰმ, სიცილით მოკვდა ტირილით ნაშობი.

დავიჭირე მისი ცხენი, შევჯექ ზედ და წამოვედი. ცხენის მეტი მე იმისი არა გამოვიყოლე-რა.

დათიკოს მოკვლის შემდეგ მე იმ არე-მარეში ყოფნა ძალიან გამიძნელდა. ძალიან გამიხშირეს დევნა. მეც იქ აღარა მეკეთებოდა-რა და, სწორედაც გითხრათ, ყაჩაღობაც მომწყინდა: ჩემი ხელობა არ იყო. როცა უილაჯობით კაცს ვძარცვავდი, ერთს ვაივაგლახს გამოვივლიდი ხოლმე ჩემ თავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი. ვერ დაემორჩილა ჩემი გული ავკაცობასა, თუმცა ბევრი ავკაცობა ვქენი. ვერ შევეჩვიე, ვერა. ბოლოს გადავწყიტე, რომ გადავვარდები შორს საითმე, ჩემის ხელის ამაგით ლუკმა-პურს, როგორც იქნება, ვიშოვნი და, მინამ ჩემი აღსასრული მოვა, იმით დავირჩენ თავს-მეთქი. სხვა ამ ქვეყნისა მე აღარა მინდოდა-რა და აღარც მერგებოდა-რა: ამ ქვეყანაში მე წილი არაფერში მედო.

გამოვწიე და კახეთს შემოვეკედლე. ალაზანზედ რომ მოვედი, შიგ შუა-წყალში ცხენიდამ გადმოვხტი, დავეც დათიკოს ცხენს დაბაჩა თავში და წყალს გავატანე: ჩემი იარაღიც სულ ჩავყარე წყალში, რომ არც ცხენით და არც იარაღით არავის არ ვეცანი. აქ, კახეთში, მოჯამაგირობა დავიწყე, მეხუთე წელიწადია, როგორც მოგახსენე, ჩემი აქ ყოფნა. პირველი წელიწადი მშვიდობით დავყავ, მეორე წელიწადს კი კახეთმა დამცადა და ციებ-ცხელება შემეყარა. ორ-სამ თვეს თავს დამანებებდა და პატარა რომ მოვჯობინდებოდი, ისევ მომიბრუნდებოდა ხოლმე. მე თავს არ ვუდებდი და, რაც შემეძლო ვმუშაობდი. სამი წელიწადი ამ ყოფაში ვიყავ. ამ ბოლო წელიწადს წყალმანკი გამიჩნდა და ფეხები დამისივდა. სიარული გამიძნელდა, მუშაობისათვის ველარა გამოვდეგ. ქვეშსაგებად დამიგდო ავადმყოფობამ. ერთმა გლეხკაცმა შემიკედლა. მინამ ერთი ორიოდ გროში მქონდა და ვხარჯავდი, მინამ მინახა, როცა კი გაძოძელია ფული — იმ დალოცვილმა მკრა ჭიტლაყი და გამომაგდო გარეთ. ეს ოთხი თვე იქნება მას აქეთ. იმ სოფელში სირცხვილით ველარა ვიდგომილე, იმიტომ რომ საგლახაოდ საქმე მიხდებოდა და ვთაკილობდი. ავდეგ და აქეთ წამოვედი. გზაზედ, რაც ტანისამოსი მქონდა, ამ რუსის ფარაჯაზე გავცვალე და ერთი თუმანიც სართი ავიღე. ორთვენახევარი ამით ვირჩინე თავი. აქ რომ მოვედი, სიარული ველარ

შევიძელ, იმიტომ რომ ფეხები დამიწყლულდა, დამიჩირქდა და დამისკდა. აი, ხომ ჰხედავთ, ბოლოს მატლიც დამეხვია. ამ საბძელამდინ, როგორც იყო, მოვაღწიე და ამ ჩარდახ-ქვეშ შევაფარე თავი გზის პირია, ხალხის ფეხი აქ არ მოსწყდება და თითო-ოროლა კეთილი კაცი ხან პურს მაწვდის ხოლმე და ხან წყალს. მას დღეს აქეთ ასე ვარ. რაც გადამხდა. იქნება იმის ღირსიც ვიყო. რაც ავკაცობა ვქენ, იქნება იმის სამაგიეროც ეს არის? ვინ იცის? ღვთის გახგებას ვინ მიჰხვდება? ეხლა ვატყობ, რომ წყალმანკიც მერევა. აი, თითქმის გულიც დამიჭირა. მოვიდა ჩემი აღსასრული, მადლობა ღმერთს! ქვეყანას თუ რამ შევცოდე, შემინდოს, სხვა ღმერთმა იცოდეს!.. იქ ამ ქვეყნისთვის ავი არ ვიყავ, მე მარტო უბედური ვიყავ. ბევრი წილი ცოდვა, მე მგონია, აქავ გადავიხადე. იქნება ესეც ტყუილი ნუგეში იყოს, — ეგ ღმერთმა იცის და იმისმა შეუცდომელმა საძართალმა. გულუტკივრად ვეთხოვები მე ამ ქვეყანასა, იმიტომ რომ მე იმისი არა მემადლება-რა. ზიარებაც არ მაღირსა ამ წუთის-სოფელმა!..

XII

ამით გაათავა გლახამ თავისი ნაამბობი. შუაღამე გადასული იყო. მე გამოვეთხოვე იმ საცოდავს კაცსა და იმის ამბისაგან გუხებაარეული წამოვედი ჩემი ნათლიმამისკენ.

მეორე დილას მღვდელი ვიკითხე, რომ იმ უპატრონო კაცი ძეზიარებინა და იმისი უკანასკნელი ნატვრა ამით ამესრულებინა. მერე იქნება დამეყოლია როგორმე და ჩემს ნათლიმამასთან ამომეყვანა. ჩემმა ნათლიმამამ მითხრა, რომ არა მგონია მღვდელი ეხლა შეხ გამოგყვესო: ქალაქიდამ ახალი ბლაღოჩინი დაუნიშნავთ, წუხელის მღვდელსა სწვევია და მღვდელი ვერ მოიცლისო. სწორედ ჩემდა გასაოცრად ეგრეც მოჰხდა: მღვდელს შემოეთვალა, რომ არა მცალიანო. დიდად მეწყინა და დიდად გამიკვირდა ამისთანა პასუხი. მე თვითონ წავედი მღვდელთან, პირდაპირ ბლაღოჩინთან შევედი, ვუამბე ჩემის მოსვლის მიზეზი და მღვდლის პასუხი შევატყობინე. ბლაღოჩინი საშინლად გაწყრა და ძლიერ დასტუქსა ის უგულო მღვდელი. მაშინვე მოითხოვა სანაწილე, გამომყვა მე, მღვდელი და დიაკვანიც თან გამოიყოლია.

ჯერ კიდევ ადრე იყო, რომ გლახასთან ჩავედით. ის საწყალი იმ ერთს ღამეს სრულიად გამოცვლილიყო. ასეთი ფერი და სისუსტე ეტყობოდა, თითქო იმის სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდიაო.

რა წამსაც გლახამ ბლაღოჩინი დაინახა, თვალები ცეცხლსავით ისევ სიცოცხლით აენთო; რაღაც იოცა და ისეთნაირად დააკვირდა ბლაღოჩინსა, თითქო რაღაცას იგონებსო, თითქო სჯერა კიდეც და არც სჯერა ის, რასაც თვალით ჰხედავდა. ორჯერ თუ სამჯერ თვალები მოიშფვნიტა, თითქო რაღაცა უშლის ხილვასა და კარგად ვერა ჰხედავსო, და ისევ იმავ გაოცებით ბლაღოჩინს გარინდებულმა მზერა დაუწყო. მერე, თითქოს ეშმაკის გაფრთხობა უნდაო, პირჯვრის-წერას მოჰყვა და თვალი უფრო და უფრო დააცქერა ბლაღოჩინსა. მე გამიკვირდა ეს ამბავი. ვთქვი ჩემს გულში: ამ კაცს ეს რა ემართება-მეთქი.

— კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო ძმობილო! — უთხრა ბლაღოჩინმა. — მე, მღვდელი, მოვსულვარ, რომ წმიდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიანს კაცსა. რა გიკვირს, რომ ეგრე გაშტერებული მიყურებ?

— მაშ შენ მოჩვენება არა ხარ? — წაჰკივლა გლახამ.

არა.

— მღვდელო!.. — დაიბღავლა საცოდავად გლახამა, — არ გებრალები შენი გაბრიელ?!

ბლაღოჩინი თავზარდაცემულსავით წაბარბაცდა. მე მივაშველე ხელი და შევიმაგრე.

— მადლი უფალსა, მადლი... — დაიწყო გლახამ, ეხლა კი დაწყნარებით, მაგრამ მხიარულად, — ჩემი სული თურმე შენ გლოდნებია, ეხლა ნუგეშით და იმედით მოვკვდები... მაზიარე, შენი ჭირიმე, შენის მადლიანის ხელით. შენგან ანთებული სანთელი შენ ხელში უნდა გავქრე. ცოტა-ღა მაქვს სიცოცხლე, მაზიარე.

— გაბრიელ!..

— მე ვარ, მე!.. — გააწყვეტინა ბლაღოჩინს სიტყვა, — და შენც ისა ხარ, ვისიც მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია. ვენაცვალე შენს მადლსა!.. მაზიარე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, სიკვდილი მერევა.

— რამ მოგიყვანა ამ დღემდინ? — ჰკითხა შეწუხებულად ბლაღოჩინმა.

— იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისაგან გულში გვინთია.

როგორც შენ ერთხელ მიბძანე. მე ესე მგონია და სხვისა კი არ ვიცი, მაზიარე, შენი ჭირიმე!

ბლაღოჩინი საცოდავად გახდა: გაფითრდა, ნაცრისფერი დაედო სახეზედ, ენა ჩაუვარდა, სიტყვა მოეჭრა, თითქო თითონ იყო ამის საცოდაობის მიზეზიო. ხმა ვეღარ გასცა გლახას, ხმა! არეულმა დაიწყო ზიარებისთვის მზადება.

— აღსარების თქმას სულთამხუთავი აღარ დამაცლის, — უთხრა გლახამ, — შემინანია ყოველიფერი, უაღსარებოდ შემინდე და მაპატივე და ისე მაღირსე ზიარება.

— შემინდვიხარ.

— რვა კაცი გამიძარცვავს!..

— შემინდვიხარ.

— კაცი მომიკლავს.

— მაინც აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს. შენთვის ვილოცებ, უბედურო გაბრიელ.

— რაკი შენ შემინდე, — წამოიძახა სიხარულით გლახამ, — ღმერთიც შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ჰლაპარაკობდა. თუ ღირსი ვარ ეხლა ზიარებისა, მიბოძე.

— შენთვისა და მრავალთათვის არის გახტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანთხეული მისი წმინდა სისხლი მისატევებლად ცოდვათა. მიიღე და სჭამე!.. — სთქვა დიდებითა და ნუგეშინისცემით ბლაღოჩინმა.

— ვენაცვალე ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტესა! — წარძოსთქვა სასოებით გლახამა, — მაღირსე ეხლა ზიარება, მღვდელო!

ბლაღოჩინმა ლოცვა დაიწყო, ამოიღო სანაწილედამ წმიდა ნაწილი, გლახას წინ დაუჩოქა, კოვზით ზიარება მიაწოდა და წარმოსთქვა ვედრებითა:

— ჰოი, ყოველთათვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხევ! მოიხსენე ესე მოსავი შენი, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

— მომიხსენე მე, უფალო, და დამიფარე!.. — შეევედრა გლახა და მერე ბლაღოჩინს უთხრა, — არა, შენი ჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას არ ვაკადრებ ჩემსა მხსნელსა და მაცხოვარსა. ვენაცვალე იმის მადლს! მინდა ჯერ პირქვე დავეცხო იმის წმინდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემი თავი.

წამოდგომა მოინდომა. ჩვენ მივცვივდით საწყალად და ორივე ფეხზედ, მისვე სურვილისამებრ, წამოვაჩოქეთ. პირჯვარი გადიწერა, ღმერთს მუდარების სახით შეხედა, აღუპყრა ხელნი და გოდებით შეევედრა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. მერე ბლაღოჩინის წინ მომტირალი პირქვე დაემხო.

დიდხანს იყო ისე პირქვე დამხობილი, მარტო ყრუ ქვითინი მისი ხანდისხან მოგვესმოდა. ბოლოს ქვითინი შესწყვიტა. ბლაღოჩინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვე დაჭხობილსა, სული დაელია კიდეც. საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა.

1859 წ. პეტერბურგი.
(1862/1873 წ.) *

---

* პირვანდელი ვარიანტი მოთხრობისა „გლახის ნამბობი“ დაწერილია 1859 წელს; ხოლო ბოლო რედაქცია ეკუთვნის: I — VI თავები 1862 წელს, VII — XII თავები 1872 — 1873 წლებს.

კაცია-ადამიანი?!

„მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს — პირს უკანაო“.

გონიერი ანდაზა

რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია. ჩვენც ისე დავიწყოთ.

ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზე დაწერილს თავის-თავზე მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჰირზედა ვწერთ.

სხვამ რაც უნდა თქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა, ამ გონიერი სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაც გქვია: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და ეხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულისტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულისტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს, ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს.

I

კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი

და იმ ადგილის შუაგულსა — ორსართულიანი სახლი ქვიტკირისა, რომელიც სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დასურული. და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა. კარგა მანძილზე კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა იმას აქედამ ხედა. რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს. მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქოს გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერივით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსცლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა. რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია — ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიის-კარიდამ იწყება კალო, დიაღ მოზრდილი. მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდ-აწეული მარტო ფრთა-მოტეხილი ბატი თუ მინახავს.

ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა ამ ბუჩოზედა: აქ ხშირად უქეიფნიათ გრძნობის აღმტაცის ხრუტუხით ნებიერს ღორებსა; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო, ისე გულმოდგინებით, ისეთის სინაზით. ასე გგონია — მართლა და ღორები იყვნენ. მერე იმათი ოხუნჯობა! იმათი ალერსი! ოჰ, ეს კი აუწერელია. რაღაც ქმაყოფილებით გატაცებულთა, იმ ღორებს ერთმანეთისთვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი. რა ყვირილი და ჭყივილი ასტყდებოდა ხოლმე! ეგრე ჩვენი გლეხკაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა ახალ მოყვანილ პატარა-

ძალსა. ვიღაცამა სთქვა: „ქართული სიყვარული ლანძღვააო," მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია. ადმინისტრაციაში მაგას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემამცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არის.

ქიშიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეღწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათ. ეს გარეგანი, — ეხლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ ოდიადს თათქარიძესა.

ჩემს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ვეწვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოცვივნულან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა, — და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადაურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჩვის ჩარჩოებზედ შინის მაგიერად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქაღალდი გადაუკრავს. აი. ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა". მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია.

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა. იავ-ნანინაო!.." ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლადაც ესე იყოს, რა დასაძრახისია? მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოსწოლია, — და გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად მიმჯდარა ფანჯარასთახ. ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა და გონება-გასარ-

თველი საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.

იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ როცა კაცი ადგებოდა, ყოველი მისი ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზე ისე ლამაზად აბოლებდა ხოლმე, რომ კაცი ~~ყურებით ვერ გაძღებოდა.~~ ამ ორ ტახტ შუა აღმოსავლეთის კედელზე მოჩანდა, კბილებჩაცვივნული ბებერი დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგხიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და ხსვანი და სხვანი.

II

არ გეგონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და იმის გამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავმინებებული, — არა, ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდის საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდე ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებული მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ახლა უსულო ჩამოვთვალოთ: ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-და-ათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება ყმებიდგან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა იმის ხელში, ვინც გამოყენება იცის, კაი ლუკმა არის. მაშ, რაღად სდგას ეგრე ცუდად? — მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ. რომ ქართველია. — მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.

დიაღ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქ ცხოვრებდა ტკბილად და აუმღვრევლად ორმოცის წლის კაცი თავად ლუარსაბ თათქარიძე თავის განუშორებელი მეუღლითურთ. რომელსაც ერქვა ხეინა დარეჯანი.

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი — უკაკრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის

სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებული, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დაძორილი სხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქოს ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა ღა არც გატანილი; ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა. ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება — ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის — ხორცი დნება. ამიტომაც ჭლექები ჭკვიანები არიანო, ამბობენ ხოლმე. ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, — რატომ სწავლა არა მაქვსო, — სწორედ ამის გამო.

— ეგ ეხლანდელი ჭირიაო, — იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო.

მართალიც ბძანდებოდა მისი ბრწყინვალება: მისის აზრით კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღეყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი. ყმისა — რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

— დრო გამოიცვალა, — იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი, — დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო. ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყ-

ვანილი, ყველა თავის ქერქში იყო, ვენაცვალე! კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ახლა კი არ არის? თოფი განა ახლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ახლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე. ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი აშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მჭონდას“.— ესა ვთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ...

თუმცა ლუარსაბი ეგრე წუხდა ახლანდელი დროების ჭირისა გამო, მაგრამ სახე მუდამ ერთი განსაკუთრებული სულსლობით უცინოდა ხოლმე. „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავისი ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბძანებს საღმრთო წერილი. მერე რარიგად, იგივე სიმრგვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთ-სულიანი და ერთ-ხორციანი, საკვირველად ტკბილად ცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყივლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაჭყეტილი ჰქონდათ. დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგებიდანვე ის გულგადაღეღილი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაივაგლახით და კიდევ რაღაცეებით... მომხდარა ისე, სადილობამდისაც ამ ნებივრობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რად ჰცდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო: იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატროდა. მარტო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აეღთო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისათვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს.

მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის-კვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით — რაც აშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა — ის აქ არაფერი არ არის. მაშ მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდე შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვეშორე ხელისმომწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა. მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს: იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ, რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წიგნის წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხერხა, რა ვუყო? ამით ვინუგეშები, რომ „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“. ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია. მეც იმათში...

როცა ლუარსაბი იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბძანდებოდა, სიკვდილი იყო, რომ ვისმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ესე იგი ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორება. სტუმარი ეჯავრებაო, ამაზედ ამბობდა უგუნური

ხალხი, მაგრამ განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი? აბა თქვენგან არ ვიკვირს! სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთიერთმანეთს არ დალევენ? თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არაფერი, ეს ისე არ ეზარებოდა ლუარსაბს: ტანთ ჩაცმა იყო ამის სიკვდილი. მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგისა და მისი ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო. ზამთარში კიდევ პერანგზედ ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, ვთქვათ თუნდა დიამბეგი. მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიამბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლაა, რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიამბეგს დიდკაცად არ აგდებენ, თორემ უწინ — უჰ! უჰ! რა დიდი ვინმე ბძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინაღამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიამბეგზედ არ გადაკეთდა: კინაღამ „დიამბეგის სტუმრობა ნუ გგონია ხუმრობად“ არ შეიცვალა. რომ დიამბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის — ეს ყოველმა გლეხკაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევ კი თავადიშვილმაც იცოდა.

დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი, — ამაში კი, ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არ ჰგვანდნენ; გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი არა. რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადაიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადაიცვამდა ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა — შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და — ჰერი, ბიჭო — დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ესე იგი, ვაინაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნეინის ტყუილ-უბრალოდ ფაცაფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც ჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა სალამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაჭონილს შანდალსა; აქ იმას გაუწყრებოდა —

რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა — რაზედ; აქ ამას გამოგიცანებდაო — რისთვის? — არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰკოლავდა, დასტუქსავდა — ერთის სიტყვით — მთელს ღამეს ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, — და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა“-საც ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო, — და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჰერში ბუზებსა სთვლიდა. ერთხელ ფრიად ღირსსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს. ეს იყო შუა-ზაფხულის პაპანაქებაში, სადილ-წინ, როცა დარეჯანმა გაათავა ერთი ზემოხსენებულ-გვარი მოგზაურობა და თავში ტყაპუნი და ოფლში გაწუწული შემოვიდა ოთახში. ლუარსაბმა შეხედა და დაინახა თუ არა, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდის წითელ ლოყებზედ, თავის გულში სთქვა სრულიად კმაყოფილმა: — კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.

ესა სთქვა და კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე.

— სად იყავ, შენი ჭირიმე, — ჰკითხა მერე კნეინასა, — რომ ეგრე დაიღალე?

— როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალ-ყურის ჭერა უნდა. შენ გენაცვალოს ჩემი თავი, — მიუგო კნეინამ.

— ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და.

— მაშ? — ძიუგო ქებით თავ-გაზვიადებულმა ცოლმა, — ესე უნდა თვალ-გაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოელა უნდა.

— მაშ, მაშ!

— ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას.

— მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ!

— ხანდისხან ტყუილ-უბრალოდაც უნდა დასტუქსო. რომ გა-

მოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება. აი, მე გავლანძღავ კიდეც, გაეჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, — სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!..

— ოღონდაც, შენი მტერი!.. ოღონდაც!..

— ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

— ოღონდაც, დატუქსული უნდა გყავდეს, — მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა, — ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება.

— არა, გეთაყვა, ეს, რაცა ვთქვი, ტყუილია?

— ტყუილი რად იქნება? მართალია, შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება, — წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა „სიზმარი" რისთვის ჩააკერა ლაპარაკში.

ორივე დაჩუმდნენ. ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

— დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

— აბა სადა?

— აი, ჭერის ფიცარზედ.

თურმე, ნუ იტყვით, ამ სამაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა

— რამდენია? — სთქვა დარეჯანმა. — მაიცა, ჯერ დავთვალო.

— ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა, ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

— ისე გამოვიცნო? მაშ, კარგი, ოცდაათი იქნება.

— ოლოლო შენ, ვერ გამოიცან.

— მაშ, რამდენია?

— რამდენია? გითხრა? არა, არ გეტყვი.

— სთქვი, თუ იცი, რაღა.

— თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ. მე გამოვიცან.

— დიაღ, გამოიცან... დაგითვლია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

— შენც არ მამიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

— მაშ საიდამ იცი, რომ ორმოცია.

— საიდამ? იქიდამ, რომ გონება მაქვს.

— განა მე კი არა მაქვს გონება?

— შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

— რომ არ იყოს ორმოცი?

— ჯარიმა გადამახდევინე.

— მაშ დავთვალოთ.

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა, რომ ორმოც-და-ათზედაც მეტი იყო.

— გამოიცნო?! — სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, — დიაღ, გამოიცნო. გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

— გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, — სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად, — სწორედ გაფრენილან.

— უფრო კარგი, თუ გაფრენილან. უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოც-და-ათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროხეო, სთქვა გულში.

რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, სთქვა:

— დალახვრა ღმერთმა — ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო ოთხჯერ დავთვალე.

— აკი არ დამითვლიაო.

— შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა, — შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამ ჟამად გამარჯვებულს მეუღლესა.

— აკი არ დამითლვიაო, შე ეშმაკო, შენა! — მიატანა ღიმილითვე კნეინამა.

— ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გიხდა?

— შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

— დარეჯან!.. — უთხრა გულნატკენად და მოკრძალებით ლუარსაბმა, — დარეჯან!.. თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

— რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

— ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა, რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

— მაშ, შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის, — მიუგო გულამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიაობაზე რომ ხელი აიღოვო, სჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გულიც ატკინა და ტყუილ-უბრალოდაც ატკინა, —და რომ ის გულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა კბილების კრაჭუნით:

— ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ, რა ვარ?

პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილის შვილი, — თქვა თავის გულში ლუარსაბმა, — მოლექსესავით რა ლაბაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია!.. როგორ იხერხა?!

თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირება დაადგებოდა, თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა, ამ საგნებით რა ალერსს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა.

— შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა, რა ვთქვა? — თუნდა მარილი იყოს. კარგად არ ვთქვი. ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?

წამოროშა ესა და მხიარულების ნიშნად დააკრაჭუნა კბილები თავის პირწყლიანობით აღტაცებულმა ლუარსაბმა; არც დარეჯანი დარჩა უსიამოვნოდ. ხშირად გაუტარებიათ ამრიგად დრო ჩვენს ცოლ-ქმარსა. ნეტავი იმათ, მკითხველო!

ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე. მართალია, ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის ქუდით თავზედ, წითელი პერანგისა და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულგადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა:

— დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ).

— დიაღ, შენი ჭირიმე.

— რა ნაჭერია?

— ჩალაღაჯი.

— სამწვადედ?

— სუკი ვიშოვე, შენი ჭირიმე.

ძვირფასი კაცია, — გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე. მერე დათოს ეტყოდა: — ბარაქალა. ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეიროდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა.

— მეზვრემ მწვანილი მოიტანა? — ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

— მოიტანა.

— ტარხუნა ხომ არის?

— გახლავს.

— კიტრი?

— კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა.

— მაშ სახლი სავსე ყოფილა, — სთქვა ბატონმა სიამოვნებით.

— როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?..

— ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა! თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, — ეს ყველაფერი იცი.

— ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიმე!

— ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, — სთქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა მებატონემ, — ურმები გაისტუმრე?

— გავისტუმრე, შენი ჭირიმე! ახლა თუნდ ორღობეებს იქნებიან გაცილებულნი.

— სად გაისტუმრე?

— ყანაში, შენი ჭირიმე!

— რამდენია?

— ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

— რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?

— ხუთმეტი ჩვენს კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი ჭირიმე, და დღეს საიდამ იქნებოდა!

— ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება?! ბატონს სამსახური უნდა. მაშ, მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან.

მართლა-და ლუარსაბს თავის დღეში ათი ურმის მეტი არ შეჰბმია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა, ეს წყრომა რის ნიშანი იყო. გაუკვირდა და ბატონს ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიჟდაო. დიაღ, ლუარსაბი კი იქნება, რომ გაგიჟდეს! და თუ ტყუილუბრალოდ გაწყრა, მაგისი საბუთები სულ გოგრაში ჰქონდა. როგორც ამისი ძვირფასი კნეინა, ისე თითონაც ძალიან ჰჩემობდა მოსამსახურეების და ყმის მოხმარებასა.

— გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, — იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, — ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ, ღორის მკბენარსავით რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო, მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო. ~~ოდნდაც, ჩემო ლუარსაბ, ოდნდაც!~~

ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, რომ უმეზეზო და

ამ-გვარი ტყუილ-უბრალო აპილპილებაზედ გლეხებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვთ ხოლმე. ეჰ, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძღარი აქვთ, ამ-გვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ.

ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების „დაწიოკებასა“. დარწმუნებული იყო, რომ ეს „დაწიოკება“ ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცისათვისა. ამიტომაც, რომ შემოვიდოდა ოთახში, თავის-თავის კმაყოფილებით ეტყოდა ხოლმე ცოლსა:

— ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი! ვეჟო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყივლებ, ხელს კი არ გასძრავს და. გაგონილა! მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა.

— ეგრე, შენი ჭირიმე, — გაუკეთებდა გულს და თავს უფრო მოაწონებინებდა დარეჯანი. — ეგრე უნდა. მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

— ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი, გლეხებზედ, — მიუგო ლუარსაბმა.

— მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?

— როგორ არა, იყვნენ: ჩვენი გვარი მაშინდელია.

— რას ამბობ? ისე ჰლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე-რაო. მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?

— მართლა, ეგ კი ველარ მოვიფიქრე. არა, გეთაყვანე, ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?

— ხე ბოროტისა და კეთილისა.

— ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

— როგორ არა: ამბობენ, რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო, იმაში არის, სულ იაგუნდის ფოთლები ასხიაო.

— ზურმუხტისა იქნება, — გაუსწორა ლუარსაბმა.

— ჰო, მართლა, ზურმუხტისაა, ზურმუხტიც ხომ ფოთოლსავით მწვანეა; დიაღ. ზურმუხტისაა, სულ ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად.

— ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

— ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

— მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?

— აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოპარულა.

— წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!

— მაშ, წაუღია. მერე დედოფალი შებძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყია. ეს ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.

— მაშ, შერჩა, შერჩა?

— ვინ იცის? ჯერ ომი არ გათავებულა.

— ნეტავი მე მომეპარა.

— ხომ დაგარჩობდნენ.

— რომ არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ.

— გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

— რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

— შენი ჭირიმე, მკითხავს ვერ იშოვნიდნენ, რომ ეკითხათ.

— მართლა, ეგ აღარ მომაგონდა. დაიცა, რა გითხრა: ადამმა რომ შეჭამა, ის რაღა იქნა?

— კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვს.

— აბა, დახე ღვთის სამართალსა! მე მეპოვნა; უფრო მაღლი არ იქნებოდა?

— მერე ვინ შეგარჩენდა? ორასი წელიწადია თურმე მაშრიყმაღრიბის ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.

— აქამდინ ვერ წაართო?

— ვერა.

— პაი, პაი, პაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!..

— მე კი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა! ხელმწიფე და ულონო გაგონილა!

— ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ ვაჟკაცს ამბობენ

— ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის?

— ცოდო არ არის, ის ეხლა მიწაში ლპებოდეს და შენი მაზლი დავითი კი ცოცხალი იყოს!

— აბა, უყურე წუთის-სოფლის მუხანათობას! ეგ რა კიდევ, თამარ დედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს.

— აბა, წუთის-სოფლის ანგარიში ეგ არის და, — დაატანდა ლუარსაბი და ამოიოხრებდა, მერე ისე, რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა.

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოო ოჯახის მოვალეობისაგან — რომლის ნიმუშიც ზევით მოვიხსენიე, მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი. პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა — როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა. ერთი მაშინ მიძღებოდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა“, — და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: „გმადლობ შენ უფალო, რათა განმაძღე მე“. ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და, სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელს და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ, მიდნება! ზედაც ემცნევა ჩემს სტომაქსა“. გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი, თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: „დიაღ, — კიდევ იტყოდა, — ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერია“. სადილს შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი, — და ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე

არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთისოფლისა.

IV

ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა. მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალან-გაცვივნულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა — და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარა და უფრო ხშირად ლურჯი კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია.

საღამო ხანი — როგორც მოგეხსენებათ — ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, მეტად თუ ნაკლებად ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა. ასე რომ ზოგიერთნი განათლებით გაჩარხულნი ახლა ვიზიტობენ, თორემ უწინ კი საღამო ხანი დიდ პატივში იყო. ამიტომაც საღამოობით დარეჯანი ეგრე გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ — უკაცრავად კი არ ვიყო — საკურტომესაც კი გაიკეთებდა. მაშინ, როდინდელ ამბავსაც მე ვწერ, ჯერ კრინოლინი არ იყო, .. და თუნდ ყოფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდის ვინ მიაღწევინებდა მაგ იუბკების მეუფესა. ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს და, აბა, იმ სოფელში ეგრე ჩქარა როგორ მიიტანდა სახელოვანს „ხაბარდასა". სწორედ გითხრათ, ზოგიერთ სოფლის ორღობეებშიაც ვერ გაეტევოდა ეგ განათლებული კრინოლინი, თუნდ რომ მისულიყო კიდენაც.

— ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა, — უთხრა ერთხელ ერთმა ლამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა, გრძელი კავების ქნევით და ცოტა ტუჩების პრანჭვითა.

— აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბალე!.. რასა იქ, ხომ კარგადა ხარ? — მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა, მაგრამ ისე კი, რომ პატივი კნეინობისა სრულიად არ დაუმცირებია.

— რაღა რასა ვიქ, შენი კვნესამე! ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი კამეჩი შეპარულა და მეველეებს დაუჭერიათ, ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი. ეხლა, შენი სახელის ჭირიმე, ამას გემუდარები, გვაპატივებინოთ, აგრემც ჩვენი ნათელ-მირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე!

— რა? მითამ გამოვაშვებინოთ?

— ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო.

— როგორ იქნება, ჩემო ბაბალე? ეხლა, მართალია, შენ ჩემი ხათელ-მირონი ხარ, მაგრამ სოფელი აყაყანდება, ყველა მაგას მოჰყვება.

— აგრემც ღმერთი ბატონის თავს გიდღეგრძელებს, და მაშინ, როგორც გნებავთ, დამსაქმეთ. აი, ეხლაც, შენი კვნესამე, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგვაძლებინებს — კიდევაც თქვენი ყურმოჭრილი ყმანი ვართ.

ბაბალემ ჯიბიდამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი და მიართო კნეინასა. კნეინამ გამოართო და ამოიდო ქვეშ, ზედაც დაატანა:

— ეგ რომ არა ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლიან არ გაგირიგებდი! — ლუარსაბ! ლუარსაბ! — დაუძახა ქმარსა, რომელიც შორი-ახლო ბოლთასა სცემდა და ერთი-ორჯერ მსუნაგსავით მაცდურის თვალით გადმოჰხედა კიდეც მოხდენილ პატარძალსა.

ლუარსაბი მოვიდა.

— ქა! ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება — გამოაშვებინო.

ლუარსაბმა შეხედა პატარძალსა, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი იქით ძიიბრუნა. ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდეც თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად, მითამ-და სამაცდუროდ გაიღიმა.

— კამეჩიო!..

— ჰო, კამეჩი, — დაატანა დარეჯანმა, — აი, ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვა.

— მაშ კარგი!.. დათო! ბიჭო! დათო! — დაიყვირა ლუარსაბმა, — ჩადი და უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ.

სთქვა, ერთი კიდევ მაცდურად დააკრაჭუნა კბილები, და გამარჯვებულსავით ამაყად წავიდა ისევ ბოლთის საცემლად.

— აი, აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც გაგაპატიოსნოს ღმერთმა და ერთი კაი ვაჟიშვილი მოგცეს და მე ძუძუ მაწოებინოს, შენი კვნესამე, შენი, ბატონო და ქალბატონო!

— ჰხედავ, — უთხრა დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავიდა, — ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს.

— დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

— ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავინ აგდებს.

— აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ, ელისაბედიც მითამ თავადის-შვილის ცოლია და თქვენცა?

— ახლა იმასა ჰკითხე ზოგი, იმისთანა დიდი-კაცი აქ არავინ არის.

— უი, უწინამც დღე გაუქრება! გუშინ მეზობლიანთას გახლდი, იმათი გოგოც იქ მოვიდა. რაც იმან იმათზე ილაპარაკა, ადამიანისაგან არ გაგონილა.

— რა, გეთაყვანე, რა? — ჰკითხა აჩქარებით და მოუთმენლად დარეჯანმა.

— რაღა რა? ისა, რომ საწყალ გოგოს თავისის თითებით მოგროვილის ფულით ერთი ჩითმერდინი უყიდნია, იმას უნახავს და წაურთმევია. ეხლა თურმე თავზედ იკრავს. გოგოს ცოდვით ალარა ვართ, ქალბატონის მზემა, ისე გულანატირად ჰლაპარაკობდა ბედშავი. მე ხომ თქვენი ფეხის ნატერფალიც არა ვარ, მაგრამ მაგას მეც ვითაკილებდი, მამა მიცხონდა!

— უი! უი! დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით როგორღა ამბობს, რომ თავადისშვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა; გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც, მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზე შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა. კუმ ფეხი გაბოჭყო, მეც ნახირ-ნახირო. აი, მეხი კი დაეცა. ისიც ამას იქით ჩვენში ერევა, თავადისშვილის ცოლი ვარო! სხვა არა უთქვამს რა გოგოსა?

— სხვა არა მოუხსენებია-რა.

— ხუ დამიმალავ, ჩემო ბაბალე! ხომ იცი, მე შენი მწყალობელი ვარ, თუ უთქვამს კიდევ რამე — მითხარი.

— არაფერი არ უთქვამს, მამი-ჩემის ცხონებამ, თორემ, რომ ეთქვა, რად დაგიმალავთ.

— რა ვიცი? იქნებ გეშინოდეს-მეთქი.

— თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულებოდეს, იქ ვიღასი უნდა ეშინოდეს?

— მეც ეგ უნდა მეთქვა, ჩემო ბაბალე!

— მართალია, გლეხები გახლავართ, მაგრამ ჩვენც გვესმის ეგენი. ვისი უნდა მეშინოდეს, თქვენ აქა მყევხართ!

— მაშ, სხვა არა უთქვამს-რა?

— არა უთქვამს-რა, აგრემც ჩემზედ მიწა ნუ გენახოთ.

— იტყოდა.

— ის ერთი დედისერთა შვილი არ დამიმიწდეს, არა უთქვამს-რა.

— მართლა, შენი შვილი რასა იქს? — ჰკითხა მერე დარეჯანმა, რომ ვერა გახდა-რა.

— რაღა როგორ არის, შენი კვნესამე, ქალბატონო! ავად შენი მტერი გყვანდეს, ავად მე ისა მყავს. რა არ ვუყავი: ბალახებში არ ვაბანე, არ შევალოცვინე, შანები არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შენს მტერსა! თქვენთანაც კი მომასწავლეს, ვითამც თქვენ უებარი ლოცვა იცოდეთ. — მიშველეთ რამე, აგრემც მაგიერს ღმერთი გადაგიხდით.

— მე მარტო შაკიკის ლოცვა ვიცი და დასუნთქვილისა. განა შენი შვილის სენი — შაკიკია?

— ჰო, თქვენმა მზემ. შაკიკი გახლავთ. ღამის თავი გაუხეთქოს.

— გოგო. ლამაზისეულო! — დაიყვირა კნეინამ. — წადი, საწერკალამი და ქაღალდი. ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევია, ჩამომიტანე. მე დაგიწერ ლოცვას. ჩემო ბაბალეც, დაწერილი ქაღალდი იმ მხარეს დააკარ, რომელიცა სტკივა, ეგრე იყოს ორი-სამი დღე, თუ შაკიკია — გააქარწყლებს მაშინვე.

ვერ უყურებთ, მკითხველო! კნეინა დარეჯანი მე უსწავლელი ძეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმათ ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს

და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ ელისაბედი კი ფიცით იჭაჭებოდა, რომ ეგ ეგრეაო. მაინც არ დავიჯერებ: რძალი — როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი — რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა?

ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაშია, დაიყეფა, მაგრამ. რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი, ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაჰყო. დარეჯანმაც მოიხედა ამ ხმაურობაზედ და დაინახა ქნეინა ელისაბედი და იმის ჩითმერდინით დარბეული, გულდაჩაგრული გოგო.

დარეჯანი ფეხზედ წამოდგა.

— მობძანდით, ჩემო რძალო! — მიაგება სიტყვა ელისაბედსა, — ძლივს არ მოგვიგონეთ!

— შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მაქვს. ეს ისაო, ეს ესაო, სახლია, კარია. ხომ მოგეხსენებათ.

— აქეთ მობძანდით, აქეთ უფრო ნიავია, — მოიპატიჟა დარეჯანმა.

— სულ ერთია. — სთქვა ელისაბედმა და წაიძრო ფეხიდამ კროული ჩუსტები, გადმოვიდა ხალიჩაზედ და ჩაჯდა დარეჯანის გვერდით.

— სხვა, როგორ ბძანდებით, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს, — დაიწყო ისევ დარეჯანმა.

— კარგად გახლავთ, — მიუგო ელისაბედმა.

— შინა ბძანდება?

— აბა ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულისა და მოსავლის პატრონი? — ყანაშია ეს ორი დღეც იქნება. — თქვა რაღაც ნიშნის მოგებით ელისაბედმა და უნებლიეთ შეჰხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიც და მამულიცა.

დარეჯანს ეწყინა. ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნია.

— რასაკვირველია, ვისაც კაცი არა ჰყავს და არ აბადია, რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა, და, ვინც ასე გაზრდილა პატარო-

ბითვე, რომ არც მზე დასიცხავს და არც ავნებს, ის შინ არ დადგება; ჩემი ლუარსაბი მაგას ვერა იქს.

— განა მაგაზედ მოგახსენე! — დაასწრო ელისაბედმა.

— მეც განა მაგაზედ მოგახსენე! — დაატანა დარეჯანმა. — მე მარტო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გასჭირებია-რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

— გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბძანებთ, ჩემო რძალო? არა, თქვენმა მზემ! ვინც მოსავლის დროს შინ არა დგება, განა იმისაგან, რომ გაჭირვებულია ან გლეხობა ჩაიდინოს და მესვეურსავით მკაში ბეგრის ხალხთან ოფლი იწუროს? თქვენც არ მამიკვდეთ. აი, თუნდ თქვენი მაზლი, — განა გლეხია, ან გლეხობას იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჰფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ლამაზი ნაგეში მიმინო უზის და ნადირობს. გუშინ საღამოზედაც, ჯერისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა. რა სათაკილოა, თქვენი ჭირიმე, მეფეები ნადირობენ და იმისთვის რა სათაკილოა!..

— არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთის სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი, რომ სხვებივით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხება? განა არ ვიცი, ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, — და, სწორედაც მოგახსენო, არც საკადრისია: თავადს — თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს — გლეხობა.

— მართალი ბძანებაა, თქვენმა მზემ!

— არა და, რომ არ იქნება: მთა და ბარი ვის გაუსწორებია?

— არავის, თქვენმა მზემ, ღვთის ბძანებას ვინ წაუვა?

ამ დროს ფეხის ხმაურობაც მოესმა დარეჯანსა, მოიხედა და დაინახა თავისი გოგო, ლამაზისეული, რომელსაც ხელში ეჭირა რაღაც ნაბარათევი და თავმოტეხილი წამლის მინა, რომელიც საწერელობას ჰთამაშობდა.

— რა დაგემართა აქამდინ? ის კიდეც წავიდა, — უბძანა დარეჯანმა.

— ჯერ კიდევ აქ გახლავთ, ჩალურშია თაფლუასთან, — მიუგო გოგომა.

— მაშ კარგი, — სთქვა დარეჯანმა, დაიდო მუხლებზედ ქაღალდი და დაიწყო შაკიკის ლოცვის წერა. ამ დროს ლუარსაბიც მოვიდა ახალუხ და შალვარ-ჩაცმული, მოიკითხა ზდილობიანად თავისი რძალი და გაგორდა იქავ ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ და, დაასვენა რა ჩიბუხის ტარი თავის ღირსეულს მუცელზედა, — დაუწყო პირაღმა ყურება გუმბათიან ცასა.

მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ეს კრება. აღვწერ, თუ კი შევიძელ. ჯერ გოგოდამ დავიწყოთ.

სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა — რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული. მითომ და იუბკაა. აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა! თავზედ ეკრა შიგა-და-შიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი — უკაცრავოდ არ ვიყო — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა. ჭუსლებდახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული — აი, ამ-გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებდა ბალანგაცივნულ ხალიჩასა. ხალიჩაზედ ორი პატიოსანი დარბაისელი კნეინა იჯდა, როგორც მოგახსენეთ წინათვე, — ორი კნეინა, მაგრამ კი სხვა-და-სხვა-ნაირი: ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო. მსუქანი თავჩაღუნული სწერს, გამხდარი კი თვალ-დაფაციცებით თვალს ადევნებს მწერალის ხელსა, იქნება როგორმე შევატყო რასა წერსო; ხანდისხან გოგოსაც თვალს უშვრება და თავს უქნევს იმის ნიშნად, რომ „წეღან რომ სთქვა — წავიდაო, ვიზედა სთქვაო“. გოგოც იქიდამ ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა. მაშინ გოგო პირზე ხელს იფარებს, თავს იქით იბრუნებს, მითამ ეცინება კიდეც, რომ ელისაბედი ცდილობს და ვერ მიმხვდარა კი, და მორცხვობს კიდეც, — რომ ბატონის რძალთან სიცილსა ჰბედავს. აქეთ ბალახებზედ ხალისიანად ჰქშენს ჩვენი ლუარსაბი, პირაღმა

წყვს, აბოლებს ჩიბუხს და, მინამ თვალში ცრემლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს, — ვნახო, ღრუბლებამდინ ავა თუ არაო. იქით, ხალიჩის დასწვრივ, ღობის გადმოღმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძაღლი წევს, ისევ-ისე მიწაში ცხვირწაყოფილი და ქანცმიწყვეტილსავით თვალებდახუჭვილი; ყოველს ხმაურობაზედ მძიმედ ახილებს თვალსა და გულზედ-მოსულსავით ჰღრინავს, თითქო ჯავრობსო, რომ ძილს უფრთხობენ. პატარა შორი-ახლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერდით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძაღლი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატრისო მის ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: — ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ვყოფილიყავი!

ეს სამაგალი სურათი საძაგელის მიწისა, სასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრიხებოდა ერთ განუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი.

დრო გავიდა. დარეჯანმა გაათავა ლოცვის წერა და ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედდატანებით: — როგორც გითხარი, ისე მოიქეც-თქო.

მერე მოუბრუნდა ელისაბედს და შესაქცევად ჩამოუგდო ლაპარაკი. ლუარსაბი ისევ ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა.

— პურის მოსავალი როგორი გაქვთ წელს? — ჰკითხა დარეჯანმა.

— თქვენმა მზემ, შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მაზლს ოცდაათის ურმის იმედი აქვს, — დაიტრაბახა ელისაბედმა.

— ეგ, ბატონო, კაი მოსავალია. ოც-და-ათი ურემი ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვივა მაგდენი, მაგრამ ჩვენ ერთი-ორად მეტი ხახნავი გვქონდა თქვენზედა, — იტყუება თავის რიგზედ დარეჯანმაც.

— რას ბძანებთ, ჩემო რძალო, ჩვენზედ მეტი თქვენ რად გექნებოდათ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა წელსა.

— რად გექნებოდათო? ჩვენ მკათათვის ნახევარში გუთანი გატანილი გვქონდა, თქვენ კი ენკენისთვეშიაც არ გაგეტანათ.

— არა, თქვენმა მზემ, ჩვენ თქვენზედ ადრე გავიტანეთ, ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა.

— აი, ბატონო, თუნდ ლუარსაბსა ვკითხოთ. ეგ კაცია, მაგას უფრო ეცოდინება. ლუარსაბ! — დაუძახა ქმარს კნეინამა.

— რაო? — ჰკითხა ლუარსაბმა და მოიღრიჯა ცოლისაკენ კისერი.

— შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედ ნაკლები ნახნავები გვქონდაო წელსა.

— ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნავები მქონდა, — მიუგო ლუარსაბმა. ამ-გვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა. — რას ბძანებთ!.. ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა. აი, ჰნახავ, რამოდენა ფრთა მოქცეულს წამოვაყენებ კალოზედა, ასეთს წამოვაყენებ რომ... რომ... აბა რა გითხრათ? თუნდ თორმეტ ამ სახლის ოდენასა, ვაი არა აქვს ლუარსაბსა! ფიე! ნახნავი იყო, რომ ჩემი იყო. მარშან ვენახისა არ იყოს, ჩემოდენა ღვინო კახეთში ორს არ მოუვა. ქართლში ხომ ნახევრის ნახევარიც არ მოუვათ. მაშ! თუ ეს მართალი არ იყოს, საიდამ ვცხოვრობ ეგრე მეფურად? საიდამ? ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს ხომ არ შევირცხვენ! სომეხი ხომ არა ვარ, რომ ქირაობით ვიცხოვრო, თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ელისაბედმა აღარ დააცალა:

— მართლა, ჩემო მაზლო, ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს?

— მართლა, მაშ?! ის შერცხვენილი, გვარის დამამცირებელი, ასა!

— ნიკოლოზიც ატარებს თურმე, — დაუმატა დარეჯანმა.

— მაშ?! — უპასუხა ლუარსაბმა.

— უი, ლაფი დაესხათ თავზედ, კარგი გვარის მასახელებელი ისინი ყოფილან, — სთქვა ელისაბედმა.

— ნეტავი თავადიშვილი მაინც არ იყოს! — დაუმატა გულმტკივნეულად დარეჯანმა.

— ეგ არის და, რომ თავადიშვილია! — სთქვა წყრომით ლუარსაბმა. — თავადიშვილი რომ არ იყოს, ჯანი გავარდეს. ან გლეხი იყოს, ან სომეხი, კიდევ ჰო, — ეგა მკლავს, რომ თავადიშვილია.

ძალიან არ წახდა ხალხი, თქვენი ჭირიმეთ! ამასაც შევესწარი, რომ თაკადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!

— მერე რა დედ-მამის შვილი! — წამოიძახა დარეჯანმა.

— ეგა სთქვი და! — მიუგო ლუარსაბმა.

— კაცმა ეგრე როგორ უნდა დაკარგოს პატივი, — სთქვა თავის რიგზედ ელისაბედმა.

— ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს, გლეხიცა გზავნის ურმებს ქირაზედ და თავადიშვილიცა, ისიც ქირითა სცხოვროშს და ესეცა, რით უნდა გაირჩიოს? — იკითხა ლუარსაბმა.

— არაფრით, თქვენნა მზემ, — დაარწმუნა რძალმა.

— ოღონდაც, რომ არაფრით, — კვერი დაჰკრა ცოლმაც.

— მშიერი რომ ვკვდებოდე, მშიერი, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მამიკვდება. შენა, ჩემო რძალო?

— უი, უწინამც დღე გამქრობია. ვიკადრებდი კი არა, მე ჩემის ხელით თავს მოვიკლავდი. ოხრად დამრჩეს ქირით შემოტანილი ქონება. რა თავადიშვილის საქმეა.

— შენა, დარეჯან? — ჰკითხა ახლა თავის ცოლს ცნობისმოყვარე თავადმა.

— არც მე, — სთქვა დარეჯანმა.

— მაშ, არც მე, — სთქვა ლუარსაბმა იმ სახით, თითქო ამ სამის აზრით სამი ქვეყნის ბედი გადაწყდაო. — არა, დრო ძალიან გამოიცვალა, ჩემო რძალო! — გააგრძელა სიტყვა ლუარსაბმა. — ხალხი წახდა, სისხლი მოითხარა. აბა, ჩვენ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ თავადიშვილს თავი შეერცხვინა და ურემი ქირაზედ ეტარებინა. ქვით არ ჩავაქვევებდით? თავზედ ლაფს არ დავასხამდით? მაგრამ ეხლა? დასწყევლოთ ღმერთმა — სირაჯობენ კიდეც!.. გაგონილა? თავადიშვილების სირაჯობა! ოჰ, ღმერთო, რატომ წარღვნა არ მოვა? სომხები გახდნენ. სწორედ სომხები: ეხლა ისღა აკლიათ ადლი ამოიჩაროონ იღლიაში, სოფელ-სოფელ იაროონ და „სივაჭრო, სავაჭრო“ იძახონ.

— მაგასაც იქმონენ, თქვენმა მზემ. — სთქვა ელისაბედმა, — მე კი ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დროსა და!

— იქმონენ, თავი არ მამიკვდება, იქმონენ, — წარმოსთქვა მწუხარებით ლუარსაბმა, — ბატონო! სისხლი რომ ადარ არის? წახდა სისხლი. მოითხარა.

— მართლა რომ წახდა, — დაატანა დარეჯანმა.

— აი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია? — წაძოიძახა ენაჭარტალა ელისაბედმა, — იცით რა უქნია? ბიჭს გაუჯავრებია... ზაქარიას ცოლი ხომ ანჩხლია?

— მერე რა-რიგი! საშინელი! — დაჰკრა კვერი დარეჯანმა.

— ბიჭს გაუჯავრებია, — დაიწყო ისევ ელისაბედმა, — გამოსდგომია, წაუძვრია ფეხიდამ — ჩუსტი ყოფილა თუ ქოში — ქოში იქნებოდა — ამდენი უცემია, რომ დაუოსებია თურმე.

— არა, თუ ღმერთი გწამს? — ჰკითხა გაკვირვებულმა ლუარსაბმა.

— თქვენმა სიცოცხლემ!

— ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! იქნება პატარა ბიჭსა სცემა?

— კიდეც ეგ არის, რომ არა. პატარა ბიჭს რომ სცემოს, ეგ არაფერი: აი, მეცა ვსცემ ხოლმე, — სთქვა ელისაბედმა.

— მეცა, თქვენმა მზემ, — უპასუხა დარეჯანმა, — პატარა ბიჭი და გოგო სულ ერთია. როგორც ქალბატონმა რომ გოგოსა სცემოს, არ დაიძრახება, ისე პატარა ბიჭს რომ სცემოს, არაფერია.

— რასაკვირველია, — ჩამოართო სიტყვა ელისაბედმა, — პატარა ბიჭის ცემაზედ ვინ დაიძრახება. ის კი ვაჟკაცი კაცი გხლებიათ, აბა ქალი რომ ვაჟკაცს შეებას, — ვერაფერია თქვენმა მზემ.

— დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, — სთქვა პირჯვრისწერით ლუარსაბმა, — ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ: დედაკაცმა ისე თავზედ ხელი უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცემოს? ცემა არაფერია, მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს, — იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვცემ, მინდა არა, — მაგრამ კაცმა კაცს უნდა სცემოს, დედაკაცისაგან რომ არა თქმულა! რომ არ გაგონილა! აი, გოგო ჰყავს, გოგოს რამდენიც უნდა სცემოს, ეგ საკადრისია, კაცს კი... ღმერთო დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან.

— ეგ რა კიდევ... — უნდა დაეწყო კიდევ ელისაბედს ჭორიკანობა, მაგრამ ამ დროს ჩაიც მოართვეს.

— სიტყვა კი არ დაივიწყოთ, ჩემო რძალო, — უთხრა დარეჯანმა, — ჩაი მიირთვით.

— მიირთვით, სულ ერთია, — უპასუხა ელისაბედმა და წამოავლო ჭიქას ხელი.

ჩაი ჩამორიგდა.

ელისაბედმა მოსვა ცოტა თუ არა, ისევ დაიწყო გაწყვეტილი სიტყვა:

— იმას მოგახსენებდით: იმ წუწკს ნიკოლოზს, იცით, რა უქნია? თავის მოახლისათვის არშიყობა დაუწყია. ერთხელ ბინდი ყოფილა, — აქ რაღაც წასჩურჩულა დარეჯანს ყურში, — ბიჭებს დაუნახავთ, ქალბატონისთვის შეუტყობინებიათ, ის საწყალი ქალიც მისულა და გულს შემოჰყრია. აი, ბატონო!..

— მართლა?

— თქვენზედ მიწა არ მენახოს! — მოაჭორა ელისაბედმა და, მითამ ნიკოლოზის ცოლზედ გულიც შესტკივა, დაუმატა: — მე ის საწყალი ქალი მეცოდება, თორემ ნიკოლოზს თუნდა თავშიაც ჭვი უხლია.

— საშინელ დროებას არ შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ! — მართალის გულით სთქვა ლუარსაბმა. —სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა: ვაჟო, ქალს ქალობა აღარ ეტყობა, კაცს — კაცობა. ტყუილად კი არ მოგვეჩვენებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები. ერთი ღვთის რისხვა რამ უნდა მოვიდეს. რომ არ გაგონილა, ყურით და ენით არა თქმულა ქალისაგან ვაჟკაცის გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები! სირცხვილი აღარ არის ეხლანდელ დროში, პირში წყალი გაგვშრობია.

— არა, ისე ჩუმად მოეხდინა მაინც იმ სულის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა, — თქვა დარეჯანმა.

— ჩუმად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდა? — გააწყვეტინა სიტყვა ლუარსაბმა. — განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ უწინ სულ დაფარული იყო, ისე დაიჭერდნენ საქმეს, რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ. ბევრი მაგისთანაები მომხდარა უწინაც, მაგრამ, აბა, ერთი შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველაფერი, ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ. ეხლა, ბატონო, არაფრისა აღარ ჰრცხვენიათ. ნამუსი აღარ არის, არა, წახდა ქვეყანა.

— სწორედ მეორედ-მოსვლის ნიშნებია, — დაუმატა დარეჯანმა.

— სწორედ. აი, ერთი კიდევ რა შევიტყე. გოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებთ, — სთქვა ელისაბედმა.

გოგო და ბიჭი დაითხოვეს, ელისაბედმა შემოავლო თვალი გარეშემოსა და ჰნახა, რომ არავინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა

ყურები დააცქვიტა და ახლო მოიწია. დარეჯანმაც ყურთან ლუჩაქი გადაკეცა, რომ კარგად გაიგოს.

ელისაბედმა დაბალ ხმით დაიწყო:

— ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ გახსოვთ?

— დიაღ, — მიუგეს ერთ-ხმით ცოლ-ქმარმა.

— იმ დღეს თურმე გველეშაპი გამოსდგომოდა მზესა, — ისიც ხომ გაიგეთ?

— დიაღ, დიაღ, გავიგეთ! — წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა.

იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ, რომ — აქ უფრო ხმა დაიდაბლა — თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

— ვაი შენს ლუარსაბსა! — წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა, — ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა. მამა-ჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლ-ქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!

— რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! — მიატანა ლუარსაბსა ცოლმა, — სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ! შარშანწინ კი არა სთქვეს, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას, იმ ხარს ერთი რქა მოსტეხია და ქვეყანა უნდა გადაბრუნდესო, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოსტეხია და არც არაფერიო.

— მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა! — სთქვა ეხლა კი დაშვიდებულმა ლუარსაბმა, — ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, რიღას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?

— რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა, — ეგ ცუდია, თქვენმა მზემ, — სთქვა ელისაბედმა.

— ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ! შარ-

შან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლები ან, ყმები ბატონებადო. — ვეღარცერთ ცხოვრების მაღლს, იქაც ისე არიანო, ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემს დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

— რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონ-ყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! — სთქვა დარეჯანმაცა.

— უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო, სახარებაში სწერია. კეისრები ჩვენა ვართ, — დაუმატა ელისაბედმა.

— მართალი ბძანებაა, ჩემო რძალო! სახარების სიტყვას ვინ წაუვა? — მიატანა დარეჯანმა.

— არავინ, თქვენმა სიცოცხლემ! — დაამტკიცა ელისაბედმა და წამოდგა შინ წასასვლელად. — მშვიდობით ბძანდებოდეთ!

— მშვიდობით, ჩემო რძალო, ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია-თქო, — ურჩია ლუარსაბმა.

— თქვენც რომ ეგრე ჰქმნათ, ცუდი არ იქნება: გლეხები არიან, მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც. მშვიდობით, — გამოესალმა და წავიდა ელისაბედი. თან აედევნა დაჩაგრული გოგო.

— ღმერთო, რა მეჭორეა!.. რა ენაჭარტალაა! — უთხრა ქმარს ელისაბედზე დარეჯანმა.

— ის რა მოიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგველთოსო! — დაჰკრა კვერი ლუარსაბმა.

— შენ ხომ მაშინვე დაიჯერე!

— კარაბადინმა სთქვაო, მოდი და ნუ დაიჯერებ. ის კი, ღვთის წინაშე, არ მომაგონდა, რომ გარეჯელ მკითხავს ბევრჯელ გაუცრუებია სომხური კარაბადინი.

— გონება სადა გქონდა?

— ეჰ, შე დალოცვილო! აქა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა. სულ რომ მაგონდებოდს რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა: სოლომონ ბრძენი ვიქნებოდი. თუნდ ეგ არ იყოს, ქვეყანაზედ რა ვიცი რამდენი ეშმაკის მანქანებაა, ეგეც იქნება ერთი იმათგანი იყოს. ვეჟო, ცოდვილ ქვეყანაზედ რა არ მომხდარა ჩვენის ცოდვებისაგან?

ეგეც შეიძლება, რომ მოჰხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ აკარკივდებაო, ნათქვამია; ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია.

— რასაკვირველია, ცუდი არ იქნება. ჩვენ მაგითი რა დაგვაკლდება?

— არაფერი, შენმა მზემ! — ეხლავ დავუძახებ დათოსა და კეტყვი. — დათო, დათო! —დაუყვირა ბატონმა.

— ბატონო! — სადღაც შორიდამ მოისმა დათოს ხმა: — ეხლავ გიახლებით.

ცოტას ხანს შემდეგ დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა:

— რას გვიბძანებთ?

— იმას, რომა, ყმები ჩამოგვერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

— გავიგე, შენი ჭირიმე! — უპასუხა დათომა, — განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან.

— ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

— შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებით, შენი ჭირიმე!

— რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

— დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, — ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუწყრება?

— ოღონდაც, რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

— მართალი ბძანებაა. სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ რაც ჩემია — ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.

— ოღონდაც, რეგვენია, — ჩაერივა დარეჯანი. — მაშ ბატონი

რაცა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდა ეგ არ იყოს, უცხო ხომ არ ართმევს, ისევ თავისივე ბატონია.

— მართალი ბძანებაა. მამაა, უცხო რად იქნება? — დაუმატა ეშმაკობით დათომა.

— დიდი და პატარაობა სად არ არის? — სთქვა ლუარსაბმა. — აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა, რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

— განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, — სთქვა ცბიერმა დათომ.

— მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? — გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

— ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა, ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

— როგორი მართალია? — დაატანა დარეჯანმა. — ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვერთოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგაზატონ? ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

— მითომ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს!

— ტყუილია, მაშ რა არის? — დაიყვირა ლუარსაბმა. — აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგას, თუ არ იუდას კერძო?

— აი, მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! — მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.

— თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს, იცი, რა უთქვამს? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— არა, შენი ჭირიმე! რა მოგახსენათ?

— ისა, რომ ტყუილიაო.

— აბა იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, — დაუმატა დარეჯანმა.

— მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია, აბა უბატონოდ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე

მოგვივა. ეხლა ამითი ვვატყუებენ თავადებსაც და გლეხსაც. რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია?

— თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს — „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“. — სთქვა ლუარსაბმა, — ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიც გავარდნია. არა, დათო?

— დიაღ, შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქომს, რომ ტყუილია და როდი მიჯერებენ.

შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბძანათქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? — უბძანა ლუარსაბმა.

— მაშინ კი რაღა ეთქმით, შენი ჭირიმე!

— ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.

— ბატონი ხარ, მაშ გიახლოთ?

— წადი.

დათო წავიდა. ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა!

— არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, — უთხრა დარეჯანმა, როცა დათო წავიდა.

— ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა. — უპასუხა ლუარსაბმა.

V

— ყველა — ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? — ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დროს მოაღწია. — დარეჯან! არ გეყურება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

— რატომ რა უნდა ვჭამოთ, გაგიცვალოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს. — ანუგეშა დარეჯანმა.

— მაინც?

— სადილიდამ დარჩომილი კაი ციცად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია, კარგი...

კიდევ უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღორის სუკების ხსენებაზედ აღტაცებულმა ლუარსაბმა სიტყვა გააწყვეტინა:

— უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზედა ვარ.

— ზურგიელიცა გვაქვს, ღვინოები რომ იყიდა. იმისი ფეშქაშია ასეთია, რომ კონი გასდის.

— უჰ! ეგეც კარგი. სხვა?

— ყველი, პური და კაი გული.

— არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ: ჩვენისთანა ვახშამი ხელმწიფესაც არ ექნება.

გაიკეთა ჩიბუხი მადაწახალისებულმა მებატონემ და, მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა. ხანდისხან რაღაც ფიქრში გართული უეცრად წამოიძახებდა: „ღორის სუკები? შენმა მზემ, რომ კარგია!“

ვახშამსაც, როგორც ყველაფერსა ამ წუთი-სოფელში, ბოლო მოეღებოდა. გამაძღარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ესლა ხვალისთვის დაიწყებდა ზრუნვასა. მაშ! ოჯახის კაცი იყო.

— ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადავაგორეთ, ახლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?

— ხვალ?.. — ჩაფიქრდა დარეჯანი, ვითომცდა ძნელი გამოსარკვევი საქმე მიანდვეს. — ხვალ? დაიცა ერთი მოვიგონო... ხვალ? არტალაზედ როგორა ხარ?

— უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე, არტალაზედ? ვაცივითა გარ, ვაცივით, — უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა თავადმა, — ბარაქალა, დარეჯან! ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თოდოს მოხარშული, ნივრით, ერთ სახელმწიფოდა ჰღირს, მე და ჩემმა ღმერთმა. ეგ ძალიან კარგი. სხვა? მარტო ეგ რას გვეყოფა?

— ერთი კარგი ჩიხირთმა? — ჰკითხა მაცდურის ღიმილით კნეინამა.

— ჩიხირთმა?.. ჰა. ჩიხირთმა?.. არა, გეთაყვა. ბოზბაში სჯობია. — მიუგო მცირე დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

— ეხლა მაგას დაიჭინებ. რითა სჯობია?

— ვა!.. ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში? — ისეთი ხმით წამოიძახა ლუარსაბმა, თითქო უკვირსო: ეს ამისთანა უბრალო ჭეშმარიტება როგორ არ ესმის ამისთანა ჰკვიან დედაკაცსაო.

— შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს.

— ია!.. — უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა. — ტყემლით გაკეთებულს ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო?.. შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო!.. ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს!.. რას ამბობ, რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია. ამის შემდეგ შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა სჯობია? მაშ კაცი ალარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია.

— შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ვეღარ გადაგათქმევინებს? — არ იყო რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაყინებულს ლუარსაბსა.

— მაშ? კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია, დღეს ერთი სთქვას, ხვალ სხვა? — სთქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.

დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადააგდო:

— მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

— ვამჯობინებ.

— მაშ შენ პირში გემო არა გქონია, — ეხლა კი გულზედ მოსულსავით სთქვა დარეჯანმა.

ლუარსაბი აიტკიცა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო რომ მაინც ცოტა წყენით არ უპასუხა:

— შენ არა გქონია, რომ ჩიხირთმას ამჯობინებ, თორემ მე ხომ ბოზბაში მირჩევნია.

— აბა რას მიედ-მოედები? — ეხლა კი გაანჩხლდა დარეჯანი, — ბოზბაში როგორა სჯობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მაგონდება — პირში წყალი მომდის, თუ მშიერიც ვარ — მაშინ უფრო. — ბოზბაშზედ კი არა. მაშ ჩიხირთმა სჯობნებია. ეხლაც დაიყინებ?

ისეთ გულდაჯერებით და ზაფრიანად წარმოსთქვა ეს კნეინამა, რომ, ასე გგონია, უნდა ეთქვაო: „შე სულელო, ამისთანა საბუთი მაქვს და შენ კი მაინც შენსას ამბობო?“

მაგრამ არც ამის მოპირდაპირე იყო სუსტის ჭკუისა, რომ ის საბუთი უფრო ძლიერის საბუთით არ დაერღვია. მართალია, პირველშივე ძალიან ჩაფიქრდა, მაშინვე ვერ მოახერხა, — რა ეთქვა,

მერე კი — ღვთის წყალობა გქონდეთ — ყოჩაღად ლუარსაბმა იმას მიუგო.

მაგ სიტყვებზედ სდგეხარ? — ჰკითხა ჯერ ლუარსაბმა და ფეხზედ წამოდგა.

— ვდგევარ.

— მაშ, კარგი: შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში — მაძღარსაცა. აი, თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურჩაყრილი, ჩაჟუჟუნებული ბოზბაშით სავსე მათლაბა, თუ ზემოდამაც ერთი კარგი კანჭი აძევს!.. რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდე, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც თართი — თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ.

— აბა, შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი: ორაგული თქმულა თევზების მეფედ და არა თართი... აბა, სულ ეგრე სტყუი ხოლმე, — უკიჟინა ნიშნის მოგებით გახარებულმა კნეინამ, რომ ტყუილში დაიჭირა.

შერცხვა ცოტა ლუარსაბსა, მაგრამ არ შეიმცნივა და გაიზრახა, რომ პატივსათვის — რაც უნდა დაემართოს — უნდა დაამტკიცოს, რომ თართი არის მეფე.

— ახლა მაგას დაიჟინებ. თართია-მეთქი.

— ორაგულია!

— ეჰ. თართია, თავი არ მამიკვდება, არც ახლა დაიჯერებ?

ორაგულია, ორაგული! — დასძახა კნეინამ.

— აბა, საიდამ იცი, რომ ორაგულია?

შენ საიდამღა იცი, რომ თართია?!

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რაღაგად! ხსნა არ იყო. ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდეც, რომ „კარაბადინში“ სწერიაო, მაგრამ მოაგონდა. რომ დარეჯანი უფრო ხაკითხია და ვეღარ გაბედა.

დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო, როგორც იცის თითონ მკითხველმა. ჰნახა, რომ ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფრო და-უფრო დააყარა თავმოწონებით:

— მითხარ! საიდან იცი? მაშა! რაც არ იცი, ნუ იტყვი. აბა, ეხლა სთქვი: ჩიხირთმა არა სჯობია?

დარეჯანმა იფიქრა, რომ ეგრე დაჭერილი ლუარსაბი თუ გა-

ტყდება, ეხლა უნდა გატყდეს. ამისთანა გაჭირებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ, თორემ სხვა დროს ვეღარა. ამიტომაც ეგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ.

ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო! ისე თავჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა. სხვა დროს იქნება დაეთმო, მაგრამ ეხლა, რაკი საქმე სახუმარი აღარ იყო, რაკი ჯაბრზედ შედგა, ეხლა დათმობა სათაკილო ეგონა. მართალია, იყო წუთი, როცა ისე დამარცხებული ჰნახა თავისი თავი, რომ თითქმის დააპირა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის აღიარება, მაგრამ ამ დროს თვალ-წინ წამოუდგა მაორთქლავი მათლაბა ლავაშ-ჩაყრილის ბოზბაშისა. მოაგონდა ზემოდამაც გადახირული ბატკნის კანჭი, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი: ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყა სირცხვილიც, დამარცხებაც, გამარჯვებაც და ათქმევინა ეს ღონიერი სიტყვები:

— მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორაგული იყოს თქმული თევზების მეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში სჯობია ჩიხირთმასა.

— ჩიხირთმა, ადამიანო!

— ბოზბაში, დედაკაცო!

— ეჰ, წელიწადელი არ იყოს, მტყუანი ხარ და არა სტყდები, — უთხრა ყვედრებით დარეჯანმა.

— შენა ხარ მტყუანი.

— დახე! შენ არა თქვი — თართიაო?

— მე ეგ არ მითქვამს — ეგ შენა თქვი, — იცრუა ლუარსაბმა და თავის სიტყვა ცოლს გადააბრალა, — მე ორაგული ვთქვი.

— დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ!.. ეს რა მოიგონა! — წამოიძახა ეხლა კი სწორედ გულზედ-მოსულმა დარეჯანმა.

— ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! — დაბალ ხმით უთხრა ლუარსაბმა და წავიდა, რომ გარეთ გავიდეს. კარებში რომ მივიდა, ერთი კიდევა სთქვა:

— მე ორაგული ვთქვი. — თქმა ამისა და იმისი გარეთ გასვლა ერთი იყო.

— მტყუანს?.. — მისძახა გაკაპასებულმა, ამ უსირცხვილობისა-

განმოთმინებიდან გამოსულმა ცოლმა, — გაუწყრეს წმინდი-გიორგის მადლი და ნეკრესის ღვთისმშობლისა!

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ამ წყევლამ დარეჯანს მშვიდობიანად ჩაუარა.

ხშირად შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ“, — იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ“, — იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა.

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

— ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? — გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი: — წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, — რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით — რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, — ესეც კარგია: უარაროობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

—დიაღ, — მეტყვი შენ, — მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არ ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ — რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ, რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო, რომ ვითა მამა ზეცის, იყო შენც სრული.

VI

ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უღელში შებმულან და ერთს ბედის კალთას ქვეშ ამოფარებულან. საოცარი ამბავია ამათი ჯვარისწერა. ჯერ ლუარსაბი თავის ძმას-

თახ — დავითთან — გაუყრელი იყო, როცა ოცი წლისა შესრულდა და ბოინდომა ცოლის შერთვა. ძალიან ბოინდომა, მაგრამ არ იცოდა, ვისი ქალი შეერთო; მდიდარიც უნდოდა, კაი გვარის-შვილიც და მზეთუნახავიცა. ამაების მექონი ქალი ჩვენში ძვირია. ლუარსაბს ჯერ კი თვალი ეჭირა — იქნება შემხვდესო, და, რომ ვერსად ვერა ჰპოვა, გაიზრახა გულში — შეიკეროს ბატყელის ბუზმენტებით ჩოხა. ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალვარი, ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო. ბოლოს შეიტყო, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის: თავად გძელაძეს, დიაღ პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია. აუფორთხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე-მუდამ საამურად ულტინებდა, მაგრამ არ იცოდა — როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღმერთმა და ერთს დღეს მაჭანკალიც გაუტყვრა.

მაჭანკალი, გძელაძისაგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი, რომელიც მას აქეთ, რაც ქმარი მოჰკდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას „სუტ-კნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა. ჩვენც ეგრე დავუძახოთ.

დიდი ენამეტყველობის სახელი ჰქონდა გავარდნილი თავადიშვილებში ამ სუტ-კნეინასა. ამისთანა გამოცდილი შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა დედამიწის ზურგზედა. ამიტომაც ბლომად იღებდა ფეხის-ქირასა, მაგრამ ეს იყო კარგი, რომ რაკი იკისრებდა საქმეს, ბოლოსაც მოუღებდა. აი, გძელაძესაც ეს ამოერჩივა, ხუთი თუმანი ბე მიეცა და თხუთმეტსაც დაჰპირებოდა, როცა საქმეს გაარიგებს. თუმცა გძელაძემ გამოგზავნა ლუარსაბთანა, მაგრამ გამოცდილმა სუტ-კნეინამ ისე აჩვენა თავი, რომ მითამ ჩემ თავად მოვედიო, რომ ლუარსაბსაც დააეალოს და დასცინცლოს რამე.

ეს მოჰხდა ერთის აზნაურიშვილის სახლში, რომელმაც ჯვარი დაიწერა და ქორწილში სხვათა შორის ლუარსაბიც დაჰპატიჟა. ის

სუტ-კნეინა ამ აზნაურიშვილის მამიდა იყო. ქორწილის მეორე დღეს, სადილის შემდეგ, ჩვენი ლუარსაბი შექეიფიანებული წავიდა და ფანჩატურში დაწვა. მზე დაწურვაზედ იყო, როცა ვიღაცამ ხელი ჰკრა და გააღვიძა. ლუარსაბმა გააჭყიტა თვალები და დაინახა ერთი პატიოსანი ხნიერი დედაკაცი. წამოხტა მაშინვე ფეხზედ.

— დაბძანდით, შენი ჭირიმე, მოისვენეთ, — უთხრა სუტ-კნეინამ, — უკაცრავოდ ვარ, მოსვენება დაგიფრთხეთ, მაგრამ დედითქვენის მეგობრობა და ხათრიჯამი რომ მაგონდება, ის პატივი და სიყვარული, თქვენზედაც გული შემტკივა... აი, ამოდენა (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერიხართ, მითამაშებიხართ, დედა-თქვენი და მე დიდი მეგობრები ვიყავით, უერთი-ერთმანეთოდ ვერ გაგვეძლო, დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთისა: დები რად იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით. დედა-თქვენი ხომ არ გახსოვთ?

— არა, მე მაშინ ორის წლისა ძლივა ვყოფილვარ, — მიუგო ლუარსაბმა, რომელმაც არ იცოდა ჯერ, რა ამბავია და ან რა უნდა ამ კნეინასა.

— რასაკვირველია, არ გეხსომებათ. ის უბედური ღმერთს რომ თავის უმანკო სულს აბარებდა, — იმის დამკარგავი მე ცოცხალი რადა ვარ, ეჰ, მადლობა ღმერთს, იმის ნებას ვინ წაუვა, — რომ უმანკო სულს აბარებდა, მე მაშინ ფეხთით ვეჯექი. ყველანი დაითხოვა ჩემ-გარდა. მამა თქვენი, მგონია, მაშინ მიცვალებული იყო.

— არა. ჯერ მასუკან თუნდ ექვსი წელიწადი იცოცხლა, — მიუგო ისევ ლუარსაბმა.

— მართლა, მართლა, რამ დამავიწყა? — თქვა სუტ-კნეინამ, მითამ-და მართლა დაავიწყდა. — აი, სიბერე რა არის, ხსოვნამ მიღალატა, დიაღ, ცოცხალი ბძანდებოდა. დახე ჩემს გონებას! თავის პირით არ მიბძანა: „დაო, ხორეშან! ვიცი, რა სიყვარული გაქვთ შენ და ჩემ ცოლსა, წადი, ფეხთით დაუჯექ, იამება. შენ რომ გნახავს, ისე ჩემი ნახვაც არ იამება“. მამა-თქვენი დარბაისელი კაცი იყო, დიდი პატიოსანი, სახელოვანი და ყველასგან პატივცემული. დიდი შიში-კრძალვა ჰქონდათ იმისი, განა მარტო საქრისტიანოში, სალეკოშიაც; დაღისტნამდინ იმისი სახელი გავარდნილი იყო, რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონდა. აბა, თქვენ რა გეხსომე-

ბათ, პატარა იყავით. ჰო. რას მოგახსენებდით?.. — ჰკითხა ლუარსაბმა.

— რომ მამი-ჩემის სახელი, დაღისტნამდინ გავარდნილი იყო, რომ რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონია, — უპასუხა ლუარსაბმა.

— არა ეგ ხომ ვიცი, რაზედ დავიწყე, ის დამავიწყდა, ველარ მომიგონებია აი, ბატონო, სიბერე ეს გახლავთ. წუთის წინად რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს, მამა-თქვენის სიკვდილი, ოცის წლის ამბავი, რომ არ მახსოვდეს, რა საკვირველია.

— თორმეტის წლის ამბავი გახლავთ, — გაუსწორა ლუარსაბმა.

—თუნდ თორმეტისა, მაინც საკვირველი არ არის. რაზედ დავიწყე ლაპარაკი? — ჩაფიქრდა სუტ-კნეინა, მითამ-და არ იცოდა, რაზედ დაიწყო. იცოდა, ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ჰფიქრობდა, ისე როგორ მოახერხოს, რომ ლუარსაბმა ტყუილში ველარ დაეჭიროს, როგორც მამის სიკვდილში დაიჭირა. ლუარსაბი გაშტერებული იდგა და სულ არ ეცმოდა, რა განზრახვით მოსულა ამასთან კნეინა და რა განზრახვით ჰლაპარაკობს.

— ჰო, მართლა, — წამოიძახა სუტ-კნეინამა, ფიქრის შემდეგ, — იმას მოგახსენებდით: ცხონებული დედა-თქვენი რომ უმანკო სულს უფალს აბარებდა, ყველანი დაითხოვა, ჩემ-გარდა. და. როცა მარტოკანი დავრჩით, მიბძანა თავის სირინოზის ხმითა: „მე, ჩემო გულითადო მეგობარო ხორეშან, დიდის ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ვიცი, რომ ჩემი სიყვარული დიდი გაქვს. აი, ეს შენ და ეს ჩემი ობლები, შენ იყავ ამათი დედა“. ეს რომ ბძანა, — ვუი უბედურების მნახველს! — გული ამოუჯდა. მეც ღაპა-ღუპით წამომივიდა ცრემლები, ბევრი ვიტირეთ. მერე ხომ განუტევა კიდეც ის ანგელოზის სული. მე, როგორც თავზარდაცემული, ისე გიჟსავით დავრბოდი, თურმე ეგონათ — ვერ ავიტან მწუხარებას და ჭკვიდან შევცდები. დიდი სიყვარული გვქონდა, ესე ვიყავით, თითქო ერთი ხორცი გვაქვსო და ერთი სული. დედა-თქვენიც ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, — დაუმკვიდროს ღმერთმა სასუფეველი, — ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, რომ ყველას ხატსავით უნდა ელოცნა. ასეთი რამ იყო! სადღა არიან ეხლა იმისთანები! ჩვენც ვიტყვით, დედაკაცები ვართო!.. მესამეს დღეს ქრისტიანულის წესით მივაბარეთ მიწასა იმისი ნათელი გვამი. დიდი სამღვდელო იყო მოპატიჟებული. მოგახსენებენ, მამა-თქვენს გვამის გასაპატიოსნებლად

არქიელიც უნდა მოეწვივა, მაგრამ დროშკის ცხენები ვერ ეშოვნათ. რომ გაეგზავნათ. თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით, თქვენ და დავით პატარები იყავით, თქვენ მაშინვე შემიყვარდით, თქვენ მაშინვე გული უფრო მამიწევდა. არ ვიცი რად, — დათიკოც ხომ იმისი ნაშობი იყო. მაგრამ თქვენ ჩემთვის სხვა იყავით. მე თქვენ ხომ არ გეხსომებით?

— არა, არ მახსოვხართ.

— აბა, რასაკვირველია, არ გეხსომები. შენ სამის წლისა იქნებოდი, როცა მე ქმარი მომიკვდა. — ვაი იმის დამკარგავს! — მას აქეთ შინიდამა ფეხი არ გამომიდგამს, — ვარ ესე უნუგეშო, უპატრონო, ქვრივ-ოხერი. სიხარული ჩემთვის სიხარული აღარ არის, ქვეყანა ჩემთვის სულ შავებშია ჩაცმული. მაპატივეთ კადნიერება, იქნება თავი მოგაწყინეთ. რა ვქნა? ბედისაგან დამწვარ-დადაგული ვარ, დარდები მეშლება ხოლმე. რაღა გავაგრძელო, მოკლე სიტყვა სჯობია. თქვენ სამის წლისა იქნებოდით, რომ ქმარი დავკარგე. მოგშორდით და მას აქეთ აღარ მინახვიხართ. მაგრამ გულით ისევ თქვენთან ვიყავი; ვისაც კი თქვენებურს შევხვდებოდი, თქვენს ამბავს ვკითხავდი. ერთ ღამეს — აი, ეს სამი თვეც არ იქნება — დამეძინა. ვნახოთ, — ღრმა ძილში რომ ვარ — ერთი მშვენიერი ანგელოზი, შუქ-მოფენილი, გაწმენდილი და გასპეტაკებული თვალწინ გამომეცხადა. სიზმარს მოგახსენებთ, მაგრამ ასეთი სიზმარი იყო, რომ აქამდინ ცხადი მგონია. — „ხორეშან! — მიბძანა სულმა ცხოველმა, — მე შენის გულითადის მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და გასპეტაკებული“. მაშინვე მუხლებზედ მოვეხვიე დედი-თქვენის სულსა, დედა-თქვენი ბძანდებოდა. — „მუხლებზედ ნუ მეხვევი, — მიბძანა ხელახლად, — მე შენგან გული მტკივა: რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსა? დავითი კიდევ არაფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდა, ლუარსაბს რატომ არ ჰპატრონობ?“ სამი ღამე ერთი-ერთმანეთზედ მომევლინებოდა და სულ იმას მეტყოდა ხოლმე. ეგრე გახლდათ, თქვენი დაუტირებელი არ მოვკვდე! თუნდ ეგ არ ყოფილიყო, მე როგორც მოგახსენეთ, უფლისა წინაშე ალთქმა მივეც, რომ დედობა გაგიწევო, და, აი, დღეს მოვიდა ის დღე. თქვენ ყმაწვილი კაცი ბძანდებით. მე, რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიჟებია ის საწყალი ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამანის მხარ-ბეჭი და

სიტურფე ტაოიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურის ქალის გულშია. უბედურს ვამბობ იმიტომ, რომ იქნება თქვენ იმაზედ არც კი ჰფიქრობთ, ის კი იქა ჰდნება.

ლუარსაბს იამა, ისე უნებლიეთ ქუდი უფრო ჩაიტეხა, კისერი მოიღერა, წვრილ, ახალ აშლილ ულვაშებს ხელი გადაუსო, წელში გასწორდა და მხარ-ბეჭი მოიმარჯვა. ისე იამა, რომ პირველ ხანში ვერ მოახერხა სიტყვის თქმაცა. ჯერ არ იცოდა, რასაკვირველია, ის ქალი ვინ იყო, მაგრამ მაინც იამა.

— არც ქალია ურიგო, — დაიწყო ისევ სუტ-კნეინამა, — როგორი ყარამანიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. სწორედ ტარიელ და ნესტან-დარეჯანი იქნებით, ორივე ერთად რომ შეგყაროთ. არც გვარი და შთამომავლობა აქვს ცუდი. მუხრან-ბატონთან ერთ ფურცელზედ არის იმათი გვარიც ჩაწერილი. კაი ქალი, კაი გვარიშვილი, კაი ოჯახი, სახელგანთქმული ნათესაობა, — ბიძა ერთი მაიორი ჰყავს, მეორე დიანბეგია თათრებში, ფულიც აქვს ნაღდად. მეტი რა გინდა? მერე დედიშენის სურვილიც არის. ის ანგელოზი წუხელაც მომევლინა და მითხრა: „ეგ უთუოდ მოახდინეო!“

— ფული რაერთი აქვს? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— ორასი თუმანი ექნება.

— ნაღდად?

— სულ ბაჯაღლო ოქრო; შინა აქვს, პარკში შეკრული.

— გძელაძიანთ ქალი ხომ არ არის?

— თქვენ ვინ გითხრათ?

— მე ვიცი.

— მაინც?

— ვიცი, ის არის. განა მე კი გულში არა მქონდა იმ ქალის სახე, — მორცხობით ჩაიღიმილა ამ სიტყვაზედ ლუარსაბმა.

— საიდამ? გინახავს თუ?

— თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ისე ვიცი.

— მაშ ნებას დამრთავთ თქვენ მაგიერ ვილაპარაკო? რა-რაგად გაუხარდება ქალსა!

— თორემ მამას კი არა, — სთქვა სუტ-კნეინის ქებით გაზვიადებულმა ლუარსაბმა.

— არ გაუხარდება. თქვენმა მზემ! — გაუძნელა ძალად საქმე სუტ-კნეინამ.

— მაშ იმისგან არა ხართ მოგზავნილი?

— რას ბძანებთ? იმისაგან რომ ვიყო, საქმე გათავდებოდა, რაკი თქვენი ნებაც არის. ის არის, რომ თითონ მამა დიდს უარზედ სდგას.

— უარზედ სდგას!.. — წამოიძახა გულნატკენმა ლუარსაბმა, — რაში მიწუნებს მითამ? გვარი იმაზედ ცუდი არა მაქვს და ოჯახი. მითამ რაო?

— ეხლა, ხომ მოგეხსენებათ, რიხიანი კაცია.

— მაშ არა იქს, რაღა?

— როგორ არა იქს, მაგრამ დიდი ცდა და ხერხიანობა კი უნდა.

— მაშ შეიძლება დავიყოლიოთ?

— ვინ იცის? ეგ ხერხზედ ჰკიდია, მაგრამ მაინც კიდევ ღმერთმა იცის: ჯიუტი კაცია.

— ხერხი კიდევ თქვენი საქმეა.

— მართალია, მაგრამ მარტო ჩემი ხერხი რასა იქს?

— სხვა რა უნდა? რაც შემეძლება ჩემს კისერზედ იყოს. მაღლის გადახდა ჩვენც ვიცით.

— უი, შენ გეთაყვანე. შენა! მაგას ვინ მოგახსენებს? გულუხვობაში თქვენი გვარი დიდი ხანია განთქმულია, განა არ ვიცი. თუნდ ეგ არ იყოს, დედი-შენის შვილს მე უნდა გამოვართო რამე, მაშინ შემერგება ლუკმა? არა, გეთაყვა, მე მაგას არ ვიქ, — ეგ შენ იცი. მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“, ერთი ოციოდ თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობლები შემოვისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია, ფირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დავულბოთ.

— ეხლა სად ვიშოვო მე ოცი თუმანი? — უთხრა ცხვირპირჩამოშვებულმა და დაღონებულმა ლუარსაბმა.

— მაგაზედ ნუ შესწუხდები: შენ თამასუქი მამეც და ფულს მე გიშოვი.

— ბატონი ხარ. აი, თუნდ ეხლავ, — წაატანა სიტყვა გახარებულმა ლუარსაბმა.

სუტ-კნეინამ, რომ ჰნახა ესე ადვილად ლუარაბის დაყოლება,

იფიქრა: სულელი ყოფილა, რატომ ბლომად არ ვუთხარით და. რომ გაასწოროს შეცდომა. ეს მოიგონა:

— ეს კი უნდა იცოდე, ჩემო შვილო, რომ დიდს სარგებელს გამოგვართმევენ.

— დიდსა? მაინც რამდენს?

— თუმანზედ შვიდ შაურს.

— რა ვუყოთ, მივცემ, „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს“, — ნათქვამია.

— მაშ, ყური დამიგდე: შენ ჯერ უარზედ დადექ, ვინც რა უნდა გითხრას, ფეხი მაგრა დააჭირე, იქნება იმ ქოფაკს, როცა დაყაბულდება, ჰახრაკი მოვუჭიროთ, მეტი დავსტყუოთ, გესმის? მე სულ შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მერგება. ხომ გესმის?

— მესმის, როგორ არ მესმის! ფეხი უნდა დავაჭირო.

— მაშ, ეხლა მე ვიცი, ხვალ დილაზედ თამასუქს მოვამზადებინებ, შენც ხელი მოაწერე და მერე მე ვიცი.

— თამასუქი წინ მოგცე?

— მაშ, ქა!.. ფულს ისე ვინ განდობს? მე რომ მჭონდეს, არ დაგიჭერ, ხომ იცი დედი-შენის შვილს როგორ დავუჭერ, მაგრამ მე, ქვრივ-ოხერს, ვინ მომაბადა, სომეხს უნდა გამოვართო. აჰა სომეხი, ხომ იცი, რა ურიაა.

— ვიცი, ვიცი.

— მერე, როცა გავარიგებ, მეც ერთი ქვრივ-ოხერი ვარ... ერთორჯერ პურს მაინც მაჭმევ. — შეაბრალა თავი სუტ-კნეინამა. — შენი გვარი დარდიმანდობაში და პურ-მარილობაში განთქმულია.

ლუარსაბს იამებოდა ხოლმე, როცა ეგრე იხსენიებდნენ იმის გვარს, ოღონდ ეს გეთქვა და ჩოხას გაიხდიდა და შენ ჩაგაცმევდა.

— ერთი ეს მითხარ, ქალი როგორია? ყველა — ყველა და ეს კი დაგვავიწყდა, — მოიგონა ბოლოს ლუარსაბმა.

წიგნში და ხელსაქმეში კარგად გაწურთვნილია, მეტი რა გინდა. — უპასუხა იმანაც.

— წიგნი რად მინდა? რა, ბრძნად ხომ არ დავსომ!.. შენ ერთი ეს მითხარ, მადლიანი სახე აქვს? ფერზედ როგორ არის?

— მაგას ნუღარ მკითხავ, კალმით ნახატია.

— მაშ რალა, ფეხი დავაჭირო? — ჰკითხა ლუარსაბმა, რომელ-

სან სუტ-კნეინის უკანასკნელ სიტყვებზედ სიხარულმა და წადილმა ტანში ბეტად საშინურად გაურბინა

— დიაღ, ფეხი დააჭირე. ამას შენთვის ვამბობ, რადგანაც ჩემს დაზედ უკეთესის შვილი ხარ, თორემ, — თითონ შენ იცი — მე გამორჩენა არა მაქვს-რა. ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოვახდინო ეს საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მამცემს. ნეტავი დავიყოლიო და დედი-შენის შვილის ბედნიერება მოვახდინო და გამორჩენას ვინ იკითხავს!

— ჩემ კისერზედ იყოს ეგა. ლამაზია?—ჰკითხა ღიმილით კიდევ ლუარსაბმა.

— გითხარ — კალმით ნახატია-მეთქი.

— ორასი თუმანიცა აქვს?

— იქნება მეტიც, — ეგ მე და შენზედ ჰკიდია.

— იქნება მეტიცო!.. ჰა, თქვენ რას იტყვით, ცუდი არ იქნება, — ისე სთქვა ლუარსაბმა. თითქო რჩევას ეხლა აპირებსო.

— შენ როგორღაც გულში ჯერ არ გადაგიწყვეტნია, როგორც ვხედავ. — დაატანა ცბიერმა სუტ-კნეინამ, რომ გამოათქმევინოს, გულში კარგად გაუჯდა თუ არა; თუ გაუჯდა, კიდევ დასტყუოს რამე.

— ეჰ, რას ბძანებ?

როგორ რას ვბძანებ? თუ გულში არა გაქვს, ნუ შემარცხვენ, ეხლავ თავი დამანებებინე.

— თავი როგორ დაგანებებინო, რომ იმ ქალის სიყვარული გულში ნაღვერდალსავით ჩამიგდე. აბა, როგორ დავანებო თავი? მითამ რაში დავიწუნებ?

— მაშ გავათავეთ?

— გავათავეთ.

— უი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი! ძლივს დედი-შენის მოვალეობას და უფლის წინაშე აღთქმას არ შევასრულებ, თუ მოსე გძელაძე ძალიან არ გაგვიჯიუტდა!

— ის კაცი რომ სთქვი, მოიყიდე, მეც აქ ფეხს დავაჭერ.

— ნეტავი იმის მეტი ქრთამი არ დაგვეხარჯოს! იქნება სხვასაც მოუნდეს.

— შუაზედ გაუყავ ოცი თუმანი.

— უი, ჩემს თვალებს! ქა, როგორ იქნება! უბრალო კაცის შვი-

ლები ხომ არ არიან, ათ-ათ თუმანში ხელი გაისვაროს, თავადიშვილები არიან, სახელგანთქმულები, იმათი მოსყიდვა ადვილი არ არის. აი როგორ გეტყობა, რომ ჯერ ყმაწვილი ხარ.

— ოცი წლისა ჯერ სრული არა ვარ, — იტყუა ლუარსაბმა, სრული იყო.

— ისიც ჩვიდმეტის წლისა იქნება. სწორედ გვრიტები იქნებით. უი, ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა, რომ თქვენ ერთად მხარი-მხარ მსხდომნი გნახოთ და! ბევრნი არ შემოგნატრებენ!

— მაშ, ერთი აუჩქარე, თუ მართლა ეგრეა, თუ ღმერთი გწამს, — შეეხვეწა მოუთმენლად ლუარსაბი.

— ნეტავი ჩემს აჩქარებაზედ იყოს დამოკიდებული და მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მაგას ბოლო მოვუღო, მაგრამ ის წყეული მამაა საქმე. ღმერთი მოწყალეა, ნუ გეშინიან.

ეგრე გათავდა პირველი მოციქულობა სახელოვანის მოციქულისა. ლუარსაბს ამ დღის აქეთ, ცხადივ თუ სიზმრად, სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორას-თუმნიანი პარკი. საღერღელი მეტად აეშალა, სურვილმა მეტად აადუღა, ასე რომ, როცა მოიგონებდა, ერთს ლაზათიანად გაიზმორებდა და ამას იტყოდა მსუნაგსავით ტუჩის ლოკვითა: „კალმით ნახატი ქალი, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო და იქნება მეტიცო... ჰა! რას იტყვი, ლუარსაბ, ურიგო არ იქნება, განა? ამაზედ არის ნათქვამი: „ბედი მომეცი და სანეხვეზედ გადამაგდეო!“

VII

თუმცა სუტ-კნეინამ თავისი ანგარიშების გამო საქმე ცოტად გააგრძელა, მაგრამ მალე უნდა გათავებულიყო, რადგანაც ორივეს მხრივ ნების დართვა იყო. სუტ-კნეინის ანგარიშების გარდა, ერთი სხვა ხიფათიც მოსდევდა ამ საქმეს: ქალი — პირველი, რომ ოცის წლისა იყო და ამბობდნენ, ოც-და-ერთისაცაო: ეგ არაფერი, ამაში შეიძლებოდა კიდევ ხერხიანათ მოეტყუებინათ, ცხენი ხომ არ იყო — კბილებზედ შეეტყოთ, მაგრამ ჭირი ის იყო, რომ მეტად მახინჯი გახლდათ. აბა, აქ როგორ მოატყუებ? თვალებს ხომ არ აუბამ? მართალია, შეიძლებოდა პირველში სხვა ეჩვენებინათ, მერე, რაკი ჯვარის დასაწერად მოვიდოდა, ძალად გადასწერდნენ

ჯვარსა. მაგრამ სუტ-კნეინას ეშინოდა: მერე ხომ თმით მათრევენო. თმით თრევა კიდევ არაფერი, რომ კარგად გამორჩენა შეიძლებოდეს, ოცი თუმანი აბა რა ფულია! მართალია, ლუარსაბსაც ჩამოართო ბარათი, მაგრამ, რაკი ამისთანა მახეში გააბამდა საწყალსა, მერე როგორღა მივიდოდა ფულის გამოსართმევად? ხომ უზიარებლად დაარჩობდა. ეჩივლა და ბარათი დიანბეგთან წარედგინა, რა გამოვიდოდა? ლუარსაბი გააბათილებინებდა, თუ არა და ნახევარს დიანბეგი წაიღებდა. მაგ ნახევარს ჯანი გავარდეს. ოღონდ საქმე არ გამოაშკარავდეს, — მაშინ რა ეშველებოდა სუტ-კნეინასა? ხომ ციხეში დაიჭერდნენ. „არა, — იფიქრა კნეინამა, — ეს ბარათი კიდევ აქა მჭონდეს: როცა დრო მოვა, შევუთვლი, თუ მომცა, ხომ რა კარგი, თუ არა და ჯანი იმასაც გავარდეს, — ერთის სიტყვით ეს ბარათი ან ჰო არის, ან არა. საჰო-არაოდ საქმე რად გავიხადო. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა: ისევ ისა სჯობია, მოსე გძელაძეს ათიოდ თუმანი ნაღდი — აი ეგ მიყვარს! — მოვამატებინო და გავბედო ლუარსაბის მოტყუება, თორემ იქ ჩივილი, ერთი დავიდარაბა ასტყდება. იქნება საქმეც გამოაშკარავდეს, ამას იქნება კიდევ სხვა საქმეებიც ზედ შემიკეცონ, — ერთი ხათაბალა რამ გამოვა... რადა? არა, ეგ ჩემი საქმე არ არის: მე მიყვარს „ჩისტად“ საქმის დაჭერა.

ეგრე მომართული იყო სუტ-კნეინა, როცა გძელაძიანთ სოფელში შევიდა ამისი ურემი, მითამ და ერთ რალაც ძველ საყდარში ღამის სათევად მოვიდა. მეორე დილას თითონ მოსე გძელაძე მოიჭრა და სუტ-კნეინა თავის სახლში შეიპატიჟა. დაიწყეს ლაპარაკი.

— აბა, ჩემო ღვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო! ქალია თუ ვაჟი? — ჰკითხა მოსე გძელაძემ.

— ვაი, რომ ქალია, — უპასუხა შეწუხებულსავით სუტ-კნეინამ.

— როგორ? არ ირთავს?

— არა.

— მაინც რას ამბობს?

— ქალი არ მოსწონს — ნუ გეწყინებათ კი — მახინჯი არისო.

— ვაი შენს მოსეს! განა უნახავს სადმე?

— არა, არსად არ უნახავს, მაგრამ შეუტყვია.

— თუ არ უნახავს, მაშ კიდევ შეიძლება საქმე დავატრიალოთ.

— აბა, როგორ?

— თუ შენ შემეწევი, ჩემო დაო, და ჩემ პურ-მარილს არ დაიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანთ.

— აბა, გეთაყვა, მე რალა თხოვნა მინდა, ხომ იცი, ჩემს თავს შენი სამსახურისათვის არ დავზოგავ.

— მაშ, თუ ეგრეა, დამაცა.

ადგა მოსე, გავიდა გარეთ და პატარა ხანს შემდეგ შემოიყვანა ერთი მშვენიერი, მოხდენილი ახალგაზრდა გოგო. დააყენა სუტ-კნეინის წინ, ხან აქეთ შემოატრიალა, ხან იქით, მერე უბძანა, რომ გარეთ გავიდეს.

გამოცდილი სუტ-კნეინა მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მოიკატუნა, მითამ და არაფერი იცის. მოსე გძელაძე მოვიდა და მოუჯდა ისევ გვერდით.

— როგორ მოგეწონა? — დაიწყო გძელაძემ.

— ერთი ტურფა რამ არის, — უმანკოებით მიუგო მანკიერმა სუტ-კნეინამ.

— უფრო კარგი იქნება, რომ ჩემი ქალის ტანისამოსით მოვრთოთ.

— რასაკვირველია: ერთი-ორად მოემატება სიკეკლუცე.

— ეხლა შენ რას იტყვი, რომ ნიშნის მომტანს ეს გოგო, ლაშაზად მორთული, ჩემის ქალის მაგიერად ვაჩვენოთ? — ჰკითხა მოსემ და თვალი თვალში გაუყარა, რომ პასუხი იქ ამოეკითხა.

— მერე სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ, იმას რალას უზამ?

— იქამდინ ვინ დააცლის? მესამე დღესვე ჯვარისწერა დავუნიშნოთ. სადღა მოიცლის, რომ ქალის სანახავადაც მოვიდეს?

— მერე ხომ მაინც ჯვარის-საწერად მოვა?

— მერე მე ვიცი. შენ ოღონდ მანამდინ დამეხმარე. მერე ჩემს კისერზედ იყოს. ძალად ჯვარს გადავწერ.

— არა, გეთაყვა, მე მაგ საქმეში ხელი დამიბანია, მე მაგას არა ვიქ, ეხლავ გეუბნები.

— რატომ?

— აბა იმას გაუგია, რომ მახინჯიაო...

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, — გააწყვეტინა სიტყვა მოსემ. — ნიშნის მომტანი რომ ამ გოგოსა ჰნახავს, მივა და ეტყვის: რას მიჰქარავ, იმისთანა ქალი ჩემს თვალებს ჯერ არ უნახავსო. თუნდ ეგ არ იყოს, ერთი ხუთიოდე თუმანი და იმისი ჯანი. ასეთს ავალაპარაკებ, რომ...

— ძმას გამოგზავნის.

— ოორო კარვი. რასაც თავის თვალით ჰნახავს, თუნდ ქრთამი არ იყოს, ის არ უნდა უთხრას? თორემ ფულიც ხომ არა მშურს.

— არა, გეთაყვანე, მე მაგ ცოდვაში არ ჩავდგები. აი, შენი ბეედ მოცემული ხუთი თუმანი, მე კი ხელი დამიბანია.

ამოიღო ორი ოც-და-ხუთ მანეთიანი ასიგნაცია და მისცა მოსეს გამოჭნილმა მოციქულმა.

— მაშ მღალატობ?.. — უთხრა გულის სატკენად მოსემა. — მაშ ჩემი ოჯახის დაღუპვა გინდა? მაშ ჩემი საწყალი ქალი არ გებრალება? ეჰ! მუხანათო წუთის-სოფელო!.. სულ ტყუილი ყოფილა: პურ-მარილიც, პატივის-ცემაც, სიყვარულიც, მეგობრობაც!.. ეჰ, შენი ნებაა!.. ეს კი იცოდე, რომ გულში შხამწასმული ისარი გამიყარე, სპილენძის ტყვია მომარტყი, ურჯულო ლეკსავით ქრისტიანი სული წამწყმინდე.

მოსეს ეგონა, რომ ამ სიტყვებით მოვულბობ გულსაო, ის კი არ იცოდა, სუტ-კნეინა რა კნეინა იყო! სუტ-კნეინა კი იქნებოდა, რომ სიტყვით მოტყუებულიყო!.. სუტ-კნეინას თუმცა გულში ეცინებოდა, მაგრამ სახე შეიჭმუხნა, მითამ სწუხს კიდეც და ვერა უშველია-რაო.

— შენ ნუ მამიკვდები, მოსე, — უთხრა მწუხარეს ხმით კნეინამ, — და იმ შენის სახის ჩემს უბედურს ქმარს პირშავად არ შევეყრები საქიოს. რომ შენის ოჯახის სამსახურისათვის მე თავს არ დავიზოგავდი, მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც.

— რა ვუყოთ, რომ არის? — მიუგო ეხლა კი ცოტად იმედმოცემულმა მოსემ, რადგანაც შეატყო, რომ სუტ-კნ ნა დაყოლებას აპირებს, — რა ვუყოთ რომ არის? განა ჩვენ კი არ ვიცით სამსახურის გადახდა? რა უმადური მე მიპოვე? ოცი თუმანი არ დაგპირდი? ოც-და-ხუთი იყოს, შე დალოცვილო!

— არა, გეთაყვა, ფულზედ ხომ არ არის საქმე: თმით მათრევეხ სიბერის დროს, სულს წავიწყმენდ.

— ოც-და-შვიდი იყოს.

— არა, გეთაყვა, ფული რა სახსენებელია: საქმე დიდი გასაბედავია.

— ხომ ვნახერხება შეიძლება? ოც-და-რვა იყოს.

— არა, შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ თავს ვინ გამოიმეტებს?

— ოც-და-ცხრა იყოს, — უმატებს ნელ-ნელად მოსე და ყოველ მომატებაზედ ჰხედავს, რომ სუტ-კნეინა რბილდება.

— ძალიან თავის გამომეტება კი უნდა, თორემ შეძლებით რა არ შეიძლება.

სუტ-კნეინამ, ხელოვანმა სუტ-კნეინამ, ძალიან ცბიერობითა სთქვა ეს უკანასკნელი სიტყვა, თითქო მოსე რომ ფულს უმატებს, იმას ყურსაც არ ათხოვებსო, და მარტო იმასა ჰფიქრობს: შეიძლება, თუ არაო. დიდი ხანია იცის სუტ-კნეინამა რომ შეიძლება, მაგრამ კარგა მსუქანი ლუკმის ამოვლება უყვარდა, რაკი ქვაბში ხელს ჩაჰყოფდა ხოლმე. მოსეს რომ არ დაესწრო, თითონ სუტ-კნეინა ეტყოდა მაგას, ესე მოვიქცეთო. კალმით ნახატიაო — უთხრა და ამისთანა მახინჯს ხომ არ დაანახვებდა? სწორედ მაგისათვისაც მოვიდა, რომ მოსესთან არჩიოს, ისე კი, რომ ფულიც მეტი გამორჩეს. რაკი მოსემ დაასწრო, გამორჩენის საქმე ნახევრად გარიგდა, სუტ-კნეინას კიდეც გაუხარდა, ეხლა მე უარზედ უნდა დავდგეო, სთქვა გულში, და თუ გამორჩენაა, აქ გამოვრჩებიო.

— ოცდაათი იყოს, — დაუმატა კიდევ სწორ გზაზედ დამდგარმა მოსემ, — მეტი კი აღარ შემიძლიან.

— რატომ? — დაიწყო ისევ თავისებურად კნეინამ, რაკი ოც-და-ათამდინ აიყვანა. — რატომ? შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ ნიშნობაში მეც უნდა ვიყო. რომ თუ მოხერხდეს, კარგად მოხერხდეს. ეს არის ჭირი. რომ ამ კაბით ხომ ვერ მოვალ?

— კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს. — დაასწრო გახარებულმა მოსემ, რაკი ჰნახა, რომ სრულიად დაიყოლია, — კაბა ჩემს კისერზედ იყოს.

— მაშ, ყური მაოხოვე, რას გეტყვი: მე იმას ნიშანის მოსატანად ძმას გამოვაგზავნინებ. შენ გოგო ლამაზად მორთე — ეცადე არავინ გაგცეს, — სამ დღეს უკან კი უთუოდ ქორწილი უნდა მოახდინო. მოიგონე რანე, რომ ყმაწვილმა ქალის ნახვა არ მოასწროს. მერე ხომ შენ იცი, ჩემი საქმე მაშინ გათავებული იქნება.

— ნიშნობის ღამეს ფულს სრულად ჩაგაბარებ, ეხლა თუ გინდა, ეს ხუთი თუმანი ბე ისევ წაიღე.

— არა, ათი თუმანი მიბოძე, რა ვიცი, იქნება როგორ დამჭირდეს, აქ ხომ ვერ გამოვიქცევი.

— შვიდ-თუმან-ნახევარი იყოს ჯერ.

— ათი მიბოძე ისევ შენის საქმისთვის მინდა. შენს საქმეს მოვახმარებ, თუ გამიჭირდა. ჩემთვის ხომ არა გთხოვ.

— რა? ეს ათი თუმანი იმ ოც-და-ათ თუმნის ანგარიშში არ გინდა წაიღო თუ?

სუტ-კნეინამ გაიცინა.

— მაშ, ჭა?

— ჰო, ეგრე სთქვი. მე მეგონა. მართლა, ეს ცალკე გინდა, რომ ჩემს საქმეს მოახმარო.

— არა, გეთაყვანე, იმის ანგარიშში მიმაქვს. საკაბე კი მალე მიბოძე, რომ შეკერვა მოვასწრო.

— აი, ათს თუმანს მოგართმევ, იქიდამ შეიკერე და მერე გავსწორდებით.

სუტ-კნეინა დაჰყაბულდა, მაგრამ მოსტყუვდა კი.

რაღა გავაგრძელო. მოსემა და კნეინამ ესე დააწყეს საქმე და სწორედ ეგრეთაც ბოლო მოუღეს. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა და კარგადაც გააბეს.

ორი კვირა რომ გავიდა, აღტაცებულმა ლუარსაბმა, აქაო და საქმე გარიგდაო, კარგის ნიშანით თავისი უფროსი ძმა დავითი გამოისტუმრა. დიდის ყოფით მიიღეს დავითი. ხალხი მოსემ არ მოიწვივა, სრულიად არავინ, რომ ეშმაკობა არ შეუტყონ, ლუარსაბსაც მისწერა — ნურავის შეატყობინებო. აი, ის წიგნი ნამდვილი, თავის ღირსებით და შეცდომებით:

„ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო:.

„თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღსავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისევ გაზაფხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ჭეფი რომელიცა მე აწ აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შეაწუხებენ ქორწილში რომელიცა თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიაღ დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი

ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევყაროთ ისე როგორათაც შეჰფერის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა...

„სხვებრ ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი თქვენი სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანის ძე გძელა-ძე“.

რასაკვირველია, თავაზიანი ლუარსაბი ამ წიგნის შემდეგ აღარ გაგზავნიდა ბევრს ხალხსა. მარტო ერთი დავითი და ერთი კიდევ ვი-ღაცა გამოისტუმრა, რომ ახალი სიმამრი, რადგანაც ავად არის, არ შეაწუხონ. დავითს კი დააბარა, რომ ფულზედ კარგად მოილაპარა-კოს, როდის ჩააბარებენ, და მერე ქალი კარგად გასინჯოს.

დიდის პატივით მიიღო მოსემ დავითი. ქალის მაგივრად ის მშვე-ნიერი გოგო მორთეს და დავითს ისე აჩვენეს. დავითი გაგიჟდა, რომ დაინახა და გულში არ იყო, რომ შურმაც არ გაუარა, ნამეტნავად თავისი მჭლე ცოლი რომ მოაგონდა ამასთან. ვახშამზედ რომ ისხ-დნენ, მარტო ოთხნი იყვნენ — დავითი და ამასთან მოყოლილი ის ვი-ღაცა, თითონ მოსე და ამისი მოზრდილი შვილი. კნეინაც თუმცა მოსესთან იყო, მაგრამ ქალთან ივახშმა. მოსემ ბოდიში მოიხადა, რომ ხალხი არ დაუპატიჟა ამისთანა ბრწყინვალე გვარიშვილებსა.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, — უთხრა დავითს მოსემა, — ჩემო ახალო მოყვარევ! ავადა ვარ, თასლიბს ვერ გავუწევდი. სიძუნწეში არ ჩამომართო, შენი ჭირიმე! აბა, ჯერ ისე ავადმყოფი რა არის, მერე მასპინძელი რა უნდა იყოს. თორემ იმდენი სიკეთე ღმერთმა შენ მოგცეს. რამდენი ნათესაობა და მახლობლობა მე მყვანდეს. მაგრამ ჩემი მაყურებლები რა ქეიფს გასწევდნენ. ისევ ის ვამჯობი-ნე, — ნუ დავპატიჟებ-მეთქი. ამ ნიშნობამ ისე შინაურულად ჩაია-როს, ქორწილი კი ჩემ კისერზედ იყოს. — ქორწილისა რა ბძანა ჩემმა სიძემა?

— რაც ჩქარა იქნება, ისა სჯობიაო, — უპასუხა დავითმა, — პირ-ფერობაში კი ნუ ჩამომართმევთ და ეს ქალი რომ ჰნახოს იმან, იმ წამშივე ჯვარს დაიწერს, თავი არ მომიკვდება!

— მზეთუნახავი ყოფილა, — დაუმატა სტუმარმაც.

— რა ვქნა? მადლობა ღმერთსა, ღმერთმა ეგ მომცა. ყველაფე-რი ღვთის ნებაზედ ჰკიდია, — თქვა მოსემა. — მიხარიან, თქვენმა მზემ, რომ ქალი მოგეწონათ.

— ღმერთმა აცოცხლოს პატარძალი! — წამოავლო ჯამს ხელი დავითმა. — ღმერთმა ტკბილად შეაბეროსთ ერთმანეთს!

— მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმეთ! — დაუკრა ყველას თაყვი მოსემა, — მაშ რაც მალე იქნება, ისა სჯობია.

— იმან ისე მოგახსენათ, — უპასუხა დავითმა, — მეც, სწორედ მოგახსენოთ, მაგას ვურჩევ ჩემს ძმასა. რაღა გავაგრძელოთ საქმე.

— ჩემის ფიქრითაც ეგრე სჯობია, — სთქვა მოსემა, — ქალი აქა ჰდნება — მამისაგან კი არ უნდა ითქვას ესა, მაგრამ შორეული ხომ არა ხართ, თქვენთან რა დავმალო, — ქალი აქა ჰდნება...

— ის კიდევ იქ, თქვენმა სიცოცხლემ! — წაართო სიტყვა დავითმა.

— მაშ, როცა მიბძანებთ, მაშინ იყოს ქორწილი, — სთხოვა მოსემა.

ერთის სიტყვით, გადაწყვიტეს, რომ სამშაბათს საღამოზედ სიძე უნდა მოვიდეს და იმ ღამესვე ჯვარი უნდა დაიწეროს. მეორე დღეს დავითმა ფულზედ ჩამოუგდო ლაპარაკი. მოსემ დააჯერა, რომ ქორწილის მეორე დღეს ორასს თუმანს სულ ბაჯაღლო ოქროებს თავის ხელით მიართმევს. ხელი-ხელს დაჰკრეს, დავითი — მეორე დღეს პატარძალი აღარ აჩვენეს — შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა. როცა მოსემ ცხენზედ შესო და გამოისტუმრა დავითი, როცა მარტო დარჩა, ხელები დაიფშვნიტა მეტის სიხარულისაგან და სთქვა ღიმილით: ყოჩაღად წავიყვანე საქმე. ეხლა ჩემი წუხილი მარტო ის არის, რომ სუტ-კნეინას ხრიკი მოვუგდო, ერთი მიზეზი რამ მოვუგონო, რომ ფული აღარ მივცე იმაზედ მეტი, რაც მიმიცია, თორემ, იმისაგან რომ მოვტყუვდე, სირცხვილია.

ამ ფიქრში იყო, რომ სუტ-კნეინა — მოსეს ცოლი არა ჰყვანდა და ჯალაბობას კნეინა ჰთამაშობდა — რომ სუტ-კნეინა წინ მოეგება გახარებული.

— ჰა, რა-რიგად მოვიდა საქმე! — უთხრა სუტ-კნეინამა, — მომილოცავს შვილის ბედნიერება. დიდი ჯაფა კი გავწიე. სულ ვიწურებოდი — შენზედ მიწა არ მენახოს — სულ ვიწურებოდი, რომ ან ახი ეხლა შეიტყობენ-მეთქი, ან ეხლა — და დავიღუპები, მაგრამ მიშველა ღმერთმა და ვერ შეიტყეს.

— ეჰ, შე დალოცვილო! — უპასუხა მოსემ, — იწურებოდი, ასე

გგონია, პირველად ჩაგედინოს ამისთანა საქმე. იწურებოდა!.. თქვენი ხელობა მეტი რა არის? იწურებოდა!..

სუტ-კნეინა შეკრთა.

— არა, ჰხუმრობ თუ მართლა მეუბნები? — ჰკითხა შემკრთალმა სუტ-კნეინამ.

— მაშ არა და გეხუმრები!

— ეხლა განა?

— ეხლაც და მაშინაც.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ ეგრეა, მე კი გამისტუმრე და მერე შენ იცი.

— სადაც გინდა წაბძანდი, ხელს ვინ გიჭერს.

— რასაკვირველია, ხელს არავინ დამიჭერს, მაგრამ დაპირებული მიბოძე და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, რაც გინდა ილაპარაკე ჩემზედ: გული არ მეტკინება.

— დაპირებულიო!.. რაც მოგეცი, იმასაც ვნანობ და გგონია კიდევ მოგცე რამე!

— ეხლა ეგ ნამუსია? მოხუცებული დედაკაცი ფოშტის ცხენსავით მათრიე, ქვეყანაში თავი შევირცხვინე, საქმე საქმეზედ მოვიყვანე და ეხლა მაგას მეუბნები?! ნამუსია?

— დაჩუმდი, თორემ...

— არა, ნამუსია?.. შენა გკითხავ, ნამუსია?

— ის კი ნამუსია, რომ აგიღია ფეხი, სოფლიდან სოფლად დადიხარ და მაჭანკლობ, ნამუსია? შარშან რომ ათ თუმნად შენი დისწული, გასათხოვარი ქალი, დიანბეგს მიჰგვარე, ნამუსია? როცა დაორსულდა, შენ რომ წამალი მიეცი და მუცელი წაუხდინე, ნამუსია?...

სუტ-კნეინას გული ყელში მოებჯინა, თავისი სიფრთხილე, გამოცდილობა ამგვარებში და გულის სიგრილე დაჰკარგა.

— მაშ, თუ ავრეა, — დაიყვირა გაკაპასებულმა სუტ-კნეინამ. — შენი ფეხი დამკარ თავში, შენი ფეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიხლართო!

— შენი ლეჩაქი დამხურე თავზედ — ამ მუქარაზედ მშვიდობიანად უპასუხა მოსემ, — შენი ლეჩაქი, თუ ეხლავ გომურში არ დაგამწყვდიო, მინამ ჭორწილი არ გათაედება. რას მიზამ: მიჩივლებ თუ? არა მგონია, შენი თავი სადიანბეგოდ გახადო; ცოდვა ბევრი გაწევს კისერზედ, სულ ერთი-ერთმანეთს ზედ მიეკეცება და მაშინ

ციმბირშიაც ალაგი არ გექნება, შე ტყუილ-კნეინავ, შენა! ეს ის დიანბეგი კი არ არის, რომელსაც გოგოს გაურიგებდი ხოლმე და ბურთაოსავით ხელში ათამაშებდი! ის დრო წავიდა.

ვერც ამ სიტყვებმა მოიყვანეს თავის გონზედ გამწარებული სუტ-კნეინა. ის ისევ-ისე სიმწარისაგან გონებამიხდილი იყო, თორემ გაჯავრების და მუქარის მაგიერ ისეთნაირად მოიკატუნებდა თავს, ისეთნაირად მოუკვდებოდა ხელში, რომ ყველაფერს გააჭარწყლებდა. ეხლა კი ჯავრისაგან, როგორცა ვთქვი, გონება დაბნეული ჰქონდა, იმიტომაც მაინც კიდევ შეჰყვირა:

— დამამწყვდევ!.. უი, მეხი კი დაგეცა მაგ უხეირო თავზედ! დამამწყვდევ რა. შენი მოახლე გოგო ვარ, ან შენი გომბიო ქალი!...

— რაო? აი, თუ გოგოზედაც უარესი არა ხარ. მე ეხლავ გაჩვენებ, როგორც გაგისტუმრებ გომურში, — უთხრა ხუმრობაგაშვებით მოსემა. — შენ რომ ჩამოგარჩო კიდეც, ხმას არავინ გამცემს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, მერე რომ არა დამაბრალო-რა. ეხლავ მიჩვენე, ჯიბეში რა გაქვს.

მივარდა სუტ-კნეინას ჩვენი მართალი კნიაზი. სუტ-კნეინა ჯერ გაუძალიანდა, ბოლოს კი — ღვთის წყალობა გქონდეთ — იკადრა ერთის ლურჯის ხელსახოცის ამოღება, რომელშიაც რაღაცები ეხვია. სუტ-კნეინა გაფითრდა და პირი გაუშრა. ველარა უთხრა-რა. მოსემ გაშალა ხელსახოცი და თავისი ათი თუმანი იქ გამოკრული ისევ ხელუხლებლად ჰნახა, მაშინვე ჯიბეში იკრა. ერთი რაღაც ქაღალდიც მოჰხვდა ხელში. გაშალა, თამასუქი იყო, ის თამასუქი, რომელიც სუტ-კნეინამ ლუარსაბს დასტყუვა. მინამ მოსე ამ საქმეში იყო გართული, სუტ-კნეინას თავისი ხერხი, ეშმაკობა, გამოცდილება დაუბრუნდა. იფიქრა სუტ-კნეინამა: „ამ ყვირილს და მუქარას თავი უნდა დავანებო, თორემ დამწყვდევას გამიმართლებს. თუნდ დამამწყვდიოს, არაფერი, ხუთი-ექვსი დღე სიზმარსავით გაირბენს: შინ მივწერ, რომ მზითევს ვუმზადებ-მეთქი და ქორწილამდინ ველარ გადმოვალ. ვინ რას შეიტყობს, ოღონდ ეგ ათი თუმანი მაინც დავიბრუნო! ეგ მაინც არ დამეკარგოს!..“ ამ ფიქრებმა თვალის დახამხამების უმალ გაურბინეს გონებაში სუტს, მაგრამ კი მოხერხებულს კნეინასა.

— ეს ვინ მოგცა შენ? — ჰკითხა მოსემ და აჩვენა თამასუქი. სუტ-კნეინას მზად ჰქონდა პასუხი.

— ეხლა, შენ არ დაიჯერებ, რასაკვირველია, რომ ეგ თამასუქი თუ ჩამოვართვი, ისევ შენის საქმისათვის ჩამოვართვი. თუ ვიხიცობაა, რომ მოვატყუეთ, ქალი ის არ ვაჩვენეთ — ეს შეეტყო და უარ-ზედ დამდგარიყო, ამ თამასუქს ვაჩვენებდით და ვეტყოდით: დაიწერე, თორემ დიანბეგს წარვუდგენთ და სულ ნაღდს დაგათვლევინებთ. აი, რისთვის გამოვართვი, შენ ხომ არ დაიჯერებ. გაჯავრებული ხარ. მაგრამ მე კი გული ძალიან შემტკივა შენთვისა.

— თუ ევრეა, რატომ აქამდინ არ მაჩვენე?

— რომ ვაჩვენო-მეთქი, ვიფიქრე, ვაითუ ამის იმედით საქმეზედ მუყაითობა იმისთანა აღარ გასწიოს-მეთქი. რა ვიცი? ხორცელები ვართ.

— ეხლა მაგითი გინდა მომატყუვო განა?

— აკი გითხარ: არ დაიჯერებ-მეთქი. კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ესტიბარი წაუხდება, აღარ დაუჯერებენ. მეც ისე მომდის. შენა გგონია, გატყუებ? თუნდ ეგ ბარათი შენ მიირთვი, ორას თუმანში გაუბარე და მე ეგ ათი თუმანიც მეყოფა, ჩემო კარგო!

— შენ მაგითი მე ვერ მომატყუებ. ეს ბარათიც მე დამრჩება. ეს ათი თუმანიცა და შენ კი გომურის მაგიერად ხულაში დაგამწყვდევ, რომ ჯვარის-წერამდინ არ გამცე. მერე რაც გინდა, ჰქენი. — ბიჭო! — დაიყვირა მოსემ.

ბიჭი მოვიდა.

— ეს ტყუილი კნეინა წააბძანე ხულაში, ხალიჩაც მიართვი, მუთაქაც, ქვეშსაგებიც, პური და ღვინო არ მოაკლოთ. ეს კი უნდა ჰქნა, რომ გარედამ კლიტით უნდა გადაკეტო და გასაღები აქ მომართო. თუ ეს ამბავი შეუტყვია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი!

ბიჭი არ გაინძრა, ჯერ ტყუილი ეგონა.

— არ გეყურება შე... შვილო! — დაუჭყივლა მოსემ.

ეხლა კი იკადრა ბძანების დაჯერება. მივიდა, წაავლო ხელი და გამოსწია საწყალ სუტ-კნეინასა, რომელიც ეხლა კი ისე მაიკუნტა, ისე მაიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა, მაგრამ მაინც კი იმედი არ დაჰკარგა, რომ გააჭარწყლებს ამ ამბავსა და მშვიდობით გადარჩება. კიდევ სიტყვა მოახერხა ეშმაკურად და უთხრა მოსესა ისე, ვითომ აქ არაფერი ამბავია:

— უი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ტყუილი გაჯავრება რა-რიგად გიხდება! ამ სულელ ბიჭმაც დაიჯერა, ასე ჰგონია, — მართლა

უბძანე. გლეხ-კაცია, ვერ მიხვდა, ნუ გაუწყრები, შენ გენაცვალოს ნემი თავი!

ამისთანა ოსტატობამ კინაღამ მოსე არ გააცინა. ბიჭიც გაშტერებული შედგა. ბევრი კიდევ სხვა იოსტატა სუტ-კნეინამა, მაგრამ ვერაფერმა ვეღარ უშველა: ხულაში დაამწყვდიეს, შინ კი წიგნი მისწერა — ჯერ კი მოსემ გადაიკითხა — რომ აქ მზითევს და საკერავებს გუმზადებო და ოთხშაბათამდინ ნუ მომელოდებითო. ეს მისწერა, შევიდა ხულაში, დაჯდა ხალიჩაზედ და დაიწყო ტარის რთვა, რომელსაც, საცა წავიდოდა, თან წაიღებდა ხოლმე. ეს იყო, მითამ და აქ არაფერია.

VIII

როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო. ამისი ცოლი, ელისაბედი, და ლუარსაბი ეზოში ღობის ჩრდილში ისხდნენ. თვალი შეასწრო თუ არა, ლუარსაბი წამოხტა, მიეგება ძმას, ვერაფერი კი ვერა ჰკითხა, იმიტომ რომ რცხვენოდა. დავითი ცხენიდამ გადმოხტა, გაისწორა მოშვებული ჩაღსაკრავი, მოვიდა, ცოლს არც კი მიემშვიდობა და წამოწვა ხალიჩაზედ.

— როგორ მოგეწონა სასძლო? — ჰკითხა ცოლმა. ლუარსაბმა ყურები აიცქვიტა.

— მზეთუნახავს რომ იტყვიან, ის არის, — მიუგო დავითმა, — მე იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავს.

ლუარსაბს გაუხარდა, ელისაბედს ეწყინა: ჩემზედ უკეთესი იქნებაო.

— მართლა, გეთაყვანე? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— შენ ნუ მომიკვდები, იმისთანა ქალის მნახველი არა ვარ. ამის მერე ცოლს შეჰხედა და შურით დაუმატა: — მე რომ პატარა კიდევ მომეცადნა, სხვა რიგად წავიდოდა ჩემი საქმე.

— რა? შენ შეირთავდი თუ? — წააყვედრა გულღვარძლიანმა ცოლმა, — უი შენს თვალებს! შენთვის მეც არ ვემეტებოდი ჩემს ბედსა. მამა-ჩემი განა რომ უარზედ იდგა, შენისთანები მთხოულობდნენ!

— უარზედ იდგა, მე ვიცი, რუსთ ხელმწიფის შვილს მიგცემდა. იმისიც მადლობელი იყავ, რომ მე გავბრიყვდი.

ესე სიტყვა-სიტყვაზედ შეჰყვნენ და ერთი კაი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდათ, ასე რომ მოგეწონებოდათ. ელისაბედს იმ დღითვე შურით აევსო გული და შეიძულა ჯერ თვალით არ-ნახული რძალი.

„მალე ჩემი მტერი დაჭკნეს, მალე მე ის დავაჭკნო, — ამბობდა გულში ელისაბედი, — ამ სახლში ჩემზედ უკეთესი და ჩემზედ უფროსი არავინ არ უნდა იყოს. ჩემი ქმარი უნდა მაყვედრიდეს იმის სილამაზეს?! უი, უწინამც დღე გაჰქრობია. ასეთ ეკალს გავუყრი თვალში, რომ დღენი ვაწყევლინო!“

ელისაბედი ქორწილში არ წავიდა.

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყავდა, სწორედ სამშაბათს დღეს. იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგანზრახვოდ არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით. ახლა კი მართალი ქალი გაისტუმრეს საყდარში. როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას — დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

— დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა. საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

— მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

— კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, — მიუგო მღვდელმა.

— პატარძალი სად არის?

— აი, ესა ბძანდება.

— ლუარსაბ! — დაუძახა ძმას დავითმა. — მოგვატყუეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწეროო.

მთელი ხალხი გაოცდა. ლუარსაბი დაღონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდგან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს, უნდა წამოსულიყვნენ. ცხენები დაემალათ. შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

— კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? — უთხრა გაჯავრებულსავით

მოსემ. — ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ, აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახის-შვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

— აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, — მიუგო თავგამოდებით დავითმა.

— ეხლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დავასხმევინებ! ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ვეღარ წახვალთ! გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საყდარში შეიყვანოს და ჯვარი აღარ დაიწეროს!..

— ის კი გაგონილა, რომ პატარძალი შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის.

— ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ვეღარა მოუგონიათ-რა, იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, — დაუძახა ხალხს მოსემა.

— მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის! — გაიხმაურა მოსეს ხალხმა, — ჩვენ ფიცს მოგცემთ.

— არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენა ვართ ლაჩრები, — წარმოსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა.

ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ, ჰნახეს რომ ამათი ალაგი არ არის. პატარძალი კი და ორი ვიღაც ბებერი მოსემ საყდრიდამ არ გამოაყვანინა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მოახდენდა ჯვარის-წერას.

— მაშ მოსე თავადიშვილი აღარ ყოფილა, — წამოიძახა მოსემ, — თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ; ჩემის ცოცხალის თავით არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

— არ დაიწერს.

— უკანასკნელი სიტყვაა?

— უკანასკნელია.

— დავით! — უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოუბრიალა. — აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

— ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

— ხუთ თუმანზედ ძმა როგორ გავყიდო? — უპასუხა.

— შვიდი იყოს.

— ან შვიდად.

— რვა იყოს!

— ვერც რვა თუმნად.

— მაშ რამდენი გინდა?

— ათი მაინც იყოს.

— ცხრაზე რას იტყვი?

— არა, ათი.

— ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს.

ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო.

— მე კი დავჩუმდები და ჩემის ძმისა შენ იცი, — უთხრა ღიმილით დავითმა.

— ოღონდ შენ დაჩუმდი და ორიოდე კაცი თქვენი მაყრიონიდამაც დაიყოლიე და ლუარსაბს მე მოვუხერხებ.

— ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძლევ.

— მაშ, ხელი დაჰკარ.

დაჰკრეს ხელი ხელსა და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა. მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი მისცა, იმის მაგიერ ის თამასუქი დაუბრუნა, სუტ-კნეინას რომ წაართო. ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი, მინამ არ გამისწორდებაო. ბოლოს ესეც, რომ ვერა გახდა-რა, გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი.

ელისაბედი სიხარულით აღარ იყო, რომ ლუარსაბმა მზეთუნახავის მაგიერ გონჯი ცოლი მოიყვანა. „ჰი, ვენაცვალე ღმერთსა! — იტყოდა ხოლმე ქმარს ელისაბედი. — ჰი, ვენაცვალე! ჯერ ჩემზედ უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის ნიშნი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!“ ბოლოს ხომ, როგორც მოგეხსენებათ, ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ.

ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაიწერა ჯვარი. თუმცა ძალადობით მოხდა ესა, თუმცა მზითევშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ — შუბლზედ ეგ მეწერაო — იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერასა. ბოლოს ხომ, — შენც იცი, მკითხველო, რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამათ კი ისე ეგონათ, რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არ ვიცი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“, — ნათქვამია. ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად? კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისათვის დაიწყებს ბრძოლასა, — და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ; კმაყოფილება კიდევ — ვიღაცამა სთქვა — ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მამაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი. მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა, „მჯობს მჯობი არ დაელევაო“, — ნათქვამია.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ „მჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დაჲა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა, მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულშია: შვილი არა ჰყვანდათ. აი, ლუარსაბი, ორმოცის წლისა და დარეჯანი ორმოც-და-ერთისა შესრულდა, რომ ღმერთმა შემკვიდრე არ უბოძათ. ბევრჯერ გადაფურცლა კნეინამ კარაბადინი, ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დაალევინა, მაგრამ ვერა ეშველათ-რა. „ტყუილად თავს რად იხეთქენ, — ამბობდა

ხოლმე ამათზედ ღვარძლიანი ელისაბედი, — ტყუილად რად იხეთქენ? სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩააბულბულებდა ხოლმე და კუდიანობდა — ეგ იმან ჩასცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა".

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი იმედს არა ჰკარგავდნენ. შეიტყეს, რომ ქალაქში ერთი მკითხავია, ის შეიტყობს უშვილობის მიზეზსაო. თუმცა შვილოსნობის დრო გადასვლოდათ, მაგრამ მაინც კიდევ ქალაქისაკენ კაცი აფრინეს, თან გაატანეს ერთი კარგი ბაღდადი, რომელზედაც — როგორც მოგეხსენებათ — უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თითონ ვერ მივა, და რომელიც, რასაკვირველია, მკითხავს დარჩება ხოლმე. სამს დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ, რომა „თქვენზედ ხატია გამწყრალიო. მერე რომელი ხატი? თელეთისაო, ასე სთქვა მკითხავმაო". ეს რომ გაიგეს ცოლ-ქმართ, ერთ დროს და ერთხმად პირჯვრის-წერით წამოიძახეს:

— საიდამ სად მოგვიკითხა! დიდება სახელსა უფლისასა, — სთქვეს და ისევ პირჯვარი გადიწერეს.

— დალახვრა ღმერთმა! საიდამ სად მოგვიკითხა! — ისევ გაიმეორა ლუარსაბმა.

— ხატზე „დალახვრას" როგორ ამბობ?

— ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ! — რამდენჯერმე პირჯვარი გადაიწერა სხაპა-სხუპით. — აი, დალახვრა ღმერთმა, დაჩვეული რომ ვარ, ისე თავის-თავად ითქმის ხოლმე, ღმერთო, ნუ მიწყენ!

— ახლა რას იტყვი, ლუარსაბ, წავიდეთ?

— შორს რომ არის?

— რა ვუყოთ? ალბათ ნება ღვთისა ეგ არის.

— მოდი, აქვე ნეკრესის ღვთისმშობელი ვილოცოთ.

— თელეთის ხატს ეწყინება: — მე დავიბარეო, აქ კი არ მოვიდნენო და იქ წავიდნენო, იტყვის.

— მართალია, ეწყინება, გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მამივიდოდა და ის ხომ ხატი ბძანდება, ვენაცვალე იმის მადლს! უფრო გული არ უნდა მოუვიდეს?!

— ეგ არის და.

— მაშ, რა ექნათ?

— უნდა წავიდეთ.

— შორს კი არის, თუ შენც იტყვი.

— ეხლა თუ მივდივართ, ნუღარ ამადლებ, გეიწყენს.

— მართლა, მართლა! ნუ მიწყენ, აგრემც დიდება შენსა სახელსა, ხატო თელეთისაო! გიახლები, გიახლები და თაყვანს ვსცემ სახელსა შენსა.

დაიჯერეს მკითხავის სიტყვა: თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააფარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ახსენეს ღმერთი და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას შეუდგნენ ქალაქის შარა-გზასა. ურემში ისხდნენ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისეული. ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაყ ცხენზედ მჯდომი ნელ-ნელა ეედევნენ უკან ფეხმძიმე ურემსა. მეომარის თვალადობა ჰქონდა ამ-ჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედ. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან წელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში. წვივებზედ პტყელი ჩაღსაკრავი, გრძელფოჩებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი — კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი — რადგანაცა ცხელოდა, — ერთის სიტყვით, ხმლის პირი ზედ-წამოცმულ ვაშლით რომ ამოღებული სჭეროდა, თავიდამ ფეხამდინ ორშაბათის ყეინი იქნებოდა.

ამ ყოფით ავიდნენ თელეთში მეხუთე დღეს, ილოცეს და მეორე დღესვე დაბრუნდნენ. ქალაქს რომ ჩამოუარეს და შეუდგნენ კახეთის გზასა, კნეინა დარეჯანმა შეაქცია ზურგი კოფასა, წამოიჩოჩა და გამოჰხედა ქალაქსა. ლუარსაბს ურემში ეძინა. ისიც გააღვიძა.

— ლუარსაბ, ერთი შეხედე, რა ამბავია. ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა, ღმერთო! სულ ქვიტკირის შენობა უნდა იყოს.

კნეინას ქალაქი ჯერ არ ენახა.

— მაშ არა და წნული იქნება.

— ერთი შეხედე და, რამდენი საყდრებია!..

— ვიცი. განა არა ვყოფილვარ?

— პირველად რომ ჩაგიყვანეს, კენჭები არ ჩაგაყლაპეს? *

— როგორ არა! სამი ასეთი კენჭი ჩავყლაპე, რომ ძლივს მოვინელე.

— აღარ დაგცადა ქალაქმა?

— არა, რაღას დამცდიდა, რომ კენჭჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა.

— ეგ ხომ აგრეა. კაი სანახავი კი უნდა იყოს!

— კარგი როგორ არ არის, მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწალებს: თათარი, ყიზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რაღა, ბუზსავით ირევიან.

— მართალია, რომ აქ კაცს თავს მოსჭრიანო და მერე ისევ გააცოცხლებენო?

— მართალია, მაშ? ეგ კიდევ რა! რაღაც მოუგონიათო, ფიცრებს თავის-თავად ხერხავსო.

— ახლა ეგა სთქვი.

— თავი არ მამიკვდება.

— როგორ? ისე თავის-თავად?

— თავის-თავად.

— არც კაცია, არც ადამიანი?

— არა.

— მაშ, ხერხი ვის უჭირავს?

— ეშმაკს და ქაჯს. ღმერთმა ნუ იცის რუსების თავი!

— რუსების მოგონილია განა ეგა?

— მაშ არა და შენის მაზლის დავითისაა!

— დიდება შენდა, ღმერთო! თვალთმაქცობას რომ ჰთამაშობენ, ისიც გინახავს?

— აბა რომელი?

— აი, გაჭენებულ ცხენზედ რომ კაცი დადგება, იმ კაცზე კიდევ კაცი. იმაზედ კიდევ კაცი და კიდევა და კიდევა.

— ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზედ ჩემს პატარა ბიჭობაში!.. — დაიკვეხა ლუარსაბმა.

— აი, შენმა მზემ! შენ კი იქნებოდი, რომ დამდგარიყავ.

---

* ჩვენში ბევრსა სწამს, რომ, თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩაჰყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთს დროს.

— ღმერთმა იცის! ახლა ჯანი აღარ მამდევს და სიმარდე, თორემ ეხლავ გიჩვენებდი.

— ნუ იკვეხ, ხომ ვიცი, ჩემო კარგო, რაცა ხარ.

— განა კვეხნისთვის ვამბობ? მე იმისთვის ვთქვი, რომ ეგ რა თვალთმაქცობაა-მეთქი. მაგაზე უფრო ბევრი ასეთია, რომ...

— მაინც?

— რა ვიცი, რამდენი რამ არის.

— თქვი რაღა, მეც ვიცოდე.

— ბევრია.

— მაინც?

— რა ვიცი, რამდენი რაღაცაებია...

— მაინც?

— ეჰ, ვინ მოსთვლის? ბევრია, ნეტავი შენ! რარიგად ჩამოცხა! უჰ!

რომ არ იცოდა, რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა, სიტყვა გადაასხვაფერა, მოიხადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და საჰიდან იმითი ჩამოიწმინდა ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინვა ამოუშვა, მერე ასეთი, რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა.

X

მეხუთე დღეს შინ მშვიდობით მოვიდნენ ჩვენი ბედნიერი ცოლქმარნი, თან მოჰყვათ, რასაკვირველია, იმედი, რომ შვილი გაუჩნდებათ. მაგრამ გავიდა სამი თვე — ყმაწვილმა მუცელში არ გაიჩუჩუნა, გავიდა ექვსი თვე — კაბა არ დაუვიწროვდა დარეჯანსა. გავიდა ცხრა თვეც და დარეჯანს მუცელი არ ასტკივდა. დარეჯანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ამდენი სხვა-და-სხვა ფერის და სხვა-და-სხვა ნაირად შელოცვილი ქვები შეიბა და კაბის უბეზედ დაიკერა, რომ მართლა იმედი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. თუ აქამდინ არ ეყოლა, ის იმიტომ, რომ ლუარსაბმა ხატს დაამუნათა და წააყვედრა — „შორს არისო“. თორემ ეს დამუნათება და წაყვედრება არა ყოფილიყო, ეხლა შვილი ეჯდებოდა დარეჯანს კალთაში. ლუარსაბი ავ გუნებაზედ იყო. ეგ არაფერი, რომ შვილი არ უჩნდებოდა და ხატმა მოატყუვა: დაიბარა და არ მისცა კი შვილი; ამის ჯავრი ის იყო, რომ დავითს, ამის ძმასა,

უთქვამს: „ის ოხერი, როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო“. ესა ჰკლავდა ლუარსაბსა, თორემ შვილის უყოლობა ამისთვის კიდევ დიდი უბედურება არ იყო.

ერთხელ ესე დაღონებული აქეთ ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზედ კიდევ კნეინა დარეჯანი წინდასა ჰქსოვდა. ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო. ხმაგაკმენდილი ჰერს გაუშტერა თვალით და ჰფიქრობდა, იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ მოახერხოს, რომ შვილი გაუჩნდეს. — „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? — ამბობდა თავის-თავად, — შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულებზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო, თორემ ეს ჯაბრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!“

ეს რომა სთქვა თავის-თავად, გადმობრუნდა დარეჯანისაკენ დაღონებული და მწუხარე ხმით უთხრა:

— ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰშობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდა მამკალ, შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე, აი!

— ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრეა! — უპასუხა კნეინამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შვილის შობა. — წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა — ფეხებამდის უმტვერო ქაღალდივით წვერი ჰქონდა — ერთი წამალი დამალევინა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვიე. შენ მაგიერადაც ვემთხვიე.

— მართლა? — წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა. — ისე თვალითა ნახე?

— აი, როგორც შენა გხედავ.

— შენი ჭირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!

— მაშ, ჭა!

— ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! — დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა. — როგორ გითხრა?

— გამრავლდიო, ვითარცა იაკობ.

— იაკობი ვინ იყო?

დარეჯანმა **არ იცოდა,** ვინ იყო. ისე კი გავგო, მგონი — წირვა-ლოცვაზედ იაკობის სახელი, და ვინ იყო, რა იყო, როდის იყო — ძმაბილს არა იცოდა-რა. მაგრამ არ-ცოდნა ითაკილა, ისევ რალაცა მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე.

— ვინ იყო? — იკითხა დარეჯანმა. — წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გგიგია?.. აბრაამის მძახლის განყოფის შვილი იყო.

— ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა იაკობ, მითომ რაო?

— მითომ ისაო, რომ გამრავლდიო, — აუხსნა დარეჯანმა.

— აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ, იქედია!

— კიდევ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ უჯერო! ცოდვაა.

— აღარ ვიქნები, აღარ, ოღონდ შენ შვილი ჰშობე, თუნდა ენასაც მოვიკვნეტ, ოღონდ კი დავითს ნუ გაახარებ.

— ღმერთია მოწყალე! გეუბნები. არ გავახარებ-მეთქი.

— ახ, ნეტავი კი მართლა ჰშობო და!

— კიდევ! ნუ ხარ უჯათი, წმინდა კაცის სიტყვაზედ: როგორ ხარ უჯერო, რა დაგემართა?!

— აი. დალახვრა ღმერთმა! — ჩემ-თავად გულში უნდა მეთქვა — ღმერთმან იცის — და აკი კიდევ წამომცდა. ახ, ნეტ...

— კიდევ!

— ფუი, დალახვრა ღმერთმა! კინაღამ კიდევ არ წამცდა!.. ეხლა, მეტად რომ მინდა, იმიტომ, თორემ... ეჰ, გადავბრუნდები, დავიძინებ თორემ. მე რომ ვიცი ჩემის ენის ამბავი, ერთს კიდევ წამომმაროშვინებს რასმეს და ღმერთი მიწყენს.

— თელეთისა არ იყოს! იმდენი ამუნათე, იმდენი იძახე — შორს არისო, რომ გაგვიწყრა და, აი, დღესაც შვილი არა გვყავს.

— მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გაჯავრდები-მეთქი. რატომ არ მაპატივა! რა ვუყოთ, რომ „შორს არის“-მეთქი ერთხელ წამომცდა? ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

— კარგი, კარგი! რაც იყო, იყო; ეხლა მაინც არ აწყენინო.

— მაშ დავიძინებ.

— შენი ნებაა.

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მ დლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა.

ნეტავი არ დაეძინა. ძილში საშინელი სიზმარი ჰნახა. ჰნახა, რომ დავითი სიხარულით აღარ არის, რომ ამას შვილი არ უჩნ ებ ა; დადის ყველგან და სულ იმას იძახის: ის ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო. სტკივა გული ლუარსაბსა. ჯავრი მოსდის, გული ყელში მოებჯინა. რა ჰქნა? — „ღმერთო! — ამბობს სიზმარში გულნატკენად ლუარსაბი, — რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ? მიბძანე და აკი გიახელ თელეთს სალოცავადა, თორმეტ-აბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი აგინთე. სხვა რა ვქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა გამხადო?!. რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? შარშან, ივანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია, პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, არ აიღებს და არ ემთხვევა, იქნება ფეხიც დაადგას და გასრისოს კიდეცა. უკურთხველ ყურძენსა სჭამს, ფერისცვალობამდის არ მოიცდის ხოლმე, აღდგომა-დღეს მღვდელს არ მოუცდის — რომ სუფრა უკურთხოს, ისე მივარდება ხორცეულს — როგორც დათვი, ამისთანა მსუნაგია. ზიარებით კი ეზიარება ხოლმე. მაგრამ რა გამოვიდა? სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე. აბა, ეს რა ზიარებაა! ეს ყველა იცი — შე დალოცვილო ღმერთო, და მაინც კიდევ იმისაკენა ხარ! დაილოცა შენი სამართალი! ჰო, მართლა, ერთი კიდევ დამავიწყდა: ერთი მწევარი ჰყავს, თავის თეფშში აჭმევს ხოლმე. ქრისტიანი კაცი კია! მე ხომ ამისთანას არაფერსა ვცოდავ, რად მიწყრები? მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე *, ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, გუგული, კვიცი, რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია. მე კი — ღმერთო, ხომ შენ

---

* არის ამისთანა ამაოთმორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინო-დალეული არ შეხვდი პირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევს, კვიცი რომ დაინახო, მაშინვე ქვაზედ უნდა შედგე, თორემ დაძლეული იქნები; ოფოფს თავდავარცხნილი უნდა დახვდე და სხვა. ლუარსაბს. როგორც ათას სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია. ამიტომაც ეგრე გულმოდგინედ დავითს ღმერთთან აბეზღებს

ცი — არაფერს არ დავუძლევივარ, რად მიწყრები? იმისთვის, რომ თელეთში წასვლაზედ ჰოჰმანობა დავიწყე? აკი მაშინვე მოვინანიე!..“

ეგრე უჩიოდა ღმერთს სიზმარში ლუარსაბი. მერე ჰნახა, რომ ვითომ ღმერთმა მიიღო ეს ჩივილი საბუთად და გული მოიბრუნა ლუარსაბისაკენ, აი, მითამ რვა თვეც არის, რაც დარეჯანი ორსულია, ერთი თვეც, ერთად-ერთი, და ლუარსაბს შვილი ეყოლება და დავითს თვალი დაუდგება. უხარიან სიზმარში ლუარსაბსა. რომ ამის ჩივილმა გაჭრა, სიხარულით ფეხზედ ვეღარა დგება. დავით და იმისი ცოლი ჯავრით აღარ არიან. ლუარსაბს ისე შვილი არ უხარიან, როგორც ისა, რომ დავითი და ელისაბედი ჯავრით აღარ არიან. ორი კვირაც მითამ გავიდა, აი, ორი კვირა კიდევ და დარეჯანი დაწვება. უხარიან, უხარიან ლუარსაბს, მაგრამ! — აი, უბედურება — ლუარსაბი უეცრად ავადა ჰხდება, და ძალიანაც ჰხდება, ასე რომ მითამ მოკვდა კიდეცა. მაგრამ ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერსა ჰგრძნობს. ესმის, რომ დარეჯანი საშინელის ხმითა სტირის და სოფლის მოტირალე დედაკაცები მწუხარე ბანს აძლევენ. ესმის, რომ იქით, სადღაც კუთხეში, დავითი და ელისაბედი იცინიან, ჰხტიან და ლუარსაბის ავეჯეულობა თავის სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და იმიტომ არა დგება. — „ხვალ მამულებს ჩავიბარებო“, — იძახის ხმა-მაღლა დავითი. ლუარსაბი იწურება ამ სიტყვებზედა, იტანჯება, უნდა სთქვას — რომ „ნუ მისცემთო, დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებაო“, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. საშინელ მდგომარეობაშია საწყალი, ცოცხალ-მკვდარი ლუარსაბი. რა ჰქნას აბა მკვდარმა? — „ვაი, რა დროს მოვკვდი!.. როცა ღმერთმა შვილის მოცემა ინება, მაშინ! — ამბობს სიზმარში თავის-თავად ლუარსაბი. — ახ, ნეტავი ეხლა კი გავცოცხლდე და!..“

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, კუბოც მოიტანეს, აი, ჩაასვენეს კიდეცა და კუბოში ჩადებული და მორთული დაასვენეს ტახტზედა. მესამე დღეს მღვდლებიც მოვიდნენ, ასწიეს კუბო და წაიღეს გალობითა და ტირილითა. ამ გალობაში და ტირილში დავითისა და იმის ცოლის მხიარული სიმღერა ესმის ლუარსაბსა. ესმის ეს ყველაფერი, ჰგრძნობს, რომ ანდერძიც აუგეს და სასაფ-

ლაოზედაც წაიღეს, უნდა სთქვას: „ნუ დამმარხავთო“, მაგრამ იცის რომ მკვდარია და არას ამბობს. აი, მიწაში ჩაუშვეს საწყალი ლუარსაბი, ესმის, რომ საფლავის პირზედ დავითი სდგას და ეუბნება დიანბეგს: ხვალ მამულები უნდა ჩამაბაროვო. ელისაბედი კი უჯავრდება: რას ჰბოდავ? სახვალიოდ რად იხდი საქმესა, განა დღეს კი ვერ ჩაიბარებ? ლუარსაბს ეს ყველაფერი ესმის, ჰხვნეშის, ჰწვალობს, იტანჯება, ცივ ოფლს ასხამს, ჰკანკალებს, თრთის ცალკე შიშისაგან, ცალკე ჯავრისაგან, რომ დავითსა რჩება ბურთი და მოედანი. — „ახ! ნეტავი კი ეხლა გავცოცხლდე და!“ — იძახის გულში ლუარსაბი.

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, მიწაც მოაყარეს, ჯერ მუჭა-მუჭად მიწა ცვივა და კუბოს ფიცრებზედ რახა-რუხი გააქვს, მერე შეატყო, რომ ნიჩბებითაც დაუწყეს მიწის ყრა. ლუარსაბს უღონდება გული, სული ეხუთება, ჰაერი დაეხშო და, აი, ერთი წუთიც და გათავდება კიდეცა. მაგრამ ვინ არის მეშველი. ესმის, რომ ხალხის ხმაურობა თან-და-თან მისწყდა, ყველანი წავიდნენ და მარტო ლუარსაბი საფლავში დააგდეს დაფლული. გულმა ტეხა დაუწყო, რომ დარეჯანმაც კი — ამის საყვარელმა დარეჯანმაც კი — სხვებსავით თავი დაანება და ამასთან არ დაიმარხა. ლუარსაბს გული ამოუჯდა, დაიწყო ტირილი: „ეგ იმედი მქონდა იმისაგან!“ — ამბობს თავის გულში: „დამაცა, შენც საიქიოს არ მოხვალ, იქ მოგაგონებ“. ამ ლაპარაკში რომ არის, საფლავზედ ფერხულის ხმა შემოესმა, ხმა გაიკმინდა, ყური დაუგდო. მოესმა, რომ დავითი და ელისაბედი ფერხულში ჩაბმულან და ჯერ კიდევ სველ საფლავზედა ფერხულსაც უვლიან. „ჩაძაღლდი განა?“ — უყვირიან ზემოდამ. ეხლა კი გული აეთოთ; ერთი საშინლად გაიხარა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდამ ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაეწყია და თავზედ ლაფი დაესხა. ამ ტრიალში და ვაი-ვაგლახში რომ არის, ერთი იხტუნა, მითამ საფლავიდამ ამოხტომა უნდა და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრაგვანი მოიღო. მაშინ კი თვალები დააჭყიტა, ჯერ კიდევ სიზმრის შიშის-ზარი ისევ უბზუოდა თავში, ასე რომ სულელსავით გაშტერებული და ფილაქვანზედ გაშოტილი პირღია დარჩა. სასაცილო რამ იყო. ისე დაიკარგა. ისე გაფითრებული და ცივ ოფლში იყო, რომ დიდხანს გონზედ ვეღარ მოვიდა და არამც

თუ წამოდგომა მოაგონდა, არც კი გაინძრა. ისეთი შეშინებული იყო, რომ სიკვდილის ფერი ედო ოფლიან სახეზედა. ამას დაცემაზედ ოთახი, რასაკვირველია, შეინძრა. დარეჯანს თურმე — იქეთ, მეორე ტახტზედ — ჩასძინებოდა და ოთახის ზანზარზედ ამასაც გამოელვიძა. ამან, — რადგანაც ჯერ არ იცოდა ლუარსაბი რა ყოფაშია, — ჯერ წამოიძახა: — ლუარსაბ! გაიგე? მიწისძვრა იყო.

ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და ხმა არ გასცა, დარეჯანი წამოჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ლუარსაბი გაფითრებული აგურებზედ უძრავად ჰგდია და სულელსავით დაუჭყეტია უგუნური თვალები. დარეჯანს ფერი ეცვალა.

— უი შენს დარეჯანსა! ეს რა დაგმართვია, შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი!

ლუარსაბმა ვერც ეს დარეჯანის ნათქვამი გაიგო. სიზმარმა ისეთი თავბრუ დაასხა, რომ შიში ჯერ გამონელებული არა ჰქონდა, და ეს ამბავი სიზმრის გაგრძელება ეგონა, იმიტომ ჯერ არც არა ესმოდა-რა და ვერცა-რასა ჰხედავდა. თუმცა თვალები კი დაჭყიტა. დიაღ, ჯერ ისევ სიზმარი ეგონა. მხოლოდ ის აოცებდა, რომ „აკი დამმარხესო და მგონი მე ჩემს ოთახში ვარ ეხლაო. ეს როგორ მოჰხდაო?“

ამის ფიქრში დაიფანტა ამისი გონება. ამიტომაც პასუხის მაგიერად თავისი შიშნაჭამი თვალები გიჟსავით შეაჭყიტა დარეჯანსა, თითქო ჰხედავს კიდეცაო და არც იჯერებსო, რომ იმის წინ დარეჯანია. დარეჯანს ელდა ეცა, ხომ არ გაგიჟდაო. მაშინვე ტახტიდამ ჩამოფრინდა და მივარდა გაშოტვილს ლუარსაბს.

— რა დაგემართა, შენი ჭირიმე, შენი! ხმა ამოიღე, გეთაყვანე, თორემ ლამის მე ჩემი დამემართოს.

— დამაცა!.. — გაუქნივა თანაც ხელი ლუარსაბმა, მითამ მამშორდიო, — მინდა მოვიგონო.

ესა სთქვა, ხმა გაიკმინდა, მაინც არ წამოდგა და თვალებდაჭყეტილმა და პირდაღებულმა დაიწყო ფიქრი, რომ მოიგონოს ის, რაც დაემართა. ისე უეცრად და ამ ყოფით გამოღვიძებულს სიზმრის ამბავი ცოტაღა დააბსოვდა და ის უნდა მოეგონა.

— შენ გენაცვალე! — მიემუდარა დარეჯანი. — ჩქარა მითხარ, თორემ შიშისაგან ლამის გავთავდე.

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა და სიზმრის ფიქრში წასულმა თავის-თავად ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო:

— მე მოვკვდი. დარეჯანი ჯერ კი ტიროდა და მერე, როცა დამმარხეს და ყველამ თავი დამანება, დარეჯანმაც მიღალატა. ეგ იმედი მჭონდა იმისაგან? თავი დამანება და ჩემთან არ დაიმარხა!.. აკი უყვარდი! დამაცალოს!.. ის სულ-ძაღლი დავითი!.. ის ქოფაკი ჩემი რძალი!.. ფერხული დააბეს განა, დამაცადონ!.. აი, მკვდარი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი იმათ!.. მაგრამ რა მექნა, რომ მკვდარი ვიყავი!..

ბევრს რაღაცეების ბოდვას მოჰყვა ჩვენი ლუარსაბი. დარეჯანი კი გაფითრებული ყურს უგდებდა, არ ესმოდა, რას ჰლაპარაკობს.

— შენი ჭირიმე, ლუარსაბ! — უთხრა კანკალით დარეჯანმა. — სიზმარში ხარ, თუ ცხადივ? მითხარ, თორემ შენს მაყურებელს სული დამელია.

— ეხლა განა? მაშინ რატომ არ დაგელია, როცა მიწა მომაყარე და მარტოკა ჩამფალი შავ მიწაშია?

— რას ამბობ, შენი ჭირიმე, რასა? ერთი შემატყობინე.

— რა უნდა შეგატყობინო? ცარიელი ტირილით რა გამოვიდა, უნდა თან ჩამამყოლოდი. არა გრცხვენიან, პირში როგორღა მიყურებ?

— უი, თვალები ეხლა დამდგომია, თვალები! — შეჰჭყივლა დარეჯანმა და მაშინვე გამოვიდა მოაჯირზედ, რომ ბიჭებს დაუძახოს, რადგანაც გული დააჯერა, რომ ლუარსაბის თეთრის ეშმაკს ძილში თავში ჩაუკრამს და ჭკვიდამ შეუშლია. ის კი არა თუ, ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავშია.

— მიშველეთ. მიშველეთ!

ჰყვიროდა დარეჯანი მოაჯირიდამ თავში ცემით თავმოხდილი და გაწეწილი.

— მიშველეთ! უი ამ დღის მნახველსა, შე ქოფაკო დარეჯანო!

ჰყვიროდა კნეინა და იცემდა თავში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ლუარსაბი ამ ყვირილზედ სრულიად გამოფხიზლდა. წამოხტა აგურებიდამ და ისე გაღეღილი გავარდა, რომ შეიტყოს, რა დამართვია დარეჯანსა. დარეჯანმა დაინახა თუ არა ლურსაბი, ეგონა, — მე გამომიდგაო, იშვირა ფეხი და ეცა კიბეს, კიბეზედ ფეხი გა-

ესხლტა და ისე რაზა-რუხით ჩაგორება ძირს მკვდარა. ამ კიკინაზედ და ვაი-ვაგლახზედ ბიჭები მოგროვდნენ.

— დაიჭირეთ, დააბით! — წივოდა გვერდებდალეწილი დარეჯანი, — დაიჭირეთ, თორემ დაგეჭამს. ვაი, შე ქოფაკო თავო! ამ დღესაც შეესწარ, რომ ქმარი გაგიგიჟდა!

ჰწიოდა საწყალი კნეინა და იცემდა ძალზედ თავში, თითქო იმისი ბრალი იყოს ლუარსაბის გაგიჟება. ლუარსაბი გაოცდა, ეს ამბავი რომ ჰნახა, სრულიად გაშრა. ეხლა ამას ეგონა, რომ ცოლი გაუგიჟდა და დაიწყო საწყალმა ტირილი: გულჩვილი იყო.

— რა გაყვირებს, ადამიანო, — გადასძახა ხმაამოჯდომით და ნაღვლიანად დარეჯანსა, სრულიად გონებაზედ მოსულმა და დამშვიდებულმა, — ვინ გაგიჟდა, შენი სულისა, შენი! მე ჩემ გონებაზედა ვარ.

დარეჯანმა შემოჰხედა, დაინახა, რომ ლუარსაბი ისევ ის ლუარსაბია, არც გიჟია, არც ჭკვიანი, არც ფლავი, არც ჩლავი; მაგრამ მაინც კიდევ ჯერ ეჭვში იყო. — გიჟმა იცის ხანდახან დაჭკვიანებაო, — გაიფიქრა გულში.

— აბა, სწორედ შემომხედე, — დაუძახა ქვევიდამ დარეჯანმა და თვალები შემოაჭყიტა.

— აჰა, შენი სულისა! — სთქვა და შეჰხედა ლუარსაბმა.

— წეღან რას ჰლაპარაკობდი?

— აბა, როდის, შენი ჭირიმე!

— აი, აგურებზედ რომ იწექი.

— სიზმარი ვნახე და იმას ვიგონებდი.

— მაშ, აგურებზედ რად იყავი გაშოტილი?

— ცუდი სიზმარი ვნახე: მმარხავდნენ მითამ და საფლავიდამ ამოხტომა მინდოდა და ძირს კი დავეცი.

— მართლა, შენ გენაცვალე! — შემოჰხარა დარეჯანმა. — ვუი, შერცხვენილო თავო! მე კი ქვეყანა შევყარე, ქმარი გამიგიჟდა-მეთქი.

დარეჯანი ამოვიდა მაღლა ლუარსაბთან და მაშინვე შემოსცინა. ლუარსაბმაც კბილები დაუკრიჭა.

— მართლა გიჟი გეგონე, შენი სულისა? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— მართლა მეგონე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

— აი, დალახვრა ღმერთმა, მე კიდევ შენ მეგონე გიჟი. მადლობა ღმერთსა, ორივ კარგადა ვართ. კიბეზედ რომ ჩაგორდი?

— რა მიშავს? მე, რაკი შენ შენს გონებაზედ გხედავ, ყველაფერი დამავიწყდა.

— მეც ისე ვარ.

— უი, შენი ჭირიმე, შენი! რომ მართლა გაგიჟებულიყავ, რა მამივიდოდა? — უთხრა ესა დარეჯანმა და სიხარულით ატაცებულმა, რომ ლუარსაბი თავის ჭკვაზედ არის, ლოყაზედ უჩქმიტა.

ლუარსაბს იამა და, რომ უკან არ ჩამორჩეს ალერსშია, თითონაც უჩქმიტა და ზედ ტკბილის ხმით და ღიმილით „ჰი!“ დაატანა. ესე მოხდა ეს ამბავი.

XI

ლუარსაბმა ეს სიზმარი თავიდამ ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო. დარეჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვეს უკან შვილი უნდა ეყოლოს.

— აბა, როგორ? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— ხომ სტიროდი სიზმარშია? — ეხლა დარეჯანმა ჰკითხა.

— ვტიროდი.

— მეც ხომ ვტიროდი.

— შენცა სტიროდი.

— ტირილი კიდევ სიხარულის ნიშანია. მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება, თუ არ შვილის ყოლა? მაშ შვილი გვეყოლება და ჩვენი სიხარულიც ისე აგვიხდება.

— მართლა, ტირილი ხომ სიხარულის ნიშანია. უთუოდ ეგრე აგვიხდება. აი, ვენაცვალე სულში იმ სიზმარსა! თვალი არ დაუდგება დავითსა! აბა, ფერხულს მაშინ ჩამოუვლის, აი! ღმერთო, შენ იცი ეხლა.

ამ დროს ლამაზისეულმა კარი შემოაღო და გახარებული შემოვარდა ოთახში.

— ქალბატონო, ქალბატონო! — წამოიძახა გოგომა. — ჩამჩიაშვილს რომ ძაღლმა შვილი დაუცოფა, იმისთვის ერთი აქიმი დედაკაცი მოუყვანიათ, იმ დედაკაცმა თურმე მკითხაობაც იცისო. ხომ

არა გნებავთ აკითხვინოთ? რაც კაცს გულში აქვს და შუბლზედ აწერია, ყველაფერს თურმე მაშინვე შეიტყობს.

— შენს პირს შაქარი, ჩემო ლამაზისეულო, შენს პირს შაქარი, — წამოიძახა გახარებულმა დარეჯანმა, — წადი და ეხლავ აქ მოიყვანე, ფულს გაჩუქებენ-თქო.

გოგო გამოტრიალდა და გაიქცა.

— დარეჯან. შენი ჭირიმე, დარეჯან! სიზმარი ცხადდება! — შეჰყვირა ღრეჯით გახარებულმა ლუარსაბმა. — ვა! მეტი რაღა გინდა! ღმერთმა თავის-თავად მკითხავი კარზედ მოგაყენა. ეს რის ნიშანია?

— მაშ, ქა, რომ გეუბნებოდი და არ მიჯერებდი, მაშ, რის იმედით გეუბნებოდი, რომ შვილი მეყოლება-მეთქი? მე რათა ხანია გული მითხრობდა.

— მეც დიდი ხანია გული მითხრობდა, თურმე ეს ამბავი იყო. აბა, ეხლა დაუდგება თვალი დავითსა. აი!

— რა ნაღველი აქვთ იმისთანა, რომ ავადმყოფს თავი დამანებებინეს და აგრე საჩქაროდ მიბარებენ? — ჰკითხავდა ლამაზისეულს გზა-და-გზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოკუნტული, დალმეჭილი, ბებერი დედაკაცი.

— რა ვიცი? ხომ იცი, რომ უშვილონი არიან...

— ეგ ხომ მე უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ, — გააწყვეტინა სიტყვა ოსტატურად გამოჭნილმა და ცბიერმა მკითხავმა.

სულელს ლამაზისეულს გაუკვირდა: საიდამ იცისო!

— მაშ, ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილოცეთო. ისიც გეცოდინება? — უთხრა გოგომა და დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ რას იტყვისო.

— მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? — მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია, მართლა იცოდაო.

— თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

— გეუბნები. შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მაშ არ გვეცოდინება?

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზა-და-გზა გამოათქმევინა. გოგოს კი საშინლად უკვირდა ამისთანა გულთამხილაობა ამ დედაკაცისა. სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გააგებინა ყველაფერი, — უმაგრესად არა ეცოდინებოდა-რა.

გოგომ თავლაზედ ამოატარა მკითხავი. მკითხავმა თავლის გარეშემო თვალი გადაავლო და ერთი ამოღრანტული რაღაცა შენიშნა. „ეს კარგია", სთქვა გულში.

ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდნენ მკითხავსა. ბოლოს მკითხავიც მოვიდა. რა წაწსაც ფეხი ოთახში შემოდგა და თავი დაუკრა, მაშინათვე ოსტატურად მოფიქრებული სიტყვები მიაყარა:

— ძერას ჰკითხეს: შვილები გირჩევნია, თუ ორი თვის წყალუსმელობაო? — წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს: — შენ რაღაო? — უშვილობაო. თქვენთვის არავის უკითხავს და რატომ შვილი არა გყავთ? ვინ დაგწყევლათ ეგრე?

ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეჰხედეს: საიდამ გაიგო ეგრე მალეო! ლუარსაბმა პირი დააღო ჯერა, მინამ სიტყვებს აზრს მიჰხვდებოდა, როცა მიჰხვდა — თითქო შეშინდაო. პირჯვარი გადიწერა და სთქვა იმ სახით, როგორც ჭექა-ქუხილის დროს ვიცით ხოლმე:

— კურთხეულ არს სახელი უფლისა. ეს რა მესმის. თქვენი ჭირიმეთ!.. დედაკაცო! ჩვენ გულში იჯექ?..

მკითხავმა ხმა არ გასცა, თითქო ამისთანა ქებას ყურსაც არ ათხოვებსო. მიუბრუნდა რაღაც მზრუნველობით გოგოს და უთხრა:

— ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი.

მინამ გოგო ამას მოუტანდა, ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩავარდნილებსავით იყვნენ. ეგონათ, რომ, თუ არ ეშმაკის მანჭანებით, ამისთანა გულთმისნობა არ იქნება. მოდი და ეშმაკის ხსენებაზეც შიშისაგან ენა ნუ ჩაუვარდებოდათ!

გოგომ მოიტანა ყველაფერი. ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბალის მარცვალი, აიღო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი. მითამ და ულოცავს. მერე გაუშტერა

თვალი წყალსა. ჩვენი ცოლ-ქმარნი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო.

— ქალაქში მკითხავთან გიკითხვინებიათ, — დაიწყო კუდიანმა, — მკითხავიც კარგი შეგხვედრიათ. სწორედ უთქვამს, რომ თელეთი ილოცეთო.

ახლა კი მართლა შეშინდნენ ცოლიც და ქმარიცა. ერთმანეთს ყურება დაუწყეს, ამისთანა გულთამხილაობა რომ არ გაეგონათ თავის დღეში.

დედაბერი ვითომ არაფერს არ ამცნევს, რაც ძალი და ღონე აქვს აცმაცურებს ტუჩებსა და თითო ხორბლის მარცვალსა ჰყრის წყალში.

— კარგი გიქნიათ, — დაიწყო ისევ მკითხავმა, — კარგი გიქნიათ, რომ მკითხავისათვის დაგიჯერებიათ და თელეთს სალოცავად წასულხართ, შეგეწიოთ თელეთის მადლი. მაგრამ...

აქ სიტყვა გასწყვიტა ბებერმა: თითქო წყალში უნდა ამოიკითხოსო, თვალი უფრო დააკვირვა.

— მაგრამ რა? — წასძახეს ერთხმად ცოლმა და ქმარმა.

— მაგრამ ისა, რომ იმ მკითხავს გულთმისნობა სავსე არა ჰქონია. — ცოტა ჰკლებია, თორემ თელეთი როგორ არ გიშველიდათ, რომ გამოეცნო.

— აკი შენი ბრალიაო, დარეჯან! ადრევე რომ მითხარი, გამოდის, ჩემი ბრალი არა ყოფილა, — უთხრა ლუარსაბმა თავის ცოლსა, მაგრამ ისე კი, რომ გაშტერებული თვალი მკითხავისათვის არ მოუშორებია.

— დამაცა. რა დროს ეგ არის. მე აქ შიშისაგან სული მძვრება. რა ყოფილა, შენ გენაცვალე, ეს დედაკაცი!.. — ამბობდა მართლა შეშინებული დარეჯანი.

— დიახ, მკითხავის ბრალია, — მოჰყვა ისევ კუდიანი. — იმის ბრალია. იმას რომ მიგნება ჰქონოდა, ეხლა შვილი კალთაში გეჯდებოდათ. დიაღ, გეჯდებოდათ, რომ...

აქ ისევ სიტყვა გასწყვიტა ხერხიანმა დედაკაცმა და უფრო გაუშტერა თვალი წყალსა. ლუარსაბი და დარეჯანი სმენად გადაიქცნენ.

— დიაღ, თელეთი გიშველიდათ — კიდევ შეგეწიოთ იმისი მადლი — თელეთი გიშველიდათ, — გააგრძელა სიტყვა მკითხავმა

ისევ თვალაუღებლად, — რომ თქვენ სახლში ჯადო არ ყოფილიყო.

ლუარსაბმა და დარეჯანმა, შიშისაგან სულწასულთა, ერთ დროს და ერთ ხმად კანკალით წამოიძახეს:

— ვაი, ადრე და მალე დაღუპულო ოჯახო!..

— ნუ გეშინიანთ: ეხლა ის ჯადო საშიში აღარ არის, მე ხელში მყავს.

— აბა, მაჩვენე, თუ ხელში გყავს, — უთხრა ლუარსაბმა, მაგრამ, რადგანაც თითონ ეშინოდა იმისი ნახვა, დარეჯანს უთხრა: — მე კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე.

— უი, არა, გეთაყვანე, შენ თითონა ჰნახე, მე დავხუჭავ თვალებსა, — მიუგო შიშისაგან ფერმიხდილმა ცოლმა.

— ნუ გეშინიანთ, — დააშოშმინა მკითხავმა, — განა მართლა ხელში მყავს, ჯადო თქვენს ეზოშია.

— სადა, გეთაყვანე, სადა? არიქა, ბიჭებო, მიშველეთ! — დაიყვირა ბატონმა.

— თავლას უკან რომ ორმოა, ჯადო იქა დევს... — მშვიდად დაუმატა მკითხავმა.

— ბიჭებო! არიქა, ბიჭებო! აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ, თავლას უკან ორმოაო! არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!

ჰყვიროდა ოთახში ზარდაცემული ლუარსაბი, აქეთ კიდევ დარეჯანი კანკალმა აიტანა და ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ მაინც კიდევ ქმარს უთხრა:

— აქ რომ ჰყვირი, ვინ რას გაიგებს? გარეთ გადი და გაგზავნე ბიჭები.

— არა, გეთაყვანე, ეხლა კი შენ გადი და მერე თუნდა ორმოცჯერ მე გავალ.

— გადი, რისა გეშინიან, ჯადო ხომ არ დაგარჩობს, — ეუბნებოდა კნეინა და თითონაც კი ეშინოდა.

— არა, გეთაყვა, შენ გადი. რა არის? ეხლა, თუ ღმერთი გწამს, შენ გადი, თუ გიყვარვარ, შენ გადი.

— არა გრცხვენიან, მე დედაკაცსა მგზავნი და შენ კი ქუდი გეხუროს და კაცი გერქვას?

— რა დროს კაცობაა, რას ამბობ? სახლში ჯადო არისო.

— მე დავუძახებ ბიჭებს, — უთხრა მკითხავმა, — მაგაზედ როგორ დაღონდით!

— ჰო, გეთაყვა, შენ დაუძახე, ჩვენ — ხომ ხედავ — დავღონდით, — შეეხვეწა ლუარსაბი, — ეხლა, ოთახში რომ ჩვენ მარტონი დავრჩებით, ხომ არაფერი?

— არაფერი.

მკითხავი გავიდა, ბიჭები გაისტუმრა ჯადოს ამოსაღებად. ბიჭებმა ბევრი უტრიალეს თავლასა და იქ ორმო ვერა ჰნახეს. მოვიდნენ და ბატონს უთხრეს: იქ ორმოს რა უნდაო?!

— ვაი, შენ ჩემო თავო! — დაიძახა ლუარსაბმა. — დახე, ჯადოს ამათთვისაც თვალი აუბამს. რა გვეშველება?

მკითხავმა ჩაიცინა.

— მე წავალ თითონ. მე ჯადო თვალებს ვერ ამიბამს, — თქვა მკითხავმა, — თქვენც წამოდით, რომ თქვენის თვალითა ჰნახოთ.

— არა, გეთაყვანე, ჩვენ ისეც დაგიჯერებთ, — უთხრა ლუარსაბმა, რომ ეშინოდა იქ წასვლა, — უჩვენოდ წადი, შენა ნახე, მითამ ჩვენ გვინახავს.

დედაბერი წავიდა, თან ბიჭები წაასხა და პატარა ხანს უკან რაღაცა ძონძები ამოიტანა.

— აქ ნუ შემოიტან, — ჰყვიროდა ლუარსაბი და თან კუთხეში იმალებოდა, — აქ ნუ შემოიტან, მანდვე დააწვევინე, მანდვე!

ჯადო დაწვეს.

XII

მეორე დღეს გუშინდელი ბიჭები დაიბარა ლუარსაბმა და ამისთანა საუბარი დაუწყო:

— მართლა ორმო იყო?

— თქვენი რისხვა არა გვაქვს, მართლა ვნახეთ, — მიუგეს ბიჭებმა. იმათ ხომ მალე იციან ამისთანების გატანა.

— არა, თქვენის ორი თვალით ჰნახეთ?

— ორის თვალითა, აი ისე, როგორც შენ გხედავთ, ბატონო!

— დიდება შენდა ღმერთო! ამოდენა კაცი აქ დავბერდი და მე იქ ორმო არსად არ მინახავს!.. გაგონილა? როგორ შეიტყო? დიდი მისნობა არ უნდა ჰქონდეს?

— მაგის ხელობა ეგ არის, შენი ჭირიმე, და იქიდამ შეიტყო, — მიუგეს ბიჭებმა.

— ალბათ ეგრეა, თორემ... აი, დალახვრა ღმერთმა! აბა, თქვენ გენახავთ ვისმე იქ ორმო, ან გაგიგონიათ?

— რაც არ არის, რასა ჰნახავდნენ, — წაიბუტბუტა ერთმა თავმოწონებულმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც შორიახლო იდგა და მკლავი ხანჯალზედ ებჯინა, — ერთი რაღაც გოგო-ბიჭების ნაჩიჩქნია და იმ კუდიანმა ორმოდ გახადა. რა უკვირთ?

ეს ისე სთქვა, რასაკვირველია, რომ ლუარსაბს არ გააგებინა.

— შენ რა გენაღვლება, ძამო, — წასჩურჩულა ერთმა ხნიერმა გამოცდილმა გლეხკაცმა, — ხომ ჰხედავ — ბატონს უხარიან, რომ იქ ორმოა. დაე ეგონოს, რომ ორმოა, შენ რა?

— შენი რისხვა არა მქონდეს, — მიუბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა, — მე იქ ორმო არც მენახოს და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი, ჰიპი აქ მომიჭრია და ამოდენა კაცს ლამის სული აქ დამელიოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის.

— განა ის კუდიანი იყო?

— მაშ? კუდიანობის ღამეს, ჭიაკოკონობას, შენი ჭირიმე, გადაჯდებიან ხოლმე — აი, დასწყევლოთ ღმერთმა — ცოცხზედა და თავის ბატონთან გაფრინდებიან ხოლმე. მოგახსენებენ, ჩიტურაშვილის დედა თურმე ბუხარში აძვრება ხოლმე, ცოცხზედ — როგორც ცხენზედ — შეჯდება და, ჰერი ბიჭო, გაუტევს ხოლმე.

— ეგ მეც გამიგია. რამდენი სასწაულია ქვეყანაზედ! დიდება შენდა, ღმერთო!.. — გადიწერა პირჯვარი ლუარსაბმა, — მაშ ჩიტურაშვილის დედასაც ეცოდინება მკითხაობა?

— განა ყველამ იცის, შენი ჭირიმე! ის უფროსი რომ ჰყავთ და კუდიანობის ღამეს ძღვენით რომ მიდიან ხოლმე, ის უფროსი თურმე ეტყვის: შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის, მეორეს კიდევ ეტყვის: შენთვის — აქიმობაო, ესე გახლავთ.

— ეგრე იქნება, თორემ აბა საიდან გამოიცნობდა, რომ იქ ორმო არის? ჭკვიანი არ უნდა იყოს ის უფროსი?

— მოგახსენებენ, სოლომონ ბრძენზედ უფრო ჭკვიანიაო.

— არ ეტყობა, თუ! დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! — გადიწერა ისევ პირჯვარი და შევიდა ოთახში დარეჯანთან.

— გაიგე, დედაკაცო, რა ამბები მოახდინა იმ უხეირო, უკბილო ბებერმა? — უთხრა ცოლსა. — ის უფროსი რომ ჰყავთ, იმისი პირველი კარის-კაცი ეგ უნდა იყოს. აი, დალახვრა ღმერთმა! ეს რა ვნახე, თქვენი ჭირიმეთ!

— კარგი, ნუღარ მომაგონე, თუ ღმერთი გწამს! აქამდინ ტანში შიშისაგან ჟრუანტელი მივლის.

— აი, გულთმისნობა რა არის! ამდენს ხალხს ჩემს სახლში ჭიპი მოუჭრიათ და ერთმა არ იცოდა დღევანდლამდინ, რომ იქ ორმოა. რა ქნა, თქვენი ჭირიმეთ!

— ღმერთო, შეგცოდე და, იმას თუ ეშმაკი არ ეჯდა ტანში, რა ვიცი?

ცოლ-ქმარმა ეშმაკის ხსენებაზედ პირჯვარი გადიწერა და სამჯერ შეაფურთხეს ეშმაკსა.

— ეხლა კი... რა ვიცი? ეხლაც რომ შვილი არ გვეყოლოს, ერთი მეტისმეტი ღვთის წყრომა იქნება, — სთქვა ლუარსაბმა.

— ეჰ, შენც ერთი!.. მაგას რაღა თქმა უნდა. ისე დაჯერებული ვარ, რომ მითამ შვილი კალთაში მჯდომია. რაები არ გამოიცნო!.. მოდი და ნუ დაიჯერებ.

— მაშ! მეც იმიტომ ვამბობ და!.. მკითხაობა რომ არ გაეჩინა ღმერთსა, ვენაცვალე იმის სიბრძნეს, რა გვეშველებოდა? ჯადოს ვიღა იპოვიდა?

ორივენი ჩაჩუმდნენ და ორივენი მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ გონებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა. ბოლოს ლუარსაბმა ისევ დაიწყო:

— დარეჯან! წყალში ხომ არა ჰხედავდა? ჰა? შენ რას იტყვი?

— იქნებ მართლა! შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავსა, სწორედ წყალში ხედავდა.

— რა ვქნა, მე კი აგრე მგონია და!

— ღმერთმან იცის, იქნება სწორედ ეგრე იყოს.

— რა ვიცი! მე კი რაღაც ეჭვი მაქვს და!

— შენმა მზემ, ეგრე უნდა იყოს.

— რა ვიცი, ჩემმა გონებამ კი ეგრე გასჭრა და!

— ჩემი გულიც ეგრე მითხრობს, ლუარსაბის სიცოცხლემ!

— იმ ხორბლის მარცვალს რომ ჩააგდებია ხოლმე წყალში და რაღაცა რგოლები კეთდებოდა, ის ხომ არ იყო?

— იქნება მართლა! სწორედ ის იქნებოდა.

— რა „ის“?

— შენ რომ სთქვი „ისა“.

— აკი გითხარი! — მიუგო ლუარსაბმა თავმოწონებით, რომ მე გამოვიცანიო, — სწორედ ეგრე უნდა იყოს, თორემ ის დედაკაცი ეშმაკი ხომ არ იყო, რომ იმისთანა სასწაული მოეხდინა.

— ეგრე უნდა იყოს, მე კი, — ღმერთო შეგცოდე, — ეშმაკობა შევწამე.

— შენგან არ მიკვირს! ეშმაკი როგორ იქნებოდა, რქები არა ჰქონდა. ეშმაკს რქები უნდა ჰქონდეს.

— ეჰ, განა ეგ მე კი არ ვიცი, ისე გავიფიქრე.

— ჰო, ეგ სხვა არის.

ორივენი დაჩუმდნენ, ორივენი დარწმუნდნენ, რომ რაც გუშინ არ ესმოდათ, მკითხავს რომ უყურებდნენ, ის დღეს გამოიცნეს და გაიგეს.

— მე კი გამოვიცან, აი! — დაიკვეხა ლუარსაბმა. დარეჯანს, თუმცა ლუარსაბი უყვარდა, მაგრამ მაინც კიდევ თითონ უნდოდა, რომ გამოცნობის სახელი ამისი იყოს და არა ლუარსაბისა: კაცი სულელი, თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა.

— განა, რომ მდომებოდა, მე კი ვერ გამოვიცნობდი, — მიუგო დარეჯანმა, — არ მინდოდა, თორემ გუშინვე გამოცნობილი მქონდა.

— ეხლა მაგას დაიჟინებ.

— ღმერთმანი, რომ ასეა.

— ეჰ, შენ ხომ კაცი ვერას დაგანახვებს და თუნდ სოლომონ ბრძენი მოვიდეს, მაშინვე ეტყვი: მე შენზედ ჭკვიანი ვარო. ეხლა რა არის, ერთხელ მე დამითმო. უცხო ხომ არა ვარ, შენი ქმარი ვარ.

არ ვიცი, დარეჯანმა დაუთმო, თუ არა, ეს კი ვიცი, რომ ლუარსაბს ძალიან ეწყინა, დარეჯანი რომ შეეცილა.

XIII

მკითხავმა მეტად მტკიცედ დააჯერა ცოლ-ქმარი, რომ შვილი ეყოლებათ. ამ იმედს მცირედი ეჭვიც არ შეურყევდათ. ამ დაჯერებამ იქამდინ მიაღწია, რომ ერთს მშვენიერს დღეს დარეჯანს ეჩ-

ვენა. ვითომც მუცელში ყმაწვილმა გაუჩუჩუნა. რასაკვირველია, გაჩარებულმა კნეინამ მაშინვე ლუარსაბს ახარა.

— მართლა გაიჩუჩუნა? — წამოიძახა სიხარულისაგან გონებამიხდილმა ლუარსაბმა.

— რას ამბობ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. დარბაისელი დედაკაცი სიხარულისაგან კინაღამ არ შევხტი, მაგრამ მომაგონდა, რომ მუცელი წამიხდება-მეთქი, — და შენ მაინც კიდევ არა გჯერა.

— უი. შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულშია! ბარაქალა, რომ არ შეხტი. თორემ მუცელი წაგიხდებოდა. იმ სიხარულში ეგ როგორღა მოგაგონდა! მე კი — მე და ჩემმა ღმერთმა — შევხტებოდი, მერე ისე შევხტებოდი, რომ დავცემულიყავი — კიტრსავით გავსკდებოდი. დაუდგეს თვალი დავითსა! ფერხული, აბა, ეხლა დაუაროს. აი! მაშ, დღეს მე და შენ ერთი კაი ქეიფი გავწიოთ, ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინოთ, რომ შვილის სადღეგრძელო დავლიოთ. ურაა! — დაიყვირა ლუარსაბმა და, რადგანაც გულალმა იწვა თავისებურად, ტახტზედ, ერთი ფეხიც აიშვირა მაღლა და მანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოუღია.

ეს ამბავი სადილობის დროს მოხდა. აახდევინეს წითელი ღვინო ცოლ-ქმარნი დაჯერებულნი, რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზე გამხიარულდნენ. ნამეტნავად ლუარსაბი შექეიფიანდა და კარგად გამოიბრუჟა. ელისაბედი ამბობდა, რომ ვითომც დარეჯანსაც უყვარსო ღვინის სმა. ეს კი ვიცი, რომ იმ სადილზედ ამანაც გადუსო ორიოდ ჭიქა. ლუარსაბმა სამი ჭიქა ერთად ჯერ არდაბადებულის შვილის სადღეგრძელო გადაჰყლაპა და ალავერდი დარეჯანთანაც მივიდა. დარეჯანმა, თუმცა ესეც ჩაღლეული იყო, მაგრამ დედაკაცობის ჯაბიდი შეინახა და ჭიქა თუმცა ჩამოართო, სულ არ დალია.

— დალიე, შენ გეთაყვანე! — ეუბნებოდა მთვრალი ლუარსაბი. — ეხლა ქეიფს ნუ წამიხდენ. ჩვენის შვილის სადღეგრძელოს როგორ არა სომ? თუ მე და შენ არ დავლევთ, მაშ ვინ უნდა დალიოს? ღმერთი გვიწყენს. იტყვის: მე შვილი მივეცი და ისინი სადღეგრძელოსაც არა სმენო. ნუ აწყენინებ მოწყალე ღმერთსა. ძლივს კაი თვალით არის ჩვენზედა. მეც ქეიფს ნუ წამიხდენ, დალიე. გეთაყვანე! — უთხრა და მიაწოდა ისევ ჭიქა.

დარეჯანმა ჩამოართო ჭიქა, მაგრამ ისეთი მორცხობით, ისეთის თვალების ხამხამით და გემრიელ ღიმილით, რომ მე მაშინვე მივხვდი„ რომ კნეინა უამისოდაც გადაკრულია. ჩამოართო და გადაჰკრა. სასაცილო რამ იყო კნეინა: ღვინო თან-და-თან ეკიდებოდა, ლოყები აუხაშხაშდა კიდეც, ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ჰშორდებოდა. ქვევითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და დორბლმა დენა დაუწყო, თვალები აემღვრა და თავის-თავად ეხუჭებოდა, — ერთი სიტყვით, — დარეჯანი ქეიფზედ იყო. ლუარსაბიც დაითვრა. მიუშვა აღვირი ღვინისაგან მოდუნებულს ენასა და მოჰყვა უგზო-უკვლო ტიტინს. დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და შესცინოდა.

— ვენაცვალე კახეთსა! — ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით. — ვენაცვალე, ეგ რომ არ ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელის კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის რომ არ ვიცი და! სიმღერა ღვინოს ანელებინებს და! თორემ სხვაფრივ რა შეჭირს: ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვს ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“ ვარო? „პოვერნია“ კი არა, — შენც არ მამიკვდე — ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: აბა წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმეოეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი. ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ეაფიცებინე. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლევო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მამულე-

ბიც მაშინ ისე ოხრადა გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა? ეხლა ოხრად ალარ დაგვრჩება: ვენაცვალე შენს სტომაქსა! ეხლა შიგ პატარა თათქარიძე ზის და, მგონია, წითელ ღვინოში ჰყუმპალაობს. უჰ, შენი კი ჭირიმე! მოდი, ერთი ეგ ნაზი ტუჩები ამოგწუწნა! ეხლა ეგეც ხომ შვილი გვეყოლა, აბა ეხლა მაგის ქორწილზედ ვიფიქროთ. იცი, რა, დარეჯან? შენ ხომ ბრძენი დედაკაცი ხარ და არც მე ვარ — ღვთის მადლით — სულელი, თოთხმეტის წლისა შესრულდება თუ არა — აბა, იანგარიშე, როდის შესრულდება, მგონი ბევრი ხანი არ გასწევს, მალე შესრულდება, — შესრულდება თუ არა, ჯვარიც დავწეროთ. რაღას უნდა მოვუცადოთ? ეხლა მაგის ქორწილში ლეკურს არ ჩამოუვლი? მე კი — ღვთის წყალობა შენა გაქვს — ასეთს ბუქნას დავუვლი, რომ იქაურობას სულ მტვერი ავადინო... ეხლა იმ იმერელს, რომ ვაჯობე, იცი, რა ვუთხარი? წადი-მეთქი, სადაც შენი სთქვა, იქ ჩვენიცა სთქვი-მეთქი, და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას წვენი გამოუვა, ერთ „ყლაპად“ არ მეყოფა-თქო, და „ყლუპი“ კი კიდევ თქვენზე დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი. მაშ! თუ ღმერთი გწამს, კარგად არ მითქვამს?

— კარგად და პატიოსნად!

— მაშ, მოდი, ერთი კიდევ ამოვწუწნო ეგ შენი მარწყვი ლოყები. ეხლა, დარეჯან, შვილის ქორწილში ლეკურს არ ითამაშებ?

— რატომ.

— ჰო, გეთაყვანე, მოდი, იცი, რა ვქნათ? მითამ ეხლა ქორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე „განდიდურს“ დაგძახებ, თუ გიყვარდე, აი! მითამ ქორწილია. თუნდა ლეკური იყოს, ჰა! მე პაწპაწინა ნიგვზის ტოტს“ დაგძახებ. ჰა და პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა!.. ურაა!.. აი, გიდი!.. ქუდი ჭერში!.. კახური კა... ცის... ჭი... რი... ოი... მეე... ჩა... აა... რაა... რაა... კებს.., კუ... უუ... ლა... საა!.. იმ იმერელსაც... კაი... საქმე... დავმარ... თე... დავითსაც... თვალიმც... გამოს... ძრო... მიი... ურაა!..

ყროყინობდა სიმღერის ხმაზე გაბრუჟებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რაღაცეებსა და ამ ბოდვაში ჩაეძინა კიდეც.

XIV

აღარ გაათავებ? — მკითხავს მოწყენილი, და იქნებ გაჯავრებულიც, მკითხველი. — როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ, რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ? — დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ჭართული ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“, — ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის, რაზაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, ჩემო ძველის გზის მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ჭართველო!..

გაიარა რამდენმამე ჟამმა და წუთის-სოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოცვალა დედამიწის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო. აქიმმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნებალა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი მადა, მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა. ესღა იყო ამისათვის ნუგეშად, თორემ ის პატიოსანი ფიშვი ჩამოებერტა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა, ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალები უგემურად მიელიცა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლეღვსავით გაუხდა, ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, — ერთის სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის, ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარ ლიტრა კალმახი მოართვა, ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.

მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენ-

განნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართვლის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება, შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ველარ დაინახავ და იმის გულისსატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

მე გავათავე და შენ რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ, ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს: თუ ოდესმე თვალი აგიხილებია და, შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, ნახავდი, რომ ზშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული. ღარიბი, შიშველ-ტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რაგვარ უბედურობისაგან ლოთად ჩაგარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ ჰამპულასავით. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი, თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ხედავდნენ მარტო და თვალი-

სათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონებითაცა. გონებას კი — ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა. — ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორ აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალ-არეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და, იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამიგონე ჭორი. შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს, რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში, — როგორც მოყვარე, — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა, თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დატირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ. სჩანს შენი თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ჰქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა. დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გეჭცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცა? რაცა მჭონდა, ის

მოგართვი, როგორც შემეძლო ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი, რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელ-დაკრებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყივლია და გათენდება თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...

1863 წ.

სარჩოგელაზედ

პატარა ამბავი

I

შუა ზაფხული იყო. მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა. იმ დღეს, რა დღიდამაც ვიწყებთ ჩვენს ამბავს, ასეთი ცხარე მზე სწვავდა ქვეყანასა, ასეთი პაპანაქება იდგა, რომ დედამიწას ბუღი ასდიოდა, თითქო გახურებული თონეაო. კაცი სიცხისაგან დაოსებული ძლივს სულს იჭცევდა. ამისთანა დღეს საქონელ-გამოშვებულნი ღვინის ურმები იღგნენ მწკრივად ლოჭინის ხევის პირს. ხევში წყალი გოლვისაგან ისე მილეულიყო, რომ ძლივსღა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ. საცოდავი მეურმეები, ქანცგაწყვეტილნი სიცხისაგან, გულდაღმა გაშოტვილიყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ. ყველას ეძინა,—მარტო ორიოდ ბიჭი, კალთებ-აწეულნი, იდგნენ გუბის პირას და ხის ჯამებით ასხამდნენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულს კამეჩებსა, რომელნიც გუბეში ეყარნენ. აქეთ, პატარა მოშორებით, თავი მოეყარათ ხარებსა, ჩამდგარიყვნენ გუბის პირას. თვალებ-დახუჭვილნი იცოხნებოდნენ და კუდით იგერიებდნენ მოუსვენარ ბუზებსა.

მზე გადიხარა; თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენაჩავარნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალნენ მეურმეები თვალების ფშვნეტითა; პირზედ წყალი შეისხეს და შეაბმელად მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად კასუ-ლიყო და სცოხნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა. „ჰოო, ხიო, პატრონ-ძაღლო, ...“ და სხვა ამისთანა და ამაზედ უარესიც ისმოდა მეურმეების ხმაურობაში. როცა შეაბეს და წინა-

მეურმემ შოლტი გამართა, რომ ხარებს გაუტყლაშუნოს და დაძრას ურემი, მაშინ უეცრად ხევის ყურიდამ ორი ყმაწვილი გამოვიდა გზაზედ. ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები“ ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური უწინდებური უკაზიროკო ქუდი

ჩერქეზულ-ქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქნებოდა, მეორე ან თოთხმეტისა, ან ხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი. ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, — უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგავდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული იყო და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო. პირველი იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა, — შესამჩნევი არა იქნებოდა-რა, ავის კაცის კვალზედ დადგებოდა, — ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა. მეორეს კი სხვა ნიშან-წყალი ჰქონდა.

— გამარჯვება თქვენი, — უთხრა მეურმეებს უფროსმა.

— აი, გაგიმარჯოთ. — მისცეს პასუხი.

— თქვენ უთუოდ ქალაქს მიდიხართ.

— გამოცანა გერგება, — დაუძახა დაცინებით ერთმა მეურმემ.

უფროსმა ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუცითაც. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ თავი მალე შეიკავა. ეტყობოდა, რომ გულის მოძრაობას მოერია.

— აი, დალახვრა ღმერთმა ავი კაცი! — წამოიძახა უფროსმა: — ჩვენ თუქურმიშის შკოლაში ვიყავით, ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები...

— ბეჟან! — დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას და ისეთის თვალით შეხედა, რომ სიტყვა გააწყვეტინა. ეტყობოდა, რომ უმცროსს რაღაც სიტყვა თავისის ძმისა არ მოეწონა და გაწყ-

რა. ბეჟანძა, თუმცა პირველში სიტყვა გაწყვიტა, მაგრამ მალე მოუტრიალდა გაწყვეტილ ამბავს და ძმას ყური აღარ ათხოვა.

— ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები, — განაგრძო ბეჟანმა, — მამა-ჩვენმა ქალაქიდამ ერთი თუმანი გამოგვიგზავნა, — როცა დაგითხოვონო, ერთი რუსის პოვოსკა დაიჭირეთ და წამოდითო. ჩვენც, — აი, ამოაგდო ღმერთმა ავი-კაცის ქოქი, — ერთს რუსს გავურიგდით, რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში ჩავეყვანეთ. წამოგვიყვანა, გზაზედ დუქანში დაგვეთრო, გადმოგვყარა პოვოსკიდამ, თითონ შინ დაბრუნდა და ჩვენ ასე გამოგვისტუმრა. ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულძაღლმა.

უმცროსი მთლად აირია. მიტრიალდა, ზურგი მეურმეებს და თავის ძმას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააცქერდა ჩამავალს მზესა.

— ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლია თან ჩემი, რომ ხუთ თუმნადა ღირდა, — დაიწყო ისევ უფროსმა, — ჩოხას ჯანი გავარდეს, ის ძველი და სხვა ახალი: მამა-ჩვენი შემძლებელი კაცია...

უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად.

— ბეჟან, გეყოფა, კარგი!.. — უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც.

ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად:

— ორის დღის უჭმელები ვართ. ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა. აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში?

— ვაი ჩემს გამჩენს! — უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ. — უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ! ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი ავ-კაცს. რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ.

უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდაო და უკვირსო.

იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა,

მეორე — მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუ! ხა პატარა ტიკ-ჰორიდამ.

— ვაი შენს პეტრეს! — დაიწყო იმავ დროულმა. — ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ? შეექეცით, შვილო! ეხლა კი ამ მშრალს პურს პურადძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჰმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს.

პეტრემ დაისო ორნივე თავის ურემზედ; წასვლა უთხრეს წინამეურმესა. დაიძრა ქარავანი ურმებისა. ამტვერდა მშრალი გზა.

იმავე დღეს, გლეხის ვახშმობის დროს, ამ მეურმეებმა ქალაქის პირში გამოუშვეს ურმები, რადგანაც ღამე იყო, და ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ. მეურმეებმა თითო-თითო ღერი შეშისა, შორიდამ წამოღებული, გადმოიღეს ურმებიდამ და ცეცხლი დაანთეს. პეტრემ შესწო მწვადი თავის პატარა სტუმრებისათვის და როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა. ვახშამი სჭამეს. დაღალულნი მეურმეები დაეყარნენ და ძილს მიეცნენ. საქონელი მინდორზედ საძოვნელად გაიშალა; ღამის მეხრეები გვერდით ედგნენ ყარაულად. პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი და უთხრა:

— თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთ.

ყმაწვილები დაწვნენ, პეტრეც შორი-ახლო მიეგდო და მკვდარსავით დაეძინა.

გათენდა მტრედისფრად. მეურმეები აიშალნენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ვეღარა ნახა. მიიხედ-მოიხედა და თვალი ვეღარსად ვერ მოჰკრა.

— ვაი შენ ჩემო თავო! — დაიძახა ბებერმა პეტრემ, რაკი გული დააჯერა, რომ ყმაწვილები გაპარულან, —აკი არ მომატყუეს ეს დროული კაცი! გაპარულან!.. წაილებდნენ რასმეს!..

იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა. კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა:

— აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! — სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ. — ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე. აი, დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდო. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი: მამი, — დაჰბერდი, შორს

გზაზედ მეურმეობაში ველარ გამოდგებიო. აკი ველარ გამოვდეგ: მე კი მეგონა აღზევანსაც წავალ-მეთქი კიდევ მარილზედ. ჰაი, ტა, ტა, ტა... დავბერდი, დავჩაჩანაკდი... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამქურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა!.. ჯიბე მომჭრეს, ჯიბე. ვაი, შენ ჩემო თავო!

— ბევრი წაიღეს? — ჰკითხა ვილაცამ.

— სამი და ათი შაური, — მიუგო პეტრემ. — აქ, შვილო, სავალალო ეგ კი არ არი, მაგას ვინა სჩივის. ეს სირცხვილი როგორა ვჭამო, როგორ! უსუსურმა ბავშვმა გამქურდა. ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ. ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს“.. არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულია. ფუ, ეშმაკს! მერე ვინა? ჯერ ტუჩებზედ დედის რძე არა ჰქონდათ შემშრალი... ეს დროული კაცი... აი ტაი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც.

გაიქნივა თავი ისეთის ღიმილით, თითქო ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს, მაგრამ გულში კი მართლა სცხვენოდა.

II

გავიდა ოთხი წელიწადი. გაზაფხულის პირი იყო. პეტრე, უწინდელზედ უფრო მიბერებული, ქალაქს მოდიოდა, წისქვილის ქვები უნდა ეყიდნა. მაგრამ როგორ მოდიოდა? იმავე თავმოწონებით, როგორც უწინ, ხოლო ეხლა სხვა მიზეზი ჰქონდა თავმოწონებისა. მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურმეობაზედ — ვხედავ, ალარ ვარგივარო, — ეუბნებოდა ხოლმე თავის შვილს გულის ტკენითა. ეხლა ამის ღვინის ურემზედ მისი უფროსი შვილი უჯდა და ხარ-კამეჩს ისა ჰხმარობდა. თითონ კი გადაებოტნა უშველებელ სავსე რუმბზედ და ყეინსავით გამოჭიმული იჯდა. გზის მამალი*

* ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ — მამალია. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი, წინა-ურმის მეურმობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას.

ამის შვილის ურემზედ დაესვათ. პირველობაც ურმის ქარვანში ამის შვილისათვის მიეცათ. პეტრეს ეს ამისთანა პატივი შვილისა და ტოლებში თავგამოსაჩენი ამბავი ძალიან უხაროდა და თავი მოსწონდა. უხაროდა და ჰფიქრობდა: შინ რომ მივალ, ჩემს ბებრუცუნა ჯალაბსაც ვახარებო ჩვენის შვილის გაპატიოსნებასაო.

პეტრეს ქალაქში ერთი ორიოდ დღე მოუგვიანდა. ქარავანიც დაბრკოლდა რაღაც საქმეზედ და ჯერ არ აპირობდა ქალაქიდამ დაძვრას. ბოლოს სთქვეს: დღეს საღამოზედ, მზე რომ გადიხრება, უნდა ქარავანი დაიძრასო. პეტრემ ნაყიდი წისქვილის ქვები დაუდო ურემზედ და ბაკში მიიტანა, საცა ქარავანი იყო გამოშვებული. შუადღეც მოტანებული იყო და იმ საღამოს გასვლას აპირობდნენ. პეტრემ სთქვა: მაინც საქმე არა მაქვს-რა, მოდი, ერთი ავლაბრის მოედანზედ გავალ, ქვეყანაა, შევიტყობ რასმესო. მოედანზედ ხალხი ირეოდა, როგორც ყოველთვის. ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ქრიამული და ყაყანი გაჰქონდათ. პეტრეც ერთს ამ ჯგუფში გაერია, ერთი შევიტყო, რას ყაყანებენო. აქ გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო. პეტრეს თაცის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწია აქეთ.

„ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო, — სთქვა გულში, — მოდი, ერთი ესეცა ვნახოო“.

სთქვა და გაჰყვა ხალხს, მახათაზედ მიმავალს. მახათაზედ ბუზსავით ხალხი ირეოდა. აქ თავში, ერთ განაპირებულს ადგილს, სარჩობელა გაემართათ და გარშემო ჯარი ედგა. წინ ფართო მოედანი ხალვათად იყო, არავის არ უშვებდნენ ახლო. პეტრემ მიიხედ-მოიხედა, ნახა ამოდენა ხალხი, კაცი თუ დედაკაცი, და გაუკვირდა.

„ვთქვათ, კაცები ჩემსავით თამაშად მოსულანო, ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო, ეგრე თავი მოუყრიათ! რა მაგათი საქმეაო“.

ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო.

„არც ეგ არის ურიგოო, — სთქვა გულში პეტრემ, — ეგ უფრო კარგიც იქნება, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს,

ღვთის სულო ადამიანია. კიდეც იმიტომ ამოდენა მანდილოსანს, თავი აქ მოუყრია. დედაკაცის თვალი მსუნაგია თვალთმაქცობაზედ... ახლა იმ სომეხმა რომ მომატყუა, კაცს არჩობენო, რა გაიტანა? აქაო და სოფლელია, მალე მოტყუვდებაო. ვთქვათ, რომ მოვტყუვდი, მითამ რაო? თამაშას ხომ ვნახავ... ღვთის წინაშე კი, იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნება არც წამოვსულიყავ, აი! ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს".

ბევრს რაღაცაებს მოსთქვამდა გულში ჩვენი უსაქმო პეტრე, სრულად დარწმუნებული, რომ აქ თვალთმაქცობა რამ იქნება, თორემ დედაკაცებს აქ ან რა ხელი აქვთო, ან ვინ მოუშვებდაო.

ბოლოს ვიღაცამ გაიხმაურა: „მოჰყავთ, მოჰყავთო". მიიხედა პეტრემ, ნახა, რომ სალდათებს ერთი ვიღაცა რუსულ ფარაჯაში გახვეული კაცი მოჰყავთ.

— ჰა, პეტრევ!.. — არიგებდა პეტრე თავის თავს, — არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გეგონოს!.. ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუვდაო.

მაინც კი გაიწია, რომ ახლო ნახოს. იმდენი მიძვრა-მოძვრა ხალხში, რომ გაინაპირა თავი. სალდათებმა ზედ გვერდზედ ჩამოუარეს და ჩამოუტარეს ფარაჯაში გახვეული კაცი.

— აი, დალახვრათ ღმერთმა! — სთქვა თავისთავად პეტრემ. — მართლა სალდათებს არა ჰგვანან, ე! რა-რიგ ჩაუცმევიათ! ი თოფების ჭერაც რომ უსწავლიათ!.. რას არ მოიგონებენ ე ქალაქის ბიჭები! დახე, სულ რუსის ბიჭებსაც რომ ჰგვანან.

ამ ლაპარაკში რომ იყო, თვალი მოჰკრა ფარაჯაში გახვეულს. ის იყო ოცისა თუ ოც-და-ერთის წლის ყმაწვილი ბიჭი. წვერ-ულვაში ახლად გამოშვებული ჰქონდა და ლეკურად დაყენებული. სახეზედ ზაფრანის ფერი ედო. პეტრეს რაღაც ფიქრმა გაურბინა გულში

— რა ვქნა! ეს ბიჭი მეცნობა. ღმერთო, მომაგონე: სად უნდა მენახოს? — ჰკითხა ამაოდ თავისთავსა, ამაოდ იმიტომ, რომ ვერ მოეგონა, სად ენახა.

— ეჰ, ქალაქის ბიჭი იქნება ვინმეო, — სთქვა ბოლოს. — ბაკებში დღეში ათასი კაცი შემოდის და გადის, იქნება იქ მენახოს და

გულში ჩამრჩენოდეს, ვინ იცის? არა, რა-რიგად გაფითრებულა, მითამ და მართლა არჩობენ. ჯამბაზი თითონ ეს იქნება სწორედ. არა, შვილოსა, ვერ მომატყუებთ!..

— ვუი, ვუი შენს დედას!.. — იძახოდნენ მანდილოსნები. — რა ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა!..

პეტრეს გაუკვირდა ეს ძახილი.

— აი, დედაკაცები არ არიან, თმაგრძელი და ჭკუამოკლე! — სთქვა თავისთავად პეტრემ. — რა მალე მოტყუვდნენ. ხომ თითონაც სუყველანი თვალთმაქცები და კუდიანები არიან, მაგრამ აჰა... ეგენიც კი ტყუვდებიან. მაგრამ იქნება ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელიაო. ჰა, პეტრევ!.. თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე!.. არ შერცხვე ეს დროული კაცი; ამოდენა ჯარ-ჯამაათის სასაცილოდ არ გაიხადო თავი. დასწყევლოს ღმერთმა ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი, რა მალე შეგვატყობენ ხოლმე სოფლელ კაცს, თითქო შუბლზე გვეწეროს.

— რა გენაღვლებოდა, შე უბედურის დღისავ! — ამბობდა ერთი დედაკაცი ჩადრში გახვეული, — შენთვის ყოფილიყავ და ამ დღეში არ ჩავარდნილიყავ. ვაი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო!

— დიალ, მოჰყევ ენაჭარტლობას, — ამბობდა გულში პეტრე, — სწორედ დაგიჯერე, აი. არა, აქაო და სოფლელი ვარ, არ გამაბრიყვო კი, თუ ღმერთი გწამს...

— ეგა სთქვი, ეგა და! მაგრამ კაცის წერა რაც იქნება, ის არის, — უპასუხა მეორე დედაკაცმა, — საცოდავი წერას აუტანია. მაგრამ ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი მაგის მშობლების ბრალი, რა ცეცხლში ჩაცვივიან! ღმერთო, დაიხსენ ყველა ქრისტიანი.

— ბიჭოს! — სთქვა გულში პეტრემ. — პირობა შეუკრავთ, თუ რა ღმერთი გასწყრომიათ. აქედამ მოვშორდე, თორემ ერთს სირცხვილს მაჭმევენ ეგ კუდიანები, მე და ჩემმა ღმერთმა.

სთქვა და ადგილი გადინაცვლა.

მივიდა და ჩადგა ახლა სულ სხვა ჯგუფა ხალხში. აქაც დედაკაცები ბლომად იყვნენ. ერთი გული ეუბნებოდა, მოდი ვკითხავ, რა ამბავია, მეორე კი ეუბნებოდა, სირცხვილია, დამცინებენო.

— რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი! — სთქვა ერთმა დედაკაცმა, — ჯერ დღე სწორედაც არ გასთენებია და ეგრე ადრე და მალე კი უნდა მზე დაუბნელდეს.

— რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული, ღმერთო, მაგისთანა დღეს ნუ შემასწრობ! — დაუმატა მეორემ და ჩაიკრა გულში ხელი.

— აბაიმე, აბაიმე!.. — სთქვა გულში პეტრემ, ეხლა კი ცოტა წყენითა, — ჩემზედ მოიცალა ამოდენა ხალხმა, თუ რა ამბავია ჩემს თავს. ესე მალე როგორ შეკრა ყველამ პირობა!.. ახა ღმერთო ჩემო! კარგია, არა ვკითხე. აბა კოჟინას დამცემდნენ, აი! ჰა, პეტრე, გაფრთხილდი, არ გაგაბრიყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი. აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან: დასწყევლოთ ღმერთმა, ყველამ ჩემზედ არ მოიცალა!

ამბობდა ამას თავის გულში პეტრე და ეგონა, რომ მართლადა ეს ხალხი ამისათვის არის მოცლილი, სოფლელია და გავაბრიყვოთო. ამათაც გაექცა და ხელახლად გადინაცვლა ადგილი. ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჰკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევს.

III

ამასობაში ის, ფარაჯაში გახვეული ბიჭი, მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ცალმხრივ მღვდელი მოუდგა, მეორე მხრივ ვილაცა ჩინოვნიკი. წითელპერანგა ჯალათი უკან ედგა.

— ე მღვდელი რაღას გაუგიჟებია, — ეუბნებოდა თავისთავს პეტრე, — ტერტერა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ამას რად იკადრებდა. ის წითელპერანგა ვინ უნდა იყოს? იქნება თავი-და-თავი ჯამბაზი ეს იყოს.

ჩინოვნიკმა ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა.

— ეს თილისმის ლოცვა იქნება, — სთქვა პეტრემ თავისთავად. უთუოდ ჯადოს იქმონენ, თორემ აი ვნახოთ. მაშ კაი ამბავი იქნება.

მერე მღვდელი რაღასაც ეუბნა ფარაჯში გახვეულს. პეტრემ თუმცა ყურები აცქვიტა, ფეხის თითებზედაც შედგა, მაგრამ შორს იყო და ვერა გაიგო-რა.

ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი. მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით

წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა. თითქო სული შეეხუთაო, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგაო.

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფორთხალი. დიდხანს იქნივა საწყალმა ფეხები.

— დილამდი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ, ამბობდა თავისთავად პეტრე.

ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდეც. დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ნახა. პეტრემ მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ აღარავინ რჩება აქ. ჯარიც წამოვიდა, მარტო ორი ყარაული-ღა დარჩა სარჩობელასთან. იმ წითელპერანგა კაცმაც გადიცვა რაღაც სხვა ტანისამოსი და გამოსწია. სარჩობელაზედ დარჩა უძრავად დაკიდებული ის უბედურის შვილი. პეტრე გაოცდა.

— ბიჭოს, ეს იყო! — სთქვა თავისთავად. — ვერაფერი თამაშა იყო. იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვალეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს, ფეხებს რომ იქნევდა?.. მართულებს ვერ გაუკეთებდნენ თუ!.. მართულებით თუნდ ლეკურსაც ათამაშებენ. მაინც ვერაფერი ამბავია, ტყუილად მოვცდი. აი, აქ კი მოვტყუვდი. ამბა ვგდებულიყავ ჩემთვის ბაკში. ერთი ლაზათიანად გამომეძინა, ის არა სჯობდა? მე ვთქვათ ჰო. ეს ამოდენა ხალხი რაზედ გაბრიყვდა? ბიჭო და, იქნება მართლა ჩამოარჩეს!.. ნეტავი მეკითხა. ეჰ, დამცინებდნენ... ჰა, ვინ იცის? ე ხალხი რომ ასე ქეიფია გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთის-კერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი. მაგრამ ე დედაკაცობას რომ სულ ერთიანად თავი აქ მოეყარა!..

გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო — რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცო-

ბაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ გითხრათ. პირველში მოტყუებას უფრო ჰთაკილობდა მისი გული: აბა თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც უფრო ადვილად ჰყაბულდებოდა ჩვენი პეტრე. მაინც კი ძალიან უნდოდა შეეტყო მართალი.

ბევრჯელ გაუწია გულმა, მოდი დავეწევი ვისმე და ეკითხავო; ბევრჯელ მივიდა კიდეც და უნდოდა ეკითხნა თუ არა, შეფერხებულა: — არა, შვილოსა, დამცინებენო, ისევ ჩემს ჭკუას ავყვე, ისა სჯობიაო.

ამ ფიქრებში გართული მიბარბაცებდა ჩვენი პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ. გზაზედ დუქანი დაინახა. დუქნიდამ ხალხის ჟრიამული გამოდიოდა. — მოდი, შევალ, ერთი ვნახოთ, რას იტყვიან დღეანდელ ამბავისასო. იფიქრა: თანაც ცოტად დავნაყრდები, დილას აქეთ არა მიჭამია-რაო. შევიდა, მოითხოვა ნახევარ ჩარექი ღვინო, მოათლევინა გამხმარი ზურგიელი, მიჯდა კუთხეში და ქეიფს მიეცა. დაჯდა თუ არა, თითქო ფეხდა-ფეხ მოჰყვაო, შემოვიდა ერთი ნაბადში გახვეული ყმაწვილი კაცი. ამ ახლად მოსულმა მოითხოვა საწერ-კალამი, ქაღალდი, დაეყრდნო დაზგას და წერა დაიწყო. ჩვენი პეტრე ხელახლად დააცქერდა ახალს სტუმარს. რა ვქნა, სად მინახავს ეს ბიჭიო, იძახდა გულში. თითონ ბიჭი თავაუღებლად სწერდა წიგნსა. ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა. პეტრეს დავიწყებია ალბუნშიაც არ მოსდიოდა და იმ ბიჭის ცქერაში ისე ნელა ილოღნებოდა, რომ საღამომდისაც თავის საუზმეს ვერ გაათავებდა. მისი ფიქრი სულ ის ბიჭი იყო: რა ვქნა, მეცნობა და რატომ არ მაგონდებაო. წამ-და-უწუმ ეკითხებოდა თავისთავს და თვალს არ აშორებდა მზემ კარგა გადიხარა ჩასავალისაკენ და პეტრე კი იმ ბიჭის ვინაობით გაკვირვებული არ იძროდა ადგილიდამ. ბოლოს, რომ მეტი გზა აღარ იყო, პეტრე წამოდგა და, იმ ბიჭის უამბობით წყურვილმოუკვლელი მივიდა, მედუქნეს გაუსწორდა, ერთი კიდევ გადაავლო თვალი იმ ბიჭს და ფუსფუსით გაექანა ავლაბრისაკენ. ჯერ ბაკებამდე კიდევ კარგა მანძილი იყო, რომ უეცრად უკანიდამ ვიღაცამ მხარზედ ხელი დაჰკრა. პეტრე მობრუნდა. დაინახა ისევ ის ნაბადში გახვეული ტანად მაღალი ყმაწვილი ბიჭი, თვალებზედ ჭუდჩამოფხატული.

— აჰა, ჩამომართვი ეს წიგნი, — უთხრა ყმაწვილმა ბიჭმა და მიაჩეჩა ხელში ქაღალდი. — თუ შენ კითხვა არ იცი, წააკითხე ვისმე და ყური კარგად დაუგდე. დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობ.

სთქვა ესა თუ არა, მაშინვე გამობრუნდა ყმაწვილი ბიჭი. და თუმცა ნაბიჯით წამოვიდა, მაგრამ ისე ჩქარა კი, რომ ჩვენი პეტრე სირბილითაც ვერ დაეწეოდა. პეტრემ გაოცებულმა მარტო ესღა მოასწრო ეკითხა წარმავლისათვის:

— ბიჭო, ვინა ხარ? სახელს მაინც მეტყოდი.

— წიგნი გეტყვის, წიგნი, — დაუძახა ნაბდიანმა და გასწია ისე, რომ უკან აღარ მოუხედნია.

ეხლა მოაგონდა პეტრეს, რომ წეღან სარჩობელაზედ ერთი ნაბდიანი ბიჭი სულ გვერდით აეტუზებოდა ხოლმე, საითაც კი წავიდოდა.

— განა არა, — სთქვა თავისთავად, — მაშინვე მივხვდი, რაღაც ამბავია. როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დამტრიალებდა. ნაბდიანი იყო, მაგასავით თვალებზედ ქუდი ჩამოეფხატა. სწორედ ისევ ის ბიჭია, თუნდა დაგენაძლიო.

ვის ენაძლევებოდა, ეგ არ ვიცი, ხოლო ეგ კი იყო, რომ წიგნი აიღო-დაიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ჩაიდო ჯიბეში და სთქვა ნატვრითა:

— ახ, ნეტავი წიგნი კი ვიცოდე და! დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობო. იქნება მატყუებს კიდეც, მაგრამ რაო? თავისთავს მოატყუებს, მე რა? თითონ წავიდა, ხომ ვერ დამცინებს.

IV

უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ. გული არ უთმენდა, უნდოდა მალე გაეგო რა ეწერა წიგნში. ამის შვილმა წიგნი კარგად იცოდა. მღვდელთან იყო ნასწავლი. პეტრე მიდიოდა, მაგრამ გული ფეხს უსწრობდა.

— რა-რიგ გაგრძელდა ეს ოხერი გზაო, — ამბობდა გულში, — მივდივარ და ვეღარ მივსულვარო.

ბოლოს, როგორც იყო მივიდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და სულს ძლივს იბრუნებდა დაღალულობისაგან. მიათვალ-მოათვა-

ლიერა იქაურობა, ნახა, რომ არავინ არის. მეურმეები დაქსაქსულიყვნენ, ბაზარში გასულიყვნენ, ზოგს რა უნდა ეყიდნა საშინაოდ, ზოგს რა. პეტრეს იამა, რომ არავინ იყო ბაკში, იამა უფრო იმიტომ, რომ ამისი შვილი მარტოკა აქ სადმე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქალაქში იმას არაფერი საქმე ჰქონდა. მართლადაც, იქავ დერეფნის გრილოში იპოვნა შვილი; მიწოლილიყო გრილოში და ეძინა. გაალვიძა.

— ერთი ადეგ, ეს წიგნი წამიკითხე, — უთხრა პეტრემ და მიაწოდა წიგნი.

შვილმა თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა და წიგნი ჩამოართვა.

— სად გიპოვნია, მამი? — ჰკითხა შვილმა.

— მიპოვნია კი არა! მოვდიოდი და ხელში მომაჩეჩეს, — უპასუხა პეტრემ. სხვა რამის დამატება მეტი ეგონა.

შვილმა წიგნი გახსნა, გადაშალა და ასოგნაციები გაღმოცვივდა გაოცდნენ შვილი და მამა, ეს რა ამბავიაო. შვილს ფულის დათვლა უნდოდა, მამა გაუწყრა და ტუქსვით უთხრა მოთმინება-ლაკარგულმა:

— რა დროს ეგ არის! ერთი წაიკითხე-მეთქი, რა სწერია. ლამის გული ბუდიდამ ამომვარდეს, ველარ მომითმენია.

შვილმა დაიწყო კითხვა:

„დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩეს, ჩემი ძმა იყო“...

— რაო? — გააწყვეტინა კითხვა ზარდაცემულმა პეტრემ და ელდისაგან გაფითრდა. — ჩამოარჩესო!.. მაშ მართალი იყო ის ამბავი!.. მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდა მერე!.. წაიკითხე, წაიკითხე. ნეტა არ მენახა.

— მამი, რას ამბობ? — ჰკითხა გაოცებულმა შვილმა. — რატომ ეგრე დამთხვევით და გადარეულად ლაპარაკობ!?

— წაიკითხე-მეთქი, მე ვიცი რასაც ვლაპარაკობ, — უთხრა პეტრემ წყრომით და გულის აღელვებით. საწყალი ბერიკაცი სულ თრთოდა, თითქო ციება აცახცახებსო.

შვილმა გაიქნივ-გამოიქნივა თავი, — მამა-ჩემს ეს რა დამართვიაო, და დაიწყო ისევ კითხვა:

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვილაც აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც

მამისაგან დედულ-მამული გვქონდა, — ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა — სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინამოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდამ ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი. მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მიხედ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდება.

...გახსოვს, ამ ოთხის წლის წინად ლოჭინის ხევის პირას რომ ურმები გამოშვებული გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უპმელები. საწყალძა

ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყვერა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა!

„შენ მაშინ გულის-ტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი, თუმცა ძალიან დაღალული ვიყავ. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალხზედ შემიდგა. მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. ვაწყლეს, საცა წვრილია-მეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი.

„გაგჭურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ არ გაგვეძარცოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაზღვევინეთ. ამით ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა...

„ამ ორის წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო. სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი.

ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი. მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მჭონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზეღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.

„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო. — აჰა, გადაგიშალე და ლოდი ამეცალა.

„შენს სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისხა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

— მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა.

მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...

1879 წ.

ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი

საახალწლო მოთხრობა

I

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი წინა-ღამე ახალის წლისა მალე გათენდეს-მეთქი. მე მახსოვს ეს წინა-ღამე, ეს წინა-ღამე ახალის წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარეთ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსფუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახაზსა ჰზელდნენ, იქ ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა, მოდით პირი ჩაიტკბარუნეთო, იქით დედა-ჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ თვალებ-დაჭყეტილები ამაებ-შორის დავძვრებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრობდით და თითს ამოვავლებდით თაფლს. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა. ჩვენც ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთო სალოკავად. ყველაზედ უფროსი ჩვენში თორმეტს წელს არ იყო გადაცილებული.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა,

გადამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ეხლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევია, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებ შორის. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა დედას, მამას. მესმის ტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედი-ჩემისა, მამი-ჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ესე იგი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა. რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით აგრილებს გულის-წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა.

ყველაზედ მეტად დამახსოვდა ერთის ახალის წლის წინა-ღამე. ჩვენ, პატარებს, არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან, თუ მეტის-მეტ გართობისაგან, ძილი აღარ მოგვეკიდა. არა ერთხელ და ორჯერ გვიბრძანა დედამ: წადით, შვილებო, დაიძინეთო, და ჩვენ კი თითით ყელს ვუწევდით და ისე ვეხვეწებოდით: დედას ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. დედა გოზინაყებისა და ალვახაზის სამზადისში გართული იყო, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამა-ჩვენი კი ბოლთასა სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რო დაცუცუნებდა ჯამებსა და ტაბაკებს შორის, როგორღაც ფეხი წამოჰკრა ერთს უშველებელს ბადიას და შიგ ყოფილი თაფლი კი პირქვე წამოაქცია. დედას ძალიან ეწყინა და არ იყო რომ გაჯავრებით უთხრა მამას: ერთი თა-

ვიდამ მომაშორე, ღვთის გულისათვის, ეს ბაჯაღლანები!.. გაასხი იქით ოთახში, ზღაპარი რამე უამბე, იქნება დაეძინოთ და მომასვენონო.

მამა-ჩემმა ძალიან კაცი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა ყურის-გდება ზღაპრისა. გვიამა, რომ დედამ დაავალა მამას ზღაპარი ეთქვა. მივცივდით ჩვენც, ზოგი ხელზე ჩამოვებობღენით, ზოგი ახალუხის კალთაზედ.

— შენი ჭირიმე, მამილო, ზღაპარი გვითხარი, — შევბღავლეთ აქეთ-იქიდამ, — დედა აქედამ გვერეკება და შენ ზღაპარი მაინც გვითხარ, არ გვეძინება.

— ბატონი ხართ, აბა, წავიდეთ.

მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით. ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აპრიალებულის ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გრძელი ტახტი იდგა, ავიდა მამა-ჩვენი, ტახტზედ მოიკეცა, ჩვენც გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულდაღმა წამოუწვა მამას, იდაყვებზედ დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზედ დაანდო და ისე შეაჭყიტა მაყვალსავით შავი თვალები, თითქო მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზედ მომდევარს მესამე ძმას, მაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ.

მამამ დაიწყო:

„მე ადრევაც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე, ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებითა. აი, ერთი ამისთანა ვაჟკაცის ამბავს გეტყვით და კარგათ დაიხსომეთ.

II

ერთ დროს ჩვენა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეინად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინ.

ამ ყეინმა გამოჰგზავნა დიდის ჯარით თავისი სარდალი, რომ წა-
ქართველო აიკლოს და თავისად დაიჭიროს. დაიძახეს ჩვენცაც
ჯარიანობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად.
შეიყარა ორი ერთმანეთზედ სამტროდ გამართული ჯარი საომრად.
ერთს მხარეს დაეწყვნენ ყიზილბაშნი, მეორე მხარეს ქართველები.
გაიმართა ომი. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია. მე მარ-
ტო ერთს რასმე გიამბობთ, რაც ამ ომში მოხდა. როცა გაცხარდა
ბრძოლა, მაშინ გამოჰქუსლა ერთმა ყიზილბაშმა ცხენი და გამო-
ვარდა მოედანზედ რაზმიდამ. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ
ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ომშიო. ეწყინა ქართველ ყმაწვი-
ლობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა, —
დახე, როგორ გვბრიყვობს?! კაცად აღარ გვაგდებს თუ, რა ამბა-
ვია, რომ ასე უშიშრად გაგვირბის და გამოგვირბისო, იძახდნენ.

ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილ-კაცმა ცხენს ქუსლი და ზედ
მიაგდო ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულის-ფიცარში შუბი
და საბრალო ვაჟკაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ და-
ეცა დედამიწაზედ.

— აი, ქუდიც არა მხურებია, აი, დედის ძუძუც არ შემრგებია,
თუ მაგის სისხლი შეგარჩინოვო, — დაიძახა ახლა სხვამ და მიაგდო
ცხენი ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდამ და უფ-
რო გახალისებულმა გამარჯვებით გაათამაშ-გამოათამაშა ცხენი მოე-
დანზედ. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას
ცალკე იგივე დღე დააყენა თათარმა. ასეთი ყმაწვილი კაცები დაჰ-
ხოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეწუხდა ქართველობა: ეს
სირცხვილი როგორა ვეჭამოთო, შინ რა სახელით-ღა მივიდეთო. არ
იცოდნენ, რა ექმნათ. ყველას შიში და ფიქრი მიეცა. ველარავინ
ჰბედავდა გასვლას. ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზედ ცხენს,
თითქო ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუნში-
აც არ მოსდისო.

— ნიკოლოზ სად არის, ნიკოლოზი! — დაიძახეს ქართველებმა: ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედა-კაცის ლეჩაქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო.

— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილო, ნიკოლოზ! — გაჰკივლეს აქეთ-იქიდამ ჩვენებმა.

გოსტაშაბიშვილი თურმე გაცხარებულ ომში იყო და ამ კივილ-

ზე ომიდამ გამოვიდა. ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა, როცა მისცვივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უამბეს. გოსტაშაბიშვილი, მართალია, ძალიან გათქმული და ხახელოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

— სად შემიძლიან მე ეხლა დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს იმასთან ომის გასწორება, — უთხრა ყმაწვილებს გოსტაშაბიშვილმა, — ვერა ჰხედავთ, ახლად ულვაშ-აშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს.

— ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ. იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ, — შეევედრნენ ჩვენები.

გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა, ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების კიჟინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენდა-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდამ ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდამ გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა“.

1880 წ.

ოთარაანთ ქვრივი

I

რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?

იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი. სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად.

ნაცვალი თუ იასაული, — რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, — ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ, და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა, ნამეტნავად გზირს კარგად ახსოვდა ერთი ამბავი, და მერე ხომ მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაართმია, — დიამბეგი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, — და ასეთი ვაი-ვაგლახი დააწია, რომ ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელ გზირსაო. თუმცა თითონ ქვრივსაც ერთი ათიოდე მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

— ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?! დეე, ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს შეძახიანო.

სწორედ იცოდნენ კიდეც. ჯგუფად რომ გლეხკაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე, — ნაცვალი თუ მამასახლისი, — და ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაე-

ნახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო.

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვეულებულს და გაკაპასებულს ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები.

— დაჩუმდი, შე არ-გასაწყვეტო, თორემ, აგერ, ოთარაანთ ქვრივი მოდისო.

ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად იცოდა და ბევრს არ ჰნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან. ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

— ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაო, — იტყოდა ხოლმე თავისთავად. — ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვივლიო.

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო. — იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, — არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ნახე, რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტრვით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.

— რაო, მუქთამჭამელოო? — ეტყოდა ხოლმე, — შენს ქმარს თავისთავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები, — აი მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამა-შენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზედ დაადგება, აი!.. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

— ტკბილი სიტყვა რა არისო! — იტყოდა ხოლმე. — ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა, თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის-ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულსა და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვაროონ; გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. რის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

— ოთარაანთ ქვრივს გულის შაგიერ ქვა უდევსო, — ამბობდნენ სოფელში.

II

პილპილ-მოყრილი მადლი

მართლა ასე იყო თუ არა, ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილ-შვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილ-შვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდე შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

— აჰა, ხეთქეო, — ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, — დაგილია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ-დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარ-

ძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწუკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა-პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებელნი შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

— მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო, შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია — მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...

გლახა-მთხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა.

— ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, — მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, — დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიდამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს. ქვეყნისა არა გრცხვენიან! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!..

თუ მეტად შესაბრალისი და ღონემიხდილი გლახა შეხვდებოდა, ამაებს ხომ ეტყოდა და ბოლოს დაუმატებდა:

— წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ, ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, — ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გაიმეტოს-რა. აი, ქვევრში რაღაც წუშპე ნაძირალა დამრჩა. მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.

წაიყვანდა, ერთ ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით.

ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია — თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგილანძღათ. როცა მთხოვარა გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა ფეხუცქელობით.

— დამაცა, შე არა-დასაცალებელო, — დაუძახა მთხოვარას.

მთხოვარა გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შოთი, მოვიდა მთხოვარასთან და დაუყვირა:

მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხავო!

გაოცებული მთხოვარა გაჰყვა, ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი გადმოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მთხოვარას, რომ საწყალმა თვალებზედ ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხვდესო.

— აჰა, შე არ დასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი. იქნება ამოსხმაც არ იცოდე შე დასაღუპავო.

— რაო ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? — ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

— მაშ არა-და, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, — იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

III

ხუთი ქისა

ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა. ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებული შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა. სჩანს შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული.

ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ. თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე, თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ, ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

— თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, — ამბობდა ხოლმე, — მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რითი არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!

ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა. ბოსტანში პატარა რუი იყო გაჭრილი და მუდმივ და გაუწყვეტლად წყალი ჩამოჩუხჩუხებდა, დიდის სასოფლო რუიდამ წამოყვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოლვა იყო, მაშინ კი წყალს სოფლელნი ერთმანეთსა ჰპარავდნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა და ნამეტნავად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმას!.. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზე თოხსა და აჰყვებოდა რუს თავამდინა. გლეხები რომ ამ ყოფით დაინახავდნენ ოთარაანთ ქვრივსა იტყოდნენ:

— წამოვიდა მეხი, და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო.

სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა. თარო

ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავიდამ ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფთა ჰურჭელი ქაშანურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გამოიცქირებიან მაღლიდამ, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასჩენიათ.

კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი ჭრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზედ თითო ბაცანკალი, ანუ როგორც ზოგან ეძახიან, სართუმალი სდგას ხარატით ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინა-პირზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში. ეტყობა ერთ დროს ლურჯად ყოფილა შეღებილი და ეხლა კი საღებავი გადასვლია. ამ სკივრზედ აკოკოლებულია ქვეშსაგები, ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული.

ამ სახლის, ანუ როგორც თითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით — ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო. არც მოსტყუვდებოდით. გლეხკაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეჰნატრებდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარ-გუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა.

ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგ მოსავალს იძლეოდა. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, — რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, — სამს საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველ-წლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმნადაც ბევრჯერ გაყიდულა თურმე, შინაც სახარჯოდ ღვინოს სამყოფზედ მეტს ინახავდა, ათის დღის მიწას ყოველ-წლივ ჰხნავდა. სყიდვით იქნებოდა, ალოთი თუ თავისის გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს

პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა „მიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიღას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“.

თვლა თუმცა მაგრე-რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა ანგარიში არევოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილეოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.

IV

განძი და ანდერძი

ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თაღის ქმრისაგან. ქვრივს კი მართლა უძვირფასესად მიაჩნდა და სხვისა კი არ ვიცით. ეს განძი თოფ-იარაღი იყო. მისი ქმარი, დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, გათქმული მონადირეც ყოფილა. სახლში რომ შესულიყავით და კერიდამ მარჯვენა ტახტის ზემოდ კედლისათვის შეგეხედნათ, ჰნახავდით ბუდით ჩამოკიდებულს კარგად მოზრდილ თოფს, ხმალს თავისის ყაწმებითა, ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს და საპირისწამლეს.

კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოეღო ეს იარაღი და გულდადებით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ ჰლოცულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა. რაც ქმარი მოჰკვდომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთმობრძავი რომ ყოფი-

ლიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაეწინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას, ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრეოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულიყოს.

— ვაი, ვაი მე უბედურსა!.. — ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს. — სადედაბეროდღა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი!.. უიმე!.. განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეცა!.. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე!.. წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენის წუთისოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად... ვაიმე უშენოსა!.. ყვირილობის თვეში რომ ირემს მომაყენებდა ურმით!.. იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით. ჰირიცა და ლხინიც სულ მღერითა და გალობით იცოდა. კაცი იყო. კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილს!.. იმისი მუშაობა რომ ენახა კაცს, — თუნდა მარტოც ყოფილიყო — ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!.. რო კვდებოდა, მაშინაც კი არ შეუკრავს წარბი, დამიძახა და მითხრა:

— რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შერჩები ამ წუთისოფელსაო, ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. სააქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო, რა გატირებსო.

— რა ვქნა მე უშენომა? — შევჩივლე მე.

— როგორ თუ რა ჰქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჰირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებიო... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატერინოო! გაიზარდოს და მერმე თითონ იცის. თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო. მამისეული თოფ-იარაღი შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია — გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის, ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს... ეი... მაგის ტყვიის ზუზუნი ერთ რათმედა ჰღირს!..

ეჰ, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს!.. არ დამცალდაო... შენც მენანები, მაგრამ ეგ უფრო მენანება, ბალღია, უსუსური, უმწეო. ეჰ, ნეტავი კი ეგ დავაჟკაცებული მენახა და!.. მერმე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდიო... ეჰ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო.

ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა-რა. სთქვა ეს თუ არა, გადაბრუნდა კედლისაკენ, ერთი ამოიკვნესა, ჯიგარი თან ამოაყოლა, „მივდივარო“ მითხრა და მიაბარა ღმერთს ალალი სული. ვაი შენს დამკარგავს, ჩემო კარგო თევდორე.

ყოველ ამას მოიგონებდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, კალთით მოიწურავდა თვალებიდამ ცრემლს, და მინამ თოფ-იარაღს კრიალს არ დააწყებინებდა, არ მოეშვებოდა არც წმენდას და არც ტირილსა. რა თქმა უნდა, რომ ამ ცრემლს არავის დაანახვებდა, შვილსაც კი, შვილსაც არ შეამცნევინებდა ხოლმე.

ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მოუმატა, არა დააკლო-რა, იარაღსაც კარგად უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის სულის საცხონებლად და ყოველ-წლივ აწირვინებდა.

შვილის მოვლას ხომ ზედ შეალია თავისი ყმაწვილ-ქალობა. ოცდა-ოთხის წლისა ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ. თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — არ გათხოვდა და არა.

—ი მერე რა პირით-ღა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო,— ამბობდა ხოლმე, — აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!.. მამაშენს ვუღალატო!.. შენ გაგცე!.. აი, უწინამც დედამიწა გაირღვევა და შიგ ჩამიტანს. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედა-შენი და იქ მამა-შენი აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!

იტყოდა ამას და შიგ გულში ჩაიკრავდა ხოლმე თავის პატარა ბუთხუზა ბიჭსა.



დედა-შვილობა

იმ დროს, როცა ჩვენ მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანსა და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო. მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო.

ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმისი სურვილი, გიორგის კი აინუნშიაც არავინ მოსდიოდა. ტოლ-ამხანაგობას აგრე-რიგად არ ეწყობოდა, და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის.

— ერთი გიორგის ხელუური მთელ ძნად შეიკვრისო, — ამბობდნენ გლეხკაცები: — ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო, მარტოხელი ძნის ურემს და-

უდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო.

ბევრს ამისთანაებს ლაპარაკობდნენ გიორგიზედ სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

— ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო, — ამბობდა ხოლმე ამისი დედა, — დიდი გამრჯელი, მაგრამ ცხონებულსავით გულღია და გულმხიარული არ არისო. ის ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქოს ღრეობასა და ლხინშიაო. ესეც იმისავით გულმოდგინეა, დაუზარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გახსნის და საქმეს შესცინებსო, — სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრულიო.

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის. მის უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა. თუმცა კარგა მოზრდილი იყო, მაგრამ გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცილა დედასა. გვგონია, პირველობას და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა, თუმცა შვილი გაგიჟებით უყვარდა. ან რა საჭირო იყო? ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა.

ამათს დედა-შვილობას ბევრი შეჰნატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდან მომავალს დაინახავდა.

ჩომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უმალავდა თავის გულის-ნადებსა. მარტო ეს კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხ-ქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

— მართალია და იმიტომაო, — იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, — ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გააწირმაეტებდა ხოლმე, რომ, თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა.

ერთხელ — ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა — ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუვნა. მოტყუებული ბალღი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ღილებს არ უბრუნებდა. გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბალღებთან ჰთამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბალღის გულამომჯდარს ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა და აემღვრა პაწაწა გული. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ღილების დამჩემებელს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარახათვის და გადაექცია. გიორგი წამომხტარიყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლად წაექცია გიორგი და ცემა დაეწყო. მოშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ღილები და კარგადაც დაეზილათ. თუმცა პატარა ბალღს დაუბრუნეს წართმეული ღილები, მაგრამ გიორგი კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი სდიოდა. წითელი გულისპირი სულ ჩამოეფხრიწათ.

ცხვირ-პირ-დასისხლიანებული გიორგი, გულისპირ-ჩამოგლეჯილი რომ შინ მოუვიდა, დედას ელდა ეცა.

— ეგ რა არის, შვილო, მაჩვენე ერთი რა გაქვს გატეხილი?

— კუპრაანთ თედომ მცემა.

— რადა?

— თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომეწრია, ის დიდია, მე პატარა.

— მერე წაართვით?

— წავართვით.

— რა უყავით?

— ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზედ წარბი გაეხსნა.

— ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტად, გაიზრდები, დაგაკაწყდება, — უთხრა შვილს.

— არ დამავიწყდება, დაიცა ერთი გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, ცემა როგორ უნდა.

დედამ შვილი გულს ჩაიკრა.

— სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, — გაიხარა დედამ, — უი, შენ კი გენაცვალოს დედა-შენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!

ეს გულში სთქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრა-რა, ხოლო ცხვირ-პირი რომ დაჰბანა და მოალამაზა, ეს დაატანა:

— აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზიცა ხარ და!.. წადი, შვილო, ითამაშე, ეხლა უფროც მოგიხდება. ჰტიროდა განა გოლა?

— მაშ?

— გაუხარდა ღილები?

— მაშინვე დაჩუმდა, აღარა ჰტიროდა.

პატარა გიორგი გამოჰწკრინდა თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ ხათამაშოდ.

დედამ უყურა, უყურა გამალებულს შვილსა და როცა თვალთაგან მიეფარა, სთქვა:

უი, შენ კი გენაცვალე! მამაც კარგი გყვანდა და არც შვილი იქნები უარესიო.

VI

გიჟია, თუ რა?

ეს ხასიათი დახჩემდა გიორგისა. დედისავით, — თავისი იყო, თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იშლიდა, არც დედა

უშლიდა. ამას წინად — სულ ორი კვირა არ იქნება — კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ დაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაედინა.

გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ შეშისათვის და ის კი ჩრდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ხვრინავდა. ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები იქავ ურმის თვალთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით.

გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგირეს, ტყიდამ მოდენილი. ფეხი წაჰკრა გასაღვიძებლად.

— ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან.

— შენ რა ჩემი ფეხები გინდა, — დაუყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები წამოაჭყიტა.

— თითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვისთვის რის მაქნისია. კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი.

— მერე შენ რა გეპრიანება?

— ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება! ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არ გწვავს!.. მიგიღძვი საცოდავები წნელით ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩასცვივნიათ.

— მაშ არა და თავზედ დავისვამდი.

— დაისვამდი, მე ვიცი, მა ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოვდნენ, აი!.. ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხომ არ გაგივა, გაგეშო, პირი მოეტყუებინათ.

— გამეშო-რა, მუქთი ფეხები მაქვს მაგათ ძებნაში მერე სული ამომრთმეოდა.

— აი, შე უნამუსო! აქაო და არავინა მხედავსო. ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი იყოს!

— მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

— აი გაჭრეს, გიორგიმ შენისთანა კაცი ახლოც არ მიიკაროს!..

ჩემი რომ იყო, ცარიელ პურის ჭამის ფასადაც არ შეგიხანავდი. ადე-მეთქი!..

— დამეხსენ!.. შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ეგრე არახუნებ. თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზე წადი-მეთქი, თორემ...

— თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვების ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ ჰხედავ?..

გიორგიმ ამის თქმაზე ფეხი კიდევ წაჰკრა, მოჯამაგირე გულზე მოვიდა, წამოუხტა ზეზე, გიორგის წინ აეტუზა, გულ-მკერდი გადმოუგდო და მიუშვირა, თითქო ეუბნებაო: აბა, ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავსო.

გიორგის მოეწონა ამისთანა სითამამე მოჯამაგირისა, მაგრამ უკვირდა, — რის იმედითაო.

— რა ვქნაო, — სთქვა გულში გიორგიმ, — თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ უღალატებდა, პირუტყვს შეიბრალებდა, და თუ ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად მომიშვირა გულ-მკერდი და თავმოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართაო.

— თუ კაცი ხარ და თითს დამაწებ!.. მაშინ ნახავ შენს სეირს, — უთხრა გულ-მკერდ მოღერებულმა მოჯამაგირემ.

მუქარა იწყინა გიორგიმ. აღარც აცია, აღარც აცხელა, ეცა, წამოჰკრა სარმა და თუმცა ვერ დასცა, წააბარბაცა კი და ცალი ხელი დააბჯენინა დედამიწაზედ, წამოუხტა ფიცხლავ მოჯამაგირე, დაეტაკა გიორგის და ჰკრა გულის-პირში ხელი. გიორგი შეტოკდა და გაღაიზნიქა უკან.

— ბიჭოს!.. შენ აღარა ჰხუმრობ, — დაუძახა გიორგიმ, ჭიგო ხელიდამ გააგდო და შეძიძგილავდნენ.

გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. წაქცეულს ხელიც არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა, — ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო — წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო.

— წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო. —

უთხრა გიორგიმ, — და ღმერთს კი არსად წაუხვალ ამ პირუტყვების ცოდვითაო.

თქმა არ უნდა, რომ გიორგისაგან გაბოროტებულმა მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა.

— რადა გცემაო? — ჰკითხა ომარაშვილმა.

— მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!.. ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო: ვთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო. მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო-და ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოგართმევს ადამიანსო.

— ბიჭო-და, მაგდენი არა გედო-რა ურემზე!

— ეგა სთქვი-და!.. მეც ეგ არ მიკვირს, რა მოეჩვენა იმ ოჯახდაქცეულსა! მე კი ასე შემაქცია-და!..

ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში, ითაკილა, მოჯამაგირე როგორ გამილახა იმ გუშინდელმა ჭყლინტმაო. წაიყვანა მოჯამაგირე და სოფლის სასამართლოში აჩივლა. თითონაც, რასაკვირველია, წაექომაგა.

— მოწამე გყავსო? — ჰკითხეს მოჯამაგირეს.

— ოთარაანთ გიორგის რა მოწამე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს-და!.. — სთქვა ვიღაცამ.

— მაგას კი მართალს ამბობ, — სთქვა ერთმა მოსამართლემ, — ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.

კვირა დღეს დაიბარეს გიორგი.

— მართლა სცემე? — ჰკითხეს.

— მართლა ვცემე.

— რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

— ბიჭო-და, შენ რა დავა გქონდა?

— ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ველარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი. თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, სხვა არა იყოს-რა.

თქვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ. ომარა-

შვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთ სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდის იცილისო. თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალ-წინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარაანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვებისაგან სამართალი.

— მე ჩემ თავად მიპატიებია გიორგისათვის, — სთქვა ამან, — და სხვამ თავისი იცის. ყოჩაღ, ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ!..

— უპატიებია... — წამოიძახა გაჯავრებულმა მოჯამაგირემ, — აი, გამიჯდა გვერდებში!.. ზოგი ამ ჩემს დალურჯებულს ბეჭებსაც ჰკითხე.

— რა ვკითხო, შე ოხერ-ტიალო! მე თუ მკითხავ, ეგ ცოტაც არის შენთვის-და! — უპასუხა ომარაშვილმა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს, — სთქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი.

— ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, — ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა: — რომ არ გაგონილა!..

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, — დაჰკრა კვერი მეორემ.

— იმდღევანდელი არ იყოს: ბეჟანაშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავი მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში ჰხრიალებდნენ, ისე წასჭეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე. დაუნახავს ეს ამბავი. ამხტარა ურემზედ, საცალოები წაუწევ-წამოუწევია, გაუმართავს რიგზე ურემი, ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია თავში და უთქვამს:

— შე ადრე და მალე დასაბრმავებელო, ვერა ჰხედავდი, კამეჩები ირჩობოდნენ! რა პირით მიდიოდი პატრონთანაო.

— ეხლა ჩვენში რომ ვიკითხოთ: რა დავა ჰქონდა?

— ეგა სთქვი და გაათავე. მეც ეგ არ მიკვირს! აკი ვამბობ. ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი.

— დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც-კი — ღვთის წინაშე — ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

— აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია.

გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას. ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

— დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..

VII

ჯავრი დედისა

გიორგი ოც-და-ერთის წლის ვაჟკაცი იყო და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ოთარაანთ ქვრივი ამაზედ ძალიან ჰნაღვლობდა და სწუხდა.

— რა ვუყო?.. — ჰფიქრობდა ხოლმე. — ცოლ-ქმრობის საქმე ცაში ჰრიგდებაო. სჩანს ღმერთს ჯერ არ მოუწადინებია. დრო კი უწერს: მაგ ხნის ბიჭებს შვილებიცა ჰყავთ, ოი, ერთი მაგისი შვილი კი გამიგორა კალთაში და თუნდა მაშინვე გულ-ხელი დამიკრიბონ და ცოცხალი დამმარხონ.

ეს ხომ აწუხებდა და აწუხებდა, ამ მწუხარებას ერთი სხვა ნაღველიც ზედ დაემატა. ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლო ხანებში ჰხედავდა. რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა. ხომ არც წინათ იყო მხიარულის გუნებისა, მაგრამ ეხლა მეტის-მეტია, თითქო რაღაც წაჰკიდებია და თქმა ეკრძალებაო.

მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას და, თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ, თავ-ქვეშ ორსავ ხელებს ამოიდებდა და გარინდებული იდო ხოლმე მთელის საათობით გულაღმა. შეჰყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქო ვარსკვლავებსა სთვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადაო. რა მოერია, რამ სძლია, რამ დაუღონა შვილი — დედას ვერ გაეგო.

— შვილო, შინ შემოდი, ნამუშავარი ხარ, დედამიწამ არ დაგცადოს, — უთხრა ერთხელ დედამ.

— არა მიშავს-რა, დედი! ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე, დედაშვილობას.

— ძილის დროა, შვილო! ლამის ალიონი ამოვიდეს...

— ეჰ, დედი! ზოგჯერ ძილიც არ არის!..

— რატომ, შვილო! — იკითხა დედამ და გასწია შვილისაკენ. თავს რომ წააადგა, უთხრა:

— გიორგი!.. შვილო!.. არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? დედა ვარ შენი, დედა... ნაღველი გაქვს რაღაცა და არ მეუბნები.

გიორგი წამოჯდა.

— არა, დედიჯან! ასე მიყვარს მთვარიან ღამეში გდება.

— ეს ორი წელიწადია, რაც ეგ დაიჩემე. რატომ ადრე არ იცოდი?

— განა კაცი სულ ერთს გუნებაზეა! მაშინ ისე ვიყავ, ეხლა ესე ვარ. დრო იყო ძუძუსა ვწოვდი, დრო მოვიდა — გამომცხვარ პურსა ვჭამ. ამით მითამ რაო?

— ისაო, შვილო, რომ ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე.

— ჩამიხედნია, დედი, ჩამიხედნია და ვიცი, რომ შიგ მარტო მე გიზივარ...

— მაგას არ გეუბნები... იმდღევანდელი არ იყოს!..

— რა იმდღევანდელი?

— აი, საბარავად რომ იყავი ვენახში. მე ჯერი ჩამოგიტანე. შენ ვაზებში გიპოვე: მხარი დაგებჯინა ბარის ტარზედ, ბარის ტარს დაჰყუდებოდი და გაშტერებული დასცქეროდი დედამიწას ელდანაცემსავით. რა ამბავი იყო? მაშინ არა გკითხე-რა, აქ კი დავიჭდიე, აქ.

ოთარაანთ ქვრივმა გულის-ფიცარზედ დაიდო ხელი.

— წაშალე ნაჭდევი, ტყუილად გარჯილხარ. რა ამბავი იქნებოდა?! დავიღალე და ხელ-ფეხს ქარი ამოვაღებინე, — უთხრა შვილმა.

— შენი ფიქრი სადა ჰქროდა, რომ ვერც კი გამიგე, როგორ მოგივედი, ისე სმენა-დაბზუილი და გონება-გაქცეული იდექი. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: სადილ-ვახშამზე ლუკმა პირში ჩაგიდვია, ყბაც არ მოგიქნევია, განაბულხარ,

თითქო სადილიდამ წაგიღო რამემ, კლდის პირას დაგაყენა და ხელის კვრით გაბიროზა.

— ეგეც დრომ იცის, დედი!

— სხვამ არაფერმა?

— იქნება სხვამაც...

— ჯადომაც იცის, შვილო, ჯადომაც...

გიორგის გულში მოჰხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. აიტკიცა, ეჯავრა. კარგადაც ვერ მიეგნო, — რად უხსენა დედამ ჯადო. გუმანმა კი წაიღო, გუმანმა აიყოლია მისი გონება.

— ჯადო რა მოსატანი იყო? — ჰფიქრობდა გიორგი თავისთავად, — ვაი, თუ...

ვერ დაასრულა სათქმელი. სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს.

გაიქნია უმადურად თავი, წამოდგა ფეხზედ, დედას ტკბილად მოჰკიდა მკლავზედ ხელი და უთხრა:

— წავიდეთ, ეხლა კი ძილის დროა. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“, შენგან გამიგონია, დედი!

— „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“, მაშ ესეც გაიგონე, ჩემო კარგო! — უთხრა დედამ.

— რა ვქნა, — ჰფიქრობდა გულში გიორგი, — რატომ ეგრე ახლო მიმივიდა? ცოდნით მოსდის, თუ ალალბედობით? თითონ ჰტრიალებს ახლოზედ, თუ ჩემს გუმანს მოაქვს იმისი სიტყვა შორიდამ ახლოს. გაცლაო!.. თქმა ადვილია!..

იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰკარებია. იმ დღის ნალაპარაკევმა ათასნაირს ფიქრის მორევში ატრიალა ნაფოტსავით იმისი ჭკუა და გონება.

— პაჭიჭს კი, მგონი, წვერი შემოერღვა, — სთქვა თავისთავად ბოლოს, — მგონი, მივკვლიე: დროც ერჩის და ხანიც უწერს. რატომღა არ მეუბნება, ვინ არის?

ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა.

— არ უჭირს და იმიტომ, — ინუგეშა თავი ოთარაანთ ქვრივმა, — როცა გაუჭირდება, მეტყვის.

მოხუჭა თვალი ქვრივმა, არ დაეძინა. გადაბრუნდა ხან იქით, ხან აქეთ, ძილი არ მიეკარა.

ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა.

— მართლა კი მივუხვდი?.. მართლა და მივკვლიე?.. — ეჭვობდა გიორგის დედა, — იქნება გუმანმა დამიბრიყვა და მატყუებს. რა ვიცი?.. ადამიანის გული თვალუწვდენი ორმოა. ვინ იცის?.. იქნება მე ერთი მგონია, იქ კი სულ სხვა ამბავია... სხვა რა უნდა იყოს, რა? — ჰკითხავდა თავისთავს და გული უკვნესოდა, რომ პასუხი ვერ ეპოვნა.

ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა. დიდ-ვახშმობას გადასცილდა. ხმაურობა მისწყდა, მარტო კუთხეში პურის კიდობანთან, თაგვი აფხაკუნებდა.

— სხვა რა უნდა იყოს, რა!.. — იძახდა ძილდამფრთხალი ოთარაანთ ქვრივი, — თუ გამტეხავს, ამის ნაღველი გამტეხავს... არ გამენდო... არ მეუბნება ჩემი გიორგი და არა... თუ გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმალავდეს! რა დასამალავია ჩემთან!.. და თუ სხვა რამ ასტეხია... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ!..

გადიწერა სამჯერ პირჯვარი, თითქო ლანდი რამ მოელანდა და იმას იგერებსო.

გვიანი მთვარე კი მთის წვერზედ შედგა და პირიქით გადაქანებას აპირებს. აგერ გადაექანა კიდეც და ჩავიდა. ღამე მიიწურა. უფრო დაბნელდა, ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუნჯდა, ხოლო თაგვი ისევ ცოდვილობდა კიდობანთან.

— ამ ორის წლის წინათ თოფ-იარაღი აისხა ზედ, — ვენაცვალე იმის სიყმეს! უხდებოდა მამიჩეული, — წავიდა და სამი დღე შინ აღარ დაბრუნებულა. მე, სულელს, მაშინ ეს გუნებაშიც არ გამიტარებია. ეხლა კი მაღონებს და გულთა მკბენს... სანადიროდ ვიყავიო, მითხრა. თუ სანადიროდ იყო ხელცარიელი რად მოვიდა? მერე ყვირილობაც იყო... თავის დღეში ხელცარიელი არ მინახავს ნადირობიდამ დაბრუნებული. იმ ცხონებულს არ ჩამოუვარდება, თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის... მას აქეთ დაიგდო ნაღველმა. მე კი ესე დამახსოვდა-და! მას აქეთ დააწვა რალაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია... ხომ კაცი... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ, ღმერთო, ცა-მრგვლის გამჩენო! რა ვიცი?.. ამ ტიალ წუთისოფელში ფათერაკი ბევრია... ღმერთო, მაშორე... ფუ, ეშმაკსა და იმის თავსა და ტანსა!..

შეაფურთხა ეშმაკს და გადიწერა სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ. ფიქრი კი მაინც ერჩოდა, ეჭიდებოდა.

ამოვიდა ალიონიც, ღამემ დღეს კარი დაურაკუნა.

რაკი ამისთანა ფიქრმა ერთხელ გული ამოუფრთხო ბუდიდამ, ძძილობისაგან გალახულმა, ფიქრის ჰიდილში მოქანცულმა ოთარაანთ ქვრივმა თავი ვეღარ დაუჭირა გულს, ვეღარ დაიწყნარა, ვეღარ დაიმორჩილა.

— ღმერთო, მიხსენ! — იძახდა ღონემიხდილსავით და ერთს ავ ფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა. ფიქრი ლანდად გადაექცა.

ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა. გარიჟრაჟდა. მტრედისფერმა გადაჰკრა ცის გუმბათსა. დილამ კარი გაუღო დღეს და გამოახედა.

ოთარაანთ ქვრივიც მოჰღალა ფიქრმა... თვლემა მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი — სიზმრად. სჩანს, ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენჯერმე წამოიძახა:

— ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენ!

VIII

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა“...

მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო. ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და ტანთ-ჩაცმულიც იყო, რომ მზემ მაშინ ძლივს ამოჰყო თავი მთის წვერიდამ და გადმოხედა ქვეყანას თავის ერთად-ერთის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალითა. მთების ნამს მოახვედრა მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა, თითქო საკმელს უკმევს ამ უზარმაზარს ცეცხლის ბურთსაო.

— რა დამემართა წუხელის? — ჰკვირობდა ოთარაანთ ქვრივი, — რამ წამიღო? რამ დამძლია და ამითრია? ჭირს ნუ გაუტყდებიო, მითხრა ცხონებულმა. მოდი და ნუ გაუტყდები!.. დამალული ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ, როგორც იქნება, შეეჭიდება კაცი... ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი. გული ამან შემიშინა... ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი. თუ სიყვარულია... ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის!.. ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე...

გულზედ ლოდსავით დააწვება და თავის დღე'ში აღარ აეხსნება. აღარ აეხსნება... აღარ, აღარ!

კიდევ აჰყვა წუხანდელს ფიქრსა. სულ ის სამის დღით წასვლა შვილისა აგონდებოდა და აფრთხობდა.

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზედ მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაუგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალ მთიდამ, საცა მარტო ჭეშმარიტი დედა-შვილური სიყვარული ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!..

ყოველგვარი სიყვარული, — დედა-შვილურია, თუ სხვა, — მაინც ფრთხილია და მშიშარა, ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი, როცა საყვარელის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.

დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა, როცა — აქაოდა შვილი არ გამოვაღვიძოო — ბნელ სახლიდამ ფეხ-აკრეფით გარეთ გამოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის დასაგველ-დასაწმენდად. გაუკვირდა, რომ თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილ'ში მწოლარეს. გიორგის თავისებურად ამოედო თავ-ქვეშ ორივ ხელები, პირაღმა იწვა ფეხებ-გაშოტვილი და კაკლის მაღალ შტოებს შესცქეროდა. ყუისავით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად და აუჩქარებლად გაწმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებენო ხელი-ხელს გადასაბმელად. ციაგ-მკრთალს ლაჟვარდს დილის ცისას საუცხოოდ გადაეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის, თითქო დედა იწვევს ახლად გაღვიძებულს ბალღებს კალთაში გასაგორებლადაო. სხვა დროს ამისთანა ცა, ამისთანა დილა ოთარაანთ ქვრივსაც კი გაუხსნიდა მჭახე შუბლსა. ეხლა კი დარდი და ნაღველი არ აცლიდა.

— შვილო, ამდგარხარ კიდეც!.. მე კი ისევ ქვეშაგებში მეგულებოდი, ვერც კი დავხედე შენს ქვეშაგებს, არ გავალვიძო-მეთქი.

— ძილი გამიკრთა, დედი! მე ჩემი იქნენ, ძილმა თავისი. არ იქნა, არ დამეძინა. გამიხარდა, რომ გათენდა და გარეთ გამოვედი.

დედა მივიდა. თავთ დაუჯდა შვილს და შუბლზე ხელი გაასუს-ვა.

— გიორგი, შენ შენსას მაინც არ იშლი...

— რას მიჩივი, დედი?

— რალაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი... წუხელის შენმა ჯავრმა არ დამაძინა.

— მართლა-და, ძილში ჰლაპარაკობდი, — შორს გადაუგდო სიტყვა გიორგიმ. — სულ ამას იძახოდი: ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო!

— მე, შვილო?

— ჰო-და, შენ.

— მე ძილში ლაპარაკი არ ვიცი.

— ეგრე კი იყო-და!

— მე ცხადლივაც მეჯავრება ტყუილ-უბრალო ღიჭინი.

— ღვთის ხვეწნა ტყუილ-უბრალოა?

— მა რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მადლს...

— დედი, რას ამბობ?

— იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენ თავს შენვე მოუარეო, შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო, რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო, ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, — გაიცინა: მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.

— მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?..

გიორგის უხაროდა, რომ დედა ფიქრით შორს წაუვიდა და ჰცდილობდა უკან აღარ დაბრუნებულიყო, კიდევ მე არ ჩამაცივდესო. ის კი არ იცოდა, რომ ცოდოს ხსენებაზე დედას ელდა ეცა. ოთარაანთ ქვრივმა ყურები აცქვიტა, ცოდო რად ახსენაო. ჩვეულმა და ჭირვეულმა ფიქრმა ხელახლად დაჰქროლა და მოუშუშა გული.

— მა რა არის, შვილო!.. — უპასუხა გულშეხუთულმა დედამ, — ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი

მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!.. — უთხრა დედამ და ჩაუკვირდა შვილს, აცა რას იტყვისო. დამნაშავე სამაკვდინო განაჩენს ისე გულის ფანცქალით არ მოელოდინება, როგორც ამჟამად დედა შვილისაგან პასუხს ელოდა.

— უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა, — უპასუხა შვილმა.

დედას გულზედ მოეშვა.

— მა რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩამიჯდა ჭიასავით და ჭიასავით მფქვავს და მჭამს. შემიბრალე და მაცოცხლე!

გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტეხელმა დედამ თავი შეაბრალა. ამას ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხელობას. დედა-შვილური სიყვარული მძლეთა-მძლეა.

შვილმა შეჰხედა დედას. ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში... ოთარაანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა — ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა, რკინის გადნობას ხელში ჰქერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა.

შეწუხდა გიორგი. ჩაუფიქრდა თავის-თავს — დროა თქმისა, თუ არაო.

— დედი, — წამოიძახა ბოლოს შვილმა, — გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწადიან. რიდი მჭონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ. აი, რამდენი ხანია ვეჭიდები...

— რა არის, შვილო, მაგისთანა? — უპასუხა დედამ და მსწრაფლ უკუექცა თვალთაგან ცრემლი. ოთარაანთ ქვრივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან დედაკაცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა.

— მოჯამაგირედ მინდა დავდგე, გული შინ არ მიდგება.

— ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირობა? საიდამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდება მამაშენი სირცხვილისაგან...

— ამას ვშიშობდი, დედიჯან, რომ გაწყენდი... მეც შემიბრალე, ადამიანი ვარ.

— მერე რა წავეკიდა სამაგისო?

შვილმა თავი ჩაღუნა და პასუხი არ გასცა. დედას ელვისავით გაურბინა რაღაცა ფიქრმა.

— მერე ვისთან აპირობ დგომას? — ჰკითხა ხელახლად დედამ.

— ერთად-ერთი სახლია. ან იქ, ან არსად არ.

— ვისი სახლია ისეთი? გლეხისა, თუ თავადისა?

— თავადისა.

— აქ, ჩვენში?

— ჩვენში, არჩილს უნდა დავუდგე.

ოთარაანთ ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქოს რაღაც ენიშნაო, რაღასაც მიაგნოვო. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრარა. აღარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისათვის აღარ მოაცალაო.

IX

უცნაური ნასკვი

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ. სწავლა იქ შეესრულებინა. ვეღარც დედას მოუსწრო, ვეღარც მამას, ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ღა ჰყვანდა და დაძმანი ერთად სცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავე სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარაანთ ქვრივი იყო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც კი დაეკითხებოდით. ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონების სიცილითა, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ.

— პატივსაცემი დედაკაციაო ეს ოთარაანთ ქვრივი, — ხშირად

უთქვამთ დასაცა და ძმასაცა და ერთი შემთხვევაც არ ჰქონიათ, რომ სიყვარულით და თავაზით არ მოეკითხნათ, როცა კი ოთარაანთ ქვრივს შეჰხვედრიან.

არ ვიცით, ოთარაანთ ქვრივს საამურად ჰქონდა ეს თავაზიანი მოკითხვა, თუ არა, ეს კი ვიცით, რომ როცა ამათზედ კარგს ვინმე იტყოდა, ოთარაანთ ქვრივი დაატანდა:

— ჭკუა აქვთ და იმიტომაო.

გიორგის ამბებიც არა-ერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, — გლეხკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.

— „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“, — ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცვნელს გამოცანას ამით მოუღებდნენ ხოლმე ბოლოს.

— გიორგი გიახლათ, — მოახსენა ერთს საღამოს მოსამსახურემ არჩილსა. არჩილი მაშინ ტახტზედ წამოწოლილი იყო და ყურს უგდებდა დას, რომელიც რაღაც წიგნს ხმამაღლა უკითხავდა.

— ვინ გიორგი? — ჰკითხა არჩილმა.

— ოთარაანთ ქვრივის შვილი.

— მობრძანდეს.

შემოვიდა გიორგი და ქუდმოხდილი გაჩერდა რა კარებთან, სთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

— აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! — უთხრა მხიარულად არჩილმა. — რასა იქ? როგორა ხარ? როგორ არის შენი პატიოსანი დედა?

— რა გვიჭირს, ღვთის მადლით კარგადა ვართ.

— ამბავი, ხაბარი... რისთვის გარჯილხარ?

— ნუ მიოცებთ კი და თქვენთან ყოფნა მწადიან.

— მოდი-და ნუ იოცებ. რისთვის? როგორ?

— როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯამაგირედ გიახლებით, გნებავთ მუქთად გემსახურებით, ჩემთვის არაფერი ბედენაა.

— რას ამბობ, კაცო! — ჰკითხა მართლა გაოცებულმა არჩილ-

შა, — შენის ოჯახის პატრონი და მოჯაჭაგირედ დგომა, — ვის გაუგონია. ან შენ ვერ გაგიგია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობ.

— მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. თქვენ ოღონდ ეგ წყალობა მიყავით. გული აღარ მიდგება შინ, ლამის მარტოობამ დამლიოს.

— მერე დედა-შენი? — იკითხა არჩილის დამა და თავისი მარილიანი თვალები მიაშუქა გიორგისა.

— დედა-ჩემი... დედა-ჩემსა სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ველარ გაუტეხივარ.

— აბა, ჩემო გიორგი, ჩვენ დედა-შენს ვერ ვაწყენინებთ. იმისი დიდი თავაზა და ხათრი გვაქვს, — უთხრა არჩილმა.

— თქვენ ეს მიბრძანეთ, მამყოფებთ თქვენთან, თუ არა და დედა-ჩემისა მე ვიცი, არ ამიხირდება... დედის-ერთა ვარ...

— მამყოფებთო!.. ორსავე ხელით, სიხარულით, შენისთანას სად ვიშოვი. განა არ გიცნობ... ეს დედა-შენი მაღონებს.

— მადლობელი ვარ. მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ამ დღეებში გიახლებით.

— ჯამაგირი?

— გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.

— ეგ არ იქნება. მაგისი ყაბული არა ვარ. სთქვი, — რა მოგცე?

— რაც შენი ნებაა.

— ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი!

— რაცა ვღირდე, ის მომეცი.

— ჩემს ნამუსზედ აგდებ, რაღა?

— რა ცუდი თამასუქი ეგ არის!

— ჩემი ნამუსი რომ შენს კაი-კაცობას არ გასწვდეს?!

— არა უშავს-რა!.. რაც დამაკლოთ, ალალი იყოს თქვენზედ. გულს არ დამაკლდება. მშვიდობით ბრძანდებოდე.

ორივეს დაუკრა გიორგიმ თავი და მაშინვე გავიდა.

დამა და ძმამ ერთმანეთს შეჰხედეს.

— ეს რა ამბავია? — ჰკითხა დას არჩილმა.

— არ ვიცი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიკვირს და მეოცება.

— უთუოდ ფული რამ დასჭირებიათ.

— რომ არა ჰთხოულობს!..

— ეგეც კი, ჩვენ კი ბედი გვეწია, რომ მაგისთანა კაცი ვიშო-

ვეთ, და ოთარაანთ ქვრივს როგორღა გადავურჩებით, არ ვიცი.

— იმის უნებურად ნუ ვიქთ მაგასა: პატივსაცემი დედაკაცია, ხუ ვაწყენინებთ.

— შენც არ მომიკვდე, დედის უნებურად გიორგი საბლშიაც არ შემოუშვა, თუმცა კი ძვირფასი კაცია ჩვენთვის.

დამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად.

X

მხილებაა, თუ კადნიერება?

არ გასულა ამის მერმედ ორი დღეც, რომ ოთარაანთ ქვრივი არჩილიანთას მივიდა.

— ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! მობრძანდი, — დაუძახა შორიდამვე არჩილმა, როცა ოთარაანთ ქვრივს თვალი შეასწრო. და-ძმანი ძირს ეზოში ისხდნენ დიდ ფურცელ-ქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ.

— დილა კარგა-ყოფნისა, — მიესალმა ოთარაანთ ქვრივი, როცა ახლოს მივიდა.

არჩილი წამოხტა, ოთარაანთ ქვრივს მიართვა თავისი სკამი და მიიწვია დასაჯდომად.

— დაბრძანდი, დაბრძანდი. კესო, ნათლიდედას ჩაი მოართვი, — უთხრა არჩილმა თავის დასა.

— ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ შეექეცით, მე უმაგისოდაც გავძლებ. ქალო, როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობითა ბრძანდები? — მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და ჩამოსკუპდა სკამზედ.

— ვართ შენის ლოცვითა და კურთ...

— მე ჩემთვის არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი, — უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა.

— ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, — უთხრა ღიმილით ქალმა და, თითქო მახლობელი მოყვარეაო, თავაზიანად ხელი დაჰკრა ქალთაზედ, თავის სკამიდამ ლამაზად გადაწვდილმა.

ოთარაანთ ქვრივი შეიჭმუჭნა, როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან, მე ვინა და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა. მიუხვდა კი, რომ კესო აფრთხილებს და ისე კი, რომ საწყენად არ დაურჩეს.

— ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა, — უთხრა ქალს ოთარაანთ ქვრივმა ცოტა არ იყოს მწყრალად.

— ეგ რაზედა სთქვი?

— იმაზედ, რომ შენ ჩემს სიტყვა-პასუხს შეუშინდი და გაფრთხილება გინდა ჩემი. მიხვეულ-მოხვეულს სწორი სჯობია.

— მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარ.

— შენც რომ ჩემი დღენი გამოგევლო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე.

— ე... ე.. ე! თქვენ მე ვიცი პატარა ხანს უკან ქვასაც ჩამოურევთ, — ჩაერია არჩილი, — ნათლიდედა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება? არა, ნათლიდედ?

— რატომ? ზოგან თქმაც კარგია.

— შენ ხომ მაგისათვის არ მოხვიდოდი ჩვენთან: საქმე რამ გექნება, — უთხრა ხელახლად არჩილმა.

— მართალია, უსაქმოდ არ მოვსულვარ.

— ბრძანე: შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ჩემს გიორგის თქვენთან დგომა უნდა.

— ვიცით და შენ მოგერიდენით. შენი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გაგიტეხთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება.

— ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამომავალია. ვთაკილობ და გვინდაა წუწუნი: ვერ გავტეხე, ვერ ავუხირდი. დეე, რაც საქნელია, იქმნას.

— თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი, — უთხრა არჩილმა, — შვილი შენისთანა დედას როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!..

— ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავ-

ლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის კი თავში. წინ ვერ ავეფარები.

— მითომ რა გაჭირებაა, თუ შენი საამური არ არის? — იკითხა კესომ.

— გაჭირება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაახეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს, მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის...

— რაკი ასეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატროდეს, — უთხრა არჩილმა.

— მაგას არ წავეხარბინები. ის თითონაც კარგად შეინახავს თავისთავს, ისეთის მამის შვილია,—უპასუხა ოთარაანთ ქვრივმა. — ეჰ, კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!..

— ახლა შენ რომ მარტო დარჩები? — იკითხა კესომ.

— მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის, ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც.

— აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? აკი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მესმის-რა, — სთქვა არჩილმა და შეხედა დას, თითქო იმას ეკითხებაო.

— მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა, წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

— მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, — უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა.

— ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლადა ჰხმარობს, — მითამ და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ხუმრობას!..

არჩილი წამოდგა ფეხზედ, ტანში გაიმართა, თითქო რალაცამ დაუჭიმა ძარღვებიო, — ჩაიწყო ჯიბეში ხელები და მოჰყვა წინა და უკან სიარულს, მერე მივიდა, წინ დაუდგა კესოს და ჰკითხა რუსულად:

— როგორ გგონია? წინდახედული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება!

— შენ მართალი ხარ, — უპასუხა დამ რუსულადვე, — ერთი

ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია.

არ ვიცით, ძმამ დაიჯერა თუ არა დის სიტყვა, ამას კი ვიტყვით, რომ არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართლის გულით უთხრა:

— ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!..

სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაჩუმდა. მერე ოითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო.

XI

ორი თვალი

იმ დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ დასადგომად, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა სიამოვნებითა სთქვა:

— ძლივს შუბლგახსნილი არა ვნახე?

სიამოვნებით კი სთქვა?..

ამაზედ ჰოც ითქმის და არაცა. ეს რაღაც „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ — რომ ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა.

დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი, ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალუხი, ორი წყვილი თავისის ხელით მოქსოვილი ჭრელი წინდა, ახლად ნასყიდი ყაითნებით მორთული საცვეთები, ბაზარში განგებ შეკერილი და ყაითნებითვე დახლართული ქვემოური ქალამნები. ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით თოკებით.

— დედი, დედი! ეს რა ამბავია? — ჰკითხა გაცინებით შვილმა,

როცა ეს სამზადისი დაინახა. — ცხრა მთას იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან.

— არა, შვილო!.. უამისობა არ იქნება. დეე, იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე იცოდნენ, რომ ოჯახიდამ გასდიხარ და არა უოჯახობიდამ.

— განა არ იციან?

— გაგონილს თვალით ნახული სჯობია. დეე, რაც ყურით გაუგონიათ, თვალითაც ნახონ.

— სასაცილოდ ამიგდებს მთელი სოფელი, ეგრე ბარგ-აკიდებული რომ მნახონ.

— თავს-სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?

— მეტის-მეტია, დედი, ამოდენა ბარგი!.. თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

— ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდამ.

— ქალი ხომ უფრო საბოლოო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

— მართალია, მაგრამ ქალი, — მინამ გათხოვდება, — დასაფრენი ბღარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა.

— როგორ? წინილად შემინახავდი თუ?

— მაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს...

გიორგი აიმრიზა. ხმა აღარ გასცა, მიჰტრიალდა და კუთხეში რაღაც ფაცური დაიწყო, ვითომ-და ეძებს რასმე.

ოთარაანთ ქვრივმა ეს უცებ გაწყვეტა ლაპარაკისა შენიშნა და არ შეიმცნია კი.

— უფრთხის ახლოს მისვლასაო, — იფიქრა დედამ.

გიორგი პატარა ხანს შემდეგ ხელახლად მიუტრიალდა დედას, ხელი ჩაჰკიდა შეკრულს ბარგსა და ეგრე, ხელჩაკიდებისაგან ერთ მხრივ გადახრილმა, უთხრა:

— ნება შენი იყოს, დედი!.. ამ ბარგი-ბარხანით მიუვალ...

სთქვა ესა, მხიარულად შეიგდო მხარზედ ბარგი და გასწია.

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თი-

თქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ. — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ფეხთმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა და დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ღა დაეკიდაო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჰრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარულით მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. — დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმული სახელოთი მოისო თვალებზედ.

თითონაც არ იცოდა, — რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს. — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოდებულ გულსაო?..


ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო.

— დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? — ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. — დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? — რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურებაო?.. ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?.. ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა!..

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოო მორევიდამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმამაღლა სთქვა:

— არა, შვილო... შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავებრმავებ და შენისად მაყურებლითლა ვივლი და ვიცოცხლებ...



XII

უეცარი წკაპურტი

გიორგი მოჯაბაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო და ასე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჰრა კიდეც გააკეთებინა ასე და ვაზის რჩა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა ეს თავისი ახალშენი, თავმოწონებით უთხრა:

— როგორ მოგწონს? ერთი შეჰხედე, გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

— ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიავი თანაბრად დაუვლის ყველგან. ამას წინათ, — სამი-ოთხი წელიწადი იქნება, — გავიგე, რომ კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა. მინამ არ წავედი და არ ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა. კარგია ეგრე.

— ძლივს ერთი კაცი არ ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

— ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჰფიცხდა და აიტკიცა.

— რატომ, ბიჭო?

— იმიტომ, რომ აქ ფერდობია...

— ვაი შენ, ჩემო თავო! — გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა, — შენც ბევრი არა გცოდნია-რა, ჩემო გიორგი. ბიჭო-და, საქმე ის არის, რომ ფერდობია და მზის-გული ფერდობიცაა.

— განა მაგას ვიწუნებ? მზის-გულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის.

— მაშ რას ამბობ?

— **აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და შრა-ლი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყა-ლი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მო-ინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.**

— მერე რა გინდა სთქვა?

— მერე ისა, რომ ეგრე სისწრივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერ-დობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა, წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?

— **მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავ-თავ-ქვესაკენ, რომ ზემოდამ ქვევით ედინა წყალს!**

— წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად ივლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა, თუ ნიაღვრისა, მაღლიდამ დაქანე-ბული, ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა მიწას. ჩაჰრეცხდა ვენახს, ზემო-პირის ვაზს სულ ძირს გამოუხრამავდა.

— მაშ როგორ უნდა ყოფილიყო?

— ეგრევ, მაგრამ ლარი სწორზედ კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავ-თავ-ქვე ჰქონო-და და მიწაც ზევიდამ ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდიგარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა! აქედამ ცოტა გეზ-გეზად თუ არ წავიდა თავ-თავ-ქვესაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მო-იხდენს. ეხლა კი წყალს ავალა პირაღმა აქვს, როგორ უნდა იდი-ნოს? აბა გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედ-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქიდამ, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდამ და ვერა იპოვა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

— ბატონო-და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა. — უთხრა გიორ-გიმ. რაკი შეამცნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია.—აი, თუნდაც ეხ-ლავ მოვუგდებ წყალსა და მაშინაც არ გამოჩნდება!

— საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი კიდევ კარგია. — ეხლა დროზედ შემომესწარ; ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევ-შინებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წყალობრტი მოჰხვედრია.

— ეგ რა მოგსვლია?! — ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატყბო და-ძმური სიყვარულის კილომა: — ეგ რა მოგსვლია?

— ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ, რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია; თითქოს ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

— შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

— მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნებითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდაც უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

— ტყუილმა ბრძნობამ იცის, — დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა ღიმილით.

— და უვიცობის ცუდმედიდობამ!.. — დაუმატა არჩილმა.

XIII

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!..

ამისი თქმა ძლივ გაათავა არჩილმა, რომ ოთახში ერთი ყვირილი და ხმაურობა შემოესმათ. არჩილი მაშინვე გარეთ გავარდა და მუაჯრიდამ გადასძახა ჩალურიდამ გამოცვივნულ მოსამსახურეებს:

— ეს რა ყვირილ-ღრიალია?

— რა მოგახსენოთ? თავლიდამ მოდის, — უპასუხა ვიღაცამ.

— ერთი შემიტყვეთ, რა ამბავია?

მინამ ერთ-ერთი ვინმე წავიდოდა, თავლიდამ გამოჰრბოდა კიდეც მეჯინიბე. ვილასაც მხარ-უკუღმა მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა, მოილანძღებოდა.

— ბატონო, ეს რა ღვთის წყრომაა? — შემოსძახა ქვევიდამ მეჯინიბემ, მუაჯარზედ გადმომდგარს არჩილსა, — ეს ვიღაც ოხერ-ტიალი მოთრეულა, თავ-პირი აღარ შემარჩინა ცემითა.

— ვინ ოხერ-ტიალი?

— აი, ეს ახალი მოჯამაგირე.

— გიორგი?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი, გიოროგია თუ ვიღაცა.

— მერე რა იყო?

— რაღა რა იყო?!. თქვენ რომ ვენახიდამ მობრძანდით, თქვენს ცხენს მოვხადე და დავაბი. ისიც ხომ თქვენ ფეხ-და-ფეხ მოგყვათ, შემოვიდა თავლაში, ჩხუბი დამიწყო, გამლანძღა, გავლანძღე და მერე ამომიდო ქვეშ და ისე გამხადა, რომ ნეკნები ჩემი აღარ არის.

— აბა ერთი გიორგის დამიძახეთ,—უბრძანა არჩილმა.

ერთი მოსამსახურე გაიქცა დასაძახებლად. ამ დროს კესოც გამოვიდა მუაჯარზედ, გვერდით მოუდგა ძმას და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რაღაც ჩხუბი მოსვლიათ.

— ვისა და ვის?

— გიორგისა და მეჯინიბეს.

— რაზედ?

— სწორედ არც მე ვიცი. აი, გიორგი მოვა და შევიტყობთ.

მოვიდა გიორგიცა. იღლიაში ახალუხი ჩამოჰხეოდა და სცდილობდა დაემალა. გოგო-ბიჭებმა, ვინც კი ამ დროს სახლში მოიხელებდა, უველამ მუაჯართან ეზოში მოიყარა თავი.

— ჩხუბი მოგივიდა? — ჰკითხა არჩილმა გიორგის.

— არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა?

— მაშ რას გიჩივის, მცემაო.

— ცემით კი ვცემე.

— ეგ ხომ ჩხუბზედ უარესია. რად სცემე?

— შენი ცხენი ისე ოფლიანი დაება. თავლაში რომ შევედი, თითონ პირაღმა გაშოტილიყო ტახტზედ და ყალიონს ეწეოდა. მე ეუთხარი: — ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს

მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც გადაავლებდი–მეთქი. ხომ წახდა ცხენი: ან ზურგმა ჰავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა–მეთქი. არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო, მითხრა არხეინად და ყალიონი ძალზედ გამოაბოლა. — ვერც მიმტყიპავ და ვერც მიმაგდებ–მეთქი. წავედი ცხენის ასაშვებლად, მე მინდოდა პატარა მეტარებინა და წყალი გადამევლო ოფლიან ზურგზედ. — წადიო, ვილაც მოთრეულხარო, — დამიძახა და დედა შემაგინა. ამაზედ გული მომივიდა და ვცემე. მამაჩემსაც არ შევარჩენდი დედი–ჩემის ავად ხსენებას.

— ეგრე კი იყო? — ჰკითხა კესომ გიორგის და გადმოჰხედა.

— ტყუილი რა საკადრისიაა..

— ეგრე იყო, ეგრე! — დაიძახა პატარა ბიჭმა მეხბორემ, რომელიც მაშინ თავლაში შესწრობოდა, — სწორედ ეგრე იყო, მე იქ ვიყავი.

— კესო, ერთი დავთარში ნახე, რა ერგება და გამოუტანე.

კესო გამოუკითხავადაც მიჰხვდა ვისზედ უთხრა ძმამ. შებრუნდა ოთახში, პატარა ხანს შემდეგ გამოვიდა და უთხრა:

— ოც–და–ხუთი მანეთი–ღა ერგება. აი ფულიც.

არჩილმა ჩამოართვა ფული, მუაჯარიდამ გადაუგდო მეჯინიბეს და ჩასძახა:

— აი, ძმობილო, ეს–ღა გერგება. ალალი იყოს შენზედ და მე ჩემს სახლში კი ვეღარ დაგაყენებ...

— მე მცემეს და მევე მიწყრებით?!

— ამას იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდკაცობდე, კაი–კაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში, გოგო–ბიჭები წავიდ–წამოვიდნენ.


— მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! — ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს მოჯამაგირეზედ.

— დაძველდები და შენც მოატან ქვიშასაო, — იძახოდნენ მეორენი.

— ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიანო!—ამბობდა ამათში მარტო ერთად–ერთი კაცი, ისიც ხმაამოუღებლივ, თავის გულში ამბობდა.

ეს იყო მეწისქვილე არჩილის კარის წისქვილისა, — კაცი ძვე-

ლი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული. ვინ იცის, საიდამ სად იყო გადმოგდებული, და აქ წისქვილში როდის შემოხიზნული? აქ მეწისქვილედ დაბერებულიყო უცოლოდ, უშვილოდ, უთვისტომოდ. არავინ იცოდა, ვინ არის და საიდამ არის... ამისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო სადღაც და როდესღაც და ეხლა მარტოვე ჩადიოდა დინჯად და მშვიდობიანად, ტკბილად და უწყინარად.



განა თვითონ კი იცოდა?

— როგორ მოგეწონა ეს ამბავი? — ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ.

— ახირებული გული ჰქონია, — უპასუხა დამ, თითქოს პირველ ხანს უკეთესი ვერა მოეგონა-რაო.

— ეგ ცოტაა. ნამუსი ჰქონია, ნამუსი!.. ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას.

— ნურც აგრე გააღიდებ მაგ უბრალო საქმესა.

— მაგას ნუ იტყვი. რაც კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, საზომელი არ არის. რაც კარგია — თავისთავად დიდია. ჰკუდავ, უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჰკუით კი არ არის ახილეწული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა ჩემის ფიქრით. იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებ-დაგების წყაროვილია, როგორც სითბო სიცივეში. როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჰკუა იტყვის, ჰკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი.

— რაო? დედის ავად ხსენება იწყინა, სხვა ხომ არაფერი?

— ეგ ბოლოა. შენ სათავე მოუჩხრიკე ამ საქმესა. გულმა არ მოუსვენა, ცხენი რომ მოუვლელი ნახა და მეჯინიბე არხეინად მწოლარე. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა ღუცხოვა, არ შეიფერა. ხომ არც ცხენი იყო იმისი, არც მეჯინიბე იმისაგან დავალებული. რა ეწოდა, რა უნდოდა ჩვენად რომ

ვიკითხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაწევდა. მეჯინიბის ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა, კაცს პირველადა ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. საწანახედოდ გამხდარი საქმე ნახა, იქავ ხელთუძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და, ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშანწყალია. ეხლა მესმის, რაც იყო, იმ დღეს რომ მეწისქვილემ გვიამბო. აი, ბურკიაშვილის კამეჩი რომ დაეჭირა მინდვრიდამ მომაგალს და კახუაშვილისათვის მიეყენებინა კარზედ, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო. მე თუმცა ზოგიერთი ამბავი ვიცოდი გიორგისა, მაგრამ,—ღმერთო შეგცოდე, — აქ კი გავიფიქრე, უთუოდ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირებია-მეთქი გიორგისა. ეხლა ვნანობ, რომ ეს გავიფიქრე და ამ ფიქრით შევუგინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცს.

— ბოდიში მოიხადე, — უთხრა დამ გულითადად და ჰკვადასმით, რაკი ხუმრობა-გაშვებით ჩაუკვირდა თავისი ძმის ნათქვამსა.

— ბოდიშს იმით მოვიხდი, რომ მე მაგის შეგირდად მივებარები, დიაღ, შეგირდად, ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე, გვასწავლოს და გვწურთნოს...

არჩილმა წინა და უკან სიარული დაიწყო ოთახში და ფიქრს მიეცა. კესოც ჩაფიქრდა. გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო.

— კესო! — შესდგა ბოლოს კესოს წინ არჩილი და უთხრა, — იცი, რას გეტყვი? აი, სახლის წინ რომ ყვავილების ბაღს იკეთებ, მოდი, გიორგისაც დაეკითხე ხოლმე. მე მგონია, ეს ლოთი გერმანელი მებაღე სულაც დავითხოვოთ და გიორგის ჩავაბაროთ, ურიგო არ იქნება. ჭკვა-გონებიანი ბიჭია, შენ ოღონდ ანიშნე და, იმედი მაქვს, მიგიხვდება. საღ რა და როგორ გააკეთოს. სხვას ხომ დღიური მუშებიც გაუძღვებიან, რაკი გიორგი თავ-მდგომელი იქნება. ცოდოა მაგისთანა ბიჭის ამაზედ მოცდენა, მაგრამ ჯერ ეს იყოს და მერე სხვას რასმე ავუჩენთ.

— ძალიან კარგი, — მოუწონა დამ, — ოღონდ ეს არის, რომ ჯერ ყველაფერი მარტო ქაღალდზეა გამოხაზული და ვაი თუ ვერა გავაგებინო-რა. აბა, ჯერ ერთი ვაჩვენებ, გაიგებს რასმე თუ არა.

მეორე დღეს არჩილი დილა-ადრიანად თავის ახალშენს ვენახში

წავიდა. ცხენს რომ ქუსლი ჰკრა და პირი უბრუნა, პირუკუღმა მოსძახა გიორგის:

— სამუშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვს.

„კესოს?!“

— გიორგის გული გადაუტრიალდა...

კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ მილაგ-მოლაგდებოდა, ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა.

ბოლოს კესომ იხმო გიორგი.

გიორგიმ რომ მარტო ნახა თავისი თავი კესოსთან, თითქო შიშმა აიტანა. ალბათ იმორცხვა და საკვირველიც არ არის: თავის დღეში უცხო ქალთან მარტოდ არ ყოფილა.

კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქაღალდი, სხვადასხვა ფერად აჭრელებული. ეს ბაღის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდამ გადმოეღო თითონ კესოს და ძმასთან ერთად შეესწორებინა თავის სურვილისამებრ.

— აბა აქეთ მო, გიორგი. ერთი ეს ნახაზი უნდა გაჩვენო, — უთხრა კესომ გიორგის, კარებში გაშეშებულსავით ატუზებულს.

გიორგიმ ფეხი წინ ვერ წასდგა.

— ეს ოხერი, რამ დამიდუნა მუხლებიო, — იფიქრა.

— რას იბუზები ახლად მოყვანილი პატარძალსავით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ.

გიორგიმ ორი ბიჯი წინ წასდგა და მაინც შორი-ახლო დაუდგა კესოსაც და ქაღალდსაც.

— ე რა ფანცქალმა ამიტანაო!.. — გაიკვირვა გულში.

— რა დაგემართა, ადამიანო! აი, აქ მო, ჩემთან ახლო, — უთხრა ეხლა კი ცოტად გაჯავრებულმა კესომ.

„ახლო!..“ — ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მარტო კისერი გადაიწვდინა და ისე შორი-ახლოდამ ჩაჰხედა ქაღალდსა, როგორღაც უხერხულად და გვერდულად.

— კაცო, არ გეყურება? მე ახლო ვარ და ძლივს ვხედავ და შენ მაინდამ რას დაინახავ, მამლაყინწასავით კისერი წამოგიშვერია. ახლო მოდი-მეთქი!

გიორგი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა.

— ე რა ფრთხოლამ ამიჩემაო! ჯადო მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? — ჰკითხავდა თავისთავს გაოცებული გიორგი.

კესომ ალარ აცალა, წაავლო ხელი სახელოზედ და გამოსწია.

გიორგი წაბარბაცდა, თითქო მეხმა ახლო გაუარაო. ალბათ ფეხი წამოჰკრა რასმე...

— რა იყო? — იკითხა კესომ.

— არაფერი. ფეხი ფეხს თუ წამოვკარ, — მიუგო გიორგიმ და გულში გაიფიქრა: ფეხის ძარღვები დამაჭრეს, თუ რა მომდის ეს ოხერ-ტიალი!..

— აი, — უთხრა კესომ, როცა გვერდით დაიყენა გიორგი და ჩაახედა ქალალდში, — დაბალ მესერით შემორტყმული ადგილი ხომ გინახავს ჩვენის სახლის წინ, — ეს ის არის. ახლა, ჩემო გიორგი, ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს. ამ გზებს აგურის ფხვნილით წითლად მოვფენთ. გზებსა და გზებს შუა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს, როგორც აქ არის გამოხატული. ამ კვლებში სხვადასხვა ფერადი ყვავილები დაითესება. აი, შუაგულს ხომ ჰხედავ? აქედამ...

— მე ვერასა ვხედავ, ვერა!.. შენი ჭირიმე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბძანე, — უთხრა გულამოსკვნილის ხვეწნით გიორგიმ და განზედ გაუდგა კესოს. — რაღაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე შენის ღმერთის გულისათვის...

კესომ ნახა, რომ გიორგი მართლა არც თავის ფერზედაა, არც თავის გუნებაზედ. დაითხოვა და სთქვა თავისთავად:

— გულის ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამბავია!

განა თითონ გიორგიმ კი იცოდა, რა ამბავია!..

XV

კაცია და გუნებაო

ეს მოხდა მარტის დამდეგსა. გავიდა მარტი, გავიდა ლამაზი აპრილი და უფრო ლამაზი მაისი. დადგა თიბათვეცა. კესოს ყვავილების ბაღი, გეგმაზედ გაკეთებული, მოირთო, მოიკმაზა, ისე გაჭ-

ლამაზდა წითლად მიხვეულ-მოხვეული გზებითა, შიგა-და-შიგ და ყოლილ მწვანე მდელოებითა, ყვავილების ფერადითა, რომ კაცის თვალი ვერ გაძღებოდა. ღონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, — აცა ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო, ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეზოგათ და, რაც მადლი ჰქონდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებღერტნათ.

კესოს მეტის-მეტად უხაროდა, რომ ასე კარგად, ასე ლამაზად აუსრულდა თავისი დიდი-ხნის სურვილი. მინამ მთის იქიდამ მზე ამოალაპლაპებდა თავის სხივსა და თეთრს თოვლიან მთის წვერს ოქროს წყალს, ოქროს ჯავარს გადაასხამდა, კესო ჩაცმულ-დახურული ბაღში იყო ხოლმე ყოველ დღე და თითქმის საღამომდე დიდბინდამდე არ ავონდებოდა, რომ სახლშიაც შესვლა საჭიროა. მთელი დღე დაჰგოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს შორის და ყოველს ყვავილს, ყოველს ახლად ამოხეთქილ ნერგს, ყოველს ახლად გამოკვანძილს კოკორს შეჰხაროდა, როგორც საყვარელი საყვარელსა. თუ არავინ იყო, „ნამეტნავობისაგან გულისა“ დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქო მერცხალი თავის ბღარტებს ეჭიკჭიკებაო.

ძვირად, ძალიან ძვირად კი შეემთხვევოდა, რომ იმის ბაღში სხვა არავინ ყოფილიყო: გიორგი იქ იყო და იქ! რაც უნდა ადრე გამოსულიყო ბაღში, გიორგი ან თოხით ხელში, ან ბარით, ან სასხლავით აქ დაჰხვდებოდა ხოლმე.

გიორგიმ არჩილისა და კესოს სწავლებითა და ჩვენებით გააკეთა და დაჰკვალა ის ბაღი და გიორგისვე ებარა. არა მგონია თავის ორს თვალს ისე გაჰფრთხილებოდა, როგორც ამ ბაღს უყლიდა და უფრთხილდებოდა. მტვერი რა არის, — მტვერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა.

არჩილი და კესო ძლიერ ემადლიერებოდნენ გიორგის და არაერთხელ უთქვამთ ერთმანეთისათვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.

არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა. პირიქით, უხაროდა კიდეც თავისი ბედი.

— მე მეტი არა მინდა-რაო, — ამბობდა ხოლმე თავის გულში; როცა ამისთანაებს ჩაუფიქრდებოდა, — გადამკიდებიან, ჯამაგირისა

სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის-ამარა დღეს მზეს ვუყურებო.

რა უნდოდა ამითი ეთქვა გიორგის, გამოცნობა ძნელია. ეს კი სათქმელია, რომ როცა ბაღში ჰმუშაობდა და ქვიფზე მოვიდოდა, სულ ერთსა და იმავე სიმღერას ჰღიღინებდა ხოლმე ხმადაბლა: „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო“, თითქო სხვა აღარა იცოდა-რა, თითქო სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარბებოდა ამ დედამიწის ზურგზე.

მართლად თქმულა: კაცია და გუნებაო!..

XVI

ა ლ ბ ა დ!..

გავიდნენ კიდევ დღენი და თვენი. დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ჭარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, — მალეო, თორემ ვდუღვართ და გადმოვდივართო. დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძენი. დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმამაღალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოჭამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო.

მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებავად ზამთარში: ეშინოდათ თოვლს არ მოესწრო.

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეება, თივას აზიდვინებდა და შინ ეზოში, გომურის შორი-ახლო, ბოძებზედ შემდგარს მაღალ სათივეზედ ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუჭოს.

მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლელად, იქ წვერზედ შემდგარიყო, თითქო ჰნანობს, — რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვე-

ყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებით. მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტო, ულრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარეთ გამოახედებდა.

არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათივესთან, იქ ერთს უშველებელ კუნძზედ ჩამომსხდარიყვნენ და უცქეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ.

არჩილს უამისოდაც ძალიან უყვარდა მუშებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კესოსათვის არა-ერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჰკუას და ხშირად ენასა ვსწავლობდე.

ოთხი ურემი ოთხ-კუთხივ მოსდგომოდა სათივეს. სამი დაცლილი იყო და ერთიდამ-ღა აწვდიდნენ თივასა. შუა-სარი სათივისა ორ ადლზედ-ღა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმელად.

ამ დროს გიორგის თოხი მხარზედ გაედო და მოდიოდა.

— პეტრე, აი პეტრე! — დაუძახა შორიდამ თივის მდგმელს.— ბალისაკენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ დაგარგებს, გაასწორე.

— გიორგია. საიდამ იძახის? — იკითხა არჩილმა რადგანაც იმ მხრივ, საიდამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურმის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი გიორგისა.

— საიდამ მოსდიხარ თოხით მხარზე? — ჰკითხა არჩილმა, როცა გიორგი ახლო მოვიდა და საღამო-მშვიდობისა უთხრა და-ძმასა.

— წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავი.

— რას იძახდი?

— არაფერს. ცოტა თანაბრად ვერ ადის ვიწროდამ თივა, ავდრის წყალს დაიგუბებს და გაფუჭდება. ის დავუძახე პეტრეს, გაასწორე-მეთქი.

— აბა მაჩვენე.

არჩილი წამოდგა. გიორგი გაუძღვა და მეორე მხრიდამ შეახედა.

— მართალი ხარ, — უთხრა გიორგის არჩილმა, — პეტრე! გიორგი მართალს ამბობს, თავი ვერ ედგმის კარგად.

პეტრემ შუა-სარზედ ჩამობმულს წნელს მოჰკიდა ხელი და ეგრე ხელმომაგრებულმა გარშემო შემოუარა და ჩახედ-ჩამოხედა სიმრგვლივ სათივეს.

— აკი ღმერთი არ გამწყრომია! — დაიძახა პეტრემ. — გასწორება უნდა. მოდი, თუ ღმერთი გწამს, გიორგი, ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკა დღეს მაგას ვეღარ მოვასწრობ და საქმის სახვალიოდ დაგდება კი მეზარება.

— კაცო-და ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროზედ? — ასძახა გიორგიმ.

— მაშ ნუ დამზარდები, შენის ღმერთის გულისათვის: მე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავებიდამ მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.

— იცი კი დადგმა თივისა? — ჰკითხა კესომ, ამჟამად აქ მოსულმა, — ამბობენ, მაგას ცოდნა უნდაო.

ხელობა რა არის, ქალბატონო, — შეჰღიმა გიორგიმ. — განა სად გავიზარდე...

— მაშ აბა! — უთხრა არჩილმა. — ეს ბურთი და ეს მოედანი.

პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი, ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოაწვდინა საძნე ურმის ჭალებამდე ფეხის მოსაკიდებლად, როგორც იყო ჩამოვიდა, მივიდა, გიორგის მხარზე ხელი დაჰკრა და ტკბილის გულით უთხრა:

— ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგეკარგება. სხვა არ იყოს-რა, მამი-შენის ხნის კაცი ვარ. ეჰ შვილო და ძმაო, კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს.

— რადაო? — ჰკითხა გიორგიმ.

— მადაო, ჩემო კარგო, რომ ბერ-კაცს თვალიც ატყუებს, და ხელიც ჰღალატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას. შენს ხანში ხელს არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა?

— ახალსა ნამუდრაგალსა ბერის სჯობია ჩანჩალიო, გულს ნუ გაიტეხ.

— გაცოცხლა ღმერთმა. თქმაც იცი და კეთებაც.

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები ვეღარ გაიგონა, მაშინვე ავარდა ურემზედ, ორ-თითით მოიწვდინა თივაზე სარტყელსავით

ჩამოკიდებული წნელი და თვალის დახამხამების უმალ სათივეს ზედ თავზედ მოექცა. მიშალ-მოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადაბლა სათივე და რაკი ნახა, — აქედამ ეხლა სწორედ აკაო, დაიწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოეფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავისი საქმე გაათავა.

— ცეცხლია, სწორედ ცეცხლი, ე დალოცვილისშვილი!—ეუბნებოდა არჩილს გულმართალი პეტრე, როცა ქვევიდამ შესცქეროდა გამალებულს მუშაობას გიორგისას.

— მართლა კარგი რამ არის, — კვერი დაუკრა არჩილმა.

— კარგიო!.. ბადალი არა ჰყავს, ბადალი ამ სოფელში!..

გიორგიმ რომ გაათავა, გადმოსძახა პეტრეს:

— აბა, პეტრე, ერთი შენებურად დაუარე სიმრგვლივ, კარგად შემოკვერცხლილია თუ არა?

პეტრემ აუარ-ჩაუარა სათივეს და ასძახა:

— კარგია, კარგი. ჩამოდი, მაგას სხვა აღარა უნდა-რა.

გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სათივიდამ. შუამდე მოვიდა თუ არა, უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი პირაღმა გადმოქცეული, წამოვიდა მაღლიდამ და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითა. ჭალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია...

არჩილი, კესო, ხალხი მისცვივდნენ და გიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს დედამიწაზედ პირქვე დამხობილი, სისხლი შადრევანივით სცემდა...

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა წყლული შეეხვია. ზოგი არჩილმა, ზოგი სხვებმა, როგორც იყო, წყლული შეუხვიეს და, ცოტა არ იყოს, სისხლის დენამ შეკლო.

ცოცხალ-მკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში.

— აი, ღვთის წყრომა... რა შეგცოდე, ღმერო, რომ მე გამხადე საბაბი!.. — უნებურად წამოიძახა პეტრემ და ატირდა.

— ხიფათი რომ იქნება, იქნება, — ანუგეშა ვიღაცამ პეტრე, — ალბად ეგ წერებულა მაგის შუბლზედ!.. შენი რა ბრალია?!

XVII

ზარი

არჩილმა თავის ოთახში აატანინა გიორგი და თავის ლოგინზედ დააწვენინა. მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდამ. ორი-სამი კაცი კიდევ სხვა გაჰგზავნა სხვადასხვა სოფლებში, რომ შინაური ჯარა-ექიმებიც მოეწვიათ, ვინც კი გამოჩენილი იყო და შინაკაცებმა დაუსახელეს.

თითონ იმავ სოფელშიაც იყო ერთი სახელგანთქმული ჯარა-ექიმი — ოფოფაანთ დემეტრე. ისიც დაიბარეს და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, დემეტრე ჩამოვიდა.

გასინჯა დემეტრემ გიორგი. კარგა ხანს სინჯა, კარგა ხანს იქნია თავი და ბოლოს უთხრა არჩილს:

— არა, ბატონო!.. მე მაგას ხელს ვერ მოვკიდებ. ეგ ამ ქვეყნისა აღარ არის. მაგისი წერა ეგა ყოფილა...

— ერთი სცადე... თუ ღმერთი გწამს, ხელი დაადე... რაც გინდა მთხოვე და მაგის ცოდოს კი ნუ დაატრიალებ ჩემს სახლში, ჩემს თავზედ!..

ეხვეწებოდა, ევედრებოდა არჩილი, რომელიც ამ უბედურის წამიდგან აღარ მოშორებია გიორგის: გიორგის ლოგინთან დაჩოქილიყო, მომაკვდავის ცივი ხელი თავის ხელისგულზედ დაედო და თითონაც არ იცოდა, რისთვის უზელავდა ხელით ხელსა.

— ტყუილი წვალება-ღა იქნება უბედურისა. სჯობია უწვალებლად მიაბაროს სული, — მიუგო დემეტრემ. — ამაღამ, დიდი საქმეა, თუ გაატანა: შიგანური სულ შენგრეული აქვს.

— მერე ცოდო არ არის, ამისთანა ბიჭი მოკვდეს!..— წამოიძახა გულამომჯდარმა არჩილმა და თავი ჩაჰკიდა დიდის მწუხარებით.

— ჰაი, ჰაი, რომ ცოდოა! — დაიღმუილა ვიღაცამ ტირილის ხმით.

ყველამ იქით მიიხედა, საიდამაც ეს ხმა მოვიდა და ბნელს კუთხეში არჩილის მეწისქვილე კი დაინახეს. ამ ბერი-კაცს შეეტყო ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში. საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ეშინოდა, არავინ გამიგოსო...

— არ გებრალები, ჩემო სოსიავ, რომ ასეთი ცოდვა დატრიალდა ჩვენს ოჯახში!.. — შესჩივლა არჩილმა მეწისქვილეს, რაკი ნაღველის მოზიარე იგულვა, თითქო ამით ნაღველის განქარვებას ჰლამისო.

— ოღონდაც, ბატონო, ოღონდაც!.. — წაიქვითინა ეხლა კი ხმამაღლა მეწისქვილემ, რაკი გული ვეღარ შეიმაგრა...—ვაი მაგის დედის ბრალი, ვაი!..

მარტო ეხლა მეწისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი. ამ ვაი-ვაგლახში აღარავის მოჰგონებია, შვილის ამბავი დედისათვისაც შეეტყობინებინათ.

ოთარაანთ ქვრივმა ჯერ არა იცოდა-რა.

არჩილი მეტად შესწუხდა, არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჟღავნებინა დედისათვის. ამის ფიქრსა და წუხილში იყო, რომ გიყსავით გაფეთებული შემოვარდა კესო, უკვე მოსულიერებული. კესოს ცოცხალის ფერი არ ედო.

— როგორ არის, არჩილ, როგორ? — ჰკითხა აჩქარებით ძმასა და მაშინვე გიორგის ლოგინთან მიიჭრა.

— შენი მტერიმც ნუ ყოფილა ასე!.. — ძლივ-ძლივ წაიდუდუნა ძმამ.

კესომ დაჰხედა გიორგის. გიორგი გვერდზედ დაეწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენ ჰქონდა. კესომ ნახა, რომ ეს ბრგე ყმაწვილი კაცი ძლივს-ღა ჰფეთქავს... კესოს მტკივნეულად შეეკეცა შუბლი... შეიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზედ და, თითქოს მოგუბებული ცრემლი უკუე უნდა აქციოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰმუჭვნა და სრესა დაუწყო თვალებსა ხელებ-ჩამოუღებლივ.

— კესო, ნუ შევატყობინებთ დედასა? — ჰკითხა ძმამა.

— როგორ თუ ნუ? შვილი მოვუკალით და არც კი ვატყობინებთ, რომ სულთმობრძავს მაინც მოუსწროს, სული დედის კალთაში მაინც დაჰლიოს... — მოსთქვამდა ქვითინით კესო.

მე აღარა მესმის-რა, — უთხრა ძმამ. — ამ საცოდავობამ გამაშტერა. აღარც ჰკუა მერჩის, აღარც ხელ-ფეხი!.. დაბნეული ვარ.

გაჰგზავნეს დედასთან ბიჭი. მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუმცა ფეხაჩქარებით, მაგრამ ისე გულ-დინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალი არაფრად შეუმჩნევია და აინუნშიაც

არა მოსდის-რაო, მარტო სახე თითქო უფრო ჩამოსჭკნოდა, წარბებ-შუა შუბლი ორ-სამ კეცად ჩაჭნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ედო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი კი გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ არა, ის ვეება დედაკაცი კინალამ თავზე არ წამომექცაო.

— რა გატირებს, ჩემო კარგო... — უთხრა გზა-და-გზა გიორგისაკენ მიმავალმა დედამ მტირალს კვსოს. — განა სატირლადაც გაჰხდა საქმე!

ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო!..

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალ-მკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეკრა და ჩაიჩოქა.

ხმაგაკმენდილს ოთახში ენა ვეღარავინ დასძრა, ასოც ვეღარავინ შეატოკა.

მარტო ერთად-ერთის სინათლის ალი ჰკრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სულიერნი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარილის სვეტებად გადაიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდავობაღა თავის დიდებულს ზარით ჰღალადებდა უთქმელად, უტყვად, ხმაამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისა-ღა ჰხედავდა და ყური გულის-ღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა.

XVIII

უკანასკნელი განდობა

— მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!.. — დაიკვნესა პატარა ხანს უკან დედამ, რა ცოტა გულს მოეშვა და დაბნეული კონება მოიკრიბა.

მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!..

მანამ ეს მოხდებოდა, ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზედ მო-

ვიდა. ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თითონ მოერია გულსა, თითონ გაიტეხინა გული. როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას.

ოთარაანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, გადააწვდინა ხელი, გადაჰხადა საბანი და გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილს და თვალებ-დახუჭვილს შვილსა.

დედის გულთამხილავმა გულმა პირველშივე შეიტყო, რომ აქ საშველი აღარ არის-რა და შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლის. აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია... იმედ-გადაწყვეტილი მარტო იმას-ღა ეშურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო.

— შვილო, გიორგი! აბა ერთი მომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა!.. ვაჟკაცი რამ გძლია ისე, რომ დედისათვისაც თვალს არ ახელ!..

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოაბრუნა, — ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიელულა თვალი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებსღა დაუწყო ტოკვა.

— თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს... — დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩინა, თითქო მდუღარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

— სახე კი არ უტიროდა, არა!

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავი ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლ-მოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედ-გადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი.

— წყა... — წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა.

— წყალი, წყალი! — დაიძახა რამდენიმე ხმამ ერთად.

დემეტრემ ურჩია, ღვინო მიაწოდეთ, ცოტად მოაღონიერებსო.

— შვილო, დედის ერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. — შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა,

თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტკიცრალი კესო...

— დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!.. — ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალ-გაჩერებულმა.

— ვხედავ, შვილო!

— დედი!.. ღვინო...

დედამ კიდევ დაალევინა ღვინო.

— ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! — კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას.

არჩილმა გაოცებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაჰბედა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოეღო. ყველა სმენად გადაიქცა.

— აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. — ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაჯრჯოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება ივიე სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი.

— ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ იწუხებ დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!..

არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკ-

ვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოკულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, — ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა...მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..

თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზედ, თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუწყო და მარტო ხელს-ღა აფათურებდა უძლურად, თითქო ვიღაცას ეძებს და იმის პოვნა უნდაო.

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.

— გაჰთავდა!.. — დაიკივლა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!.. კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დაჰლიაო.

ცოტა ხანს მოუცადეს, ვითომ გულზედ მოეშოსო, მაგრამ რაკი ნახეს, რომ ეს დედაკაცი არც ხმას იღებს, არც იძვრის, ფიქრი მიეცათ, — ხომ არა აუტყდა-რაო.

კესო მივიდა და ჰლამოდა აყენებას. ოთარაანთ ქვრივმა მაშინ-ღა მოსცა ხმა:

— თქვენი ჭირიმე, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი!.. ვაი, რომ არა მიშავს-რა!..

არჩილმა ყველას აქ მოგროვილს მოახლე-მოსამსახურეებს ჩუმად ხელით ანიშნა ოთახიდამ გასვლა. ყველანი გაიკრიბნენ. არჩილი და კესოც ფეხაკრებით გავიდნენ, მხოლოდ მოახლეს უბრძანეს მეორე ოთახიდამ ყური ეგდო ოთარაანთ ქვრივისათვის.

დაცარიელდა ოთახი.

ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულა თავი.

— ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. — ჰღმუოდა ხმადაბლა დედა. — მე დავრჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!.. შვილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!.. შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!.. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!.. ამ ხელებმა გაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მიწა მოგაყაროს?! მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელი და ეხლა მე უნდა დაგიკრიბო, მე!.. ვაი, დედას, ამის დამსწრეს!..

პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითით გოდება-ღა ისმოდა.

— ვუი, ვუი, ვუი!.. — გაისმა ოთახში ბღავილსავით ვიღასიც ტირილის ხმა.

ოთარაანთ ქვრივმა იუცხოვა და ფეხი წყრომით მოატარა ოთახში.

ერთად-ერთი სანთელი ბევრს არას ანათებდა ფართო ოთახში და ნამეტნავად ერთ კუთხეში ჰბნელოდა. აქ მობუზული კაცი დაინახა ოთარაანთ ქვრივმა.

თავის უნებური კაცი ნახა თუ არა, გულჩვილი დედა უცბად ისევ მჭახე ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა.

— შენ ვილას მეტიჩარა ხარ? — შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით.

— შენს საკოდავობას ვეღარ გავუძელ, ტირილი ყელთ მომებჯინა და არც მე მინდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბღავილს მოვყევ ეს ოხერ-ტიალა...

— მერე აქ რას უგდიხარ?

— მარტოდ შემეცოდე. ვთქვი — უცხო სახლია, ესეც ადამიანია, წყალს მაინც მივაწვდი-მეთქი.

— ვინა ხარ?

— სოსია.

— ვინ სოსია?

— თუ გაგონდები კარგია, თუ არა-და, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში.

— რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არ გგონია!..

ბებერი მეწისქვილე, როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო, წინანდებურად მობუზული.

— წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, — უთხრა ოთარაანთ ქვრივმა: — მარტო მინდა ვიყო...

— შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძაღლსავით, მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე!

— კარგი, მომშორდი!

XIX

ჩატეხილი ხიდი

დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. მთელი ახლო-მახლო სამღვდელოება, ახლო-მახლო სოფლები მოიწვია მიცვალებულის „გასაპატიოსნებლად“ და ამისთვის არა ხარჯი არ დაჰზოგა, ისე დაჰმარხა, თითქო იმისი სახლის-კაცი, იმისი ოჯახის-შვილი ყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდამ სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწევოდა, ასე რომ არავის გამეცვლევინა.

კესო მძიმე შავებში, ჰირისუფალსავით გულხელ-დაკრებილი და მგლოვიარედ თავ-ჩაკიდებული ხმა-ამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა, გამოტრიალდა, თითქო შეაშინა რაღაცამაო.

— დახე, სტირის!.. — სთქვა იქ მდგომელმა დედაკაცმა.

— სიყვარული ძნელია! — უპასუხა მეორემ. — გაიგებდი, ერთმანეთი ჰყვარებიათ.

— საწყალი ცრემლსა ჰმალავს, თითქო სცხვენიანო.

— რა სირცხვილია, — გაიბა დედაკაცობაში ლაპარაკი, — ის კი ადამიანი არ იყო?! ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი — სხვა რა უნდა სიყვარულს?

გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა და-ძმას ამისთანა თავმდაბლობა და „გაპატიოსნება“ მიცვალებულისა. ზოგი კი იძახოდა:

— კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო.

იქნებ ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში — მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.

გინა არა, — არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა და როცა კესომაც შეიტყო და აპილპილდა, — ეს რა დაგვწამესო, არჩილმა უთხრა:

— ნუ გიკვირს.

— რატომ არ უნდა მიკვირდეს! ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს.

— საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ-შუა ხედია ჩატეხილი; ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ შოგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცონდა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან.

— მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?

— ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი, იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ-შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, — მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი. — მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ.

— მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის!.. მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...

გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის. ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭული, ის ყურია

დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გული არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გაშწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის აშოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური, თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგაღმაა, შორს... შორს... მაშ, რაღად გვიკვირს, რომ იქიდამ ველარა გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვადრს გულში? შეუძლებელია.

— ეგ, ჩემო საყვარელო, ძველი მოთხრობაა ახლად ნაამბობი: აქაო-და გლეხია, ყოველთვის მართალი უნდა იყოს.

— მაგ სულელობას რადა მწამებ, ჩემო კარგო? მე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი. — ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვა-დამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია. მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგ-ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა...

— კდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის. ეს თუ უნდა გეთქვა.

— შენ დამასწარ. მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი — ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადავურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩხრეკთ. ამიტომაც კარგის მქნელი, — იმათია თუ ჩვენი, — ან სულელი

გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად...

— მაშ წასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!

— ვინ გითხრა? ჩვენისთანისა — იქნება ჰო, მაგრამ იმათი კი არა.

— არ მესმის. აკი ორივენი, — ჩვენცა და ისინიც, — ერთნაირად მკვდარნი ვართ, შენის სიტყვით.

— ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე ვაკეხუმრე:

— ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორეზე როგორ წამოხვედიმეთქი ამ ვაი-ვაგლახში! — „აი ბატონოო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლ-ჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძონძებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები — რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო“. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებიერობაა, ღხის გასიებაა, დაშძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...

— ნადირი კი არ დაძრწის დილიდამ საღამომდე საჭმლის საშოვნელად! ჰშიან და, რომ ამისათვის ხელ-ფეხსა სძრავს, საქებ-სადიდებელია?! ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა.

— მაგით რა უნდა სთქვა?

— ის, რომ ადამიანობით ისინი ჩვენზედ უარესნი არიან, გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ციწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვიღა სჩივის...

— მჯერა. თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია — რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი...

— ნუღარ მომაგონებ, მე ჩემი მემართება, როცა ის უბედური მაგონდება.



დასაწყისი განთიადისა

არჩილმა გასწყვიტა ლაპარაკი და წინ და უკან მოჰყვა სარეულის ოთახში. ვინ იცის, — კესო შეეცოდა, თუ დაიღალა, და სარეულით ქარის ამოღება მოინდომა. ხოლო პატარა ხანს შემდეგ შუა-გზიდამ უეცრად მოუტრიალდა კესოს და უთხრა:

— არა, ჩემო საყვარელო დაო! ნუ მიწყენ და ეგრე ადვილად გზაასაქცევი, თავიდამ მოსაშორებელი არ არის გიორგის ამბავი. გახსოვს გრიგოლ ორბელიანი? რა-რიგად აკვიატება იმისმა სიტყვამ, როცა ვკითხულობდით:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას“.

— ეგ აქ რა მოსატანია? — ჰკითხა კესომ.

არჩილი ჩაფიქრდა: გაუკვირდა მიუხვედრელობა კესოსი.

— შენი კითხვა მაკვირვებს, კესო!

— საკვირველი აქ არა არის-რა, მიუგო კესომ და თავი ჩაჰღუნა. თითქოს ეს დუნე პასუხი თითონვე ეთაკილაო.

— მაშ, გიორგის შეირთავდი? — ჰკითხა უეცრად არჩილმა.

კესომ ეს უეცარი კითხვა იწყინა თუ რა, დიდხანს პასუხი არ გასცა.

არჩილმა აცადა, გული კი აუფანცქალდა. ვინ იცის — რა უფრო ენატრებოდა: ჰო, თუ არა. არჩილმა ხელმეორედ ჰკითხა:

— შეირთავდი?..

— არა.

— მეც ეგრე მოვიქცეოდი. გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობას...

ნუ იტყვი მაგას!.. — შეჰკივლა კესომ წყრომითა და თვალები დაუბრიალა.

— ნუ სჯავრობ, კესო! მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს...

— არ მიყვარდა და იმიტომ.

— ჩვენი ვაიც მაგაშია. სჩანს, ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვიღა სჩივის. შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გევლებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლ-ხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებული ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს, აგებს... ნახევარ-კაცნი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვთლია...

— არჩილ, მეტის-მეტია.

— მკვახედ, უფერ-უმარილოდ ლაპარაკს გულქვაობაში ნუ ჩა-

მომართმევ, ჩემო კესო. სიცოცხლეში ხშირად არ მოგველინება იმისთანა რამ, რომ ჰკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. ხომ მიწასთან გასასწორებელნი ვიქნებოდით, თუ ჩვენისთანებს იმოდენა ღონეც არა აქვს, რომ თვალის ახილების ტკივილს გაუძლოს. ესღა გვაკლია.

— მაშ სთქვი!.. თუმცა ტკივილითა სჭრი, მაგრამ ამებით ჰკერავ კიდეც. სთქვი!..

— იცი, რა იყო გიორგი!.. გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდგალმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო“, ნათქვამია და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, — რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა“. არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება“ სულისა.

— სიყვარული ბრძანებით არ მოდის.

— განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!..“ მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად.

— ნურც ეგრე გამასწორებ მიწასთან!.. მეყოფა!.. — უთხრა კესომ და ტირილი დაიწყო.

არჩილს შეეცოდა. მივიდა და შუბლზედ აკოცა.

— წმინდაა ეგ ცრემლი და არ მოგწმენდ. თქვენ, ქალები, ამით გვჯობნიხართ მამაკაცებს...

— რომ ცრემლს — გვინდა თუ არა — წყალსავითა ვღვრით ხოლმე. კმარა სიცილი!.. დავიტანჯე!..

— ო, ჩემო კარგო, ზოგჯერ ცრემლი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია, და დროზედ ხმარებული ფარი ოგივ ხმალიაო, ვილაცას უთქვამს.

— მაგით რა გინდა სთქვა?

— შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკანღა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

— და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. — წამოიძახა ტკივილით კესომ.

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვტირი...

— ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

— არჩილ, წინ რაღაა, წინ!.. — შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორისავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

— სწორედ.

და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.

XXI

ეძახს

შუა-ნანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ბურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-

გრძელი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, ცივჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალ-გადაუწვდენელს სიგრძე-სიგანეზე, სიღრმე-სიმაღლეზე.

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლეხკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჩუჩყიანი თავსახურავები მოჰრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწულა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორღობის ღობეები ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლ-ქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო.

თოვლი რომ გადიღო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აციდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებული სითბო დღისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშიებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს, ღობეების ნაპირებს. ჩარდახების და ბანების გარეშემო.

ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჰყოფთა ხოლმე ღრუბლებიდამ თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ყოფილ-კოფილი. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა დაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტის მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხანდისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ჰბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს სისქე კუნძს ცალ გვერდზედ ცეცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა. როცა ნაღვერდალ-მოსხმული გამომწვარი გვერდი ხისა დროგამოშვებით პატარა გნასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტა-ხნობით მოჰშუქდებოდა.

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძაღლი იწვა. რგვლად გადმოექექნა თბილი ნაცარი, თითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით, ვიღაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლა-პირასვე იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედაბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი. მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა.

— ვინ მეძახის, ვინ!.. — იძახოდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდამ კი ხმა და ჩამი-ჩუმი არ იყო. — წადი, წადიო!.. რად იძახი გული? რად მეწევა, რად?

იტრიალა ღონემიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

— მივაღწევ კი!.. — ჰკითხა თავისთავს: — ფეხის გადადგმის ღილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გაჰხდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!..

შეჰკივლა ეხლა კი ხმამაღლა ვიღაცას კვნესითა და ვაებითა და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლა-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს. ხომ არ გამოეღვიძა და არ შემიტყოვო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა: პირველში ერთი ყრუდ ყეფა წამოიყეფა და რაკი დაინახა პატრონია და სხვა არავინ, წინანდებურად წაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ-ისე გულიანად ეძინა.

— სძინავს!.. — სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა, — მეც მალე და-

ეიძინებ... სულთამხუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და, მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ... მეყოფა.

ამის თქმაზედ სნეული გაყუჩდა, თითქო რაც სტკიოდა, დაუმდაო.

— კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, წაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ვეღარ წაადგა, დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაეჯინა, — არ წავიქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელდაბჯენილი იდგა გარინდული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს და ფეხაკრეფით გავიდა სახლიდამ. უღონოს სიარულით ეზო გაიარა, ორისავ ხელით წინ წაძღოლილ ჯოხზედ დანდობილმა. ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

— ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ!.. მოვდივარ, მო!..

ფრთხილს ძაღლს პატრონის გარეთ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი ორჯერ შეიბღერტა, გაიბობღა, ტანი დაიგრძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე — უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზლაზვნით გაეკიდა პატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, პატრონი აღარსადა სჩანდა. ჩახტა დერეფნიდამ ეზოში, თოვლზედ ახალი ნაფეხური პატრონისა დაჰსუნა და აუჩქარებელის ძუნძულით აედევნა კვალსა.

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა. იმას ისევ-ისე გულიანად ეძინა.

რაში ჰგვანდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი!

მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო.

XXII

წყევლა-კრულვიანი საკითხავი

გათენდა შობა დღე. ჯერ თითქმის კარგადაც არ გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუშს ოთხიოდე ჰედილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ, — ბედნიერი დღეა და გაჰხსნილდა, იქნება გავყიდოთო. ძალიანა ციოდა. ცხვრები მოგოგავდნენ თოვლიან გზაზედ და მოაქანებდნენ თავისებურად დუმებსა. მეცხვარეებს ისე ციოდათ, რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინებინათ და უბეში ეწყოთ, კომბლები კი იღლიაში ეჩარათ, წინ გამოშვერილები.

გზა სოფლის სასაფლაოს ბოლოზედ მოდიოდა და აქედამ უხვევდა სოფლის ორღობისაკენ. მოვიდნენ ამ გზაზედ თუ არა, სასაფლაოდამ ერთი ღმუილი შემოესმათ.

— ეს რა ჰღმუის? — იკითხა ერთმა.

— კაცო, აფთარი არ იყოს და არა სთხრიდეს ვისიმე საფლავს. გავაფრთხოთ, მადლია, — სთქვა მეორემ და წელიდამ დამბაჩა გაიძრო და დაჰცალა.

ღმუილი პატარა ხანს შესწყდა დამბაჩის ხმაზედ, მაგრამ ისევ მალე მოისმა. ეხლა კი ღმუილს წკავწკავიც მოემატა.

— აბა ეროი ვნახო... — სთქვა ერთმა მათგანმა და გასწია სასაფლაოსაკენ.

შორი-ახლო მიუვიდა ხმას და დაინახა, რომ ძაღლი წამოსკუპებული იჯდა ვიღაცის საფლავზედ, უკანა ფეხებზედ ჩამჯდარიყო და წინა ფეხებზედ დაბჯენილი და სოფლისაკენ პირმიქცეული საცოდავად ჰღმუოდა.

გაუკვირდა მეცხვარეს. მივიდა ახლო და ელდა ეცა. ძაღლის ზურგით უკან მკვდარი დაინახა: საფლავზედ გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას ნიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო.

ელდაცემულმა თუშმა დაუძახა ამხანაგს. ამხანაგმა ხმაც არ მოსცა, ორღობეში შეესწრო და ძახილი ვერ მისწვდა.

გამოჰბრუნდა თუში, ნახულით გაოცებული.

— აქ რამ მოიყვანა ამ ყინვაში და რამ მოჰკლაო? — ჰფიქრობდა გზა-და-გზა.

თავის ამხანაგს რომ დაეწია, უამბო ნახული.

— დახე, ძაღლი პატრონს არ მოჰშორებია. — წამოიძახა ამხანაგმა. — დალოცვილი პირუტყვია. ბარაქალა, ძაღლო, ბარაქალა!

მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის ოთხფეხისა...

შეატყობინეს სოფელს. თუმცა შობის დღე იყო, მაინც დიდი და პატარა, კაცი და ქალი გაიკრიბა და სასაფლაოს ზედ დაედო.

ის მკვდარი ოთარაანთ ქვრივი გამოდგა, ის საფლავი — განა თქმა-ღა უნდა — გიორგის საფლავი იყო... ის ძაღლი... მაგრამ ძაღლს ვილა იკითხავს.

შეიქმნა ჟივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მითამ არ იყო სალაპარაკო თუ? გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარბებოდა, — ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა.

— გაჰტყდა ეს რკინის დედაკაციცაო, — ამბობდნენ ზოგიერთნი, — ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცაო.

— დედის-ერთა შვილის დაკარგვა ძნელია, მერე რა შვილისა! — იძახოდნენ დედაკაცები, — აკი ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურაო.

ბევრს ეცოდებოდა ეგრეთ გათავებული ოთარაანთ ქვრივი. დამტირებელი კი არავინ იყო. ძნელია ეგრეთ წასვლა სააქაოდამ. მაგრამ რა? ვინც მოჰკვდა თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა მართალი არ არის!

არა, — ზოგჯერ მართალი არ არის. აქ იყო ერთი კაცი, რომელსაც მოუკვდა ოთარაანთ ქვრივი!.. ეს იყო სოსია მეწისქვილე. თითქმის ოც-და-ათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ეს დღე, სხვა აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერ-

თხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გულში სთქვა:

— მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ეეკადრებოდი... ველარ შევბედავ, ველარა!..

სთქვა და ახლოც თურმე აღარ გაუარა ოთარაანთ ქვრივსა რიდისა და კრძალვისაგან.

სოსია მეწისქვილეს ეხლა ორიე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ, იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმად.

— ადე, რას ჰღმუი უპატრონო ძაღლსავით! — დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხაროდ, — შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?

— ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო! — უპასუხა თავისებურად ტკბილად მოხუცმა ტირილის ხმით, — სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

იქნება კიდევ ეთქვა რამე სოსიას, მაგრამ ამ დროს ხელდახელ გაკეთებული საკაცეც მოიტანეს და რომ მივიდნენ მკვდრის ასაწვევად და საკაცეზედ დასადებად, ვიღაცამ წაიბორძიკა მეწისქვილის ფეხზედ და ითაკილა.

— ეს ვიღა ოხერია, ფეხებში გვედებაო! — სთქვა წაბორძიკებულმა და, ღონივრად წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: — წადი, იქით გაეთრიეო.

დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ. როგორც იყო წამოდგა და როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს:

— ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!

მართლა, რომ ცოდოა!..

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში.

6 ქრისტეშობისთვეს
1887 წ.

ნ ნ ნ

ის „Юного генерала Сира Джона Мура“, ესეც თავისი არ არის, ნათარგმნია, მაგრამ კარგი თარგმანიც სასარგებლოა; „Роман Дездемоны“, შექსპირიდგან თარგმნილია. ამათ გარდა, იქნება ორი, ან სამი ლექსი კიდევ გვაჩვენოთ მთელი კაზლოვის თხზულებაში საკმაოვნონი, თორემ დანარჩენ ლექსებში, სუყველგან თითქმის, დაძაბულები, ე. ი. ძალად მოყვანილი გრძნობაა. ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად.

კაზლოვი იყო კარამზინის სხოლის მწერალი. არამც თუ მარტო თავის ლექსებს კაზლოვმა შეჰყარა ჰირი იმ წირპლიან სხოლისაკ, არამედ სხვადასხვა პოეტებსაც, რომელთაცა სთარგმნიდა და რომელთაცა სულ არ სცვიოდათ ძალად გაჰიმულ პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი კარამზინისავით და მის მიმყოლ კაზლოვისავით. მიიღეთ შრომა, გადაშალეთ კაზლოვის გაბერილი წიგნი და ყურადღებით განიხილეთ ლექსები ანდრე შენიესი, ფრანცის პოეტისა: ძლივს-ღა იცნობთ კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას და მის გამო ევროპასაც, ჰეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა, და ამით თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თვის საფუძველში ცრუ-კლასიკური მიმართულება ფრანცის ლიტერატურისა. კაზლოვის თარგმანში ისე ცხადად არ ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა, ის უშანკო, უცოდველო და ნამდვილი ბგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა. მაგრამ ანდრე შენიეს ლექსები კაზლოვის თარგმანში ისე ბევრნი არ არიან და არც ისე უფერულნი, როგორც სახელოვანი მიცკუვიჩის „ყირიმის სონეტები“. ეგ სონეტები, ეგ უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი, — რა-რიგ უსულდგმულო, უსურნელო ყვავილებად შეიცვალნენ კაზლოვის თარგმანში! არამც თუ კაზლოვმა [არ] შეარჩინა მიცკევიჩის სონეტებს ფორმა სონეტისა, არამედ არ შეარჩინა თითქმის არც ის მშვენიერნი სურათნი, რომელშიაც ისე ნათლად გამოეხატვნენ წუთის გრძნობანი იმ სახელოვან პოლშელ პოეტსა. დასარწმუნებლად, შეადარეთ თარგმანი კაზლოვისა უფ. ლუგოვსკის იმავე სონეტების თარგმანთანა, (რომელიც გამოიცა ოდესაში 1859 წელსა, როგორც გვახსოვს). თუმც არც უფ. ლუგოვსკის

თარგმანია ძალიან ნიჭიერი და საქებელი, მაგრამ მაინც ეს უფრო განუზომელად უკეთესია კაზლოვის თარგმანზედა. ამათ გარდა, სხვა ბევრი პოეტები ალაგ-ალაგ გადმოთარგმნილი ჰყავს, და სხვათა შორის ლორდი ბაირონიცა. ბაირონი უთარგმნია კაზლოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთი მთელი პოემაც ამისი, წოდებული „Абидосская Невеста“, მაგრამ სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!

ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა: არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენა, რამოდენაც ბაირონმა ევროპაში და ნაშეტნავად რუსეთში, თუმცა კი სატანის სხოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი ბაირონსა. რასაკვირველია, მისი მბაძავნი — ზოგნი სულ უნიჭონი იყვნენ, ზოგნი კი კარგა დიდი ტალანტებისანი, რომელთათანაც კაზლოვი ბუზად გამოჩნდება. თითონ პუშკინიც მთელ თავის გენიით ვერ გადაურჩა ემაგ ჭირსა; მთელი ერთი პერიოდი პუშკინის წერისა, „კავკასიის ტყვიდგან“ დაწყებული „ევგენი ონეგინამდინ“, და თვით „ევგენი ონეგინიც“ თითქმის იყო ბაირონის გავლენის ქვეშა. ლერმონტოვიც ჰბაძავდა ბაირონსა; მთელ მის პოეზიას ეტყობა, როგორც ზემოხსენებულს პერიოდს პუშკინისას, ბეჭედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერმონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მაღლა დგას თვით პუშკინზედაც. აი ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა და, ამათ გარდა, რამდენი სხვა პაწაწკინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის ქვეშა!.. ეს საზოგადო ჭირი იმ დროებისა ჩვენ კაზლოვსაც შეეყარა. მართლა-და კაზლოვი არადროს არ ყოფილა თავისუფალი მწერალი, ის არამც თუ იყო მარტო ბაირონის გავლენის ქვეშა, არამედ ბრმადა ჰბაძავდა ასე, რომ თავის საკუთარს ლექსებში ბაირონის თითქმის სიტყვებს და სურათებს ჰხმარობდა. გაშინჯეთ, მაგალითად, მეცხრე გვერდი კაზლოვის „Чернец“-ისა, ჩაიკითხეთ ცამეტი სტრიქონი და შეადარეთ ბაირონის „მანფრედის“ სიტყვებთან, როცა იგი ელაპარაკება წყლის ფეიასა. როგორც „Чернец“, ისე „Наталия Долгорукая“ — ეს ორივ პოემა კაზლოვისა — ბაირონის გავლენისანი არიან; ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კაზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისავით რილაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კაზლოვის პაწაწა ნიჭსა შთაებერნა კაზლოვის გმირებისათვის ის მორჭმული, მოუდრეკელი სული ბა-

ირონის ხასიათებისა! განა მარტო სიბნელე მოთხრობისა, მწუხარება, წყევლა და აი! უი! ოხ! უხ! და ამაზედ უფრო უძლიერესნი შორისდებულნი შეჰქმნიან ბაირონსა? ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმე; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღვნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ; ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამალსა. ბაირონის ნაცვლად, რომელსაცა ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, იმ ბაირონის ნაცვლად, კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჩია აშუღადა. მაგრამ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ერთ დროს კაზლოვი მიიზიდავდა რუსებსა. მისმა „Чернец“-მა დაუგდო ხმა შუათანა მწერლისა რუსეთში; ეგ საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია; აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელი მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაივაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრია, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, იქ გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი. ეგ რად გინდათ, აიღეთ რუსეთში ხერასკოვი, სუმაროკოვი და სხვა მათებრ გაბერილები თავიდან ფეხებამდინ უნიჭობითა, რამდენ მკითხველსა და ტაშის-მკვრელსა შოულობდნენ გაუნათლებელ რუსეთშია! ეხლა რათ უნდა გვიკვირდეს, რომ კაზლოვსაცა ერთ დროს ჰყვანდა მკითხველიც და მაქებარიც. ამას კაცური სიტყვა მაინც ჰქონდა, რო სხვა არაფერი იყოს. ჩვენ გვინდა ამით ვსთქვათ, რომ მაშინ რუსეთის სა-

ზოგადოება არ იყო ისე ესტეტიკურად გახსნილი და განვითარებული, როგოროც პუშკინის შემდეგ და ნამეტნავად ეხლა; იმათთვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური, ყალბი გრძნობიანი, მტირალა და წირპლიანი მწერლები, რომლებიც თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარამზინი. ამის „უბედურ ლიზას“, რომელიც გადმოთარგმნილი იყო ქართულზედ და დაბეჭდილი ჩვენ „ცისკარში“, კითხულობდნენ თვით პუშკინის დროსაც, თუმცა ეხლა კარგ რუსსა სატანჯავად მიაჩნია მისი წაკითხვა. სწორედ ამისთანა ხვედრი ჰქონდათ კაზლოვის პოემებსაც, თუმცა ესენი მაღლა დგანან კარამზინის „უბედურ ლიზაზედ“. კაზლოვის მოსათმენი ენა, შუათანა შეუკვეცავი რითმა, ზოგიერთგან გრძნობიანი სიტყვა და უფრო ის ბნელი და მწუხარე საგანი მის „Чернец“-ისა და „Наталия Долгорукая“-სი არ იყვნენ უკანასკნელნი მიზეზნი, რომ მაშინ რუსები მაგ პოემებს კითხულობდნენ. კაზლოვის „შეშლილის“ ქება-კი ჩვენ არსად შეგვიტყვია, და თუ უქია ვისმეს, უთუოდ კაზლოვის თხზულების გამომცემს უქია. იმ გამომცემს, რასაკვირველია, სხვა, შინგნიტიკური, მისატევებელი მიზეზი ექნებოდა ქებისა, რადგანაც მარტივნი ამა ქვეყნისანი მალე დაიტაცებდნენ გამოცემულ წიგნსა და მით გაახარებდნენ გამომცემის მგლოვიარე ჯიბესა. ამას გარდა ჩვენ ვფიქრობთ კიდეც, რომ სწორედ იმ გამომცემის სიტყვებს უმოქმედნია, რომ თ. რევაზ შალვას ძეს ერისთავს აუღია ეგ უშვერი და გამოუსადეგი პოემა ქართულს ენაზედ გადმოსაღებელად, თორემ თქვენვე გაშინჯეთ, ჩვენო მკითხველო, რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სხოლის წერლების გაცნობა? რამდენიმე წლის წინათ უფ. სარდიონ ალექსიმესხიშვილმა გადმოთარგმნა სენტიმენტალურ სხოლის მწერალი მარმონტელი და ეხლა იმავე სხოლის მწერალი კაზლოვი გადმოუთარგმნია თავად ერისთავს. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჰკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი

წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავსდგამთ.

მართლა-და საკვირველია! თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კაზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მაინც არ ამოერჩივა თავად ერისთავს. ეს „შეშლილი" — მართლა, რომ შეშლილი — რა სათარგმნელია? მაგრამ ერთის მხრით თავად ერისთავს კარგი უნებებია, რომ ღონის გასაშინჯავად და გამოსაცდელად კაზლოვი ამოურჩევია. ეხლა თვითვე, გვგონია, დარწმუნდეს, რომ არმც თუ პუშკინის და ლერმონტოვის თარგმნა შეეძლოს, არამედ კაზლოვისაცა და სხვათა უფრო მდარეთა რითმების მბეჭველთა პოეტთა, რომელნიც რუსეთში ქვეშაზედ უმრავლესნი არიან. დიახ, ძალიან კარგად მოქცეულა თავადი ერისთავი, რომ პუშკინის და ლერმონტოვისთვის ხელი არ უხლია, თორემ ამათი ქმნულებაც ისე წაეხდინა, როგორც წაუხდენია კაზლოვის „შეშლილი", სწორედ ღვთის გმობა იქნებოდა.

ეხლა მიუბრუნდეთ და მოკლედ განვიხილოთ თითონ კაზლოვის პოემა „შეშლილი", რა წითელი კოჭი ბრძანდება რუსულს ენაზედ, მერე ვახსენოთ ღმერთი და შეუდგეთ თარგმანს; მაგრამ, ჩვენო მკითხველო, ჩვენ სტატიაში ნუ ელოდებით ესტეტიკურ კრიტიკასა; ვინ ჩვენ და ვინ ესტეტიკური კრიტიკა! ჩვენ ერთი უბრალო სიკეთილის შვილი ვართ, სად შეგვიძლიან? და თუნდ დიდი, დიდი ბობოლაც რომ ვიყოთ და შეგვეძლოს, ამ „შეშლილში" მცირედი საზრდოც არ არის ესტეტიკურ კრიტიკისათვის. ეგ პოემა არის ჩვენ „ეო-მეოსავით" რაღაცა უბრალოდ აღსრულებული, რაღაც ბნელი სიუჟეტი. აქ ისმის რაღაც უიმედო სიყვარულის ტანჯვა, რაღაც უგემური ჩივილი, კვნესა და ოხვრა რუსის გოგოსი, როგორც კაზლოვი ამბობს. ტანჯვა და რაღაც ჩივილის მსგავსად კნავილი არც ტანჯვასა ჰგავს, არც ჩივილსა; აქ არ ისმის ის გულის განმგმირავი კვნესა მოტყუებულ გულისა, აქ არა სჩანს ის უნებუ-

რი სიუგუნურე მარტივ სოფლის გოგოს სიყვარულისა, რომლის მუხთლობამაც შეშალა ჭკვიდამ იგი. მერე რა მოგახსენოთ! ის გოგო ოუსის მუჟიკისა ხომ სრულიად შეშლილი არ არი, თუმცა კაზლოვი გვეფიცება. რომ შეშლილიაო: ძალიან კარგ გონებაზედ გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგადა სჯის. მართალია ლაპარაკში თვალები ერევა და სახე ეშლება, მაგრამ განა მარტო თვალების და სახის ამღვრევაში სჩანს ადამიანის შეშლილობა ჭკვიდამა?, აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი და გაშინჯეთ! იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას: იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, რომ შეშლილიაო, საქმიდამა სჩანს ყველაფერი; სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა. აბა კაზლოვის თხზულებიდამ ამოუხიკეთ ზედმესრული „შეშლილი“ და მერე გაშინჯეთ სიტყვები შეშლილისა, თუ ჭკვიანად არ გეჩვენოთ. თუმცა „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იემშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი. ქართველმა ბევრიც რომ იკითხოს, არამც თუ ეს საშინელი თარგმანი თავად ერისთავისა, არამედ ათი-ათასჯერ უკეთესი, მაინც იქნება არა გამოვიდეს-რა: ათი-ათასჯერ არაფერი მაინც არაფერია; ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა. იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა. მაგას ვინ ჩივის, რომ პოემის გმირი არ არის რუსი, ერთი ბეწო დრამატიზმი და ხელოვნება მაინც იყოს.

ეს გრძელი, შესავალი იმიტომ გაუკეთეთ ჩვენს სტატიასა, რომ თუ ვინიცობაა „ცისკრის“ მკითხველი ბევრს რასმე ელოდა თავად ერისთავის „შეშლილის“ თარგმანისაგან და ვერა ჰპოვა, მაგის მიზეზი თითონ კაზლოვი იყო; მეორე იმისთვის, რომ გვეცნობებინა ჩვენი მკითხველისათვის, რომ მთელი კაზლოვიც რომ გადმოეთარგმნა ვისმე, არა თავად ერისთავსავით უხერხოდ, არამედ უფრო ბევრად უკეთესად, მაინც არაფერი არ გამოვიდოდა, უსარგებლო შრომა იქნებოდა, იმიტომ, რომ კაზლოვის ლექსები თვით რუსეთში ჩაჰბარდნენ პატრონს და ქართველებს რად გვინდა?

ეხლა მიუბრუნდეთ თარგმანსა. თავად ერისთავის „შეშლილის“ თარგმანი, როგორც ხელოვნება, არ შეიძლება განიხილოს კაცმა, რადგანაც თვით ნამდვილი უხელოვნოა. თუ სათავე მღვრივეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა. თუ ჩვენ გვკითხავს ვინმე, ჰგავს თუ არა კაზლოვის „შეშლილს“ თავად ერისთავის „შეშლილი“, ჩვენ მიუგებთ, რომ სრულიად არა. კაზლოვის „შეშლილი“ რაც უნდა ცუდი იყოს, მაინც თუ კაცმა იკისრა მისი გადმოთარგმნა, გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა, როგორც თავად ერისთავს გაუფუჭებია. მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი — როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს. ჩვენ გულდაჯერებით უწინასწარმეტყველებთ თავად ერისთავს, რომ დრო მოვა, როცა მის თარგმანის ლექსებითა დასჯიან წარმართთა, როგორც დიდ ეკატერინეს დროს ტრედიაკოვსკის ლექსებითა სჯიდნენ. როცა ვკითხულობდით თარგმნილ „შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უცნო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაიღიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხვისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა-და ზეგარდამო შთაგონებული წვრილი ლექსები! გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გაბოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას? დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე. არა, არა, ღმერთმა დაგვიფაროს თავად ერისთავის თარგმანისავით თარგმნის წაკითხვასა. იმისთანა ცოდვა

ძნელად ექნება კაცსა, რომ ეგ სასჯელი მისი შესაფერი იყოს. თუმცა უწინაც „ცისკარში“ შეგვხვედრია ქართულ სტატიაში რაღაც გარმიანული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითა, როგორც თვით მათემატიკური სტატია იყო სასაცილო ჟურნალში თავის განუზომელ ღრმა აზრითა. ჩვენ გვიკვირს, უფ. რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავით“ და უფრო შეშლილ „ზადაჩებსავით“ გამოუსადეგ სტატიებსა? მაგრამ უფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელისმომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბეჭდავნიან, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“ მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა. რათ უნდა გემდუროდეთ უფ. რედაქტორს, რომ ჟურნალი არ უვარგა? აბა რა თანხები გაუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა, როცა იძულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკანვე გამოსადეგ პატრონისათვის მისი გამოუსადეგი სტატია. კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია, ორიოდე თვალად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა, სხვა ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს. პუშკინისა არ იყოს, ამათი ცოდვები ისე მალე დაივიწყოს, როგორც იმათი ლექსები დაბეჭდვის უმალვე დაივიწყებიან ხოლმე. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ახალ რითმების მორახუნებლებს არავის ისეთი ენა არა ჰქონია, როგორც თავად ერისთაველს აქვს; აი, მაგალითებრ, ყველაზე უმდარესი მწერალი უფ. ბერიევი, რომელიც გუთნის დედას აძინებს ხოლმე და ანუკეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის ქვეყანაშიო, — ის კი არ აგონდება უფ. ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დავიღუპა ჩვენ, — აი, უფ. ბერიევი, თუმც პოეზიაზედ უკაცრაოდ

ბრძანდება, მაგრამ ენა მაინც უვარგა, თუმც კი ესეც გამოაპარებს ამგვარ კონსტრუქციას, რითმის ტრფიალებისა გამო: „ფეხი გავიქნიე, ხელი“ — ფეხი და ხელი გავიქნიეს მაგიერად; მაგრამ ერთი ალილო მღვდელსაც წასცდებაო, ნათქვამია. ჩვენ მთარგმნელის თავად ერისთავის ენა კი სწორედ ნაღველას გაუხეთქავს კაცს; ძალიან მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ „შეშლილი“ თავიდამ ბოლომდი წაიკითხოს. ვისაც არ წაგიკითხავთ „შეშლილი“, ჩვენ ვითარცა კაცთ-მოყვარენი, არ გირჩევთ წაკითხვასა: პირველი, რომ უწყალოდ დაიტანჯებით, მეორე, რომ ჩვენ გაგვამართლებთ და ეგ, იქნება, თავად ერისთავს ეწყინოს. — ასეთ-ნაირად ჭრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც გაუსაძვავი საპალნის ურმის თვლები; ასეთ ჟრჟოლას დაგმართებთ, რომ „ჟამი მოგივათ გაციებისა“, თავად რაფ. ერისთავისა არ იყოს. ნამეტნავად ნაწ აგებულების ჭალს მოარიდეთ ეგ თარგმანი, თორემ ჭლექად ჩაგვარდება. როგორ მოგწონთ ეს რახარუხიანი ჰარმონია ამ გაუგებარ ლექსებისა:

„დედავ ბუნებავ! მშვენიერებით
შენ ყოველგან ხარ თავისუფლებით,
თუ გინდ რომ იყო საშიშროებით,
მაინცა სუნთქავ ღვთაებრივობით!“

აქ ორ პირველ სტრიქონში სწორედ იმისთანა კონსტრუქციაა, როგორც ზემოხსენებულ მაგალითში „ხელი გავიქნიე, ფეხი“ და სწორედ იმისთანაც აუარებელი სიცრუეა ცარიელობისა. თუნდ ეგ არ იყოს, სულ ერთად გაშინჯეთ, მკითხველო, რა მწყობრი ხმოვანი ბრახაბრუხია რითმებისა! სად ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი და სად „შეშლილის“ მთარგმნელი!

ანუ ესა:

ესე ყოველი სახელოვნება
არს სიდუმლოს აღსაარება *
რომელ არს ერთი ერთისა სულით
ყველასა მართავს ერთისა ძალით
ამა ქვეყნისა მშვენიერებას
და აგრეთვეცა საშიშროებას
ზღვათა და ცათა ქვეყნიერებას —
რომელსაც უწოდთ ერთსა ღვთაებას“ და სხვანი.

* ა აღსარებაში მოუმატნია, რადგანაც სილაბი არ გამოდიოდა, მაგრამ ეს პოეტიკური სილაღეა, მიეტევებაო!

ამ რვა გარმიანულ ლექსში რაღაც ღრმა აზრი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი სუსტი გონება ვერ მიწვდება და ვგონებთ, თვით ე. მთარგმნელსაც არ ესმის, აქ რა არის. თუნდ რომ აზრიც იყოს, აგვარი გამოთქმა მისი კაცს გულს გაუხეთქავს. აი, უბრალო სიტყვების და რითმების რახარუხი! ამას იქით, ვისაც არ უწერია ლექსი, თავად რ. ბარათაშვილისა არ იყოს, მართლა უნდა უხაროდეთ, რომ ლექსებს არა სწერენ, თორემ ამისთანა ორიოდე ლექსი რომ წასცდენოდა ვისმეს, აპოლონი, როგორც მარსიაზსა, ფეხებიდამ თავამდი ტყავს ააძრობდა და პირდაპირ ტრედიაკოვსკისთან ახტუნებდა ფერხულში. აი, კიდევ სამაგალითო განსახოვნება აზრისა:

„ეგრეთ ჩაფლული ოცნებაშია“ და სხვანი.

კაი ტლაპო ყოფილა, თქვენმა მზემ! აბა, თქვენი ჭირიმე, ოცნება რა ტლაპოა, რომ ჩაფლობა შეიძლებოდეს! დანთქმული ეთქო, კიდევ ჰო, ტლაპო მაინც არ მოაგონდებოდა კაცსა და გაახსენდებოდა ან ზღვა, ანუ სხვა წყალი რამე, რომელზედაც მაინც კიდევ ათასჯერ ფაქიზია ოცნება:

„ძეც დავინახე ცა, როგორც სისხლი,
ზღვებრივ ღელვიდა, ღრუბლიდგან ცეცხლი,
თითქო ცა ღრუბლად გადაქცეული
დანთქმას გვიპირებს...“ და სხვანი.

აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩივის? „ღრუბლიდგან ცეცხლი!“ პირველი, რომ ქართული ენა ბრძანებს, რომ ღრუბლიდგან ცეცხლი უნდა იყოსო, მეორე — გონება გვეუბნება, რომ თუ ქვემდებარეა, ზმნაც აქვე უნდა იყოსო. „ღრუბლიდგან ცეცხლი“ სადაა ზმნა? თუ „ღელვიდა“ არის „ღრუბლიდგან ცეცხლის“ ზმნა, ნიშანი რაღად უზის განყოფისა? მაგრამ თუ ნიშნებს გავყვებით ჩვენ, ათასი სხვა შეცდომებია ნიშნის ხმარების შესახები. ვინ ამოსწერს სუყველასა?

„თოვლიან მინდორს, ახლორეს ტყესა,
ზედ დაჰნათოდენ ბნელსა ხევებსა,
ყურთუკის მსგავსად ჭირხლი ჰრტოებსა
გარემორტყმოდა ფიჭვის ხეებსა...“ და სხვ.

თუ აქ გაიგება რამე, ხელს მოვიჭრით! აქ რომ აზრის გაგება უნდოდეს კაცს, უნდა თავთავის ალაგას დასვას გადარეული რითმის გულისათვის სიტყვები. აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ კონსტრუქცია: „ხელი გავიქნიე ფეხი“. იქნება ჩვენ „შეშლილის“ მთარგმნელს ჰგონია, რომ „ხელი და ფეხი გავიქნიე“ და „ხელი გავიქნიე ფეხი“ ერთი და იგივე იყოს? არა, ერთნი არ არიან. ამ ორ მაგალითში, მართალია ერთი და იგივე სიტყვებია, მაგრამ ის სიტყვები ერთგან თავის ალაგას არიან, მაგ. „ფეხი და ხელი გავიქნიე“ და მეორეში კი არა, იმისთვისაც „ფეხი და ხელი გავიქნიე“ მეც მესმის და თქვენც და „ხელი გავიქნიე ფეხი“ არც თქვენ გესმით, არც მე.

„ჩემი ცხენები როგორც შეშლილნი“ და სხვანი.

ჰკვიდამ ხომ არა? ძალიან ახალი ამბავი იქნებოდა, მართლა დასაბეჭდი. სწორედ უნდა თქოს კაცმა, რომ ეს IV მუხლი, თუ თავი, კაზლოვს ლამაზად აქვს გამოყვანილი, ასე, რომ მთელ კაზლოვის თხზულებაში ძნელად ვპოვნით ამისთანას. აბა ეხლა გაშინჯეთ თავად ერისთავის თარგმანი, რა საცოდაობაა! თუ კაზლოვი შეგძულდეთ, ჩვენო მკითხველო, თავისი ბრალი ისე არ იქნება, როგორც მის უწყალო მთარგმნელისა, თუმცა კაზლოვი, მართალია, იმისთანა მწერალია, რომ არაფერი დაეწერა, რუსეთს იმითი არა დააკლდებოდა-რა, და რადგანაც დაუწერია, იმითიც არა მოჰკლებია-რა, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც შებრალება უნდოდა და არა ეგრეთ გაწირვა.

„ძველი საყდარი, ვგონებ ფიცრისა
დგას, საფლავები გარემო მისსა,
ძველ კარიბჭეში კანდელი ბჟუტავს...“ და სხვ.

კიდევ ქვემდებარეა და ზმნა ოცნებებში ჩაფლულა და ჩაბარებია პატრონსა: „საფლავები გარემო მისსა“ უზმნოდ ბრძანდება. არა, არა, ეგრეთ წერას ვერ აიტანს კაცი; ასე ჰგონია კაცსა, ახალ მოსწავლეს გარმიანელს უცოდვილებია კალამი ენის გასავარჯიშებლად და არა ჟურნალში დასაბეჭდავად. უზმნოდ არა ენა ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა; რუსეთში თუმცა ზოგიერთგან არსებითი ზმნა არ იხმარება,

მაგრამ ქართული რუსული ხომ არ არი? ქართულში ყოველთვის ზმნა უნდა, — ეგ მეორე კლასის მოწაფემაც იცის.

„ძველ კარის-ბჭეში კანდელი ბჟუტავს,
მის სიახლოვეს ვიღაცა სუნთქავს... და სხვ.

გესმით, მკითხველო! მთარგმნელი ამა პოემისა (თუნდ თვით დამწერი კაზლოვი, სულ ერთია), ზის მარხილში, ნაბადში შეხვეული და მიაქროლებს, „ზარი წკრიალებს", „მარხილი ჭყრიალებს", როგორც თავადი ერისთავი გვარწმუნებს, გზის იქიდამ მდინარის პირზედ ერთი ფიცრის საყდარია, იმ საყდრის ბჭეში კანდელია, იმ კანდლის ახლო ვიღაცა სუნთქავს და ის სუნთქვა ესმის მარხილში მიმაქროლებელს, ნაბადში შეხვეულს „ზარის წკრიალში" და „მარხილის ჭყრიალში!!! აგანგალა განგალა, გამოუცვნია! კაი ყურები არ უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელსაც ის სუნთქვა გააგებინა თ. ერისთავმა?! გვიხარიან, ტელეგრაფები აღარ მოუნდება საქართველოს, თუ მაგისთანა ყურების პატრონები სცხოვრობენ, რომ ისე ლამაზად შორიდამ ესმით ვიღაცის სუნთქვა. გამოიყვანეთ ის ბედნიერი კაცი, დააყენეთ მოედანზედ და დააგდებინეთ ყური; ქვეყანაზედ რა ამბავია, ის მოედნიდამ ყველაფერს გაიგებს. მერე თითონ ის ვიღაცა საშინელი მსუნთქავიც კარგი ცხრა-თავიანი მდევი უნდა ყოფილიყო, რომ ისე ესუნთქა. რომ გზაზედ მიმაქროლებელს მარხილითა, ზარის წკრიალში და მარხილის ჭყრიალში გაეგო. არა, თავადო ერისთავო! ბევრიც რომ გვეფიცოთ, რომ ეგ მართალია, მაინც შეუძლებელს არ დაგიჯერებთ და თქვენც, არა გვგონია, მაგის დამტკიცება მოინდომოთ. ეს უშესაბამო. შეუძლებელი სუნთქვის გაგება კაზლოვისა ნუ გგონიათ, ჩვენო მკითხველო, ეგ თავად ერისთავის მოგონილი გახლავსთ პოემის გასამშვენიერებლად. კარგად უხერხნია! თავად ერისთავს უხმარია ეს უშესაბამობა იმისთვის, რომ სიტყვაზედ „ბჟუტავს" რითმა ვერ მოუწყვია, ამისდა გამო გადუფიქრია: „მოდი, მიუწერ „ვიღაცა სუნთქავს", რითმა ხომ გამოვა. უაზრო იქნება თუ აზრიანი, ღვთის მადლით, ვინმე მაინც შეყოლება; არაფის არა ჰყოლია და მე რა ღმერთი გამიწყრება"! ჩვენ კი ნოყულოდნელად გამოგიჩნდით, თავადო ერისთავო!

„თეატრი მკერდი, ბუნებით ქმნული".

ესრე ნაწყვეტ-ნაწყვეტად რომ ვიღებთ ლექსებს თავად ერისთავისას, ნუ გეგონებათ, რომ ძალადა ვშვრებოდეთ, რათა დაუკარგოთ აზრი. არა, ამოწერა გვეზარება. თქვენვე შიგ ჩართვით წაიკითხეთ და მაშინ უფრო უაზროდ გეჩვენებათ ეგ ლექსები.

„ბუნებით ქმნული“ რომ არ დაეტანა უფ. მთარგმნელსა, პირველი, რომ რითმა არ გამოვიდოდა, მეორე — რომ მკითხველი იფიქრებდა, არა-ბუნებითი ქმნული მკერდიც არისო. პირველზედ თუ გაგიფიქრიათ, მართალი ხართ, უფ. მთაგმნელო, მეორეზედ—კი უკაცრაოდ არ ვიყოთ, შემცდარხართ. მაგას არავინ არ იფიქრებდა. — აი, რითმის გულისათვის ორი სიტყვა სულ გამოუსადეგნი ჩაგიტანიათ, განა მარტო ამ ზემოხსენებულს ლექსებში, ბევრგან სხვაგანაცა. განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნებაო აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო... დარდები“, აბა, უუარადღებით წაიკითხეთ რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშიაც! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სოფაარული და ირითაბალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჟარნი ნაბად-წამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეპყურებს თაიც საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, ალრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშზედ გლაბარაკეთ!“ რამდენი ნამდვილობა და ჰეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, ყვნესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჰეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა. არა, როგორც ვხედავთ, თქვენ ძალიან სულწასულად გყვარებიათ რითმების რახარუხი, ამისთვის შეგიწირავთ: აზრიც, ფიქრიც, ის ცოტადენი გულის სიხარული, რომელიც ალაგ-ალაგ ნანან ორიგინალში. სულ ხელაღებით მოგითხრიათ კაზლოვი.

„ამ მშვენიერსა, თოვლებრივ თეთრსა,
ხუჭუჭნი თმანი ჰფარვენ მის შუბლსა...“ და სხვანი.

ჩვენ მივხედით, რის თქმა გინდათ თქვენი, — ამ მშვენიერი, თოვლებრივ თეთრსა შუბლსა ხუჭუჭნი თმანი ჰფარვენო, მაგრამ ისევ ის გაუთავებელი „ხელი გაიბენიე ფეხი“ გამოგვიტიალეთ. ათასი კიდევ სხვა ამისთანა მაშრიყ-მალრიბული ენის კონსტრუქცია აქვს თავად ერისთავის თითქმის ყოველგან, მაგრამ ჩვენ ალარ ამოვსწერთ.

„გახსნი, გაჰკურცხლე! იმის ანბავი
შენ მომიტანე, რომ სატრფო თავი
ჩემზედ რას ჰფიქრობს...“ და სხვანი.

საკვირველია, რომ რითმის ტრფიალების გამო კაცმა სთქვას: „სატრფოს თავი ჩემზედ რას ფიქრობსო“. თავი იფიქრებდა, თუ ფიქრებდა, ფეხები ხომ არა?! რაღა თქმა უნდა მაგას? როგორც ვხედავ, თავადი ერისთავი ფეხებსაც-კი აფიქრებინებდა, რომ რითმას მოეთხოვნა. მერე პოეტი, რა ლაპარაკობს შეშლილზედ, ათავებს ეგრე მშვენივრად:

„... გულს აწუხებენ
ძველი საყდარი, ის საფლავები,
თითქოს ბნელაში დგებიან მკვდრები,
დაყრუებული ის არე-მარე
საშიშარია ეგრეთი ღამე,
ჩემ ფიქრთ აღელვებს ეს მოსაუბრე...“ და სხვ.

წადი და ეძებე, ვინ მოსაუბრე? დაყრუებული ღამე, თუ ის არე-მარე? აი, ამათ კი სწორედ უზმნო ენა აქვთ, თუ ეგენი არიან მოსაუბრედა.

„არა, რა მესმის გაუგებრადა...“

გაუგებრად ვის რა ესმის, რომ თქვენ გაგეგოთ? სულ ამაო ჩივილია. მაგრამ თუ მარხილით მიმაქროლებელმა, ზარის წკრიალში და მარხილის ჭყრიალში გაიგო ის სახელოვანი ზემოხსენებული სუნთქვა საყდრიდამ, თქვენ, გვიკვირს, გაუგებრად რატომ არ გაგიგიათ?

„თითებითა თვლის კიდეცა თვეებს“ და სხვანი.

ახალი თვლა შამოუღიათ საქართველოში — თითებითა და არა ჭკვითა. ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ თითებზედ შეიძლება თვლა და არა თითებითა.

„ვხედავ საოცართ მე სანახავთა,
თითქოს რაღასაც მოჩვენებათა;
იქნება არის მხოლოდ ოცნება,
მაგრამ ბუნება თვით რომ იცვლება!“ და სხვ.

ამ ორ პირველ სტრიქონში კიდევ იგივე „ფეხი გავიქნიე ხელია“. ჩვენ ამისათვის კი არ ამოვწერეთ ეს ლექსი, რომ ეს გვეჩვენებინა, არამედ იმისთვის, რომ უალაგო ალაგას „მაგრამ“ კუნტია; მაგრამ ეს ისეთი პატარა შეცოდებაა სხვა ახოვან შეცოდებებთან, რომ თითქმის ღირსებად მიეწერება თავად ერისთავს და არა ცოდვად.

აი, ამ ქვემო-მოხსენებულ ლექსში გაშინჯეთ, რა აუარებელი ტანჯვაა გამოთქმული და იქავე ცოტაოდენი ნუგეში, რომელიც სურვებია შეშლილსა და არ მოსცემია, მაგალითად:

„დილით თუ ღამე ვფიქრობ მასზედა,
ცრემლი არ მშრება არც ერთ თვალზედა“ და სხვ.

ერთ-ერთ თვალზედ მაინც შეშრობოდა, რა უღვთობაა! მითამ რა ნუგეშია, რომ ერთ-ერთ თვალზედ შეშრეს, მეორიდამ კი სცვიოდეს ცრემლი?

„მის საშინელსა ჩემსა ტანჯვასა“ და სხვ.

ეს რა არის, ნეტავი გვითხრათ? თუ ის საშინელი ტანჯვა მისია, თქვენი რაღად იქნება, თავადო ერისთავო, და თუ თქვენია, იმისი რაღად იქნება? მაგრამ მაინც კიდევ და-ძმურად გაგიყვიათ: სახელი არსებითი თქვენ აგიღიათ და იმ არსებითი სახელის ზედშესრული შეშლილისთვის დაგითმიათ. კიდევ კარგი, რომ ხელცარიელი არ დაგიგდიათ.

„ბნელი ტუტუნი...“ და სხვანი.

მითამ ნათელი ტუტუნიც არის ქვეყანაში, არა გგონიათ!

„იცი რა მითხრა, ღამე მთვარეში...“ და სხვ.

ეს სულ ახალი გამოჩენაა ასტრონომიაში! რომელ ტელესკოპით დაუნახავს თავად ერისთავს ღამე მთვარეში?

„ან სვინიდისის მე ყველრებაში
რისთვის ჩავარდი ვფიქრობ ჩემ თავში...“ და სხვანი.

რა ჩაუვარდა საწყალ შეშლილს თავში, რომ ეგრე ჩაიცის? არაფერი არ ჩავარდნია თავში, მხოლოდ თავად ერისთავს ვერ მოუხმარია ზმნა. პირველი პირი ამ ზმნისა ჩავვარდი არის და არა ჩა-

გარდი. თუნდ რომ ეგრე იყოს, **რომ „მე ყველრებაში რისთვის ჩავვარდი ვფიქრობ ჩემ თავში“ რაღა არის? რატომ „ვფიქრობ“ ამის წინ ნიშანი არა ზის? მერე ვფიქრობ ჩემ** თავში რაღა სათქმელია? ვინ არ იცის, რომ ფეხებში ფიქრობა არ შეიძლება? მაგრამ ვინ იცის? თუ ღამე მთვარეშია, **რატომ ფიქრობა ფეხებში** არ იქნება!.. და სხვანი და სხვანი, ჩვენო კეთილო მკითხველო!

თავიდამ იქამდი, სადამდინაც მე წავიკითხე ეს „შეშლილი“, სულ ამისთანა შეცდომებია, მაგრამ ჩვენ სულ ყველა იგი რომ ამოგვეწერა, ხელახლად დაბეჭდვა მოუნდებოდა თითქმის. ის არ გვეყოფა ამ საშინელს თარგმანს, რომ ერთხელ ეღირსა დაბეჭდვა, რომ მეორედაც არ დაბეჭდილიყო? ჩვენც თითონ ისე დავიღალენით, დავიქანცენით, დავყრუვდით რითმების უთავბოლო რახარუხით, რომ ვერ შევძელით „შეშლილის“ ბოლომდი წაკითხვა. სწორედ მეოცდა-მეერთე თავის, თუ მუხლის, მეხუთე სტრიქონზედ შევდექით! კიდევ ბარაქალა ჩვენს ბიჭობას, რომ იქამდი მივსულვართ!..

ეს რაცა ვთქვით ჩვენა, მგონია სამყოფი იყოს, თითონ მკითხველი დაგვემოწმოს, რომ სწორედ მიწასთან გაუსწორებია ისეც არც ძალიან მაღლა მდგომარე კაზლოვი. საწყალი კაზლოვი! იფიქრებდა, რომ იმისი „შეშლილი“, რომელზედაც იქნება უტირნია, ესრეთი სასაცილო იქნებოდა თავად ერისთავის თარგმანში? მართლა, რომ კაზლოვის „შეშლილი“ სრულად შეშლილა ქართულს ენაზედ; ერთი ბეწო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს — არც იმისი, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეული პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავისი მშობლიურ ენისა. მარტო ჩანს, რომ საკვირველად ჰყვარებია თ. ერისთავს რითმების რახარუხი.

მთელს თავის თარგმანში თავად ერისთავს აქვს ექვსი სტრიქონი ლექსი ისეთი ლამაზი და მსუბუქი, რომ ჩვენ არც კი გვჯერა, რომ იმისი დაწერილი იყოს. აი, ის ლექსები, რარიგად ხატავენ შეშლილის მდგომარეობას.

„ხან მიიხედავს, ხან მოიხედავს,
გარემოს ჩვენსა საფლავს შეხედავს...
ამოიოხრებს, ოწყებს ლოცვასა...
ხან ათრთოლდება, შეხედავს ცასა,
შეშინებული მე მომეკვრება
და ხან უეცრად კრეჭას მოჰყვება...“

აი, აქ ჩანს ენაც, მხატვრობაც. აზრიც და ის სურათი, რომლის წარმოდგენაც ცხადად შეიძლება. ეს ლექსები ისე შევნიან დანარჩენ ლექსებში როგორც ვარდი ჭინჭრებში. სწორედ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ლექსები ისეთი ლამაზები არიან, რომ ჩვენ გვიკვირს, ამისთანა ლექსები როგორ შესძლო იმან, ვინც, მაგალითებრ, ეს დასწერა:

„ესე ყოველი სახელოვნება
არს საიდუმლოს აღსაარება,
რომელ არს ერთი ერთისა სულით
ყველასა მართავს ერთისა ძალით
ამა ქვეყნისა მშვენიერებას
და აგრეთვეცა საშიშროებას
ზღვათა და ცათა, ქვეყნიერებას —
რომელსაც უწოდთ ერთსა ღვთაებას!“ და სხვანი.

ეხლა, როცა გვინდა კალამი თავის ალაგას დავსდვათ, ფიქრად მოგვივიდა: იქნება თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირმოუფერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილ საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიძრება ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ. შ. ერისთავმა ჩვენი პირ-მოუფერებელი სტატია, რა უყოთ? მისი ნებაა! სამღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე ვეყვარს,

რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ.

დასასრულ, თუ მკითხველი ეყოლება ჩვენ სტატიას, მასთან ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ: იქნება იგი ჩვენს სტატიაში ერთს ჭკვიანურს განხილვას ელოდა და ვერა ჰპოვა. რა უყოთ? როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიაო, ამბობს ქართული ანდაზა. როგორიც პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, გამხილავიც შეხვდა. ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა?

1801 წელსა, ნოემბრის 5-სა დღესა.

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცსა ჰგონებია დაურღვეველ ჰეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჰეშმარიტებად, როგორ არ ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გამდგარიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმისი მონები არიან. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა, — ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში

და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გაუძლებს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჯკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა,— ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის. მოაქვს ნაყოფი და მერე ჰკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალ-გაღვიძებულს ბავშვსა. გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს

მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, — ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს — მეცნიერება და ხელოვნება სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა — შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა, რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა — ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლომდი მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ.

რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან. „ხე ცხოვრებისა — ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი — და ხე ცნობადისა ერთს ძირზე ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვა-და-სხვა დროს მოდის.

როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჰკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა".

ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალ შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით უფრო გავაგრძელოთ ამ დამოკიდებულების გაგება.

თუ ცხოვრება, როგორცა ვსთქვით, ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი. რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, — ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ. დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და-დღე სხვა-და-სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრეფილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა. ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება. ჰგრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის.

მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, — მეცნირება და ხელოვნება სხვა-და-სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება, — რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ

ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აღსრ, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა. მართალია, ეს დაწინაურებული თავიპა ხშირად თავგადადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილება, შეაგროვოს მოსავალი, მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს ცხობაში თვითეული მარცვალი, ყოველს მათგანს დაუნიშნოს შესაფერი ადგილი, რათა თავის დროზედ, შვილებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და იმ ნაყოფმა ახალი თესლი ახალის ცხოვრებისათვის, — მართალია, ხშირად თავგანწირულად ჯაფასა სწევენ, ებრძვიან ძველსა ახალის სიყვარულისაგან და შეჰხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამაატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ სძლევენ მოსავლის სიმრავლესა; ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დასდებენ ცხირებულს ფასსა, ვერ დაუნიშვნენ შესახვედრს და შესაფერს ადგილსა. მაშინ ეგ თავგამოდებულნი მოჯირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებიათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ; არ არის ძლიერი ხელი, რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და გამაგროს პირველივე ქვა ახალის საძირკველშია. საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი.

ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავის ძეძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის

მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა: შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია: თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შეშფოთებულსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა — ჰეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, — ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა.

მეცნიერება და ხელოვნება — ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა — არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისაგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭიროს და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მიღებულსა, ცხოვრებაც მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი, თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული მაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოიმწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჰკნება, როგორც ზემოთა ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა — „აცა ჯერ რაც მოვამზადეთ ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო“. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გასწევს თავის წარმატების

და განვითარების გზაზედ, ასე, რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდან პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწროს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამ-რიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა. აი, როგორც შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაში მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა. ცნობაში მოყვანილი და დამტკიცებული, როგორც ვსთქვით, მეცნიერებაა და ხელოვნება — ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-ნაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა — არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩნეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასალები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური. რომელ ხალხშიაც ეგ არის, იქ მომეტებული ნაწილი სიბნელეში დადის: უნდა, საჭიროა, რომ იხელთოს მეცნიერე-

ბის და ხელოვნების ნაყოფნი. მაგრამ ვერ მისწვდომია, განა იმის გამო, რომ უღირსნი და უღონონი არიან, არამედ ათასი სხვა-და-სხვა ნაირ მიზეზებისა გამო, რომელთაც აქ ჩვენ არ მოვიხსენიებთ.

მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვა-და-სხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც. სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა, მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა — წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარეთ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს გაიგონ რამე, შეიცნონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო, ზოგი მოუცლელობისა გამო, ზოგი კიდევ სხვა-და-სხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონისძიებასაც მოკლებულნი არიან. საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა.

ბოლოს დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამცნივეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე-და-დღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეაებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა — და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდვის შემწეობითა, მაგ-

რამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ-გვარ ლიტერატურისა, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგგვარ ლიტერატურას ჰქვიან: „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხში. ამ-გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“. აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაც“.

რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა. ისე ჩვენიცა, არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით. რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე. რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედმიწოდ. როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში იმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოდის ჟურნალიცა. რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება — ეგ დიდა ყოველი საქმის — ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი.

რამოდენადაც მოსავალი მრავალია, ასე რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადასწვდება. ერთი ჟურნალის ღონე ვერ შესძლებს იმის ზიდვასა, იმოდენადაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში. ეს ჟურნალები სხვადასხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვრე-

ბის მოსავალსა, სხვადასხვა მხრით სინჯავენ, სხვადასხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ, — და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთ შორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვა-ნაირი აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ჟურნალები.

ჯერ ჩვენი საწყალი „მოამბე“ არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შესწამა. ჩვენ რა გვეთქმის ამაზედ ამის მეტი, რომ ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს. „მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, „ცისკარიც“ კი წინადვე აშინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარსა“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი.

დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონება-გამოცლილ „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს „ცისკარი“. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებლის შუა-გაყოფა და არც არავის ბატრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამაშობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ასე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თითონ ცხოვრება ალმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება

თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას — მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფერის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, — არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი უნდა, როგორც წარსულში ერია აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი.

ამ სახით, თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი. ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონი-

ერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა. მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მცენიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება: მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის — ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი ჩამოვიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მოხახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ღუქსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს

უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულილია!“
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია.

ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება — ჭეშმარიტებას, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იაროს ცხოვრების მდინარეში, მოახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

მოგვიტევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება — ეგ უდიდესნი საგანნი, — ისე, გაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მათი სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც ჩვენს „მოამბეს“ კიდევაც ბევრჯერ შეხვდება შემდეგშიაც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე. ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა. ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ყოველ ჟურნალისა შიგმდებარედ არიან, იმოდენად მოვიხსენიეთ, რამოდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, რომ მკითხველთათვის გვეჩვენებინა მხოლოდ ის გზა, რომელზედაც გაივლის ჩვენი „მოამბე“. კიდევ ვიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსა. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველთათვის, იმიტომაც ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა. თუ ამ სტატიამ მაგოდენი შესძლოს, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით.

მეტი არ იქნება მოკლედ განვიმეოროთ ის, რაც ვსთქვით ამ სტატიაში. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა. მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის“ საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება „მოამბე“ თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად გაანარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების

შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა". ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მისცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი— ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".

[1862 წ.]

ზოგიერთი რამ

„თქმით ჰმუნვა მაინც შემცირდებისა“.
თ. გრ. ორბელიანი

I

რაკი ჩვენს ღარიბს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსე სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლებს ენა არ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?..

ვიცი, ამ ჩემს, პირველ შეხედვით უსაფუძვლო, კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხარად ამიგდებს; მაგრამ აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმაო, თუ დაო, რომ „თქმით ჰმუნვა მაინც შემცირდებისა“-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს.

II

აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკოო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე.

მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გვგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ლა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცურ-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე. რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, — ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღაო!“

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი—სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყვე-

ლანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური — თავადსა, ორივენი — გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითოთითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თითოეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა. სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სიტყვაა და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყო-

ველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჰირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჰირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით — თუ არაფერს აკეთებს — თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი — ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწუხებია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალაა, ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეა, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გიხდაო, ყოველის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან — ჩემი ხალხის წყენაა, და ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენაა.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა, მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, მეგრელი — მეგრელია, ქართლელი — ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!

VI

განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგახი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ველარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ველარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ველარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა. ზემოთ ვსთქვი, რომ ერთიანი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით-მეთქი! გონებამ ჩვენ-

მა ერთიანი, მთლიანი აზრი იმ სახელისა ვეღარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამ-რიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას: მამულსაც — ეგ საქმე დაემართა.

VII

მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა— მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.

ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბიწასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამო-

სიღრმე — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიაა.

VIII

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი პირი დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავ-თავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი პირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმა საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა,

ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

IX

ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებულს, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა? რადგანაც ვიცით, რომ ვეღარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწია. რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ — ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას — ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ — ჩემთანა. ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდის ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთი-ერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ამიტომაც ქართველი ვეღარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავ-თავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მ ი ი რ თ ვ ი ც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია შ ე მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ „ჰკიდია“ ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს.

სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნახფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?

XI

ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა. მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუ-

ნი, ჟრუტტუნი, ფრუტტუნი, და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული—აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის? კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი; მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ — მე, და მე — შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!..

[1866—1876 წ.]

ჩვენ აუარებელი ლექსები მოგვდის დიდის თხოვნითა, რომ დაგვიბეჭდეთო. ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არა-სასიქადულოდ, ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელზედაც შეიძლო არ იყოს სამართლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო. ჩვენ ჩვენის მოვალეობისამებრ, რასაკვირველია, იძულებული ვართ გადავიკითხოთ ხოლმე ყოველივე ეს წარამარად კუდგადაბმული მწყობრსიტყვაობა, რომელიც გაუსაძლისი ურემსავით ჭრიჭინებს ყურისათვისაც და გულისათვისაც. ვკითხულობთ და ვნანობთ, — რაზედ დავკარგეთ დრო და რაზედ წავიხდინეთ, გავიუგემურეთ ღუნება. ჩვენ კიდევ იმედი მაინც გვანუგეშებს, როცა ამისთანა უმადურს, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელს შრომას ხელსა ვკიდებთ. ვფიქრობთ, იქნება ათასში ერთს კარგსა და მარილიან რასმეს შევხვდეთ, და თუ ეს იშვიათი, ძლიერ იშვიათი ბედი გვეწვევა, სიხარულით წავავლებთ ხოლმე ხელსა, როგორც ობოლს მარგალიტსა, აუარებელ ლექსში ნაპოვნსა. მაშინ ჩვენც ვსიამოვნობთ და ვსტკბებით და ჩვენს მკითხველსაც ვასიამოვნებთ და ვატკბობთ.

ვამბობთ, ეს ბედი იშვიათად გვეწვევა ხოლმე. ხშირად მთელ ტახტა ქაღალდს გადიკითხავთ და ერთ სტრიქონსაც ვერა ნახავთ, „ღვთაებურის ცეცხლით“ გამთბარსა. სანანური მარტო ეს ჩვენი ამ გადაკითხვაში დაკარგული დრო არ არის: ეგ ჩვენი მოვალეობაა, მართალია, მეტად უსიამოვნო და შემაწუხებელი, მაგრამ მაინც მოვალეობაა. ხოლო საკვირველი ეს არის, — დამწერი რათა სცდება, რათა ჰკარგავს დროს, ხარჯავს ქაღალდს, მელანს, მაშინ როდესაც არავისაგან დავალებული არ არის? უსაქმურს კაცს, რა თქმა უნდა, ამისთანა უხეირო საქმიანობა არ ეკიჟინება, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო, ნათქვამია. ჩვენ ამისთანა კაცის

არც დრო გვენანება, არც ჯაფა, იმიტომ რომ არც ერთია მისთვის გაწეხსაყენებელი და არც მეორე, დღე ისევ ლექსებში სიტყვები აჭრიჭინოს თვისდა სასიამოვნოდ და რედაქტორის შესაწუხებლად. ხოლო სამწუხარო და სანანური ის არის, რომ ამაზედ სცდებიან თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მოუძღვით და, მაშასადამე, დროსა და ჯაფას მათთვის თავისი საფასური აქვს.

დღე არ გავა — არ მოგვივიდეს ლექსი და ქვეშ არ ეწეროს „მოსწავლე ამა და ამ სკოლისა". დღევანდელი ჩვენი სიტყვა ამათ გვინდა მივმართო; ვშიშობ კი, რომ ჩვენი სიტყვა ისე არ აჭხას მიღებული ზოგიერთ ჩვენთა მოკეთეთაგან, ვითომც ჩვენ ხალისის დახშვა და გაცუდება გვინდოდეს. ღმერთმა ნუ ქმნას!.. ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთა-შესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქ-რობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე.

ამიტომაც ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირდაპირს სიტყვას. პირდაპირი სიტყვა სჯობია ტყუილ-უბრალო წაქეზებას. ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვი-ლეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვის ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოს-ცდება და გამგონიც. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკ-ბობს და გვსიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხა-ტებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება", მის მიერ გატაცებული „გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ", როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით, და თითონ პოეზია რა არის — ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია.

მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრო-

ნობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არ ჰფურჩქნის.

თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე. კიდევ გეტყვით: პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული — ზღვაა უძირო, არამც თუ თვალ, ფიქრ-მიუწდომელიცა. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი—აფრა და მეცნიერება—საჭე, გემის მიმმართველი. ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად“, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველივე ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად.

ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღმობეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის. „უკეთუ მთარგმნელი არ იყოს, მკითხველნი

დუმენო“, ნათქვამია ერთის ძველის ბრძნისაგან. ჯერ თქვენ, ვითარცა მოსწავლე ყრმათა, ეგ მთავრგმნელობა არ შეგიძლიათ, ვიდრე საკმაოდ არ შეისრულებთ სწავლასა. ამიტომაც მოგახსენებთ: სდუმენ იმ დრომდე. ამას გირჩევთ ყველას, ვისაც ხალისი ლექსის წერისა ადრეულად გაგღვიძებიათ. ვცდებით ამაში თუ არ ვცდებით, ეს კი გვერწმუნეთ, რომ რჩევა ჩვენი გულწრფელია ორსავე შემთხვევაში. გვერწმუნეთ, რომ ამ რჩევას იძლევა თქვენი გულითადი მეგობარი, თქვენი კეთილის მოსურნე.

[1886 წ.]

წერილები ქართულ ლიტერატურაზე

I

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელსაც სახელად აქვს: „ხმა შორიდამ“ * და რომელიც შეეხება ეგრეთწოდებულს „ახალს და ძველს თაობას“ ჩვენში. ჩვენ გვინდა ჩვენს მკითხველს განვუზიაროთ ჩვენი აზრი ამ წერილის საგანზე, და ვიდრე ამას ავასრულებდეთ, საჭიროდ დავინახეთ მოკლე წინასიტყვაობისავით წარვუმძღვაროთ წინ შემდეგი.

არა ერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე. ზოგი მწერალი საყვედურს აძლევს ახალს თაობას, — რატომ არას აკეთებო, ზოგი ძველს თაობას, — რატომ არა გააკეთე-რაო, იქნება ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ხოლო დღემდე-კი არავის გამოუკვლევია — რა არის და ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა, და არავინ იცის — ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ.

მართლა-და, რა არის და ვინ არის ახალი, ან ძველი თაობა? ამ სახელებ-ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ. უეჭველია, ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხსა, იმიტომ რომ სხვა ყველა, თავის ცალკე ბუდეში კარჩაკეტილი, ამისთანა სახელების წინაშე არაფერს შუაშია. თუ ასეა — და, ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება, — მაშ სიახლეს და სიძველეს ერთისა თუ მეორის თაობისას აქ უნდა მოვუნახოთ საბუთი და საფუძველი.

---

* იხ. „ივერია“, № 20. [1892 წ.]

ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყათ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშვობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთია გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჰკვათამყოფელის მკვლევარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?

აი, როცა ამ საკითხს მივაწყდებით ხოლმე ძალაუნებურად, მარტო მაშინ ვხედავთ, რომ ხსენებული სიტყვები ჩვენში ცალიერი სახელებია უსაგნო, ნაჭუჭია უგულო, ფრაზაა უსაქმო. საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორისავ ერთად, თუ ისე ბედნიერად მიმადლებულია ბუნებისაგან, რომ შემძლებელია ერთისაც და მეორისაც. საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემხთვევაში სხვა არა არის-რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად; იმიტომ, რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავ არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად.

ყოველს ამისთანა აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძარღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვიცა აქვს, რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვალსაჩინო ნიშანი ცნობისა, ხდება საბუთად სახელწოდებისა. ამ სახელწოდებითვე იწოდება საზოგადო სარბიელზე მოქმედი კაცი იმისდა მიხედვით, თუ რომელის აზრისა, ან საქმის პატრონია და მიმყოლი. მაგალითებრ, როცა იტყვიან: ეს კაცი ნაციონალისტია, კოსმოპოლიტია, ლიბერალია, კონსერვატორია, იდეალისტია, რეალისტია, ფრიტრედერია, პროტექციონისტია, რესპუბლიკელია, მონარქიელია, ამით არამც თუ მარტო მის მიერ დაჩემებულს, შეთვისებულს და მოძღვრებულს საზოგადოებურს აზრს და მიმართულებას გვისახელებენ, არამედ მათდა საპირისპიროსაც.

რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცო-

ვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს, ცხოვრებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა; პირიქით, თითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა.

რასაკვირველია, იშვიათი არ არის ქვეყნიერობაზე, რომ ცალკე კაცის სახელითაც იწოდებოდეს რომელიმე აზრი, თუ საქმე, მაგალითებრ, დარვინის სამეცნიერო აზრს და მოძღვრებას დღესაც დარვინიზმობით იხსენიებენ, ბაირონის მიმართულებას და აზრთა წყობას — ბაირონიზმობით. ამის მიხედვით იტყვიან ხოლმე, ეს კაცი დარვინისტია, ბაირონისტია და მებრვე სხვა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, წინ აგვეტუზება ერთი საკითხი: თუ ცალკე კაცის სახელით საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი განირჩევა ერთი მეორისაგან, რატომ მთელი წყობა, მთელი კრებული, რომელსაც ან ერთი ან მეორე თაობა წარმოადგენს, თავის სახელით ვერ აღნიშნავს მის მიერ მოძღვრებულს საზოგადო აზრსა, თუ საქმესა? ჩვენ ამის უარს არ ვამბობთ: ეგეც შესაძლებელია. ხოლო დავაკვირდეთ იმას, რომ ამ შემთხვევაში სახელი ახალის თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს იმ წყობას საზოგადო აზრებისას, მიმართულებისას, თუ საქმისას, რომელთაც აღიარებს, ჰმოძღვრებს და ასულდგმარებს ერთი თაობა, და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უარობს. ხომ მარტო ამითი უნდა გაირჩეს ერთი თაობა მეორისაგან, და აბა გვიჩვენეთ, ვის რა ამისთანა საზოგადო აზრი, მიმართულება, ან საქმე უწერია თავის დროშაზე? ან ვისი საზოგადო აზრი, მიმართულება, თუ საქმე — ვისას ერჩის და ვისას ებრძვის?

კვლავ ვიმეორებთ: როცა ამისთანა საკითხს წავაწყდებით ხოლმე, მხოლოდ მაშინ ვცნობილობთ, რომ ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუყე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ. ამ სახელების ხმარება ჩვენში სხვა არა არის-რა, ბავშვობის მეტი, იმიტომ რომ მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშვს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა.

ამიტომაც, როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას — არას აკეთეთო, ჩვენ ვერ გამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც, და მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალ-ცალკე, და თუ არიან, ორნივ ერთად არიან დამნაშავენი. თუ რომელიმე წყობა ცალკე გამდგარა და განგებ დაურქმევია თავის-თავისათვის ძველი, ან ახალი თაობა, და ყოველს სხვას, თავ-თავის წყობის გარეთ მოქცეულს, ან ერთს, ან მეორე სახელს ეძახიან, — ეგ ხომ საქმის ვითარებისაგან წარმომდგარი არ იქნება, ეგ ხომ ძალად აკვიატებულს სახელს მოასწავებს, თვითნებობით დაჩემებულს! ამისთანა ხალხზე მარტო ეს ითქმის: დეე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენო.

რა თქმა უნდა, ამ საგანს ბევრი სხვა ახსნა და გარკვევა სჭირია, მაგრამ რაცა ვსთქვით, ვგონებთ, საკმარისია ჩვენს თავს ვურჩიოთ, რომ დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვსდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვსდევთ; რას ითხოვდა წინა-დღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა. ჩვენ ვეცდებით შემდეგ ეს საგანი ამ მხრითაც, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვარკვიოთ.

II

ჩვენ ჩვენი წინანდელი მეთაური წერილი იმით გავათავეთ, რომ ვირჩიეთ გამოვარკვიოთ: გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა? რას ითხოვდა წინა-დღე და როგორ გაუძღვა იმ თხოვნას დღევანდელი? ჩვენ ესე დავაყენეთ ეს საქმე, იმიტომ რომ ჩვენს ამ საუკუნის ცხოვრებაში ვერა ვპოულობთ ერთს იმისთანა ხანას, რომელიც წარმოგვიდგენდეს აზრთა და მიმართულებათა ერთმანეთთან დაჯახებას, ბრძოლას და ჭიდილსა. პირიქით, მთელს ამ უკანასკნელს საუკუნეს რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ ჩვენს ტაატით მოარულს ცხოვრებაში, როცა კი აზრს ფეხი აუდგამს და უსაქმია, წინ სამტროდ არა სხვა აზრი და მიმართულება არ დახვედრია და მშვიდობიანად უვლია თავის განვითარების გზა-

ზე, გაუფართოებია თავისი მოედანი, გაშლილა, შეფოთლილა. გამოულია თავისი ნაყოფი. მერე თესლიც დაუყრია შემდეგისათვის და აგრე მოდენილა ჩვენამდე.

მართლაც, მთელი ეს მეცხრამეტე საუკუნე ისე დაგველია, რომ ამ საკმაოდ დიდს მანძილზე არც ერთი ხანა ჩვენის ცხოვრებისა თითქმის არ ყოფილა იმისთანა, რომ ორი სახსენებლად ღირსი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე, ერთმანეთის მოპირისპირე, ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად, თუ სხვა რისთვისმე. ვერ ვიტყვით, რომ ამ გრძელ დროს განმავლობაში არ ყოფილიყოს ხანა და ხანა, რომელნიც განირჩევიან თვისთა აზრთა წყობით, მიმართულებით, თუ საქმიანობით, ხოლო ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ ვერ ვიპოვით ერთსა და იმავე ხანაში იმისთანა სხვადასხვაობას, აზრთა წყობისას და მიმართულებისას, რომ ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლა-გამოსვლას საზოგადო მოღვაწეებისას რაიმე საჭიროება წინ გასძღოლოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ სახეში გვაქვს სხვადასხვაობა მარტო იმისთანა აზრების და მიმართულებისა, რომელნიც სახსენებლად ღირსნი არიან, თორემ ჩხირკედელობის ჰო-არაობა ბევრი იყო, ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანებში, როცა რუსულ ლიტერატურის ძალმომრეობამ ჩაგვითრია წინ-დაუხედავად, უკრიტიკოდ, და ამ გზით რუსეთის აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამოდით ჩვენის ცხოვრებისათვის ძალად მოგვეხვია თავზე, ვითომც და ჩვენც ნახირ-ნახირო. ის კი დაგვავიწყდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ბრძოლას არავითარი მიზეზი არა ჰქონდა არამც თუ არსებობისა, ფეხის ნელად მოკიდებისაც კი.

ამ ბრძოლის ატეხა და მოვლენა ჩვენში, ამტეხელთა და მომავლინებელთა უნებურად, იმას მოასწავებდა ჩვენის მოაზრე ცხოვრებისათვის, რაც დროთა ვითარებამ დაჰმართა მოსაქმე ცხოვრებასა, მით, რომ თავით თვისით წინსვლა შეუფერხა და გადაეღობა მის თვითმოქმედების ძალღონესა, თითქო ჰსურთო, არამც თუ მოსაქმე ცხოვრებით, არამედ მოაზრეთიც, ყოველი ჩვენი დაგვკარგოდა, ავყოლოდით სხვისას, სხვას დავსმგავსებოდით როგორც საქმითა, ისეც აზრითა, ჩვენ ჩვენობა აღარ დაგვტყობოდა, ერთის სიტყვით მოვლენილ დროთა ვითარებას მივცემოდით სულითაც და ხორცითაც. მადლობა ღმერთს, ამ ბრძოლის გადმოტანა ჩვენში

ქარის მობერვასა ჰგვანდა და ქარსავითვე გაგვექარვა, და ჩვენში და ჩვენობამ ომ-გადაუხდელად თავისი თავი გაიტანა ჩვენდა სანუგეშოდ, როგორც ვნახავთ შემდეგში.

ამიტომაც ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვალი გავუბნიოთ, ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულების წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება, და არა ჭიდილი და ბრძოლა, რომელთაც გაბატონება, ბრძანებლობა მოსდევს ერთისა და დაჩაგვრა და ყმობა მეორისა. ამიტომაც ვხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში არც ერთს ცალკედ ფეხადგმულს აზრს, თუ მიმართულებას, ბუნება ჟამთა სიარულში არ გამოსცვლია, არ დაჰშლია, და ყოველივე იგი, დაწყებიდამ დღევანდლამდე, თითქმის ერთისა და იმავე ბუნებისაა, ერთისა და იმავე თესლისა, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ როგორც ყოველივე მოზარდი, დღეს ისეთი აღარ არის, როგორიც გუშინ იყო: დღეს უფრო დასრულებულია, უფრო ტანადოვანია, თუ ესე ითქმის, უფრო განწმენდილი და გაფაქიზებული. აიღეთ რომელიც გნებავთ ცალკე აზრისა და მიმართულების მატება და წინსვლა, ყველგან ნახავთ, რომ ერთს მეორესთან მოთავსებით, ერთმანეთის შეწყნარებით უცხოვრია, ხელშეუშლელად მშვიდობიანად უვლია, და ამ სახით ყველა მოღვაწენი ერთს დიდს უღელში ჰბმულან, და ვისაც სად, რა და როგორ ეხერხებოდა, ეს უღელი უწევია, იმიტომ რომ აქ ყოველი გზა რომში იყო მისასვლელი.

აბა მივიხედ-მოვიხედოთ, — მართლა ესეა, თუ არა. მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას. თუ დააკვირდება კაცი იმ საშინელ გარემოებათა, რომელთაც აბეზარს მოიყვანეს ჩვენი ერი, უამისოდაც ილაჯ-გაწყვეტილი შინაურ ამბოხებისაგან ცალკე, და ცალკე გარეულ ძტერთა ზედმოსევისა, ხოცვისა და რბევა-აკლებისაგან, ის არა გვგონია ისე გაკადნიერდეს, რომ ამ წყურვილს დასვენებისას უკიჟინოს. ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება

უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის. ისეც მთელი ერისათვის ამას ბუნება ითხოვს.

მართალია, ამ სვენების ხანშიაც კიდევ დაჰნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა-დღის ჩამავლის მზისა, წინა-დღიდგან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმარებდნენ საზოგადო მოღვაწესა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაჰმარცხდნენ. მართალია, მაშინდელი აწმყო ისეთი მიზეზიანი იყო, რომ საზოგადო მოღვაწეებს საბუთი ჰქონდათ ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლისა, იმიტომ რომ ეს იმისთანა მოძრაობის დრო იყო, როცა მომხრეობას წარსულთა ანდერძებისას წინ უნდა დაჰხვედროდა იმ აწმყოს გამომწვევი აზრი და მიმართულება. გარნა რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ, მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა. მისწყდა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეუქციეს წარსულ ანდერძთა ღაღადებას. დამარცხებულნი სრულად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ, დაიქსაქსნენ, თუმცა კი გულის-ტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში.

ჩვენა ვწუხვართ, რომ მეტის სავსებით ვერას ვიტყვით ამ თესლად დარჩენილისას, რომელიც, როცა ამინდი დაუდგებოდა, ხელახლა უნდა გაღუებულიყო აღმოსაცენად, თუ ცხოვრებას ჰსურდა თავისი მახლობელი სათავე არ დაჰკარგოდა სამუდამოდ. ხოლო რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა გვაცოდინოს, რომ ამ თესლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედ-მიყოლებისა, აწმყოსა და წარსულ შუა ჩასტყდა ხიდი, შემდეგს სათავე და დასაბამი მოუწყდა. ამიტომაც ამ ხანაში ბოლოს-და-ბოლოს ვხედავთ, რომ ბუნებური ორკეცი დენა ცხოვრებისა შედგა, გაჩერდა. ჩვენ ორკეცი დენა ვახსენეთ იმიტომ, რომ ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა *, მეორე — მოსაქმე **, რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. თვით აზრიც სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც — აზრია, უკვე განხორციელებული.

* Идейная жизнь. (ა ვ ტ.)

** Практическая. (ა ვ ტ.)

ამიტომაც ამ ხანაში ვხედავთ სრულს უკაცურობას. არც ერთს მხარეს ბუნებითად რთულ ცხოვრებისას მოღვაწე აღარ უჩანს. მოსწყდა ორკეცი დენა ცხოვრებისა და დაცარიელდა საზოგადო მომქმედთა სარბიელიცა. რაკი წარსულსა და მაშინდელ აწმყოს შუა დედამიწა გაირღვა, წარსულ ანდერძებთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ. ისიც კი დავივიწყეთ, — ვინა ვართ და რანი ვართ. ამ გარემოებამ ხომ სრულიად გაგვიუქმა ჰკუა-გონება, ამოგვიშრო ტვინი, იმიტომ რომ საგანი ცხოვრებისა დავკარგეთ ამაების დავიწყების გამო, და ჰკუა-გონებას, სულს და გულს აღარა ჰქონდა მიზეზი ფრთა გაეშალა, და რა თქმა უნდა მოაზრე ცხოვრება ვეღარ დაიძროდა ადგილიდამ და შედგა, თითქო ერთს ადგილს შეიკრა და გაიყინაო.

არც მოსაქმე ცხოვრებაში შეეძლო თავი ეჩინა საზოგადო მოღვაწესა. ეს მხარეც ცხოვრებისა, თავის საწყლეში მომწყვდეული, შეჰგუბდა და გაჩერდა შეგუბებული, თითქო ახალ გარემოებათაგან გზადაკარგული ელისო, აცა საით გამიხსნიან ნაპირს, რომ იქიდამ დავიძრა და მივედინოო. გახსნა ნაპირისა თვით ცხოვრების შვილთა ხელში აღარ იყო და რა საკვირველია, რომ აღარც საგანი, აღარც საქმე იყო მოსაქმე ცხოვრებისათვის. უსაქმობამ და უსაგნობამ ცხოვრებისაგან გახიზნა მაშინდელი კაცები და შეუხიზნა ახალ ვითარებას. ვისაც რაიმე ნიშან-წყალი ადამიანობისა ჰქონდა, ყველანი ერთობ გაიწივნენ სამსახურისაკენ და მის ფარგალში შეიმწყვდიეს თავი, დანარჩენნი კი შინ, თავის ოჯახებში შეიკეტნენ, ვნახოთ ხვალე რას მოგვიტანსო. პირველნი იმისათვის, რომ ახალ ვითარების კალთას ქვეშ თავი როგორმე გაიტანონ, და მეორენი იმისათვის, რომ თავის პატარა ოჯახების პატარა სანათურიდამ თვალი ადევნონ, — აცა, ციდამ ვაშლი როდის ჩამოვარდება, რომ პირველი მე მივვარდე და მოვკმინჩოო. საზოგადო ცხოვრება კი უკაცურად დარჩა, არც ერთთა და არც მეორეთა იგი აინუნში არ მოსდიოდათ, თითქო რაკი იგი, როგორც მეტი ბარგი, მოიხსნეს, მოხარულნი არიან, რომ მისთვის ზრუნვა, ურვა და გარჯა თავიდამ მოჰშორდათ და სხვამ იდვა კისრადაო.

აი, ჩვენის ფიქრით, ნიშნობლივი ძარღვი იმ ხანასი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლების თითქმის მეორე ნახევრამდე თავი იჩინა ჩვენში.

ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისეც საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა. ვერც შეინახავდა, იმიტომ რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმოდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშვნევდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ.

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაეძრა ასე თუ ისე საშოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე.

პირველი ასეთი ნიშანი ერის ვინაობისა — ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში. შემდეგ კარგა ხნის დუმილისა. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ — მცირე კუნჭული-ღა, ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულში-ღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. ეგ იყო წერილობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენასა, და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში. ამით დაიწყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დავინახავთ — რას ითხოვდა ჟამთა სიარულში წინადღე და რა პასუხს აძლევდა.

ყოველს ამაზე მერე მოვილაპარაკებთ.

III

მწერლობა ჩვენი, ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი. შინაურს ვამბობთ, რადგანაც შინაურობაში იბადებოდა და ისე შინაურობის მოკლე წრეში ჰტრიალებდა, იმიტომ რომ, მაშინ არც ჟურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულობა ცალკე წიგნად ბეჭდვისა. და, სწორედ მოგახსენოთ, არც სათქმელი ჰქონდა საყოველთაო, რადგანაც საყოველთაო საგანი ახლად ახილებულ მწერლობის თვალისათვის მი-

უწვდენელი იყო, თუნდ რომ თვით ცხოვრებაში ყოფილიყო მაგისთანა საგანი. ყველა ასაკს თავის შემძლეობა აქვს და ახლად ფეხადგმულს ვერ მოსთხოვთ ნაბადზე გადახტომას. შესაქცევრად იმიტომა ვხადით იმ პირველ-დაწყებითს მწერლობას *, რომ ეგი მარტო ერთს, თუმცა დიდ-გავლენიანს შტოს ლიტერატურისას ემსახურებოდა, სახელდობრ, — პოეზიას, ისიც იმ ფარგალში, რომელსაც „ლირიკას“ ეძახიან და რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჰირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამისთანა მგალობელი მწერლობა მეტი იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილ ცხოვრებისათვის: ქანც-გაწყვეტილი მუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჰირ-ბოროტი, — და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭირო, თვისთა მწერალთა ტკბილ გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი. ხოლო ამით იმის თქმა გვინდა, რომ რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიღა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჰკუა-გონების ხედვისა.

ამისთანა იყო მწერლობა თ. ალ. ჭავჭავაძისა, თუ მარტო მის უმთავრესს ძარღვს მწერლობისას მივიღებთ სახეში, თორემ ამ ტკბილს მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თვისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ-წოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება:

ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა,
მის ყვავილთა ფერხით ჰლახავს გზაზედა,
რომელნი სჭკნებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

---

* აქ პირველ-დაწყებითად ვრაცხთ ამ საუკუნის მწერლობის დასაწყისსა და გადავაწყებული არა გვაქვს წინა საუკუნეების ცოტად თუ ბევრად სახელოვანი მწერლობა, რომელიც თითქმის მეთვრამეტე საუკუნედამ შესწყდა ამ საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

ეს ძალა, რომ ღიმით დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზა-და-გზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიცა სჭკნებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით, — ნათელი სურათია მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო, და ამბობს — გაფრთხილდითო:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ, მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორებას!..
არ მარადის ბოშათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ამ სხვა დროთა მოსვლის იმედი გულიდამ ამოღებული არა ჰქონია ჩვენს პოეტს. პირიქით, იგი ამბობს:

რადგან იქნება, სულგრძელება იხმაროთ რად არ!
ნუთუ კვლავ ღმერთმან გკურნოსთ ერთმან...

და თუ სწუხს, მარტო იმას, რომ ვაი თუ მე ველარ მოვესწროო, იმას ვსტირიო, ამბობს იგი:

... კაჰ, თუ ვესწრა ვერ,
თკარა-და ქამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების.

ხოლო ამისთანა საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგეშმცემელი იმედი უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, რომელიც უფრო სიყვარულის და ტრფიალების ჭირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა. და თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტკივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისთანა გულის-ტკივილს, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწური მერე როგორ გაზრდილა და უმატნია.

პირველ ხანებში თ. ალექ. ჭავჭავაძის გზას დაადგა თ. გრ. ორბელიანიცა. ხოლო იმავე დროს პირველმან ამან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს. იგი ერთს თავის თანამედროვეს მოხუცს სწერს: „ნეტავი ოდეს —

შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე

გამოუცდელი მოხუცებულსა. —
თუ კით ვერნი,
ლომ-გულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, სცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.

თითქო იგრძნოო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავგაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი. მართალიც არის: აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის შობელი მომავალისა“. უწარსულოდ იგი უფესვ-უშტოა, რადგანაც ერთის მხრით უდედ-მამოა და მეორეს მხრით უშვილო. დიახ, მან პირველმან შეჰკვნესა ჩვენს დავიწყებულს წარსულს:

წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს!..

რა კეთილი? ერთგულება და სარწმუნოებაო, რომელნიც ქართველის თვისებას შეადგენდაო, და რომელსაც იგი უსათუოდ ველარ ჰპოულობდა თვის გარშემო; ვაჟკაცობა და მამაცობაო, რომელნიც ქართველის სახელს ალარ ადიდებდნენ უწინდელებრ; და ყოველ ამის ველარ მნახველი ამბობს:

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

ამ სახით თ. გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა. წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა. რომელშიაც, ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჭავჭავაძეს. ამას ჩვენ წინწაწევას და წარმატებას საქმისას ვეძახით და ვსთვლით განუწყვეტელ ჯაჭვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით, იმიტომ რომ აქ ერთი მეორეს ერთვის, როგორც ცალ-ცალკე ტოტი ერთსა და იმავე მდინარესა, და ერთი მეორისაგან გამოდის, როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღეისოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალიოდ.

ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ უფრო მეტად არ დავასურათეთ

მთელი სიმდიდრე თ. გრ. ორბელიანის პოეზიისა. მაგრამ ყოველ იქიდან, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ, ცხადად დასანახია, რამოდენად ჩააღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყალე პოეზიისა თ. გრ. ორბელიანმა. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენ საგნად აღებული გვაქვს არა განკითხვა ჩვენის მწერლებისა კრიტიკის თვალითა, არამედ იმის გამორკვევა, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთა-ხედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის.

დახარჩენს შემდეგ ვიტყვით.

IV*

გრ. ორბელიანის თანამედროვე იყო ნ. ბარათაშვილი, რომელმაც თავისი პოეტური მოღვაწეობა დაიწყო ოცდაათიან წლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გაათავა 1845 წ. ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას, და ამიტომაც ამბობს იგი:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,

და მარტო მშვენიერთ სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსაო.

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი;
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება.

გარდა ამისა, რომ ნ. ბარათაშვილმა განაწმინდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე

---

* წერილის ეს ნაწილი დაბეჭდილი იყო ცალკე გაზ. „ივერიაში 1892 წ. № 77 ასეთის სათაურით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი. (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული)".

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის რედაქტორის შენიშვნა.

ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა. ჰხედავს ცას და შეჰკვნესის უღონობის სიმწვავითა:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი აქამდისა მაქვს გულს დაჩნეული
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

განა მარტო მისნი ფიქრნი? მთელის კაცობრიობისა, რომლისთვისაც ცა ჯერ კიდევ საიდუმლოთა საიდუმლოა:

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება,
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

ნუთუ აქ გამოთქმული სურვილი ძიებისა მთელის კაცობრიობის სურვილად არ უნდა ჩაითვალოს და უღონობა ამ სურვილის მიუწვდენელობისა — მთელის კაცობრიობის უღონობად? ამისთანა სურვილი, ამისთანა საქმეში უღონობა, ერთის ცალკე ადამიანის სურვილი და უღონობა არ არის.

ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო თავის გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში.

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთის-სოფელი, ჰკითხულობს იგი:

თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

ყურს უგდებს ჩონგურს და იქაც-კი ერთობ ადამიანის გულის ჩივილი ესმის და არა თავისი:

მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი.

ჰხედავს მტკვარს და იმასაც საყოველთაო საკითხის პასუხსა სთხოვს:

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი,

მრავალ დროების მოწამე ხარო, მაგრამ ხარ უტყვი და არას მეუბნებიო, და განაგრძობს:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?

ფიქრმა ცხოვრების ამაოებისამ ადრე აიჩინა ბინა იმის გულში და, გამოვედი თუ არა ყმაწვილობის ასაკიდამაო, მას აქეთ რაღაც „იდუმალი ხმა“ —

თან სდევს ყოველთა ჩემთა ზრახვათ და საწადელთა.

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, თუ მაცდური ეშმაკიო, შესძახის იმ „იდუმალ ხმას“.

პოლოს, როცა ეს „ხმა იდუმალი“, პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთა სმენა მისი სრულად დაიმორჩილა, აკი გაიგო, რომ იგი ხმა — მისი მფარველი ანგელოზი კი არ არის, არამედ „ბოროტი სულია“, რომელმაც ატირია წრფელნი ზრახვანი და „მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“. ამისთანა „იდუმალი ხმა“ ხვედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზედ ამბობს.

მისი ფრთა-ასხმული ფიქრი შორსა ჰქრის და სცდილობს მაშინ-ვე-კი, როცა მყუდროებაშია და დაწყნარებული, ცა განსჭვრიტოს გონების თვალითა და შეიტყოს, — რა არის იქ და ამბობს: „ჰე, ცაო, ცაო... —

აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან.

განა შეტყობა იმისი თუ, — რა არის ცაში, ან ცის იქით, — მუდამის წყურვილით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიღწევის ულონობა ზოგად-კაცობრიული ჩივილი არ არის უძლურებისა? განა ამაებში ტრიალი გონებისა არ არის ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების

უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰო და არც არა?

მისი მშვენიერი „სულო ბოროტო“ სხვა არა არის-რა, გარდა ყოველ იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი“ ეჭვისა, რომელსაც ეჭვ-ქვეშ „მოჰკვდომია ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, რომელსაც „ველარც ღელვანი ვნებათანი უკვლენ წყურვილსა“, რომელსაც ბედი უქადდა თავისუფლებას ამ სოფლად და უმტყუნა, და რომელიც დარჩენილა „უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“.

სწორედ ამისთანა ყოფას მოსდევს ის საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ, რომელნიც მან თავის „მერანში“ გამოსთქვა. განა არა, მინამ „მერანს“ იტყოდა, მისი ჭკუა-გონება თავის მყუდროების სადგური-დამ უკვე დაძრული იყო და სასვენს ბინას ველარ ჰპოულობდა დედამიწაზედ და ცას ეუბნება:

გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს.

რადგანაც ქვეყანაზედ ბინა აღარსად ეგულებოდა, რომ ჭკუა-გონებისათვის ეთქო: „აჰა, დასდეგ და შეისვენეო“. ერთს დროს ეგონა, რომ იქნება სიყვარულმა, ტრფიალობამ მაინც შემიხიზნოს და დამიწყნაროს დუღილი სულისაო, და ამბობს: ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, და მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით, მუნ ვეძიებდი განსვენებასაო; გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით ლამპარი წმინდა განმიტფობდა ციურის სხივითაო; მაგრამ განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს, და სიყვარულის ნეტარების მაგიერ, სევდამ და წყვდიადმა დაისადგურა ჩემს გულშიო:

ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
... და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

აქაც ვერ იპოვა საგანი თავისი გულისა და გულის წყურვილისა. მერე მიჰმართა სარწმუნოებას, იქნება ამან მაინც შემიკედლოს და დამინთქას სალმობანი გულისა სენთაო, და ევედრება ღმერთს, დამიურვეო, შემრტკბე, როგორც მამამ შემცოდე შვილიო.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა;
არა დაჰჭროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

მაგრამ ვერც აქ იპოვა იგი სადგური მყუდროებისა, რომელსაც ეძებდა, და იმედდაკარგულს მიესია „შავად მღელვარი ფიქრები“ სულისა და გულის უბინაობისა და არ იცის, სად და როგორ მოიშოროს, სად და როგორ გაექცეს. და ეხვეწება თავის „მერანს“, რომლის ჭენებას მართლა რომ ბუნებით საზღვარი არა აქვს, ვითარცა ჰკუა-გონების ქროლას, გასწიო —

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი-ო.

ყველაფერი დამითმიაო: ჩემი მამული, სწორნი და მეგობარნი, მშობელნი, ტკბილად მოუბარი სატრფოც-კი, ერთის სიტყვით ყოველი იგი, რაც შეადგენს ცალკე კაცის საგანს გულის ტეხისას, ჭირისას და ლხინისას, ოღონდ —

ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო-ო.

რაკი კაცს მამული ამოუღია გულიდამ, მშობლები დაუთმია, სწორნი და მეგობარნი, სატრფოც-კი გაუწირავს, განაღა საფიქრებელია. რომ მისი „შავად მღელვარი ფიქრი“, მისი „საიდუმლო გულისა“ ზოგად-კაცობრიულს ვაებას არ მოაწყვეებდეს. „ჰკუით ურწმუნოებისა და გულით უნდოობისაგან“ წარმომავალს?!

მართალია, ცას იქით ვერ იპოვა სადგური, რადგანაც ადამიანის უძლურ გონებისათვის მიუწვდენელიაო, მაგრამ მაინც თავის „მერანის“ იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბინას ვერ მიწვდი, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო:

გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სივანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარი ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი

აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თაეისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა.

ამ სახით, იგი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის საზღვარი დაუდვია, და განაგრძობს:

დეე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი,
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი.

და ჰნუგეშობს, რომ ეს გაძალიანება, ეს თავგანწირულება, ეს „სულის კვეთება“, ეს პირდაპირი ომი ბედთან, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო,

და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

რას გაურბოდა? საით მიიზიდებოდა? სად ეშუდარებოდა თავის მერანს მიმიყვანეო, როცა ეუბნება:

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი
გარდაიარე კლდენი და ღრენი?

ამის პასუხს ვერ ვიპოვით „მერანში“, ხოლო თუ სახეში მივიღებთ სხვადასხვა დროს თქმულს მის მიერ ლექსებს, ცხადად დავინახავთ, რომ იგი მიურბის იმ „ჰკუით ურწმუნოებას“, იმ „გულით უნდობას“, იმ „გონებით და ცხოვრებით“ აღშფოთებას და გაფეთებას, რომელიც შუბის წვერისავით გულს დაესობა ხოლმე აზრგაღვიძებულს ადამიანს, ეჭვით გულ-ღვიძლამდე გაბნეულს, მოუსვენარ და ჭეშმარიტების მუდამ მძებნელ მწყურვალ გონებისაგან. თვითც არ იცის პოეტმა, საით მიიზიდება, სად იპოვის შესასვენებელს სადგურს, ნავთსაყუდარს, რომ იქ შეასვენოს „ვნებათა ღელვანი“. იგი მარტო ამას გვიქადაგებს, რომ ძებნა უნდა ამასაო თავგანწირულად და უშიშრად. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ იგი ჰლამოდა ცას იქით მიეწვდინა თვალი ამ სადგურის დასანახავად, მაგრამ უქმად ჩაუარა ცდამ. ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ. და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა. თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ. ჩვენს პოეტს ეს რწმენა დაკარგული ჰქონდა, როგორც მისი „სუ-

ლო ბოროტო“ გვიმტკიცებს, და რაღა საკვირველია, რომ რასაც იქ ეძებდა, ვერ იპოვა.

ისიცა ვნახეთ, რომ ამავ მის მიერ სანატრელს სადგურს იგი ეძიებდა სიყვარულში, მაგრამ დაეჭცა ეს ტაძარი და ისევ შეუსაფარი დარჩა. მერე მასვე ეძიებდა სარწმუნოებაში, ჯერ მინამ სასოება გულს შერჩენილი ჰქონდა და არ მოეკლა ეჭვსა, მაგრამ ვერც აქ განისვენა, ვერც აქ იპოვა იგი ნუგეში, რომელსაც ასეთის „სულის კვეთებით“ ეძიებდა, ბოლოს მთლად მიენდო თავის „მერანს“, რადგანაც მის ჭენებას საზღვარი არა აქვს: შენ გასწიე, ნურას მოერიდები, ნურც მე შემიბრალებ დაჭანცულობითა, და თუ ვიპოვეთ რასაც ვეძებთ, ხომ რა კარგი, თუ არა-და, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

ეს მსუსხავი და მწვავე ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან გამოვლენილი, განა საკმაო მიზეზი არ არის ესეთის თავგანწირულ სულის კვეთებისა და ეს სულის კვეთება განა ზოგად-კაცობრიული არ არის? მაშ, მაშინ არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი ყოფილა ზოგად-კაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუა დღე-მუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმავ სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ ქცევა-შენებით დაღალული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდამ დღევანდლამდე, არ ეძებს მოსვენებისათვის სადგურს და მაგ სადგურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგად-კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანა-და-ხანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელ-

ვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა. ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა განა ამისი მაგალითი არ არის? ჰამლეტის „ვიყო თუ არ ვიყო“ განა სულის უბინაობისაგან არ არის ამოკვნესილი?

შორს რათ მივდივართ, — ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულის კვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანის-საცემლად, და ბევრი სხვა ამისთანა, — განა იმას არა ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაენძრა და თვით თაღიც მთელის შენობისა გაირღვა და ჰლამის გადმოქცევას? განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეჭიდება, ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვოს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცარტუტასავით ჰდუღს?

აი, სწორედ ამ თვალთ-გადუწვდენელს სარბიელზედ მიუშვა სადავე ნ. ბარათაშვილმა თავის „მერანსა“.

ჩვენის ფიქრით, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“, და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავი ეჭვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა-კი „თავისუფლება ამ წუთის-სოფლად“.

ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“.

ეს ჩვენი აზრი ნ. ბარათაშვილის შესახებ იქნება მეტისმეტი

ეჩვენოს ვისმე, ხოლო ამაზედ-კი ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს, ჩვენდა საუბედუროდ უდროოდ ჩვენთვის დაკარგული პოეტი, ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულის-კვეთებისა და ვნებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა,

სად სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გული პასუხი ესმის.

ის დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში“ იმ განწირულების დროს, როცა საქართველოს ბედი სწყდება, ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართვლის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებს. იგიც შეჰნატრის წარსულს, თ. გრ. ორბელიანისავით, იგიც შეჰნატრის უწინდელებს, რომელთაც —

არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ ჭერთ-ქვეშე თავისუფლება.

და, სოლომონ მსაჯულის მეუღლისაგან აღტაცებული, მაშინდელ ქართვლის ღირსეულ დედებს სახსოვარს უშენებს ამ სიტყვებით:

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული ნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრეთწოდებული „ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათქვამია:

რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?

V

ჩვენ სახეში არა გვქონდა და არცა გვაქვს ისე ვრცლად გამოკიდება არც ერთის ჩვენის მწერლისა, რომელთაც ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს აზრთა ზრდაში, როგორიც მოგვიხდა ნ. ბარათაშვილის შესახებ. გზა-კვალი მისის პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირს-შესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასაჯერი იყოს. იგი ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში. არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევი. მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ერთმა ახალგაზრდამ და, ჩვენის ფიქრით, დიდ-საიმედო პოეტმა ორიოდე სასახელო მაგალითი გვიჩვენა, რომ აპირობს მის კვალში ჩადგომას, მისთა აზრთა სფეროში გახმაურებას, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითი ჯერ საკმაო საბუთი არ არის ეს ახლად გამოსული მწერალი ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ მივიჩნიოთ.

ესეთი იყო საწყლე ჩვენთა აზრთა დენისა ორმოცდაათიან წლებამდე მთელის თავის სიგრძე-სიგანითა და სიღრმე-სიმაღლითა. მოვიდა ახალი ხანა ორმოცდაათიან წლებისა. სამწერლო მოედანზე დარჩა წინა-აღწერილ სამ მწერალ შორის მარტო გრ. ორბელიანი. ამავე დროს გამოჩნდნენ თ. გ. ერისთავი, თ. ვახტანგ ორბელიანი, თ. რაფიელ ერისთავი.

თ. გ. ერისთავს ორი დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენს წინაშე. ერთი ისა, რომ ჟურნალი შეჰქმნა და ამით ღონისძიება მიეცა ჩვენთა აზრთა დენას შინიდამ გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ, და მწყურვალისთვის აზრთა წყარო ეჩვენა. მართალია, მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპა-

ტიება, როგორც ახალს საქმეს, ჯერ უჩვეულო და უასაკოს. ისიც მართალია, რომ არც მის შემდეგ „ცისკარს“ გამოუჩენია რაიმე თავი ისე შესანიშნავად, რომ ჩვენთა აზრთა ზრდაში ადგილი რამ დაეჭიროს. ხოლო იმისი კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ მარტო არსებობაც ღვაწლია, ნამეტნავად იმ გაჭირებაში, როგორშიაც იყო „ცისკარი“. ბევრი ავი დღე გამოუვლია, — ზოგი იმისაგან, რომ მეშველი მწერალი არა ჰყოლია და მარტოსათვის ჟურნალის ტვირთი მართლა რომ ღვაწლია, და ზოგიც იმისაგან, რომ სახსარიც-კი არსებობისა არა ჰქონია. მაინც კარგა ხანს თავი დაიჭირა და თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა.

მეორე ღვაწლი გ. ერისთავისა ის იყო, რომ შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევში მოარული გული ჩვენი და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა: მისი „გაყრა“ ამისი მაგალითია. მართალია, მისი კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატარებდა ჩვენს გონებას, მაგრამ მისგანვე ფრთა-ასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებულ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის.

გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს. მის მიერ სასაცილოდ აგდებული ჩვენი თბილისის მაღალი საზოგადოება „შეშლილში“ და თითო-ოროლა წვრილი ამავე თვისებისა ლექსი ზემოთქმულის მოწამენი არიან.

თ. ვახტანგ ორბელიანს ამ ორმოცდაათიან წლებში განსაკუთ-

რებულ მიმართულებით თავი არ უჩენია. მან სამოციან წლებიდან მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა და როგორც ამ წლების ხანაში, ისეც მერმე, თითქმის მარტო ერთი სფერო აუჩინა თავის პოეზიას და მით მოიპოვა სახელი და ადგილი ჩვენს აზრთა მსვლელობის ისტორიაში. ამას თავის ადგილას ვიტყვით.

თ. რაფ. ერისთავმა ამ ორმოცდაათიან წლების ხანაში დაიწყო თვისი მოღვაწეობა. ამანაც, როგორც თითქმის ყველა ჩვენმა პოეტმა, მიართვა პირველ ხანებში თვისი ხარკი სიყვარულსა და ტრფიალებას, მაგრამ ამასთანავე არ უიმისოდ მორჩა, რომ ეგრეთ-წოდებულ საჭირ-ბოროტო საგანს ცხოვრებისას არ გაჰხმაურებიყოს. ჯერ ბატონყმობის [გადავარნის] ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცმოყვარემ გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: „ვისი უპყრია ძალიო“.

ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავი ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლა-და ჰეინესი არ იყოს „დაწყევლილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს. „ვისი უპყრია ძალი“? ეს წესით დაჩაგრული — ადამიანი, და ახლა ნახეთ, რა ტკბილის გულის-ტკივილით ჩვენი პოეტი ბედით დაჩაგრულს მთხოვარას ალაპარაკებს: კვირაობით საყდარს დავალო სათხოვარად, —

სხვა დროს ვგდივარ ერთის კედლის ძირასა
უჭალამნო, უშალვრო, თავშიშველი,
ძვირად მაძღარ, ხშირად მშიერი, სველი.
მკერდს არ მწვდება დაგლეჯილი მუნდერი...
თავზედ დამდის წვიმა, თოვლი და მტვერი.

ქვეყანას კი აინუნში არ მოსდის ამ საწყლის ჩაგრულყოფა. მიდის-მოდის ხალხი და გათახსირებულს გლახაკს არავისაგან საკმაო ნუგეში არ ეძლევა და სჩივის: მე პურს ვსთხოვო, ის ქვას მიდებს ხელშია!

არიან, რასაკვირველია, იმისთანანიც. რომ ხანდახან უწყალობებენ რასმე:

ზოგიერთი მოიგონებს მკვდრის სულსა,
სულთაობას სადილს მომცემს და ფულსა.
მაგრამ მცირეს, რომ არც კუჭს ჰხვდეს, არც სულსა!
თუ ცხონდება მკვდარი ერთის ჰამითა,
მაშ აცხონოს ღმერთმა იგი ამითა.

თუმცა ჰხედავს თავის გარეშემო ამისთანა გულქვაობას, რომ გლახა „პურს ითხოვს და ქვას აწვდიან ხელში“, მაგრამ ჩვენი პოეტი მაინც საწყლის გულში ბოროტს არ ატრიალებს, რომელიც კაცს ხელს გამოაღებინებს ხოლმე სხვის ძარცვა-გლეჯად, ან, თუ უღონოა, სხვის საწყევლად და საჭოლვად. მისს გლახა-მთხოვარს სწამს, რომ ქვეყანაზე განკითხვა, შებრალება, ქრისტიანობა კიდევ არის და ამ იმედით ნუგეშცემული კი არ იწყევლება, კი არ ჰბოროტობს, შებრალებას ითხოვს: ქრისტიანნო —

შემიბრალეთ, შიმშილმა გამამწარა-ო!

იტყვიან, არც ეგეთი ქედის მოხრა, არც ეგეთი უბოროტო მორჩილობა, ბედისა უნდაო, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ გულკეთილობას, გულჩვილობას, რომელიც იშვიათი თვისება არ არის ჩვენებურ მშვიდობის-მოყვარე გლეხკაცობაში, დავინახავთ, რომ ჩვენს პოეტს ბუნებისათვის არ უმტყუვნია.

ამ სახით ვხედავთ, რომ რაფ. ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად. მანვე ყველა...

. . . . . .*

... ამ გზით და ამ ყოფით იზრდებოდა ჩვენი აზრი, თანთან გაძლიერებული და მატებული. როგორც ვნახეთ. ამ სიგრძე-სიგანით, ამ სიღრმე-სიმაღლით მოაღწია მან სამოციან წლებამდე. თვალ-ნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქმნა. ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ ეს სამოციანი წლები და მათდა შემდეგნი დრონი ერთს საერთო ფარგალში მოვაქციოთ. მიზეზი ის არის, რომ თხზულებანი ორმოცდაათიან წლებს შემდეგ მოღვაწეებისა ერთად შეკრებილი

* აქ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი.

არ მოგვეძევება და ცალ-ცალკე გაფანტულები-კი ძნელად საპოვნელია და საძიებელი. ეს გარემოება ხელს გვიშლის გამოვარკვიოთ, რა დროს რამ იმატა ჩვენში, რა დრომ რა განსაკუთრებული ადგილი შემოიხაზა და დაიჭირა, რა დრომ რა წაიმძღვარა და რა იღაღადა. ამიტომ ხანად და ხანად დაყოფა ჩვენის აზრის ისტორიისა სამოციან წლებიდამ შეუძლებლად დავინახეთ. ეს დავაცალოთ ჩვენზე მეტს მცოდნეს და ჩვენზედ მეტად მდიდარს შესაფერის საბუთებითა.

გარდა ამისა, ამ ხანაში გამოსულ მოღვაწეების თხზულებათა უქონლობა სხვაფრივადაც ხელს გვიშლის, — სახსარი არა გვაქვს თვითეულს მათ ცალ-ცალკე კვალში ჩავუდგეთ და მათის ნაღვაწევითვე დავასაბუთოთ ჩვენი აზრი მათდა შესახებ. ყოველ ამ მიზეზის გამო იძულებულნი ვართ ეს სამოციან წლების მდიდარი ხანა, და არანაკლებ ნაყოფიერნი მის შემდეგნი დრონი, მარტო ზოგადის ნიშნებით ზეპირად აღვნიშნოთ, ესე იგი ისე, როგორც ჩაგვსახია გულში, რადგანაც მას აქეთ აქამომდე ჩვენ ჩვენის აზრის მოძრაობისათვის, როგორც დროთა მოწამეს, გვიდევნებია თვალი იმოდენად, რამოდენადაც თითონ თვალი გვიჭრიდა. საცა კრებული რომელისამე მწერლის თხზულებათა ნებას მოგვცემს, ჩვენს თქმულს დავასაბუთებთ კიდეც.

სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას. რაკი „მამულს“ ბინა დაედგა ქართველთა გულში, მისმა ცხოველმყოფელმა სითბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად. არ დარჩა არც ერთი მცირეოდენი კუნჭული ევრეთწოდებულ მოსაქმე ცხოვრებისა, რომ ან ერთს, ან მეორე

მწერალს, ძველსა თუ ახალს, თვისი კალმის წვერი არ მიეწვდინა და დიდი ხნიდამ დადუმებული ჩივილი დაჩაგრულ ადამიანობისა, მთა-ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებისა — არ გაეხადნა თვისის დაკვირვების და გულისთქმის საგნადა და ყოველივე ეს ცალკე თავის კალმის წვერზე არ აეგო.

ალდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა, და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქნა. „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა, გვერდ ამოუდგა სხვადასხვა მხრიდამ და ერთიანის ძალ-ღონით ფეხზე წამოაყენა გონების თვალის გულ-ღვიძლამდე გასაბნევად. ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა. პროზით თუ ლექსით, ყველა ჰღალადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ-წოდებულ „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდამ დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ.

საოცარი ის არის, რომ ამ დროებამდე ჩვენდა სანუგეშოდ მოღწეულთა ძველთა მწერალთა, ის მათთვის უცნობი და ახალი ჭროლა ჩვენის აზრიანობისა არა იუარეს, არ იუცხოეს. პირიქით, მთელის თავის ძალ-ღონით მიეცნენ ამ ახალს მდინარეობასა, დროთა ჩაძახილს ღირსეულ მობანედ გამოუჩნდნენ და ახალთან ერთად ძმურად იღვაწეს ამ მიმართულების გასაძლიერებლად. იმ მრავალგვარ საგნებში, რომელიც მამულმა, მამულის სიყვარულმა და მამულის-შვილობამ თვალწინ გამოგვიფინა, თვითეულმა მათგანმა თვისი სხივოსანი შუქი შეიტანა იმისდა მიხედვით, ვის რა უფრო ეხერხებოდა და სადამდე თვალი უწვდებოდა. ვერა ვძლებთ უომისოდ, რომ ის მართლა-და საკვირველი ამბავი მაგალითებით არ დავასაბუთოთ, მით უფრო, რომ ხელთა გვაქვს ამ ჯურის მწერალთა თხზულების კრებული.

ერთი ამ ჯურის მწერალთაგანი იყო გრ. ორბელიანი, რომელიც თითქო ელოდაო ამ ახალ მიმართულებას, რომ გულს ჩარჩენილი

სიყვარული წარსულისა გაჰღვიძებოდა და „ვინა ვართ და ოდის ვართ“ — ამის აღსახსნელად ეთქვა:

... ძმანო, მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდებელთა.

მართალიც არის: ჯერ შინაობაშიაც როცა გვინდა ვისიმე ვინაობა შევიტყოთ, დედა-მამას და წინაპართ ვუკითხავთ ხოლმე, იმიტომ რომ — დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მხოლოდ იმასა სწუხს, რომ არავინ არის გვითხრას ამბავი ჩვენთა გმირებისაო:

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს,
სადა სცხოვრობდნენ ძველ-გმირნი?
დრომან შეჰმუსრა, აღგავა
მიწით მათიცა საფლავნი...

მარამ ცოცხალა ჯერედაც
დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი,
საქმენი სახელოვანნი.

იცოდა მაღალ-გონიერმა პოეტმა, რომ

მათთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება.

ეს ცრემლი მოხუცისა იგი ჟუჟუნა წვიმაა, რომელიც ასე ჰშველის თესლსა ნაყოფის გამოსაღებად, და ეგ ხმალთ-წვდენა ჭაბუკისა იგი ომი და ბრძოლაა არსებობისათვის, რომლისათვის მოწოდებულია ყოველი შემძლებელი ღონე.

გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, „თამარ-მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ცხადი მაგალითებია, რომ მან თავისი ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებასა და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დააჩნევინა ჩვენს გულში. სიყვარულმა მამულისამ, საშობლო მიწისამ, აღფრთოვანებულმა სამოციან წლებში, სული და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, და ამ სიყვარუ-

ლის გასაღვიძებლად და დასანერგად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა. მამულის-შვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა. ესე შეჰღაღადებდა ჩვენი მხცოვანი პოეტი მამულს და ასე გვამცნევდა მამულის-შვილობის უწმინდაესს მოვალეობას:

ჰე, მამულო, სასურველო,
ვინ გახსენოს რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის
აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს,
არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არა დაჰკლას თავი თვისი
შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

ჩვენ წინა ვნახეთ მისი სურვილი, რომ ხსოვნა არ დავკარგოთ წარსულისა, და ახლა ვნახოთ, ახალმა მიმართულებამ რომ მიახედა აწმყოს, — რას გვეუბნება. დროთა ვითარებისაგან ძირს დაცემულ საქართველოს მაყურებელი ალეთის გულის-ტკივილით მოგვითხრობს აწმყოს ამბავსა: ვეღარა ვცნობო —

დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს,
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!

ეგრეთ გათახსირებულს შვილს სხვა რაღა მამული უნდა ჰქონოდა, თუ არ შვილისავით დამცირებული, ხმა-მიღებული, ეჭვით აღვსილი, უსასოდ ქმნილი, და მამულის-შვილურ სევდით და მწუხარებით მოსთქვამს: ნეტავი აღარ ვიყო,

რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის მამულის სულით დაცემას!

ეს წარსული და აწმყო; ხოლო რა მერმისი სწყუროდა თავის მამულისათვის, თავის სამშობლო ქვეყნისათვის, რომელზედაც მა-

მულისშვილურ აღტაცებით ერთგანა სთქვა: სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაო? სწყუროდა, რომ კვლავ:

... ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის.
წმინდის საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული.
ზნე-ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა.

სამოციან წლებამდე — ალ. ჭავჭავაძედამ დაწყებული — ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდ-კაცობის გულთა-თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა. გრ. ორბელიანმა არც აქ უმტყუვნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეუქცია, როგორც უღირსს რასმე, თან აჰყვა. მისი „ო—ს დარდები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“, რომელნიც თითო-თითო პოემადა ღირს, ამისი მოწამენი არიან. აი, რა მწვავე სიტყვებს ათქმევინებს იგი ერთს ამისთანა მდაბიოს, „მუშა ბოქულაძეს“:

რად მიყურებ ეგრე გაკვირვებითა?
ნუთუ მართლა კაცი არა გგონივარ?
რადგანცა ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მჭონდეს კეთილისა გრძნობაცა?
. . . . . .
ღრმადა ვმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
მალვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის!..

მართალია, სამოციან წლებამდე — იგინი, „ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა“, არავის მოსვლია ფიქრად. ამ ხანამ — ამ უნუგეშო ყოფასაც ადამიანისას თავისი ძლიერი კლანჭი გამოჰკრა და შეჰზარა ქართველთა გული მწვავის სურათებითა. ფხიზელმა პოეტურმა ალღომ გრ. ორბელიანისამ არც აქ იმტყუვნა, აქამომდე დამალულ წყლულსა საზოგადოებურ სატკივარისას. სამოციან წლებში გამოქვეყნებულს, თავისებური შუქი მიაფინა. თავისებურს ვამბობთ იმიტომ, რომ მუშა, სამოციან წლებში პირველ-წამოყენებული უფრო ხორციელობის უნუგეშობას უჩივის, და გრ. ორბელიანის ბოქულაძე კი ჰკვნესის სულიერობის შევიწროებისათვის. იქ ხორცი მტკივნეულობს, აქ სული იდაგვ-იწვის უნუგეშ მყოფელობისაგან.

ასეა თუ ისე, ახალ მიმართულების ტალღებისაგან გატაცებულმა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწარით ოხვრას მუშა-კაცისას, ამ მალვით მოწმენდილს თვალში მორეულ ცრემლსა, და სხვებთან ერთად მისმა ყურმაც გაიგონა, სადა ჰკვნესის მუშა:

მკერდით ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ-ჩაჟანგებული,
კაცი, გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა.

გარდა ყოველ იმისა, რომ გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცა, — მანვე დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოვო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა. და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთა-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან ლექსისა. მისი „მუშა ბოქულაძე“ ამ მშვენიერ „მწყობრ-სიტყვაობის“ შეუდარებელი მაგალითია.

მართალია, სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს

გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვა-კუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადებას სცდილობს დღევანდელი დღე, მაგრამ ისე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ვახ. ორბელიანი. ამისთანა ერთგული მოყვარეც წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. და ამიტომაც ნუ გვიკვირს, რომ ვახ. ორბელიანმა თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს მოახმარა და ამით განმსჭვალული ცოტად თუ ბევრად იმ სფერომდე მივიდა, რომელსაც „რომანტიზმს“ ეძახიან, და რომელსაც ერთ დროს ევროპის პოეზიაში მთელი მოედანი ეჭირა და რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი... *.

[1892 წ.]

* წერილი, ჩანს, დასრულებული არ არის.

სიტყვა, წართქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე

(25 მარტს 1883 წელს)

აჰა, ჩვენ წინაშე მდებარეა საუკუნოდ განსვენებული კაცი, რომლის მიცვალებამ გლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქართველოში და ყოველის ჭეშმარიტის ქართველის გული შესძრა მართლადა ჭეშმარიტის მწუხარებითა.

მისმა წარჩინებულმა სახელმა შეჰკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენის ქვეყნისა. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი, რათა ერთად, შეერთებულის გლოვით, ამ უკანასკნელს ჟამს საქართველოს ერი, მაგათგან ესეთის ერთობით წარმოდგენილი, გამოეთხოვოს თავის სასიქადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა-მაღალს მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენთვის დადუმებულსა, საუკუნოდ ჩვენგან წასულსა.

არა მარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო, „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელნი. იგი იყო —

ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,

ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმართლე
და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა.

იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას

იგი იყო კაცი, რომელიც —

დაჰნატროდა დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

იგი იყო კაცი, რომელმაც ღაღადებით წარმოსთქვა:

იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება.

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

რომ ჩვენ განვახლდეთ,
სულით ავმაღლდეთ —
და განქრეს ბნელი უმეცრებისა.

იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო. მაგრამ არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდამო მადლით ცხებულნი“, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება. იგი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის. ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდამო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი, ვისაც დღესა ვსტირით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა.

ჩვენს მშვენიერს ქვეყნით თავმოწონებულმა აღტაცებით წარმოსთქვა: „სხვა საქართველო სად არისო!“ და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს, და სასოწარკვეთილებით, გლოვით იძახის: „სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო“.

შენ აღარ ხარ და შენს საყვარელს საქართველოს გულში ჩასწყდა კირევ ერთი ძარღვიცა.

ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ვერა რას არგებსო მამულსაო, — სთქვი შენ.

ჩვენ მაგას შენზედ ვერ ვიტყვით.

შენ განვლე შენის ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალი.

შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები.

მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულის-შვილო, ჩვენო საყელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო!

სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე

(25 აპრილს 1893 წელს)

„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს. რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგეგართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკუთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუჭრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად, და უბრძანა, — წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.

კიდევ ვიტყვი, პოეზია, მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სა-

ხელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევწირავ განწირულის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთის წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის!..
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!..
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა,
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი.

ეს მწვავი წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნებ სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჰკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაც-

მა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის ძატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყიეართ დღეს, და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

და დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი, ვაპიროთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში აღაგო

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა სათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყივარნი მივალალებენო". აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ, და დღეს-კი მის მჯდომარეს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტროფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.

შენიშვნები და კომენტარები

წიგნში ფაქტიურად შევიდა ყველა ის ნაწარმოები, რომელთა გაცნობა-შესწავლა ახალგაზრდობის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ამჟამად მოქმედი პროგრამებითაცაა ნავარაუდევი; გარდა ამისა, საჭიროდ მივიჩნიეთ წიგნში ილიას კიდევ რამდენიმე ლექსის, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიისა და სიტყვის შეტანა.

წიგნის შედგენისას, შენიშვნებისა და კომენტარების დართვისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულით, რომლის გამოცემა 1951—1961 წლებში განხორციელდა და რომლის რედაქტორია პავლე ინგოროყვა. ძირითადადო, ვამბობთ, რადგან აღნიშნულ გამოცემასთან ერთად ზოგიერთი შენიშვნისა და კომენტარის შედგენისას ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ვეცადეთ გაგვეთვალისწინებინა შემდგომი დროის გამოკვლევები.

ლექსები

ყვარლის მთებს — ლექსი დაიწერა 1857 წლის 15 აპრილს, ყარდანახში. პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში 1892 წ., I.

გუთნის დედა — დაიწერა 1858 წ., 4 ივნისს, პეტერბურგში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე", 1863 წ., № 6.

გოყვარდეს — დაიწერა 1858 წ., 23 ივნისს, ტიარლევოში.

პირველად დაიბეჭდა 1892 წ., ილიას თხზულებათა კრებულში, I.

***** დაე, თუნდ მოვკვდე** — დაიწერა 1858 წ., 19 ნოემბერს, პეტერბურგში.

ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. პირველად დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში 1914 წ., ტ. I, მ. გედევანიშვილის გამოცემა.

ქართვლის დედას — დაიწერა 1858 წ., 15 დეკემბერს, პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა კრებულში „ჩონგური", 1864 წ.

ლეიბნიცი — ლაიბნიცი, გოტფრიდ ვილჰელმი (1646—1716), გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, იურისტი, ისტორიკოსი და ენათმეცნიერი;

ქრისტე — იესო ქრისტე, ქრისტიანობის მითიური ფუძემდებელი. დაიბადა პალესტინაში, ქალაქ ბეთლემში რომის იმპერატორ ავგუსტუსის დროს. ქადაგებდა თავის მოძღვრებას, რისთვისაც ჯვარს აცვეს.

ნანა — დაიწერა 1859 წ., 6—13 აპრილი, პეტერბურგში.

პირველად დაიბეჭდა კრებულში „ჩონგური", 1864 წ.

ელეგია — დაიწერა 1859 წ., 4 ივნისს, პეტერბურგში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1859 წ., № 11.

მუშა — დაიწერა 1860 წ. 12 ივლისს, პავლოვსკში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.

ეპიგრაფის სიტყვები: «В труде проходит жизнь его, и не приносит ничего» — მიეწერება რუს პოეტს ნ. ნეკრასოვს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე — დაიწერა 1860 წ., 16 ივლისს, პავლოვსკში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1861 წ., № 4.

ეპიგრაფი: «Его стихов пленительная сладость пройдет веков завистливую даль» — აღებულია ა. პუშკინის ლექსიდან „ჟუკოვსკის სურათზე“.

ნიკოლოზ ბარათაშვილზედ — დაიწერა 1860 წ., აგვისტოს, პავლოვსკში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 6.

პოეტი — დაიწერა 1860 წ., 23 ივლისს, პავლოვსკში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4.

***** მესმის, მესმის** — დაიწერა 1860 წ., 29 ივლისს, პავლოვსკში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, 1871 წ., № 1.

იანიჩარი — დაიწერა 1860 წ., 5 ნოემბერს, პეტერბურგში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 3.

***** გახსოვს, ტურფავ** — დაიწერა 1860 წ., 5 ნოემბერს, პეტერბურგში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1861 წ., № 4.

გაზაფხული — დაიწერა 1861 წ., 28 იანვარს, პეტერბურგში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „ცისკარი“, 1861 წ., № 4.

***** მას აქეთ, რაკი** — დაიწერა 1861 წ., 6 აგვისტოს, ყვარელში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2.

***** ჩემო კალამო** — დაიწერა 1861 წ., ოქტომბერს, ყვარელში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.

1871 წ. 28 მაისი (კომუნის დაცემის დღე) — დაიწერა 1871 წ., 29 მაისს, დუშეთში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „კრებული“, 1873 წ. № 5—6.

პარიზის კომუნა — 1871 წ. პირველი პროლეტარული რევოლუცია და მუშათა კლასის პირველი მთავრობა, რომელმაც იარსება პარიზში 72 დღე (18 მარტიდან 28 მაისამდე).

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის ხაუკუნისა — დაიწერა 1871 წლის 24 აგვისტოს, დუშეთში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, 1873 წ., № 5—6.

ერეკლე II (1720—1798) — 1744—1762 წწ. კახეთის მეფე, 1762—1798 წწ. ქართლ-კახეთის მეფე.

გიორგი მეფე — გიორგი XII (1746—1800): — ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798—1800), ერეკლე მეორის ძე. ლიტერატურაში ზოგჯერ გიორგი XIII სახელითაც იხსენიება.

ბედნიერი ერი — დაიწერა 1871 წ., 29 აგვისტოს, დუშეთში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, 1871 წ., № 5.

გამოცანები — დაიწერა 1871 წელს, 7 დეკემბერს, დუშეთში.

ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. პირველად დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში 1914 წ., ტ.1, მ. გედევანიშვილის გამოცემა.

თუ ვინ იგულისხმებიან ამ გამოცანებში განმარტებული არის. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, ტ. 1, ასიკო ერისთავის მიერ (გვ. XIII—XIV, შენიშვნები). გარდა ამისა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის რედაქტორს პავლე ინგოროყვას თავის დროზე მიუმართავს ნიკო ნიკოლაძისათვის, რომელსაც დაუდასტურებია ასიკო ერისთავის განმარტებანი და დამატებითი ცნობებიც მიუცია მისთვის.

მიზეზი გამოცანების დაწერისა გამხდარა თავადაზნაურთა ერთი ჯგუფის მოქმედება იმპერატორ ალექსანდრე მეორის საქართველოში ჩამოსვლის დროს 1871 წელს. თავადაზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორისათვის მისართმევად. ყრილობამ, რომელიც ამ შემთხვევის გამო იყო მოწვეული, დაადგინა მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. ამ გადაწყვეტილების მიღების ინიციატორები სამოციანელები იყვნენ. შედგენილი იქნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა (მეფისნაცვლის ბარონ ნიკოლაის და თავადაზნაურთა ერთი ჯგუფის სურვილის თანახმად) გვერდი აუარა ამ დადგენილებას და სხვა ადრესი წარუდგინა მეფეს, სადაც ნაცვლად უნივერსიტეტისა მოთხოვნილი იყო კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისში. ეს ადრესი შედგენილი იყო კომისიის მიერ, რომელშიაც შედიოდნენ: გიორგი მუხრან-ბატონი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე და მიხეილ თუმანიშვილი.

ადრესის შეცვლის ამბავმა აღაშფოთა ილია ჭავჭავაძე და დაწერა „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ (წინამდებარე გამოცემაში ვბეჭდავთ მხოლოდ „გამოცანებს“).

გამოცანებში იგულისხმებიან შემდეგი პირები:

1. რევაზ ანდრონიკაშვილი, მარშალი.

2. გიორგი კოხსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი (1820—1877), იმ დროს სენატორი, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრი.

3. ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი — ძმა გიორგი მუხრან-ბატონისა, ყოფილი გენერალი. თავადაზნაურობაში დიდი გავლენით სარგებლობდა.

4. პლატონ იოსელიანი (1809—1875), ისტორიკოსი. მართალია, მას ადრესის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ საერთოდ აღნიშნულ პირთა წრეს ეკუთვნოდა.

5. დიმიტრი ჯორჯაძე (1822—1883) — კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი.

6. იასე ჭავჭავაძე — წევრი გუბერნიის სამმართველოსი.

7. ბესარიონ ღოღობერიძე (1833—1879) — „თერგდალეულთა“ სტუდენტობის ამხანაგი. თავდაპირველად უნივერსიტეტის გახსნის მომხრე იყო. შემდეგ აზრი შეიცვალა და ადრესის შემდგენთა ჯგუფში აღმოჩნდა.

8. გრიგოლ ორბელიანი (1804—1883) — დიდი ქართველი პოეტი.

დაცულია ი. ჭავჭავაძის წერილი მიმართული თავისი მეგობრის დავით ერისთავისადმი (გიორგი ერისთავის ვაჟი, დრამა „სამშობლოს“ ავტორი), რომელიც დაწერილია 1871 წლის 11 დეკემბერს დუშეთში. ი. ჭავჭავაძე დ. ერისთავს ავალებს: „დათიკო! გიგზავნი გამოცანებს. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ — არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა — არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, — ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი“ ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი როგორც უპატრონებ“.

ჩანს, დავით ერისთავს პირნათლად შეუსრულებია ილიას დავალება. „გაძოცანების“ ავტორის ვინაობა დიდხანს უცნობი დარჩენილა საზოგადოებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა სერგეი მესხის (გაზ. „დროების“ რედაქტორის) წერილი აკაკი წერეთლისადმი. 1872 წლის 13 თებერვალს ს. მესხი აკაკის სწერდა: „რომ იცოდე რა პამფლეტები გამოდის აქ. შენც გაგონილი და წაკითხული გექნება ის „გამოცანა“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა. ახლა გამოვიდა მოხეტიალეების „პასუხი“ ამ გამოცანაზე, სადაც შენც და სხვებიც, საზოგადოდ მწერლები და იმერლები ვართ საშინლად კინტურათ გალანძღულნი. ითქმის იმავე დროს გამოვიდა ამ „პასუხის პასუხი“. მშვენიერი რამ აროის, მაგრამ, კაცმა არ იცის — ვისია. თუ არ არის მანდ, მომწერე, გადაგიწერ და გამოგიგზავნი. ამას ქუთაისშიაც ექნება ინტერესი“.

საგულისხმოა ისიც, რომ დ. ერისთავს რუსულად უთარგმნია „გამოცანები“ და მოგვიანებით „პასუხის პასუხიც“.

პასუხის პასუხი — დაიწერა 1872 წ., 26 იანვარს, დუშეთში.

ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა; ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით.

ლექსი წარმოადგენს პასუხს გრიგოლ ორბელიანის ლექსზე „პასუხი შვილთა“ (უფრო სწორად ამ ლექსის ადრეულ ვარიანტზე „გამოცანების პასუხი“, რომელიც შემდეგ გრ. ორბელიანმა საგრძნობლად გადაამუშავა და სათაურად „პასუხი შვილთა“ უწოდა), რომელიც თავის მხრივ დაიწერა ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ საპასუხოდ.

თქვენ, ჩინთა ბუზად გგონივართ — იგულისხმება გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხიდან“ სიტყვები: „კოღო ბუზებო“...

ქედან ვკნავით... — იგულისხმება გრ. ორბელიანის სიტყვები „გაძოცანების პასუხიდან“ — „კატის კნუტებო, სიდგანა კნავით?“

ძან კუბოს მორთულს, შიგ სიმყრალით სრულს, თქვენებრ კაცი არ დაადარა?—იგულისხმება ქრისტეს სიტყვები: „ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რაჟამთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩახედ გაოშე ბუენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართა და ყოველთა არაწმიდებითა.

ეგრეცა თქუენ გარეშე ჰგონიეთ კაცთა მრთელ, ხოლო შინაგან საცსე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა“ (მათე, 23, 27—28).

„მ ტ ე რ ო ბ ა ე ნ ი ს ა რ ს მ ტ რ ო ბ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს — მ ა გ ა ზ რ ი ხ ა ვ ა რ თ თ ა ნ ა ხ მ ა ჩ ვ ე ნ ა“ — გრ. ორბელიანი „გამოცანების პასუხში“ წერდა: „ენა მაღალი, მის სიღრმე, ძალი წახდა უწმინდურს თქვენს ხელში ჯიჯგვით. მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის, ჩირქი რად მოსცხეთ ტაძარსა წმიდას“.

პ ი რ ვ ე ლ თ ქ ვ ე ნ გ ა ნ მ ა, ი მ ა ბ ე დ შ ა ვ მ ა, მ ა ს მ კ ვ დ რ ი ს ს უ დ ა რ ა გ ა დ ა ა ფ ა რ ა — ილია ჭავჭავაძე გულისხმობს გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონს (მუხრანსკის), რომელმაც ამ დროისათვის გამოსცა ბროშურა სახელწოდებით: «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц»: („ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და ხალხთა დიდი ერთეულების განმანათლებლური მნიშვნელობის შესახებ“). ამ ბროშურაში ავტორი იცავდა იმ აზრს, რომ აუცილებელია პატარა ეროვნების გათქვეფა დიდ ერებში. ამ ბროშურამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ი. ჭავჭავაძე დუშეთიდან კირილე ლორთქიფანიძეს წერდა: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე, აი ჩემი პასუხი: „Лишь право сильного раб свято почитает“, (რაც ნიშნავს: „მონა მხოლოდ ძლიერის უფლებას სცემს თაყვანს“). ამავე ფაქტს უძღვნა ილიამ ლექსი „რჩევა“. აკაკი წერეთელმა თავის ერთმოქმედებიან სცენას — „ენების გასამართლება“ — ბოლოში დაურთო ლექსი „მუხრანიდან ჯარი მოდის“, რომელიც გიორგი მუხრანსკის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ვ ი ნ ა ყ ა რ ი ხ ა რ თ თ ო, ვ ი რ ე ბ ი ხ ა რ თ თ ო — გრ. ორბელიანი წერდა: „მოვლეთ რუსეთში, აფრიკაშია, მობრძანდით ისევ უანბანონი, ვირი წავიდა, ვირი მოვიდა, კაცად ვერ იქცა თვით ჭაბის მადლით... არც რუსფრანგები, არც ინგლისლები, არც ქართველები, მაშ ვინა ჰყრიხართ“.

ჩემო კარგო ქვეყანავ — დაიწერა 1872 წ., 15 სექტემბერს, დუშეთში.
პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“, 1880 წ., № 2.
ბაზალეთის ტბა — დაიწერა 1883 წ., 14 ივლისს.
პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“. 1890 წ., № 1.
კითხვა-პასუხი — პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“, 1894 წ., № 1.

პ ო ე მ ე ბ ი

ა ჩ რ დ ი ლ ი — დაიწერა 1859 წ., 26 იანვარს, პეტერბურგში.
პოემის ცალკეული ნაწილები დაიბეჭდა:
ჟურნალ „ცისკარში“, 1859 წ., № 10;
ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ., №№ 7, 8.
კრებულში „ჩონგური“, 1864 წ.,
ჟურნალში „კრებული“, 1872 წ., №№ 8—9, 10—12, 1873 წ., №№ 1, 2, 5, 6.
მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალში „ივერია“, 1881 წ., №№ 2, 3.

ივ. პოლტორაცკი (1835—1892) — საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, საზოგადო მოღვაწე, ილიას მეგობარი გიმნაზიიდან.

ილია წინამძღვრიშვილი (1834—1920) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ილიას მეგობარი, წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამაარსებელი.

განკითხვის დღე — რელიგიური წარმოდგენით ღვთის სამსჯავრო — „ქვეყნის აღსასრულისას“, როცა ღმერთი განსჯის ყველას, ცოცხალსა თუ მკვდარს და ამის შემდეგ „ცოდვილნი“ ჯოჯოხეთში მოხვდებიან მუდმივ სატანჯველად, „უცოდველნი“ კი სამოთხეში ნეტარებისათვის.

როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა — იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელის (356—323 ძვ. წ.), ძველი დროის უდიდესი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის, ლაშქარი. აქ ი. ჭავჭავაძე ემყარება „ქართლის ცხოვრებას“. თანამედროვე მკვლევარები უარყოფენ ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლას საქართველოში.

შეგირყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი შენმა მოძულემ და მოლალემ უცხო მთავარმა — „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს მცხეთაში მმართველად დაუყენებია ბერძენი აზონი; მცხეთელები ფარნავაზ მცხეთელისა და ეგრისის ერისთავ ქუჯის წინამძღოლობით ასჯანუებიან აზონს, დაუმხვიათ მისი მმართველობა და დაუარსებიათ ქართლის სამეფო და პირველ მეფედ ფარნავაზი დაუსვამთ:

მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი — ფარნავაზი ქართველთა მეფე იყო დაახლ. ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში.

ქართვლის დედა — დაიწერა 1860 წ., 14 ივლისს, პავლოვსკში, ბოლო რედაქცია 1871 წ., 18 მარტს, დუშეთში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, 1871 წ., № 3.

პოემას ადრეულ ვარიანტში სათაურად ჰქონდა „დედა და შვილი“. 1871 წელს, როდესაც ილიამ გადაამუშავა პოემის ტექსტი, სათაურად უწოდა „ქართვლის დედა“. დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერიდან ცენზორს ეს სათაური ამოუშლია და ილია იძულებული გამხდარა ისევ აღედგინა ძველი სათაური — „დედა და შვილი“. ავტორის სიცოცხლეში და მის შემდეგაც კარგა ხანს იგი ამ სათაურით იბეჭდებოდა. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა რედაქტორმა პავლე ინგოროყვამ აღადგინა პოეტის მიერ საბოლოო რედაქციისათვის მიღებული სათაური „ქართვლის დედა“.

პეტრე ნაკაშიძე (1838—1895) — ი. ჭავჭავაძის სტუდენტობის დროის მეგობარი, მაჭა მწერალ ილია ნაკაშიძისა.

ხე ცნობადისა ბიბლიური გადმოცემით ედემის შუაგულში იდგა, მისი ნაყოფის ჭამა პირველ ადამიანებს ეკრძალებოდათ, სწორედ ამ მოთხოვნის დარღვევისათვის იქნენ განდევნილნი ადამი და ევა სამოთხიდან.

ედემი — ბიბლიური გადმოცემით ადამიანთა პირველსამყოფელი (სამოთხე), სანამდე ღმერთი გააძევებდა ადამსა და ევას აკრძალული ნა-

ყოფის შეჭმისათვის. (სამოთხიდან ადამისა და ევას გამოძევების მითი მოთხრობილია ბიბლიაში, შესაქმე, თავი მესამე).

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი უაჩაღის ცხოვრებიდამ — დასრულდა 1860 წ., 11 დეკემბერს, პეტერბურგში.

პოემის ნაწილები დაიბეჭდა:

ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ., № 10.

კრებულში „ჩონგური“, 1864 წ.

მთლიანად დაიბეჭდა: ჟურნალ „ივერიაში“, 1879 წ., № 5.

ამ პოემის შემოქმედებითი ისტორიის გათვალისწინებისათვის საგულისხმოა კოხტა აფხაზის მოგონება. კოხტა აფხაზი ილიას ახლო ნათესავი იყო. ეგი გიმნაზიაში ყოფნისას და სტუდენტობის დროსაც ილიას გვერდით იმყოფებოდა და მასთან მეგობრული ურთიერთობითაც იყო დაკავშირებული. კოხტა აფხაზი გადმოგვცემს: „რაც შეეხება მის შემოქმედებას და მისი ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო უაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და უაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის (კარდანახის) ტყეში... ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა, კარდენახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბათ ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უხდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზთან მიდისო. მაშინ უაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია ბინაზე. კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, ილია როდესაც ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს წუეულის და აგინებსო“.

მეფე დიმიტრი თავდადებული — დაიწერა 1877—1878 წლებში;

პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“, 1878 წ., № 1 (თავების I—XII), სრულად დაიბეჭდა „ივერიაში“, 1879 წ., № 1.

მეფე დიმიტრი თავდადებული (დაახ. 1259—1289) — საქართველოს მეფე 1271—1289 წლებში.

ილია ჭავჭავაძე თავის ავტობიოგრაფიაში „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შექმნასთან დაკავშირებით წერს: „სწავლა რვა წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლის მთავართან — ქართული წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბლავი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით ეფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა. ვის რა გმირობა მოემოქმედნა. ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოს და საოწახოების სასარგებლოდ და დასაცავად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ“.

განდეგილი — დაიწერა 1882—83 წლებში.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“, 1883 წლის № 2.

„განდეგილი“, როგორც თვითონ **ი.** ჭავჭავაძე მიუთითებს, ეყრდნობა ხალხში გაგონილ ლეგენდას ბეთლემის მონასტერში გამდგარი მეუდაბნოეს შესახებ.

თვით ბეთლემის მონასტრის შესახებ, რომლის არსებობა მართლაც დადასტურდა ჩვენს დროში, ჯერ კიდევ XVIII ს. ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ამბობს: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა, და ეწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭჭ რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბიდამ და მით აღვლენ. ატყჭან უფლის ჯუანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკჭრველთა“.

ხევში ჩაწერილია რამდენიმე თქმულება, რომლებიც „განდეგილის“ თემასთან სიახლოვეს ამჟღავნებენ. პ. ინგოროყვას თქმით, „შეხვედრა ხალხურ თქმულებასა და პოემას შორის მხოლოდ ზოგადი ხაზებით განისაზღვრება... ხალხური თქმულება განდეგილის შესახებ უბრალო არაკ-თქმულებას წარმოადგენს. ილიამ თავის პოემაში ეს ხალხური თქმულება გამოიყენა, როგორც მასალა უნივერსალური მნიშვნელობის იდეების გადმოსაცემად“.

ო ლ გ ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა (1843—1928) — ილია ჭავჭავაძის მეუღლე.

მოთხრობები

მგზავრის წერილები:— პირვანდელი ვარიანტი დაიწერა 1861 წ., ბოლო რედაქცია 1871 წელს.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ., №№ 2, 5.

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ს ი — ახლანდელი ქალაქი ორჯონიკიძე, ჩრდილო ოსეთის ასსრ დედაქალაქი.

ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე — მკვლევარ პ. ინგოროყვას აზრით, ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილების“ პირველ თავში ეკამათება გოგოლს. „გოგოლი თვითმპყრობელურ რუსეთის მონარქიას წარმოგვიდგენს ტროიკის სახით, რომელსაც მართავს კისკასი „იამშჩიკი“ (ე. ი. მონარქი), რომელიც ელვის სისწრაფით მიაქანებს მალ ცხენებს, და რომელსაც „გზას უთმობენ სხვა სახელმწიფოები და ხალხები... აქ ჩვენ გვაქვს არა უბრალო გამარტივებით დაპირისპირებული პუბლიცისტური პოლემიკა, არამედ პოლემიკა მხატვრულ პლანში გახსნილი“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 584—585). საფიქრელია ისიც, რომ ილიას „რუსი მხატვრების“ სახით მხედველობაში აქვს ა. პუშკინის ცნობილი ქმნილებები („ზამთრის გზა“ და სხვ.), სადაც პოეტიზირებულია ძალზედ პროზაული სახე „იამშჩიკისა“. ასევე იგულისხმება გოგოლის მოთხრობებიდან და, რასაკვირველია, „მკვდარი სულებიდანაც“ შესაბამისი სცენები. აქაც,

გოგოლის ნაწყვეტებშიაც. არის „იამშჩიკების“ პოეტიზაცია. ისიც საარწმუნოა, რომ ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში ჰქონდეს ამ დროის რუს ფერწმწერთა ნაწარმოებებში გავრცელებული „იამშჩიკისა“ და „ტროიკის“ თემა.

ი. ჭავჭავაძე სასურველის, პოეტიზირებულის განსახიერების ტენდენციას უპირისპირებს ობიექტური სინამდვილის ასახვის, საზოგადოდ, რეალიზმის მოთხოვნას.

ამბობენ: «И дым отечества нам сладок и приятен» — აღებულია ა. გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“.

«Губа не дура» — რუსული ანდაზა. მისი სრული სახე ასეთია: «Губа не дура, язык не лопатка, знает что горько, что сладко».

მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს, თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა — რა საფუძველი ჰქონდა ილიას, რომ გოეთე მყინვარისათვის შეედარებინა, ე. ი: ჩაეთვალა „განზე გამდგარად“, „მიუკარებლად“, უმოძრაოდ, ხოლო ბაირონი მოქმედების გამომხატველად მიეჩნია თერგის მსგავსად? ილიას ამგვარ მოსაზრებას თავისი საფუძველი აქვს, ეს საფუძველი კი ამ ორი ხელოვანის შემოქმედებიდან კი არა, არამედ მათი პიროვნული ცხოვრებიდან გამომდინარეობს. ი. ჭავჭავაძის დროს ძალზედ გავრცელებული იყო აზრი (განსაკუთრებით რუსულ სინამდვილეში), რომ გოეთე „ოლიმპიური სიმშვიდის“ განსახიერებაა. რომ იგი ძალზე შორსაა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ყველა ასე თუ ისე ცნობილი რუსი მოაზროვნე (მაგ., ბელინსკი, ჩერნიშევსკი, პისარევი და სხვ.) ამ აზრს იცავდა. ბელინსკი პირდაპირ წერდა: „გოეთე დიდია, როგორც ხელოვანი, მაგრამ საზიზღარი როგორც პიროვნებაო“. ამ გარემოებაზე მიუთითებდა ნ. ჩერნიშევსკიც.

დ. პისარევი თავის ნარკვევში „რეალისტები“ ვრცლად მსჯელობს აღნიშნულ საკითხებზე და მიუთითებს გოეთეს „ფილისტერულ სიმხდალეზე“, საზოგადოების მიმართ სავსებით გულგრილობაზე.

ამ დროს გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, გოეთე გენიოსი პოეტის კალამს ადვილად უთავსებდა მინისტრობას. მას არ გამოუხატავს პროტესტი ამა თუ იმ მმართველისადმი (თვით ნაპოლეონის შემოტევების დროსაც).

ჩანს, რომ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეც ამ აზრს იზიარებდა:

ბაირონი კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მეამბოხე სულის პოეტია. პიროვნება, რომელიც მღელვარე სიტყვებს წარმოსთქვამდა ლორდთა პალატაში, პროტესტს უცხადებდა თანამემამულეებსაც უსამართლობის ეამს. ბაირონი უშუალოდ მონაწილეობდა იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ. ბოლოს იგი საბერძნეთში გაემგზავრა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული სიმპატია ბაირონის პიროვნებისადმი მისი ამგვარი ბოლოქარი ცხოვრების გამო სრულიად გასაგები უნდა იყოს.

უსდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში, განსაკუთრებით საბჭოთა გოეთოლოგების ნაშრომებში, ზემოთაღნიშნული აზრი გოეთეს ბიოგრაფიის შესახებ უარყოფილია. სულ უფრო ცხადი ხდება გოეთეს აქტიური საზოგადოებრივი ღვაწლი.

გლახის ნაამბობი — პირველი ვარიანტი დაიწერა 1859 წ.,

I—VI თავების ბოლო რედაქცია — 1863 წ.,

VII—XII თავების ბოლო რედაქცია 1872 წ., დეკემბერი, 1873 წ., იანვარი.

მოთხრობა პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე", 1863 წ., № 1, (I—VI თავები). სრულად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში", 1873 წ. №№ 1, 2, 3.

ილია ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობს" თავის „პირმშოს" უწოდებდა; „დეე მაგ პირმშომან ძმანი ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველად შობილა, ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს", — სწერდა ილია „გლახის ნაამბობის" შესახებ ნ. ნიკოლაძეს.

როგორც ცნობილია, ილიას თავდაპირველად განზრახული ჰქონია ერთი მოთხრობა დაეწერა, სადაც გამთლიანებული იყო „კაცია-ადამიანისა" და „გლახის ნაამბობის" სიუჟეტური ხაზი.

ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფებში დაცულია ერთი დაუმთავრებელი მოთხრობის თავდაპირველი ვარიანტი, რომელსაც სათაურად აქვს „კოლა" და რომელიც 1858 წელს უნდა იყოს დაწერილი. ამ ვარიანტში ნათლადაა გამოკვეთილი „გლახის ნაამბობის" სიუჟეტი. მთავარი პერსონაჟი მოთხრობისა კოლა მომავალი „გლახის ნაამბობის" დათიკოა. ამ მოთხრობის მეორე რედაქციას, რომელიც აგრეთვე ილიას ავტოგრაფებშია დაცული, სათაურად უკვე აქვს „კაკო". „კაკოც" დაუსრულებელია. თუ „კოლაში" მხოლოდ მოხსენებულნი იყვნენ კოლას მშობლები, ახლა მოთხრობა „კაკო" სწორედ მათი ისტორიის გადმოცემით იწყება. კოლას მშობლები ლუარსაბი და მისი კნეინა ქეთევანი მომავალი „კაცია-ადამიანის" ლუარსაბი და კნეინა დარეჯანი არიან.

მწერალს საბოლოოდ მიზანშეწონილად მიუჩნევია სრულიად გარკვეული მიზეზებით ამ მოთხრობის ორ დამოუკიდებელ ნაწარმოებად დაშლა. თავდაპირველად ილია „გლახის ნაამბობის" სიუჟეტის დამუშავებას შედგომია 1859 წელს, მაგრამ არ დაუსრულებია, მაგრამ ფაქტია, რომ მოთხრობის საერთო კონცეფცია ამ დროისათვის მწერალს ჩამოყალიბებული ჰქონია. ამიტომ ათარიღებდა ილია ამ მოთხრობას 1859 წლით და თავის „პირმშოდაც" ამიტომ სახავდა.

ი. ჭავჭავაძეს მოთხრობის ერთი დიდი ნაწილი — პირველი ექვსი თავი საბოლოოდ დაუმუშავებია 1862 წელს და ეს ნაწილი დაიბეჭდა კიდეც „საქართველოს მოამბეში" 1863 წელს. „გლახის ნაამბობზე" მუშაობა ილიას განუახლებია 70-იან წლებში, როცა მოთხრობის სრულად დაბეჭდვის შესაძლებლობა გაჩენილა ჟურნალ „კრებულში". მოთხრობა საბოლოოდ მწერალს გაუსრულებია 1873 წლის იანვრის ბოლოს დუშეთში. საინტერესოა ილიას კერძო წერილები, რომლებიც „გლახის ნაამბობის" გაგრძელებაზე მუშაობას და მის და-

სრულებას ეხება. კერძოდ ი. ჭავჭავაძე კირილე ლორთქიფანიძეს წერს 1872 წლის 9 დეკემბერს: „დღეს მივყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენ არ გწამს, დასრულდება. „გლახის ნაამბობის“ კორექტურა მე უნდა გავსინჯო“. 1873 წლის 18 იანვარს ილია „კრებულის“ რედაქტორს ნიკო ნიკოლაძეს წერს: „განგრძელება („გლახის ნაამბობისა“) მზადდება... ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგევლოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს. ჩვენი პოეტისაგან ნათქვამია, ბრძენი სიფრთხილით წახდებაო, მაგრამ ღლეული ვაქაცი ან მოკლავს ან შეაკვდებაო. ქართველი კაცი ვარ და უჯერებ ჩვენს ქართველს პოეტსა. რაც მინდოდა იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი თუ ცუდად— ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. ბაბა იფიქრე, რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობს“.

1873 წლის 29 იანვარს ი. ჭავჭავაძე კირილე ლორთქიფანიძეს წერს: „ძმაო კირილე!.. გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდის გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზე თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც, მგონი ვარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, ღმერთმა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!“

ამავე ხანებში ილია თავის მეუღლეს წერდა: „გლახის ნაამბობი“ გავათავე და იბეჭდება კიდეც, დაბეჭდილს გამოგიგზავნი. ზოგიერთი ადგილები, მგონი კარგი გამოვიდა, ამას კი გეტყვი, რომ მაგის გათავებაზედ გული აღარ მიმიწევდა, მაგრამ როგორც იყო გავათავე და გულდამ თითქოს ღობი მოვეხსნაო“.

როგორც ვხედავთ, ილიას თავის „პირმშო“ დიდხანს უტარებია სულით და მისი საბოლოო გასრულებით დიდი შეებაც უგრძვნია.

მოთხრობის შექმნის ისტორიის აღდგენისას ისიც საგანგებოდ უნდა იქნას გახსენებული, რომ ილია ავტობიოგრაფიაში თავის პირველ მასწავლებელზე სოფლის მთავარზე საუბრისას წერს: „ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა“.

კაცია-ადამიანი?! — საბოლოო რედაქცია დაიწერა 1863 წ.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ., №№ 4, 5, 6.

ბესარიონ გაბაშვილი (1750—1791) — ბესიკი, ქართველი პოეტი.

სოლომონ ბრძენი (965—928 ძვ. წ.) — ებრაელთა მეფე, სიბრძნით განთქმული.

ყარამანი — გმირი, „ყარამანიანის“ პერსონაჟი:

სალბიხურამანი — „ყარამანიანის“ პერსონაჟი, სატრფო ყარამანისა.

გარდანქეშანი — „ყარამანიანის“ პერსონაჟი, გრძნეული.

ორშაბათის ყენი — წარმართობის დროიდან მომდინარე ძვე-

ლი ქართული ხალხური თამაშობა-წარმოდგენაა — შვილიერობისა და მოსავლიანობის დღესასწაული. იმართებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს (ტერმინი „ყეენობა“ შედარებით ახალია), ყეენი ამ ხალხური თამაშობა-წარმოდგენის მთავარი მოქმედი პირია, მას ყეენივით გამოაწყობდნენ, შესვამდნენ ვირზე პირუკუღმა და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ.

ჩ უ — ადრე ციფრებს ასოებით გამოხატავდნენ. ყოველ ასოს ჰქონდა რიცხვითი მნიშვნელობა. ჩ უ აღნიშნავს 1800.

სარჩობელაზედ — დაიწერა 1879 წ.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“, 1879 წ., № 2.

ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი — დაიწერა 1880 წ.,

პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“, 1890 წ., № 1.

ამ მოთხრობას, როგორც თვითონ მწერალი აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, საფუძვლად დადებია ილიას პირველი მასწავლებლის სოფლის მთავრის მიერ მოთხრობილი ამბავი „სამშობლო ქვეყნის ისტორიიდან“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 308).

გ ი ო რ გ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე — ქართლის მეფე. მეფობდა 1676—1688, 1703—1709 წწ.

შ ა ჰ-ს უ ლ თ ა ნ-უ ს ე ი ნ ი — სპარსეთის შაჰი 1694—1722 წწ.

ოთარაანთ ქვრივი — დაიწერა 1887 წელს.

პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1887 წ., №№ 2, 3, 4, 7, 8, 11, 12, 13, 14.

„ოთარაანთ ქვრივის“ შექმნასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველ ინტელიგენციასთან დიდად დაახლოებული, ქართული კულტურის კარგი მცოდნე გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის მოგონება. იგი მოგვითხრობს: „ერთ დღეს იყო, როცა ილიასთან შევედი. იგი თავის კაბინეტში იჯდა და როცა ჩემთან საუბარს მორჩა ახალი გერმანული წიგნების შესახებ, უცებ მითხრა: „საინტერესო იდეა მაქვს მოთხრობისათვის. მან უნდა გადაგვეშალოს ქართველ გლეხებისა და უკანასკნელი დროის ქართველ მემამულეთა ფსიქოლოგია“. შემდეგ ილია თითქმის დაწვრილებით მომიყვა ახალი მოთხრობის ფაბულას, თანაც დასძინა, უფრო უკეთესად უნდა მოვიფიქროვო.

მისი აზრი ძალიან მომეწონა. იგი თითქოს გაგრძელება იყო მისი აზრისა, „კაცია-ადამიანში“ და „გლახის ნაამბობში“ რომ გამოსთქვა, „ამ მოთხრობით თქვენ დაამტკიცებდით, რომ თქვენი იდეები ქართველ ერის ზნეობრივ სიმაღლისა მეტათ მწყობრათ მიმდინარეობს-მეთქი“.

„ჰო, პირველ მოთხრობებში მე ვიბრძოდი გლეხების ნივთიერ თავისუფლებისათვის. ამ მოთხრობაში კი მე მინდა გავლენა მოვახდინო მათს ზნეობრივ თავისუფლებაზე“, — დასძინა ილიამ და ვრცლად შეეხო მაშინდელ ქართველი გლეხის ყოფა-ცხოვრებას, მის ზნეობის სისპეტაკეს და პატიოსნებას“.

წერილები ლიტერატურაზე

ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვახ ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშდილი“-ს თარგმნაზედა — დაიწერა 1860 წ., 5 ნოემბერს.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1861 წ., № 4.

„ორიოდე სიტყვა“... ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული სტატიაა. ამ სტატიით დაიწყო ცნობილი კამათი 60-იან წლებში ლიტერატორთა შორის, რომელიც „ძველი“ და „ახალი“ თაობების ბრძოლის სახელწოდებითაა ცნობილი.

ილიას ამ წერილის დაბეჭდვისთანავე „ცისკრის“ მომდევნო ნომერში საპასუხოდ დაიბეჭდა პოლემიკური ხასიათის წერილები:

1. „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“ — ბარბარე ჯორჯაძისა; 2. „პასუხი თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“ — რევაზ ერისთავისა; 3. „წერილი რედაქტორთან“ — გიორგი ბარათოვისა (ბარათაშვილისა). ამ წერილებს „ცისკრის“ მომდევნო ნომერში (№ 6) მოჰყვა ილიას „პასუხი“. არც ილიას ამ წერილის ჟამოქვეყნებით დასრულებულა პოლემიკა. იგი შემდეგაც კარგა ხანს გაგრძელდა.

ერისთავი რევაზ შალვას ძე (1827—1899) — ქართველი პოეტი, მთარგმნელი, თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“.

კოზლოვი ივანე ივანეს ძე (1779—1840) — რუსი პოეტი.

რუსთაველი — გენიალური ქართველი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ცხოვრობდა XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე.

ზოგიერთნი რუსნი ხედვენ კაზლოვში რაღაც პატარა ტალანტსა — უნდა ითქვას, კაზლოვის პოეზიაზე მაღალი აზრისანი იყვნენ გოგოლი, ვიაზემსკი, ბარიატინსკი და სხვები. როგორც ვხედავთ, ილია სრულიად ორიგინალურია კაზლოვის პოეზიის შეფასებაში. ილიას დიდ ორიგინალურობას ისიც მოწმობს, რომ მას მაინცდამაინც არც კაზლოვი-მთარგმნელი არ მოსწონს, იმ დროს, როცა ბესარიონ ბელინსკის აზრით, კოზლოვს შეეძლო დაემკვიდრებინა რუსულ ლიტერატურაში ევროპის ლიტერატურის მარგალიტები.

შექსპირი უილიამ (1564—1616) — გენიალური ინგლისელი პოეტი და დრამატურგი.

კარამზინი ნიკოლოზ მიხეილის ძე (1766—1826) — რუსი სენტიმენტალისტი მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი.

შენიე ანდრე (1762—1794) — ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი.

მიცკევიჩი ადამი (1798—1855) — დიდი პოლონელი პოეტი.

ლუგოვსკი — პოეტი, მთარგმნელი, თანამშრომლობდა ჟურნალ „Современник“-ში.

ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ (1788—1824)—დიდი ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი.

პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე (1799—1837)—დიდი რუსი პოეტი.

ჩახრუხაძე — XII ს. მიწურულისა და XIII ს. დასაწყისის ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი.

ხერასკოვი მიხეილ მათეს ძე (1733—1807)—რუსი მწერალი.

სუმაროკოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1717—1777)—რუსი პოეტი და დრამატურგი.

ალექსი-მესხიშვილი სარდიონ დიმიტრის ძე (1814—1863)—ქართველი კრიტიკოსი, მთარგმნელი, სამხედრო ექიმი.

მარმონტელი ჟან-ფრანსუა (1723—1799)—ფრანგი მწერალი.

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809—1852) დიდი რუსი მწერალი.

შექსპირის ოფელია — შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის" მოქმედი პირი.

კოროლი ლირი — მეფე ლირი, შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირის" მთავარი მოქმედი პირი.

დიდი ეკატერინე — ეკატერინე ალექსის ასული (1729—1796)—რუსეთის იმპერატორი 1762 წლიდან.

ტრედიაკოვსკი ვასილ კირილეს ძე (1703—1768)—რუსი მწერალი, მთარგმნელი, ლექსის თეორეტიკოსი.

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786—1846)—ქართველი პოეტი, რომანტიკოსი.

ბარათაშვილი ნიკოლოზ მელიტონის ძე (1717—1845) — დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი.

ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე (1804—1883)—ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი.

აერესელიძე ივანე ივანეს ძე (1826—1892) — ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი.

ბერიევი (ბერიძე) დიმიტრი — პოეტი, ჟურნალ „ცისკრის" თახამშრომელი.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824—1901) — ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

საქართველოს მოამბეზედ — დაიწერა 1862 წ.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში", 1863 წ., № 1, როგორც საპროგრამო წერილი.

ზოგიერთი რამ — დაიწერა 1866 წ. საბოლოო რედაქცია 1876 წ.

პირველად დაიბეჭდა 1876 წ. გაზ. „დროებაში", № 27.

პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ — დაიწერა 1886 წ.

პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში", 1886 წ., № 139.

წერილები ქართულ ლიტერატურაზე — დაიწერა 1892 წ., თებერვალ-მარტში. დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში", I წერილი, 1892 წ., № 39, IV წერილი, 1892 წ., № 77, წერილები II, III, V, ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. წერილები დასრულებული არ არის.

ᲜᲘᲨᲕᲔᲑᲘ

სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე 25 მარტს, 1883 წ. დაიბეჭდა გაზ. „დროებაში", 1883 წ., № 65.

სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 25 აპრილს 1893 წ. დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში", 1893 წ., № 86.

ლექსიკონი[1]

ა

ადლი სიგრძის საზომი ერთეული; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე, უდრიდა დაახლოებით მეტრს.

ავალა სავალი; სამოქმედო არე, გასაქანი.

აკლდამა ქვითკირის სამარე. რომელშიაც მარხავდნენ მიცვალებულს.

ალაპი მტაცებელი ფრინველია, ქორსა ჰგავს, ოღონდ მომცროა.

ალო ხვნის დროს გუთნეულში მონაწილეთა სარგოს ერთეული. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაირად ანგარიშობდნენ.

ალტობდა ძლიერ ასველებდა, ალბობდა.

ამბრი სურნელოვანი ნივთიერება

ამოვედ ამოდი.

აპეური ტაბიკების გადასაბმელი თოკი.

არმობა უკანონობა, უსამართლობა.

არტალა ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი // ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი კერძი.

არქიელი ზოგადი, არაოფიციალური სახელწოდებაა მღვდელმთავართა.

ასიგნაცია ქაღალდის ფული.

ასკინკილობს ცალ ფეხზე დახტის.

აუხაშხაშდა ხაშხაშა გაუხდა, წითელი გაუხდა, აუღაჟღაჟდა.

აფალი ღონე, ჯანი, შეძლება.

აქნევდი აქნევინებდი. „რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს“.

აქოთებული არეული, აფორიაქებული.

აღა ბატონი, მეპატრონე, დამქირავებელი (იხმარებოდა უპირატესად ეჯართა წრეებში, მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოში).

აჯამი რეგვენი, ბრიყვი.

---

[1] ლექსიკონის შედგენისას ძირითადად ვსარგებლობდით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით.

ლექსიკონი ხელნაწერში წაიკითხა პროფ. კ. დანელიამ.

ბ

ბადია ქუსლიანი დიდი ჯამი (უპირატესად ლითონისა).

ბაკი საქონლის დასამწყვდევი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო.

ბაცანკალი ხის ტახტზე ბალიშის მისადები ადგილი, სასთუმალი.

ბედენა ჩვეულებრივ იხმარება უარყოფით **ან კითხვით** წინადადებაში: **არაფერი ბედენაა** — **არაფერი განსხვავებაა, არაფერს ნიშნავს, არაფერს წარმოადგენს. რა ბედენაა** — **რა განსხვავებაა, რა მნიშვნელობა აქვს.**

ბეჩაობა ბედისაგან დაბრიყვებულობა, **დაჩაგრულობა, სასაწყლე** საცოდაობა.

ბიწი უწმინდურება, სიბილწე, **ზნეობრივი** მანკი.

ბლაღოჩინი (რუს. **благочинный** — **მამათმთავარი**) **მღვდელი, რომელიც** განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საეკლესიო **საქმეებს,** კეთილმოწესე.

ბოლთასა სცემდა წინ **და უკან დადიოდა პატარა ადგილზე.**

ბოხჩა ქსოვილის ოთხკუთხედი **მოზრდილი ნაჭერი, რომელშიც** გამოკრავენ ხოლმე რაიმე ნივთებს.

ბრგე მაღალი და მხარბეჭიანი, **ტანადი, წარმოსადეგი.**

ბუზმენტი ოქრომკედის ან სირმის ფართო **ზონარი (არშია) ჩოხის** გასაწყობი.

ბუჩო ქონახვეტი ჩალა-ბულის, ბზისა და მისთანას გროვა.

ბძარვა განხეთქილება.

ბჭე დიდი კარი, შესასვლელი.

გ

გაგააზატონ გავათავისუფლონ (ყმობისაგან).

გაეპოხა ცხიმი წაეცხო, წაესვა.

გათხვირული ძალზე გასუქებული, გათქვირული.

გაისაურნა გაისაზრა, მოიფიქრა.

გამოჭკრინდა მოხდენილად გამოიქცა, გამოკურცხლა, სირბილით წამოვიდა.

განაწონი განგმირული, დაკოდილი.

განახვნის აქ: გააღო.

გარეგანი გარეული, ველური.

გაქირი ჯიუტი, ოჩანი.

გეპრიანება, შენ რა გეპრიანება — შენ რა გინდა, შენ რა გედარდება.

გეჯა მორი, რომელსაც გული ამოთლილი **აქვს** და **იხმარება** სარეცხის გასარეცხად, ცხოველების სასმელი წყლის, საჭმლის ჩასასხმელად.

გვემა ცემა, ტანჯვა, წამება.

გვირისტი მჭიდრო ნაკერი.

გზირი სოფლის წვრილი მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი, მის **განკარგულებათა** შემსრულებელი.

გოთურგი ხმლის, ხანჯლის თოფის ჩამოსაკიდებელი თასმა.
გოლვიანი აქ: პაპანაქება, ცხელი ამინდი.
გოლვის უამი დიდი სიცხის ჟამი.
გომური მსხვილფეხა რქიანი საქონლის საზამთრო (მიწური) სადგომი.
გონჯი ცუდი; მეტისმეტად ულამაზო.
გრდემლი დაზგა ლითონის საჭედად.
გუბერნატორი ცარიზმის დროს საქართველო დაყოფილი იყო გუბერნიებად. გუბერნიის მმართველს ეწოდებოდა გუბერნატორი.
გუთნეული გუთანში ერთი შებმა ხარ-კამეჩი, ოთხიდან რვა უღლამდე.
გულნამცეცი სულმდაბალი, სულმოკლე.
გუჯარი მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი, სიგელი.

დ

დავიჭდიე აქ: ჩავინიშნე.
დავნაურდებოდით ცოტაოდენს შევჭამდით, შიმშილს მოვიკლავდით.
დაზგა აქ: დახლი.
დამში მოვიყვანთ მოვაგვარებთ.
დასაბამითვე დასაწყისიდანვე, იმთავითვე.
დაუოსებია მიუსუსტებია.
დაღოჯავს (გადატ.) ღოჯებს, კბილებს ჩაავლებს.
დაყუდებულა განმარტოებულა, განდეგილა.
დაშვრა დიდი შრომა, ჯაფა გასწია, დიდად გაისარჯა, **დაიღალა, დაიქანცა.**
დახლიდარი დახლში მდგომი, დახლში მოვაჭრე, გამყიდველი, **ნოქარი.**
დედალო აქ: ლაჩარო.
დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სამოქალაქო (არასამხედრო) **მოხელის** ხარისხი.
დენშიკი (რუს. денщик) სამხედრო პირის (ოფიცრის) პირადი მსახური ჯარის-კაცი რევოლუციამდელ რუსეთში.
დვრიტა აქ: ფუძე, საძირკველი, ძირი.
დიამბეგი ძველი მოსამართლე.
დრო კი უწერს აქ: დრო არის.
დოში თართის, ზუთხის (თევზის ჯიშებია) ლორად გამოყვანილი **გვერდი.**
დროშკა ღია, მსუბუქი ოთხთვალა ერთცხენიანი **ეტლი.**

ე

ებანი სიმებიანი (ძალებიანი) საკრავი, ქნარი, არფა.
ესტიბარი სახელი, ნდობა (იხტიბარი).

ვ

ვაინაჩრობით დიდი გაჭირვებით, ძლივძლივობით; **რის ვაინაჩრობით** იგივეა, რაც რის ვაი-ვაგლახით.

ვბედოვლაობდით ბედოვლათობას ვეწეოდით, ბედოვლათად **ვიქცეოდით,** ვფლანგავდით, უყაირათოდ ვიქცეოდით.

ვერსტი (რუს. Верста) სიგრძის ერთეული, რომელიც იხმარებოდა რუსეთში ზომათა მეტრული სისტემის შემოღებამდე — ხუთასი საჟენი, ცოტათი მეტია კილომეტრზე.

ვიზიტობენ მცირე ხნით ვინმესთან მიდიან მოსანახულებლად.

ვიურვებდნით მივხედავდით.

ვიხოიშნიდნით ვანუგეშებდით.

ვრდომილი დაცემული, დავარდნილი.

ზ

ზათქი ძლიერი, ყურთასმენის წამღები ხმა.

ზაკვა ფლიდობა, ცბიერება, მზაკვრობა, ვერაგობა, მუხანათობა.

ზიარება ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი: ნაკურთხი ღვინისა და სეფისკვერის (სიმბოლურად ქრისტეს სისხლისა და ხორცის) ნაწილის მიღება.

თ

თავხე მთავარი დირე, მთავარი კოჭი, რომელიც სახლის სახურავის გასამართავადაა გადებული.

თამასუქი საგანგებო ხელწერილი გარკვეულ ვადაში ვალის გადახდის შესახებ, ვექსილი.

თარხნობა თავისუფლება; თ ა რ ხ ა ნ ი — განთავისუფლებული ყმა; თავისუფალი რაიმე გადასახადისაგან, ვალდებულებისაგან.

თასლიბს ვერ გაუწევდი ამხანაგობას ვერ გაუწევდი, თანაგრძნობას ვერ გაუწევდი.

თეთრი აქ: ვერცხლის ფული.

თექა ნაბდისაგან შეკერილი ზედა ჩასაცმელი.

თვითრჯული ჯიუტი, კერპი, თვითნება.

თოხლი ცხვარი ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

ი

იაგუნდი ძვირფასი ქვა, იგივეა, რაც ლალი, რაც საფირონი.

იაზმა აიაზმა, ნაკურთხი წყალი.

იამშჩიკი (რუს. ямщик) მეეტლე.

იანიჩარი (თურქ. ენიჩერი — ახალი ჯარი); 1) პრივილეგირებული ქვეითი ჯარი (სულთანის თურქეთში XIV—XIX ს.-ში), პირველ ხანებში დგებოდა ბავშვობაში ტყვედ წაყვანილ და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან

2) ასეთი ჯარის ჯარისკაცი; აქ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი.

იასაული პოლიციის მოხელე სოფელში.

ილაჯი ღონე, ძალა, არაქათი.

ილაჯნაწყვეტი ვისაც ილაჯი აქვს გაწყვეტილი, ღონეგამოლეული. დაქანცული.

იქმონენ იზამენ.

კ

კალმუხის ქუდი კალმუხის ცხვრის ტყავის ქუდი.

კაპარჭი „ისართ ქარქაში“ (საბა), ისრების ჩასაწყობი ბუდე, ისრების ქარქაში.

კარაბადინი აქ: ასტროლოგიური საწინასწარმეტყველო წიგნი.

კარგად გაკეთებული აქ: შეძლებული.

კდემა დარცხვენა, ძორიდება, მოკრძალება.

კვერი დაჰკრა დასტური მისცა, დაუდასტურა, დაეთანხმა.

კირთი „მონება მოუსვენებელი და ბეგარი დაუცადებელი“ (საბა), მძიმე ჯონობა. კ ი რ თ ე ბ ა — მოხობა

კისკასობ სიმარდეს, სიმარჯვეს იჩენ, მარჯვედ იქცევი.

კოდი მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომის.

კოდის პური პურის ღალა, ყოველი მეკომურისაგან გადასახდელი ხორბლი ბატონისათვის, პურის საბატონო გადასახადი.

კონკილა ურმის თავქვეშ შესაყენებელი კეტი, ქვესადგამი, საყენი; (ურემს მასზე აყენებენ, როცა ხარები გამოშვებულია, ანდა როცა უნდათ ურემში შებმული ხარები შეასვენონ): კ ო ნ კ ი ლ ა ზ ე დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ ი უ რ მ ე ბ ი.

კორკოტი დანაყვით კანგაცლილი ხორბალი, რძეში ან წყალში მოხარშული და ერბოთი შეზავებული.

კოტიტა მოკლე და სქელი, მოუქნელი.

კოფო ურმის წინა ჰალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი, რომელზეც მეურმე ზის.

კრინოლინი კაბა, რომელსაც განივრად იჭერს შიგ დატანებული ფოლადის სარტყელი, „ხაბარდა“ კაბა.

კულუხი „ღვინის ღალა“ (საბა), ღვინის საბატონო გადასახადი.

კურატი გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი, კურო, მოზვერი, ბუღა.

კურტანი აქ: საზურგული ადამიანის მიერ ტვირთის საზიდავად.

კურტკა ქურთუკი.

კუტი პური თონეში ჩავარდნილი და ნაკვერცხლებზე გამომცხვარი პური.

ლ

ლალვა შუღლი, მტრობა.

ლიტონი ბედი უბრალო, არასახარბიელო ბედი.

ლუჩუნა უშნო, უხეიროო.

მათლაბა ღრმა თეფში, ღრმა საინი.

მარგილი თავწათლილი სარი.

მარქაფად სათადარიგოდ, შემცვლელად.

მარაქა აქ: ადამიანთა კრებული.

მარხვა დღეები, როცა მორწმუნე არ ჭამს ხორცეულსა და რძის ნაწარმს.

მაფრაშა ფარდაგისმაგვარი ქსოვილისაგან შეკერილი განიერი ოთხკუთხედი ტომარა, პირი ხურჯინივით მოსაფხუჭი აქვს. ხმარობენ ბარგის გადატანისას ლოგინისა და ტანისამოსის ჩასალაგებლად.

მაშრიყ-მაღრიბი დასავლეთ-აღმოსავლეთი.

მეველე ნათესი მინდვრის და ბაღ-ვენახის მცველი.

მეოხება დახმარება, შემწეობა, წყალობა.

მესავი „მსასოებელი“ (დ. ჩუბინაშ.), მოიმედე.

მზაკვრობა თვალთმაქცობა, ცბიერება, ფლიდობა, ვერაგობა, მუხანათობა.

მილეთი ქვეყანა.

მიწრიელი „ეშმაკი“ (ილია).

მოიფონებს შეიმუსუბუქებს, გაიქარვებს; გ უ ლ ს მ ო ი ფ ო ნ ე ბ ს — გულს დაიმშვიდებს.

მოღალე მოჩხუბარი, მოშუღლე.

მორჭმული ძლევამოსილი და ბედნიერი.

მოუბნობს ამბობს, ლაპარაკობს რისამე შესახებ.

მტლად დავედები წამლად, მალამოდ დავედები, ვემსხვერპლები, შევწირები. მუნ იქ.

მუნათი დაყვედრება, დამადლება რისამე, საყვედური.

მყოობადი ჩვეულებრივი დრო, მერმისი.

მწუხრი საღამოს ბინდი, შეღამება, შებინდება.

მჭმუნავი ვინც მჭმუნვარებს, მწუხარე.

ნ

ნაასალი იგივეა, რაც მეასედი.

ნაგული დაგეშილი, გაწვრთნილი.

ნაცვალი სოფლის მოხელე, მამასახლისის მოადგილე, თანაშემწე.

ნეკრესის ქარი სახსრების ქრონიკული დაავადება, „ავი ქარი“ (საბა).

ო

ოლოლო! შორისდებულია, გამოხატავს ნიშნის მოკებას.

ორ-ორ შაბადის ყანა ე. ი. ერთი დღიური; შაბათს ნახევარ დღეს მუშაობდნენ, აქედან შაბათის ყანა ნახევარდღიური, ორი შაბათის — ერთდღიური.

ოყრაყი დიდი უშნო ტანის ტლანქი კაცი, აყლაყუდა. ო ყ რ ა ყ უ ლ ი.

პატიჟი „ტანჯვა, გინა უპატიურობა“ (საბა), ტანჯვა, წამება.

პეიტარი ბრძენი, გამოცდილი ადამიანი.

პეიტრობით სახელდებულნი მეტის გონებით სახელგანთქმულნი.

პინა სასწორის თეფში.

პირმოთნე პირფერა, მლიქვნელი, ცბიერი.

პირში წყალი ჰქონდათ აქ: სირცხვილ-ნამუსი ჰქონდათ, ლაპარაკში თავდაჭერილები იყვნენ.

პოვერნია (რუს. поверенный) რწმუნებული.

პოვოსკა (რუს. повозка) ოთხთვალა.

რახტი აღვირის მორთულობა ოქროსი ან ვერცხლისა.

რიტორიკა მჭევრმეტყველების თეორია.

როტა (რუს. рота) ჯარის ნაწილი, ასეული.

რუსხმული მაღლა აშენებული რუ დაბლობიდან მაღლობზე წყლის ასაყვანად; აქ: დინება.

რქა ვაზის ერთწლიანი ტოტი, ლერწი.

საბძელი ბზის, აგრეთვე საქონლის სხვა საკვების (თივის, ფუჩეჩის) შესანახი ნაგებობა, ჩვეულებრივ წნული, ან ფიცრული.

სადუკეველი ძველი ებრაული რელიგიურ-პოლიტიკური სექტის წევრთა სახელწოდება.

სავანე აქ: ბინა, სადგომი, სადგური, სამყოფელი.

სალთად უბარგოდ, უტვირთოდ, მსუბუქად.

სამურველი საქონლის გასასუფთავებელი რკინის ჯაგრისი.

სანაწილე ჭურჭელი წმინდა ნაწილების შესანახავად.

საპალნე ღვინის საწყაო, უდრის 30 ჩაფს (ჩ ა ფ ი — ღვინის საწყაო, დაახლ. ერთი ფუთი ტევადობისა).

საპირისწამლე პატარა ჭურჭელი კაჟიანი თოფის ფალიაზე წამლის მოსაყრელად.

სართი რასაც ურთავენ, უმატებენ.

სარმა ჭიდაობის დროს სახმარი ილეთი, ფეხის გამოკვრა მოწინააღმდეგის მოულოდნელად წასაქცევად.

სასო იმედი.

სასწრაფო აქ: თოფის წამლის ჭურჭელი (რქისა, ხისა და ა. შ.), რომელსაც პირზე გაკეთებული აქვს საწყაო ერთი სროლა თოფის წამლისათვის.

საქმეს დამში მოვიყვანთ საქმეს კარგად მოვაგვარებთ.

საყევარი კუთნის წინა უღელი ხარების (ან ურემში მეორე უღელი ხარის) მოსაბმელი ჯაპანი, ჯაჭვი, ძელი და ა. შ.

საცვეთები წვივებზე ჩასაცმელი ტყავისა (ან შალისა), ფარავს ფეხს ძუძლიდან კოჭებამდე, საწვივე, პაჭიჭი.

საწერელობას თამაშობდა სამელნის დანიშნულებას ასრულებდა.

საჭურჭლე ჭურჭლის, განძეულობის საცავი, სალარო, საგანძური.

საწუაო რისამე შეფასების საზომი.

სვამეხი სომეხი.

სიათა ერთგვარი ძველებური თოფი.

სირაჯი ღვინით ბითუმად მოვაჭრე. ბითუმად ვაჭრობა — ერთბაშად დიდი რაოდენობით რისამე გაყიდვა. სირაჯობენ.

სირინოზი მითოსური არსება, ულამაზესი ზღვის ქალი, რომელსაც საუცხოო, მომაჯადოებელი სიმღერა შეუძლია.

სტვამაჭი კუჭი, მუცელი.

სუზანა „ძვირფასი საფენი" (დ. ჩუბინ.) ფერადი ნაქარგი ქსოვილი, რაიმეზე გადასაფარებლად.

სუფევა მეფობა, ბატონობა, არსებობა, ყოფნა.

ტ

ტაბაკი ხის მოზრდილი სინისმაგვარი თეფში, ხმარობენ ჩვეულებრივ ხორბლის სარკვევად.

ტალავარი ტანსაცმელი, ტანისამოსი.

ტერტერა სომეხთა მღვდელი.

ტრიკი იგივეა, რაც თიაქარი. თიაქარი — ავადმყოფობა, რომლის დროსაც შინაგანი ორგანო (მაგ., წვრილი ნაწლავები) მუცლის კედლის ატკითურთ მუცლის ღრუდან კანქვეშ გამოდის.

ტყრუშული მსხვილი წნელის ორმხრივი წნული.

უ

უილაჯობით უღონობით.

უნდილი უფხო, (გადატ.) მოუხერხებელი ადამიანი.

უჯერო დაუჯერებელი.

უნჯი „საქონელი" (საბა).

ურვა წუხილი ვისიმე ან რისამე გამო.

უსტაბაში ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი.

უში კვნესა, ოხვრა, ვაება, წუხილი.

უჩინონი აქ: ნახმარია ორი მნიშვნელობით; 1) გამოუჩენელნი, ნაკლებად ცნობილნი; 2) ვისაც ჩინი არა აქვს, ჩინის უქონელნი. ჩინი — სამხედრო ბრძანება და სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი // აღგვარი ხარისხის ნიშანი.

უწუხ იცის.

უჯათი გაუგონარი, შეუსმენარი, თვითნება, თავნება, ჯიუტი, კერპი.
უჯერო დაუჯერებელი, ურწმუნო.

ფ

ფათერაკი უბედურება, ხიფათი, მარცხი.
ფალანი იგივეა, რაც პალანი — ვირის ან აქლემის კურტანი.
ფანდი აქ: ფარდი, შესაფერი.
ფანჩატური „ფოთლის დერეფანი“ (საბა), ფოთლიანი ფიჩხით დახურული **საჩრდილობელი, უკედლებო.**
ფარაჯა იგივეა, რაც მაზარა. „ზედ წამოსასხმელი“ (საბა). აქ სამხედრო **ფორმის** პალტო.
ფარისეველი იუდეველთა ერთერთი ძველი რელიგიურ-პოლიტიკური **სექტის** წევრი, რომელსაც ახასიათებდა ღვთისმსახურების წესების პედანტური შესრულება; გვიანდელი გაგებით პირფერი.
აქ: გადატ. ფლიდი, თვალთმაქცი, ცბიერი.
ფერია იგივეა, რაც ფ ე ა — ჯადოქარი ქალი, სასწაულთმოქმედი, ზებუნებრივი არსება, გრძნეული, რომელსაც თითქოს შეეძლო ადამიანების **სიკეთით** ავსება, ანდა მათთვის ბოროტის მიგება.
ფირმანი ბრძანების, განკარგულების, ნებართვის, წყალობის ან შეწყალების ქაღალდი.
ფლური ოქროს (შემდეგ ვერცხლისაც) ფულის ერთეული, უდრიდა ექვს ან შვიდ აბაზნახევარს, წონით 4 გრამ ოქროს.
ფოშტის პოვოსკა საფოსტო ეტლი.
ფრანსიელი ფრანგი.
ფრთხოლა „პირუტყვის შეშინება“ (საბა), ფრთხობა, ფეთქება.

ქ

ქალია თუ ვაჟი აქ: საქმე მოგვარდა თუ არა.
ქარის ამოღება დასვენება. „ხელ-ფეხს ქარი ამოვაღებინე“.
ქაშანური თიხის ჭურჭელი, მოხატულ-მოჭიქული, (სპარსეთის ქალაქ ქაშანის მიხედვით, რომელიც შუა საუკუნეებში განთქმული იყო ასეთი ჭურჭლით).
ქელვა ფეხით სრესვა, თელვა; გადატ. შეურაცხყოფა, დამცირება.
ქველი მოწყალე, კეთილი, უხვი; დიდსულოვანი.
ქველური მამაცური, ვაჟკაცური, რაინდული.
ქისტი აქ: მუჯლუგუნი, მუშტი.
ქნარი სიმებიანი სამუსიკო საკრავი, თითების გამოკვრით ასაღერებელი.
ქოსმანი ნასუქი ღორი ან ცხვარი.
ქოქი (თურქ.) ძირი; აქ: მოდგმა, „ამოაგდო ღმერთმა ავი კაცის ქოქი“.
ქურანი წაბლისფერი ცხენი.

ღ

ღველფი ფერფლმოდებული ნაკვერჩხალი, ნაცრიანი ღადარი.
ღიოღიტა გუთნის ნაწილი: რვილის თავის დასადები, ფამფალაკის კოკორა.

უ

უაბახი 1. სამიზნედ დადგმული თასი, რომელსაც მოჯირითენი ცხენდაცხენ ესროდნენ ისარს და ვინც მოახვედრებდა, ჩამოაგდებდა, ჯილდოდ ამ თასს მიიღებდა. 2. ადგილი, სადაც იმართებოდა ნიშანში სროლა. 3. უაბახის მოსაპოვებლად გამართული შეჯიბრება.
უადრი ფასი, ღირებულება.
უაითანი წნული ზონარი მოსავლებად (ჩვეულებრივ აბრეშუმის ძაფისა).
უალანი ბეგარა, გადასახადი.
უანაოზი აბრეშუმის ერთგვარი ქსოვილი.
უაწიმი „ხმლის სამხარიღლივე“ (საბა); თასმა ხმლის მხარიღლივ ჩამოსაკიდებლად, ვერცხლის ბალთებით შემკული.
უუი ფრინველია, „აკაური... ბატსა ჰგავს, თეთრი და დიდია“ (საბა).

შ

შაბადის უანა იხ. ორშაბადის უანა.
შაკიკი თავის ერთი მხრის ტკივილი დროგამოშვებით, გამოწვეული თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით.
შანა რაიმე ნივთი (უპირატესად ლითონისა), რომელსაც შეულოცავდნენ და უელზე (ან მაჯაზე) აბამდნენ ვითომდა ავი თვალისაგან (ავი სულისაგან) დასაცავად.
შარავანდედი აქ: ოგივეა, რაც შარავანდი — სხივი, შუქი, ბრწყინვალება.
შეგივრდომებს მფარველობას გაგიწევს, შეგიფარებს, შეგიწყნარებს.
შეიმცნივა შეიმჩნია.
შემოკვერცხლილი მრგვალად შემოკვეცილი, შემომრგვალებული.
შილის პერანგი ბამბეულის წითელი ფერის ქსოვილის პერანგი; შილი — „წითელი სამოსელი“ (საბა).

ჩ

ჩალაღაჯი ბეჭის ანაკერი ხორცი.
ჩალეური ჩალით დახურული შენობა, ქოხი.
ჩამჩა დიდი ღრმა კოვზი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად
ჩაოდახი სასახლის ბანის ნაწილი, სვეტებზე დადგმული და გუმბათით გადახურული.

ჩაუჭი მარდი, მკვირცხლი, მამაცი.
ჩაქსულა კაბა ზოლიანი, ნაოჭიანი, ჩაქებიანი კაბა.
ჩაღაკრავი პაიჭის შემოსაჭერი ბაფთა, ლეკვერთხი.
ჩითმერდინი დაჩითული (ჭრელი) მერდინი, თავსაფარი.

ც

ცარგვალი აქ: ქვეყანა, სამყარო.
ციაგი გასხივოსნებული, ბრწყინვალე, ნათელი.

წ

წალამი ვაზის ნასხლავი.
წარაქვთ მიაქვთ, იტაცებენ.
წარტყვევნილვარ დავტყვევებულვარ.
წიტიანი ლაწირაკი, ცინგლიანი.
წყმედილი (ჭურჭელი) შერყვნილი, გაბინძურებული.

ჰ

ჭაპანი ბაგირი, ჩვეულებრივ დაწნული თასმისა. მიწის ხვნის დროს ჭაპნით უღელზე ჩამობმული იყო გუთანი.
ჭაპანი (ვწიოთ) ვიჯაფოთ, ვიშრომოთ. ჭ ა პ ნ ი ს წ ე ვ ა — დიდი ჯაფა, მძიმე შრომა.
ჭედილა დაკოდილი მამალი ცხვარი.
ჭიგო ვაზის სარი, ხარდანი.
ჭრა აქ: თხრილი. „ორი ჭრა კიდეც გააკეთებინა ასე“.

ხ

ხაბარდა იგივეა, რაც კრინოლინი; იხ. კრინოლინი.
ხაბარი იგივეა, რაც ამბავი.
ხაზინიანი თოფი ხაზინის მქონე თოფი; ხ ა ზ ი ნ ა — თოფის, ზარბაზნის ის ნაწილი, სადაც ვაზნა იდება.
ხამი ბამბის უხეში ქსოვილი.
ხაშმობს (ადგილი) ხაშმიანია, ხაშმითაა მოწამლული. ხაშმი — 1. ჭაობის ორთქლი, 2. ციებ-ცხელება.
ხახა დავულბოთ (გადატ.) მოვქრთამოთ, ქრთამი მივცეთ.
ხელეური მომკილი პური, რასაც ხელში იჭერენ.
ხიზვა ხიზის წასმა, ხიზით გლესა. ხ ი ზ ი — გაბზარული თიხის ჭურჭლის საგლესი (ბამბას და დანაყილ-გაცრილ თიხას აურევენ ცვილში ან თხის ქონში და მოადუღებენ).

ხირიმი ივოვეა, რაც **ყირიმი, ძველებური ინგლისური** კაქიანი თოფი (ყირიმის სახანოს სახელის მიხედვით, საიდანაც ასეთი თოფი შემოდიოდა ჩვენში).

ხონთქარი ოსმალეთის მეფე.

ხოშ-გელდი (თურქ.) მშვიდობა შენს მოსვლას, მოხვედ მშვიდობით.

ჯ

ჯაგი „წვრილი ჩირგვი" (საბა).

ჯადო ისეთი რამ (ნივთი, წამალი) რაც ვითომდა ავნებს, შეკრავს, შებოჭავს მას, ვისაც გაუკეთებენ, ვის სახელზეც გააკეთებენ.

ჯალაბობა ოჯახი, ოჯახის წევრები, სახლეული.

ჯარჯი ძეძვის, ფიჩხის და მისთანას კონა.

ჯირითი ცხენოსნობაში შეჯიბრის ერთერთი სახე.

ჯულური მახინჯი, ცუდი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლ ე ქ ს ე ბ ი

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შეხთანხმ..." 5
ყვარლის მთებს 29
გუთნის-დედა 31
გიყვარდეს 32
*** დაე, თუნდ მოვკვდე 32
ქართველის დედას 33
რისთვის მიყვარხარ? 34
ნანა 34
ელეგია 37
ბედშავი 38
ალექსანდრე ჭავჭავაძე 40
ილიას ბაირაქტარზედ 41
პოეტი 42
*** მესმის, მესმის 43
იახტარი 43
*** გაბრაზდა, ტურფავ 44
გაზაფხული 45
*** მას აქვს, რაკი 45
*** ჩემო კალამო 46
1871 წელი, 23 მაისი (ლომუნის დაცემის დღე). 47
რა ვაკეთეთ, რაც ეშვრებოდით ახლ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა 48
ბედნიერი ერი 52
გამოცანები 53
პასუხის პასუხი 57
*** ჩემო კარგო ქვეყანავ 62
ბაზალეთის ტბა 63
კითხვა-პასუხი 64

პ ო ე მ ე ბ ი

აჩრდილი 67
ქართველის დედა 86
რამდენიმე სუროთი ანუ ეპიზოდი უაჩალის ცხოვრებიდან 95

მეფე დიმიტრი თავდადებული 114
განდეგილი 145

მოთხრობები

მგზავრის წერილები 164
გლახის ნაამბობი 186
კაცია-ადამიანი?! 270
სარჩობელაზედ 361
ნიკოლოზ ვოსტაშაბიშვილი 377
ოთარაანთ ქვრივი 382

წერილები ლიტერატურაზე

ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი"-ს თარგმნაზედა 452
საქართველოს მოამბეზედ 470
ზოგიერთი რამ 486
პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ 496
წერილები ქართულ ლიტერატურაზე 500

სიტყვები

სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე . . 532
სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 535

შენიშვნები და კომენტარები 538

ლექსიკონი 552

ს. ბ. № 1414

რედაქტორი მახახა ზუბალაშვილი
მხატვარი ი. დივნოგორცევა-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ვ. პირველი
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი ნ. მუსხელიშვილი
გამომშვები ნ. მელიწკაური

გადაეცა ასაწყობად 28.06.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.12.84. ანაწყობის ზომა 6×9. ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 32,01. გარნიტური ვენა, ბეჭდვა მაღალი. საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 33,02. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 27,06.
ტირაჟი 60.000 შეკვ. № 433

ფასი 3 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Чавчавадзе Илья Григорьевич

СОЧИНЕНИЯ

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1985

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტას ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.